

K 181735
3



ବ୍ୟାକ୍ କହିବାରେ



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକଳ୍ପକାରୀ
କୃପାକୁରୀତୀ



* ପ୍ରକାଶକ୍ତି *
1980

საქართველოს სსრ მიცნობირებათა აკადემია
ივ. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის, არქიოლოგიისა და
მთელგრაფიის ინსტიტუტი



ა ღ ე პ ს ი ო ჩ ი ა უ რ ი

ს ტ უ მ ა რ მ ა ს პ ი ნ დ ლ ი რ ა
ს ი ვ ს უ რ ე თ შ ი



გამოცემულია „მიცნობირება“
თბილისი

1980



902.7(C/41)

63.5(2)^r

~~902.7(47.922)~~

m 917



b938uyh ~~11~~ 95m

ალ. ორიაურის „სტუმარისაპრეზრლობა ხევსურეთში“ მოიცავს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის მასლებს 40-იან წლებამდე. მასში დაწყერილებით არის აღწერილი საქართველოს მთანეთის ამ რეგიონში საუკუნეთა მანჩილზე გამომუშავებული სტუმარისაპრეზრლობის უსები ყოფის სხვადასხვა მხარეებთან დაკავშირებით.

ମେଣଟକ୍ଷେତ୍ର ଗ୍ରାମନବା ଶ୍ରୀମଦ୍ଭରମାପଦିନକୁ ଏହା କୌଣସି ନାରମ୍ଭିଦିଲା
ଓ ପ୍ରତିକାରୀସି, ଅଳ୍ପମେଇ ଉପରେରେ କର୍ଣ୍ଣକୁରୁତୁଲ ଶେଷତକ୍ଷେତ୍ରରେ ମାତ୍ର
ଗାମ୍ଭେର୍ଲାଙ୍କିନି ଥାବାତିଲେ, ପାରପୁଣ୍ଡିତ, ଲାବାଗମନ ମହାରାଜ୍ୟପତନ ହୁଏଥାଏ, ଲା-
ଭାଗିତ ହେଠାନ୍ତିରୁ ତୁରାତୁଲ୍ଯ ଦୂରାତ୍ମାଧୂରୀସି.

181 735

O ————— 10602
M 607(06)-80 188—80 © გამოცემულია „მინისტრი“, 1980

ପ. କୁଳରସବିଲେ ଶବ୍ଦୀ ଶୁଣ-
ଶେଖ ଶବ୍ଦରେଣୁଳାଙ୍ଗୀ
ନିର୍ମିତରେଣୁଳାଙ୍ଗୀ
କରିଛିଲେ ଏହାକିମ୍ବା

რედაქტორისაგან

„არიან მოღვაწენი, რომელთაც ჩაიმე განსაკუთრებული განათლება არ მიუღით, არც გამოქვეყნებული წიგნებით თუ სტატიებით აულაპარაკებით ქვეყანა, არც სარფა და სახელი უძებნიათ, რიგითს საზოგადოებრივ სამუშაოს ასრულებდნენ, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ფართო საზოგადოებრიობისათვის სრული და უცნობნია.

მაგრამ მათ ჰქონდათ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და ერის წინაშე პასუხისმგებლობის კეთილშობილური გრძნობა,— მუდამ შეიძლება, ერგბდნენ, კრებდნენ, იწერდნენ, იხატავდნენ და ამ ნაღვაწს შეამომავლობას უტოვებდნენ..... აი, ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ალექსი ალექსი აკადემიური“. (ალ. ჭინჭარაული, „ცხოვრობდა მთამი კაცი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972 წ. 8 სექტემბერი). იგი დაიბადა 1892 წელს არჩოტის თემის სოფ. ახიელში, ხევსურეთში ცნობილი დასტარების ალექსა აჩიაურის ოჯახში. იზრდებოდა და ცხოვრობდა, როგორც მისი თაობის ყველა ხევსური ახალგაზრდა. 1912 წელს ჯარში გაიწვიეს. მაშინ პირველად დატოვა მან მთებში მომწყველეული თავისი სოფელი და უცნობ, ახალ სამყაროში მოხვდა. მან პერიოდს ეკუთვნის ალ აჩიაურის მიერ სალდათობასა და ომშე ნათესამი ლექსიბი. მოლექსეობამ და პოეზიის სიყვარულმა მიიყვანა შემზევში იგი ხალხური ზეპირსიტყველების შემკრებლობამდე.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ იგი ისევ არხოორში ცხოვრობდა. აქ შეხვდა იგი აკადემიკოს ა. შანიძეს, რომელიც მაშინ ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობდა ენობრივი და ფოლკლორული მასალების შეკრების მიზნით. მან შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ალ. აჩიაურის მომავალი მოღვაწეობისათვის. მან თავი მოუყარა და ბ-ნ აკავის გადასცა საკუთარი და გაგონილი ლექსები, რაც ა. შანიძემ ხევსურული პოეზიის კრებულში გამოაქვეყნა (ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931 წ.).



ალ. ოჩიაური გასაბჭოების პირველი წლებიდანვე ფშავების მიზანით სურეთში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. მთელი სიცოცლულის მანძილზე იგი „ტრიალებია მთის ხალხში და სისტემატურად იწერდა რათვან ხალხური სიტყვიერების და ეთნოგრაფიულ მასალებს, იწერდა ყველაფერს, რაცი რამე მხრივ შეიძლება იყოს საინტერესო საღლეისოდ ან მომავლისათვის. იწერდა კვალიფიციურად, ზუსტად, უტყუარად, შეუფერავად“ (ალ. ჭინჭარაული). იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც მონდომებით ჩაება ენიმე-ის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ ოცდაათიანი წლებიდან ფართოდ გაშლილ შემკრებლობით მუშაობაში. ავად. გ. ჩიტაიასა და პროფ. ვ. ბარდაველიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით ალ. ოჩიაურმა საქუთარი ცოდნისა და ხალხთან მუშაობის შედეგად დიდალი ისეთი მასალა დააგროვა, რომლის მოპოვება დღეს სრულიად შეუძლებელია. ეს მასალები მოიცავს ფშაველ-ხევსურთა საჩქმუნოებრივი თუ სოციალური ცხოვრების ძირითად მხარეებს (მითოლოგია, ხალხური რელიგიური დღესასწაულები, მიცვალებულის კულტი, ხალხური სამართალი, ანდრეზები, ფშავ-ხევსურული პოეზია, სტუმარმასპინძლობა და ა. შ.). სამწუხაოდ, ამ მასალის გამოქვეყნება, გარდა მიცვალებულის კულტისა და პოეზიისა, დღემდე ვერ მოხერხდა (გამოუქვეყნებელი ხელნაწერები დაულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში).

წინამდებარე წიგნი მთლიანად ხევსურულ სტუმარმასპინძლობას დაეთმო. მასში წარმოდგენილი მასალები ხალხში შექრებილი არ არის, იგი უშუალოდ ალ. ოჩიაურს ეკუთვნის; ავტორი გარეშე დამკვირვებლად კი არ გვევლინება, არამედ უშუალოდ მიუღია მანაწილეობა აღწერილ წეს-ჩევეულებათა შესრულებაში. ყველაფერი, რაზედაც წერს, თვითონ უნახავს და შეუსრულება. ამიტომ ყურადღების გარეშე არ აჩება უმნიშვნელო დეტალიც კი, რასაც სხვა შეიძლება ვერც შეამჩნევდა, ამიტომ იცის ასე სრულყოფილად, რა უნდა თქვას და მოიმოქმედოს სტუმარმა და მასპინძელმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

ალ. ოჩიაური სტუმარმასპინძლობას აღწერს არა ზოგადად და განყენებულად, არამედ კონკრეტულ წეს-ჩევეულებებთან და შრომითს საქმიანობასთან კავშირში. ეს კი საშუალებას აძლევს მას ყოველმხრივ აჩვენოს სტუმარმასპინძლობის ნორმები, ეტიკეტი და სიტყვიერი მასალა. გვაცნობს სტუმრისა და მასპინძლის ტრა-



დიციულ ურთიერთობას ლხინსა და ვლოვაში, სისხლ-მესის ცენტრულ გარემოებაზე დასა და მტერთა შერიგებაში, დობილ-ძმობილობასა და „ზალ-ქმრეულობაში“, თიბვა-მქასა, ხელსაქმის ცალკეულ დარგებსა და სხვა წეს-ჩვეულებებში.

წიგნი არა მარტო ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არის სა-ინტერესო, არამედ ბევრ საყურადღებო მასალას მიაწვდის ენათ-შეცნიერებს, ფოლკლორისტებს და სხვა მომიჯნავე დარგების სპე-ციალისტებს.

ავტორის ტექსტი იბეჭდება უცვლელად, ზოგ შემთხვევაში გასწორებულია მხოლოდ ენობრივი და სტილისტური უზუსტობა-ნი.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ტერმინთა და წეს-ჩვეულე-ბათა განმარტება ტექსტშივეა მოცემული, წიგნს მაინც ვურთავთ ზოგიერთი სიტყვების ახსნას.

სტუმარობასაცინდლობა მასანახავის ღროს

„მასანახავი“ ეწოდება მოსაკითხს, რომელიც მიაქვთ ამა თუ იმ მოკეთესთან, როდესაც მას ბავშვი შეეძინება. ვაჟის გაჩენის შემთხვევაში მას უფრო მომზადებულად და მეტი არაყით მიუვლენ მოკეთებიცა და უფრო შორეული ნაცნობ-მეგობრებიც. ქალი თუ დაიბადა, მაშინ კი ახლობელი მოკეთები თუ მიულენ და ისინიც ნაკლები მომზადებით. ვაჟის გაჩენას ხევსურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და დიდი სიხარულით ხვდებოდნენ ამ ამბავს, ნამეტნავად მაშინ, თუ „სამანატურო“ ვაჟი დაიბადებოდა (სამანატურო, ე. ი. სანატრელი). მაგალითად, რმდენიმე ქალიშვილის მშობლებს ვაჟი არ ჰყავდათ, ენატრებოდათ, რომ „წილნაწილს“ მეტკვილრე გასჩენოდათ. თუ წატვრა აუსრულდებოდათ, ასეთ შევლს სამანატუროს ეძახდნენ). სამანატურო ვაჟის დაბადებაზე ყველა ცდილობდა სხვებზე უფრო ბევრი და კარგი არაყი მიეტანა და, რაც შეიძლება. ადრე მისულიყო მასანახავით. ხანდახან ბავშვი „ქოხიდან“¹ არც კი იქნებოდა შემოყვავილი, რიცა მასანახავით ხალხი უკვე დაიწყებდა სიარულს. ზოგი ოჯახი არაყით მარტო მივიღოდა, ზოგი კი სხვებს შეუამხანაგდებოდა და ორი ან სამი ოჯახი ერთად გამოსწურავდა არაყის. ვინც საარაყეს ერთობით ადულებდა, ისინი წინასწარ მიიტანდნენ შეშას, ფქვილს და აწყვით ჩაყრიდნენ საარაყე ქვაბში².

¹ ქოხი ცალფა ყორისაგან შემოლობილი, პატარა, ჩილით გადახურული ნაგებობა იყო, სადაც ქალები მშობიარობდნენ. შიგ თავსდებოდა მარტო მშობიარე ქალი და სხვა ეს არც გაეკარებოდა. პურს შორის გადაუგდებლნენ და შეალისაც მაღლიდან ჩაუსხამდნენ, რათა მათი ჭურჭელი არ „გაუშმიდურებულიყო“. ამ საქმეს ასრულებლნენ „მესამრელო“ (დედათწესინი) ქალები, რომლებსაც მელოგინის ოგაზირან მიუტანდნენ საკმელს, შეალს, ხიჩინს—ბავშვის შესახვევ შალის ქსოვილს და სხვა.

² არაყის შემდევნაირად ხდილნენ: საარაყე ქვაბში აწყვით ჩაყრიდნენ ფქვილს, ჩაასხამდნენ წყალს და ააღულებლნენ. შემდევ გადილებლნენ სხვა შერილ ქებებში. ამას ეწოდებოდა გადმოგრილება. საქმარისად რომ გაცივდებოდა, ჩაასხამდნენ კოდში და მისცემდნენ საფუარს, რომელიც წინასწარ „გამოელებული



როდესაც საარაყე გამოსახდელად შზად იყო, გამოსწურავდნენთვისა არაყით გავსებულ ჭურკლებს გასინჯავდნენ და დიდ ქვაბში ერთმანეთში გადაურევდნენ, ვიდრე საშუალო სიცხარის არაყი არ დაღვებოდა. რადგანაც არაყი სხვადასხვა ხარისხისა იყო, ამიტომ ურევდნენ ერთმანეთში. ხევსურებმა ცეცხლზე იცოდნენ უფრო არაყის სინჯვა. შეასხამდნენ არაყს ანთებულ ცეცხლში და როგორ აპრიალდებოდა, ამას ქცევდნენ ყურადღებას. ან არაყს დაასხამდნენ ხანჯლის წვერზე და ასე სინჯვდნენ, მოეკიდებოდა თუ არა ცეცხლი ცივ რკინაზე, ხან მუგუზალს ჩაუშვებდნენ არაყიან ჭურჭელში და სინჯვდნენ, როგორ მოეკიდებოდა. ასე ამოწმებდნენ მასანახვად წასალებ არაყს და ცდილობდნენ, სხვებზე მეტი რაოდენობისა და სიცხარის არაყი მიეტანათ. მიტანილ არაყს ხევსურები გემოს რომ გაუსინჯავდნენ, მერე ცეცხლზე დაასხამდნენ და აპრიალებდნენ, რომ ყველას დაენახა, როგორი ცხარე არაყი მოტანა ამა თუ იმ მოკეთემ. გემოთი თუ გაუგებდნენ, რომ არაყი მაგარი არ იყო, მაშინ ცეცხლზე აღარ დაასხამდნენ, რომ მომტანს არ შერტვენოდა. როცა ღააყენებდნენ საშუალო არაყს, მოიტანდნენ ტიკებს და გადაილებდნენ. შეიძლება ორნაირი ხარისხის არაყი წაელოთ, ზოგი საგზაოდ დაბალი ხარისხის არაყს წაილებდა და გზაზე შემხვედრებს დაალევინებდა (ხევსურისათვის დიდი სირცევილია, თუ არაყი მიაქვს და გზაზე შემხვედრი: არ დაალევინებს). არაყს რომ გაამზადებდნენ, დიასახლისები შეაწყავდნენ ფქვილსა და ერბოს ერთიმეორესთან, გამოაცხობდნენ ერთ დიდ ხავირიან ქადას და კუბატ-ქადისკერებს ხავირისავე გულით. ხავირიანი ქადა აუცილებელი, ხოლო დანარჩენი წვრილი გამოსაცხობები კი თავისი ნება იყო. იმ ოჯახში, სადაც მიდიოდნენ, თუ ბავშვები ჰყავდათ, მაშინ იმათთვის მისატანად გამოაცხობდნენ კუბატებს, ერთს პატარას — ახალშემომატებული ბავშვისათვისაც.

თუ მოკეთე ახლო იყო, მაშინ ცხენებს არ წაიყვანდნენ. არყით

უქნებოდათ. საფუვრად ხმარობდნენ „ჭიქს“—ლუდის გამხმარ ქაუს, პურის ხაშს, ლუდის თხლეს და საარაყის ძირს. საფუარს შინასურ გახსნილენ „ტკბილში“— გაგრილებულ საარაყე სითხეში, ააფურებდნენ და ასე იხმარებდნენ. კოლს მაგრად მოახვევდნენ თავზე და ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში აღარ გახსნილენ. როდესაც სალუდე აფურებოდა და ლულის დაიწყებდა, საარაყე ქვაბში გადაილებდნენ და გააწყობდნენ ისე, რომ გვასხვე გავლებული ლულა ზარფუშის ტუჩის მოსწყობოდა. ცეცხლს შეუნთებდნენ, ხოლო გვასმი შეალს მოუშვებდნენ ლულის გასაცევებლად და ორთქლის სითხედ გადასაქცევად. ლულის ბოლოში მატულის შეწვებს პატარა შიშკით დამაგრებდნენ, საიდანაც ჭრიალით ჩაღილდა არაყი ჭურჭელში.

სავსე ტიკებს (ხევსურულად ტიქს ქინთი ეწოდება) გუდებში ჩატარდება აწყობდნენ, ავიდებდნენ ზურგზე და ისე მიქონდათ. თუ მოკეთე შორს იყო, ცხენებით მიღიოდნენ. შეხვდებოდათ ვინმე, და-ალევინებდნენ და თვითონაც დალევდნენ, თუ არავინ შეხვდებოდათ, თვითონ ხშირად ისკენებდნენ და გზადაგზა სვამდნენ. მოკეთე თუ ახლო იყო, წინასწარ შეატყობინებდნენ, რომ მოვდივართ ამა და ამ დღეს და სახლში დაგვიკვდით.

მასპინძელი თუ გაიგებდა, რომ პატივსაცემი სტუმარი ვინმე მოდისო, აუცილებლივ თვითონაც მოამზადებდა საარაყეს. უფრო პატივსაცემი იყვნენ დედისძმა, სიმამრი, ცოლის ბძა და სხვა ვინმე უფროსი კაცი მოკეთებიდან. თუ მოკეთე მოულოდნელად მოვიდოდა და მასპინძელს არაყი არ ჰქონდა, მაშინ სოფელში სადმე იშოვიდა არაყი, ან გამოსახდელ საარაყეს და დაახვედრებდა სტუმრებს. სტუმრები უფრო დალამების დროს მივიღოდნენ, გზაზე იგვიანებდნენ და სოფელში ბინდისას შევიღოდნენ. ჩამოხტებოდნენ ცხენებიდან, ცხენებს იქვე კარზე მიაბამდნენ, ავიდოდნენ „შინგარდაზე“ (შინგარდას ეძახიან პირელი სართულის ანუ ბოსლის ბანს, რომლის ნახევარზე მეტი უკავია ზემო სართულს—ჭერბოს და დაახლოებით ერთი მესამედი ჭერბოზე წინ არის წამოჭარბებული. ამ ბანის უკან და ჭერბოს ქვეშ არის ბოსლის „საკვამი“, ე. ი. ბოსლის სასინათლო პატარა ჭუჭრუტანა). სტუმრები, როგორც სასიხარულო ამბავზე მისულები, ქოთით (ჩმაურით) და მხიარულებით მივლენ. მაგრამ თუ ბოსელში მყოფმა მასპინძელმა მაინც ვერ გაიგონა მათი ხმა. მისულები საკვამში ჩასძახებენ მასპინძელი კაცის სახელს: „შინ ხართა? კარშია გამეეფით“ (ასეთ დროს ხევსურეთში დედაკაცის სახელს არ დაიძახებენ. თუნდა კაციც არ იყოს ამ სახლში, ვაჟის, თუნდაც ბავშვის სახელს მაინც დაიძახებენ. სირცევილიც არის და საწყინოც,— სახლში ქუდიანია და მანდილიანის სახელი დაიძახო). მასპინძელი გაგონებაზედევე გამოვიდოდა, გამოჰყევებოდნენ ყველა ოჯახის წევრები—ღილი და პატარა და მაეგებებოდნენ სტუმრებს. კაცები მოსულთ ეტყოდნენ: „გამარჯვება, ვაჟებო!“, ხოლო ქალებს: „მახველით თქვენაც მშვიდობით“ (ყველს ერთად—ქალს და ვაჟს, გამარჯვებას არ ეტყვიან, ქალისათვის არ შეიძლებოდა გამარჯვებას თქმა და მამაკაცისათვის „მახველ მშვიდობით“. პირელი თქმა მამაკაცს ეკუთვნოდა, მეორე—დედაკაცს). მისული კაცები კაცებს უპასუხებდნენ: „გაგიმარჯოსთ ლმერთმ“, ქალებს კი: „გაგახარნასთ ღმერთმ“. ქალები კი ყველას ერთნაირად უპასუხებდნენ: „გიშ-

ეელასთ ღმერთმ“ (პირაქეთ ხევსურეთში იციან ორი კაცისათვის) თქმა: „გამარჯვება, ვაჟნო“. ერთს სახელს ეტყვიან, თუ ნაცნობია და სახელი იციან. მაგ., გამარჯვება, მინდიავ! პირიქითში კი „ვაჟნოს“ არ იტყვიან. ორსაც „ვაჟებო“-ს ეუბნებიან, დანარჩენი ყველაფერი ერთნაირად იციან).

მისულებს დაუდგამდნენ სკამებს, დასხდებოდნენ და მასპინძლები ამბავს ჰყითხავდნენ: „სტუმრებო, ამბავ ან რა მაყყოლეთ, ხო კარგა ხართ, ხო არა გიჭირსთ, კაცი, საქონ, ხო ყველა მშვიდობით ხართ, დიდი, ცოტა. სხვას ხო არავის უჭირს, სხო უცხო ამბავ ხო არაი-ას?“ პასუხი: „კარგად ორთ, რა იყოთხების ჩეენ ამბავი. ყველა ცოცხლები ორთ თქვენის წყალობით, გვიდგის სულები, ვათენ-ვალამებთ, რაიცალ ჩეენ ყოფა იქნების“.

ვიდრე ცხენების მოხდას შეუდგებოდნენ. მისულები ახალ შემომატებულს (თუ ვაჟი იყო) მიულოცავდნენ სახლის უფროსებს: კაცსაც და დედაცაცსაც, ბებიას და პაპას: „გაგიზარდასთ ღმერთმ აწალკაცი, შვილიშვილი. როგორც გაჩენით გაგალალნათ, ისრ განდითა დ რარალთ ატანით გაგალალნასთ. კაი კაც გამაიყვანას, სარგებელ დედ-მამათაცა და სოფლისაიც. თქვენის გულისა გიყვასოთ. დუშმანთ გულისა ნურა მაგვარასთ“.

პასუხი: „გიშველასთ ღმერთმ, თქვენს შაგვასწერას გასაზღიასა, გისახაროს. რაის კაისაც გავჩინდებით, ბეჩაობისაც გავჩინდებითა -დ ვაერიზდებით“. მერე ამბავსაც ჰყითხავდნენ: როგორი ბავშვია, ხომ არ ტირის, ან სახელი რა დაარქვეს. ხევსურეთში იცოდნენ მიცვალებულის სახელის დარქმევა, თუ ჰყავდათ მახლობელი ვინმე მიცვალებული, კარგი და ახალგაზრდა, იმას ან სიზარში ვინმე ნახავდა, ან თუ ბავშვი ტირილდა— მკითხვეთან წავიდოდნენ და იგი უმკითხავებდა: ესა და ეს სახელი დაარქვეით და მერე იღარიტორებსო. დაარქმევდნენ მკითხავის თქმით ამა თუ იმ სახელს და მერე იტყოდნენ: სულმა უშველა და ალარ ტირისო. ხანდახან ორ-სამ სახელსაც გამოუცვლიდნენ, თუ ბავშვი ტირილს არ მოიშლიდა. ხან ვინ რას უმკითხავებდა და ხან ვინ რას. ბოლოს, ალბათ, ყმაშვილი კარგად გახდებოდა, ტირილს მოიშლიდა და სულმა უშველაო.

ასე სახელსაც გამოკითხავდნენ—ვისი სახელი დაარქვეს და ტირილი როგორ მოიშალა. ამას ყველაფერს აქვე მოუყვებოდნენ მასპინძლები, ბოლოს აღგებოდნენ, ცხენებს უნაგირებს მოხსნიდნენ და ყმაშვილები გაყვანდნენ ცხენებს ბალახზე.

მამაკაცები შეიტანდნენ და ჭერხოში დაჰკიდებდნენ სტუმ-



რის იარაღებს—ფარს, ხმალს, თოფს და დამბახას, ხანგალტყვიანი გადასაცემის ჩამოართმევდნენ და მერე შეიძატიუებდნენ სტუმრებს სახლში. ხურგინებსაც მასპინძლები შინ შეიტანდნენ.

ხევსურები ზაფხულობით უფრო ჭერხოში ცხოვრობდნენ და ყველას აქ შეიძატიუებდნენ. თუ ბოსელში ცხოვრობდნენ, მაშინ მამაკაცებს ჭერხოში წაიყვანდნენ. მამაკაცები იმ კარებიდან არ შევიდოდნენ, რომელზედაც ქალები და ძროხები დადიოდნენ, რადგან ეს სასიარულო გზა უწმინდურად ითვლებოდა. ქალისა და პორტუყვის სავალი გზის გავლით თითქოს მამაკაცები გაუწმინდურდებოდნენ, ამაზე თავისი ანგელოზი გაუწყრებოდა და ხიფათი რამე დაემართებოდათ. ბოსელში სამყოფო სახლიდან ბანი იყო მოჭრილი, რომელსაც ეწოდებოდა „საკვამი“ და სამყოფო სახლიდან მოდგმული იყო კიბე და მამაკაცები თითოობით ჩაძერებოდნენ აქ.

ქალები ქალებს გაუძლვებოდნენ და ბოსლის კარებზე შესვლით გაიღლიდნენ საძროხეს და კიბის მსგავსი კარებით. რომელიც ყოფდა სამყოფოს და საძროხეს (ამ კარებს ერქვა „ნაწვლის კარნი“, შევიდოდნენ სამყოფო სახლში (ხევსურული სახლი იყოფოდა ორად: სამყოფო და საძროხე. შუაზე ჰქონდა ლასტის ლობე სახლის სიმალის ნეხევრამდის ამოწნული და ნახევარს ზევით თავისუფალი. ამ ლობის ერთ მხარეზე იყო პირუტყვი და მეორეზე ოჯახი, ხალხი. ამ ლობეს ეძახდნენ „ნაწვალას“, „გადანაწვლულს“ ან „განაწვლულს“. მასზე შებმული კარები ითვლებოდა ნაწვლის კარად, რომელიც იცავდა სამყოფოს პირუტყვის გადასვლისაგან. ამ საძროხეზე მამაკაცები ფეხს არ გადასდგამდნენ. მასპინძელი მათ ჭერხოში შეიყვანდა. ჭერხოდან საკვამი იყო მოჭრილი, საიდანაც პორტაპირ შეიძლებოდა ჩასვლა სამყოფო სახლში. თუ ლამე იყო, ან დღისითაც კი ბნელოდა აქ, მასპინძელი კაცი დიაცებს ხმამალლა, ბრძანების კილოთი დაუძახებდა: „სანოები მაანათით!“. დიაცები აანთებდნენ ჩირახს (ჩირახი ეწოდებოდა ფიჭვის ძირების შეშის. ფიჭვს რომ მოსჭრილნენ, ძირი იქ რჩებოდა, ორ-სამ წელში ფიჭვის ძირი საკმლის მსგავს ნივთიერებას გამოყოფდა, მერე მოქმედიათ მცხოვრებლებს, სალმოობით ჭრილნენ და ჩეხავდნენ წვრილ ნაწილებად და ხმარობდნენ ჭრავის მაგიერ. ამას ცეცხლი ისე ეკიდებოდა, როგორც სანოელს, მოკიდებული სადაც გინდა წაგელო, ცეცხლი იღიარ გაუქრებოდა, თუ ძალიან ძლიერი ქარი არ იქნებოდა). საკვამიდან ჭერხოში მოუსინათლებდნენ. ბოსლიდან ჭერხოში ასაძრომი კიბე იყო მიღმული, ქალი ამ კიბეზე ავიდოდა

და ჭერხოში რომ აჩნდებოდა, იქვე კიბეზე გაჩერდებოდა. მასპინ ასაკით გამოიყენებოდა კელი და სტუმრები კიბესთან მივიღოდნენ. ქალი ისევ დაბლა ჩაეიღოდა და ქაზდარში გაჩერდებოდა, სინათლეს ჭერხოში ასა-ვლელ კიბეს და საკვამს მიაუენებდა (ქაზდარი ეწოდება სამყოფოს სახლის მიწით მოსწორებულ იატაქს). ჭერხოში სტუმარი და მასპინძელი ერთმანეთს ეტყოდნენ: საკომში შენ ჩადი წინ და არა შენ ჩადიო. აქ წინ წასვლა ნიშნავდა მეორისათვის გზის დათმობას და პატივისცემას. მერე უფროსი ვინც იქნებოდა, ის ჩაუძლ-ვებოდა წინ, უფრო სტუმარი უნდა ყოფილიყო წინ ჩამსვლელი. სტუმრები ბოსელში რომ ჩავიდოდნენ, იტყოდნენ: „აგაშენასთ ლმერთმ, მასპინძელო, სალხინომც ნუ მავეშლებისთ“. ამ დროს ბოსელში ქალები ფეხზე იდგნენ და ისინიც ეტყოდნენ: „დაშვენ-დიო, მაგვიხვევით მშვიდობით, მშვიდობით ოქვენ მოსვლა“. ჭე-ხოდან მასპინძელიც ჩამოვიდოდა და ეტყოდნა: „მაგვიხვევით მშვი-დობით. სტუმრები, მშვიდობით თქვენ მასვლა, თქვენიმც სტუმრო-ბა ნუ მამეშლების“. „მშვიდობით დაგვხვდითა, კარგად“—ეტყოდ-ნენ სტუმრები. მერე მასპინძელი სტუმრებს და სტუმრები მასპინ-ძელს ეპატაუებოდნენ სკამის სათავეში ანუ საუფროსო სკმზე და-საჯდომად. ბოლოს მაინც უფრო უფროს კაცს გადააცდენდნენ სა-ულტოსოში დასაჯდომად და მერე რიგრიგობით დასხდებოდნენ უფ-როსობის მიხედვით. (ხევსურულ სახლში სამამაცოს ერთი გრძე-ლი სკამი იდგა ფიცრისა. ამ სკამის საუფროსოდ ითვლებოდა ის დაგილი, რომელიც იყო ცეცხლო ახლოს, საუნცროსო კი ადგილი, რომელსაც შემოსასვლელი კარები და ჭერხოდან ჩამოსასვლელი კიბეც ახლო ჰქონდა). თუ მასპინძლის ოჯახში უფროსი კაცი იყო, მაშინ იმას დასვამდნენ პირველად, თუ არა სტუმარს. წესით კი მასპინძელი უკველად უნდა მჯდარიყო საუფროსოში. აქ მას ცეცხლიც ახლო ჰქონდა და ანთებდა, ნამგზავრი სტუმრები რომ ირ გაციებულიყვნენ. ამ დროს დიაცები საღიაცოს მხარეს დასხ-დებოდნენ. მათ სკამი არ ჰქონდათ და არც საუფროსო-საუნცრო-სო გააჩნდათ, მხოლოდ ქალ-სტუმარს დასვამდნენ ცეცხლო ახ-ლოს.

სამამაცოს იყო კაცების იარალები, ფანდური და სხვ. ქალების მხარეზე კი საღიაცო, საღიასახლისო ინვენტარი: ვარცლი, საცე-რი, ჭამები, კოვზები და ა. შ. მასპინძელი, ახალგაზრდა ქალი, მი-ვიღოდა კაც სტუმრებთან და მიიტანდა შიბაინ თათებს, ჯღანებს განდიდა, ფეხებს შეუმურალებდა და თათებს ჩააცმევდა. სტუმარი გაუძალიანდებოდა: ფეხებს მე თვითონ გავიხდიო, მაგრამ ქალი

მაინც არ დაიშლიდა. ქალი სტუმრები კი ფეხზე თვითონ გატერიტულება
 ნენ და ჩაიცვამდნენ მასპინძლისაგან მოტანილ მშრალ თათებს (თა-
 თები: მატყლის ბაწრისაგან მოქსოვილი სქელი, ჭრელი და თბილი
 წინდები, რომლის წვერებსა და ქუსლს აკერებდნენ შალს, შალზე
 შიბაით აჭრელებდნენ, ძირზე ტყავს მოაკერებდნენ და სახლში
 იცვამდნენ. ქალები ამ თათებს ბერს მმზადებდნენ, რომ მოსული
 სტუმრებისათვის ყველასათვის ჰქონოდათ. თუ თათები კოტა იყო
 ოჯახში და სტუმრებს არ ეყოფოდა, ეს სირცევილად მიაჩნდათ). მას-
 პინძელი ქალები მოუტანდნენ და მოახურავდნენ: სტუმარ კაცებს
 საყაცოდ შეეკრილ ტყავებს (ქურქი), ქალებს კი საქალოდ შეეკ-
 რილ ტყავებს (ოჯახში საჭირო იყო, ეს ტყავებიც ბევრი ჰქონო--
 დათ, რომ მოსული სტუმარი ტყავმოუხურავი არ დარჩენილიყო.
 თუ არა, ჩხების დროს საყვედლური იცოდნენ: იმდენი არაფერი
 გაქვს, რომ სტუმარს ტყავი მოახურო და ფეხზე რამე ჩააცაო).
 მასპინძელი დაანთებდა ღიდ ცეცხლს, რომ სითბო ყველას გასწვ-
 დომოდა. ხევსურები იტყოდნენ: „ცეცხლ უნდა გულის სტუმარსა,
 განთ უბეს ჩასადებელი“. (გულის სტუმარს უწოდებდნენ მახლო-
 ბელს ან ნათესავს, ან გულკეთილად მიმსვლელ-მომსვლელს). სა-
 დაც რიგიანი ოჯახი იყო, იქ ფიცრები ჰქონდათ დამზადებული ცეც-
 ხლთან ახლო დამჭდარი კაცისათვის ფეხზე მოსაღობებლად, რომ
 სტუმარს არ დასცხომოდა და ცეცხლს არ შეეწუხებინა. დაიწყებ-
 დნენ ერთიმეორისათვის ახალი ამბების გამოკითხვას. გამოკითხვ-
 ან მეზობლების და ნაცნობების ამბებსაც. თუ ბუდე-ხევსურეთ-
 ში სტუმრად მოსული იყო არხოტიონი, ან შატილის ხევსური, მა-
 შინ ბუდე-ხევსურეთში მყოფი მასპინძლები უფრო ხშირად ეკით-
 ხებოდნენ: ან ჯიხვები ვინ დახოცა, ან ქისტები ხომ არ აწუ-
 ხებენ და სხვ. მოსული სტუმრებიც ასეთ ამბებს მოუყვებოდნენ და
 მასპინძლები აღტაცებით უსმენდნენ. ბუდე-ხევსურეთის ხევსუ-
 რები კი აქაურ ამბებს უამბობდნენ: ვინ მოკვდა, ვინ დაიბადა. ვინ
 მოიტაცა ესა თუ ის ქალი, ან ვინ ითხოვა, ან ვინ როგორ „იშულლა
 და ჭრა“ ერთიმეორე და როგორ შერიგდნენ, ქადაგი თუ დასვეს
 რომელიმე ჯვარში და რა ბრძანება გამოვიდა ხთიშვილისაგან. ბუ-
 დე-ხევსურები ასეთს იმიტომ მოუთხრობდნენ, აქაური ხევსურები
 არც ჯიხვებზე ნადირობდნენ და ქისტებთანაც არ ჰქონდათ ბრძოლა
 სიშორის გამო. პირიქითელი ხევსურები კი ასეთ ამბებში იყვნენ
 გართული. პირაქათელი ანუ ბუდე-ხევსურები მოუყვებოდნენ აგ-
 რეთვე ცხენების ამბებს, რადგან აქ ხშირად იყო დოლი მიცვალებუ-
 ლის პატივსაცემად და კაი დოლის ცხენებიც ჰყავდათ. ეკითხე-



შოდნენ საერთაშორისო ამბებზეც: მეფეებისა და იმათი ომების შესახებ, ვინაიდან ამ ამბებთან ბულე-ხევსურები უფრო ახლო იქნებოთ ვა გნენ. ამბების მოყოლის მოკლედ მოათავებდნენ და მოსულა სტუმ-რები მოიკითხავდნენ თავის მოტანილ ხურჯის. მასპინძელი მოი-ტანდა და სტუმარი აწიალაგებდა მასანახავზე მიტანილს (ხავიწა-ანი ღიღი ქადა, ზედ კუბატ-ქაღისკერები) და გადასცემდა დიასახ-ლის. დიასახლისი კუპატ-ქაღისკერები ბაჟშეებს დაურიგებდა, ქა-დას კი შეინახავდა, სადაც სრვა პური ინახებოდა. სტუმარი მოხსნი-და „ქინოს“ (ტიქს) და მასპინძლისაგან მოითხოვდა ყანწებს. მას-პინძელი ეტყოდა: „მაიცადე, ჯერ ნუ ხვსნი ქინოს, არა გვეჩერის, კიდევ მოვესწრობით, ჩვენდ სასმელად მატანილი გაქვთ—სასმელი. კაცს წავლლალავ, ძმა-სახლისკაცებსა -დ მეზობლებსაც მაგიონთ, რო იმათაც გაიგან თქვენ მასვლა, თორე თავის ჭერთძირში ბევრ რაიმ იმიაღების. თქვენ მასვლა მე დიდად მიღირსა -დ არ მინდ, რო ხალ-ხმაც არ გაიგას კაის მაჟერის მასვლა სტუმრად“. ამ საუბრით მას-პინძელი ერთ უნცროს ოჯახის წევრს დაავალებდა: „წაედი, აში (დაპატიჟე) ჯერ ჩემ ძმა“. მერე დაავალებდა ახლო მეზობლების და მეგობრების „წევეს“. მიღებული იყო პირველად თავისიანე-ბის დაძახება, თორემ შეიძლება, თუ ის გაიგებდა, პირველად სხვე-ბი მიიჩატიჟეს და მე ბოლოს მომიგონესო, გაფავრებულიყო და ალარც კი წასულიყო. მერე მასპინძელი ჩამოუთვლიდა მორიგეო-ბით, ვინც უნდა დაეპატიჟა. ისიც დაგებოდა და დააპირებდა წას-ვლის, მაგრამ სტუმარი დაიჭერდა და ეტყოდა: „დაიცადე, ნუ წა-ხოლ, აქ ჩვენ იმთვენ სასმელ არ გვიდგას, რომ ვაწიოთ და მაგი-ყანათ ვინ. ნეტანი იმთვენ სასმელ გამაგვივიდას, რო ჩვენ გვეკ-შავას სტუმარ-მასპინძელთ. რო ვაწიოთა -დ მავიყვანათ-ვინ, აქ ქინოში ქვე არა გვიდგასა, მიაც შამცხენდებისა თქვენაც, მასულ-მაწეულებს ხო დახვედრა უნდ, შასმევა სასმლისა -დ აქ ჩვენ ქვე არა გამაგვივ იმთვენი“.

მასპინძელი ეტყოდა სტუმარს: „გაუშვი, გაუშვი. ჩვენ ვხედავთ, მანც გიღგასთა რა თუ არ. ჩვენა ჩვენებს მაწეულებს კი არა, ლაშ-ქარს ეჯვ ეგ არაყო“. მაწევრად გაგზავნილი კაციც წასახვლელად კიდევ ვაიწევდა, მაგრამ სტუმარი ისევ შეაჩერებდა და ეტყოდა: „მაიცადე, მაიცადე. არაუ მაინც შავსვათა -დ მემრ წახვიდი. ბერეს შაინც ნუ ვის უძახებ, შენს დღეგრძელობას, თორემ შაგვცხვენდე-ბის“. სტუმარი ქინთიდან არაყს დაასხამდა ყანწში და პირველად წამსვლელ მაწევარს მისცემდა. ის ეტყოდა: „ჯერ თქვენ შასვით,

თქვენ“, სტუმარი არ დაიშლიდა და რადგან შამსვლელი იყო, პატ-
ველად მას დაალევინებდა.

ზაწევარი რომ წავიდოდა, სტუმარი კიდევ დაასხამდა არაყს-
გახვრეტილი ბოლოებით ძაფზე ასხმულ ყანწებს მასპინძელი მი-
იღანდა და სტუმართან ახლოს დაწყობდა, მისცემდა საუფროსო-
ში მჯდარ უფროს კაცს, მერე—მოყოლებით . თანაც იტყოდა: „არ
გამავით კა არაყი. საარაყეში ჩაყრით კა ჩავყარეთა -დ არ გა-
მავიდ, როგორიც არაყ გვინდოდ, ვერ მავედით ისრ მძიმედ, რო-
გორც გვეწად (მძიმედ მოსვლა ნიშნავდა ბევრი არაყის მოტანას).
მემრ შორენ გზან-ი არიან, გვეხარჯ გზაზე. ბევრ ხალხ დადიოდა -დ
გვეყრებოდ. აბა გზაში შაყრილს არაყ ვერაჯლად გააცილებს კა-
ცი, თვალთ ვერ მაიმუხხესად, თავის გულს ვერ გაიცინებს“. მას-
პინძელი ეტყოდა: „ჩევნ შენ მასვლა გვეხარიანა -დ გვაჩნავ კარ-
გად, თორე მიტანილ-მატანილი თუნდა ბევრ იყოსა, თუნდა უოტა,
მანც გათავდების. გაუთაო არა კი არა წყალიც არ ას. წუხრის
თაოდ თითო თულუხ წყალ მაგოქვა -დ დალისად აღარ დარჩების.
მემრ ისიც ას, რო შორ გზაი ასა, საპალნითაც რო წამაიღას, გზა-
ში ბევრ ხარჯ უნდ. მემრ ხალხის საყათრონ გზანი, ბევრ მეზაერ
დადის. მგზავრისად დამალულად სირცხვილიან არაყი არც მინდ
მატანილი გზამაც უნდა გაიგასა -დ მგზავრმაც, შენ რა საქმეზედ მი-
ხოლა -დ ვისთან მიხოლ. აბაბაი, რო ბევრ მაგიტანავ, მაგასაც ვინ
კინედაედა -დ ჩევნ როს მაგყოლიორთ, ყველას მასხლეტილნიორთ“.

ხევსურებს ჩვეულებად აქვს: გზაში არაყი რომ მიაქვთ, ვისაც
შეხედებიან, ყველას დაალევინებენ. მოკეთესთან რომ მიდის ხევ-
სური, უჟველად არაყი მიაქვს თან, არაყით მისვლა დიდად არის
მიღებული. თუ კარგი და პურადი კაცია მასპინძელი და გაიგო,
რომ მომავალმა სტუმარმა გზაში ვისმე არაყი არ დაალევინა,
ამაზე ძალიან გაფავრდება და სტუმარს დაემდურება. თუ მასპინ-
ძელიც „დედაჭუაა“ (ძუწი) და სტუმარიც, შეიძლება არაყის არ-
დახარჯვა და ბევრის მოტანა ესიამოვნებოდა კიდეც. პატარა მა-
გალითი მითხრეს პურადი კაცის შესახებ: ერთი კაცი დათვისში
ცხოვრობდა, სახელად აბა. ძალიან სახელგანთქმული და კარგი
კაცი ყოფილა, მაგრამ სიძე პყოლია წუწი, ხევსურულად დედა-
ჭუა. იმას ეძახდნენ გაგას, ცხოვრობდა ბლოში. ბლო არას ბუდე-
ხევსურეთის სათავეში, დათვისი კი ამავე ხევსურეთის ბლოშია,
ფშავლების საზღვართან ახლო. ისე რომ, ბლოდან დათვისამდინ
იქნება ცურ კილომეტრი მანც. გაგას გაუვსია ქინთი არაყით და
წემოსულა აძასთან სტუმრად. სიძეს ჩვეულებრივად კარგად შებ-



ვედრან. ერთიმეორის მოკითხვის შემდეგ გაგას არაყიანი ქინთქ
პრამდინ სავსე ამოულია ხურგინიდან. აბას ცუდად შეუხედია ტრანსფერი
არაფერი უთქვამს. ბევრი არაყი რომ მოიტანა, ამით გათმაშე-
ბულმა სიძემ თქვა: „გავავსი კი ე-ქინთი. არ დამენახვის სუბუქად
მისვლა მაკეთესთან (მსუბუქად მისვლა ნიშნავს ცოტა არაყის მი-
რანს). ხალხც ბევრ კი მეყრებოდა გზაში, მაგრემ რას ვის გა-
ვაწვდენდი, ან რა ვის ვალი მქონდ, არცად არ მამიჯსნავ ქინთი-
სად“. აბა მთლად იშალა და უნდოდა სიძის ცემა, მაგრამ სტუ-
მარმასპინძლობის წესმა და სირცვილმა თავი შეაკავებინა, რად-
გან თავის სახლში სტუმრისათვის ცემა სირცევილი იყო. ამდგა-
რა, ქინთი წყნარად გამოურთმევია და გაუსროლია საძრობისაკენ;
ქინთი ძალიან სავსე იყო, კედლის მიჯახებისთანავე გახეთქილა და
არაყი დაღვრილა. გაგასთვის კი უთქვამს: „მე აბა-ი ორ, მინდიაის
შეილი. შენი მიტანილი არაყით აქ მე რას საკვირელო გამამიუყან-
დო. გზაში ვინებიც გეყრებოდესა, არაყ არ შაასმიე, გამააცილი,
ისეებ რას იტყოდეს, რა იკითხევდესა, გაგა სად ვისთან მივავ. რო
გაიგებდეს, აბასთან შივავ, ხო გაიგებდეს, არაყ ეჭნებოდავ. იმას
არ იტყოდესა, აბასავ ქვე თუ გაუხარედებისავ, რო იმასთან მიმა-
ვალმ სტუმარმავ არაყ არ ვის შაასმიოსაო, ბევრ არაყ მიუტანა-
სავ. მემრ ხო დამელევის კარშია -დ კაცში გამასავალ, რო მიაც
შენსავით დედაჭუად ჩამოვალონ. მემრ მე რა ისით კაც ვიყავ, რო
შენ დამალვა გლობნიყვ—აბასთან მიოლავ. უფრო კა არ იქნებო-
და, რო ვინაც შაგხვდებოდ, გადმამხტარიყავ ცხენზეითა, გეთქვ:
მაიცადე, აქ არაყ მიმყვების, აბასთან მიოლა, იმასთან მიმავალი
არაყს ვერ გაგაცილებ, წამეედი, აბაი ვადლეგრძელათა, ეს უფრო
ძვირად არ ლირდა, რო შენაც მაქსენებდი -დ ისიც სადლეგძელოს
იტყოდ. წაეიდოდა, სხვაგან იტყოდ: გაგაიც მინდიათ აბასთან მი-
მავალ შამხედაო. კა არაყ ზღვიმიყვავ, ბევრ მასმივაოდ, დამათკრავ.
შენ კა მახვედი აქ, მეუბნები—ქინთისად არ მამიჯსნავავ. შენმა
გამარჯვებამ, მინდიაის შვილს გაახარებდი, მადლობას გეტყოდ.
ეგრ გინდ შენაცა, სხვას შენისთანას დედაჭუასაც. სხვებიც გაი-
გონებენა -დ კლოვ ალარ იქმენ ეგეთ სამარტენინ საქმეს, რო ექ-
ლად შენ ხქენი“. გაგას შერცხვენია, გაწითლებულა, მაგრამ ცო-
ლეურთას იყო და ცუდს ვერაფერს გაუბედავდა. ერთი ეს კი
უთქვამს: „ახ, ნეტაინ კა არაყ მაინც არ ყოფილიყ ის ოკერიო“.

სტუმარი არაყს დაასხამდა (მაწევარი საწევრად რომ იყო), იქ
შეით ყანწებს მისცემდა და დაუწყებდა ძალადობას; მოილო-
ცეთ არაყი და ჩქარა დალიეთო. სტუმარი კაცებთან ერთად დია-

სახლისსაც მისცემდა ერთ ყანწს, თუ ის ხნიერი ქალი იყო  გაზრდა ქალი კი ყანწს ხელს არ მოჰკიდებდა, ეიდრო  გიერ ყველა უფროსებს არ დაალევინებდნენ თითო ყანწს. მასპინ-რელი კაცები მოილოცავდნენ: „აგაშენასთ ღმერთმ ჩვენებ მამ-ჯითხავები, ბარაქა მაგცასთ, შშეიდობით გამყოფნასთ, თქვენ თა-ვი. თქვენ მაკეთეობა ღმერთმა ნუ მაგვიშალას, ნუ დაგლივნასთ მაკეთის იმედადა, თავისის პატრონად. თქვენს ლხინსე ჩვენ გადა-გვაჭდიოს თქვენ მახედვა-მაკითხულობა. თქვენ დაგლოცნასთ, ყვე-ლა გადლეგძელნასთ. მანდილოსნებო, გაგახარნასთ თქვენაც, გაგა-ლალნასთ. ტანით მთლადა, გულით მხიარულად გამყოფნასთ, თვალ ნუ რაზე ავიტირასთ, გულ ნუ რაზე შაგიწუხასთ, მზის საფიც-რებ გიცოცხლასთ“. ასეთი დალოცვის შემდეგ მასპინძელი, თუ ნე-ბით არ დაცლიდა ყანწს დროზე, ერთი სტუმართაგანი (კაცი ან ქალი) ყანწს ხელს მოჰკიდებდა და ძალათი დაალევინებდა. როცა მასპინძელი ყანწს პირიდან მოიშორებდა, იტყოდა: „აი, შვეცი თქვენის გამარჯვებისა, გახარებისა, გადლეგძელნასთ აი, გმოთელ-ნასთ“. („თქვენის გამარჯვებისა“—ეტყოდნენ მამაკაცებს, ხოლო „თქვენის გახარებისა“—ეტყოდნენ ქალებს. ეს უკანასკნელი რომ მამაკაცისათვის ეთქვათ, აუცილებლივ ჩხუბი მონდებოდა,—ქალად გამხადათ. ქალს ყოველთვის გახარებას ეტყოდნენ და ვაჟს—გამარ-ჯვებას). სტუმარი, რომელიც არაყს არიგებდა, გამოართვამდა ყანწს და ეტყოდა: „ღმერთმა გაამას, ალალი ქნას“.

არაყის დამლევი მასპინძელი სტუმარს არაყს უქებდა: „ოქ. ცეცხლივით არაყიც ხს! რას გამაგივიდათ ესეთ არაყი?!“.

მასპინძელი მანამ დალევდა, ყანწში ხან ჯოხს ჩაყოფდა და არაყით დასველებულ ჯოხს ანთებულ ცეცხლში შეიტანდა,—არაყი თუ ცხარე იყო და ცეცხლი მოეკიდებოდა, ყველას გაეხარდებოდა და იტყოდნენ: „აი, ეესეთა უნდ არაყი, გახენეთა, გალზედაც ბრი-ალ გამაოლ ცეცხლმ“. ხან მასპინძელი ცეცხლზე დაასხამდა არაყს და ცეცხლი რომ აბრალდებოდა, იტყოდა: „აი, დედა ვაცხონი შენის გამაუწურავისა, საგულდაგულოდ კი გამაუწურავ“.

სტუმარს ამ თავის მოტანილი არაყის ქება ძალიან უხაროდა, მაგრამ თვითონ მაინც იტყოდა: „მინდოდ, რო რიგიანან არაყან მა-მეტანეს, მაგრამ არ გამავიდ ოქერი, მემრ მე თაოდაც მსმელი ორ, ახლა მამსვლელ-მამსვლელი, არაყს თუ წვერ მასწყდ, სრუ აღარ-ად დარჩების. აი, წვერ-წვერან არაყან ქვე მავსხლიტენითა, შამან-შუმანი, ნაბოლოვარ არაყ ერთუცმი დავლრიეთა -დ წამავილით. აბა ქოოდ წამაუვალობაიც ვეღარ მავაკერქეთ, ასრაც კარგა ხანს დავ-



ჯვიანდით. სირცხვილით ეს არაყ სრუ არ იყვ წამასალებ, მაგრამ მოვალეობა
რა უყოთ, სიღარიბეს განა ჩევნ ვარჯულებთ. ჩევნ მაგის შეტნ
არც კაცნი ორთა, არც ცხოვრებაი გოქვ, რაიც არაყ მავიტანეთ".

მამაკაცებს რომ დაალევინებდა, სტუმარი ახლა ქალებს მია-
წოდებდა არაყს. ახალგაზრდა ქალები, პატარძალი მანამდის არ
დალევდნენ, სანამ მის მიერ გაგზავნილ ყანწს ყველა უფროსებს
არ დაალევინებდნენ. „ზლის“ მიტანილს ყანწს რომ ყველა დალევ-
და, მერე ისიც დაიჭირდა ყანწს და დაილოცებოდა: „სტუმრებო,
უმერთმა დაგლოცნასთ, გადღეგძელნასთ, მშვიდობით გამყოფ-
ნასთ, ერთულ გიცოცხლასთ, ჩევნთან მასელისად ბევრ კა მაიყვა-
ნას თქვენთან“. უფროსებს ხმას არ გასცემდა, თუ ის „ახალზალი“
იყო, და ამ შუა ლოცვაში გაჩუმდებოდა. ერთი რომელიმე უფ-
როსი დიაცი ადგებოდა და ზლის მაგიერ დაულოცავდა ყანწს უფ-
როსებს: „უფროსებო, აი, ზალ გილოცავსთ, ღმერთმა დაგლოც-
ნასთ, გადღეგძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ“. ისენიც უპა-
სუხებდნენ: „ღმერთმა შენაც გაგახარასა -დ ე ზლის გულიც გა-
ხარებით ამყოფას“. უფროსი დიაცი, რომელიც ადგებოდა, ზლის
ყანწით უფროსებს დალოცავდა, ისევ დაჭდებოდა და ლოცვას ზა-
ლი გაგრძელებდა. დიაცებს თვითონ ეტყოდა: „დიაცებო, თქვე-
ნაც დაგლოცნასთ, გადღეგძელნასთ, გაგახარნასთ, გაგალაონასთ.
ულის სამედოებ გიცოცხლნასთ. ჭირს ვსომ თქვენს“. მერე სხვა
მხარეს მიბრუნდებოდა, ან ამოეფარებოდა ვისმე და ისე დალევდა,
რომ არაყის დალევაში უფროს კაცებს არ დაენახათ. ახალზლის
ლოცვა იყო ამ წესით და უფროსი დიაცები კი თავის ყანწს თვითონ
დაილოცავდნენ და დალევდნენ როგორც კაცები. მხოლოდ სიტ-
უცები და კილო კი ისეთივე ჰქონდათ, როგორც ახალგაზრდა ქალს.

სტუმარი შინაურებს როცა არაყს ასმევდა, ამ დროს მაწევა-
რი, საღაც დაავალეს, ყველგან მივიდოდა. დიაცი თუ იყო მაწევრად
მისული, ასე დაიძახებდა: „შინ ხართა?“ თუ ვაჟი იყო მაწევარი, ის
საჟომთან მივიდოდა, ამ ოჯახის უფროსი კაცის სახელს დაიძახებ-
და და ჰეკითხავდა—შინა ხარო? მასპინძელი უპასუხებდა: „შინ
ორთ“. ხევსურეთში ოჯახს რომ დაუძახებდნენ, როგორც ვოქვით,
დიაცის სახელს არ ახსნებდნენ, აუცილებლივ დაიძახებდნენ მა-
მაკაცის სახელს. თუ კაცი არ იქნებოდა, ვაჟის სახელს მაინც დაი-
ძახებდნენ, თუნდა ის სულ პატარა ყოფილიყო. ქალის სახელის და-
ძახება „სანაწყევროაო“, იტყოდნენ (სანაწყევრო—ცუდი ჩამის
მომასწავებელი, წყევლის მსგავსი). დაძახებისთანავე ქალები აა-
თებდნენ „ჩირახს“ ან „ჩრაქვს“ (ჩრაქვი: არაყის ხის ქერქი) და



მოუსინათლებდნენ მოსულს. თუ ვაჟი იყო, ჭერხოზე წაიყვანიდათ ნენ, ხოლო თუ ქალი, ბოსლის კარებისას. მაწვევარს თუ შესულიყო შინ და პირდაპირ საკომიდან დაუწყებდა წევის. შინ რომ შეიყვანდნენ, შესული იტყუოდა: „აგაშენასთ ღმერთმ“. „დაგამშვენას, შაგვინვე მშვიდობით“— კველანი ფეხზე ადგომით მოეგებდოდნენ. მიიწვევდნენ, დაჯეკიო. მაგრამ ის დევილად არ დაჭდებოდა და განუცხადებდა თავის პოსვლის მიზეზს: „წამამლალეს დედ-მამათ, სტუმრებ მაგვივიღესავ, მემასანახავებივ, კველან წამაიყვანნიდივ, ნუ ვის გასწირავავ“. ვისაც აწევდა, ის ეტყოდა: „ღმერთმა ბევრ კა მაგცასთ, ლენინის მაკითხავ ნუ მაგრალასთ (სახლის უფროსი პასუხობდა, ჭერ სხვები ჩუმალ იყვნენ). ეხლა დალალული ორ, ვერ შავსომ არაყს, ზემრ ქვე გამტანჯავს, აოდ გამკდის. რა მაუვალობაი ას ჩემი, თქვენს სახლშიით გამაუვალი ორ. ჩვენს სახლში თბილ წყალიც არავის გინახავთ. მაღლობელი ორ“. თუ მაწევარი ქალი იყო, იტყოდა: „არ, არ გაშტირავ არ, არც შენა -დ არც სხვათ ჯალაფთ. ეხლა რო თქვენ არ წაგიყვანნათ, შინ არ მიმიტევენ ჯალაფენი“. ასეთი ლაპარაკის შემდეგ მაწევარი მაინც წაიყვანდა თუ ოჯახის კველა წევრებს არა, სახლის უფროსს მაინც. ვისაც აწევდა, ფეხზე წამოაყენებდა და გამოსვლის დროს იტყოდა: „გვარ გეწრებასთ, ჭალაფნო, მშვიდობით იყვენით“—„გვარისამც წყალობაი გაქვ, კილ მაგიმართას ღმერთმ“, — ეტყოდნენ შინაურები და გამოისტუმ-ჩებდნენ. შეიძლებოდა მაწევარს ნაწევი კაცი პირდაპირ გეგზავნა სახლში, შეიძლებოდა ერთად წამოსულიყვნენ. გზადაგზა სხვებიც ეწრეა და წამოეყვანა თან. ზოგბის წევა ძალიან გულით ჰქონდა დავალებული — თუ ის კაცი არ მოიყვანე, აქ არ მოხვიდეო. ამიტომ, მაწევარი მას წინასწარ ეუბნებოდა: „რად გინდ, რო მეორედ აქ მაწევალ, მაინც არ მაგეშობიან ქვე. იქვა წამამლალვენ“. მაწევარი თუ ახალზალი იყო და უფროსს არ „ზძრახევდა“ (ხმას სცემდა), ამ ოჯახში სხვა წევრებს ეტყოდა, რომ მის წასაყვანად იყო გამოვზავნილი. უფროსი მაღლობას გადაიხდიდა, მაგრამ ახალზალი თვალისხმილი ხმაამოულებლივ დადგებოდა მანამდინ, სანამ უფროსი არ გამოჰყებოდა. უფროსი კაცი თუ მარტო იყო და ოჯახში არავინ ჰყავდა, მაშინ ზალი შევიდოდა სახლში და ჩუმალ დადგებოდა. უფროსი კაცი შეეკითხებოდა: „ზალო, ან რა დაგაბარეს ჩემთან, რაად წამამლალეს?“ ზალი იმას ხმას პირდაპირ არ გასცემდა და ისე დაიწყებდა ლაპარაკის, ვითომც იქ მესამე პირი ვინმე იდგა და იმას ელაპარაკებოდა: „შინით წამამალალესავ, რო წამაიყვანი-



დივ". ამ მიზეზს რომ ეტყოდა, მერქ იდგა ჩუმად, ვიდრე ის უშუალოობა
გამოჰყებოდა. მაწევარი წეულებს თანდათანობით გზავნიდა სახ-
ლში და ბოლოს რამდენიმე კაცთან ერთად მოვიდოდა თვითონაც.

მოსული წეული კაცი საკვამიდან ჩამოვიდოდა და იტყოდა:
„აშენდით სტუმარიცა, მასპინძელიც, აშენდით. სალინოიმც ნუ
მაგეშლებისთ“. კაცებს მასპინძელი ეტყოდა: „გამარჯვება, ვაუ-
ნო“. დიაცებს ეტყოდა: „მახველით თქვენაც მშვიდობით, დიაცე-
ბო“. კაცები უბასუხებდნენ: „გაგიმარჯოს ღმერთმ“. ქალები კი
ეტყოდნენ: „მშვიდობითამც მექნები, კარგად“. ჭველანი ფეხზე
ადგებოდნენ, შემოეგებებოდნენ და ეტყოდნენ: „მაგვიხვე მშვი-
დოით, უძვიდობით უენ მასვლა...“ „მშვიდობით დამხედით, კარ-
გად“ — უბასუხებდნენ. ხალხი სამამაცო სკამიდან ქაზდარში გად-
შოვიდოდა და მიიწვევდნენ მოსულებს. მოსული კაცი თუ უფრო-
სი იყო, დაჯდებოდა უფროსებთან და თუ უნცროსი, ბოლოსაც უ-
ნცროსებთან დაჯდებოდა. აქ შემხვედრთაგანს თუ არყიანი ყან-
წი ვინმეს ეჭირა, მოსული ყანწს ხელიდან გამოართვამდა და
სთხოვდა — დაბრძანდიო. ყანწის პატრონი დაჯდებოდა, მოსული
კი მას ყანწს ისევ ხელში მისცემდა და ეტყოდა: „ღმერთმა გვა-
ძას“. „ღმერთმა გიშველას, მტერ მაიყვა ნებას“ — უბასუხებდა
ყანწის პატრონი და დაიჭრდა ისევ თავის ყანწს. ასე დარიგდე-
ბოდნენ უფროსობის შიხედვით სკმზე. ქალი თუ იყო წეული, ის
რომ შემოვიდოდა საძროხიდან, იტყოდა: „შინ ხართა?“ „შინ ორთ,
შინ“ — უბასუხებდნენ შინაური ქალები და მიუნათებდნენ სანთებს.
მოსული ქალი სამყოფოზე რომ გადავიდოდა, სტუმრებს ყველას
ერთად ეტყოდა: „მახველით მშვიდობით“. „გიშველას ღმერთმ“ — იქნე-
ბოდა სტუმრებისაგან პასუხი და უველანი ფეხზე ადგომით ეტყოდ-
ნენ: „მაგვიხვე მშვიდობით, მშვიდობით შენ მოსვლა“. — მშვიდო-
ბითამც მექნებითა, კარგად. დასხეით, ჩემის გულისად ფეხზე რას
ზდგებით“.

ჭველანი დალაგდებოდნენ თავ-თავის ადგილზე. მოსული დია-
ცებთან დაჯდებოდა, ე. ი. სადიაცოს. სხვათაშორის, აქ ქალებმა
სკამები არ იცოდნენ და დასხდებოდნენ პირდაპირ, უსკამდ.

მოსული ქალებიც და კაცებიც სტუმრებს ამბავს ჰყითხავდ-
ნენ. კაცები ასეთი სიტყვებით: „მშვიდობით ხართა? ხო არა გი-
ჭირსთ კაცს ან საქონს, დიდ-ცოტას ხო არაი გაქვთ შაწუხება, და-
ღონება? ღმერთმა განებასთ საამური თქვენ მშვიდობა“.

ქალები კი ასეთი სიტყვებით მიესალმებოდნენ: „აბა რაველ
ხართ, მშვიდობით ხართა? ხო არა გიჭირსთ ან ბერს, ან ახალს,



ან დიდს ან ცოტას, ხო არასვინ ავალობთ. საქონეებ ხო არამართვული გიყვდათ? ნეტავინ კარგად იყვნათ, ნეტავინ“. რაც გინდა დიდი გაჭირვება ჰქონდეთ, მაინც ამბავის კითხვის პასუხად არაფერს იტკუიან, გარდა ამ სიტყვებისა: „კარგად ორთ, რა კითხვა უნდ ჩვენს ამბავს. ვათენ-ვაღმებთ ქვე, სხო კა ქვე არაი გვაყრავ“. მერე ისევ გააბამდნენ უცხო ამბების გამოკითხვას, როგორც ზემოთ იყო მოყვანილი. საუბარი იქნებოდა ჯიხვებზე ნაღირობის ირგვლივ, ქისტებზე და სხვ. ბოლოს სტუმარი ყველა მოსულს შიართმევდა არაყს და ისინც ჩვეულებრივი წესებით ჩამოართმევდნენ ყანწებს. ყველანი დაილოცებოდნენ და დალევდნენ ცოცოტას. ორ-ორ ყანწს დაალევინებდნენ, მესამეზე სტუმარი ამ ყანწებს დაბლა დაწყობდა და მოითხოვდა დიდ ყანწს.

დიდ ყანწს „სანაკვეთოროს“ უწოდებდნენ. „ნაკვეთი“ ეწოდებოდა, ვინც დაითიცავდა, რომ ერთი ყანწის მეტს არ დავლევო. ერთ სახლში ამ დიდი ყანწით მხოლოდ ერთს დალევდა. ზოგი ისე პევეთდა, რომ დღეში ერთს დალევდა, რამდენი სახლიც არ უნდა გამოეცალა, ზოგი კი სულ აიკრალავდა. სასმლის დალევას. სანაკვეთორო დიდი ყანწი სწორედ ამიტომ ყველა ოჯახს ჰქონდა.

სტუმარი ამ ყანწს მოითხოვდა, დასხამდა და დაახლოებით ასე იტყოდა: „ხალხნო, თქვენს გამარჯვებას, ერთ სიტყვა მინდ. რო ვთქვა, თუ იყურებითა -დ ცოტა ხან დასწყნარდებით. ღლეს ჩვენ რაად მოვედით აქ, იმას მაგაქსენებთ. ჩვენ ან მოსვლა რაად ლირსა -დ ან წასვლა, მაგრამ კაის მაკეთისა კი ქვე უხარის კაცა, ცუდ ქვე სწყინს. ჩვენ აი, ემ ჩვენის კაის მაკეთის სასიხარულო ამ-ბავ გავიგონეთ. იმაზე რაიმ ვიცოდევილეთ, ეს შამან-წყალ გავა-მირლევთა -დ წამავედით. მე მინდ, რო აქ ერთის ისითას კაცის სადლეგძელო ვთქვა, რომენიც ჩვენ მასპინძელი ას. ჩმას არ გვცემს, ჩვენს მატანილს არც რას სომხა, არც ჭამს. არც სწყინს ჩვენ მას-ვლაი -დ არც უხარის. ყველაზე ცოტა, მაგრამ ყველაზე დიდ ბატონი. მეფე ერეკლე ერთ კაცსთან სტუმრად მისულა, უთქომ, ისეთს ოჯახში წამიყვანეთავ, რო ჩემზე ბატონ არავინ იყოსავ. ხალხს ნეფე ერეკლის სიტყვა ვერ აუქსნავისა, უკითხავ — ბატონი, შენზე უფროსივ, ან შენზე დიდ ბატონივ შენს საყმოში ვინ ასავ. სადაც გინდა იყვავ, შენზე დიდ ბატონ არვინ იქნებისავ. ერეკლეს გაუცინებავა -დ უთქომ: ჩემს საყმოჩი კი არაო-დ წელიანავ. აქავ ჩემზე დიდ ბატონ ეჭირავ კელჩიავ თავის დედასავ. მაშინ მიხვედრილან, რო ერეკლე ყმაწვილისად ამბობდ, რო ისივ ჩემზე



დიდ ბატონიავ. ერთ ყველაზე დიდ ბატონ აგერაი დედას ჩატარებული იქცერავა -დ ის ვადლეგძელათ ეხლად ემ ყანწით. წინწინავ ვადლებ-ძელებდით, მაგრემ წინავ რამდ იცოდიან, მესამე ყანწით თქვიან სადლეგძელო, ჩვენაც ეხლა ისრ მავიქცნათ, რაჭელაც წინან იქ-ცეოდესა -დ ვადლეგძელათ ახალ კაცი. ადლეგძელას, ხალხნ, ახალ-შამამატებულ, აცოცხლას დედმამიანად, თქვენიანად. კაის მენდობიანად აცოცხლას, ეწეოდას ილბლიანთ იღბალი, დავლათი-ანთ დავლათი. გაზარდას, კაის ბედის კაც მააჯლინას. მანამდე ად-ლეგძელას, მანამ კაის ნამი ზღისა, მიწას მწვანილი, მანამ ჭინჭვე-ლა ქალაქს არ წავიდას, იქით მარილის ქვან არ მაიღნას, ისენ ცი-ხის წვერზე არ იღნას. ეწეოდას ძალ ხთისაი -დ შუქ მზისა. ეწეო-დას ხევსურეთულ სალოცავებიცა -დ მაღალ ღმერთ იესო ქრისტეიც. ისრ ადლეგძელას, როგორც თავის დედ-მამის გულს უნდ. თქვე-ნიანად ხალხნ, კაის მენდობიანად, თქვენ იღბალიც შეეწიოსა -დ ჭვართაიც. ვისაც, მე ჩემა თავად, მაგის დლეგძელობა არ უნდ, ღმერთმ ნუვინ უდლეგძელას“. თავის ამხანაგებს ეტყოდა: „მამ-კითხავებო, თქვენ თავიც ჭარგად ხყვანდას, მუდამ ლენინს მასა-კითხ გაზიდვიოსთ ამ სახლშიაცა, შინაც ლჩინ მაგისთ“. ამ ლოც-ვას დამთავრებდა და ეტყოდა ხალხს: „აი, მიყურეთა, ესრ კი შასვით ყველამ ახლის კაცის სადლეგძელო“. მოიყუდებდა ყანწს პირზე და სულუქცევრად დალევდა: „აი, ადლეგძელას, ხალხნ, ახალ კაცი თქვენიანად, კაის მენდობიანად“. სხვები ეტყოდნენ: „ღმერთმა გაამოს, ალალ-ი ქნას“. ასე სათავიდან შოაყოლებდა და სადლეგრძელოს ყველას დაალევინებდა. ვინც უარზე იყო — დიდი ყანწია და ვერ დავლევო — იმას ეტყოდა: „ჩვენ ამ ვაეის მასან-ხავ მავიტანეთა, ვინაც არ შასომს, იმას არ უნდ მაგის დლეგძე-ლობა“. მოყვებოდა და ქალსა და კაცს ყველას დაალევინებდა. თუ არ შეეძლო დალევა, ის მაინც ძალას ატანდა და ალევინებდა. ერთი თავისი ამხანაგი სავსე ყანწით ხელში გვერდზე ედგა და ვინც სულუქცევრად არ დალევდა, „აფურუმებდნენ“ — ამ ყანწიდან, რო-მელიც სტუმარს საესე ეჭირა, დაუსხამდნენ ნახევრად დაცლილ ყანწში და ისევ ხელმეორედ დააცლევინებდნენ მას. სადლეგრძე-ლოს ყველას თქმევინებდნენ იმის მიუხედავად, რომ მშობლებს ეხათრებოდა თავის შვილის სადლეგრძელოს თქმა. ბოლოს სამად-ლობელს მისცემდნენ უფროს კაცს, თუ პაპა ჰყავდა ბავშვს, პაპას მისცემდნენ. თუ არა, სხვა რომელიმე ნათესავს, ან ბებიას ბავშვი-სას. სამადლობელს იტყოდა, მაგალითად, პაპა: „ხალხნ, ჩემ შეი-ლიშვილი ამბობს. „მიავ უენო-ი ორაო -დ ვერას ვიტყვივ, მინდავ



მადლობა ვითხრათავ ჩემ სადლეგრძელოზედათ -დ საუბარ კერძოდ უნდა მიმდინარეობოდა ცივ, პაპა ენაცვლოს, ბეწიკურუა-ი ორავ ჯერავ. მით მინდავ, რო ჩემს პაპას უათქმიღავ ჩემ მაგივრადავ მადლობაივ სადლეგძელოზედავ. ხალხნო, ჩემ შვილიშვილ ამბობს, მადლობელი ორავ სადლეგძელოზედავ, ვინაც მე მადლეგძელეთავ, ღმერთმა ყველა ვადლეგძელნასთავ, ვაცოცხლნასთავ, მშვიდობით გამყოფნასთავ. შიაცავ თქვენთან ერთად მადლეგძელასავ, გამზარდასავ, თქვენ იღბალიც მეწეოდასაო -დ ჯვართაცავ, ისეთ კაც გამამიყვანასავ, რო ეს თქვენ ამბავ-ანაბარი, მაკითხვა-მახედულობა გადავიჭადავ". ხნიერი კაცი ამ სამადლობელს დაილოცავდა და შეიძლებოდა არ დაეცალა. გადასცემდა თავის ძმა-ბიძაშვილებს, ამ ყანწზე ისინიც სამადლობელს იტყოდნენ და გამოცლიდნენ.

სადლეგრძელოს მოთავების შემდეგ, პეტხავდნენ—ვისი სახელი ერქვა ამ ბავშვს, რომლის მასანახავიც მოიტანეს. ხეესურეთში ბავშვს აუცილებლივ რომელიმე მიცვალებულის სახელს დაარქ-წევდნენ. უფრო თავის მეგობრის ან ნათესავის და მოგვარის სახელს. პატარა ბავშვი რომ ტიროდა ღამლამობით, აბრალებდნენ, რომ სული ატირებსო. ან თვეთონ ვინმე ნახავდა სიზმარში ამა თუ იმ მიცვალებულს და მეორე დღეს გალაფთ ეტყოდა: „გუშინ—წუხრ სიზმარში ვნახი ესა და ეს კაცი (სახელს იტყოდა), ჩვენს მასულიყვა-დ ამ ვაჟის აკავანთ ასწებდა“. ან იტყოდა: სკამზე იგდა და მითხრა—აკავანს მე ვუზივარო, ვითომ ამ ბავშვს ჩემი სახელი დაარქვითო. ერთ სახელს რომ დაარქმევდნენ, ბავშვი ტირილს თუ არ მოიშლიდა, მშინ გამოუცვლიდნენ სხვა მიცვალებულის სახელს და იტყოდნენ — სახელს სხვა შაეცილაო. ამ ოჯახის ახლობელი თუ კარგი ვაჟეცაც ვინმე იქნებოდა მიცვალებული, მაშინ იტყოდნენ. „ის არვის არ დაანებებსავ ამ ვაჟისად სახელის დაწევ-ნებასაე“. ხანდახან ასეთი მიცვალებულის სახელს უსიზმროდ დაარქმევდნენ, მაგრამ ბავშვი ტირილს არ მოიშლიდა, ბოლოს მივიდოდა საქმე „მესულთანემდინ“. მესულთანესთან წაიღებდნენ „კმიადთ“. გამოაცხობდნენ სამ პატარა ხმიადს, ერთ მხარეზე დააწრელებდნენ და ერბოთი გაპოხავდნენ. ამ „კმიადთ“ რომ მესულთანესთან მიიტანდნენ, ის დააწყობდა სამივეს ერთმანეთზე, დადებდა ტაბლაზე და დალოცავდა — „სახელს დაზდებდა“ რომელიმე იმ ოჯახის მიცვალებულისათვის, რომელი ოჯახიდანაც იყო ბავშვი. შენდობას ეტყოდა იმისთვის, რომელიც უფრო გავლენიანი კაცი იყო თავის სიცოცხლის დროს და სოხოვდა, ეთქმევინებინა. თუ ვისი სახელი უნდა დაარქვან ამ ბავშვს, რომ კარგად გახდეს და



ტირილი მოიშალოს. მესულთანე დაჭდებოდა და დაიწყებდა მთხვევალებულების რეპრეზენტატორის მოუკიდოდა სული“ და დაიწყებდა ვითომიც სულის ენით ცოცხლებთან საუბარს. მესულთანე ხანდახან ბევრ მიცვალებულს დასახელებდა: ესა და ეს მიცვალებულები სახელს ერთმანეთს ედავებიანო. ხან იტყოდა, ვითომიც რომელიმე მიცვალებულის სულმა ძალით გაიტანა თავი და ეს სახელი უნდა დაარქვათ; ხან იტყოდა: ამა და ამ მიცვალებულმა სხვებს სოხოვა და დაანებეს, ე. ი. მას დაუთმესო. ხან პირდაპირ სულის სახელით ისულეთებდა, რომლის სახელიც ბავშვისათვის უნდა დაერქვა. ის სული ათქმევინებდა: „მე ამ აევანს არავის დავანებებ, მე უზივარ აკავანთ თავითიად, სახელიც ჩემ უნდა ექვინაა“. ამას ის-მენდა მესულთანესთან მიმსვლელი და მიიტანდა ოჯახში ამბავს.

დაამზადებდნენ ტაბლას, გამოაცხობდნენ კუპატ-ქადისკვრებს და სახელს „დაადებდნენ“ იმ მიცვალებულისათვის, რომლის სახელიც ბავშვს უნდა დარქმეოდა. მერე დედა ბავშვს აბანავებდა, გამოუცვლიდა, ახლებს ჩააცმევდა, ლოგინსაც, რაც შეეძლო, სუფ-თად გაუწყობდა და იმ მიცვალებულის სახელით დააწვენდა, რომლის სახელიც უნდა დაერქვათ ამის შემდეგ. აკანაში რომ ჩააწვენდა ბავშვს ეტყოდა: „ჯვარი გეწერას წმიდის გიორგის დაწერილი (მიცვალებულის სახელი, რომელიც უნდა დაარქვას, მაგალითად, გორგია) დღესიდგე, შვილო, შენ გიორგი იქნები, შენ მესახელე გიორგიმც უზის შენთ აკავანთ. ჩევნ იმისად ტაბლისა სასმლის ლოცვას არ მაგაშლითა, ისიმც უვლის შენს აევანს, ისიმც გაწყნარებს, ტორილსამც მაგაშლევს“. ამის შემდეგ დაუძახებდნენ გიორგის და „ზდებდნენ სახელს“. ტაბლასაც და სასმელსაც ლოცავდნენ მესახელისათვის. მიცვალებულის სახელი რამდენადაც მეტს ერქვა, იმდენად კარგი იყო იმიტომ, რომ ჯერ ბავშვის ჯალაფნი და ნათესავები ლოცავდნენ მათ და როცა გაიზრდებოდა, თვითონაც ხშირად ლოცავდა, ხშირად იტყოდა სასმელზე: „შაუნდნას ჩემს მესახელეს“. ამიტომ ყველას უხაროდა, თავისი მიცვალებულის სახელი თუ ბევრ ბავშვს დაერქმეოდა და მათგან თავის მესახელეს ხშირი ხსენება ექნებოდა: ჯერ ერთი, შენდობის თქმა „საიქიოში უშველიდა“ და მეორე: ცოცხლები იგონებდნენ და არ იქნებოდა მისი სახელი დავიწყებული.

სტუმარი რომ იკითხავდა: „ამ ვაჟს ვისი სახელი ჰქვიანო“, ეტყოდნენ და ისიც დაიწყებდა: „ვაჟებო, თქვენს გამარჯვებას, ერთ სიტყვა კიდევ გამიგონეთ. ეხლა ამ ვაჟის სადღეგელო ბოლოს გამავიდ მე მგონი, მაგრამ ეგ ჯერ პასუხს ვერ გვაძლევს სად-



ლეგქტოზე. მაგის სადღეგქტოში ყველან ვამბობდით, არა მაგრა ანალკაც ადღეგქტასავ ლმერთმავ. ეს იმით, რო მაგის სახელი ჯერ კიდევ ყველამ არ ვიცოდით. მაგას ხქვიან გიორგი (დაასახელებდა ვისი და როგორი მიცვალებული იყო ეს გიორგი, რომლის სახელიც დღეს ამ ვაჟს დაერქვა). გიორგი ყველამ იცით, რა კაციც უკვ, სამრროდაც კაი ვაჟ იყვა-დ სამაკეთეოდაც, ყველას საიმედო. ი ამ ვაჟს იმის სახელი ხქვიან, იმის მასვლამდიამც ცოცხალი. წინავ იცოდიან, რომ მესახელეს ეფერებისავ. იქნება ეს ვაჟიც მესახელეს დაეფარისა -დ კაი ვაჟ გამავ, თუ იმის ფერ იქნ. სახელი იმით ექვივნების, რო მესახელე მუდამ თხოულობს მაგონებასა-დ შანდობის თქმას. ეს ახალგაზძა გიორგი ჯერ იმთვენა ვერ ას, რო თავის ენით თქოს შასანდობარი -დ ჩვენაც გვათქმიოს. მაში ჩვენ ვალი, რო სადღეგქტოს თქმიდე მესახელეიც მავიგონათა -დ შანდობა უთხრათ. თქვენს დღეგქტობას, ეს შაშანდობარი ყველამ სულუქცევრად უნდა შასვათ, რაჯელაც მე შავსომ, თორე იცოდათ გაჯურუმებთა, ჩემ ბრალ არ იყოს მემრ“. ამის შემდეგ დაილოცებოდა „აგაშენას, მასპინძელო, ბარაქა მაგცას, ვშეიდობით გამყოფას; მუდამ სალხინოდ გიდინას მაკეთე-მაკილული. გვაზიდვიოს ლხინის მასაკითხ ჩვენაც. მასულ-მაწეულებო, თქვენაც დაგლოცნასთ, გადღეგქტონასთ, ნასვამ გაამასთ“. თავის ამ-ზანაგებსაც ასე ეტყოდა: „ამხანიგებო, თქვენაც დაგლოცნასთ, გადღეგქტნასთ, ლხინის მასაკითხ გაზიდვივასთ მუდამ მაკეთისასაცა -დ შეინაც ლხინ მაგცასთ. თუ ჩვენის სახლისაი -დ ჩემის ჭელისა ეკარტებოდას, ეს ყანწი თითო ჩამაცლეულ შაუნდნას გიორგი — კას უძას (კაი ვაჟაცი), მააჯმარას. ვინაც ჩემსავით სულუქცევრად არ შასოს კი, ცოდო ხქონდას იმისაიცა და სხვათ კაცთაც“.

— „შაუნდნას ლმერთმ, კაი ვეფსა -დ თქვენს სახლებს ბარაქა ხქონდას, იმის მაგონებისად — კაით მაგიგონას, იმის მაკლებულნ დღენ შენ მაგიმატნას, შენ ნუვინ დაგაკლას ლმერთმ“ — უპასუ-ხებდნენ გიორგის მახლობლები. „სულის შანდობით, თქვენ დღეგქტობა“ — იტყოდა იგივე, მოიყენებდა პირზე და სულუქცევრად დაცლიდა ყანწი. ყანწის რომ დაცლიდა, კიდევ იტყოდა: „აი შაუნდნას, მააჯმარას ლმერთმ კას ყმას, ესრამც მალ მიუვ სულნაჭ-სენებს“. მერე მოაყოლებდა უფროსებიდან და ყველას დაალევი-ნებდა. ვინც გაბედავდა, რომ ერთბაშიდ არ დალევდა და ორჯერ ან მეტჯერ მოინდომებდა შესვენებას, იმას მამინვე „აჯურუმებდნენ“ და აუვსებდნენ ხელმეორედ ყანწი. მამაკაცებს რომ დალევინებდა, ახლა ქალებსაც იძალადებდა შესანდობრის დაცლას. დიდი ხვეწ-



ნის შემდეგ შეიძლება ზოგს პატიებდა და ზოგსაც დაცლევინებულიყო ამ ყანწს. არაყის პატრონები მუდამ ცდილობდნენ, ხალხი დაზუსტებულიყო მათი არაყით და ამითი თავი ესახელათ. შესანდობარიც რომ ბოლოს გავიდოდა, ხალხი საქმარისად დაითვრებოდა და ახმაურ-დებოდა. სალაპარაკო ოროლთ გაუხდებოდა და დანარჩენ ხალხს აღარავინ არ უსმენდა; იდვნენ უფრო ბევრი ფეხზე. ზოგი ფშა-ურ კილოზე შემლერნებდა, მეორე მის მღერას ბანს ეტყოდა და ასე ატარებდნენ დროს. სმის დროს საჭმელი სულ არ იცოდნენ, ვიდრე სმა სულ არ გათავდებოდა. შესანდობარსაც რო მოათვებ-დნენ, მერე ხალხი ეტყოდა: „კაცო, გაწირეთ ქინთი, შახეიდეო. ეგ არაყი ხვალც იქვე გამადგების, ხო ხედავთ დავითვრენით, გონ აღარ ვის გოქვ. ქორდ აქ ხო არ უნდა მაგვწირნათ“. არაყის პატ-რონი ეტყოდა: „მაიცადეთა, მაიცადეთ. თითო-ოროლი კიდევა შეგვეათ, რო გუნებას მავიდათ, ეს სასიმთრალეო არაყ არ ას, შემანი. ეს კაცს უბრალიდ გასტანგავს, განა ქვე დაათრობს“. მერე ერთ-ერთი მოწვეულოთაგანი იღებოდა, ქინთს ხელიდან გამოართ-ვამდა, მოაკრავდა პირზე ბაწარს და დაპკიდებდა ქირჭოზე (ქირჭო: კავი). შესანდობრის შემდეგ ყანწი ვინმეს კიდევ ექნებოდა. ამ ყანწს გამოცლიდა, ადგებოდა ფეხზე და იტყოდა: „აი ბარაქა მაგ-ცასთ ღმერთმ, სახლ აგიშენასთ, შავს თქვენის გამარჯვებისა“.— „ღმერთმა გამას“, — ეტყოდნენ სხვები და დაუმატებდნენ: „ჩა-მაყარი ყანწი“. იმას დაცლილი ყანწი ხელში ეჭირა და ხალხს სთხოვდა: „დაიხურეთ ქუდები“. ზოგები ცალ მუხლზე ისხდნენ და მათ ეუბნებოდა ყანწიანი: „აბძინდით, გამოიცალეთ“. მაგრამ ჟველანი ერთხმად მოითხოვდნენ ყანწის ჩამოყრას. ბოლოს ჩამო-ართვამდნენ ყანწს. ის იტყოდა: „მტერს ჩამახყარეთ იარალი, მტერ იყოს თქვენ კელმარეული“. „მტერიმც ნუ მაგერევის, ღმერთმა გამოს“, — ეტყოდნენ და სთხოვდნენ ქუდიც მასვე დაეხურა პირ-ველად (აქ ქუდები ყველას მოხდილი ჰქონდა). ბოლო დროს ვინც ყანწი ჩამოიყარა, ის ხალხს სთხოვდა, რომ მათ დაეხურათ პირ-ველად ქუდები, მაგრამ ხალხი თავისას გაიტანდა, რადგან ქუდი აუცილებლად იმას უნდა დაეხურა პირველს, ვინც ბოლო დროს ყანწი ჩამოიყარა. ქუდს დაიხურავდა და იტყოდა: „გემსახურებით ქუდითაც. შამსმელებს ღმერთმა გამასთ, ლალი ქნას“. „ღმერთ-მა გაცოცხალას“—უპასუხებდნენ და შემდეგ ყველა სათითაოდ იტ-ყოდა: „სახლებ აგიშენასთ ღმერთმ სტუმარსაცა, მასპინძელსაცა, ბარაქა მაგცასთ მაყითხულსაცა, მამკითხავსაცა. ერთს სხვის ხედუ-ლობა ნუ მაგიშალასთ“; სტუმრებს ეტყოდნენ: „ლხინზე გა-



ლივნასთ, მაკეთისასაცა და შინაც ლხინ მაგცასთ“. მასპინძელს უკურნეულია „მუდავ ლხინის მამკითხავ გიღინასთ. ღმერთმა შამსმელებს ეუდით გამასთ, ალალი ქნას“ — და ამ სიტყვებით დაიხურავდნენ ყველანი ქუდებს. ამის შემდეგ ზოგები საშინაოდ მოემზადებოდნენ და სტუმრებს ყველა თავთავისთვის დაუწყებდა წევას, მაგრამ მასპინძელი ყველას დასვებდა და ეტყოდა: „დასხეით, განა უსმელად დასხდომა არ ვარგ. პურ-სატან მაინც შავჭამათ“. დასვებდა ხალხს, დიასახლისი მოიტანდა და მისცემდა ტაბლას ოჯახის წევრ რომელიმე კაცს. ის კი უფროსების წინ დადგამდა და იტყოდა: „ღმერთო, კარგა გვიმყოფე სტუმარ-სახლისკაცები დ მეზობლებიც. ნუ გამაგვართომ ამეების თავს, ნუ მაგვიშლი ამეების მშვიდობით სტუმრობას“. „ღმერთმა გაცოცხლას“ — უპასუხებდნენ სტუმარ-მეზობლები და თავის მხრივ იტყოდნენ: „ღმერთო, უშველი მასპინძელსა, სახლ აუშენი, ბარაქა მიეცი, ლხინის მამკითხავ უდინი სრუმუდამ“.

ტაბლაზე დააწყობდნენ პურებს, ყველს და, უფრო ხშირად რაც იცოდნენ სტუმრებთან, ყაურმიან ჯამებს დადგამდნენ, ან ცივად მოხსრშულს ძვლიან ხორცს. მასპინძელი პურს გაუტეხდა ყველას ხელში და მაშინაც ასეთივე სიტყვებით დაილოცებოდნენ, როგორც ტაბლის დადგმის დროს. კაცები როცა პურს ჭამდნენ, შინაური დიაცები ფეხზე იდგნენ და სტუმარი ქალები კი სადიაცოს ისხდნენ. ჭამა ქალებისა და კაცებისა ერთად არ იყო წესი. კაცები როცა ჭამას გაათავებდნენ, დაილოცებოდნენ ზემოთ აღწერილი წესით, ხოლო ბოლოს დაუმატებდნენ: „გაუმარჯვი ფეხზე მდგომებსაც, გაახარი დიასახლისიც, გაალალი, ნუ დაულევ სახლისა, კელის ბარაქას“. როცა აქ ჭამა სულ მოთავდებოდა, ტაბლას აიღებდნენ და როგორც ტაბლის დადგმის დროს, ისევ დაილოცებოდნენ. მერე დასვამდნენ ფეხზე მდგომებსაც და დიაცებს ტაბლას დაუდგამდნენ. მაღალი ტაბლა დიაცებთან არ იცოდნენ. დადებდნენ უფრო ტაბლის მსგავს ფიცარს, რომელსაც ხონჩა ეწოდებოდა. ხონჩაზე დააწყობდნენ პურ-ყველს და ყაურმასაც აქვე დადგამდნენ. დიაცებს პურს ხელში არ გაუტეხდნენ, ხელში მისცემდნენ და ისინი თვითონ მოიტეხდნენ, თან ასე დაილოცებოდნენ: „ღმერთო მიღლეგელენ-ე ჭალაფნი. კარგად უმყოფი სტუმრებიც“. ჭამის გათავების დროსაც ამავე სიტყვებს იტყოდა დიაცი. ამის შემდეგ მამაკაცები დაიხურავდნენ ქუდებს, ვისაც დიაცების ჭამის დროს პქონდა მოხდილი (დიაცები როცა პურს ჭამდნენ, მასპინძელი მაინც მოიხდიდა ქუდს მათდა პატივსაცემლად. ისინი



სთხოვდნენ: ჩვენის გულისად ქუდი წუ იხდიო. ის კი ეტყოდა: „**კი გულისად ქუდი წუ იხდიო**“ და იტყო რომ გაათვალისწილეთ და იტყო დნენ ჭამას, ფეხზე ადგებოდნენ და სთხოვდნენ: დაიხურეთ თავს მოხდილებმა ქუდებით. ისინიც დაიხურავდნენ და იტყო დნენ: „**ღმერთმა გამოსთ, თუ რა იამეთ, ალალი ქნას**“; „**ღმერთმა გიშველასთ, თქვენ სიკეთე ვეიამას**“—უპასუხებდნენ და იტყო ამის შემდეგ შეიძლებოდა ლექსობა და თამაშობა გამართულიყო, შეიძლება თითო-ოროლა არაყიც დაელიათ და ბოლოს გადაიპატიუებდნენ სტუმრებს. ვინც აქ ნაწევე იყო, ყველა ვალდებულად თვლიდა თავს. მოსული სტუმრები სახლში დაეპატია. ზოგჯერ წაიჩინებდნენ კიდეც—სტუმარი რატომ მიგყავს შენ, რატომ მე არ დამანებეო. ბოლოს ზოგ სტუმარს ერთი წაიყვანდა, მეორეს — მეორე. ვისაც ამ სალამოს არ დანებდებოდა სტუმარის წაყვანა, მეორე დღეს მაინც აწევდა ყველა სტუმარს და, თუ არაყი ჰქონდა, მას-პინძელსაც. მეორე დღესაც სოფელში ხან ვინ ეპატიუებოდა და ხან ვინ. მათი მასპინძელი კი სახლში ემზადებოდა დასახვედრად. თუ წინასწარ ცოდნა მათი მოსვლის შესახებ, მაშინ საარაყეს ააღულებდა და და ამ დღეს გამოხდიდა. სტუმრის მოსვლაზე ხანდახან საკლავსაც დაკლავდნენ, არა და დაამზადებდნენ რაც კარგი იყო და რაც ოჯახს შეეძლო — ნინკალს, ცეცელებს და სხვა. ბოლოს მასპინძელი სოფელში გასულ სტუმრებსაც მოიყვანდა და ვისთანაც ისინი იყნენ, იმ მასპინძელებსაც თან მოაკლებდა. სტუმრებს მასპინძელები ისევ მიეგებებოდნენ: მაგვიცვეით მშეიღობითო და სხვა. ყველანი დასხდებოდნენ. მასპინძელი დადგამდა ტაბლას, დადგამდა იმ დღეს გამოწურულ არაყიან ჭურკლებს, დაგზებდნენ დიდს ცეცხლს, რომ სულითა და გულით გამოთბარიყო სტუმარიც და მასპინძელიც. მასპინძელი დასხდება თავის არაყს და ყველას ყანწებს დაურიგებდა. ყველანი ქუდებს მოიხდიდნენ. მასპინძელი ქალები ფეხზე იდგნენ. მასპინძელი თუ ნინერი ქალი იყო ის, თუ არა კაცი დაიჭერდა ყანწს და იტყო და: „**ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო.** მადლი შენდა, ღმერთო, ნუ დაგვლევ სულის საკონებლადა შენა საქსენებლად. კარგა გვერდიფე ე სტუმარ-სახლისაცა-ბი, მეზობლებიც. ღმერთო, მუდამ ლხინზე ვვიდინ ე კეებ მაკე-თეები, შინაც ლხინ მიეცი. ღმერთო, შენი დიდებითა, ჩემის სრტ-ყვის მაქსენებით, ხიას წესითა, ლდლის წესით, იერუმსალეთის ნა-თლით, ქრისტის გარიგებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიღიო-დას, წესი სამართალ იყვას, სულს შანდობა მიუღიოდას, სადაც თქვენ ხართ, ჩვენნო ბაბო-ბერდედანო, ჩვენის მამკითხავების ბა-



ბო-ბერდედანო, თქვენებ შვილები ას, შვილიშვილები ას, თქვენი ანდაბი ას. ეს ტაბლაიც, ეს ჭურჭლები -დ დასხმულებ ყაზუბიც, წყალი-საპონიც (ტაბლასთან წყალიც იყო დადგმული) როგორც ჩვენს წინ დგას, როგორც ჩვენ გვექჩერების, ისრამც თქვენს წინ ას, თქვენამც გვექარებისთ. ეემ სითბოთა, სინათთოთ, ცოტაამც დი-ად გეჩვენებისთ, რიოშ წმინდად (რიოში: უშმიდური რამ), ფერ უქცევლად, წაუქცევლად. კარიმც მღე-ი გაქვთ, საკვამ სინათლი-ანი. გელსამც გახტრავთ, კალთასამც გაიხვევთ. თუ ვინ მაგყვებო-დასთა, მაგბიროოდასთ, ჩვენ არ ვიცოდათ, ვერ ვგონბდათ, დე-ფულ-მამულ იყოსა, დობილ-ძმობილ იყოსა, სიძე-ცოლეულ იყო-სა, ოჯრის სულმკვდარ იყოსა, ცოდვილ-საბრალო, მაკეთე-მაკ-დულ ვინ იყოსა, ძალითამც ნუ რას ვინ გამაგეკიდებისთ, თქვენით-ამც ნებით დაიწევთ, მანდაურის წესითა, სამართლით, მეჭელსა მჯავ-რესამც გარიდებსთ, ცოდვანიმც შაგენდობიანთ, ენით ნათქვამი, გე-ლით ნაქნარი, წინ მაგებებული, უკენ მაწეული. შაგინდნასთ ღმერ-თმა, ქრისტიანობის გამჩენებაზე აქამდინ თუ ისხ-რნენ, ყველანი ფეხზე ადგებოდნენ და იტყოდნენ: „შაგინდნას, მააკ-მარას, ღმერთმა, თქვენს სახლს ბარაქა მისცას, შენ ენა დიდხანს აუბნას“. ყველანი ფეხზე ადგებოდნენ, ამ შასანდობარს მოილო-კავდნენ და ისე დალევდნენ. დალოცვა ისეოივე წესით იყო, რო-გორც შესახელისად დალოცვა. კაცები რომ შასანდობარს გამოც-ლიდნენ, მერე დიაცებძაც დაალევინებოდნენ. მასპინძელი, იმის მი-უხედავად, რომ დამზადებული საჭმელი ცივდებოდა, მაინც მეორ-—მეორეს ყანწს დააცლევინებდა. მერე დასხდებოდნენ. ოჯახის წევ-რი დიაცები და ახალგაზრდა ვაჟები, ამ ოჯახის ახლო ბიძაშეილები ახალგაზრდებიც სტუმრის პატივსაცემად ფეხზე ადგებოდნენ. თუ კეცეულები იყო, მასპინძელი დანით ჭვარედინად დაჭრიდა ნაწვრე-თებად. უფრო გულიანებს აარჩევდა, სტუმრებს ხელში მისცემდა და ეტყოდა: „არიქათა, ახვლიჩეთ, ესეებიც დაგრილებულ, აბა რა საჭმელ იქნების“. სტუმრები ეტყოდნენ: „დაჭდი, დაბძანდი, ქუდ ქვე დაიხური, რას ქუდს იჯდი ჩვენის გულისად, აგრაი ახლები გყონ ფეხზე დამდგომები“. — „დაჭდომით დავჭდები, ქუდს კი ღმერთს უქდით, ან ვის უკეთის გულისად მავიჯდი ქუდს. არაყა-ნიც აგებ რა შავსვნათ“ — ეტყოდა მასპინძელი და ქუდოხდილი დაჭდებოდა. მოტეხდნენ ნაწვრეთის წვერიდან ლუქმას, ჩააწებ-დნენ იქვე ერაშით (ერაში: პატარა ქვაბი) დადგმულ გამდნარ ერ-ბოში და იტყოდნენ: „ღმერთო, უშველი მასპინძელს, სახლ აუშენი, ბარაქა მაჟც, მუდამ სალხინო მამკითხავ უდინი. უდლეგძელი ე-



სტუმარ-სახლისკაცები და მეზობლებიც. გაუმარჯვი ფეხზე მდგრადი მებძაც, გახარი დიასახლისიც, ნუ დაულევ სახლისა, კელის ბარებას“. ამის შემდეგ კაცები იწყებდნენ ჭამას, დიაცები კი არ ჭამდნენ, მათ კაცების ნარჩომ სუფრას მიართმევდნენ. შიმშილისაგან შეწუხებულიც რომ ყოფილიყო ქალი, კაცებთან ერთ ლუკმას ვერ შეაჭმევდით, ძალიან სირცხვილად მიაჩნდათ. ფეხზე მდგომები არაყსაც არიგებდნენ და ასმევდნენ ძალდატანებით. ხევსურებმა სმის ღროს ძალიან ცოტა ჭამა იცოდნენ, ბევრის ჭამა სირცხვილად მიაჩნდათ, ამიტომ მასპინძელი პურის ჭამის შემდეგ ჩაყრიდა ნაწვრეთებს გამდნარ ერბოში და ძალად აჭმევდა სტუმრებს (ასე ძალად ხელში მიცემულ ერბოიან ლუკმას ქარმიჯი ეწოდებოდა).

მასპინძელი სტუმრს ნაწვრეთს რომ მისცემდა, ეტყოდა: „ეს ნაწვრეთი შეჭამე ჩემი გამარჯვებისა, როცა შეჭამდა, კიდევ მისცემდა—დიასახლისის გამარჯვებისას, ფეხზე მდგომების გამარჯვებისას, თოფის და ცხენის გამარჯვებისას. ამნაირად მასპინძელი სტუმრებს ძალად აჭმევდა, რაც მათ განგებ დაიკლეს „კაკურაზობის“ გულისათვის (კაკურაზ კაცს უწოდებდნენ ისეთს, რომელიც სხვა ოჯახებში სასმელ-საჭმელისაგან თავს იკერდა, ნაკლებს სვამდა და ნაკლებს, ჭამდა ე. ი. არ კადრულობდა სხვის სუფრაზე ბევრის ჭამას). სტუმრებმაც იცოდნენ: ამოათრევდნენ გამდნარ ერბოში ნაწვრეთს და მისცემდნენ თითოობით ფეხზე მდგომებს: „აპალე, ქარმიჯი“, ისეც გამოართმევდა და ეტყოდა: „შენის გამარჯვებისა, შენს კელსა და ჭმალს გაუმარჯოს“. „გაგიმარჯოს ღმერთმ“, — ეტყოდა ქარმიჯის მიმცემი. კაცები რომ პური დაილოცებოდნენ და ჭამას გაათვებდნენ, ფეხზე მდგომები ტაბლას აიღებდნენ და გადაიტანდნენ დიაცებთან.

ფეხზე დადგომა ასეთ უბრალო ტაბლაზედაც იცოდნენ და მათ „ფეხზემდგომი“ ეწოდებოდა. სახალხო სუფრაზე, მკვდრის „საქნარში“ (ხარგი), ქორწილში, „თიბის თავში“, სამამკლოში და სხვა „ფეხზემდგომებს“ ეწოდებოდა „ზედამდეგი“. ზედამდეგი არჩეული იყვნენ სოფლის ხალხის ან მასპინძლისაგან. ფეხზემდგომი კი საკუთარ ან თავისიანის ოჯახში ფეხზე თავისთვალ დამდგარ ახალგაზრდებს ეწოდებოდა, თუნდა ქალი ყოფილიყო, თუნდა ვაკე. კაცების ტაბლას რომ აუმატებდნენ, ყველა ჩვეულებრივად დაილოცებოდა. მერე ფეხზემდგომებს ეტყოდნენ: „ფეხზემდგომებო, კელფექ შაგარჩინასთ“. აღგებოდა ერთი ან ორი ახალგაზრდა, ფეხზემდგომებს დასვამდა, ტაბლას დაუდგამდა და როგორც ვთქვით, იმავე წესით გაგრძელდებოდა ეს ტაბლაც. ფეხზემდგო-



შებს სამამაცოს სკამის ბოლოში დასვამდნენ. დიაცები კი სადიაფრთხოა მხარეს ჟამდნენ პურს. ქარმიჯების დაძლება აქაც იკოდნენ და არაყსაც ძალდატანებით ასმევდნენ. დიაცები ასე ილოცებოდნენ: „ღმერათ, მიდლევგელენ ე ჭალაფნი. კარგა უმყოფი ე სტუმარ-მეზობლები, საძლისყაცებიც“. ტაბლის წესები მოთავდებოდა და აუმატებდნენ მას.

სტუმრად მოსული ახალგაზრდა ქალ-ვაჟები აუცილებლივ სა-ლამოთი შეხვდებოდნენ. სწორფრობის წესებით სტუმარ ქალს დააწვენდნენ აქაურ ახალგაზრდასთან და აქაურ ქალს მოსულ სტუმარ ახალგაზრდასთან (სწორფრობის წესები ცალკე არის ო-წერილი). ამ ახალგაზრდებს თუ ერთიმეორე მოწონებოდათ, მე-ორე დღეს შეიყრებოდნენ; სხვა ქალ-ვაჟებსაც დაუძახებდნენ და სტუმრების პატივსაცემად იმართებოდა ლხინი, თამაშობა და ლექ-სობა. ლექსობდნენ ზოგი სახუმარო ლექს. ზოგი ტუსალობაზე, სალდათობაზე და ხანდახან „სასენოსაც“ (საწყენს) ილექსებდნენ (თუ აქ ისეთი ქალ-ვაჟები იყვნენ, რომლებსაც ერთიმეორეზე ჭავ-რი მოდიოდათ). სასენოს ხშირად მოკვევებოდა ჩხუბი. ვაჟი თუ ქალს რამეს აწყენინებდა ან ლექსით, ან სხვა რამის თქმით, ამას მისი ახლობელი ახალგაზრდები არ მოითმენდნენ და ხანჭლებით ჩხუბამდინ მიღიოდა საქმე. ამის შიშით ქალები წყენას ხშირად მალავდნენ, არ უმხელდნენ თავის ნათესავ და მეგობარ ვაჟებს. ხშირად ისეთი მტრობა მოხდებოდა, რომ გვარი გვარს გადაეკი-დებოდა ქალებისათვის. ეს დიდი სირცევილი იყო. ასაყვედურებ-ლენენ: შენის ენისაგან ასეთი აბავი მოხდა, რომ გვარი გვარს გადაე-კიდა და ხალხმა ერთიმეორე დაჭრაო. მიუხედავად ამისა, ქალ-ვაჟები მარნც არ ისვენებდნენ და ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად ლექსებს ეუბნებოდნენ სასენოს. ლექსს რომ ეტყოდნენ, თავის ვი-ნაობას ფარავდნენ და ხშირად სულ იმალებოდა მელექსე, ვისაც ლექსი უთხრეს და მთქმელი კი ვერ გაიგო, ისიც იტყოდა საპასუხო ლექსი ისე. რომ არ იცოდა ვისზე ლაპარაკობდა. ქა-ლებზე ნათქვამი სასენო ლექსი ყველა ქალს ეწყინებოდა, თუ მას „ახალურალში“ ილექსებდნენ. ქალებისაგან სასენოც ყველა ვაჟს სწყინდა და აუცილებლივ ისინიც სასენოთივე უპასუხებდ-ნენ. მაგალითად, ქალების ნათქვამ ლექსს თუ ილექსებდნენ, ახალურხალში ასე უპასუხებდნენ:

ულექსებორთ ქალებსა, ბუზიკა გაუჩილხა;
ზოგებ კი უგრძებორთ, ზოგ შაუედნეა ცაჩია.
რაად გვალექსეთ, ქალებო, ახლა ჩვენც გატყვოთ, ახაა!
ლექსობას ის გერჩიყვათ, ტილ დაიყრივათ, ჭარა,

მაკერეთ ტანისმოსი, ტარს ჩაახეთ ნასთია.

ვინც ყურს არ გიდებსთ, აგინებთ, ვინც თქვენთან ჟევების, კარგია: შემდეგი მასთან დაკავშირდეთ ნავსია.

თქვენს ძმობილს დაალევეთ ბოთლის არაყით ყანწია, თუნდა გავიღით ველადა, გაიგებთ ვინც კარგია, ხანჭრივაობა დავიწყათ. ეშმაქმ დაუკრას ტაჭია, გაიგებთ, ვინც მდაბლად მავა, ან ვინაც წავა თავჩია.

ასეთ სასენო ლექსზე დაიწყებდნენ მათქვამის ვინაობის გამოძიებას ვინც ილექსა, იმას პკითხავდნენ — ეგ ლექსი ვისა ნათქვამია? და ა. შ. შეიძლება აქ ისეთი ანჩხლი ახალგაზრდა ვინმე ერია, რომ ქალების წყენაზე შეეგინა ლექსის მათქვამიც და ვინც ილექსა, ისიც. ამას მოსდევდა ხანჭლით ჩხუბი. ეს რომ არ მომხდარიყო და უსიამოვნო ლაპარაკი ჩამქრალიყო, სხვა ვინმე აიღებდა ფანდურს და ილექსებდა სხვა რამე ლექსს, რათა ხალხის ყურადღება მიექცია და საშარო ამბავი დაევიწყებინა; მაგალითად:

თინეთ სატუსალოი, სახლი გოგიაშვილისა.

არ არის საკემჭიფოი, აღებულია ქიზითა,

აკურით ამაუკინილი, გადალესული კირითა.

ნეტავინ გადააქცია, გადააბრუნა ძირითა,

სმატრიტელ ჩაკერივა, სტოროესა და გზირიცა!

ეგ ტუსალების ლოგინი გატენილია ტილითა.

ჩემ მამა-ბიძაშვილები სამჭერ მავიდეს დილითა.

ჩუმად კელადა მამართვეს, ივებულია ლეინითა.

დალევა არ შაიძლების, — სმატრიტელ იმას ყვირისა.

ერთმანეთს არ გვაჩვენებენ დამწევრები ჩევნი ჭირითა.

ლუქილინ თევესა მიზიდვენ, გამსუქარი ორ იმითა.

შავიდა ჩემი მამაი, გზაზე მივალის გმინითა,

მე კამერაში ქსერნობ, სიმღერითა და ლხინითა,

შაბავესურე შინელი, ჩამავიყარე ლილითა.

აქ კი პრიშტავის ჭავრითა ჭორუთა ვიგლეჭდი ქბელითა.

ასეთ ლექსს ხალხი ყურადღებით მოისმენდა და უსიამოვნება ავიწყდებოდა. მაგრამ ხანჭახან აღარაც ასეთ ხერხი გადიორდა და მოხდებოდა ჩინუბი. გამშველებულად ჩაერეოდნენ ქალები და ადვილად ახერხებდნენ მოშულლარების გაშველებას; ვისაც ქალი დაიჭერდა, ის გახერდებოდა და აღარ გაიწევდა. დიდი სირცეცილი ცუკ ქალის ხელიდან ზიღილი. ის მოპირდაპირეს ეტყოდა: „დაიცადე, ეხლა მე დიაცს უკერიორა, შენკე ველარცაით მაქვე წამასავალი. ერთხანც იქნების, კაც დამიჭერსა, მაშინ მაგინ-



დების მაგრად დადგომა, თორემ შენს თავზე ხახრის ფხაუაშექმა
შდების. ეხლა კი ხათრი იყოს აი ემ მანდილოსნებისა“.

თუ დიაცები ცოტანი იყვნენ, მოშულლარები კი ბევრი, ერთი ქალი მოიხდიდა მანდელს და მაშულლარების შუაზე გაშლიდა, მანდელის პატივისცემით ყველანი გაჩერდებოდნენ და იტყოდნენ: „ხათრი აი ამ დიაცის მანდელთა, თორემ ეგრ კი არ გათავდებოდა ჩვენ შულლი. ღმერთმა დაუმადლას ამ მანდილოსანს, რომ ხათაბალას გადაგვარჩინ“.

მანდელს რომ ვისმე ფეხი შემთხვევით არ შეხებოდა, ვინმე აქ მყოფი აიღებდა, გაბერტყდა და მისცემდა პატრონს. თუ ეს შულლი ძალიან სერიოზული არ იყო, მაშინ შეიძლებოდა მაშულლარები აქვე შეერიგებინათ უფროსებს. თუ შულლი სერიოზული იყო, მაშინ ერთ-ერთ მოჩხუბარს გარეთ გაიყვანდნენ, ერთს კი აქვე დააბრუნებდნენ და დასვამდნენ. ბოლოს ადგებოდნენ შუაყცები, ნაშულლარებს ერთად შეყრიდნენ და თავისებური წესით შეარიგებდნენ. შუაყაცები ჯერ ორივე მხარეს ხელს ჩამოართმევდნენ და პირობას ადებინებდნენ, რომ ხელახლა აღარ იჩეუბებდნენ არც შერიგების დროს და არც შემდეგ. მერე ორივე შოპირდაპირეს მოიყვანდნენ და დასვამდნენ. დამნაშავე პირს აჩაყიან ყანწის მისცემდნენ და ეტყოდნენ: „ეგ ყანწი მიუტანი (სახელს ეტყოდნენ მისი მოპირდაპირისას, მაგ. ჩუა) ჩუას იმით, რო ჩუასთან შენ დაღლი, შენ ბრალ იყვ“. ისიც ყანწის მიუტანდა და ეტყოდა: „ჩუავ, მე შენ გაჭავრებას თავის მაკვლა მერჩიყვ, მაგრამ მახვდ ჩემი უჭიუობითა -დ სიმთვრალით. შენ არც შულლ გავიკვირდებისა -დ არც შარიგება. ეს ყანწი შენ პატივ იყოს, თუ რა გაწყინი, მაპატივი. ჩემს უჭიუობას ნუ შააფერება“. — „პატივი, კაიკაცობა ნუ მაგიშალას, — ეტყოდა იგი, — სიმთვრალეში ბევრლ რამ ხედების, ხოლოთ დამარჯვება კი არას კაი შულლისაი. ცოტას საქმეზე დიდ მადისად ის არას კაი, მემრ არა გვიკიდავ, ერთუცის თავს არა გვერჩიყვ. ეეხლადაც არა გვიკიდავ ერთუცს“. ადგებოდა და ადლეგრძელებდა: „გადლეგბელას, გაცოცხლას, გვწეოდას კევსურეთულებ სალოცავებიცა -დ ღმერთიც. ჩემთან თას ნუ მაგიშალას, მტერსთან კმალი, გმარჯვება. ეეხლა ჩემთან ხეენ შულლი, მემრ ჩემს მტერსთან იქამ. ამ ჩვენს ჭაბაოდელას არა უნდ, შულლად ნუ ჩავსთვლით. შაუნდნას ეს ყანწი (მისი რომელიმე მიცვალებულის სახელს ეტყოდა), კას ყმას მააგ-მარას, თქვენ დაგლოცნასთ, შუაყაცებ კაის თქმად, კაის გონიმად ნუ დაგლივნასთ“. ამის შემდეგ ჩუაც ყანწის მიუტანდა თავის მო-

პირდაპირეს, ისიც აღლეგრძელებდა და დალევდა. იქ მყოფი ხალჭალით ხარისხის ხიც შერჩეულებს აღლეგრძელებდნენ და უსურვებდნენ ამის შემდეგ ძმებზე უკეთესად ყოფილიყვნენ.

ერთ-ერთი მაშულლარი თუ სტუმარი იყო, ერთი კი ადგილობრივი, მაშინ სტუმარს თავისი მასპინძელი დაიცვდა და მაშინვე ჩხუბში ჩატროდა—სტუმარი რად გამიჯვრაო. ყველაზე მეტს ის ჩხუბობდა და სირცხვილიც იყო სტუმრის ვერ პატრონობა.

წაშულლარებს ხშირ შემთხვევაში ამობილებდნენ კიდეც. ჭერ შეარიგებდნენ, როგორც ვოქვით, ყანწების მიტან-მოტანით და ბოლოს შუაკაცები ეტყოდნენ: უნდა გაძმობილოთ. ეს იმ შემთხვევაში უფრო იცოდნენ, თუ რომელიმე მხარეს არ ენდობოდნენ— შემდეგისთვის არ დაივიწყებს და მარტოს რომ შეხვდება, ისევ ჩხუბს აუტეხსო. ამ შემთხვევაში შუაკაცები ძმობილობას მოიგონებდნენ: ერთად დააყენებდნენ, ერთ-ერთ მათგანს არაყით ყანწებისცემდნენ, ვერცხლის ნივთს რამეს მოიტანდნენ და თუ იქ ხუცესი იყო, იმას დაავალებდნენ, თუ არა და უფროსი კაცი შეასრულებდა დაძმობილების წესს. უფროსი კაცი ქუდს მოიხდიდა, ვერცხლს დანით ჩათლიდა იმ ყანწეში, რომელიც საძმობილედ კაცს ეჭირა და იტყოდა: „ლმერთო დალოცვილო, თავი თავადი ხარ. შენ გეხვეწებით, კანისა — დ ხთიშვილნიც შენს სახელს ემორჩილებიან. შენ გაუმარჯვი ამ ძმათა, ძმობილთ, აძმენი, ამობილენი (აქვე მოიყვანდა ხევსურეთის ლვთიშვილების სახელებს და ეხვეწებოდა ძმობილთ დანდობას). დალოცვილო ლმერთო — დ ჰევსურეთულნო ხთიშვილნ! დაინდევნით ეს ძმანი, როგორც დაინდობენ ერთმანეთს. ოქვენ ბედი დავლათ დაკმარეთ, რაყელაც დაეკმარებიან ერთმანეთს. ნუ უღალატებთ იმათ ვაშკაცობას, როგორც ისენი ერთუცს არ უღალატებენ. ნდობა-სიყვარულ მიეცით ერთუცისა, როგორც საკუთარის და-ძმისა“. ამ საუბრის ღრის უფროსი კაცი ვერცხლს თლიდა ყანწეში და ბოლოს, ვინც იქ იყვნენ, ყველას ეტყოდა: „გწყალობდასთ ძმათა, ძმობილთ ჰევსურეთულნ ხთიშვილი, მშვიდობით გამყოფნასთ, ერთუცის ნდობა-სიყვარულ მაგცასთ“. ესენიც მადლს გადაუხდიდნენ: „მადლობელნი ორთ, თქვენ იყოს მწყალობელი“. ბოლოს ძმობილნი ვერცლჩაფხევილი ყანწებიან სამ-სამჯერ ცოცოტა არაყს ერთმეორეს დაალევინებდნენ. ძმობილს ასეთი სიტყვებით აღლეგრძელებდნენ: „ძმობილო, გადღეგძლა, ლმერთმაცა დ ჰევსურეთულ ხთიშვილთაც, გაცოცხლას. დღესიდგეს მე შენ ღვიძლ ძმა-ი ორ, ჩემ დედა შენ დედა იქნების, ჩემ და შენ და იქნების, ჩემ ძმა შენ ძმა. თუ შენ დღეგძლო-



ბა არ მინდოდას, როგორც ჩემის ძმისა, ომერთმ ნუვინ მუშაქულებულება ძელის. გეწეოდას ძალ ხთისაი, შუქ მზისა, შენ თავ ნუ გამამართვას. ჭირს დავლევ შენს“. ამ სიტყვების შემდეგ მეორე ძმობილი თავისი ხელით სამჯერ მოაყუდებდა პირზე ყანწს და ისიც ასევე ადლეგრძელებდა. მერე ამ ყანწს კიდევ აავსებდნენ არაყით. ამას ეწოდებოდა „წამოსარეცხი“. ამასაც ორივენი დალევდნენ. მესამე ყანწს კიდევ აავსებდნენ და მისცემდნენ იმას, ვინც ისინი ამობილა. ის დაილოცებოდა და ადლეგრძელებდა ორივე ძმობილს. უსურვებდა ერთმანეთის ძმურ სიყვარულს, შემდეგ ყველანი მათ ადლეგრძელებდნენ თითო ყანწით... ამის შემდეგ ისინი, მართლაც, გამოიჩენდნენ ძმურ ურთიერთობას და ერთმანეთისათვის ჭირში და ლხინში თანავრძნობას, სადაც სმაში შეხვდებოდნენ, ასეთ სიმღერას შათგან ხშირად გაიგონებდით:

ძმობილი, ძმობილის მზესა, სხესან ნუ ვის ეძმობილები, შენსა მამკლავსა, ძმობილი, შვრდს ჭელს არ დაეჭიავები, გზაში ჩაუსხამ მალულთა, ირმებულ ჩაეგპარები, თუ იქაც ვერას გამაშები, კერაში შეკეტნება. თუ გონდა ჭარად დამიხედონ, ერ დაითარინ ფარები, ჰაგშირავ თროლ-სამსმთა, კმალმა დაკუჭას ძვალები.

ძმობილი ძმობილს ყოველთვის ეხმარებოდა მტერთან ბრძოლაშიც და შინაურ საქმეებშიაც. ერთის სიკვდილის შემდეგაც ძმობილს დღლში „ცხენს გაურევენ“, ისიც არაყით მივა და ტირის ძმობილის თავზე.

ანაირად სტუმრები მეორე დღესაც დარჩებოდნენ, მათ ზოგნი სახლში ეპატიუებოდნენ და რითაც ვის შეეძლოთ, უმასპინძლდებოდნენ. სტუმარს მასპინძელი მუდამ პატრონობდა. როცა იგი ვინმეს სახლიდან მასპინძლისაკენ წავიდოდა, გზაში თუ ვინმე მასპინძლის სოფლელი ჩჩუბს აუტეხდა, მასპინძელი ამას არ აპატიებდა, თან ეტყოდა: „შენ ჩემკე მამავალს სტუმარს რომ შუღლად გაუყადი, არ იცოდი, რო ის ჩემ სტუმარ იყე? თუ არაად მაგდებდი არც მია - და არც ჩემ სტუმარს?“ სტუმრის სახლში მისვლამდე მასპინძელმა მის გამჯავრეს შეიძლება უბრალო სამდრუავი სიტყვები უთხრს და შეიძლება იჩხუბოს კიდეც, მაგრამ ის როცა მასპინძლის სახლში მივა, მერე მის გამჯავრებელს პირველად მასპინძელი აუტეხს შუღლს. მასპინძლისაკენ მიმავალს თუ ეწესბებოდა ვინმე, მაშინ ეტყოდა: ჩემკენ მომავალ იყო და რად ეშუღლეო. როცა უკვე მასპინძელთან იყო, მაშინ მასპინძელი ამბობდა: ეგ ჩემი სტუმარია და მაგის გაჯავრების უფლებას არავის არ მივ-



ცემო. ვინც სტუმარს ვერ დაიცავდა, დიდი სირცხვილი იყო გაკიცხვაში.

ვაჟის მასანახავი ყველას მიაქვს, ვინც კი ოდნავ მეგობარია აშოგანისა, ქალის მასანახავი კი, გარდა ახლობელი ნათესავებისა, არავის მიაქვს. ახლობელი ნათესავებიც ქალის გაჩენას წყინობენ და თითქმის მგლოვიარესავით წუწუნებენ: რატომ ვაჟი არ დაიბადა, რად ვეინდოდა ქალიო და სხვ. ქალის მასანახავის ღროს გახარება არავის ეტყობოდა და დროსგატარებაც ნაკლები იცოდნენ. ქალის საღლეგრძელოში იტყოდნენ: რა უყოთ, რო ქალი დაიბადა, ქალიც შვილია და ლმერთმა კვლავ ვაჟი მოგცესთო. ქალის გაჩენას არც მოულოცავდნენ მშობლებს; თუ ვინმე მოულოცავდა, ისიც დაუმატებდა: „კლოვ ვაჟი მაგცასთ ლმერთმაო“. ვაჟის მასანახავი ძალიან კარგი არაყი უნდა ყოფილიყო, ქალის მასანახავი კი არ აინტერესებდათ, არაყი კარგი იყო თუ ცუდი; იტყოდნენ: განავაჟის მასანახავი მიმაქვს, რად მინდა კარგი არაყი, ვაჟი გააჩინონ და კარგს მაშინ წავულებო, ვაჟის დედას ქადებს სამრელოშიც მიუტანდნენ სოფლელები და ნათესავები. ქალის დედას კი თუ შინაური ვინმე მიუტანდა და იმასაც გამონაკლის შემთხვევაში.

ვანვაგრძოთ მესანახავე სტუმრებზედ საუბარი. ბოლოს მასპინძელი ტაბლას რომ სულ აუმატებდა, კიდევ შეეცდებოდა სტუმრებისათვის დაელევინებინა და დაეთრო ისინი. სტუმრების სიმღერას ხშირად გაიგონებდით:

1

ღმერთო, ამ სახლში ნუ მაშინ ლხინსა და გახარებასა,
ვაეების ცოლიანობას, ქალების გათხოებას.

2

სახლო, გაშვენებს ჭურჭელი, ჭურჭელო ღვინიანობა,
ქალი და ზალო ჭვევა-უნი, სოფლელთან ხატრიანობა.

ასეთ სიმღერებს მღეროდნენ ფშაურ კილოზე და თან სვამდნენ. ასეთი მებით დააღმებდნენ მეორე დღესაც. თუ სოფელში უინმე ახალი ჭირისპატრონი იყო, მაშინ მასპინძელი ერთ ბოლოს ააგრძედა არაყით და გაუძლვებოდა სტუმრებს. თან ჩამოუთვლიდა: ჩეენს სოფელში ესა და ეს კაცები გყავთ „სანახავიო“ (ნახვას უწოდებდნენ ჭირისწყენას ანუ სამძიმრის თქმას). სწორედ იმდენი ბოლო უნდა აევსო, რამდენიც სოფელში ახალი ჭირისპატრონი იყო. მასპინძელი სტუმრებს კვალგან მიუძლვებოდა, ბანზე ავიდოდნენ და ჭირისპატრონს დაუძახებდა: „შინ არ ხარა (სახელი ჭირის პატრონისა)? კარშია გამეედი!“ ჭირისპატრონი მალ-



ლა ამოვიდოდა და მოსულ სტუმრებს გამარჯვებას ეტყოდა-უპატიონება
გიმარჯოს ღმერთმა,—უპასუხებდნენ ისინი. მერე ჭირისპატრონის
მაგალითად, მარტიას, წინ მიუღებოდნენ და ჭირს უწყენდნენ:
„მარტია, ვერ გვქნას ჩემ თავი, მანამ ეეგეთას გნახევდი, ბრალ
არა ასა, დიდ ღმერთის წყენა არ ასა, შენ გულ დასწუხებოდას, შენ
შეილი თუ ძმა, ან და, ან სხვა ოჯახის წევრი ვინც იყო, იმას ეტი-
ყოდნენ, მაგალითად, მარტიას ძმა ჭყავდა მკვდარი) ძმა გაქლდე-
ბოდას, ჩემ კვალ-კაც მზეს იარებოდას, სიტყვას გეტყოდას. გამა-
სადეგნი ხართ ძმისანი, მამიძმისანი. მტრის გამჯავრენ-ი ხართ,
მაკეთის გამლაღენი. დედან საღებულონ-ი ხართ, მამან
საბატონონი. უკეთის კაისად არცინ სად არც იქნების. ღმერთმ
ნარჩომს ჭვარ დაგიწერასთ, მარკე ნულარა მაგცასთ. შენ გულ კაით
გაკურნას, ავ კაით დაგაცილას, ვერ გვქნას ჩემ თავი“.

ამის სუბრის დროს ჭირისპატრონიც პასუხობდა, ორივენი
ფეხზე იდგნენ და თავთავის სათქმელებს ერთმანეთში არეულად
ლაპარაკობდნენ. ჭირისწყენის დროს ჭირისპატრონი უპასუხებდა:
„შენის მტრისა, დუშმნისა. ბრალ ისითაისა ას, რო შენ დაგკ-
ლებიოს, შენ დაგითმავის. რაის კაისად ორთ. მზე დაგვცდების
კაცთ სწორი კაის მაკეთის თავი. მასალოცავი ას ჩვენ სიკვდილ, და-
სამადლები ას, — მახკეეითაო, მაისცენეთავ, დაღონებას მავშეჩით,
შიმშილ-წყურვილსა დ სიტიტვლეს. თქვენ რო თავს დაილოცავთ,
იმად არც მთელნი ორთა, არც მკვდარნი“ (ვინც ჭირს უწყენს ის
ეუბნება: ვერ გვქნა ჩემი თავიო, ეს ნიშნავს: ვაიმე, მოგიკვდიო. ეს
ითვლება თავის წყევლად. მაგრამ ჭირისპატრონი, რომ უპასუ-
ხებს: „შენ რომ თავს დაიძლოცავ, ჩვენ იმად არ ვღირვართო“—სი-
ნომდვილეში ნიშნავს: „შენ რომ თავს დაწყევლიო).

ჭირისწყენის ბოლოს კიდევ ეტყოდა ჭირის მწყენელი: „ვერ
გვქნა ჩემი თავიო“. ისიც ისევ უპასუხებდა: „შენის მტრისი, დუშ-
მნისა“. ამ დროს ქალები ქალებთან ისხდნენ და საუბრობდნენ ზი-
ცვალებულის გარშემო, რა თქმა უნდა, ჭერ აქაც მშეიღობა-ამბის
კითხვა იქნებოდა.

კაცები შემდეგ წინგარდაზე დასხდებოდნენ (წინგარდა: ბოს-
ლის, ანუ დაბლა სართულის სახლის ბანი) და ჭირისპატრონი ამ-
ბავს ჰეითხვდა: „მშეიღობითა, რას გუნებას ხართ, ხო არა გი-
ჭირსთ დიდია, ცოტას, კაცსა, საქონს; თქვენებს ძმა-ზლებსა,
მესობლებს ხო არა უჭირს, სხო ახალ ამბავ ხო აღარაი ას თქვენ-
ეგ?“ სტუმრები უპასუხებდნენ: „კარგად ორთ, რა იკითხების ჩვენ
ამბავი, გვიდგა სულები, ვათენ-ვალამებთ. ყველა კარგად ას“. ამის



შემდეგ დიაცები გაშლიდნენ ტალავარს³. რომელიმე პატარა ქართული გაგხვნილენ და სოფლის დიაცებს შეატყობინებდნენ: ესა ღამისმომავა სტუმარი ქალები მოვიკიდნენ და ტალავარი უნდა გავშალოთ. ტალავარი რომ გაიმლებოდა, ნათესავები მაშანვე დაიწყებდნენ ტირილს. თუ ხმითმატირალი ვინჩე აქ იყო, ძახილით ტირილის შემდეგ ხმითაც იტირებდა. ხმითმტირალი თუ სოფელში იყო, ძალიან სთხოვდნენ და აუკილებლივ მოიყვანდნენ. თუ ხმითმატირალი არ იყო, ის უბრალო ტირილი რა ტირილია და ან მევდარს რას დაამძიმებს—იტყოდნენ. ძახილით ტირილი მარტო ახლო ნათესავებმა იცოდნენ, უნათესა მათ ტირილზე მარტო დაიქვითონებდა და ისე გადმოყრიდა ცრემლებს, შინაურები და ახლო ნათესავები კი ერთად ყველანი თავ-თავისათვის მოთქვამდნენ და ერთ კილოზე ტიროდნენ. მაგალითად, თუ აქ მიცვალებული ქალი იყო და მისი მატირალი მოვიდოდა:

ადე სტუმრებ მავივიდა, დაო!
სტუმრის მოსვლა გიხაროდისა, დაო,
სიცილით მიგებება იყოდიდი, დაო.
დასახურებლად სეჭერო არ იყავო, დაო.
ახლა მიწაშიაც გქერობთა, დაო.
ჩვენ გალაფნ შინ ესხეორთა, დაო.
შენ დარსა, ავდირს ცალკე გვყვიხარ, დაო.
მიწა შენს დაას, დაო.
შენს ჰევა-გონს ვენაცვალე, დაო!.

დახლოებით ასეთი სიტყვებით მოიტირებდნენ გარდაცვლილს, კილო კი ერთი იყო.

ტალავარზე ძახილით ტირილის დროს რომელიმეს ხმას და ტირილს ცალკე ვერც გამოაჩერედით, რადგან ხმები და სიტყვები ერთმანეთში ირეოდა. ტირილი რომ მოთავდებოდა, ფარდაგზე დაწყობილ „ტალავართ“ ორი ქალი ასწევდა, მიიტანდნენ და ტალავართათვის სპეციალურად დადგმულ ტახტზე გაშლილად დაალაგებდნენ. მიის შემდეგ სოფლის ქალები შინ შავიდადნენ. ზოგებს კი მაინც მოაბრუნებდა ჭირისპატრონი ქალი. ისე კი ყველას სთხოვდა დარჩენილიყვნენ და პური ეჭიათ. ვინც დარჩებოდა, მასპინძელი ქალის წინ გაბროლოთ ყველანი შინ შევიდოდნენ. კაცებიც ამ დროს თავის სტუმრებს ჰერხოსას შეიყვანდნენ და საკვამისას კიბის საშუალებით შინ „ჩაჯდებოდნენ“. ჩასულები ჩვეულებრი-

³ მიცვალებულის ტანსაცმელი ერთ შლამდე ფარდაგზი ჰქონდათ შეხეული, რომელსაც ტირილის დროს გაშლიდნენ და დაიტირებდნენ.



თად „აშენებას“ ეტყოდნენ და მასპინძლებიც უპასუხებდნენ: გაშვენასთ, მაგვიხევეთ შშვილობით, შშვილობით თქვენ მათშეულებულია სტუმრებს ჩვეულებრივად სკამზე დასვამდნენ. დისასახლისი შეუდგებოდა საღიასახლისო საქმეებს, ჩასჭრიდა საპარსელით ხორცს, ქონს და მხლის რომელიმე წნილს, გაურევდა შიგ ცველსაც. დაკიდებდა ზედგანს საკიდელზე, დაანთებდა ცეცხლს. კიდობნის ძირიდან გამოიღებდა ვარცლს და გაცრიდა ფქვილს. აქვე პატარა ქვაბით წყალი იდგა ცეცხლთ პირში და როცა გაობებოდა, ამითი მოზელავდა ცომს. გააკეთებდა გულიან კეცეულებს, ჯერ ზეღვანზე მოაჭიროდა, მერე ცხელ ნაცარში ჩასცხობდა და გვერდის გადაქცევით გამოაცაროდა. გამომცხვარებს იქვე ერთმანეთზე აწყობდა ცეცხლთან. როცა ცხობას მორჩებოდა, ჩასხამდა ბაკანში თბილ წყალს, კეცეულებს განაცრავდა და გაბანდა. თბილ წყალში გაბანილ კეცეულებს ერთმანეთზე აღარ აწყობდნენ, სისველე რომ აორთქლდებოდა, დაჭვრეთილ გვერდზე თითოობით გაპოხავდნენ და დააწყობდნენ ერთმანეთზე. მერე გააღნიბდნენ ერაწით ერბოს და მამაკაცებს ეტყოდნენ: „ტაბლა გადადგიო, სტუმრებს პურ აჭმიეთ“, მასპინძელი ფეხზე აღგებოდა, ქუდს მოიხდიდა და ქირჭიზე დაკიდებდა, ტაბლას საღიაცოლან გადაიტანდა, სამამაცოს სკამზე ნასხომ სტუმრებს წინ დაუდგამდა და იტყოდა: „ღმერთო, კარგა გვიმყოფ ე სტუმრები. ჩვენის მახენებისად კათ მიხენი. კარგად გვიმყოფი ეს მეზობლებიც“. „ღმერთო, უშველ მასპინძელს, მარქეს ნულარას მისცემ, კლოვ ლენის მლოცავ უდინი“. მასპინძელი სტუმრების შოტანილ არაყსაც ტაბლაზე დგამდა და თუ ჰქონდა, თავის არაყსაც მოიტანდა, დაასხამდა და ყანწებს მისცემდა სტუმრებს. ერთ ყანწს თვითონაც დაიჭერდა, ან თუ დედა ჰყავდა ხნიერი, იმას მისცემდა და ტაბლას „სახელს დასდებდნენ“. სახელს დასდებდნენ თავისი ახალი მიცვალებულისათვის ან მოსულებს თუ ვინმეს ჰყავდა ახალი მკვდარი. თუ არა, მარტო იმისათვის ეტყოდნენ შანდობას, ვისიც ტალავარი ისხა ამ ოჯახში.

ტაბლის დალოცვა ისეთივე იყო, როგორც მასპინძელთან ტაბლის დალოცვის დროს. ჩვეულებრივი წესით თითო-ორთოლა რაყს დალევდნენ და მერე ჭამდნენ პურს. პურისჭამის დროს ოჯახის ახალგაზრდები: ქალი და კაცი — ყველანი ფეხზე იდგნენ. ას-შევდნენ არაყს და ემსახურებოდნენ სუფრაზე. ჭამა რომ მოთავდებოდა, მერე ქალებს დაუდგამდნენ ტაბლას და ყველაფერი შესრულდებოდა ისე, როგორც ვთქვით მამაკაცების ტაბლის წესზე. ბოლოს სტუმრები გამოემშვიდობებოდნენ მასპინძელს: „ჯვარ გე-

წერასთ, მშვიდობით იყვენით, ღმერთმ მარქე ნულარა მაგცასჲა⁴.
მასპინძელი სახლს იქრთ გააცილებდა და უტყოდა: „მშვიდობის ჩანა
წევდით, კელ მაგიმართას ღმერთმ, მარქეზე ნულარაზე გავსაჭნასთ“.

ამნაირადვე წავიდოდნენ სხვა ჭირისპატრიონთანაც. ერთი სი-
ტყვით, მასპინძელი ვალდებული იყო, თავისი სტუმრები ყველა
ჭირისპატრიონთან მიეყვანა „ჭირის საწყენად“. უამსოდ სირცევი-
ლი იყო სტუმრისთვისაც და მასპინძელისთვისაც. ჭირისპატრიონიც
ძალიან დაემდურებოდა ორივეს. ბოლოს სტუმრები მოვიდოდნენ
თავის მასპინძელთან. შეორე საღამოსაც აქ დარჩებოდნენ. მასპინ-
ძელი პატივისაცემად მოიპატივებდა სოფლის ახალგაზრდა ქალ-
ვაჟებს. სასმელი ისე არ ექნებოდათ გამოლეული, რომ კიდევ არ
დაელიათ. ხნიერი სტუმრები და მასპინძელი დაწვებოდნენ დასა-
ძინებლად, ახალუხლები კი ლხინს მართავდნენ, ლექსობას და თა-
მაშობას. ხევსურეთში, ზოგი ახალგაზრდა ისეთი იყო, რომ მზე-
რიც ბევრი ჰყავდა და სწორებულიც. მეტი ჰყავდა ხანგლით დაჭ-
რილიც და შეიძლება მოკლულიც. ასეთ ვაჟებაცს ხევსურები აქებ-
დნენ და პატივის სცემდნენ — მამაცია, პურადია და კარგიო. მაგ-
რამ ის თავის ბედს არ ემადლიერებოდა და ხშირად სევდიან ლექსს
თვითონ იტყოდა თავისთავზე. ამ ლექსებს ახალუხალში ხშირად
ლექსობდნენ. მაგალითად, ასეთი ვაჟებაცი იყო ბიძურათ ხთისო
როშებში, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი ლექსი გამოუთქვამს
თავის თავზე:

ოქერო შუთისოფელო, სიზმარ ხარ, განა ცხადია;
ზოგთად უღიერედ მწარეო, ზოგთად ძალიან კარგია.
ჩემ სიკვდილ მაშინ ჭობდა, როდისაც დაეციმადია,
სულ მუდამ დარონებული, გაეჩინდი, გავიზარდი.
მუდამ დარდი და საგონი გულს მაწევს როგორც ჭანდია.
სამტროლად სამაკეთეოდ, გულში სულ მუდამ დარდია.
ხალხი მყავ გადაკიდული, როგორც აქერმის ბარგია.
სუჟექტა დუშმად გამიქდა, თავისია და სხვათა,
რაიც სიეთე არ მიქნავ, სიუფრეს არას ვიადია.
მაგნებს ისეთები, ერ ჩინდებინ კარჩია,
ზაფხულის სიცხე აშინებს, სიციე იანვარშია.
სანაპიროზე სიპები — „არამც დაგვეცას თავშია“.
მე უბირუს მეძახინ, მტრისა არა მაქვ დარდია,
მტერს არცად გამავხეცეორ, რო შემხედრის გზაჩია.
ერთი მარტუა დაუცოცავ ალა-დუნია ხალხშია.
ძნელი ას სიმარტოვეო, ხალხნ მწოთირობენ თვალშია,
—მავხელივთ და დაიყარების, —ფიქრობენ თავის კევაშია.
ძმები რად უნდა ვაშეაცა, მარტო ეკობ ვრჩაც ვაჟია,
კელჩა ქმალ უნდა ფოლადი, გასვეტილ იდგას ტანშია.

იქნედას ჭარამარადა, სისხლს შვიმდას შმიდა დარშა.

ტიალო ჩემო შამილო, ხო აზ მაგება ჭანგია?

შელშეით კომ შამიქსა, როგორ ცუდ სიზმარ კვახია,

ან მართლა გამიცხალდების, ან სხვა მამიცა მარცხია.



ლექსებს მოყოლებდნენ ერთმანეთის ჯიბრზე — არა მე ვთქვა არგი ლექსი და არა მეო. ხანდახან სახუმარო ლექსებსაც გამოურევდნენ, რაზედაც მთელი წალხი იცინოდა. მაგალითად:

სხამინის ეშმაკი ერთ სხვას ეძახს, რას ხყუჩობა,

სარეკელა გაისრიეს — შენ რადაღ ზანზურობა.

შინაგ უკუღმ უბრუნევდეს, დავსუვი მაგათ მართულობა.

იხალუხალი დიდხანს მხიარულობდა. ქალ-ვაჟები ერთად ისხდნენ და თუ ერთიძეორე მოსწონდათ თავისუფლად აკოცებდნენ, როგორც შორიდან მოსულს აკოცებს ხოლმე თავისი და. ეს არც გასავეირალი იყო და არც არავინ ყურადღებას მიაქეცვდა, ბოლოს ამ ახალუხლიდან ბევრიც არ წავიდოდა შინ. ლოგინს გაშლილნენ ერთად. მაგ., ჩალას გაშლილნენ, ზედ ფარდავს დააფენდნენ. დასაზურავად ზაფხულში ისევე ფარდავი იცოდნენ, ზამთარში „გუდანური“ (შატულიანი ტყავებისაგან შეკერილი საბნის შაგიერი), მერე ახალგაზრდა ქალები ვაჟებსაც ჰქითხავდნენ და ქალებსაც (ამათ ეწოდებოდა ელჩი), ვრსაც ვისთან სურდა, გაიგებდნენ და ბოლოს ყველანი დაწვებოლებენ ერთ ლოგინში მწერივზე. ელჩები ქალებს იმ ვაჟების გვერდზე დააწვენდნენ, ვისგანაც თანხმობა ჰქონდათ გამოცხადებული (სტორქორობა, როგორც ალენიშნეთ, ცალკეა აწერილი). რომ ვათენდებოდა, ყველანი დაგებოდნენ: ჯერ ქალები და მერე ვაჟები, პირს დაიბანდნენ და მასპინძელი არაყით გაუმასპინძლდებოდა. ეს მესამე დღე იყო და სტუმარი აქ იშვიათად დარჩებოდა. თუ ბევრი არაყი ჰქონდათ გამოხდილი ამ სტუმრებისთვის და მათ როგორმე დათრიბირდნენ, შეიძლება დაეტოვებინათ, მაგრამ მაინც ძნელი იყო. ხევსური იტყოდა: შინ წასეულა მაშინ ჯობრა, მანამდე ეხვეწებიან — ნუ წახვალო. თუ დაიგვიანა სტუმარმა და დროზე არ წავიდა, ეტყვიან: რატო კიდევ არ დარჩიონ და მაშინ აღარც ლირს სტუმრის წასვლაო, იმდენ პატივისცების ვეღარ გააყოლებენ, როგორც აღრე წასულს და უხალისოა სტუმრისთვისაც და მასპინძლისათვისც. სტუმრის დაგვიანებით გამართვაზე (წასვლას გამოითვალისწინება) ლექსიც იყო ორიოდე სიტყვით ნათქვამი:

დილას ვერცხლი ხარ, სტუმარო, შუბრისად დახვალავდები.
თუ კიდევ დაგვინებ, მემზ ქორდ დაშჩალავდები.

სტუმრის დაგვანებაზე და მასპინძელი ქალებისაგან მათი წასვლის ნატვაზე თქმულებებიც იყო ხევსურეთში, რითაც იმის თქმა უნდოდათ, დიღხანს დაგვიანება არ ვარგა, თორემ მასპინძელს სტუმარი მოსწავლიდებაო; აი, ერთი ასეთი თქმულება:

ერთ კაცს ორი ცოლი ჰყავდა. ერთხელ სტუმრები მოუვიდნენ. სტუმრებს სოფელში საქმეები ჰქონდათ და წასვლა დაუგვიანდათ. მასპინძლის ცოლებს მასპინძლობა მოსწავლიდათ და აღარ იციან, როგორ მოაგონონ სტუმრებს შინ წასვლა. ბოლოს გადაწყვეტილს, წავიჩხუბოთ და როგორმე მოვაგონოთ შინ წასვლაო. მეორე დღეს მათი ქმარი სახლში არ იყო, სტუმრები კი შინ იყვნენ. ამ დროს ცოლები წაიჩხუნენ და ერთმა მათგანმა სტუმრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სტუმრებო, ხეალ თქვენს შინ მშვიდობით მისვლამ, ჩვენში რომელი ვტყუვეართო“. სტუმრები მიუხვდნენ დიაცებს ხერსს და ერთმა სტუმარმა თქვა: „ჩვენმა ხვალაც და ზეგაც აქ დარჩენამ, არც ერთი ხართ შართალი და არც მეორეო“...

მეორე ასეთივე ამბავი იყო: თურმე ერთ ოჯახს სტუმრები მოუვიდნენ ზამთარში. მოვიდა დიდი თოვლი და შასპინძელთან დიღხანს დარჩენენ. აქაურ დიაცებს მოსწავლიდათ მათი სტუმრობა და მოისურებს შინ წასვლა მოაგონონ. დალამების შემდეგ ერთმა დიაცებს გარეთ გაიხედა, შემოუიდა შინ და სტუმრების გასაგონად თქვა: ცა მოშენდილია, ძალიან კაი ამინდია და ხეალ კი ჩვენს სტუმრებსაც იღარა დაიჭერს შინ წასასვლელადო. სტუმრები მიხუდნენ ამ სიტყვის შინაარსს, გაიგეს, რომ მათი შინ წასვლა ეჩქარებოდათ დიაცებს. მაგრამ ვითომ ვერ გაიგონეს, ხმა არ ამოულიათ. მერე ერთი სტუმარი გარეთ გავიდა და შემოსულმა დიაცების გასაგონებად თქვა: „გაუდარებავ კი, მაგრამ ისეთ დიდ თოვლი, რო ერთ თვეს არ გავ გზა არცად, რო მეზობელ მეზობელსან მიეიდას, თორე შორს ხო ვერც ჩვენ წაოლთა, ვერც სხო, ვინაც თემში ას დამწავდეული“.

ასეთი ამბები იცოდნენ ხევსურებმა და ცდილობდნენ, მესამე დღეს აუცილებლივ წასულიყვნენ, ხან მეორესაც. ამიტომ მესამე დღლას სტუმრები (თუ ზაფხული იყო) მოითხოვდნენ ცხენების მოყვანას, ცხენებს მასპინძელი მოიყვანდა და იშვიათ შემთხვევაში სტუმარიც, თუ მასპინძელი არ უშეებდა წასასვლელად, მაშინ სტუმარი თვითონ მოიყვანადა ცხენებს, ხან სტუმარიც მიეშ-



ელებოდა და ხან კი მასპინძელი შეკაზმავდა. ზოგჯერ მოყვანილ
ცხენებს ისევ გაუშვებდა მასპინძელი ბალახზე, თუ არაყი გაფართოვდა
ან კიდევ საარაყე ჰქონდა გამასაწურავი. ბოლოს ცხენებს რომ
შეკაზმავდნენ, დიასახლისი ხურჯინში ჩააწყობდა ხავიშიან პა-
ტარ-პატარა კუბატ-ქადისკერებს (წინასწარ გამოაცხობდა, რომ
სტუმრების ბავშვებისათვის გაეგზავნა). თუ ჰქონდათ, არაყი
ჩაუსხამდნენ ტიქვი საგზაოდ. ჩაუღებდნენ კიდევ პურსა და ყველს
საგძლად. მასპინძელი გამოიტანდა ხურჯინებს, გადაჰკიდებდა ცხე-
ნებზე, დაახვევდა და დააკრავდა ნაბდებს. ბოლოს სტუმრები ად-
გებოდნენ და იტყოლდნენ: „გვარ გეწერასთ, მასპინძელო, ღმერთმა
თქვენ თავ ნუ გამაგვაროვას, სრუ მუდამ ლეინზე გვადინნას თქვენს
სახლში...“ მასპინძელი პასუხობდა: „მაღლობელი ორთ, ღმერთმა
თქვენს ლეინზე ჩენ გადაგვაწდიოს თქვენ მახედულობა“. მასპინ-
ძლები ცხენებს ახსნიდნენ და წამოიყვანდნენ სოფლის გაშორებამ-
დე. მათ გასაცილებლად ყველა გამოვიდოდა სოფლიდან, ვინც
კი დაინახავდა, თუ კინმე სოფლელმა მათი მოტანილი არაყი ან
ახლა დალია და ან სხვა პატივისცემა რამე მოაგონდებოდა, ერთ
ბოთლა არაყს გამოიყოლებდნენ და გამართულ სტუმრებს დაალე-
ვინებდნენ. სოფლის ნაპირზე კარგა ხანს მოაგვიანებდნენ სტუმ-
რებს, ყველა ცდილობდა მათთვის პატივისცემას და თავის გამო-
ტანილი ბოთლიდან არაყის დალევინებას. ეხვეწებოდნენ; დალიერ,
ყანწს პირზე მოაყუდებდნენ და ძალით აშევდნენ. რამდენადაც
მთვრალ სტუმრებს გაისტუმრებდნენ, იმდენად სახელი იყო სოფ-
ლისათვისაც და მასპინძლისათვისაც. ხან „თავემელად“ უმღერებ-
დნენ წასახალისებლად, რომ უფრო მეტი დაელიათ. უმღეროდნენ
მათთვის სასიამოვნო რამეს; მაგალითად:

შინ წახოლო, კან სტუმრნო, გაისარებით დილითა,
თან გაიყოლებთ ჰერდაგსა, ნაკებსა თევა-ქერითა.

სტუმრები მასპინძლების მღერაში ჩუმად იყვნენ და სვამდ-
ნენ, მერე აავსებდნენ ყანწებს და მასპინძლის სასიამოვნო სიმ-
ღერას შემღერებდნენ. მაგალითად, ლიქოკელთ სტუმრები რომ
ყოლილიყვნენ, მასპინძელს ისეთ სიმღერას უმღერებდნენ, რაში-
აც გამოიხატებოდა მათი წინაპრების გმირობა და ბრძოლა:

ბეღიანიმც დაჭდების, ლიქო ლიქოკელთ ჭარზედა,
სათავეს უსხენ უურრსნ, იძრახლებინ ჰკვაზედა,
ბოლოში უნცროსებ უსხავ, ჟალებ მიუდის გმალზედა
უჟოცავ აზნაურები, დაბლა აფკუშოს წყალზედა,

ასეთი სიმღერები, ხევწნა, ძალადობა გაიმართებოდა. სტუმ-
რები თუ ძალიან მაგარი წალხი არ იყო, შეიძლება გზაშიაც საღმე
დარჩენილიყვნენ. უკან დაბრუნება კი, როგორც ვთქვით, ძნელი
იყო, თუნდაც შუა გზაში დაღამებოდათ. ბოლოს ახლობელი ნა-
თესვები ერთმანეთს გადაკოცნიდნენ, არანათესავი ქალებიც ქა-
ლებს აკოცებდნენ, ვაჟები — ვაჟებს და სტუმრები წავიდოდნენ
შინ.

წასვლისას ყველას ეტყოდნენ: „ვეარ გეწერასთ ყველას: კაც-
საცა, დიაცაცა, დიდსაცა, ცოტასაც. მაღლობელნი ორთ თქვე-
ნის თაოზაისა, ჩვენ ღირსნ არ ორთ თქვენის ამბავ-ანაბრისანი.
ღმერთმა იმთვენ შაგვაძლებივას, რო ეს თქვენ პატივისცემა გა-
დავიკადათ“.

უფროს კაცებს ახალგაზრდები ცხენის უზანგას დაუჭირდნენ
და შესვამდნენ. ახალგაზრდები კი თავიანთ ცხენებზე იქ არ შეს-
ხდებოდნენ, ხელია წაიყვანდნენ, კარგა შორ მანძალს გაივლიდ-
ნენ და მერე შესხდებოდნენ. ცხენზე შეუჭდომლობა ნიშნავდა პა-
ტივისცემას სტუმრისათვისაც და სოფლისთვისაც, რადგან ხევსუ-
რეთში აკრძალული იყო სხვის სოფელში ცხენით სიარული. გზა
ისუ ხევსურის სოფელში მიღიოდა, სოფლის პირში მისული მგზა-
რები ცხენიდან უსათუოდ ჩამოვიდოდნენ და სოფელზე ფეხით
გაივლიდნენ. თუ ასე არ მოიქცეოდნენ, სოფლის ახალგაზრდები
უშულლარად არ გაუშვებდნენ. თუ ვინმე პატივსაცემი ან უფ-
როსი კაცი იყო, შულლს არ აუტეხდნენ, მაგრამ გამარჯვებას მაინც
არ ეტყოდნენ. თუ შემთხვევეთ სოფელში ცხენით ვინმე შევი-
დოდა და გამარჯვებას ვინმე ეტყოდა, მხედარი ცხენიდან ჩამოხ-
ტებოდა და ისე უპასუხებდა, შერცხვებოდა: — ცხენზე ვზივარ და
გამარჯვება ისე მითხრესო. ცხენიდან თუ არ ჩამოვიდოდა, ეტ-
ყოდნენ: „შენ ვინ ღვდითარი, რო ცხენზეით არ ჩამახვედ!?!“ თუ ის
ავად იყო, ეტყოდა: „უკაცრავად, აოდ ორ, ცხენზეით ჩამაგდომა
არ შამიძლავ. გაუგებრობაში ნუ ჩამომართომთ“. თუ ავად არ
იყო, მავრამ „მაწმიდარი“ კაცი იყო და „წვარით ხათრით“ ვერ და-
დიოდა სოფელში, ის ცხენით გაივლიდა და სოფლელებს ეტყოდა:
„მე სოფელზე ჯვარის ხათრით ვერ დაოლ. უკაცრავად ორ თქვენ-
თან“. მაშინ ისინიც ალარაფერს ეტყოდნენ.

ასე მოთავდა მასანახავის წესი. მასანახავის მიტანა შეიძლებო-

და, ვიდრე ბავშვს წელი გაუხდებოდა, მერე მისვლა სირცეალის
 იყო.

სტუმარებას პირნალობა მკვდრის მატირალურობა

ხევსურეთში სტუმარმას პინძლობა სხვადასხვაგვარია, ნამეტნა-
 ვად მკვდრის მატირლობაში. სატირლად დედიძმა სხვა წესით მიღის,
 დისტული სხვა წესით მიღის, სიძე-ცოლეული სხვა წესით და სხვა.
 სატირლად მიღიან მოსისხლენიც კი სრულიად განსაკუთრებული-
 წესით.

სოფელში თუ რომელიმე ოჯახში იყო, ყველას
 ეცოდინებოდა, რადგან აქ პატარა სოფლები არის. ავადმყოფი გარ-
 დაიცვლებოდა თუ არა, იმის „სალოგინეს“ გაიტანდნენ და თავის
 კარზე ცეცხლს წაუკიდებდნენ (სალოგინე ეწოდებოდა იმ ჩალას,
 რომელიც ივადმყოფს ჰქონდა ფარდაგის ქვეშ გაშლილი). ეს ნი-
 შანი იყო იმისა, რომ ივადმყოფი უკვე გარდაიცვალა. ცეცხლსა და
 ბოლს სოფლები დაინახავდნენ და მიხვდებოდნენ, რაც მოხდა.
 რაც უნდა მძიმე საქმე ჰქონდათ, მიატოვებდნენ და წამოვიდოდ-
 ნენ სატირლად. ხანდახან ჩაშლილ კალოს დაანებებდნენ თავს და
 ორ-სამ დღეს, დიმარხვამდენ, ჩალა გასაღეწია რჩებოდა. გა-
 რეთ სამუშაოზე თუ ვერ გაიგებდა ვინმე, ოჯახის წევრი წევილოდა
 და შეატყობინებდა, — კაცი გარდაიცვალა, საქმეს თავი დაანებე
 და შინ წამოდიო. ასე ყველანი ჭირისპატრონის სახლში მოიყრიდ-
 ნენ თავს. ზოგი მათგანი, კინც მაწმიდარი იყო, მიცვალებულთან
 ახლო არ მივიდოდა. მასპინძელია, ანუ ჭირისპატრონი „მაღალ-პან-
 ზე“ ავიდოდა და მას მოსული მაწმიდარი აქ უწყენდა ჭირს, ზოგი
 წინგარდაზე მოსული შორს დადგებოდა და იქ უწყენდა ჭირს, ზო-
 გი კი მიცვალებულთან ახლო მივიდოდა და იქ დაიქვითინებდა,
 მერე მობრუნდებოდა და „მაუმარჯებდა“ (ჭირს უწყენდა) ჭირის-
 პატრონს. ზოგებს ჭვარის გამო მიცვალებულთან ახლოს მისვლა
 „ეზარებოდა“, მაგრამ ჭირისპატრონის ხაორით მივიდოდა დასა-
 ქვითინებლად (კინც ახლო მივიდოდა, ეწოდებოდა „ნარევი“).
 მცტომ ჭირისპატრონის მოგვარები მომსვლელებს უთვალყურებ-
 დნენ და ასეთ კაცებს დაიქვერდნენ — აქედან იტირო. მაგ., არ-
 ხოტში მიცვალებულს ასვენებდნენ ბოსელში. მაწმიდრები ჭინ-
 გარდის ანუ ბოსლის საკომთან დაიქვითინებდნენ, ხოლო ვინც
 „ერეოდა“, ის შინ შევიდოდა. როცა ჭირისპატრონის მოგვარე და-



იქერდა მოსულს და ეუბნებოდა: იქ ნუ შეხვალ, აქედან იტირებული მოსული ის ისე დაიზიდებოდა, როგორც მტრისაკენ იწევს ხოლმე გამრა- რებული კაცი. ზოგი მობრუნდებოდა, ზოგიც ძალით შევადოდა და ქვითინებდა. პირაქეთ ხევსურეთში კი მიცვალებული წინგარდაზე ესვენა და იქ ტიროლენ ასეთივე წესით. არხოტშიც ჰველად გარეთ გამოჰყავდათ ადამიანი, როცა კვდებოდა. ეს მას აქეთ აუკრძალასთ, რომ ცრთი კაცი კვდებოდა თურმე და კვდომის დროს სახლიდან გამოუყავიათ. გონაუ მრასულა და უთვევამს — ჩემი სახლი ცო- ტახანს მაინც დამანებეთო. ხალხს შერცხვენია და გადაუგდიათ ეს წესი. ბუდეხევსურეთში კი ისევ ჩვეულებრივად არის, ე. ი. ავად- მყოფი გამოჰყავთ კვდომის დროს და წინგარდაზე ასვენებენ.

ტირილის შემდეგ ყველა „უმარჯებდა“ ჭირისპატრონს ერთ- ნაირი სიტყვებით, ისე როგორც დაწერილია მასანახავით მოსული სტუმრების „მომარჯებაზე“ ჭირის პატრონისათვის. ქალები ყვე- ლანი მიცვალებულთან მოდიოდნენ, გარდა მყითხავისა, ახელ „და- კოჭვილისა“ და „ჯვარის დიასახლისისა“ (დიასახლისი არხოტის ჯვარში და გუდანის ჯვარში იცოდნენ. ისინი წმინდობდნენ როგორც ზუგეს-ხელოსნები). ტირილისა და მიცვალებულთან დაკავშირე- ბული სხვა დანარჩენი წესები ცალკე არის აწერილი.

მოსული კაცები ისხდნენ ბანზე და საუბრით ართობდნენ ჭი- რისპატრონს, მერე წილს ყრიდნენ, როგორც ნათქვამია წილის ყრის წესების შესახებ სხვაგან. კერძოდ, დატერიდნენ წერილ და ნედლ ჯოხს ან ბალახის ღეროს პატარა ნაჭრებად; ყველა დანიშნავდა თვ-თავის წილს, დაიხსომებდა მას. ჩაყრიდნენ ქუდში, დაასახე- ლებდნენ ხევსურეთის რომელიმე სოფელს და ვისი წილიც ამო- ვიდოდა, ამ სოფელში ის წავიდოდა „მტყობიედ“ (შესატყობინე- ბლად). ამგვარად, ახალგაზრდებს ზოგს სად გაგზავნიდნენ და ზოგს სად (მტყობიე მკვდარის ხარჯის ანუ საქნარის დროსაც იცოდნენ. ასეთ დროს მტყობიე მივიდოდა იმ კაცთან, რომელთანაც ჭირის- პატრონმა მისვლა დავალა, ის თავის მხრივ გავიდოდა მაღალ- ბანზე და სოფელს დაუძახებდა: „ამა და ამ კაცს ამ მიცვალებუ- ლის საქნარი აქვ, მტყობიე მოვიდ, ვისაც წასვლია გვულავთ, წევ- დით, ნულარ დაღვიანდებით, ვისაც არ მავდისთ, ერთმანეთს გა- გებიეთ“. საქნარში ის წავიდოდა, ვინც ნათესავი იყო და არაყი ჰქონდა წასალებად დამზადებული. დიაცეპი და არანათესავები კი უარიყოდაც წავიდოდნენ.

ახალ მიცვალებულზე მისული მტყობიე კი ასე არ იქცეო- და; ის მივიდოდა სოფლის ნაპირას და გამოიძახებდა ჭირისპატრო-



ნის რომელიმე ნათესავს, რომელსაც თვითონ დაუსახელებდა რისპატრონი. ამ კაცმა თუ იცოდა, რომ ავად იყო და მოსალოდნელი იყო მისი ნათესავის გარდაცვალება, მაშინვე იეჭვებდა, რისთვისაც მოვიდა კაცი და გამოუძახა მას. იგი მტყობიეს ეტყოდა: „მახვე მშვიდობით“ (მტყობიეს არ ეუბნებიან გამარჯვებას. სხვა დროს თუ უთხრეს მამაკაცს — მახვე მშვიდობით, ის გაცხარდება: ქალად გამხადაო, და შუღლს აუტეხს). მტყობიე უპასუხებდა: „გადლეგძელა ლმერომ“. სანამ ამბავს ჰქითხავდა, მტყობიეს ეტყოდა: „შენ კას საქმეზე არ ეტყობი გაცვილი“. „შენს მტერსა, მოავეს მაუვიდას ეგეო, რაზედაც მე აქ მავედ“ — ეტყოდა მოსული და დაუმატებდა იმ ამბავს, რაზედაც გარჯოლიყო: ესა და ეს კაცი მოკვდაო. ნათესავი ძალიან დაინანებდა — ცუდი საქმე მომხდარია, შეიძლება ცრემლებიც გადმოყეარა, მაგრამ წესს მაინც არ დაქარგავდა და მტყობიეს ამბავს ჰქითხავდა; ამბის კითხვას რომ მოათავებდნენ, მტყობიეს სახლში დაბატივებდნენ და პურს იშმევდნენ. რა თქმა უნდა, ოჯახი ამ დროს არეული იქნებოდა და კარგად ვერ გოუმასპინძლდებოდნენ. შემდეგ მოპირდაპირე სოფლებშიც „გასახნებდა“ ეს აქაური კაცი — ეს ამბავი მომხდარია („გასახნება“ იცოდნენ ბუდეებესურეთში უფრო ზამთარში, როცა წყალი ჩახურული იყო და ხმა ადვილად გადიოდა). ერთი სოფლიდან მეორეში დაუახებდნენ. მეორედან მესამეში და ასე რამდენიმე სოფელს შეატყობინებდნენ. ყველანი გაიგებდნენ და საღაც ვინ ნათესავი იყო, ამ მიცვალებულის სატირლად წამოვიდოდნენ ყველანი. ზაფხულში კი მტყობიე ყველა სოფელში მივიდოდა, საღაც შიცვალებულის ნათესავი იყო. ჭირისპატრონი თავის ნათესავს შეუთვლიდა: თქვენ რომ წამოხვალთ, „დოლეში“ გასარევად ცხენიც წამოიყავნეთო. დოლში გასაქცევად ხევსურები ნათესავების ცხენებს ურევდნენ და ცხენის მიერ მიღებული ჭილდო რჩებოდა ნათესავს, ვისი მაგირეაც იყო ცხენი. ნათესავს თუ საღოლე ცხენი შინ არ ჰყავდა, მაშინ ითხოვდა მეზობლებში ან სხვა სოფლიდანც შეიძლება მოეყვანა კაი გამქცევი ცხენი.

ბუდეებესურეთში „ცხენ-დოლვიც“ და „რიგიც“ თავზე იცოდნენ, ე. ი. მაშინვე, როცა მიცვალებულს დასაფლავებდნენ. ამას ეწოდებოდა: „თავზე რიგი“. არხოტში კი ასე არ იცოდნენ. მიცვალებულის თავზე არაფერი რიგი არ იყო. შემდეგში, როცა მოასწრებდნენ მომზადებს, მაშინ გადაიხდიდნენ მიცვალებულის ხარჯს. ორ დღეს: პირველ დღეს საქნარი, მეორე დღეს სანთელინი ეწოდებოდა. ცხენ-დოლიც არხოტში საქნარ დღეს იცოდნენ. შეიძ-



ლება ვერ მოესწროთ საქნარები, ოღონდ ცდილობდნენ, რაც შეარცხულია
ძღვებოდა ადრე შეესრულებინათ მიცვალებულის ყველა წენი.

დები, ბიძაშვილები, მამიდები, დეიდები, მამიდაშვილ-დე-
იდაშვილები გაგებისთანავე მოემზადებოდნენ და წავიდოდნენ სა-
ტირლად. რა თქმა უნდა, ქალებს გამოჰყვებოდნენ მამაკაცებიც:
ქმრები, შეილები და მაზლები. ახლონათესავი ქალები მიცვალებუ-
ლის სოფელს რომ მიუახლოვდებოდნენ, დაიწყებდნენ ძახილით
ტირილს. სიტყვებს ყველანი თავ-თავისას წარმოსთქვამდნენ და მა-
ძახილის დაბოლოებასაც თავ-თავისებურს აძლევდნენ. მაგალითად
და რასაც იტყოდა, დააბოლოვებდა სიტყვებით — ძმათ — აღარ
მამეგები — ძმათ; ბიძაშვილებიც ძმობით აბოლოვებდნენ ძახალს,
მამიდა აბოლოვებდა: ზიწა შენს მამიდასა, მამიდასაო...
დედიდები: გნეაცვალოს დედიდა, დედიდაისაო...

მამიდაშვილები: ჩემო დედიძმიშვილო, ან ბიძაიშვილო ჩემო.

დედიაშვილი: ჩემო შინშო ჩემო (შინში — დედიაშვილი).

ქალება რომ ძახილით შემოდიოდნენ სოფელში, მათი თანამგ-
ზაქრი კაცები განუმებულნი იყვნენ (თუ პირიქითელი იყო და თავ-
ზე ვერ მოვიდოდა, გაზაფხულზე ბალავარზე სატირალად ისევ
სრული ამ წესით მოვიდოდა). მიცვალებულის სახლს რომ მოუ-
ახლოვდებოდნენ, მოსულებს ჭირისპატრონის გვარის კაცები და
თვითონ ჭირისპატრონი გამოეგებებოდნენ, ცხენებს ჩამოართმევ-
დნენ და ეტყოდნენ: „მახველით მშვიდობით“ (მიცვალებულის დროს
ქალს და კაცს ვყველას მშეიდობას ეუბნებოდნენ). ქალები ძახი-
ლით ტირილში გართულნი არაფერს პასუხობდნენ, კაცები კი ეტ-
ყოდნენ: „გიშველასთ ლმერომ“. ქალები პირდაპირ მივიდოდნენ
ძახილით და შემოეხვევოდნენ ცხელარს გარშემო, ამათ ძახილს ა-
ც-უვებოდნენ და აქაური ნათესავებიც ძახილით ტირილს დაიწყებდ-
ნენ. არანათესავი ქალები კი არ იძახდნენ, ისე ქვითინებდნენ და
ლერიიდნენ ცრემლს. აქაური ნათესავი ქალები ხშირად იმეორებდ-
ნენ ერთსა და იმავე შინაარსის სიტყვებს: „ყველგან კმა გაგრტყდა,
შენი კაცობა ვყველა მაკეთებში გაიგა, სახლ-კარსა დ ოჯახს რო-
თავი ანებებ“ და სხვა. ქალები როცა ტიროდნენ, ამ დროს კაცებს
დამხვდლური კაცები აუმღვებოდნენ წინგარდაზე; აქაც სოფლის მა-
მაკაცები ფეხზე ადგებოდნენ და მოსულებს მშეიდობას ეტყოდ-
ნენ (სოფლის მამაკაცები დღედაღმამ ჭირისპატრონთან იყვნენ და
საუბრობდნენ). კაცებმაც იცოდნენ მიცვალებულისათვის „დათვ-
ლა“ (მამაკაცის მოთქმას მიცვალებულზე დათვლას უწოდებდნენ).
ახლო მოკეთეს არც გამოაბრუნებდნენ მიცვალებულისაკენ მიმა-



ვალს. ის რომ ცხედარს მოუახლოვდებოდა, დაიწყებდა ხმაშენიშვილის საუბარს, შეიძლება ცრემლებიც გადმოყეარა, თუ ძალიან გული სტკიოდა. არ იყო დათვლა ყველასათვის სავალდებულო და იგი არც შეეძლო ყველას. უფრო ხნიერი ხალხი უთვლიდა. დათვლა ბუდეხევსურებს ეხერხებოდათ. არხოტში კი ძველმა ხალხმა იცოდა. მე მასსოვს სოფ. ახიელში გარდაიცვალა თათიათ მიხიელი. იმის სატიროდ გაზაფხულზე მოვიდნენ ნათესავები ჭუთიდან (მიცვალებული დასაფლავებული იყო და „ტალავარნი ისხნენ“). ერთ ხნიერ კაცს გოგიტას ეძახოდნენ. მოსულმა მიხიელს წინგარდიდან დაუთვალია: „მიხიელო, სტუმრებ მაგივიდეს, რად არ კარჩი გამახლ, სტუმარ რო მაგივიდის, არც იცოდი, მიხიელო, შინით არ გამასვლა, სიცილით მაგებება იცოდიდი, რახან მავიდიდით. გამაედ, მიხიელო, სირცევილი, ბევრს ნუ მაქოთებ“. ეს სიტყვები რომ დაუთვალია, მე პატარა ვიყავი და ვფიქრობდი: ის ხო მცვდარია და როგორ გამოვაო. ბოლოს გოგიტამ თქვა: „შენ თუ არ გამახლ, იპი, მე შამაოლ შენთან“ და შევარდა ქერხოში, იქიდან ისმოდა მისი ხმა კიდევ, სადაც მიხიელის ტალავარი ისხა. იქვე ახლო ფეხონი იყო და მინდია ოჩიაურმა, რომელიც ფეხოში იჯდა, თქვა: „ეეხლადამც შენ გამახლ ევვრ, რაჯელაც შენს დათვლაზე მიხიელ გამავიდ“. კაცები მუდამ ასეთი სიტყვებით უთვლიდნენ. დათვლა შეეძლო არანათესავსაც, თუ ის გულშემატკიფარი იყო მიკვალებულზე. მერე ხნიერი მოკეთეები ჭირისპატრონს ჭირს უწინდნენ. ჭირს არ უწყენდა სიძე, დისტული, ბიძაშვილი და დედობმა. მიცვალებულს თუ პაპა ცოცხალი ჰყავდა, ხნიერი ნათესავები იმასაც ერთ-ორ სამრიმარის სიტყვას ერტყოდნენ და ამა მთლიან ჭირის წყენის სიტყვებს: „ლმერთმა აცხონას (სახელი მკედრისა), არ იყვ საქერო -დ სიკვდილ კასაც კლავს. ეე ნარჩომებ შააჩვეწ ლმერთს, ლმერთმა ჭვარ დაგიშერას, ვინაც დაგჩ. კეცნ სიკვდილისად ორთ გაქენილნი. თავის დღე-წერას ვერცად ვინ დავემალებით, სიკვდილს სიმაგრის მეტ არა ეშველების. სიმაგრე გინდათ, რას გარგებსთ გულის მიცემა საგონისაღ“. როცა მოკეთე ამ სიტყვებს ეუბნებოდა, ჭირისპატრონი თოთო-ოროლი სიტყვით პასუხობდა: „ეჭ, აბა რა უცოთ, ჩვენზე ბეჩავ ვინ მაკვდების, რაის კაისად ორთ“.

არანათესავი კი მოლიანად ჭირს უწყენდა (ეს აწერილია მე-მასანახავე სტუმრების მიერ სოფლელი ჭირისპატრონებისათვის ჭირს უწყენაში). ბუდეხევსურეთში ჭირს უწყენდნენ პაპას, მამას, ძმას, დას, მამიდას და ბებიას, ყველას საითითაოდ, ბიძასაც კი.



არხოტში კი ჭირს მარტო ერთ კაცს უწყენდნენ, ვინც უფროსი იუბილეულია ამ იქანში. თუ ოჯახში მამაკაცი არ დარჩა, მაშინ ქალებს ჭირებით არავინ უწყენდა. ჭირს უწყენდნენ მოგვარეს და შეიძლებოდა ერთორ სიტყვას ხნიერი კაცები ბებიასაც ეტყოდნენ. ახალგაზრდა ქალს, დედაც რომ ყოფილიყო, ჭირს არ უწყენდნენ. ჭირისწყენის შემდეგ გამოვიდოდნენ მამაკაცები და დასხდებოდნენ ბანზე სოფლის ხალხთან. სოფლის ხალხი მათ ჩვეულებრუად ამბავს ჰყითხავდნა, მერე საუბრობდნენ ხევსურეთში ახლად მომხდარ ან ძველ ამბებზე. ქალები კი, როცა ტირილით დაიღლებოდნენ, მერე ეტყოდნენ მშვიდობას სატირლად მოსულ სხვა სოფლის ქალებს და ამბავსაც ჰყითხავდნენ. ქალები, უფრო დაინტერესებულნი მიცვალებულის ამბებით, გამოიკითხავდნენ, როგორ იყო ავად ეს კაცი, რას ლაპარაკობდა ავადყოფობის დროს, რა თქვა სიკვდილის დღეს, რა დროს მოკვდა, ვინ იყო იქ, როცა ეს კაცი კვდებოდა და სხვა.

პირველ მისელაზე მცვდრის მოტირლები: დისტული, დედი-ბმა და სხვა ახლო ნათესავები „იარაღთ არ აისხმენ“ (იარაღია: ფარი და ხმალი). ხანჭალი და ჯოხი კი ჰქონდათ. იარაღთ ასხმა ამ დროს სირცევილი იყო: მას როგორც მგლოვიარეს და უიარაოს, მტერიც რო შეხვედროდა, შულლს არ გაუხდიდა, თუ ის სატირლად მიდიოდა. სატირლად მიმავალი და მგლოვიარე ცენსაც არ შეუკრავდა ძუას დოლზი წასვლამდე. ძუას შეუკრავდა მარტო დოლზი: „იარაღთაც“ მგლოვიარე კაცი თუ წაიღებდა, მაშინაც უკუღმა აისხამდა. ცენსაც პირში ლაგიმს არ ჩაუდებდა, ისიც ავშარით დაყავდა. სადაც დაჭრელებული იყო ტანსაცმელზე, ყველგან მუქი ქსოვილის ნაჟერს დააკერებდნენ. ტირილის შემდეგ ქალები ქალებს და კაცები კაცებს დაპატიჟებდნენ თავიანთ სახლებში პურის საჭმელად. ზოგი ვის წილყვანდა და ზოგი ვის. მიცვალებულის დროს სოფელში ხორცს არ ჰამდნენ, განსაკუთრებით მიცვალებულის მოგვარეები. ამიტომ წაყვანილ სტუმრებს ხორციან საჭმელს არ აჭმევდნენ; ერბოს, ყველს და სხვა რამე რძის ნაწარმანიართმევდნენ. თუ არაყი ჰქონდათ, არაყსაც დაალევინებდნენ.

* ჰყევრის სატირლად მოსული დისტული ჭირს არ უწყენდა. მხოლოდ ტიროდა; არც დედისმა უწყენდა ჭირს. ტირილიდა დათვლა კი იყოდა იმხაც. სიმე არც ჭირს უწყენდა და არც ტიროდა, არც თავისი მოგვარეები უწყენდნენ ჭირს, ისე კი ტიროდნენ ყველანი, ვისაც შეეძლო. დანარჩენი ხალხი ჭირისპატრონს ყველა ჭირს უწყენდა, გზაშიც რომ შეხვედროდა შელვათავებამდე, ე. ი. ვიღრე გარდაცვალებით ართი შელი შესრულდებოდა, უწყენდნენ ჭირს. შელი რომ გაუხდებოდა, მერე ჭირს აღარ უწყენდნენ.



თუ არაყი ჰქონდა სოფელში ვინმეს, მაშინ ან ჭირისპატიონის სახლში მოიტანდნენ ან ჭირისპატრონს წაიყვანდნენ და დამტკიციანდნენ, რო მწერალება და დარღი გაეფარტათ მისთვის. ამ დღეს სოფელში სასმელი ვისაც ექნებოდა, პირველ რიგში ყველანი ლოცავდნენ ახალმიცვალებულს. მოსული სტუმრები და მასპინძელიც პურის ჭამდნენ და მერე ისევ წავიდოდნენ ჭირისპატრონის ბანზე. იქ მოსულებს ფეხზე ადგომით შეხვდებოდნენ, მაგრამ სკამებზე მოწვევა არ იცოდნენ, სადაც ვის სურდა, იქ დაჭდებოდა (ყურადღება არ ექცეოდა საუფროსო და საუნცროსო სკამს).

სტუმრების შოყვანილ დოლის ცხენებს მასპინძლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მხედრები ცხენებს რომ მოიყვანდნენ, მიაბარებდნენ უფრო თავის შახლობელ და საიმედო ოჯახებში, რომ არავის ეღალატი და ცხენებისათვის სვილი არ ეჭმია (სვილი არის ჭვავი). სვილი თუ დოლის ცხენს აჭამეს, იმოქმედებს და გაბერავს, ველარ გაიქცევა და შეიძლება მოკვდეს კიდეც გზაში. ამიტომ ასეთ ცხენს ვისაც მიაბარებდნენ, ფრთხილად იყო, რომ გაცულლურებული მხედრები არ შეპარულიყვნენ და მიაბარებული ცხენისათვის სვილი არ ეჭმიათ. მასპინძლისათვის დიდი სირცხვილი იყო სტუმრის ცხენის შეუნახელობა. თუ მოხდებოდა, რომ ვინმე მოახერხებდა ღალატს, მაშინ მასპინძელი გადაემტერებოდა მას და თუ დამნაშავე ერთ საკლავს არ მოუყვანდა და არ ითხოვდა პატივებას, დასჭრიდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთ ამბავს მოჰყოლია „მაქ-ლავ-მაქცევდრობაც“.

საფლავის თხრაში სტუმრებს არ მოიხმარებდნენ, აღვილობრივ მცხვრებლებს უნდა გაეთხაროთ. კუბოს აწევაში კი სტუმრებიც მოეხმარებოდნენ. დოლის ცხენები რომ გამზადდებოდა და ცხენთ მოიყვანდნენ ტაბლასთან, სტუმრის შოყვანილ სადოლე ცხენებს გამოიყენდნენ მასპინძლები, ვისაც ისინი ებარა. აქ ქერი იყო ფარდაგზე გაშლილი, ცხენებს მიუშევებდნენ და აქმევდნენ. მერე მივიდოდნენ ცხენებთან, შეუკრავდნენ ძუას, გაუკეთებდნენ პირში ლაგაშს და შათ თავის პატრონებს გადასცემდნენ (აქ მიცავალებულის კულტზე ნაწილობრივ იწერება, კერძოდ, ის, რაც ეხება სტუმარმასპინძლობას. დანარჩენი ცალკე არის აწერილი). მხედრები რომ თავთავის ცხენებს ჩაიბარებდნენ და მოამზადებდნენ, თვითონაც მოემზადებოდნენ: ცხენებს საორიენტირებელს წელზე შემოაკავდნენ, თვითონ კი კელისაკოცებს მოიხვევდნენ. ჭირისპატრონი ეტყოდა: „თქვენი ჭირიმეთ, მაგროვდითა ჩემთან“. როცა ისინი მიერთოდნენ, მასპინძელი ეტყოდა: „თქვენ ეხლა მკედრებ ყველა აქ ხართ,



აქაურიცა -დ სტუმარიც. აქამდენ სტუმრებიც იყვერითა, მასპლიზმუნებელი ლებიც. ეხლა ყველა მკედარი ხართ ერთნაირად. ყველა ჩემ ჭირის გამო იუჯებითა -დ მიზდით თავმკიდებარ გზაზე. ეხლა თქვენ ყველა ერთნაირად ხართ წერდად, ვინაც თქვენ გაგაფავრებსთ, ის ჩემ გამჯავრე-ი ას. ეხლა თქვენ წახოლთა -დ იდენთ, რაკელაც მკედართ წესი ას. გზაზეით ნუ ვინ დაბრუნდებით, თორე გზაზეით დაბრუნვილს დოღვი არ მიეცემის“. იგი ერტვის რომელ სოფელში უნდა მივიღნენ, იქ ტაბლას ვინ დაუდგამს, მერე იქიდან სხვა სოფელში და ბოლოს „ძალას საიდან იქმენ ცხენნი“ (რომელ სოფელშიც ნათესავი ჰყავდა და ცხენს ურევდნენ, ისინი ყველანი აზხადებდნენ და დგამდნენ „ცხენთ ტაბლას“. „ცხენნი“ ყველა ტაბლაზე მივიღოდნენ და ბოლო ტაბლიდან გამოიქცეოდნენ, რაც ვისაც შეეძლო. მანამდე კი აუჩქარებდლად მიღიოდნენ). ცხენ-მკედართ მისვლას ტაბლებზე ყველგან მიეგებებოდა ხალხი და ასე მიმართავდნენ: „გამარჯვება ცხენ-მკედართ, წელიმც მაგემართებისთ“ ტაბლასთან ბლომად ხალხი მოიყრიდა თავს ცხენთ რბოლის საყურებლიდ. სხვა ადგილებზე თუ ცხენები ნელა მაღიოდნენ, სოფელს რომ მიუახლოვდებოდნენ, ძალიან გაკენებდნენ, ტაბლასთან ძალზე ჭენებით მივიღოდნენ და ჩამოხტებოდნენ. ახალგაზრდები ცხენებს ჩამოართმევდნენ და გაცარ-გამოატარებდნენ, რომ არ გაცივებულებუნენ.

მხედრებს კი ტაბლის პატრონი მიიწვევდა, დაალევინებდა არაყს და ჭიმასაც შეპატიუებდა. საჭმელად იკოდნენ კაცეულები და კუბატ-ქადისკვრები, ერბო, აღულებული რძე ერბოთი, კაცეულებს ცოცოტის ყველა შეჭამდა. ჭამის დაწყებისას ასე დაილოცებოდნენ: „ლმერთო, უშველ ამ მასპინძელს, მარწეზე ნულარაზე დახარგავ. კლოვ სალხინო ტაბლა ამზადები მაკეთისასაცა -დ შინაც ლხინ მიეც. კარგად უმყოფე მკედრებიც. მგზავრობაში მაუმართი კელი, მარჯვეზე ნულარაზე გაეჭი“. ჯერ მასპინძელი დალოცავდა სუფრასაც და არაყსაც იმ მიცვალებულისათვის, ვისიც დოღი იყო (დალოცვა ისეთივე წესით იკოდნენ, როგორითაც სხვა რომელიმე ტაბლა ილოცებოდა მიცვალებულისათვის. იგი აქვე, ზემო თავში, არის ორწერილი). მერე მზედრებს დაალევინებდნენ არაყს ყანწებით. დალევამდინ ისინიც დაილოცებოდნენ: „მასპინძელო, აგაშენას ლმერთმ, ბარაქა მაგცას, მშვიდობით გამყოფას. დღეს მაკეთის თავზე ეს ჭირის სუფრა გიდგასა -დ დღეს ამას იქით მაკეთისასაც ლხინზე მიგიუვანსა -დ შინაც ლხინის ტაბლა მაგცას. მკედრებო, თქვენაც დაგლოცნასთ,



გადლეგძელნასთ, კელ გიმართასთ გზაშიაც. მგზავრობაშიაც: „^{უსახულოების მიზანია მისამართის გადასაცემი}“ გადლეგძელნასთ, აქ შამსწრობილ ხალხი. გადლეგძელნასთ ისჩ, რომ თქვენაც ამას იქით ლინის სუფრაზე გამყოფნასთ მუდამ. შაუნდნას იმას კი, მაავმარას, ვისადაც დალოცვილი ეს ტაბლაი -დ სასმელი„..შაუნდნას ლმერთმ“ — ეტყოდნენ სხვებიც. ასე არაყს დალევდნენ. მერე უცბად ყველა მიირჩენდა თავთავის ცხენებთან. ჩამოართმევდნენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მათ აქა-იქ ატარებდნენ, უცბადვე შესხდებოდნენ და გააჭერებდნენ. „კელ მაგიმართასთ ლმერთმ“ — მიაძახებდნენ ყველაზი, ვინც აქ იყვნენ მაყურებლად მოსულნი. ცხენებს გააჭერებდნენ მანამღრი, სანამ ამ სოფლის თვალს არ მოეფარებოდნენ, მერე ჩამოხტებოდნენ და ისევ ხელით მიჰყავდათ (ცხენის ხელით ტარებას ეწოდებოდა: „შაქვეითება“) იმიტომ, რომ ცხენები არ დალლილიყვნენ და ძალის ქმნის შემდეგ არ დავარდნილიყვნენ გზაში. ბოლო ტაბლაზედ რომ მივიდოდნენ, საიდანაც ძალი უნდა ექნათ, აქ კი თავის ცხენს ადვილად სხვას არ ანდობდნენ, იმიტომ რომ ზოგჯერ იცოდნენ დალატით ცხენზე შეჯდომა და გაჭერება. მხედრები აქედან არსად ისვენებდნენ, რაც შეეძლოთ მიაჭინებდნენ ცხენებს და ხან უქვეითებდნენ. ლალატის შიშით კირისპატრიონი ცხენთ როცა პირეელად გამოისტუმრებდა, ყველა მხედარს ჩამოართმევდა მათრახებს, ერთ-ერთს თავის მახლობელ მცედას ჩააბარებდა და ეტყოდა: „ბოლოს ტაბლაზე რომ მიხოლთ, სათაც ძალას იქ, ეს მათრავებ მაშინ მიეც. ვინაც თავის მათრავს თავის კელით არ მარტანს, იმასაც დოლვ არ მიეცემის“. ამიტომ უკანასკელ ტაბლაზე ვისაც მათრახები ჰქონდა, ჩააბარებდა პატრიონებს და მერე მედოლეებს ნება ჰქონდათ, ვისაც როგორ უნდოდა მოქცეულიყო. უკად შესხდებოდნენ ცხენებზე და იქმოდა ძალა ყველა. ვისაც ცხენის იმცდი არ ჰქონდა, ისინი უკანასკელ ტაბლაზე კარგად მოიგვიანებდნენ, სეამდნენ. ჭამდნენ და თავისუფლად წამოვიდოდნენ. ცხენები რომ ძალაშინარები გამოიქცეოდნენ, მხედრები აღმართ-დალმართზე ძალიან ილლებოდნენ. ცხენიც სულ გაჭერებული ვერ მიდიოდა, რადგან ხეესურეთში დადი აღმართ-დალმართი გზებიც და ლოლება. ამიტომ იცოდნენ აღმართებზე მვებრები. მგებრი იყო ახალგაზრდა კაცი, რომელიც მხედარს შესცვლიდა, მხედარი კი გზაში დარჩებოდა. დასვენებული მგებრი ფერ შეუქვეითებდა აღმართში და როცა დაილებოდა, ცხენზე შეგდებოდა, მერე ისევ ჩამოხტებოდა და კიდევ შეუქვეითებდა. ასე გრძელდებოდა მეორე და მესამე მგებრის გამოცვლითაც კი. მგებ-



ჩემი ხანდახან ცხენების ღალატიც იცოდნენ, როცა პატრონი კარი ხელავდა. ომართში ერთ ცხენს შეაჩერებდნენ და მეორეს გადაჰყოფდნენ. ამნაირად ცხენები და მგებრები მიაწევდნენ დანიშნულ მიზნამდინ. მისულ ცხენებს აქ ბევრი ხალხი მოეგებდოდა. ახალგაზრდები ოფლიან ცხენებს დისხანს ატარებდნენ. როცა მოგროვდებოდა ცველა მხედარი, ხალხი მიეგებდოდა და ეტყოდა: „კელიმც მაგემართებისთ“. „გიშეველასთ ღმერთმ“ — უპასუხებდნენ მხედრები. მერე მასპნძლის მოგვარეები ან სოფლელები, მასშინძლის დავალებით, მხედრებს წაიყვანდნენ და ერთს თავისუფალ ჭერხოში საძმე ცველას ერთად დასხამდნენ. მუტანდნენ „მჯედართ ტაბლას“. აქ ორი-სამი ზედამდეგი დაუდგებოდათ და მიქვნდათ ჩათ სუფრაზე რაც კი ამ მიცვალებულისათვის სასმელ-საჭმელი იყო დალოცვილა. თუ თავზე იყო ცხენ-დოლი, არავის და ხავიშის გარდა არაფერი ექნებოდათ ტაბლაზე. თუ ცხენ-დოლი და საქნარი გვიან იყო (როგორც არისტში იცოდნენ), მაშინ მომზადებული ჰქონდათ ტაბლისათვას ცველაფერი: ხავიში, ხორცი, ლუდი, არაუი და სხვა. მხედრების განსაკუთრებული ტაბლა ჰქონდათ, სხვას არავის შეეძლო იქ შესვლა და რაც შეიძლებიდა დიდ პატივსაც სცემდნენ მათ. მხედრები იყენენ სალთად, პერანგიანები, უქამ-ჩიოდ, უარალოდ. ჩხუბი ხშირად იცოდნენ. სხვა იარალი რომ არ გაიჩნდათ, ჩხუბობლენ მათრახებით და ღაშიებით. არა მარტო აქ, გზაზედაც იშულლებდნენ. როცა ცხენებს მგებრები წაიყვანდნენ და მხედრები გზაზე ერთიმეორეს დაეწეოდნენ, იშულლებდნენ კვე-ნების ლალატით გამოქცევაზე და სხვა. გაამეშველებდნენ ისევ მხედრები. მასპინძლი შულლის დროს არავის მხარს არ დაუჭირდა. სტუმრები და ადგილობრივი მხედრები ცველა ერთნაირად პატივ-საცემად ითვლებოდა მასპინძლისათვის. ტაბლის დადგმის, პურის გატეხის და ბურის ჭაბის დამთავრების დროს ილოცებოდნენ ერთნაირად: „ღმერთო, უშველ მასპინძელს, მარჯეს ნულარას მისცემ, ლხინზე შაუცეალი, სალხინო სუფრა დაუდგი ღლეს ამას იქით. კარგა უმყოფენ ე მჯედარნიც, მარქეზე ნულარაზე ვის გაუკვი“. ასე დააბოლოვებდნენ მხედრები წესებს და მხედრებს დოლის ჭილდოს ჩააბარებდნენ ის კაცები, რომლებიც დოლის დაყენებაში ლებულობდნენ მონაწილეობას. ამ კაცებს ეძახოდნენ „მედოლვეებს“. ისინი ზეპირად იხსომებდნენ, ვის რამდენი და რომელი დოლი ეკუთვნოდა. შერე დოლს მხედრები თავისებურად გაინაწილებდნენ და გამოვიდოდნენ სხვა ხალხში.

როცა იჭინებდნენ ცხენებს, მხედრები „ლვედრიდე“ ხან თავის სახელს, გვარს, ცხენის სახელს და ხან ლექსებს კაფიაობდნენ



გაჭენებულ ცხენებზე მსხლომნი. ცხენების სახელები იცრუნებია შავრა, ლურჯა, წითლა, ნიშა, ნიკორი, ფექტეთრი, თვალთეთრი, სხვა მრავალი. მხედარი როცა ცხენის ჭენებით კმაყოფილი იყო, ხანდახან ხმამალლა დაიძახებდა ცხენის სახელს: აბეჩავ, ლურჯაო! ან წითლაო და სხვა. ამას იძახოდა ხმამალლა, რასაც ეწოდებოდა „ლურჯრა“. ხანაც ისეთ ლექსებს იტყოდა ხმამალლა, რაც შეეფერებოდა ცხენის კარგ სიჩილს. მაგალითად:

ცხენისა მაწიონს სიმალლე, დაჭრუხილები ნალები,
დაკვართვილობა მხედრისა, დატყვრეცილები თვალები.

ასეთივე ლექსებს მგებრებიც იმეორებდნენ უფრო მაშინ, როცა ცხენებზე ისხდენ, ცული გზიდან კარგ გზაზე გავიდოდნენ და ცხენების უფრო სწრაფი გაქცევით ასიამოვნებდნენ მხედრის გულს:

სალდათ მიუდის, მმბობენ, არჩევენ ცხენისანსაო,
აქ კი ღიური თვალთეთრო, იქ მე მაგივან ჭკვასაო,
გახტოლებ ბექ-ბუქიანზე, არ მიგაყოლებ გზასაო.

შამარბის გაგაის ცხენი, შამანათებს ნალთაო;
მაღვედრის მაგის პატრიონი: დავინახევრებ ჭართაო;

კექსური გრძურევენ, კირჩილაო, ლურჯი აქნივა სახელი,
კექსურებს მიუც ლურჯაო, თუ მარჯვე ას საქნელი.

ასეთ ლექსებს, როგორც ვთქვით, ცხენზე მჯდომი დასალვედრად იტყოდა. გახალისებული მხედრები სოფელს რომ მიუახლოვდებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ ლვედრიდნენ. ლვედრის გამგონე ხალხი თეოთნაც ხალისიანად შესძახებდა: „აბეჩავ, შავრაო, ან წითლაო, ნიშაო! არიქ (სახელი მხედრისა), დახვარ, დახვარ, არ მაგეწიგნან“ და სხვა ასეთები.

დოლის და ცხენ-მხედრობის შემდეგ მხედრები ხალში რომ გამოვიდოდნენ, მთელ დღეს იმაზე ჰქონდათ საუბარი, ვინ როგორ გამოაჭენა ცხენი, წინ ვინ წამოვიდა და ვინ უკან, ვისი ცხენი დავარდა და ვისმა მოუმატა ბოლო დროს სირბოლს, ან მგებრები ვის როგორ დაეხმარნენ და სხვა.

მოსულ სტუმრებს მასპინილის გარდა, როგორც ვთქვით, სოფელში ყველანი ეპატიუებოდნენ პურის საჭმელად. ყველა წესები რომ მოთავდებოდა, სტუმრები მოემზადებოდნენ წასასვლელად. ასინი იტყოდნენ: „კვარ გეწერას, მასპინძელო, ღმერთმ მარცხი ნულარა მაგცასთ, დღეს ამას იქით მარჯე ნულარა მაგცასთ, ლხინზე შაგიცვალასთ ტაბლაიცა -დ სტუმარ-შაჟეთეთ მაღდენიც. ღმერთმა დღეს ამას იქით სალხინოდ მაგვიცვანნასთ. თქვენ გულ ღმერთმა



ლხინის ნახეთა -დ კაით გაურჩას“. ჭირისპატრონი (იგივე მასა-
პინძელი) ეტყოდა: „გვარისამიც წყალობა-ი გაქვთა -დ ხთისა. თუ მუშა-
რო გზან გამაიარენითა -დ თავშაიშუხეთ, ჩვენ არც მოელნი ვღირ-
ორთა -დ არც მკვდარნი, ღმერთმა თქვენ ლხინზე გადაგვაკლის
თქვენ მახლვა-მაკითხულობა“ წასული, ე. ი. გამართული, სტუმ-
რები ეტყოდნენ „გასამაგრებელ“ სიტყვებს: „გულზე მედიოთ, გა-
ტეხა სიკვდილს არ არგებს. მკვდარს აღარა მიეწევის, ნათქვამი ას,
რო კას მკვდარსავ კა ზედამრჩო უნდავ. კა ზედამრჩო იმას ხვი-
ან, რო დუშმანთ გულისად არ გაქდას, არ გაბეჩავდას, მკვდარსაც
კარგად მაუარასა -დ ცოცხალთაც კარგად ინახევდას. კაცნ სიკვდი-
ლისად არიან გახენილნი, ზოგ მალე მაკვდებისა, ზოგ გვიან“ მას-
პინძელი კიდევ თავის სიტყვებს ეუბნებოდა: „ეჰ, ჩვენზე ბეხავ ვინ
მაკვდების, ბევრიც რო ვიბეჩავათ, აბა სხვას რა ვის ურგავ, ჩვენ
რასალ ვარგებთ. რამთვენ იჯოცების ჩვენზე კაი ხალხი, ჩვენ კელ-
ზე წყალსაც არ დაგვასხმევენ. თუ სიკვდილს რა ეშველებოდ, ისეებ
აშველებდეს, რომნებსაც ბევრიც შაუქლავა -დ ბევრს კასაც დას-
ცდებიან. აბა ჩვენ რა კა დაგვცდების ან მთელთა ან მკვდართ“.

სტუმრები წასასულელად ერთბაშად გეგმართებოლნენ. ხალ-
ხი მათ გასაცილებლად გაჰყვებოდა, თუ სასმელი ჰქონდათ, სას-
მელსაც გააყოლებდნენ, თუ არ ექნებოდათ, მაინც ყველანი სოფ-
ლის ნაპირამდე გაჰყვებოდნენ. აქამდე ცხენებსაც მასპინძლები გა-
მოიყვანდნენ. ქალები და კაცები ყველანი გამოემშვიდობებოდნენ
ჭირისპატრონს. წასვლისას კიდევ იტყოდნენ ყველანი: „გვარ გე-
წერასთ, ღმერთმა ნულარათ დაგაწუხნასთ“. „კელ მაგიმართასთ,
მშვიდობით წახეიდით“. კარგა შორს გაიკლიდნენ, ცხენებზე
შესხდებოდნენ და ნელ-ნელა წავიდოდნენ.

სტუმრმასპინძლობა საჭნარში

ჩვენ შევეხეთ თავზე რიგსა და ნაწილობრივ ტალავარზე მო-
სული მატირლების სტუმრობის წესებს. აქვე შევეხებით იმ რიგების
სტუმარმასპინძლობას. რომლებიც გარდაცვალების შემდეგ გვიან
სრულდება. მაგ., საქნარ დღეს, სანთელ დღეს, სხვა წვრილმან ხარ-
გებს წელთავებას და სხვ. საქნარდღისათვის ჭირისპატრონი მო-
ამზადებდა ლუდს, არაყს და პურს. მისი სამზადისი მოკეთებმა
ჭირისპატრონი იცოდნენ და ისინიც ემზადებოდნენ ამ დღისათვის. მო-

კეთე-ნათესავები რაც შეეძლოთ, გამოხდიდნენ არაუს და დეპოლნენ მტკობიერ მოსვლას.

ჭირისატრონი საქართველოს დაუძახებდა თავის სახლი-აცებს, ზოგჯერ თავის სოფლელსა და დაიწყებდნენ მზადებას სტუმრების მოსვლისათვის. მეჩე შეუთვლიდნენ ახალგაზრდებს და ვაგზავნიდნენ სხვადასხვა სოფლებში მტკობიერად. მტკობიერ მიიყვანდნენ კოდებთან, სადაც არაუი და ლუდი ინხებოდა და და-ლევინებდნენ (ლუდი, ერთი კოდი, წინა საღამოს ჰერნდათ გახსნილი „მეცურეთ ვახშამზე“), მერე ჭირისპატრონი ყველა მტკობიერ დაავალებდა, ვის „აძახებიებდა“ ამა თუ იმ სოფელში, დაძახების გარდა სოფელში კიდევ რომელ კაცებთან მისულიყო და განსაკუთრებით ეწია (დაეპატიუა). აწევდნენ უფრო პატივცემულ კაცებს, ამ ოჯახის ნათესავებსა და უნათესაო მეგობრებს. უფრო უფროს კაცებს, რომლებიც ადვილად არსად წავიდოდნენ. ზანდახან მიცვალებულის ქუდის ამოილებდნენ მისი ტალავრიდან და გაგზავნიდნენ ისეთ კაცთან, ვინაც იცოდნენ, რომ ადვილად არ წამოვიდოდა. ამ ქუდით სთხოვდნენ წამოსულიყო, რადგან ჭირისპატრონს მისი მოსვლა ძალიან უნდოდა და აუცილებლად მიაჩნდა. ქუდს გაუგზავნიდნენ იმრომ, რომ თავისითავად ქუდით თხოვნა ხევსურეთში ძალიან პატეგვასუმი მოვლენა იყო და ქუდით მთხოვნელს თხოვნას უსრულებდნენ. შიკვალებულის ქუდით თხოვნა კი უაღრესად დიდ თხოვნას ნიშნავდა. ამითი ვისაც აწევდნენ, ის აუცილებლივ მოვიდოდა საქართვი. მტკობიერ სოფელში პირდაპირ ერთ-ერთი მოკეთის კარზე მივიდოდა, რომლის წევაც დაავალა ჭირისპატრონმა. მტკობიერ სოფელთან ჭერ ცხენიდან ჩამოვიდოდა. მტკობიერ დაძახებისთანავე მასპინძელი გამოეგებებოდა და ეტყოდა: „მასვე მშვიდობით“. „გიშველას ღმერთმ“—უპასუხებდა მოსულიც. მასპინძელი ცხენს გამართომევდა და დააბამრა, მერე შეიყვანდა სახლში მტკობიერს, რომელიც იტყოდა: „აგაშენასთ ღმერთმ, კლოვაც სალინო მაწევარ მაგიოსთ მაკეთისითაც, შინაცამც სალინოს ამზადებთ“. ოჯახის წევრები ფეხზე დაგეშოდნენ და ეტყოდნენ: „მასვე მშვიდობით“; „მშვიდობით დამხვდითა, ცარგად“—ეტყოდა მოსული. მას მასპინძელი სკამზე მიიწვევდა. ყველანი ამბავს ჰკითხავდნენ, ისიც უპასუხებდა ისე, როგორც ზემოთ აღწერეთ. ამის შემდეგ მასპინძელი დიაცებს ეტყოდა: არაუი მოგვიტანეთო. რომ შოიტანდნენ, დადგამდნენ ჰურჭლებით ყვერფში. დიასახლისი ტაბლასაც მოიტანდა და ზედ ხორცის ყაურქას, კეცეულს და სხვა სანოვაგეს დაალაგებდა. დასხამდნენ სასმელს. მასპინძელი სხვებ-



საკ მისცემდა ყანწებს და პირველი თვითონ დაილოცებოდა: „შენ თავ დაგვილოცას ღმერთმა, გაცოცხლას, გადღევძელას, მშეიტომანია ბით გამყოფას, უჭილობა ნუ დაგივარგას, კლოვ ლხინის მაწევრად გავლივას“. მერე ჭირისპატრონის სახელს იტყოდა: „ღმერთ ააშენას, ბარიქა მისცას, მარკე ნულარა მისცას, დღეს ამას იქით სალინო სტუმარ უდინას. ეს ჭურჭლებიცა -დ ეს დავსებულ ყანწებიც შაუნდნას იმას, ვრცაც გულისად ნამზადები. ეს სასმელი, ეს ტაბლიც იმას შაუნდნას, თუ ვისად ემეტებოდასა -დ ჩვენ ვერ ვვონიბდათ, თავის ნებითამც დაიწევს, იქაურით წეს-სამართლით. შაუნდნას ღმერთმ, მააქმარას, ქრისტიანობის გამჩენმ“ — იტყოდა ბოლოს და სხვებიც ამ უკანასკნელ სიტყვას გაიმეორებდნენ. მერე შოსულიც დაილოცებოდა: „აგაშენას ღმერთმ (მასპინძლის სახელი), ბარიქა მაგცას, ამას იქით სალხინოდ გამზადას მაკეთისასაც, შინაც ლხინ მაგცათ. მანდილოსნებო, გაგახარნასთ, გაგალაღნასთ, ტანით მოლად, გულით მხიარულად გამყოფინასთ. შაუნდნას, ვისაცაც ილოც, მააქმარასა, თქვენს სახლს ბარაქ მისცას“. ასე დაილოცებოდნენ და დალევდნენ ყველანი.

მტყობიერ რომ პურს აქმევდა, მასპინძელი ბანზი გავიდოდა და სოფელს ხმამალლა დაუბახებდა: „სოფელო, გაიგონეთ, მტყობიერი მასული. საქნარი აქვ (სახელი ჭირისპატრონისა). წამასვლას ვინაც შასწონთავ, წამეედითავ, ვისაც მაგდისთ, — მაგდისთა, ვისაც არა, ერთმანეცს გააგებიერ, წეედით, ნულარ დალგიანდებით. მასპინძელსაც მილოლინი აქვ. მემრ უამჯარს უნდ ქნა. მაკეთის მისვლას ულიან, მანამდინ ვერას იქმნენ. ნულარ დალგიანდებით, თქვენს დღეგძელობას“. მერე მაღალანიდან ჩამოვიდოდა და მტყობიერ გაპყვებოდა იმ კაცებთან, ვისთანაც ქუდი წალებინეს და ქუდით თხოვა დაავალეს. მტყობიე ქუდს ამოილებდა და ეტყოდა შისპინძლის სახელს: „აი ეს ქუდ შენთან წამამალებივ, ტალვარშიით ამალებული. თუავ გააჩნავავ რაადავ ჩვენივ ან მკვდარიო -დ ან მოელივ, აი ემ ქუდით გთხოვავ (ქუდის პატრონი მიცვალებულის სახელს ეტყოდა), რო არ დაზღავ, წამაედივ. მე ის მინდავ, რომ სხვათ მაკეთეთან შენაც მყვანდავ, თორე წვალების მეტს კი რას კას მაგაველვიებთავ“. ის უპასუხებდა: „მადლობელი ორ, ღმერთმა ბარეკე ნულარა მისცას. ღრრ არცათ მქონდ წამასვლისა, თორე წევაიც რად მინდოდ, მე თაოდ წამოვიდოდი. ეს მეტისმეტი ას ი ქუდის ამალება ტალვარშიითა -დ აქ გამატანება. ქვე თუ წამაოლ, აბა რაი ვქნა. მე იმაად ვიყავ, რო უნცროსებ წავიდანავ. მე ალაც



თუ ისეთი კაცი იყო, რომ მისი წასვლა მაინც საეჭვო იყო, მაშინ ჭირისპატრონის დავალებით, მტყობიე ან დაუცდიდა, ან ამ მიცვალებულის ქუდს დაუტოვებდა, რომ ნაწევ კაცს თვითონ წამო-
ელო. პირველი მასპინძელი მაწევარს ისევე სახლში მიიყვანდა და
კიდევ დაალევინებდა არას. მერე ცხენს მოუყვანდა, გამოეშვი-
ლობებოდა. თუ სოფლები ერთსა და იმავე გზაზე იყო, სხვა სოფ-
ლებსაც გაივლიდა, დააძიხებინებდა მტყობიეს და ცალკე საწევებ-
საც აწევდა. ცხენს ვის ურევდნენ, ეს ადრევე შეტყობინებული
ჰქონდათ და ამ დღისათვის ამზადებდნენ დოლში გასაქუევად: აჭ-
მევდნენ ქერს, აბანავებდნენ და ცოცოტა მანძილზე გააჭერებდნენ, რომ
უფრო გამოცოცხლებულიყო. რაფი ადრევე ჰქონდათ დავა-
ლებული ცხენები, ახლა აღარ იყო საჭირო თქმა.

მტყობიე წამავიდოდა ჭირისპატრონთან. მოუტანდა ამბავს:
ვისთან მივიდა, ვინ აწევა, ვინ დახვდა შინ და რა უთხრეს, ვინ
წამოვა და სხვა. სოფლებში მოკეთე ხალხი მოემზადებოდა: ქალე-
ბიც და კაცებიც. თითო ოჯახიდან ორორ-სამსამა წავიდოდა ხურ-
გინებში არაყიანი ტკიებით. არამკეთე კი მარტო ქალები წავი-
დოდნენ, ვისაც შეეძლო და სურვილი ჰქონდა. არაყი მიჰქონდათ
მოკეთეებს, მათ ეწოდებოდათ „მეარყები“. ისინი ერთი სოფლიდან
ჯგუფად წამოვიდოდნენ და შეიძლება სხვა სოფლიდან წამოსულებ-
საც შეხვდებოდნენ გზაში. მოდიოდნენ ნელ-ნელა, ვინაც შეხვდე-
ბოდათ გზაში, ყველგან ისვენებდნენ და სვამდნენ იმ მიცვალებუ-
ლის შასანდობარს, ვისაც საქნარში ახლა მიღიოდნენ. როდესაც
მივიდოდნენ სოფელში, სადაც საქნარი იყო, ჩამოვიდოდნენ ცხე-
ნებიდან, რომლებსაც ხელით გაატარებდნენ და წყნარად მივიდო-
ნენ მასპინძლის სახლამდინ. მასპინძელი და მისი ოჯახის კაცები
—ყველანი გამოეგებებოდნენ, ცხენებს ჩამოართმევდნენ და ეტ-
ყოდნენ: „მაცვეით მშვიდობით“. „გრძველასთ ღმერომ“ — უპასუ-
ხებდნენ ისინიც. შემდეგ კაცები კაცებს გაჰყვებოდნენ, ქალები
კი ქალებს. ქალები დაბლა ბოსელში, ან ბოსლის კარზე დასხდე-
ბოდნენ, კაცები კი კაცებთან წინგარდაზე გავიდოდნენ. მისულებს
დასვამდნენ და ჩეეულებრივად ჰქითხავდნენ ამბავს. მერე მასპინძ-
ლები ცხენებს ხურგინებს და უნაგირებს მოხდიდნენ, შინ შეიტან-
დნენ, ცხენებს ახალგაზრდებს გააყვანინებდნენ ბალაზზე. დოლის
ცხენები უნაგირით არ მოპყავდათ და არც ბალაზზე გაჰყავდათ; და-

აბამდენენ სახლებში, აჭმევდნენ თივას და ქერსა და, როგორც უფრთხოლდებოდნენ რომ სვილი არავის ეჭმია.

თავზე მისული ქალები ძახილით ტირილით შევიდოდნება სოფელში, ახლა კი ჩუმად მიღიოდნენ. შეიძლება ძახილით მისული კი ვინმე ისეთი მოქეთე ქალი, რომელიც შემთხვევით დარჩა, ვერც თავზე იყო სატირლად და ვერც იმის შემდეგ. თუ საპატიო შემთხვევა არ ჰქონდა და უმიზეზოდ დარჩა სატირლად მდგრა ხანს მიუსვლელი, მაშინ ძახილი სარტყევილი იყო — რატომ ამდენ ხანს არ მოვიდათ. თუ ერთხელ მისული იყო სატირლად, მაშინ მეორედ აღარ ძივიდოდა ძახილით. ტალავარზე კი მუდამ იძაბდა და ისე ტიროდა. თუ ავადობით, ან სხვა რაიმე საპატიო მიწეზით დარჩა და სიკედოლის დღეს ვერ მიეიდა, მაშინ საქნარში ძახილით მივიდოდა, ოღონდ თუ წელი არ იყო გათავებული და ტალავარი ისევ ისხა. ტალავრის აღების შემდეგ კი ტირილი და ძახილი სულ ისპობოდა ოჯახში. ჭირის წყენაც წელგათავებამდინ იცოდნენ. ასე მოსულ სტუმრებს გამოუტანდნენ და მოახურავდნენ ტყავებს. მოკეთე ხალხი სხვა სოფლებიდან რომ მიუვიდოდათ, ავიდოდა ერთი კაცი მაღალბაზე და იძახებდა: „სოფელო, მეედით, დღეს საქნარი აქვ (სახელი), მაკეთე მასული ას, მემრ დღეს აღარა შაუქძლავ. ვისაც არ მაგდისთ, ერთმანეთს გაავებიეთ“. ამ ძახებაზე სოფლიდან დიდი და პატარა ყველანი მოვიდოდნენ. დიაცები დიაცებთან დასხდებოდნენ, კაცები — კაცებთან. ამ დროს კოდებთან დააწყობდნენ პურებს, ყველს, ხავიწს, დადგამდნენ თულუხით წყალს, მოხსნიდნენ ერთ კოდს, დაასხამდნენ ლუდს საწდეში და დადგამდნენ. მეარაყები თავ-თავის ქინოებს მოიტანდნენ. დასხამდნენ არაყს თავისიავე ყანწში, მისცემდნენ ვისმე უფროს კაცს, ხოლო ქინთს დადებდნენ პირმოხსნილად კოდებთან და რაბლასთან. დაასხამდნენ სახლის არაყსაც (სახლის არაყი ჭირისპატრონის არაყი) და მისცემდნენ ვისმე. ქინთს ისიც ტაბლაზე დადებდა. თასებით ლუდს ამოილებდნენ და დადგამდნენ ტაბლაზე. დააკრავდნენ, ტაბლაზე რაც ეწყო, სუველაფერზე სანთელს. ამ დროს მეარაყები ყველანი ფეხზე იდგნენ სანთლების ანთებიდან ტაბლის დალოცვამდენ. იტყოდნენ: ჭირის დღეს ქუდი არ იხდებათ და, მართლაც, ამ ტაბლის დალოცვის გარდა, ქუდებს არ იხდიდნენ. ბოლოს ან სულის ხუცესი, ან სხვა ვინმე უფროსი კაცი ამ ტაბლას დალოცავდა. დალოცვა იყო ჩვეულებრივი წესით (სულის ხუცობა აქ არ აიწერება, რაღვან ის აქტრილია — მიცვალებულის კულტში). ტაბლის დალოცვის დროს ტალავარნიც ფარდაგით ტაბ-



ლასთან „ისხნენ“. ფარდავი იყო გაშლილი, ზედ ეწყო რამდენიმე ბურცვი და საკუთრივი გამოსახული. პერანგი და ჩოხა ერთმეორებზე ჩატარებული იღო. საყელოსთან იღო ქუდი. პერანგის ბოლოში პაჭიშვები და საჭალამნები. სულ ბოლოს თათები — ამოკერებულიც და საჭალამნეც. ქალამნებს, კლნებს და შარვალს ტალავარში არ ჩადებდნენ. მათ გარდა, ყველაფერი იყო ტალავარში, ტალავარზე ზედ ეწყო იარალები: ხმალი, დამბახა და სხვა. ხანგალი და ქამარი კი ჩოხაზე იყო შემოხვეული როგორც ცოცხალ კაცები.

ასე დაილოცებოდა შინაური და მეარაყების მოტანილი სასმელით ტაბლა. ბოლოს დაბლა დადგმულ თასებსაც აიღებდნენ და დაურიგებდნენ ხალხს, უველანა დაილოცებოდნენ და დალევდნენ შესანდობარს. დაილოცებოდნენ ასე: „ლმერთმ აგაშენასო, მასპინძელო, ბარაქა მაგცასთ, მარჯე ნულარა მაგცასთ, ლხინზე შაგიცვალასთ ეს კოდები, ტაბლაიცა-დ მოკეთე-მაკიდულიც, კლოვ ლხინის სუფრა გამზადებივასთ, ლხინის მლოცავ-მამკითხავ მაგიბრუნასთ. თქვენ დაგლოცნასთ ლმერთმ, მამკითხავებო, გადლევგერნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ. დღეს ამას იქით ავზედა მარჯეზე ნულარაზე ვინ დაგსაჭ-დაგხარჯნასთ, ლხინზე შაგიცვალასთ მასპინძლისას მასევლიცა -დ შინაც ლხინ მაგცასთ. დღეს ჭირის მამკითხავი ხართა -დ კლოვ ლხინის მამკითხავად გადინნასთ. შაუნჯანას, ვისადაც ილოცების კი, მააჭმარს ლმერთმ“. მმ დალოცვის შემდეგ უველანი სვამდნენ ზოგი ლუდს და ზოგი არაყს. ვინც რას დალევდა, ყველა აქებდა: „ოჲ, რა მარჯე არაყია“. არაყის პატრონი კი თავის არაყს აძაგებდა: „შამარი, რაად შასასმელი. ეს კაცს ქვე არ დაარობს, კიდევაც საფხიზლები“. ვინც, ლუდს სვამდა, ლუდს აქებდა: „ოოო, რაჯე კა ლუდ მაგვდომისათ, სვითა ნაყრით სრული“. მასპინძელი კი ამბობდა: „რაჯელც მე მინდოდ ე კეებს მაგეთებსთან, ისეთ ვერც ლუდ დავამზადე, ვერც არაყი“.

ასე იმართებოდა, სმა კოდებთან. ორი მეკოდე იყო მასპინძლისაგან აჩეული და მასპინძლის ლუდ-არაყს ისინი ვანეგებდნენ. იმათ ნებადაურთველად და დაუსხმელად აქედან თავად მასპინძელი და სხვებიც ვერავინ გაიტანდა. მმ დროს, როცა ტაბლა და ქინთები დაილოცებოდა, ქინთებს აიღებდნენ თავთავის პატრონები, ე. ი. მომტანი მოკეთები. ყანწები მათ ჭიბეში ჰქონდათ თავისთვის. ფეხსე მდგომნი ჭერ მასპინძელს დაალევინებდნენ და, მერე უველას, ვინც შესკლიბოდათ. ყველა ფეხსე იდგა, მიღიოღ-მოღიოდნენ და ეძებდნენ, ვისოვის უნდა დაელევინებინათ. მოძებნილნენ



ამ დროს ორი დიაცი შემოვიდოდა და ასწევდნენ ტალავართ, გაიტანდნენ სოფლის მოშორებით და გაშლიდნენ მოედან ადგილზე. სხვა ქალებიც თან გაჰყევებოდნენ, შემოუსხდებოდნენ გარშემო და დაიწყებდნენ ტირილს ძახილით. ამდროს შამაკაცები გამოიტანდნენ ცხენთტაბლას. ცხენთტაბლაზე იყო იმდენი სანერბიელო (ხავიწიანი ქაღა), რამდენი ცხენიც იყო დოლში გასაჭუევად გამზადებული. მეორე ტაბლაზე ეწყო კუბატ-ქადისკვრები, იდგა ერბო და ერაწით ადულებული რჩე, შიგ ერბოჩაყრილი. მოვიდოდა თუ იყო სულის ხუცესი, თუ არა და ვინმე უფროსი კაცი და დალოცავდა ტაბლას იმ მიცვალებულისათვის, რომლის საქნარიც იყო. ამავე დროს მოვიდოდნენ ცხენ-მხედრებიც და ცხენებს მიუშვებდნენ იქვე ფარდაგზე გაშლილ ქერზე. დანარჩენი წესები სრულდებოდა ისე, როგორც თავზე რიგის დროს არის დოლის ამბავი აშერილი.

თუ სტუმრები ისეთ დროს მოვიდოდნენ, რომ ხარჯი უკვე დაწყებულია, ხალი უკვე სვამდა და ჭამდა, მათ იმავე წესით ხვდებოდნენ. უნცროსები უფროსებისაგან წინასწარ გაფრთხილებულები იყვნენ, რომ მოქეო მოდენას დაიწყებს და თვალი გვჭიროსთ, ისე არავით მოვიდეს, რომ ვერ გაივოთ, მიეგებეთ, ცხენები და იარაღი ჩამოართვითო (ხევსური სტუმარი იარაღს მანამ არ აიყრის, სანამ ვინმე არ ჩამოართმევს. შეიძლება დისწულმა კი აიყაროს და დაპიროს თვითონ). სტუმარს თავაზიანად შეხედებიან, ფეხთ დაახლევინებენ და გარმაუცვლიან, თუ ამის საჭიროება არის.

თუ ხარჯებში ხალხს იარაღი აყრილი აქვს, სტუმარსაც სოხოვენ, რომ მოიხსნას ხანჯალიც და საჯითენიც (ლაჯია). თეოთონ მასპინძელი არ სთხოვს, ვინმე სხვა უფროსი კაცი ეტყვის: „თქვენი ჭირიმეთ, სტუმრებო, ნუ ცწყენთ, ჭირსაც შაგპარავთ. იარაღდა-ჯსნილებ-ი აქ სტუმარ სოფლელები. თქვენაც შამაიშენით ხანჯრი-ბი“. სტუმარიც ასევე თავაზიანად უასუხებდა: „უკიროდამც იქ-სებით! რას გავაკეთებ იარაღით, აქ განა იარაღის საქნევად მავე-ლით, როსაც რა საქნარი გვაქვ, მაშინ რა ველს ეხყრით შენთა მტერთ, იარაღს. აქ რა იარაღის დროი ას“. რა თქმა უნდა, სტუმრებიდანაც უფროსი უპასუხებდა. იგი იყრიდა იარაღს და მას მა-ბაძვაზნენ ახალგაზრდებიც. სტუმრების იარაღს არ აურევლნენ სოფლელების იარაღში, ცალკე შეინახავდა ოჯახის რომელიმე წევ-რი ისე, რომ არავის სცოდნოდა, საღ იყო. ცალკე შეინახავლნენ



სტუმრების ნაბდებს, ცხენების მორთულობას, ხურჯინებს ფასაკავშირს შეიძლება საგდლებს. ხარჯების დროს მასპინძელი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოს სტუმრებს. ავალებს ზედმდეგებს— განსაკუთრებული პატრი სკენ მათ. როდესაც ხარჯი გათავდება, ადგილობრივები დაუწყებენ ერთმეორებს ცილობას სტუმრების წაყვანაზე. ზოგჯერ ჩეუბაძისაც მიღის საქმე — მე რა შენზე ნაკლები ვარ, სტუმრის მოვლა და შენახვა განა მე კი არ შემიძლიან. სტუმარი იმას წაჲყვებოდა, ვინც პირველად უთხრა და სხვებს დასწრო. პურადი კაცი ხუთ-ექვს სტუმარსაც წაიყვანდა. ერც შეძლებული და ამასთან პურადი იყო, იგი ამ სტუმრიანიბისათვის სახლში ამზადებდა ორაცს, ან მზად პქონდა „გამოსაწურავად“ (გამოსახდელად). მიიყვანდა სტუმრებს სახლში. თუ დიდი შეილები ჰყავდა, ან ძმა და შათ ორავინ ეყოლებოდათ მოპატიუებული, გაუწყრებოდა: — სირცხვილი არ არის, რომ ხალხში უყიოთ და უსტუმროდ მოხვედითო? „ეს ჩემ ნაშევ სტუმრებ ჩემია, თქვენ თავისა უნდა მაგყვანდასთ მასაყვანიც და წასაყვანიც. ქვე სირცხვილ არ ასა, დილა ერთ კაც მაინც არ ადგას თქვენს ლოგიზმით. ერთ სტუმარ მაინც არ უნდა გავიდასა კაცის ბანზე“. ქალებსაც თუ ორავინ ეყოლებოდათ ნაწევი, იმათაც დაავალებდა სტუმარი „ქალ-დედროვანის“ მოყვანას. როდესაც რომელიმე სტუმარი ამ სოფლის მცხოვრებელთან იქნებოდა დაპატიუებული, ის იმ დროს ახალ მასპინძელს ეკუთვნოდა. თუ რამე შემთხვევა მოხდებოდა მის გარშემო, ეს მეორე მასპინძელი აგებდა პასუბს ამ ღამის განმავლობაში. მოუვლიდა, თაოებს ჩაატევდა. ტყავებს მოახულდა, სტუმრის ცხენებს მოიყვანდა და დაბამდა თავისი სახლის გვერდზე. ფარ-ხმალი კი პირველ მასპინძელთან რჩიბოდა. სტუმარს ხანგალსა და ღაჭაბა დაუბრუნებდა ის პირი, რომელმაც იარაღი შემოხსნა. სარტყელ-ხანგლის გარეშე ხევსური ბანიდან არ გადახდებოდა.

იმ ღამეს სტუმრებს ჭირისუფალთან არ დასტოვებდნენ. შეძლება შემთხვევით დარჩენილიყო ვინმე, ან ახალი სტუმარი მოსულიყო. საერთოდ ცდილობდნენ ჭირისპატრონთან ორავინ დაერთოვებინათ. ამრტომ გვიან ხელმეორედ მოვიდოდნენ და თუ ვინმე იქ დახვდებოდათ, იმასაც სხვაგან წაიყვანდნენ. ასევე ექცეოდნენ სტუმარ-ქალებსაც.

მეორე დილას სტუმრებს პირს დააბანინებდნენ, გაუმასპინძლდებოდნენ, მერე კი სტუმარი თვითონ დაპატიუებდა ამ მასპინძელს ჭირისპატრონთან, ვისთანაც თვითონ იყო მოსული. ოჯახი-



დან უფრო იმას წაიყვანდა, რომელიც ოჯახის თავი იყო. მისულებრივი კირისუფლები მიერალმებოდნენ: „მაგვიცეით მშვიდობით, ვაჟებო“. ვინც ამ დროს იქ იყო, ყველანი ფეხზე ადგებოდნენ და ამ სიტყვებს ერთხმად იტყოდნენ. მომსვლელები უპასუხებდნენ: „აგვიშენდით, მასპინძელო, მშვიდობით დაგვხვდით, გამარჯვებით. დასხეით, ჩამასხეთ, რას ეწვალებით“. დამხვდურები გზას მისცემდნენ და სკამის სათავეს სთავაზობდნენ. ბევრი თხოვნის შემდეგ რიგრიგობით დამსდებოლდნენ თავთავიანთ შესაფერ ადგილებზე. სტუმრები მასპინძლებს სთხოვდნენ თავის მიტანილ არაყს: „არიქა, მგონე კიდევ რაიმ დარჩ ჩვენს ქინთში, მაგვიტანეთა, თითო შავსვათ. გუშინაც მე მგონი შენ ჩვენის არაყისა არა გინახავის. მთვრალებ ვიყვენით ძალიან. მაგრად გვასმიეს ზედამდეგებმ“. მასპინძელიც უპასუხებდა: „აბაბაი, ქვე რა გასმიესთ. არაის გარჩიგურჩ იყვ. თავს კი ვადეგი — ხალხს მიხედეთავ, მაგრამ არას იგებდეს არც ზედამდეგები -დ არც შინაურები“. სტუმრებს მიუტანდნენ თავთავიანთ ქინთებს, რისცემდნენ ყანწებს და ისინიც ფეხზე ადგებოდნენ. შინაური და მოპატიუებული მასპინძლები ამ დროს ისხდნენ, რომელთაც სტუმრები ასმევდნენ რიგრიგობით. ვისაც არაყი საერთო ჰქონდა, ისინი ერთი დაასხამდა, ხოლო შეორუ ყანწებს ჩამოურიგებდა მოყოლებით. ვინარდან არაყი წინა დღეს უკავ დალოცვილი იყო შიცვალებულისათვის, მეორე დღეს ყანწებს დალოცავდნენ მისთვის, ვისაც მოიგონებდნენ ახალსა და ძველ მიივალებულს, ადლეგრძელებდნენ ერთიმეორეს.

თუ მასპინძელს შევრი არაყი ჰქონდა, ისიც მოიტანდა სტუმრებთან, თუ არა, ლუდს მოიტანდა. დიასახლისები დაამზადებდნენ სტუმრებისთვის ან ხარცის ტაბლას, ან კეცელილებს, ხავიწს გააცხელებდნენ, დადგამდნენ ჭარებით ტაბლაზე. სტუმრები და მათთვის მოყალილი ღამის მასპინძლები პურის ჭამას დაიწყებდნენ, ლაპარაკობდნენ ძეველსა და ახლად მომზღარ ამბებზე, ჰყვებდნენ ანდრეზებს, ჩატულის სწორად გატარება-არგატარებაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, რომელი დედ-მამა უფრო მაგარი იყო შეიღლის სიკვდილის დროს, რომელ მას უფრო ეტკობოდა ძმის სიკვდილი და ა. შ. ვის ჰყავდა კარგი ცხენი, ვის ჰქონდა ხევსურეთში კარგი იარაღი, ვინ უფრო კარგად იქნევდა იარაღს და კარგად უფარებდა, ვინ იყო ხევსურეთში ხევსურული რჩულის მცოდნე ან პურად.

ჭალები ამ დროს გაჩუმებულები იყვნენ. სირცევილად მიაჩნდათ ჭირისუფალთან და უფრისი კაცების თანდასწრებით საუბარი.



თუ მიცვალებული ახალგაზრდა იყო, ხალხი შეწუხებული იყო სისახლით მიღ-მოდიოდა. ხმაურსა და სიცილს ერიდებოდნენ. სისახლით მიღ-

მეორე დღეს მკვდრის მოტირლებს მიცვალებულის ახლობ-ლები გადაიპატიჟებდნენ. ორ-ორნი, ხან მეტნიც შეაერთებენ ფქვილს, საგულედ ხორცს, ყველს და სხვა. გამოაცხობენ ქადის-კვერებს, არაყი წინასწარ საერთოდ ექნებათ გამოხდილი ან ამ დღეს გამოხდიან და სტუმრებს მიიპატიჟებენ — ასე მოატარებ-ენ მთელ სოფელს. მიცვალებულის ბიძაშვილები და სახლისკაცები თვალყურს ადევნებენ სტუმრებს, თუ ვინ როგორ ექცევა მათ. მიუვანილ სტუმრებს, როგორც წესია, უფროსუმცროსობით დასვა-მენ. სათავეში ოჯახის უფროსს გადააკდენენ. შეიძლება, თუ სტუ-მარი ოჯახის უფროსზე ღიდი იყო და კარგი კაცი, ისიც დავსვათ სათავეში. ქალებს ქალები მოუვლიან. სმის დროს, გარდა ძალიან მოხუცებულისა, რომელიც დიდი თხოვნით დაჭდება, მასპინძლის ყველა ქალი ფეხშე უნდა იდგეს. გამონაკლისი არიან ძალიან ახალ-გაზრდა ქალები, სტუმრებიც და სოფლელებიც, რომლებსაც ად-გომა შეიძლება მეტიჩრობადაც ჩაეთვალოს. სმის დროს ძალშე პატივსაცემი სტუმრის დროს შეიძლება ადგნენ. ქალები საერთოდ არ ადგებიან ფეხშე, თუ უშუალოდ მის მამა-ბიძებს, მის ძმებს არ ადღევერებენ. ოჯახის წევრი ქალები კი, როგორც მასპინძ-ლები, ფეხშე უნდა იდგნენ. ფეხშე ადგომა სავალდებულოა ტაბ-ლის დალოცვის დროს.

ყვერფში, ან იქ სადაც ცეცხლი უნთიათ, დადგმულია სამფე-ხა ტაბლა, ან ხონჩაზე აწყვია კეცეულები. კეცეულებს აცხობენ ლუმელში ან ზედგანზე. წყალში მოავლებენ „გალბანენ“, ერ-ბოთი გაპოხავენ და ერთმანეთზე დააწყობენ რამდენიმე ადგილას ტაბლაზე. ერბოს გააღნობენ, საერბო „ჭიჭნებში“ (პატარა ჯა-მებში) ჩაასამენ და ტაბლაზევე დადგამენ. სამფეხა ტაბლას დად-გმენ ყვერფის პირზე, ისე რომ ერთი ფეხი ყვერფში ედგას, ორი კი სამამაცო სკამის წინ, სადაც საპატიო უფროსები სხედან. მიი-ტანენ არაყ თიხის „ჭურჭლებით“ (დოქებით), ლუდს კი საწდიო. ლუდის სასმელად იციან სპილენძის თასები ან კონჩა და ჯამ-ჭიჭნები, არაყისათვის კი ყანწები.

შასპინძელი დაასხაძს არაყს შეიდ-რვა ყანწები. ერთი ასხაში, ორ-ნი არიგებენ. პირველად ყანწს აძლევენ უფროსს, რომელიც სათა-ვეში ზის. შემდეგ თანმიმდევრობით ყველას მისცემენ. როდესაც ყველა უფროსებს დაურიგებენ, მერე ყანწს დიასახლისს აძლევენ; დიასახლისი თავის მხრივ ყანწს გადასცემს გვერდზე მჯდომ უფ-



როს სტუმარ ქალს და მერე თვითონ დაიჭირს. ქალ-რძლებშე სამეცნიერო უცელა არ დაიჭირს ყანწეს, უფრო სტუმრებს მისცემენ როგორც სამეცნიერო ხნიერებს, ისე ახალგაზრდებს. ტაბლის გვერდით დადგამენ თუნგით წყალს და სოხოვენ უფროსს, შენდობა უთხრას ტაბლას და სასმელს. სტუმართაგანი შენდობას არავინ იტყვის, მასპინძლის გვარულმა ან სოფლელმა უნდა დალოცოს როგორც სასმელი, ისე ტაბლა. თუ სულის ხუცესია იქ, ის გინდა სტუმარი იყოს, მანც უარს ცერ იტყვის და „სახელს დასდებს“ სუფრას. როდესაც შენდობას იწყიბს, ყველანი ფეხზე დგებიან: „ღმერთო, დალოცეილო, შენ გეხვეწების სულიცა, კაციც. ღმერთო მადლიანო, შენ უშველი ამ სასმელისა -დ ტაბლის პატრონებს, ნურას მარჯვესაღ მისცემ, ნუც სოფელშია -დ ძმა-სახლისკაცობაშია -დ შინ. დღეს ამას იქით სალჩინო ტაბლა შაუცვალე -დ ამზადები. კარგად უმყოფე ეს სტუმარ-სოფლელებიც“. როდესაც დალოცავს, ყველანი ეტყვიან: „შაუნწნას, ალლად უცივას ღმერთმ. მასპინძლებს ბარაქა მისცას სულმაცა -დ ღმერთმაც“. თას-ყანწებს დახრიან, თავს გადატეცევენ (იარალს სამ-სამ წვეთს დააქცევენ) და დაილოცებიან: „მასპინძლებო, პურ-სასმლის პატრონებო, თქვენ გადლეგძელნასთ, მშეიძობით გამყოფნასთ, ღმერთმა ნუ გაგაცუდნასთ ნუც მთლისადა, ნუც მკვდრისად, ნუც მტერ-მაკეთისად. გაგიმარგვასთ თქვენაც სტუმარ-სოფლელებო, გაგახარისათ თქვენაც, მანდილოსნებო, ქალ-ზლებო, გიცოცხლასთ მზის საფიცარი“.

პირველად დალოცვას უფროსს სოხოვენ. შემდეგ სხვებიც დალევენ. რომ გამისცლიან, უფროსები ყანწებს მასპინძლელს დაუბრუნებენ და ეტყვიან: „ჭირ შავსვი თქვენი. ეესრამც ალლად სულს თქვენის მკვდრისას ეწმარის. ბარაქა მაგცასთ, იგაშენასთ ღმერთმ“. მასპინძლები უპასუხებენ: „გაამასთ, დასხეით, ჩამასხეით“ როცა მაძვაცები დასხებიან, ქალებს ეტყვიან: „არიქათა, თქვენს გახარებას, მაილოცეთ!“ ასევე მიმართავენ სტუმარ ქალებს შასპინძლელი ქალებიც. ქალი ასე დაილოცებოდა: „მასპინძლებო, ღმერთმ დაგლოცნასთ, გადლეგძელნასთ. დღეს ამას იქით სალჩინო ტაბლა დაგამზადებივასთ. კარგად გიმყოფასთ ეს სტუმარ-სოფლელებიც. ზალ-დედამთილ, დედა-ქალებო, თქვენაც გაგახარნასთ, გიცოცხლნასთ სამამისახლოიც, შვილ-ბოლოიც. გაგახარნასთ თქვენაც ქალ-დიაცებო, გიცოცხლასთ მზის საფიცარი. შაუნწნას სულ ნაჯვენებს კი, ალლადამც ეწმარის იმების სულს, ვისადაც ნალოცი ას, გაქერებული ას ეს პური -დ სასმელი“. დალოცვის შემდეგ სვამენ უფროსი ქალები და ყანწებს უბრუნებენ სიტ-

კვებით — „თქვენსამც ჭირს შევსომ, ალალ უყვის ღმერთმა კარგი კი, ვისადაც ნალოცი ას“. შემდეგ ჩდლებს მიაწვდიან ყანწერში ასეთი ნი თვის მხრივ ამ ყანწებს უგზავნიან თავიანთი ქმრების უფროს ნათესავებს. ასევე იქცევიან მოსისხლესთანაც; ქალები ჯერ იმას მისცემენ თავის ყანწეს, ვისი სისხლიც მის მამასახლს ან ქმრეულებს მართებს. როცა თითო თასი, ან ყანწი ბოლომდე გავა მამა-კაცებსა და ქალებშიც. შერე მასპინძელთაგანი ერცვის სტუმრებს: „თქვენი ჭირიმეთ, ჟუტიცა იტანეთ, თითო-ოროლა ლუქმა მახ-კლიჩეთ“, და დანით დაჭრის კეცეულებს გვარედინად. ტაბლებს სიგრძეზე დადგამენ და დაჭრილ კეცეულებს დაუშუობენ ყველას. ერბოსაც დადგიმენ. მასპინძელი პირველად უფროსს სთხოვს: „არიქა, შენი ჭირიმე, დაილოცი, გატეხი პური“. უფროსები მოსტეხდნენ თავთავიანთ ნაწერეთს ლუქმას, ჩაწერდნენ ერბოში და იტყოდ-ნენ: „ღმერთო მადლიანო! შენ შეეწი ამ მასპინძლებს, ამყოფენ კარგად, ნუ წაუქცევ სამშვიდობო ტაბლას. კარგად უმყოფენ ეს ვაეებიც. გაახსრი დიასახლისიც, კარგად ამყოფი მანილოსნებიც“. ჟურის ჭამის დროს მასპინძლების გარდა, ფეხზე დაჭებიან მასპინ-ძლის ძმა-ბიძაშვილები და ქალ-ზლებიც. სტუმრად მოსული ქალ-ზლები კი, როგორც უკვე ვთქვით, ფეხზე არ აღგებიან. დიასახ-ლისს სიხოვენ დაჭდომეს, მაგრამ არ დაჯდება. სამეცნ დალევნ ჭამის დროსაც. მასპინძლებს სტუმრები შეაქცევენ ყანწს. ამ დროს სტუმარი, როცა მასპინძელი სვამს, ფეხზე აღგება, ან მუხლით დაჯდება, ქუდი მოიხდის და თავისავე მუხლზე დაიდებს. ქუდებს მოინდიან სხვა სტუმრებიც. მასპინძელი იმას აღღეგრძელებს, რო-მელმაც ყანწი მისცა; მის ძმასა და შვილს: „გაცოცხლას, გადლეგ-ძელას, შაგეწიას მაღლა ღმერთი -დ ჩვენებ სალოცავები, დუშ-მან დაგველივას, მტერ ნუ მაგრიოს, კი ვაკობას ნუ მაგშალას, სა-ცა გაოწევ, გაგიმარჯვას, მტრისას შენ ამჟობინას, დუდნ დღენ მა-გცნას ღმერთმ! ვაეებო, თქვენ გაგიმარჯვასთ სუყველას, კელ მაგი-მართასთ ღმერთმ, ბევრა კა მაიყვანას თქვენთან ჩვენთან მასელი-სად. ქალ-დედორვანო, თქვენ გაგახარნასთ, ვიცოცხლასთ ძმიანს, ძმაი, შვილიანს შვილი. შაუნდნას ეეს თას იმას, ვისადაც ნალო-ცი ას, იაღშიამც ას სწორთან. ჭირს შევსომ ყველაისას“. როდესაც დაცულის, მიმცემს ეტყვის, თუ ის მუხლზე ზის: „აღე, მუკლი ვამიყარი“. თუ ქუდი ძევს მოხდილი, დაახურვინებს და დასვამს. სხევბასც ეტყვის: „დასხეით, ვაეებო, რას ეწვალებით“. ყანწის მიმცემი როცა ქუდს დაიხურავს, ეტყვის: „გაამას ნასვამი. გემსა-ხურები ქუდით“. მასპინძელი კი შეუქცევს: „ღმერთს, შენს სა-



ლოცავს. მტერიმც გემსახურების „შორიელი“. როცა დასხდება კანკორის განწილებით „ჩედამდეგს მისცემს: „ა, ესრ დაგეხსარასთ მტერი, დავცალი!“ „გაამას, — ეტყვიან მას, — მტერიმც დაგჩების კლალები“. როდესაც ჭირისუფალს ესმის მისი მიცვალებულისათვის დალცვა, პასუხობს: „ოქვენ მაღლად მაგცასთ, იმის მაკლებულნ ფლენი თქვენ მაგიმატნასთ, თქვენ ნუვინ დაგაკლასთ ღმერთმ. მაღლობელნი ორთ, თქვენებს სახლებს ბარაქა მისცას სულმაცა -დ ჯვარიმაც“.

როცა უფროსი ხალხი ჭამას გაათავებს, მასპინძლები კიდევ შესთავაზებენ პურს, ნაწვრეთებს ხელში დაურიგებენ. ეს პატიურიც გათავდება. აბა, ტაბლას აუმატეთო — ეტყვიან. სტუმართაგანი ვინმე ტაბლას ან შეანტრევს, ან ასწევს და მასპინძელს გადასცემს.

ერთი ტაბლა ახალგაზრდებს უნდა დაუდგან, რომლებიც ფეხები იდგნენ. მეორე ტაბლა ქალებს უნდა შიტრანონ. ქალებს ქალები მიუტანენ ტაბლას, ორონდ მამაკაცებისაგან იგი აუცილებლად კაცმა უნდა გადადგას.

როდესაც მასპინძლები, ახალგაზრდები და ქალები პურის ჭამას იწყებენ, მაშინ უფროსები ქუდებს მოიხდიან. სტუმარი ახალგაზრდა ფეხზე დალებება მათ მოსამსახურებლად. ვაჟები ისევე იწყებენ პურის ჭამას, როვორც უფროსები, იგრვე სიტყვებს იტყვიან, თოლო ქალები ამბობენ: „ღმერთო, შენ უშველი მასპინძლებს, ამყოფენ კარგად, კარგად უმყოფი ეს მაწეულებიც. გაახარი ეს ზალ-დედამთილები, დედა-ქალები“.

ფეხზე მდგომებს ევალებათ მასპინძლებისათვის სმევა და პატივისცემა. როდესაც ქალები პურის ჭამას მორჩებიან, ფეხზე ადგაბიან, უფროსებს ქუდებს დაახურვინებენ. უფროსები ეტყვიან: „პურ ღმერთმა გაამასთ, ნურას უკაცრავად, გემსახურებით ქულით“. „თავის სალოცავს. მადლობლები ორთ, რას ქუდს იქით ჩევნის გულისად“ — უპასუხებენ ქალები. ტაბლის ალების დროს რომელიმე სტუმართაგანი ხელს მიადგამს ტაბლას და იტყვიას: „ღმერთო, უშველი ამ ჭალათთ, კარგად ამყოფი სასმლის პატრონებიც“. მასპინძელი. ან ვინც ტაბლას აიღებს, ისიც ამბობს: „ღმერთო, დალოცვილო, შაეწი ამ სახლში მცხოვრებელთ, უცოცხლ სტუმრებიც. ბარაქა მიერ პურ-სასმლის ჯატრონებს. ამას იქით სალხინი ტაბლა დააწზადები შინაცა -დ სოფელშიაც. ნუღარას ჩამაგლებ“. როდესაც სუფრას „აარიდებენ“, სასმელს კიდევ დალევენ. მერე



სტუმრები ადგენან და იტყვიან — ეხლა დრო არის წასელი უშუალოებების ძალისძალად გამოვლენ ბაზე. აქაც მასპინძლები სასმელს გამოაყოლებენ. სტუმრები ჯვარს სწერენ: „ჯვარ გეწერასთ მამა-შვილებს, პურ-სასმლის პატრონებს. ლმერთმა მაგიმატასთ, რაიც ჩვენ მაგაველით. ბარაქა მაგვასთ. დღეს ამას იქით სალხინო ტაბლით შაგიცვალასთ. მაღლობლები ორთ თქვენის პატივისცემისა, აი ე ქუდით“. ქალები ასე ეწვევიდობებიან: „ჯვარ გეწერასთ, ლმერთმა ბარაქა მაგცასთ, მაღლობელი ორ თქვენის ამბავ-ინაბრისაი. ჩვენ იმაადაც არ ვლირორთ, რაც თქვენ სიტყვა იცით“. მასპინძელი თავის მხრივ ეშვეიდობება სტუმრებს: „აბა ნურას უკაცრავად, თქვენი ჰირიმეთ. არა იყვ თქვენ საკადრისაი. რა მასავალი ას თქვენი ჩვენთან. თქვენ როგორც მაგიგდებისთ, ისე ვერავინ მაგივლისთ.“ იმ ღამეს სტუმრები სოფელში ყველამ უნდა დაპატიჟოს. შეორე დღესევ, სტუმრებს როცა თავს მოუყრიდნენ, მასპინძლის ახლობელი უფროსი კაცი სტუმრებს სთხოვდა, რომ თმა-წვერი ვისაც აქეს სამგლოვიარიდ მოშვებული, მოიშორეთო. მოსულები ბევრის თხოვნით და დიდი ამბის შემდეგ დათანხმდებოდნენ. სტუმრების თხოვნას უნდა დასთანხმებოდა ოჯახის უფროსი და პირი გაეპარსა. პირის გაპარსების დაავალებდნენ რამდენიმე ამ საქმეში მარჯვე ახალგაზრდას. მოიტანდნენ საწდით ლუდს და დალოცავდნენ. დალაქები შეუდგებოდნენ პირის პარსებს. პირველ რიგში გაიპრსებოდნენ მიცვალებულის მამა, ბიძა, ძმა, შინში და ა. შ. უფროს-უმცროსობის მიხედვით. ბოლოს პირების პარსება რომ გათავდებოდა, ერთ საწდე ლუდს აქვე მოიტანდნენ და ყველას დაალევინებდნენ. ამით დამთავრდებოდა პირის პარსების წესი.


მასპინძელი ამავე დილას მტყობიეს გაგზავნიდა სხვა სოფლებში და მოკეთები, ვინც შინ იყვნენ წასული, ისევ მოვიდოდნენ. მოსულებს ჩვეულებრივი წესით მიეგებებოდნენ მასპინძელიცა და მისი სახლისკაცებიც: ჩამოართმევდნენ ცხენებს, გააბაზნენ ბალაბში, ფეხით მოსულებს ჯოხებს ჩამოართმევდნენ და შეინახვდნენ. ფარ-ხმალს საქნარში მიმავალი იშვიათად ვინმე წაილებდა; თუ ასეთი სტუმარი მოვიდოდა, ფარ-ხმალსა ჩამოართმევდნენ და შეჰქიდებდნენ საძამაცლს.

მერე სოფელშაავ გაგზავნიდნენ მტყობიეს და სოფელი მოგიდოდა, დრდი და პატარა. მასპინძელი აირჩევდა ორ პატივცე-მულს კაცს და დაავალებდა იარალის ჩამორთმევას ხალხისათვის (ეს „საქნარ დღესაც“ ასე ხდება). ისინი ყველა აქ მყოფ კაცთან მივიდოდნენ და ხანგალს გამოართმევდნენ (ხევსურეთში უხანგ-



ლო არავინ არის). პირველ თქმაზე ზოგიერთები ხანჯალს არაუდის დაანებებდნენ: „მე ხო არვისთან ვიშულლებ, მაგრამ ხანჯარს არ შავიქსინ, თავის იარალი თაოდ მინდ“ — ამპობდნენ ისანი. იარალის ჩამომრთმევლები ეტყოდნენ: „ჩვენ ვიცით, რომ შენ არ-გასთან იშულლებ, მაგრამ სიძოვრალეში სხო ვინ იშულლების, შენ ავწვდის ხანჯარს, დახერავს ვისად ხათაბალა გაფების“. ზოგი თვითონ შეიხსნიდა და მისცემდა. ხანჯლებს ერთად მოუყრიდნენ თავს, სტუმრებსას ცალკე შენახავდნენ, მასპინძლებისა და სოფლელებისას ცალკე. სოფლელების ხანჯლებს საქნარის შემდეგ წაიღებდნენ პატრონები, ხოლო სტუმრები საშინაოდ გამართულნი მოიკითხავდნენ. მერე მოვიდოდნენ ზედამდეგები და ბაზზე ერთად დასკამდნენ ყველას. სოფლელსაც და სტუმარსაც. საქნარ დღეს სტუმრები თუ ცალკე იყვნენ ჭერბოში, „სანოელ-დღეს“ ყველა ერთად იყო. სანთელ-დღისათვის დილით დაკლავდნენ ერთ თხას აუცილებლად, შეიძლება ცხეარიც დაეკლათ, ან და ძეელი ხორცი ექნებოდათ, მოხარშავდნენ ერთიმეორეში და ამ დღისათვის კოდებთან ილოცებოდა ხორცის ტაბლა. ტალავარს შეინით მლიდნენ, საქნარ დღეს კი, როგორც ვთქვით, გარეთ, რომელსაც გარშემო ცხენით შემოუვლიდნენ. დანარჩენი საქნარის წესები ჩვეულებრივი იყო. ტაბლაზე, როგორც ვთქვით, ამ დღეს კაცები ყველა ერთად დასხდებოდა. ქალები კი საქნარ-დღესაც და ამ დღესაც ერთად ისხდნენ, სტუმრებიც და შინაურებიც. ამ დღესაც ილოცებოდა საწდეები სხვადასხვა ნათესავ-მრცვალებულისათვის. ბოლოს ტაბლას რომ აუმტებდნენ, ყველა ფეხზე ადგებოდა და იტყოდა: „ზედამდეგებო ველ-ფექ შაგარჩინასთ, კლოვ ლენინის ზედამდეგნი გქნასთ, მასპინძელსაც ლმერთმ მარკე ნულარა მისცას, მშეიძობით ამყოფას, დღეს ამას იქით სამშეიძობოდ მაგვიყვანნას“.

მერე სტუმრები მოიხველდნენ ცხენების მოყვანას. მასპინძელი სთხოვდა, კიდევ დარჩითო, მაგრამ თითო-ორთოლა თუ დარჩებოდა, ისიც დიდის თხოვნით, დანარჩენებს ცხენებს მოუყვანდნენ და შეუქმაზავდნენ. სტუმრები გამოემშვიდობებოდნენ: „გვარ გეწერას, მასპინძელო, ლმერთმ ბარაქი მაგცას, მარკე ნულარა მაგცას, კლოვ სალხინოდ მაგვიყვანნას თქვენს სახლში“. მასპინძელი უპასუხებდა: „გვარისაიმც წყალობაი გაქვთ, ლმერთმა თქვენ თავ ნუ გამაგვართვას, თქვენ ლხინზე გადაგვაკდიოს თქვენ მახედულობა. ჩვენთან რა ან მასავალია, ან წასავლაი; ჩვენ ყველას მასხლეტილნი ორთ, თქვენ კი მაუსხლეტნი ხართ ჩვენს ჭირ-ლხინს“. ასეთი საუბრით ნოტელს გამოსცილდებოდნენ, ცხენებსაც მასპინ-


 ძლები გამოიყვანდნენ. სტუმრებს ცოცოტა არაყიც ექნებოდათ  ნთას ძრებში. მასპინძელი საწდით ლუდსაც გამოიტანდა ღვანისათვე
 ქუჩებულ სტუმრებთან დადგამდა. ამ დროს სოფლის ხალხიც გა-
 მოჰყვებოდა „გამართულ“ სტუმრებს, ვისაც შესძლებოდა ჰქონ-
 და თითო ბოთლ არაყ გამოაყოლებდნენ. პირველად ლუდს ამოი-
 ღებდნენ და საწდეს დალოცავდნენ სტუმრების მიცვალებულები-
 სათვის. თითო სულუქცევის ყველას დაალევინებდნენ სტუმრებ-
 საც და მასპინძელსაც. მერე სტუმრები თავისი ტიკებიდან დაასხამ-
 დნენ და თავის გამყოლ ხალხს დაალევინებდნენ. გამომყოლი ხალ-
 ხიც თავის ბოთლებიდან სტუმრებს ამევდნენ არაყს. თან მასპინ-
 ძელი ერთ საწდე ლუდს კიდევ მოუტანდა სტუმრებს პატივად
 (პატივის მიტანა საქართველოს და სანთელ-დღესაც შეიძლებოდა და ახ-
 ლაც) და ეტყოდა: „სტუმრებო, თქვენი ჭირიმეთ, ცოტახანალ მი-
 ურეთ (ხალხი გაჩუმდებოდა და უსმენდა) მე მადლობელი ორ,
 რო ჩემის ჭირ-ლენისა, ჩემის ბეჩაობის გულისად აზდეითა გზა
 გამაიარეთა, აქ მახველით ისით ხოყანა, რო ჩემის გულისად ფეხზე ად-
 გომაც არ გეკადრებისთ. მე მადლობელი ორ კიდევ იმით, რომ
 ჩემ ბეჩაობა გაიგით, რო მე არც სტუმრის შახახვის თავი მაქვა,
 არც თავის თავისათ. ერთულ არ ვინ გააგავრეთ; ჭკვინად გადამაყ-
 რიეთ ეს ჩემი ბეჩაობის ნამზადები. სტუმრებო, თქვენი ჭირიმეთ, ეს
 საწდე თქვენ პატივ იყოს, თქვენის შნოსაი -დ ნამუსისა“.

სტუმრების წინ დადებულ ლუდის ქვაბთან სტუმრები, ვინც
 ფეხზე არ იდგა, ადგებოდნენ და ეტყოდნენ: „მადლობელნი ორთ,
 პატივი, კა კაცობა იუ შავიშალასთ ღმერთმ. შენ რო ინაბარს შჩა-
 დი, ჩვენი არც მასვლაი ღირს იმაადა -დ არც წასვლა“. ამ საწდეს
 ცარიელი თასებიც გვერდით ჰქონდა დადგმული, სტუმრები თასებს
 დავსებდნენ და მისცემდნენ უფროს კაცებს. მერე ერთ-ერთ ამ სო-
 ფლის უფროს კაცს სთხოვდნენ საწდის დალოცვას; ეს კაცი არც
 სტუმარი უნდა ყოფილიყო და არც მასპინძელი. სასურველი იყო
 მასპინძლის სოფლელი ყოფილიყო. ის ადგებოდა, ლუდიან თასს
 მისცემდნენ ხელში და იტყოდა: „ღმერთო, ღიდება შენდა, ღმერ-
 თო მადლი შენა, ღმერთო უშველ ამ მასპინძელსა -დ დღეს-ამას
 იქით მარჯეს ნულარას მისცემ, ლხინზე შაუცვალი ეს სტუმარიცა,
 მაკელ-მაკიდულიც. ლხინის ტაბლა დაუდგი. ღმერთო, უშველი
 ამ მამკითხავებსაც (მამკითხავი — არაყის მომტანი სტუმარი), მარ-
 ჯეზე ნულარაზე ვის გაუსგი, კლოვ ლხინის მამკითხავად მაიყვანენ
 მაკეთისასაც, შინაც ლხინ მიეც. ღმერთო, ნუ იქამ ამ სტუმრების
 საქმეს ისრ, რომ კაც არ აფასებდას, საპატიო არ მიუღიოდას,



კაცო-ხელულნ კაცნ არ იყვნან, საპატიო ალაგში პატივ არ ეჭდება პოლას. წუც ამ მასპინძლის საქმეს იქ ისრ, რო გასახო არ გააჭრებოთ იმა საპატიოს პატივ არ დაზღვას. ხთისა, კვირიაის სატუდებელი ას, ხთისა, კვირაის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჩსენებით, ხთის წესით, მღლლის წესით, იერუშმსალეთის ნათლით, ქრისტის გარიგებით, ზედამრჩეობის დღეგძელობით, ეეს თასებიცა -დ ეეს საწდეიც როგორც ჩვენს კელთ ას, ისრამც სულს (მასპინძლის მიცვალებულს ვისმე ახსენებდა. საერთოდ წესი ასეთი იყო; პატივს ვინც მიიტანდა, ისევ იმის მიცვალებულისათვის ლოცავდნენ და იმისთვის, ვისაც მიუტანეს). იმისასამც მაეკმარების, ემ სტუმრების კარგა ყოფითა-დ ზედამრჩეობის დღეგძელობით“. „შაუნდნას ომერთმ, მააწმარას“ —იტყოლნენ ყველანი. სტუმრები კიდევ გადაიხდიდნენ მადლობას პატივის მოტანისათვის, მერე დაილოცებოდნენ ყველანი და დალევდნენ იმის შასანდობარს, ვისადც საწდე დაილოცა.

სტუმრებისათვის საერთო პატივად იცოლნენ საწდე, ერთ კაცს კი კოშს მისცემდნენ პატივად; რაიმე სიკეთის, ან კარგი მოქმედებისათვის. ქისტის მამელავსაც მისცემდნენ კოშს — მტერი რომ მოკალი, კარგი საქმე ჩაიღინეო. სოფლის ან ხევსურეთის სასრგებლოდ თუ რაიმეს იტყოლდა, ან იმოქმედებდა, ისეთ კაცსაც კოშს მისცემდნენ და ეტყოლდნენ: „შენ კაი საქმე გააკეთე და კოშის ლირის ხარი“ (კოში: სპილენძის დიდი თასი, რომელსაც სახელური ჰქონდა. კოლიდან ლულის ამოსალებად ხმარობდნენ). კოშის მიცემა დიდ პატივისცემას ნიშნავდა. იმასაც ისე დალოცავდნენ, როგორც საწდე დალოცეს. როგორ ეოჭით, საწდე პატივად ეძლევა ბევრს ერთად და კოში ერთ პიროვნებას.

ასეთი სმა და აატივისცემა გაგრძელდებოდა გამგზავრებულ სტუმრებთან. მეტისმეტად რომ შეაწუხებდნენ,—დალიეო, ზოგი კი-დეც გაექცეოდათ კარგა შორს მანძილზე ირბენდა: და როცა იმედს დაიკერდა — აქ აღარავნ გამომყვებაო, მერე დაჯდებოდა. სხვები კი როგორც იქნებოდა, დააღწევდნენ ამ სმას თავს, ყველას გამოემშვიდობებოდნენ: „მასპინძელსაც ჯვარ გეწერასთა -დ სოფულსაც. ღმერთმა ნულარიათ ვინ დაგაწუხნასთ, კლოვ ლხინზე მაგეიყვანნასთ თქვენს სოფელშია, სახლებში. მადლობელნი ორთ თქვენის ამბავ-ანაბრისანი, თაოზისანი. თქვენ ყველაზ რაც ინაბარი ხეენით, ჩვენ იმაად არ ვღირორთ“. ასეთი სიტყვებით განშორდებოდნენ სტუმრები გამოყოლილ ხალხს. აქაური ახალგაზრდები უფროს კაცებს ცხენის უზანებს დაუჭერდნენ, ცენზე შესვამდნენ და გაისტუმრებდნენ. მასპინძლები საგზაოდ დაცლილ ქინთებს



ლუდით აუგსებდნენ და გაატანდნენ. მგზავრები გზადაგზა წინამდებრებულის ნებდნენ, სასმელს სეამდნენ და ასე მივიღოდნენ შინამდტმასათა მართვა

მეგაცისაკვერაათა სტუმარებას ცინდლობა

„წელწად ლამეს“ ხევსურეთში ყველა ოჯახში აცხობდნენ „ბე-დისკვერებს“ იმდენს, რამდენიც ჰყავდათ ოჯახის წევრი, ან ისე-თი ნათესავები, ვისთანაც ევალებოდათ ბედისკვერის მიტანა. იმ ლამეს დიასახლისი უმძრავხად იყო, ვიდრე ბედისკვერების გამოც-ხობას არ მოჩქებოდა. რაც უნდა ვინმეს ბევრი ელაპარაკა, ის ხმას მაინც არ ამოიღებდა, რადგან რელიგიურა თვალსაზრისით აკრძალული იყო ხმის ამოლება, იგი ცუდ რამეს მოასწავებდა.

ბედისკვერა პატარა ხმიადი იყო, ზედაპირზე დაჭრელებული და ერბოთი გაპოხილი. დიასახლისი სიჭრელის მიხედვით დახ-სომებდა, ვისთვის რომელი ბედისკვერა გამოაცხო. ყურადღებას აქ-ცუვდა, ვისი ბედისკვერა ამოიზნიერა გულში, რაც ბეღნიერების ნი-შნავდა. ვისი ბედისკვერაც შუაგულში დაბლა დარჩებოდა, უბე-დურების ნიშანი იყო. შინაური ოჯახის წევრების გარდა ბედის-კვერას გამოუცხობდნენ ამ ოჯახიდან გათხოვილ დას, მამიღას. და-ნიშნულ, მაგრამ ჯერ კიდევ შინ მოუყვან რძალს, ამ ოჯახის ახალ-გაზრდების ან ბავშვების ნათლიებს, დისტულებს და ხანდახან მა-მიღაშვილებსაც.

ბედისკვერას შინაურებს „წელწადშივე“ დაურიგებდნენ და ერბოსთან ერთად შეაქმევდნენ, თავისი ბედისკვერა აუტილებლივ თვითონ პატრონს უნდა ეჭამა. სხვის ბედისკვერის შეჭმა არ შეიძ-ლებოდა, რადგან სხვისთვის ბედის წართმევას ნიშნავდა. ახლო-მახ-ლო სოფელში, საღაც ზეავების საშიშროება არ იყო, წელწადის შემდეგ მალე წაიღებდნენ ბედისკვერას, ხოლო თუ პირიქითს იყო ბედისკვერა მისატანი, მაშინ გაზაფხულამდინ რჩებოდა. დიასახ-ლისი რაც შეიძლებოდა ფრთხილად ინახავდა ბედისკვერას, რომ თავეს ან კატას არ ეჭამა, და სხვა. როცა მოგაზაფხულდებოდა, მე-რე მიპქონდათ ბედისკვერაც და არაყიც.

ზღის გედისაკვერა

ხევსურებმა ქალის თხოვა ივანშივე იცოდნენ, ან ცოტა მოზ-რდილს ითხოვდნენ და ვიდრე ქმართან წასაცლელი გახდებოდა, უკველწლიურად მიპქონდათ მასთან ბედისკვერა. ნათხოვი ზლის



მოყვანა გრძელდებოდა ოც წლამდინ, ხან შეტიც, გამონაკლის შემდეგ თხვევაში კი ცოტა ნაკლები.

თუ ზალი ახლო იყო და ბედისკვერას წელწადის შემდეგ მალე არ მიუტანდნენ, მაშინ ქალის მშობლებს ეწყინებოდათ, რატომ ადრე არ მოიტანეს, თუ ჩვენი მოკეთეობა უნდათო და „მოკეთეობას დაულევდნენ“ ანუ „ლიშან-სამთხოვროს“ გადმოუყრიდნენ (ლიშან-სამთხოვრო: პირველად ქალს რომ დანიშნავდნენ, ერთ აბაზ კერცხლის ფულს მისცემდნენ. ამას ეწოდებოდა „ლიშანი“. ამის შემდეგ ქალი ითვლებოდა გათხოვილად და მის საოთხოვრად ვეღა-დაინ მივიდოდა. ქალი თუ დიდი იყო და ლიშნის მიცემის შემდეგ სხვა ვინმე გაიტაცებდა, ამას მოჰყვებოდა გვარის გადაკიდება გვარისათვის და ერთიმეორის ხოცა. „სამთხოვრო“ კი ეწოდებოდა სამ არშინ ფართალს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო. ლიშანს ქალის მშობლებს მისცემდა ვინმე შუაყაცი, რასაც ეწოდებოდა „დალიშ-ვნა“. დალიშვნის შემდეგ ვაჟის ოჯახი საჩქაროდ მოემზადებოდა, გამოხდიდა არაყს, შუაყაცსაც გაიყოლებდა და სამთხოვროსაც მიუტანდნენ ზლის მშობლებს). ამიტომ ბედისკვერა ზალთან რაც შეიძლება დარე უნდა წაელოთ, მაგრამ პირიქითში გაზაფხულამდე რჩებოდა უგზოობის გამო. გაზაფხულზე კი ცხენის ვზა გადავა-დიდა თუ არა, მაშინვე დაამზადებოდნენ რაც შეიძლებოდა ბევრს და კარგ არაყს, აავსებდნენ ქინთებს და ჩააწყობდნენ ხურჯინში. დასასხლისი გამარაცხობდა ერთ დიდ ხავიშიან ქადას, მთაკლებს რამდენი ბავშვიც ჰყავდათ, იმდენ ხავიშიან კუბატ-ქადისკვერა, ზედაპირზე დაჭრელებდა საჭვრეთათი და ერბოთი გაპოხდა. ბე-დისკვერას წასალებად მოემზადებოდნენ სასიძოს ძმა და ბიძა-შვილი ვაჟი, ქალიც. შეიძლება მამამთილიც წასულიყო, მაგრამ ბედისკვერა იხალგაზრდებს უფრო მიკერძათ, რაღაც სამხიარუ-ლო ამბავი იყო და ზალთან წასვლა უხაროდათ. წამსვლელი ქალები ზლისათვის მისატანად თავის ხელით მოქარგავდნენ რამეს, ან ხელსახვივლის (მელეგზე დასახვევი მოქარგული და მძივიანი რამ), ან ტყავის „აპაურთ“ (გულზე შესაკრავი მარყუჯები), „სამეჯებს“ (ომაში დასაყოლები შძივიანი პატარა მრგვალი რამ ბაწრით) და სხვა ასეთ რამეებს. ვაჟები ან უყიდიდნენ რამეს ან თავის ხელით გაუკეთებდნენ და წაულებდნენ. მაგალითად, ჩუსტებს, თავშალს, უყიდდნენ. „ტაგრუცს“ გაუკეთებდნენ და დააჭრელებდნენ, „საა-ბრაშუნე გალს“, ან „სახრელს“, ან სხვა რამეს მიარომევდნენ. ზა-ლიც თააჩვედრებდა თავის ხელით გაკეთებულ რამეებს და მოსუ-ლებს მისცემდა; მაგ., ნაჭრელათ დაკერილ სათამაქოეს, საფუ-



კრებს, ტყავის აპაურებს, საწვიეებს და სხვა. ერთი სიტყვიში მოიხსენია ლთან წასალები რაც იყო, ყველაფერს ჩაწყობდნენ ხუჯინში. რადგან ხევსურეოში ცხვარი და მატყლი ნაკლებად იყო, მოთხოვნილება კი დიდი, ამიტომ დედამთილი ერთ-ორ ჩარექ მატყლაც გაუგზავნიდა ზალს.

ყველაფერს რომ ჩაწყობდნენ და მოემზადებოდნენ, გაგზავნიდნენ ბავშვს ან ვინმე ქალი წავიდოდა და დაუძახებდა თვის ბიძას, ბიძაშვილს და ასეთ ვინმე მახლობელს. თუ წამოსვლას არ დაპირებდა, მაინც არ შორებდნენ, არაყი ნახე, მძახლებთან რა მიგვაქვსო. რო მოვიდოდა, ყველანი ფეხზე აღვომით შეხვდებოდნენ, ის ეტყოდა: „რადარ წახოლთ, რადარ, რასაღ ლგვიანობთ, მთას ვინდათ გადავლა, რაღა ჩემობა ვინდოდათ აქ“. ისინი უპასუხებდნენ: „არაყი ხო არ გაგაპარებთ, ან არ უნდა იყოდა, მძახლოას რა მიგვაქვე? იქნება სრუ შამანია, არ ლირს წასალებად. არ უნდა გვითხარა — შინ დასხეითავ, ესეთ არაყი შასარცხვენლად მთათ იქი-აქით არ წაიღებისავ, ან სხო დარიგება არა გვინდა, იქ რო მივდით? კევსურ არ ასავალ-გასავალია, დაგვიანებაზე რო დაიწყან რაი, მეტრ რა უნდა უთხრათ, ან რაჯელ მავიქცნათ?“ უფროსი კაცი რაც საჭირო იყო, იმ დარიგებას მისცემდა: „გზაზე მთხილად იარეთ, გზაში არავინ გააგარათ, არაყ რო მიაქვ კაცს, გზაში შაყრილს მტერსაც არ უნდა გააცილას, სირცხვილიანის არაყის მიტანას ცოტაის მიტანა-ი ჟრობ მაკეთისას. მაკეთე ქვე არა საევირელო გამდე გინდიანაბრა ბევრის არაყის მიტანაზედა, გზაში რო არაყი გააცილებს, ის სირცხვილად დარჩების. მაკეთესთან მისულ კაციც გონთ უნდა იყოს; კევსურმ ბევრ აჭია-ბაჭია იცისა, ყურად არ უნდა არას. ტკბილს ენას ყველა შაუქლავ, მაკეთესთან ტკბილ ენა არც სირცხვილი ასა დ არც იქნების უიმისოდ მაკეთეობა. ქალის პატრონს ვაჟის პატრონი ზლის შინ მაყვანამდე სრუ უნდა ეფურებოდასა, რახა ქალ გამავართვათ, მეტრ აღარ გვექნების იმათად საფურო. მეტრ იქნება ჩეენ გვეფერებოდენ კიდევაც. (ამ შემთხვევაში მაგალითისითვის ნაგულისხმევია ვაჟის პატრონად რახოტიონი, ქალის პატრონად ბუდის ხევსური). კევსურნ ხო იცით, მძემენი, დიდს გამტედავნი. განა არხოტიონთ ლვონ. რო ჩეენ ხან ერთს ვიტყვითა, ვიქთ, ხან შეორეს. ისენ დინჯნია, დინჯად უნდა მაიქცნათ, არც სიცილ-მასახაობა-ი ორგ იქ, იმათ ისიც მარჯვედ სწყინს. რო ეშმაკის ცხენზე შასხდან რაობაშიად მაკეთეობა დაგვილიონ, ეემთვენ ხარგი-ტანჯი სრუ ტყურად ჩაგვივლის. ცოტახან მაიჭიერეთ კიდევ. კევსურ ენით სატ-



უფები. ჩევსურ უნდა შააქასა, ქონქართ გავ, შენის დღისად მაკრელიც დების. აქით დაბარებულ იქ არა გმიაგადგებისთ, თუ მალედ არ მისვლაზედ-ად დაგვიანებაზე რაი თქვეს: ხო ხედვენ ე ზამთარს, გთა-გზა ჭერ არც კი გადასულა ჭვე მიზრით, ზურგითა სასაგძლით ნათევან არაყან ქვი არაი მაკეთისას მიტანილ, თუ ცხენით არ მიერდ კაცი, ხურჭინ არ მიიტან”.

ასეთი დარიგების შემდეგ უფროსს ან თუ რამდენიმე უფროსია აქ, ყველა ქინთებიდან დაუსხამდნენ და ისე გაასინჯებდნენ არაყას. ბოლოს ეტყოდნენ: „არაყ ჭევსურს ეკადრების, ამაზე კა არაყ არც იმეებმ იყიან; ჭევსურის არაყ სრუ არა შასასმელი“. ბოლოს მგზავრობას დაულოცუადნენ და დალევდნენ: „მშისწულებო, აგაშენნასთ, ბარაქა მაგცასთ, მუდამ სალხინო სასმელ ნუ მაგიშალასთ, ზლის ბედისკერა გაზიდვივასთ, მშეიდობით, გახარებით. მგზავრობა დაგილოცასთ, მშეიდობით გამგზავრნასთ, გულის ნაგონარ გიცხადასთ. კაზე მაგიჯდიანასთ ზლისად მიყოლაი, მაყვანილია ამ სახლში აათავის, ზალც ბედიან-დავლათიან გამაყვანას. შაუნდნას იმ სულებს კი, რომნებიც გზაშია. მგზავრობაში ჩელს გიმართევდასთ“. ამის შემდეგ მოწვეულ თავისებს რამდენიც შეეძლოთ დაალევინებდნენ, დალოცვაზე კი უპასუხებდნენ: მადლობელი, ღმერომა გიშველას და სხვ.

ბოლოს შეკმაზავდნენ ცხენებს და გაემგზავრებოდნენ. სასმლისაგან შეგუნდებიანებული ახალგაზრდები სულ კაფიაობით და „ღვედრით“ მიაჯიბრებდნენ ცხენებს. ერთიმეორეს ხმამალლა „ღვედრიდნენ“ ასეთ ლექსებს:

1

„სამამალას მუკიდავის ჩემის ცხენის აღვირიო,
რახან გაზაუხულ მავიდას, შაკაზმება აღვილიო,
პატრონი ხყავ შავუვერია, ხუტუნაის გაზდილიო.“

2

შაშინ კაია კა ცხენი, რა მთანი ღვევანდან ლილასა,
პირს ედგას მძიმე ლაგამი, ორთქლი აღნობდას რკინასა.

3

შაშინ კაია კაი ყმა, დილას ალრინ დგებოდეს,
უცემდას გრილსა რკინასა, ომს ვიქამ, ემზადებოდეს,
ლურჯა ხრავდას ლაგამსა, ცხენი ტოტებზე დგებოდეს,
ზედ იჯას სკოლა მკედარი, ცხენ წალმა-უკალმ ხტებოდეს,
ომისკე დატებული რო დილის ნიავს ხყევიდეს,
ომში გელადად იძოლას, სიკვდილს არ ერთიმებოდეს.

არას დაგიღევს თაგვაი აღვრის მაღალაბასა,
კეცსურ რო გზაში შახედების, ძლივ ასწრობს გამარჯვებასა.

5

კელჩი მჭირდების ლურჯაი, მთებ გადაშრების ჩვენით,
ნალნი რიცხვე შოთან, არ იყოს დასაპერიო,
აკლიან ნისლისფერიასა გასაფრინდომლად თბენით.

ასეთი ლექსების „ლვედრით“ და ხუმრობა-სიცილით გადავი-
დოდნენ პირიქითს, კარგა დაბლა ჩავიდოდნენ, ბალახიანში ცხე-
ნებს გაუშვებდნენ და თვითონ ქინთებს შემოუსხლებოდნენ. ას-
ეამდნენ იმ არაყს, რომელიც უფრო კარგი იყო, ადლეგრძელებდ-
ნენ ერთიმეორებს, ლოცავდნენ თავის მგზავრობის გზას, ზალსაც
ადლეგრძელებდნენ და ბოლოს დალევდნენ მის შესანდობარს, ვი-
საც ამ გზაზე ჩაუვლია. სხალხო საქმისათვის დაღუპულა და ვე-
ღარ ამოუკლია. ეს შესანდობარი ძალიან საპატიოდ მიაჩნდათ
და ქალებსაც კი დააცლევინებდნენ ყანწს. მერე კიდევ დალო-
ცავდნენ იმისთვის, ვინც ამ მთაზე ან ზევისაგან დაღუპულა ან
ისე მოკვდარა. ამ შესანდობარსაც უკველად გამოცლილნენ. ბო-
ლოს მოიყვანდნენ ცხენებს, უნაგირებს გაუსწორებდნენ, აპკი-
დებდნენ ხურჯინებს და სალამო ხანზე წივიდოდნენ თავის მძახ-
ლების სოფელში. სოფელთან ცხენებიდან ჩამოვიდოდნენ, ავი-
რით წიყვანდნენ და დინგად მივიდოდნენ მასპინძლის სახლთან. გზაში
თუ მის მახლობლებს ვინმეს ედგა სახლი, ან შეხვდებო-
დათ მახლის ძმა-ბიძაშვილი, ჭერ აქ დაალევინებდნენ არაყს, ხო-
ლო მერე მძახლებთან გაიყოლებდნენ. სახლთან რომ მივიდოდნენ,
მძახლის მახლობელი თუ ახლდათ, ან თვითონ რომელიმე მივი-
დოდა წინგარდაზე სამყოფოს საკომთან და დაიძახებდა მძახლის
სახელს: „შინ არ ხართა? კარშია გამაღით“ — „შინ ორთ, შინ“ —
იქიდანაც უპასუხებდნენ და ოჯახის წევრები ყველანი გარეთ გა-
მოიდოდნენ. მამაუკუტი ჭერ კაცებს ეტყოდნენ. „გამარჯვება
ოცებო“ (ან ვაეცხო). „გაგიმარჯოს ღმერთმ“ — უპასუხებდნენ სტუმ-
რები. მერე მასპინძელი კაცები მოსულ ქალებს ეტყოდნენ. „მახ-
ვეით თქვენთაც მშვიდობით“. „გიშველასთ ღმერთმ“ — უპასუ-
ხებდნენ ქალებიც. მასპინძელი ქალები კი მოსულებს ყველას ერ-
თად ეტყოდნენ: „მაზვეით მშვიდობით“. მოსული დიაცები უპასუ-
ხებდნენ: „გიშველასთ ღმერთმ“ დიაცებს კი კაცები ასე უპასუ-
ხებდნენ: „გაგახარნასთ ღმერთმ“. ამბავს ყველას ერთად ჰქონდავ-



დღენ: „ხო კარგად, ხო არა გიჭირსთ, საქონ ანა დაზიანფრთხოებული მეამბების თქვენ მშვიდობა, როგორც ჩემის ბეჩევის თავისა. შეტყუირება ზობლებსა -დ თქვენებს ხო არავის უჭირს, ხო ყველა მშვიდობით ას. ხო ახალ ამბავ აღარაი თქვენე“. ისინი პაუხობდნენ: „კარგად ორთ, რა ცეკითხების ჩენ ამბავი: ყველა მთლად ორთ, არც-რა მეზობლებს უჭირს, არცრა სხო ახალ ამბავი ას.“

ამბვის კიოხვა რომ დამთავრდებოდა, ცხენებს ხურჯინებს მოხსნდნენ და უნაგირებს მოსართვებს მოუფონებლნენ. სულ კი არ მოხდიდნენ, რათა ოფლიანი ცხენები არ გაცვეტულიყვნენ. ყველანი დასხვებოდნენ წინგარდაზე და დაიწყებდნენ საუბარს იქაურს და აქაურს ახალ ამბებზე (რაზედ უფრო ექნებოდათ საუბარი, ეს აწერილია მემასანახავეთა სტუმრობაში). ამასობაში ცხენებსაც ოფლი შეაშრებოდა, მასპინძლები უნაგირებს მოხსნიდნენ და ბავშვებს გააყვანინებდნენ ბალაში დასაბმელად. ხევსურები ზამთრობით ბოსელში ცხოვრობდნენ, ე. ი. სახლის დაბლა სართულში, ხოლო გაზაფხულზე შერხოში იცოდნენ ამოსელა. აქ რჩებოდნენ, ვიდრე შემოღვმის სიცივეები დაიწყებოდა. თუ ჰქონდათ რიგიანი შერხო, თუ არა ბოსელში იყვნენ ზაფხულშიც.

მასპინძლები სტუმრებს ფეხზე „გლენებს“ გახდიდნენ, „ნატულას“ ამოსელებდნენ, გაპერტუყავდნენ და გასაშრობად დაკვიდებდნენ; ფეხზე თათებს ჩააცვალდნენ, ტყავებს მოახურავდნენ და შეიპატუებდნენ სახლში. თუ დაღმამებული იყო, ქალები წინ შევიდოდნენ და სანთებს მოუნათებდნენ. მერე მასპინძელი შეუძლებოდა წინ. თუ მასპინძელი ბოსელში ცხოვრობდა, ქალებს ბოსლის კარებიდან შეცვანდნენ, ვაკებს კი კაცი მასპინძლები შერხოში შეუძლებოდნენ და საკომიდან ჩავიდოდნენ ბოსელში. თუ შერხოში ცხოვრობდნენ, ჭერ კაცები შევიდოდნენ, შემდეგ ქალებიც შეპყვებოდნენ.

შერხოშიც და ბოსელშიც ერთ მხარეზე სამამაცო იყო და მეორეზე სადიაცო. სამამაცოს იდგა ხისაგან გაკეთებული გრძელი სკამი, ან ჭერით იყო ამოშენებული გრძლად სკამის სიმაღლე და მიწით იყო გასწორებული. შესული სტუმრები იტყოდნენ: „ღმერთიში აგაშენებსთ, სოუამც ლხინის სტუმარ ნუ მაგეშლებისთ“. „დაგმშვენასთ ღმერთმ, მაგვიხევეთ მშვიდობით, მშვადობით თქვენ მასელა“ — ეტყოდნენ მასპინძლები. კაცები სამამაცოს უფროსობის მიხედვით დასხვებოდნენ, დიდ ცეცხლს. მასპინძელი თავის მოსულ მასხლებს შეიძლება რამეზე დაემდურებოდა, დაგვიანებით



მოსვლაზე, ან ცუდი ნათქვამი რაშე ექნებოდათ გაგონილობები რად იცოდნენ ტყუილად თქმაც ისეთმა პირებმა, ვისაც შთი შაკეთობის დაშლა სურდა, ან ქალი თავისითვის ან თავისიანებისათვის უნდოდა მოსაყვანად. ამ ქალის საქმროს ან მაზლს ნათქვამს რამეს გააგონებდნენ, რაზედაც ისინი გაცხარდებოდნენ. ხან ლი-შან-სამთხოვროს გამოიტანდნენ და ვინმე მათ ნათესავს მიუტანდნენ, ან მოსულებს სახლში აღარ შეუშვებდნენ. თუ დიდად საწყენი არ იყო და ლიშან-სამთხოვროს არ დაუბრუნებდნენ, მაშინ ვიდრე სძას დაიწყებდნენ, მასპინძელი მაინც ეტყოდა: მე თქვენგან ესა და ეს მეწყინა, მაგრამ უურად არ ვიღე და არც დავიჭერე, თუ თქვენ ამას იტყოდითო. შეიძლებოდა სარდლოს ვინმე სხვა ეუბნებოდა ჩუ-მალ: მაგ ქმართ გაეყარე და ამას და ამას გაპყევით. ქალს თუ ეს ჰკუაში დაუჭდებოდა და პირეელ ქმარზე გულს იცურუებდა, ნაშინ ქმრეულების მოსვლას უმანდილ შეხვდებოდა, რაც მათ-თვის დიდი შეურაცხოფა იყო. ამ ნიადაგზე ქალს გაიტაცებდნენ კიდევ ხოლმე, მერე გამოიძიებდნენ და გაიგებდნენ ქალს ვინ „სცელიღა“. „ზალი ვანამ გამაგრივალ, კარგად აღარ იქცევის, გავიგებთა კია, მაგრამ გულის მცულელმ უბით სუდარიც უნდა ზი-დას“. ასე იტყოდნენ და მას უჭრელად არ გაუშვებდნენ. ასეთ საქციელს ქალს ოჯახის წევრები არ მოუწონებდნენ (მამა, ძმა, დედა და ბიძაშვილები). ქმრეულების მოსვლაზე თუ ის მანდილს არ დაიხურავდა, ძალიან გაუჭავრდებოდნენ: ეს რა უსვინდისობა არის, ქალო, რად გვარცხვენო. ქალი ასე იმიტომ იქცეოდა. რომ მის საქმარეს გაეგო და ეთქვა: მე იმას აღარ მოვიყვან, ჩემგან თავ-დანებებულია და ვისაც უნდა გაპყვესო. ვიდრე ამას ქმარი სახალ-ხოდ არ იტყოდა, მას ვერავინ გაუბედავდა ვერც დანიშნენას და ვერც მოტაცებას. ეს რომ მომხდარიყო, გვარი გვარის წინააღმდეგ წავიდოდა და ერთამეორეს ამოხოცავდნენ. ლიშან-სამთხოვროს გამოტანა ნეშნავდა მთლიან მოშორებას ქალის მხრიდან საქმრო-სას.

თუ სასიძოს მოგვარე სარდლოს რომელიმე მოგვარეს გააჭავ-რებდა, ან გალანძლავდა, ამაზედაც „გაპყრიღნენ“ ქალს. ასეთ ამბებზე მძახალი მოსულებს დაემდურებოდა. მოსული სტუმრები ძალიან ნაწყენი დარჩებოდნენ და თავს გაიმართლებდნენ: „ეს უველა მტრის ენაი ასა, ჩეენ ამას უველას ვავიგებთა, ამაზე რო ცუდ რა-ი ვქნათ, მემზ ჩვენ ბრალს ნულარ ვინ დაგვდებს“

ქალი თუ ცუდად იქცეოდა ქმრეულებთან, ან მანდილს არ



იხურავდა, ესენი ამას იწყებდნენ ძალიან. ქალს მოიტაცებლნენ შიკოლება
შიკოლება სახლში და ქართველი იქიდან დაანებებდა თავს, გაეყენებოდა სახლში.

ასეთ ამბებზე ესაუბრებოდა მძახალი მოსულებს, რა თქმა
უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამე მომხდარიყო მათში. თუ
არა და, სხვა ახალ ამბებზე საუბრობდნენ და იცინდნენ. ზალი
თავის სოფელში ყოველთვის უმანდილოდ დადიოდა, ქმრეულებს
კი უმანდილოდ ვერ ეჩენებოდა, მათ მოსულაზე მაშინვე სახლ-
ში შევარდებოდა, მანდილს დაიხურავდა და ისე მივიღოდა მათ-
თან. კარგა ხანს საუბრობდნენ, ხუმრობდნენ, იცინდნენ. მეტე
ერთ-ერთი სტუმარი მოითხოვდა ხურჯინს და თავის ამხანაგ ქალს
ხუმრობით ეტყოდა: „აბა, დაო, ჩვენ რო საუბარ არ მაგვწყინდას,
ეგმ ხალხს ისი მაინც გავაგებივათ, რაად მავედით, მაიტანენი, არა-
ყანი რა შავსვნათ. თუაღ რა მაგვყა“. სტუმარი ქალი მოითხოვდა
ხურჯინს, რაშიც არაყი და სხვადასხვა საჩუქრები იყო ჩაწყობი-
ლი. ამოალაგებდა. ქადას და კუბატ-ქადისკვრებს დიასახლისს მის-
ვემდა, ზლისათვეს მოტანილ საჩუქრებსაც დიასახლისს გადასცემ-
და და რომელი საჩუქრები ვისგან იყო, ამასაც ეტყოდა. ზალი თუმ-
ცა ცოტა მორცხვობდა, მაგრამ ქმრეულებისაგან მოტანილ საჩუქ-
რებს მაინც სიამოვნებით და ღიმილით გასინჯავდა. სტუმარი ქინთს
მოხსნიდა პირს, ჰოითხოვდა ყანწებს. როგორც მემასანახავე სტუმ-
რების დროს ვთქვთ, მასპინძელი თავის ოჯახის რომელიმე წევრს
დაავალებდა: წადი, ესა და ეს ხალხი აწიე და მოიყვანეო. სტუმ-
რები წევას უშლიდნენ და ეუბნებოდნენ: „შორ გზა ას, ხალხ
გვეყარა, აღარა მაგიულეთ, ვერ ქვე არ გამავიდ კა არაყა, მემრ
გზაზე დაგვეხარგ. არაი ღირს აქ საძახებლად. ჩვენამც რა გვეკმავა-
ს, სხვებსთან რაადალ შავირცხვინათ, მავარილს ქვეც უნდა რა
შასმივა -დ ჩვენ კი იმთვენ არა გვიდგას“. მასპინძელი ხალხის წე-
ვას მაინც არ დაიშლიდა, რაღან იცოდა, რომ ზლის ბედისკვერა-
ზე აუცილებლივ ბევრ სასმელს მიიტანდნენ, თუმცა ტყუილად
უარობდნენ: „ცოტა მთას ცოტა ნამი მოსდის“ — ძალიან ცოტა და
ცუდი არაყი მოვიტანეთო. სტუმრები მაწევარს არ გაუშვებდნენ,
ვიდრე არაყს არ დაალევინებდნენ. სტუმრები ყველანი ფეხზე ად-
გებოდნენ, ქულებს მოიხდიდნენ და პირველად დასხმულ ყანწს ამ
სახლის უფროსს მისცემდნენ. „აპალე, მძახალო, გამამართვი. გა-
ნა შასამელ რაად ას, შამანი, მაგრამ შამანიც იმ ლულაზე გამავ-
ლილი, რა ლულაზედაც კა არაუ გამართის. მძახალო, წელწდიდგე
მალევ გვინდოდ წამასვლა, მაგრამ ცუდის ამინდების გამო ჩვენებმ



უფროსებმ არ გამაგვიშვნეს, ეებლადავ სიარულისა არა ასაკი დამზადათ
თხრეს. მთაზე რო ზუავ მაგივიდასთავ, ჩეენაც დავილუპებიში მიმდინდ
მაჟეთესაც გულ დაულონდებისავ. ჩეენ მძახალნივ ჯიშიან-ჯილაგი-
ან კაცნიავ, ზამთარის მთაზე არ წასვლაზე კი არ დაგემდურებიან-
თაოდ, რო წახვიდათავ ცუდს ამინდზედავ, კი იქნება გაგიჯავრდნათ
კიდეცავ. გაზაფხულ მავავ, მთა-გზა გადავავ, შახვმაზეთავ ცხე-
ნებიო — დ მძიმედ მიდითავ კას მაჟეთესთანაო — დ მძიმედ წამეედი-
თავ. რა საჟვირელთ გამაიყონთავ მძახალთავ ზამთრის მისვლითა-
ოდ, ზურგით მითრილი სასაგძლითავ. რას გააჟეთებთავ ზამთრის,
რაიც გულს არ დაულონებთავ მაჟეთესავ. უფროსებმ კი ეს ვკირ-
ჩიეს, მძახალო, მაგრამ ჩეენ უკაცობაიც ას. თუ გავენის, უფ-
როსებსაც წამაუვიდოდით, მაგრამ ჩეენი უკაცობით ვერ მავე-
თად, ვერ მაგხენეთ. ჩემო მძახალო! ჩეენ უკაცობას ნუ შაა-
ფერებითა — დ ნუ დაგვემდურებით. ჩეენ ან მასვლაი — დ ან წასვლა
რაი ასა კი, მაგრამ მაჟეთეს დროზე უნდა მიხენას“.

სტუმარი ამ სიტყვებს რომ ეტყოდა, მძახალი უპასუხებდა: „ჩე-
მო მძახალო! მართალი, მაჟეთე მაჟეთეს მეელის კი მასვლას, მაგრამ
ზამთრისა, ცუდს მთა-გზაზე არ მასელაზე კი უჭიშო — დ უკაცო-
ბო კაც დაემდურების. მე არ მინდ, რო ზამთრის მამიხიდათ. იქ-
ნება ან მასელაში, ან წასული დაზიანდათ ვინ მთაზედ. მემრ ხო
ერთ ცოდობრალ დატრიალდებისა — დ ცოდოთ საყრელ გავჭდებით,
ცოდო ხქონდასავ იმათავ, რო ქალ არ გაეზარდავ — იტყვიან ჩეენდ,
ეს ხალს არ დაიკოცებოდავ. ღმერთმა დასწეულის მთა, თავმკიდე-
ბარი ას. ვითა დაიკოც ჩემობას ამ არხოტის მთაზედა, ზაფხულის
თოვლის გაშრობიდგე ძლივ დაიწელ ისეთ-ისეთ ხოყანა, რო
წარებივით. დილას რო წმიდა დარზე წავიდას, ერთ ცოტა ღურ-
ბლის გაჩენაი — დ ბალვაჩის წვერს დაეხვევის (ბალვაჩი: არხო-
ტის გადასავალი, საზამთრო სასიარულო მწვერვალი). დახტრო-
ლებს. ასტეს ქარბუქეს, ასო დაუჩინდების, რო აღმ დავა თუ ჩაომ,
კაც იმას ვეღია გაიგებს, გადასცდების საზამთრო ფხავორებსა,
საზეაო ჩიდილებში გავ კაც. მეტ არც უნდა, ძველ ნაქარზე ახალ
გადანაქრულ თოვლ გატყდებისა, წაიღებს კაცს. განა ბევრ ჭირ
უნდ კაცის დალუბეას. აი იმით გეუბნები, მძახალ გენაცვლას, რო
ნუ წამახებიდით ზამთრის, მაოს გაზაფხული, უკვდაეს გზაზე ცხე-
ნებიო წამახოლო, მშეიღობიანად მამიხოლთა, წახოლთა იქავ მშვი-
დობით. მაგიკედას მძახალ, თუ მაგაზე დაგვემდურას. მასვლას კი
მაველით მაგრამ წინათ იცოდიან: მალოდინი უჭობავ მასვლასავ.
მალოდინ რო აქვავ კაცსავ, ის სრუ უხარისანავ — აშ მავაო — დ ან



აწავ. მემრ თქვენ დაზღიუთ, სწორობთა-დ ვინ ოჯ დაგიმადლებში მუსიკით ვა ჩემ ქალი, მაგის ქმარ, რო ცოცხლებს იყვნენა-დ ერთადაც შაიკარნან, ეს თქვენ ამავი, სიარულ სრულ დასცილდების, ალარ მაგიგი-ნებენთ. ან ვინ იცის, იქნება ჭკვაში არცი მაზღის ერთული, ქვე გაიყარნან. ან მაშინ ვინ დააფასებს თქვენს ამაგასა-დ ამბავ-ანაბარს“.

„მძახალო! — ეტყოდა სტუმარი — მძახალ გენაცელას, მე მადლობელი ორ შენის საუბრისა. ჯიშიანის კაცის ჭირიმ, სიტყვით ჯიშიან იცის. სახალიშო ჯიშიანს კაცსთან მისვლაიც. იმით იტყოდეს წინანი: ჯიშიანსთან მტერობა-ი უჯობავ, უჯიშოს კაცსთან მავეთეობასავ. უჯიშო კაც ეხლა არც კი შამაგვიშობდ შინა-დ შენ ამას არ იკადრებ“. აიღებდა უფროსი მოსაუბრე სტუმარი თავის ქუდს, მძახლის წინ გადაავდებდა და ეტყოდა: „აი ეე ჩემი ქუდით მადლობელი ორთ შენის სიტყვებისა. ჩეენ ლირსნ არ ორთ არც მასვლისა, არც წასვლისა“. მასპინძელი სტუმრის ქუდს აიღებდა, გაბერტყავდა და ხელში მისცემდა. ის ისევ ადგილზე დადებდა და ეტყოდა: „აბა, ჩემო მძახალო, შენი ჭირიმ! მაილოცი, მაილოცი. საუბარ გავიბი, სმა ქვე დამცილდ. რათა ხანი ერთ ყანწ გოჭერავ კელჩი“. სახლის უფროსი დაილოცებოდა: „მძახლებო, ღმერთმა აგაშენნასთ, ღმერთმა ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, თქვენ მძახლოვა-მაკეთეობა ღმერთმ ნუ მამიშალას. ჩემი ჭკვით კი არცარა ჟელ შაგელლებისთა, მემრ ქვე არ ვინ იცის, რა როგორ მახსედების, მატანილი გაქვისთ ზლის მასაკითხი -დ შინაც ზლიანობაზედა -დ ლხინზე გადინნასთ, მაკეთისასაცა-დ შინაც ლხინ მაგცასთ. ჟელ გიმართასთ გზაჩიცა-დ მგზავრობაჩიაც. ოვალ-გულ ნუვისა მაგრივასთ. გულის ნაგონარ გიცხადასთ, წალმართ წალმ წაგვარასთ, რაისა გულისად დაზღიუთ, კაჩე მაგიკინიასთ, მტრის გულისად ნუ დაგვადნასთ. მანდილოსჩებო, თქვენაც გადლეგელნასთ ღმერთმ, გაცოცხლნასთ, მზის საფიცრებ გიცოცხლასთ, ტანი მთლად, გულით მხიარულად გამყოფნასთ. შაუნდნას, ვინაც მგზავრობაში ჟელს გიმართავდასთ, დაგუგუბოდასთ. იმ სულ-წმინდათ კი მაავმარას, თქვენ მშვიდობით გამყოფნასთ“.

დალოცვის დროს სტუმრები პასუხობდნენ — „ღმერთმა გიშულას, მადლობელნი ორთ, ღმერთმა თქვენ თავ ნუ გამაგვართუას“. ბოლოს მიცვალებულებისათვის დალოცვაზე უპასუხებდნენ: „მადლა მაგცას ღმერთმ, შენ ენა დიდხან აუბნას, შენ ნუ ვინ დაგაკლას“. სახლის უფროსი რომ დაილოცებოდა, ცოტას დალევდა და იტყოდა: „-ო-ო-ო, ი არაუ ეესეთა უნდ, ცეცხლივითაც ას. ეესეთა არაუ რას გამაგივიდათ?!“ ჩეეულებრივ აიღებდა ცეცხლიდან პა-



ტარა შეშის ნატეხს, ჩაუშვებდა არაყიან ყანწში და ანთებულო /
ცეცხლში შეიტანდა. ზალთან მიტანილი არაყი აუცილებლადდას მოვა
გულდაგულოდ დამზადებული იყო და ცხარეს ცეცხლიც ძა-
ლიან მოეკიდებოდა. რომ პპრიალდებოდა, მასპინძელი ხუმრობით
იტყოდა: „ო-ო ძალიან არაყ არ ხარა, დალოცვილო, სამძახლო ყო-
ფილ. მწურავსამც ედები“—კიდევ გაიხუმრებდა მასპინძელი („მწუ-
რავსამც ედები“: ვინც ეს არაყი გამოხადა, ამ არაყისთვის მოკი-
დებული ცეცხლი იმასამც ეკიდებათ). მერე პირზე ბევრგვერ მოი-
გვდებდა, ცოცორტის დალევდა და იტყოდა: „ბ-ბ-ბ, რა მარჯე არა-
ყი, არცა პირში შასაყენები, ლაშნიც გარმამდაგნ!“.

არაყის შომურავები კი ეუბნებოდნენ: „რაად შასასმელი, რაად,
შაშანი. არიქა, თუ როგორ შაუხოლა, შასწონ“. ბოლოს ერთ-ერ-
თი სტუმარი ყანწს ბოლოში მოჰკიდებდა ხელს, ოჯახის წევრს
ერთ ხელს თავზე მოხვევდა და ძალით დაალევინებდა. ყანწის ძირ-
ში არაყი თუ კიდევ დარჩებოდა, მასპინძელი იმასაც ცეცხლზე
დაასხამდა, ცეცხლი პპრიალდებოდა, დამლევი კიდევ გაიკვირვებ-
და არაყის სიკარგეს. ასე დაალევინებდნენ ოჯახის ყველა წევრებს.
ისინიც აქებდნენ სტუმრებს. მერე ეტყოლნენ: „სახლნ ვისამ და-
ეწვნესაოდ, ჯელნ არ დაეთბნესავ, აბა თქვენაცალ შასეით“. დაას-
ხმევინებდნენ ყანწში და სტუმრებს „შააქცევლნენ“ (შაქცევა ეწო-
დებოდა ვინც არიგებდა სასმელს, იმას რომ დაალევინებდნენ).
ისინიც დაილოცებოდნენ და დალევდნენ შემდეგი სიტყვებით:
„მძახალნო, ღმერომა აგაშენნასთ, ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამ-
ყოფნასთ, თქვენ მძახლოვა ნუ გამაგვაროს, მუღამ ლხინის სას-
მელ გვაზიდვიოს თქვენს სახლში. ამხანიგებო, თქვენაც დაგლოც-
ნასთ, გულის ნაგონარ გიცხადასთ. მანდილოსნებო, გაგახარნასთ,
გაგალალნასთ, გიცოცხლნასთ მზის საფიცრები. შაუნდნას იმ სულ-
წმიდათ კი, ვენაც ჩევენს მასვლასა თქვენს დახვედრას მანყვებოდას,
მაღბრუნვებდას“.

დალევლნენ, მაგრამ მაინც იტყოდნენ: „რაად შასასმელი/ შა-
შანი. ეს არაყი განა ქვე დაორობს კაცს, მთვრალიც რო იყოს, კი-
დევაც მააფხიზლებს“. ასე ყველას დაალევინებდნენ ოროლ-სამსამ
ყანწს. ხალსაც მოსულა ქმრეულები თითო ყანწს ყველა მიუტან-
და. ის ქმრეულების მიტანილ ყანწიდან ცოტას მოსვაძდა. მერე
აავსებინებდა და ისევ იმას დაალევინებდა, ვინც ეს ყანწი ვიუ-
რანა. ამას საეროოდ „მიდათ წესს“ უწოდებდნენ. თუ ქმრეულე-
ბი ძალიან ახდეგაზრდები არ იყვნენ და შუა კაცობას იქნებოდ-
ნენ მიღწეული, მაშინ ზალი ყანწს ხელს არ მოკიდებდა, ვიდრე

ზლის მავიერ მიტანილი ყანწებით პირველად ისინი არ დალევდნენ კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის შესახებ და მას არ გასცემდა, ისინი თუ რამეს ელაპარაკებდნენ, თავდახრილი იდგა და ხმას არ იღებდა. ქმრეული კი სთხოვდა: მე ეგეთი ჩნიერი არ ვარ, რომ შენ უმძრახობას მკიდებო. მიუტანდა ყანწეს და სთხოვდა: ეს ყანწეი დამილოცე და მძრახდიო. ზალი კვლავ მორცხვობდა და ხმას არ იღებდა, სხვა ვინმეს ეტყოდა: „ყანწეი დამილოცეო“. ქმრეული სხვას ყანწეის დალოცვის ნებას ადვილად არ მისცემდა — თვითონ დაილოცოს და შემრიგდეს, რა დაუშავე, რომ ხმას არა მცემსო. ბევრის საუბრის შემდეგ შეიძლებოდა ზალი დაათანხმებულიყო და ედლეგრძელებინა ქმრეული, ოლონდ სახელს არ ეტყოდა. (ხევსურეთში რძალი ქმრის ვარეულის და სოფლელი უფროსი კაცების, თავისი დედმთილ-მამე-მთილისა და ქმრის, აგრეთვე ქმრის ვაირში ხანშიშასული ქალების სახელს არ იტყოდა). დაილოცებოდა ძალიან დაბალი ხმით და ხათრიანად: „აბა ღმერთმა დაგლოცას, ღმერთმა გადლეგძელა, შშვიდობით გამყოფას, ისრ გამყოფას, რაყელაც შენ გული სთხოვდას, გარეშემინიანად, კაის მენდობიანად გადლეგძელას“. ქმრეულიც პასუხობდა: „ღმერთმა გაგახარას, შენ გული გაახარას ღმერთმ“ და სხვა. ბოლოს ზალი ცოტის დალევდა, აავსებდა ისევ ყანწეს და შიცემდა ღასალევე-დ ქმრეულს. ისიც დაილოცებოდა: „ზალო, ღმერთშე გადლეგძელას., გამთელას, გადლეგძელას დედა-მამაც, დაძმებიც. ისრ გადლეგძელას, როგორც შენის დედ-მამაისა, შენი კაის მენდობის გულს უნდ. ჩემს ზალს დალეგძელობაი-დ ვაეყებო, თქვენთან გამარჯვება. გაგახარასთ, მანდილოსნებო, გაგალაონასთ, ტანით მთლათ. გულით მხიარულად გამყოფნასთ, ავს ნურის შაგასწვრინასთ კაის მეტს“. თუ ზალი ქმრეულს არ დაელაპარაკებოდა, ქმრეულის მიცემულ ყანწეს სხვა ქალი ვინმე დაულოცავდა: ზალი ფეხზე იდგა, ყანწეი ხელში ეჭირა და სხვა რომელიმე ქალს ეტყოდა: „ეს ყანწეი იმი ქმრეულმ მამიტან, მე იმას არ ვზძრახავ უფროსობითად, დამილოცი ეს ყანწეი“. ის ქალი ფეხზე ადგებოდა და ეტყოდა ყანწეის მომტანს: „ზალ გლოცას (სახელი), ღმერთმა დაგლოცასაც — ამბობს. გადლეგძელასავ, მშვიდობით გამყოფასავ, ჰირს ვსომავ შენსავ“. აქ ივი გაჩუმდებოდა და ზალი თვითონ დალოცავდა სხვებს: „თქვენაც დაგლოცნასთ, გადლეგძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ნუვის თვალ-გულ მაგრივასთ“. მერე ვინმეს მოეფარებოდა და დალევდა ცოტის. ოლონდ ყანწეის მიმცემი ქმრეულის უწინ არ დალევდა, პირველად დაალევინებდა მას და „დედათ წესი“ უკვე ექნებოდა შესრულებული. მიტომ იყო, რომ



უფრო ახალგაზრდები მიღიოდნენ ზლის ბეღძსკვერაზე-ჟამაფლება
ისინი უყვარდა, პატივსაც სცემდა და თაეისუფლად იქცეოდა მათ-
თან.

დასაპატიუებლად ზალი არ წაეიდოდა, გაგზავნიდნენ სხვა რო-
მელიმე ოჯახის წევრს. მაწევარი, როგორც ვიცით, უველა იჯახში
მივიდოდა და აწევდა ხალხს. ზოგი ადვილად გამოჰყვებოდა, ზო-
გი გაძალიანდებოდა, მაგრამ ვინც არ წამოვიდოდა, მეორედ გაგ-
ზავნიდნენ მაწევარს და მოაყვანინებდნენ აუცილებლივ. ძმას, ბი-
ძაშვილს, მოგვარეს და კარგ მეზობელს, აუცილებლივ მოიყვანდ-
ნენ. მაწევარმა ეს იცოდა და მეორედ სასიარულოდ რომ არ გამხ-
დარიყო, პირველ წევაზედვე მათ არ დატოვებდა წაუყვანელს,
ქაზდარში მოსულნი იტყოდნენ — „აშენდით სტუმარიც, მასპინძე-
ლიც, აშენდით! სალჩინოიმც ნუ მოგეშლებისთ ნუც სტუმარსა,
ნუც მასპინძელს“. უკელანი ფეხზე ადგებოდნენ და ეტყოდნენ:
„დაშეენდით, მაგვიხევეთ მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მოსვლა“. მოსულებს მიღწევევდნენ, თუ უფროსი კაცები იყვნენ, საუფროსო
სკამზე დასვამდნენ, თუ უფროსები არ იქნებოდნენ, სკამზე ახალ-
გაზრდებთან დასხდებოდნენ. ცოტახანს შეისვენებდნენ და დაას-
ხამდნენ არაყს, ახალმოსულებს შესთავაზებდნენ და ეტყოდნენ:
„აბა, აქ გაწვალნება, შასმა გინდათ, თორე ჩვენ მატანილ არაყ
განა შასასმელი, შამანი; ჩვენ კი შავსვით, თითუა ყანწაი -დ თქვენ-
აც შასმა გინდათ, რა მეტ ლონე-ი გაქვთ“. მოსული კაცები ეტყოდ-
ნენ: „ეგ კი ვაცით, რაიც შამნის ზიდვა იცითა, რას გვაჩქარებთ,
შაასმიერ სხვებს. მერ კიდე დავვესწრობით ჩვენაც“. არაყის მომ-
ტანი სტუმარი არ მოეშვებოდა ახალმოსულს, ვიდრე იმდენს არ
დაალევინებდა, რამდენიც თვითონ დალიეს იმის მოსულამდინ —
უნდა გამოგვისწორდეთ და მერე ერთნაირად დავლიოთო. ახალ-
მოსული ქუდს შენონსვლისთანავე მოიხდიდა, რადგან იქ ყანწებით
ხელში ისხდა ხალხი ცერთ კაცს თუ არაყიანი ან ლუდიანი ყანწი
ცნ თასი ეჭირა, მეორეები მის პატივსაცემად უველანი ქუდს მო-
იხდიდნენ, ან ახალგაზრდები ცალ მუხლზე დასხდებოდნენ). ბო-
ლოს ყანწს გამოართვამდა და ეტყოდა: „მტერ მაიყა ნებას, შენ
ჩველი ვმალ ერეოდას“. „მტერიმც ნუ მაგერევის, ჯვარ დაგიწერას
ღმერთმ“ და ყანწს ხელში მისცემდნენ. ის ცოტახანს შეჩერდებო-
და, მაგრამ სტუმარი არ მოეშვებოდა — „დალიეო“. ბოლოს ისიც
დაილოცებოდა შემდეგნაირად: „ღმერთმა აგაშენნასთ, ბარაქა მაგ-
ცასთ სტუმარსაც, მასინძელსაც, ერთსხვის ხედულობა ნუ მაგი-
წალისთ, ლხინზე გადინნასთ ერთსხვის სახლებში, წალმართი წალმ

წაგვარასთ, ჩაისაც გულისად დაზღით, კაშე მაგიკინასთ, თვალ-
გულ ნუვისა მაგრიასთ, ყველა დაგლოცნასთ, გადლეგელნასთ, ნიშანების
ვამ გაამასთ. მანდილოსნებო, თქვენის გახარებისა. შაუნდნას იმ
სულს კი, ომენიც თქვენს მაკეთობაშია, მიყოლ-მაყოლაში კელს
გიმართავდასთ“.¹ „ღმერთმა გიშველასთ“, — უპასუხებდნენ სტუმარ-
ჰასპინძლები. მერე სტუმარი ყანწს დაუჭერდა და ძალით დაალე-
ვინებდა, კიდევ აუვსებდა და აცლევინებდა იმდენ ყანწს, რამდე-
ნიც მის მოსვლამდინ დალიეს. მოწვეული კაცი თან არაყ აქებ-
და, თან სვამდა, თან კი სტუმარ-ჰასპინძელებს ეხუმრებოდა: „კაი
არაყ მაგიტანავთ, კაი. არა გინდათ, ახალ მძახლოვაივ მელას უნატ-
რავავ—იტყვიან; ეხლა თქვენ ახალ მძხალნი ხართ, ახალ მძხ-
ლოვა თუ კა არ იყოს, ხო იცით მელა ეშმაკი ასა-დ ის არ დაინატ-
რიდ, ეს არაყიც ესე ცხარე იმით მაგიტანავთ, რო სამძხლო არა-
უი კა უნდა იყოსავ, იციან. დედა ვაცხონ თქვენი, ყველა წეს კარ-
გა შეგისტრულებავთ, ეს არაყიც მართლა სამძხლო მოგიტანავთ“.
ასეთი საუბრით სმაში ახალმოსულებსაც გაითანაბრებდნენ. თუ
ისინი გაძალიანდებოდნენ და არ სვამდნენ, შაშინ სტუმრები თა-
ვისებურ ხერხებს ხმარობდნენ, ხან მოიგონებდნენ ვისმე პატივ-
ცემულ კაჯს და ეტყოდნენ: ის ვეიდლეგრძელეო, მერე ასეთსავე პა-
ტივსაცემ მიცეალებულს მოიგონებდნენ, შენდობას ეტყოდნენ და
იმის შესანდობარსაც დააცლევინებდნენ. ასე იმართებოდა სმა.
თამადა არ იცოდნენ, ვისაც რა უნდა, იმას იტყოდა — სადლეგრ-
ძელოსა თუ შესანდობარს. მზოლოდ დალოცავდნენ ყანწის მიმ-
ცემს და მერე ყველას. მღერის გუნებაზედაც მოვიდოდნენ და
იროლ-სამსახური იმღერებდნენ ფშაურ კილოზე. სიძლერა ყველა-
ნარი შეიძლებოდა: სატრფიალო, საგმირო, სალდათობაზე, ომზე
და სხვა. მაგ:

ტანეში ჩამავსხეთ, ფანდურ გავლმართეთ ტოშია;
ერთს მამას ბაბო გვექვინ, მეორეს მამას ოქია.

ტანეს სახლი დაგვექცნეს, გამოგვივარდა ბოძია,
შეარ შისცა ხურუნიშვილა, საკვირელია ზოგია.

რა კაი ნამუს იციან, დასტურ-ელოსნებმ ჭორშია [ჭვარშია],
ვითაჭერ მიერ დარბამში, სრუ ქორიას ქოთია,
რადარ დაზღვები, ქორიავ, ხო არ გრძ მაგარ ტოშია?

ხან არხოტივნების და ბულეხევსურების ლექსებს მღეროდ-
ნენ და ცეინოდნენ, მაგ., ერთ ხევსურს, სახელად წიქას. ბერდენკა
მიუცია თათარათ ჩახაურისათვის — ჩემი ბერდენკით ჭიხვები და-
ხოცე, ხორცი შენ მოიხმარე და ტყავები შუაზე გავიყოთო. ჩა-
ხაურს ამ თოვით ვერაფერი მოუკლავს და თავის მოგვარეს, ოქი-



ათ გრიას, გაულექსებია ჩაჩაურიც და თოფრი პატრონიც. ამ შეიძლება ხშირად მღეროდნენ ფშაურად, ან ფანდურზე ლექსობდნენ:

რა უხეიროს ამბობენ მავ თათარის ბიჭასა—
ბერდენა მაუტნავის, ვითამ საკვირელს იქმისა.
კევსურებს ეუბნეოდა: „ნადირთ სრუ დავლლე მთისათა!“
საქონ ელევის შ შილისა, კელარცალ ბალას ზიდავსა.
შენ დახქოც ბარის ფსიტებსა, ჭივსა ვერ მახკლავ მთისასა,
ტყუილად რაად დაათრევ ბერდენას კევსურისასა.
ტყავებზე შილი გაყარათ—დაუბარებდა ჭიქასა!
რა მაგებაში ჩასულა, კევსურს უყურეთ ციცასა.
სალექსოდ გამავგზავნით ბეჭედას ლელასასა [ქალის სახელია].
აქთ მე გამავგზავნით, კერივათ კბილასასა [მახიჯი კაცი იყო].

ასე ატარებდნენ დროს, სვამდნენ მარტო არაყს, ჭამა კი სას-
მლის გათავებამდინ არ იცოდნენ.

კარგა ხანს სმის შემდეგ სტუმარს ქინთს გამოართმევდნენ —
პირზე ბაწარს მოახვევდნენ და დაპიდებდნენ. სტუმარი ქინთს
ადვილად არ დაანებდებდა — კიდევ დავლიოთო. ქინთს რომ ჩამო-
ართმევდნენ, ვისაც არაყიანი ყანწი ჰქონდა ხელში, იმასაც და-
ლევინებდნენ. ის დაცლიდა, ადგებოდა ფეხზე, ხელში ცარიელ ყანწი-
დაიჭერდა და იტყოდა: „აი, ბარაქა მაგცასთ ღმერთმ სტუმარსა-
ცა, მასპინძელსაც. საცლებ აგიშენასთ, სახლინო სასმელ ნუ მა-
გიშალასთ. აი, შავსვ თქვენის გამარჯვებისა! დაიხურეთ ქუდები!“.
ხალხი ამ დროს ფეხზე იდგა და ხელში ქუდები ეჭირა. ზოგი ახალ-
გაზრდები ცალ მუხლზე ისხლნენ და ამათაც ეტყოდა ის, ვინც
ყანწი ბოლოს დაცალა: „აბძანდოთ, გამაიცალეთ“, ისინი ეტყოდ-
ნენ: „ჩამიყაო ყანწი, ქუდიც დაიხური“. ბევრი საუბრის შემდევ
ყანწის ჩამოართმევდნენ და ეტყოდნენ. „ღმერთმ გაამას, ალალი
ქნას“. „ღმერთმ გადლეგელნასთ“ — უპასუხებდა იგი. მერე
ეტყოდნენ — ქუდი დახურეო, იქვენ დაიხურეთ ქუდები და მუგ-
ლები გამოცუალეთო. მაგრამ ქუდისაც იმასვე დაახურებინებდნენ. ქუდს რომ დაიხურავდა. იტყოდა: „გემსახურებით ქუდითაც. მჩერ
მაიყავნეთ ნებას, შამსმელებს გაამასთ ღმერთმ, ალალი ქნას“. „ღმერთმა გაცოცხლას“ — ეტყოდნენ ყველანი. დაიხურავდნენ ქუ-
დებს და გაიმეორებდნენ იმავე სიტყვებს: „ბარაქა მაგცასთ სტუ-
მარსაც, მასპინძელსაც, ღმერთმ სახლებ აგიშენასთ, ერთსხვის
ხედულობა ნუ მაგიშალასთ, შამსმელებს გაამასთ ღმერთმ, ალა-
ლი ქნას“. სულ ბოლოს მასპინძელი დაიხურავდა ქუდს და სტუმ-
რებს ეტყოდა: „სტუმრებო, ბარაქა მაგცასთ ღმერთმ, სახლ აგიშ-
ნასთ, სალხინო სასმელ ნუ მაგიშალასთ შინაცა, მაკეთისასაც.



“შამსმელებსაც ღმერთმა გაამასთ, თუ რა ვინ იამეთ“. ქუდების შემოხვეული სურვამდე კაცი და ქალი ყველა ფეხზე აღგებოდა. ქუდებს რომ დაიხურავდნენ. მოწვეული მეზობლები წასვლას დაპირებდნენ და სტუმრებს თავ-თავის რჯახში ეპატიუებოდნენ. ძაგრამ მასპინძელი ეტყოდა: „ქმელ პურ-სატანი მაინც შავჭამათ, დასხეითა, დავის-ვენათ, განა უსმელად ქვე არ ვარგ დასხდომა. რასხეითა, დასხე-ით“. მოწვეულები სტუმრებს მაინც განიუებით ეპატიუებოდნენ, მაგრამ მასპინძელი არავის არ გაუშვებდა, მანამ პურს არ აქმევ-და. სტუმრებიც და მოწვეული ხალხიც დასხდებოდნენ, მასპინ-ძელი ჩამოილებდა კეღელზე ბაწრით დაკიდებულ ტაბლას, და-უდგამდა უფროსებს წინ და ეტყოდა: „ღმერთო, გვიდლეგძელე შძახლები, გვედინენ მუდამ მშვიდობით. კარგა გვიმყოფ ეს მე-ზობლები, სახლისკაცებიც“. ხალხი ტაბლის დადგმაზე იტყოდა: „ღმერთო, უშველ მასპინძელს, მიეც ბარაქა, ნუ წაუქცევ სამშვი-დობოს ტაბლასა, კარგა უმყოფე სტუმარ-სოფლელებიც“. მას-პინძელი ახალგაზრდები ფეხზე ადგებოდნენ, ყველას დასვამდნენ და დაუდგამდნენ ტაბლას როგორც სტუმრებს, ისევე თავის სოფ-ლელებს. ჯერ უფროსებს გაუტეხდნენ ხელში პურს და მერე უნკროსებსაც. დაილოცებოდნენ. კაცების ჭამის შემდეგ დიაცებ-საც აქმევდნენ პურს და ბოლოს მასპინძლებს ქუდებს დაახურვი-ნებდნენ (სტუმრების ჭამის დროს მასპინძელი მათ პატივსაცემად ქუდს იხდიდა, იმის მიუხედავად, რომ ისინი სთხოვდნენ — დაი-ხურე, ჩევნის გულისად ქუდს ნუ იხდიო). მასპინძლები ქუდებს რომ დაიხურავდნენ, იტყოდნენ: „ღმერთმა გაამასთ, პურა თუ რა ვინ იამეთ, ალალი ქნას“. „ღმერთმა გაცოცხლნასთ, თავ მტრისა ჰავცასთ“ — უპასუხებდნენ სტუმარ-სოფლელები.

ბოლოს ყველანი ადგებოდნენ და დაუწყებდნენ პატივს სტუმ-რებს. თუ სტუმრებში უფროსი კაცები ერია, იმათ წაიყვანდნენ. ახალგაზრდები კი იტყოდნენ: „არა უნდ, აქ იყვნან, ახალგაზრდე-ბი არიან, აქ უფრო გაირთვენ“. უფროსი ხალხი, კაცი და ქალი, ყველანი წავიდ-წამოვიდოდნენ. დარჩებოდნენ სტუმარი ახალგაზრდა ქალ-ვაჟები და მათი ზალი. სოფლელ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებ-საც დააბრუნებდნენ. ეს ახალგაზრდები, ვიდრე თენება არ მოა-ტანდა, არ იძინებდნენ, ხუმრობდნენ, ლექსობდნენ. ბუდის ხევსუ-რები არხოტივნებს აჯერებდნენ სახუმარო ლექსებით, არხოტივ-ნები კი მათ ულექსებდნენ მათვის დასაცინარ ლექსებს. მაგ., არხოტივნები ხევსურებს ასე ულექსებდნენ:

სათავის სახლის პატრონო, გიუბნავ რამოდენიმ;
 ჩვენ ბეკრი ბორა მაგრელავ შენ არ მაგიკლავ მშექრიო,
 ბეჩავ, თოფისა რა იცი, საით-რა გასატერი.
 ტყვია-ჭამალთა ვერა იც, წინ რომენ ჩასაყრელიო,
 თქვენ რო გირცნათ ცხვარანი, ამას ხევიან მგელიო,
 გიდინთ საჯოვისასა, ვერ შაუქარით უვერიო.
 განა თაოდაც არ იციო, ამაგ ლუქსის მთქმელიო,
 ახდელა ეგრე გშინებსთ, როგორც ყმაშვილებს მცრელიო.

ახალუხლები ასე ლექსობაში და ხუმრიბა-სიცილში გაა-
 ტარებდნენ ღროს, სასტელს კი იშვიათ შემთხვევაში დალევდნენ.
 უფროსების ხათრი პქონდათ; სასმელი რომ ახალუხალში დაეხარ-
 გათ და მეორე დღეს უფროსებს გაეგოთ, სიცხვილი იყო.

ზალი გაშლიდა ლოგბინებს და „უერჩებდა“. მოსულ ვა-
 უებთან ადგილობრივ ქალებს დააწვენდა, სტუმარ ქალებს კი ად-
 გილობრივ ვაჟებთან. თუ ქალები არ იყვნენ, ერთ-ერთ ქმრეულ-
 თან თვითონ დაწვებოდა, თუ ისეთი ქმრეული ჰყავდა, რომ კარ-
 გი იყო და თვითონაც უყვარდა, მაშინ იმასთან სხვა ქალს არ დააწ-
 ვენდა, მაინც თვითონ დაწვებოდა. შეიძლება ქმრეული კარგი ვერ
 იყო და ზალს არ მოსწონდა, მაგრამ ხათრის გულისთვის მაინც
 დაწვებოდა მასთან. ზალი ქმრეულთან თუ არ დაწვებოდა, ეს
 ქმრეულისათვის ძალიან საწყინო იყო. არაფერს ეტყოდნენ, მაგ-
 რამ გულში ძალიან ეწყინებოდათ. ქმრეულების აქ ყოფნის ღროს
 ზალი სხვა ვაეთან არ დაწვებოდა. თუ ეს მოხდებოდა, ქმრეულე-
 ბი ძალიან გაწყრებოლნენ. შინ რომ დაბრუნდებოლნენ, იმის საქ-
 მროს ეტყოდნენ ამ ამბავს და შეიძლება თავის დანებებამდინ მი-
 სულიყო საქმე. თუ ზალს ქმრეული არ მასწონდა და მასთან და-
 წილა არ ეწადა, იმდენს იერთავებდა, რომ თავის სოფლიდან ვისმე
 ქალს მოიყანდა და დააწვენდა მასთან. თუ ამასაც ვერ მოახერხებ-
 და და იმასთან დასაწოლად არავინ წამოვალოდა, თავს მაინც მო-
 ივადმყოფებოდა და ცალკე დაწვებოდა.

ზალი საქმროს არც იცნობდა და არ თხოვდებოდა თავისი
 სურვილით. როცა მას გათხოვების საყითხს უსვამდნენ, მისი ტო-
 ლი ქალები ეუბნებოდნენ: „არა გინდა, ჩემო ქალაო, გათხოვდი.
 ქმარ რაი, ქმარი სრუაც რო არ იყოს. რაჯე კარგებ ახალგაზდა-
 ვის ხყავ. რავე კეშ ქმრეულებ დაგიწყებენ მაღენას. მარტო
 ერთხან კაცთაში გასკვა რაად ღირს იმებისაი-დ ხალხში ნაღვო-
 მებისად იმებისად გახენება“. ძალიან ხშირი შემთხვევა იყო, რომ
 ქალს საქმრო არ მოსწონდა, მაგრამ ქმრეულების ხალისთ იყო
 მისი დანიშნული. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ საქმრო ძალიან



კარგი იყო, მაგრამ მის გვარში სხვა ახალგაზრდები არ იყენები კარგი. მაშინ ქალი კა ვაუკაცხედაც იშვიათად გათხოვდებოდა. იშვიათად ყოდა: რად მინდა მარტო ქმრის სიკეთე, თუ კაი ქმრეულები არ მეყოლებიან და ისინი არ მომცვლენ. ქვარი ყველამ იცის, რომ ქმარია, ავია თუ კარგი. მე მინდა კარგი ქმრეულები მყავდნენ და ლირდნენ ხალხში გასასვლელად. მერე იქ როცა წავალ, სუ მუდაშ ქმარი ხომ არ დამყვება თან, ან მამისახლში წამოსულს, ან სხვა მოკეთისთან. მაშინ ხომ ისინი უნდა გამომყვნენ და თუ კარგები არ იქნებიან, რად მიძღვო.

ხევსური დიაცის ნათქვამს ხშირად გაიგონებდით: მე ამა და ამ ქმრეულის ხალისით გაეთხოვდი და გავჩერდი ჩემის ქმრის ოჯაშში, თორემ მე მაგას არ გავყვებოდიო. ხანდახან ქალი ქმარს წუნებდა, არ მოსწონდა, მაგრამ ერთ-ერთი ქმრეულისა ეხათრებოდა და ამბობდა: არ მინდა ეგ ქმარი, მაგრამ მაგ ქმრეულის სათხს რა ვუყოო.

ქმრეულებიც და ამ სოფლის ახალგაზრდებიც, რომლებიც ზლის სახლში დატებოდნენ, გვიანობამდინ არ დაიშლებოდნენ, ქალები კი შეხოსრინათლდებოდა თუ არა, წავიდოდნენ. ხნიერი აკეცი საღაც გაპატივეს, იქაც გაუმასპინძლდებოდნენ ჩვეულებრივი წესით. მისულს ახალი მასპინძლის ოჯახის წევრები მშვიდობა-ამბვის კითხვით გულთბილად შეხვდებოდნენ, ვახშამს და-ამზადებოდნენ უფრო ხორცისაგან, რადგან არაყის შემდეგ ის უფრო ესიამოვნებოდა სტუმარს. დანარჩენი: პურის დალოცვა, დაწოლის დროს საზუვები და წესები ისეთივე იყო, როგორც მასანახავის დროს. სტუმარ-მასპინძელი რომ ჭერხოში მივიღოდნენ ლოგინებთან, მასპინძელი სტუმარს ასწავლიდა: ვინიცობაა გახვიდე, ასე გაიარე, აქ საკომში არსად ჩავარდეო (ბოსელს ჰქონდა ორი საკომი, ერთი საპროხისა და ერთი სამყოფოსი. სამყოფოს საკომში კიბით იყო ჩასასვლელი დაბლა, საძროხის საკომში კი ჟერხოდან ძროხების საჭმელს ჩაყრიდნენ პირდაპირ ბაგაში), თუნგით წყალს მიუტანდა და ლოგინის გვერდით დაუდგამდა. თუ ყალიონს წევდა, მიუტანდა წეკოს. თამბაქოს წეკოს დადგმა ბაკნით იცოდნენ სმის დროსაც. ბაკანს დადგამდნენ ისეთ ადგილს, სადაც ყველა ხედავდა. ვისაც დასჭირდებოდა, მოჭრიდა და ჩაყრიდა თავის ყალიონში. დილას ადგებოდნენ. ჩვეულებრივ მასპინძელს თუ არაყი ჰქონდა, დაალევინებდა უფრო ადგომამდე, ლოგინშივე, მერე სტუმარიც და მასპინძელიც წავიდოდნენ მასხლებთან. აქ ახალგაზრდა სტუმრები ამდგრა დახვდებოდნენ. მათ თუ



ადგომია დაასწრეს მძახალთა ოჯახის უფროსებს, ლოგინშივაშვილ უტანდნენ სასმელს. ეს ნიშნავდა მეტ პატივისცემას. მასპინძელი და სტუმრები კუელანი დასხდებოდნენ სკამებზე, ჩამოაგდებდნენ საუბარს: „გუშინ წუხრ ბევრ არაყი ვსვით, მთვრალებ ვიყვენით, მე ბევრ არ მაქსონს გუშინწუხრანდელი, უგონთ ვიყავ, შინ მის-ვლაი, ლოგინში დაწოლა არ მაქსონს, დღეზდილას ისეთაიგ მთვრალ ივდე, გატანჯულ კი არ ირ, კა არაყ კაცს არ ტანჯაცს, შამანი კდის აოდ კაცს, ჯანგად ედების გულზე“. ასეთ სიტყვებს იტყუოდნენ ის მასპინძლები, რომლებმაც სტუმრები გადაიპატუეს. სტუმრები კი უარობდნენ: „არ იყვენით მთვრალები, საუბრის გუნებასაც არ იყ-ვენით. აბაბა, რა იყვ დასათრობი, ეგეთ არაყ რო კაცს ათრობ-დას. ე-ეაცნ სრუ წყალს სმენა, სრუ მთვრალნ იქნებოდეს“.

სტუმრები თავის ქინის ისევ იღებდნენ და იმეორებდნენ სმას იმაუ წესით. დრასახლისა შეუღებოდა სადილის მზადებას. დამზადებდა ან ხინკლება, ან კეცეულებს. ტაბლას და არაყს ერ-თად დალოცავდნენ სტუმრების და მასპინძლების მკვდრებისა-თვის. ტაბლის მოტანის, შინი დალოცვის და ამატების წესი სრულ-დებოდა ისე, როგორც აღწერილია მემასანახავეთა სტუმარ-მას-პინძლობაში. მასპინძელი იმდენ ბოთლ არაყს დასხამდა, რამდენი მკვდარიც იყო ამ წელს სოფელში. მერე გაპყვებოდნენ კაცებს კა-ცები, ქალებს ქალები და მივიღოდნენ ჭირისპატრონებთან. ჭირის-პატრონთან მისვლა, ჭირის წყენა, ტალავრის გაშლა და ტირილი ხდებოდა ისეთივე წესით, როგორც ნათქვამია მემასანახავეთა წეს-ში.

ტალავრის გაშლაში უფრო ხშირად ასეთი სიტყვებით იძახდ-ნენ შინაურები: ადექი, სტუმრები მაგივიდნენ, აქამდე კაი მიგე-ბება, იცოდი და ახლა ჩა მოგივიდაო. ბოლოს ტირილიც მოჰავ-დებოდა და სტუმრებს შეიპატუებდნენ სახლში. აქ ისეთივე წესით სრულდებოდა ტაბლისა და სხვა წესები, როგორც ზემოთ აღვწე-რეთ. ბოლოს მძახლები ისევ მძახლებთან დაბრუნდებოდნენ და ჭირისპატრონებსაც თან გარყოლებდნენ. თუ იქ არაყი ეგულებო-დათ, ეტყოდნენ: „აბა უკაცრავად ორთ, ჩვენ ძალიან გვინდოდ. თქვენ წაყვანა, მაგრამ ჯერ ქვე არა გვედგ, მემრ ხალს შავვეუარა -დ რაიც იყვ, ისიც გადავხარწეთ, აბა იქ ტყუილად რაადალ გაწვა-ლათ?“ „მაღლობელი ორ, ღმერთმა ლხინის სასმელ ნუ მაგიშა-ლიასთ“ — ეტყოდა ჭირისპატრონი. მას გამოეშვიდობებოდნენ შე-მდეგი სიტყვებით: „ჯვარ გეწერასთ, ღმერთმ მარქე ნულარა მაგ-ცასთ, თქვენ გულ კაით გაყურნას“. ისიც ეტყოდა: „ჯვარისაამც



წყალობაი გაქვთ, ღმერთმ მარჯეზე ნუღარაზე გაგსაჭნასთ, შესცემობა
მაგიმართასთ ღმერთმ“. წამოვიდოდნენ სტუმარ-მასპინძლები და
მივიღოდნენ მძახლებთან. სშირი იყო შემთხვევა — მასპინძელი
არაყვ გამოუხდიდა სტუმრებს და მთელი დღე-ღამეების განმავლო-
ბაში აქეიფებდა მათ. ქეთი გამოიხატებოდა იმაში, რომ მათთან
მოიყვანდნენ სოფლის კაცებსაც. სტუმრალ ახალგაზრდები თუ იყ-
ვნენ, ახალგაზრდა ქალ-ვაჟები გაუმართავდნენ ლხინს. იყო მღე-
რა ფშაური, ფანდურზე ლექსობა და თამაშობა. აქ ქალები ნაქ-
ლებად თამაშობდნენ, უმრავლესობაშ თამაშობა არც იცოდა. ლექს-
ში კი კარგად იცოდნენ რითმის მოწყობაც და ამა თუ იმ ამბ-
ვის გალექსვაც. მთელ დიდ ამბავს ერთ პატარა ლექსში მოათავ-
სებდნენ. ამბეის შინაარსს მოკლე სიტყვებით გამოხატავდნენ.

ქმრეულების ქეთის დროს ზალი სულ ფეხზე იდგა. თუ ძა-
ლიან არ სთხოვდნენ დაჭერი, არ დაჭდებოდა. მეორე დღეს ასე
მისვლა-მოსვლაში დააღამებდნენ. ვინც ლამე სმაზე იყო, სტუმ-
რებს ყველანი სახლში დაპატიჟებდნენ, რითაც შეეძლოთ პატივს
სცემდნენ. ახალგაზრდებს კი პატივისცემად ახალუხალი მიაჩნ-
დათ, ამიტომ ისანი მათ პატივისცემად ბევრ ოჯახებში მართავდ-
ნენ თავისებურ ლხინს.

მეორე საღამოს სტუმრები მძახლებთან დარჩებოდნენ; მათი
სხვაგან წასვლა მასპინძელს ძალიან საწყინოდ დარჩებოდა: ჩვენ-
სა მოვიდნენ, იმდენად გული არ უთხებათ, ერთი ლამე აქ გაათიო-
ნო. ამას მასპინძელი მძახლებს პირშიაც ეტყოდა: ასე რატომ იქ-
ცევით, თუ ჩვენთან ვერ ისვენებთ, მაშინ უკეთესია სულ არ მოხ-
ვიდეთ. განა ჩვენს ლოგინს ეკალი ასხია, ერთ ლამეს აქ ვერ დაის-
ვენოთ. რომ კარგად ვერ გაგიმასპინძლდეთ და შეწუხდეთ, დი-
დი საქმე არ არის ერთ ლამეს როგორმე გაძელით. ერთ ლამეს
„კურდოლის ტყავი გაიძლებს“, რომ ადამიანმა ვერ გაძლოსო.

მეორე ლანესაც ლხინს მართავდნენ, მოჰყავდათ ახალუხლები
და მთელ ლამეს ლექსობა-თამაშობაში ატარებდნენ. ბევრს სერი-
ოზულ ლექსსაც ლექსობდნენ მაგრამ ერთიმეორის გამოსახავრე-
ბი ლექსები უფრო იცოდნენ. ისეთი ახალგაზრდები ულექსებდ-
ნენ ერთიმეორებს, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, არ გაჯავრდებოდ-
ნენ. მაგალითად, ეს ლექსი პირიქითელისაგან არის ნათქვამი პი-
რაქათელების დასაცინრად:

ხო იცით, მთასიქითელი ჩინგურათ ჩააერებსა;
სუყველას მართოლს იამბობს, ტყუილს არ მააქსენებსა,
რა უყოთ, ღარიბ კაც თუ ორ, კევსურსა ამაშენებსა,

სამ-ოთხ კარს მამუშის ჰენა სური, განა ერთს დამაჯერებსა, ზაფხულ სამ კარი დავმალე, მაღლა რო ვეძახთ მერესა, გავრევე ჭარეგორშია, ძლიერ იბრუნებდეს შელებსა, სამ-ოთხს კიდევაც გავლალავ, მოთხოო დავიცვლი ცხენებსა. წორტი ჰენასურის გარდა კაცს ტახი გაიძელებსა, თოთო თვეს თოთო კარსა უკავ, ამა რა დამაბერებსა, წორტ-შევენს ნიორიც უკლების, ქონდარა შაანელებსა, ხოლოთ არა ეჭამ ღოლისა, არ მივაყაჩებ კელებსა.⁶ საკვარულ სუფა კაცი ორ შავლგვორი შმიდა ბერებსა, კენესურა მტრობას დამზუდებს, კოცი, რა გაჩერებსა, როსაც შამხვდების გზაჩია, უფერს დღეს დამაყენებსა, მე კი დაბბაჩის გავიძრობ, კენესურ შმალს გააგელებსა, თოფსა რო ღანახავ კენესური, გააცივ-გააცხელებსა.

პირიქითელ ხევსურებს პირაქათლებიც სამაგიეროს პასუხობ-დნენ:

ცეტნი ხართ, არხოტი იქნებო, თქვენ არა-ი გაქვთ ჰეკვისაო, თავში არ გიძევთ ტვინისა, მუცელში ნაწლევისაო.

ასეთი ლექსობა ახალუხლებს ართობდა. თენება რომ მოა-ტანდა. ყველანი იძინებდნენ სევე, როგორც წინა ღამეს.

ძესამე ღლე რომ ვათენდებოდა, სტუმრები ცხენებს მოიკინ-ხვდნენ. მასპინძელი ბეჭედს სთხოვდა, არ წასულიყვნენ, მაგრამ სტუმრები მაინც არ დაიშლიდნენ — მოძველებული სტუმარი არ ვარგაო — იტყოდნენ. მასპინძლები ხანდახან უნაგირებსაც დაუმა-ლავდნენ, მაგრამ როცა ატყობდნენ, აღარ იშლიდნენ, მაშინ შეუკმა-ზავდნენ ცხენებს, სტუმრებს კიდევ შეიპატიუებდნენ სახლში, არა-ყი ჰქონდათ თუ არა, მაინც გააჩენდნენ, დიასახლისი საუკეთესო სადილს დამზადებდა. ბოლოს სტუმრები ადგებოდნენ, მოიხდიდ-ნენ ქულს და იტყოდნენ: „მდახალონ, ღმერთმა ჯვარ დაგწერასთ, თქვენ თავი, თქვენ მაჟეთობა ღმერთშა ნუ მაგვიშალას. სრუ მუდამ სალხინო სამელ გვაზრდეოს თქვენს სახლში“.

ამ საუბრით სტუმრები ვამოედოდნენ და მასპინძლებიც თან გამოიყვებოდნენ. ლიასახლისი სურჯიში ჩაუდებდა საგძალს და ცარიელ ქინთებს. ზალი: თუ ქვერულებისათვის რამე ჰქონდა სა-ჩუქრად დამზადებული, სტუმარ ქალებს ეტყოდა: ესა და ეს, მაგ., სათამაქოე, პალური, საწვიეები ამა და ამ ქმრეულს მიეცით, მე მაგისთვის გავაკეთეო. თვითონ ზალი მორცხვობდა და ნაკეთებს

⁶ ღოლო ბალაჩია რომლის ჭამაზედაც პირიქითელი ხევსურები ბუდეხევსუ-რებს დასცინოდნენ. ამ ლექსშიც იმიტომ არის ნახსენები.



ხელშე ვერ მისცემდა. ხურგინებს გამოიტანდენ და გადაპყიდვებით და დანართით გამოიტანდენ და გაცილებდნენ სოფლის ნაპირამდე. გზადაგზა მათ სოფლის ხალიც ემატებოდა. სოფლის ნაპირზე კარგა ხანს მოიგვიანებდნენ, ზოგს სოფლელს მოქმენდა არაყი და მასპინძელს ხომ აუცილებლივ ექნებოდა. სტუმრებს აძალებდნენ სასმელს, რათა ფხიზლები არა გაეშვათ. მასპინძლები თავგმელადაც უმღერებდნენ გამართულ სტუმრებს, ისინც პასუხობდნენ ასეთივე მღერით. ბოლოს კაცები კაცებს და ქალები ქალებს აკაცებდნენ. ქმრეულები ზალსაც აკაცებდნენ და იმის ოჯახის წევრებსაც. ცხენებზე უფროსები აქვე შეჯდებოდნენ მასპინძლის თხოვნით და უზანგის დაკერით, ახალგაზრდები კი, როგორც ვიცით, ფეხით კარგა გზას გაიღლიდნენ და მერე შესხდებოდნენ. თავიანთ სოფელში რომ დაბრუნდებოდნენ, ყველა მეზობლები ეკითხებოდნენ მძახალთა დახვედრის ამბავს. მოსვლისათვის შენახულ არაყს დალევდნენ და ამით მთავრდებოდა ზლის ბედისკვერას ამბავი.

თავის სოფელში ვისაც მიუტანდნენ ბედისკვერას, ერთი ბოთლი არაყიც საეჭარისი იყო. ხავიშიანი ქადა აქ არ იცოდნენ, მიუტანდნენ მარტო ბედისკვერას, ზედ ერბოთი და პატარა ყველით. მივიღოდა მარტო ერთი კაცი: ან ნათლული, ან ნაოლიდედა და სხვა. მოსულს აქაც კარგად მოეგებებოდნენ. ჩვეულებრივ სტუმრის წესით მიიღებდნენ. თუ ისევ წელწადი იყო, ახალწელსაც მოულოცავდნენ. მოტანილს არაყზე შეიძლება ერთი მეზობლისათვის დაეძახათ. შეიძლება თვითონ დაელიათ სტუმრს და მასპინძელს. მის მოსვლაზე დიასახლისი სადილს დაამზადებდა, ტაბლას მოუტანდნენ. ტაბლის დალოცვა და სხვა წესები აქაც ისე სრულდებოდა, როგორც დიდ სტუმრობაში.

პერის ჭამის შემდეგ მებედისკვერა გამოემშვიდობებოდა და წემოვადოდა. მასპინძელი და მისი ოჯახის წევრები გამოაცილებდნენ თავისი სახლის ცოტა მოშორებით და იქ ეტყოდნენ: „გვალ მაგიმართას ლმერთმ, თქვენს ლხინზე გადავგავდიოს შენ მახედულობა“. „კვარ გეწერასთ, თქვენ თავ ნუ გამამართოს, მუდამ სალენინ სასმელ მამატაინოს თქვენს სახლშიად, მშვიდობიანისაი დ ბედნიერის წლის ბედისკვერა“ — უპასუხებდა ისიც. ასე გამოისტუმრებდნენ სოფელში პატარა ბედისკვერას მიმტანს. მეორე სოფელში თუ მიუტანდნენ ბედისკვერას ვინმე მოკეთეს, გინდა ნათლია ყოფილიყო, მამიდა, ცოლისძმა, და ა. შ. „მძიმედ მისცლა“ იყო საჭირო (მძიმედ მისვლა, ე. ი. ბევრი არაყის მიტანა). მეორე

სოფელში ცოტა არაუს ვერ წაიღებდნენ, რადგან იქ სტუმრის მის /
ვლაშე მეზობელს და ჸახლისკაცებსაც აწევდნენ.

სრული გადასახლება
გამოყენება

დისტულის მისცლა დედიძმათან

დისტულს ძალიან უხაროდა დედიძმათას წასვლა და ყოველ ლონეს ხმარობდა, რაც შეიძლება დედიძმის ბედისკერა თვითონ წევლო. დისტულის მისვლაც არა მარტო ღვიძლ დედიძმას უხაროდა, არამედ ყველანი ელოდებოდნენ დედიძმათ გვარში. თუ იცოდნენ დისტული რა დროს მიუვიდოდათ, ამ დრისათვის ყველა ამზადებდა არაუს. ამ გვარის ქალები ვინც კი დედიძად ერგებოდა, იმანავედნენ თითო ბოლოს დისტულის მოსვლისათვის. იცოდნენ რამის მოქარგვაც დისტულის საჩუქრად. დისტულის მოლოდინზე დედიძები ლექსებსაც გამოთქვამდნენ და მოსულს ულექსებდნენ, დაემდურებოდნენ: დაიგვანე და შენმა ნიღარმა დაგვლიაო. ე. ი. ძალიან მოგვენატრეო. ლექსები იცოდნენ დისტულის საკები და მისი მოლოდინის გამომხატველი, მაგ.,

ენაცვლას დედიძები, გრგას დედულთურასა,
ალარ მაგვისვედ, დისტულო, სერი დაგვიცდა ყველასა.
კრევ მაგვივა გრგა, მაგვითამშებს ცხენასა,
ა მავის მალექსებული, ქალ ვლეპორთ ლურლეჭილასა.

დისტულები ერთმეორეს არ ანებებდნენ დედიძმათ ბედისკვერას წალებას და ხანდახან ორი-სამი წავიდოდა. დისახლისი გამოაცხობდა ხავიწიან ქადას, ბავშვებისათვის კუბატ-ქადისკვრებს და ჩაუწყობდა ხურჯინში. დისტულები არაყიანი ქინთების გაოდა, ხშირ შემთხვევაში ცალკე წაიღებდნენ ბოლოით, ან პატარა ქინთით საუკეთესო არაუს, შეკმაზაედნენ ცხენებს და წავიდოდნენ. დედიძმათა სოფელში დისტული ცხენიდან არ ჩამოვიდოდა, სოფელს ცხენდაცხენ გაიცლიდა და დედიძმათ კარზე ჩამოხტებოდა. ხშირ შემთხვევაში გაჭირებული ცხენით შევარდებოდა და მიაგდებდა ცხენს დედიძმათ კარზე. თუ ვერ დაინახეს, მომავალი ხმამაღლა და თამამად დაიძახებდა: „დედიძმანო, შინ არ ხართა, რო კარში არავინ შჩინდებით?“ დისტულის ხმაშე ყველანი გარეთ გამოვიდოდნენ და დიდი და პატარა გადაკოცნიდა მას. ვაუები გამარჯვებას და ქალები მშვიდობას ეტყოდნენ. ისიც ჩვეულებრივად უპასუხებდა. ამ დროს თუ აქ დედიძმა იყო, დისტული თავის კხენს უნაგირს და ხურჯინს თვითონ მოხდიდა, თუ დედიძმა არ



იყო, სხვა ახალგაზრდებს თამამად ეტუოდა: ცხენს უნაგირი მოხაზული დეთო. დისტულს თუ რამდენიმე დედიძმა ჰყავდა, მაშინ პირულებით უნაგირს და ხურგინს დედიძმასთან მიერთოდა და სხვებიც იქ მიერთოდნენ. უნაგირს და ხურგინს რომ მოხსნიდნენ ახალგაზრდები, დისტულის ცხენს საუკეთესო ბალაზზე გაიყვანდნენ. ცხენი რომ აშვებულიყო და ყანებშიაც გასულიყო, რაკი დისტულისა იყო, არავინ გაუგავ-რდებოდა.

ცხენს რომ ბალაზზე გააბამდნენ, დასხდებოდნენ ბანზე. მასთან მოიყრიდა თავს მისი დედის მოგვარე ახალგაზრდობა. ეუბნებოდნენ: „რად არ ძალე მახვედ, შენ ის თუ გვინავ სხვან დედულნ წვენს გარდა კიდევ გყონ. ჩვენ კი დისტულებ ბევრილ გვეოვა, შენ დედულნ ერთნი გყონ. არ იცა შენ ჩვენის ფურის ქბო-ი ხარა, დედულნ სხვათაზე წინ უნდა მაიგონნა, მაიკითხნ?. შენ კი ალბათ დობილ-ძმობილებსთან სიარულით ვეღარ მაიცალი აქ მასავლად. შენ შარუმათ ქასას ქორწილიერ, მაკეთეებ კი არ დასწირა, დობილ-ძმობილთ გამაუდგ, იმისა არ იყოს:

შარუმათმა ქასამა არაყითა ქნა ქორწილი,
დაწირა მაკეთეები, აუგია დობილ-ძმობილი,
შენ დაწევ, ბადაიშვილო, გადასწყდა შენი ლოდინი,
შენ დაუცადე, დაცო გაწევნ მამის დედული.“

ასეთებს ესაუბრებოდნენ, ეხუმრებოდნენ და იცინოდნენ. ასიც პასუხობდა: „ვიც, რო დისტულებ ბევრი გვავთ, მაგრამ ჩემისთანა დისტულ ერთიც არ გვავთ. მე რო მაგიოლთ, განა სხვების ფერ დისტულ მოოლ. ოქვენ ნუ იცით ე-დისტულებისად ჯავრობა. განა მი-არ მინდოდ მალე მასვლაი, ვერ მავედ“. ასე საუბრობდნენ და იცინოდნენ. ბოლოს ეტყოდნენ: „აბა, დასტულო, ეხლად ისილ გავვაგები, რაად მახვედი, რა მაიტან, რო მახვედი“. „ერნაც გაგიტყდასთ, ის მაგიკვდასთ, ვინაც ისრ არ დაგათვრნასთ, რო ერთმანეცს ვერ ხედევდათ, ის რაიღ დედიშვილი. სარეთა, შავიდათ ჩემ დედიძმათს“. ადგებოდნენ და ყველანი სახლში შევიდოდნენ. დისტული მოითხოვდა ქინთს და ყანწებს. დიასახლისი თვითონ ამოალაგებდა ხურგინიდან ქადას და კუბატ-ქადისკერებს, თავისთვის საღიასახლისო ადგილზე დააწყობდა და არაყიან ქინთს მისეუმდა პატრონს. ის იღებდა ქინთს, ჯერ დედიძმას დაალევინებდა და მერე ყველას. არაყს ჩვეულებრივად უქებდნენ. დედიძმის ხარით, არც მოიჩანდნენ ცუდ არაყს. ყაჩქებს ილოცებოდნენ ჩვეულებრივად, ადლეგრძელებდნენ დისტულს და ეუბნებოდნენ: შენ ნახევარი გვერდი ჩვენი გაქვს, ჩვენი სისხლი და ხორცი ხარ



და ამიტომ გვიყვარებარ. თუ კარგი იქნები, კარგია და თუ კარგი რამე ჩაიდინე, ჩვენ სახლთან აღარ გაიაროთ. ჭერ კაცებს ზრალე-
ვინებდნენ, მერე ქალებსაც. ვინც აქ არ იყო, ყველას დაუძახებ-
დნენ. დისწული დედობრათას სმის დროს სულ ფეხზე იდგა, ნა-
შეტანვად მაშინ, თუ დედიძმა შინ იყო.

დედიძმებს უხარიდათ, თუ მათი დისტული რამეში მათ და-
უშვისგავსებოდა. მით უფრო მაშინ, თუ ის კარგი ვაჟკაცი იყო. ასეთ-
ზე ხშირად იტყოდნენ:

„ყმა დელულეთით გამავა, ქალი ლამაზი გვარითა“.

დისტული გარდა დედიძმისა, ყველას ძალით ასმევდა არაას. დედიძმას კი ვერ გაუბედავდა, რომ ყანწი დაეჭირა და ისე და-ლევინებინა მისთვის. სხვებს კი დაუკითხავად და უსაუბროდ ალე-ვინებდა. ცოტა რომ დაითვრებოდნენ, ფშაურ კილოზე დაიწყებლ-ენ მოერას;

„დისტული დედიძმათასა სკამის უძალავად დაჭდება,
ეგ თუ დედიძმას ეწყინას, ე სახლიშე ოქროლ დარჩიბა.

დასწულის მოსვლაზე სმის დროსვე იწყებდნენ მხარულებას, მღეროდნენ, თამაშობდნენ და ლექსობდნენ. ლექსობდნენ ახალგაზრდა ვაკები ისეთ ლექსს, რომ დისტულსაც და სხვა ახალგაზრდებსაც მოუწოდებლენ წესიერებისაკენ.

აღვიკარ, ჩემო ფანდურო, გათლივლო ნიგების ხისაო, გამკეთის სურათიანო, ანგელოზი ხარ ხთისაო, გადაირიცნეს ქეცეურნი, როგორც ნადირნი ტყისაო, ქალები თავის გვარისა ზოგს ცოლად მიუდისაო. ვაჟავ, ცოლას იმედსა, იმედ გერჩიყვას ძმისაო! მტრისგან მაკლულსა, ვაშკაცო, ცოლ ხო ვერ გიძებისაო. ვერც მაშინ მაგეშვერების, ქმალი რა გვირდის სხვისაო, უწავ მაგთ მაგმედა ავს ახერიებდეს ჭირსაო, გაუდოლეს ბანშედა, მაგარს შახტრევდეს პირსაო, მაშინ მშეჭრიდეს კალთასა, რახნა ჯარ ისხდის სმისაო, თასს ჩიმახტყრიდეს ქელთითა, ჭირად უქცევდეს ლენისაო, ან მაუშვიან ჯარზედა ჩამშლელი აღათისაო. არცარა ქალებს შაშვენის ღამით ბოთლას ზიდვაო, მშიმიძეს ქალსა კერაო, მამისაი და ძმისაო. ლექსო, ნეტც დაკიარგები, ნათქვამო ქეცეურისაო! ა მაგის მალექესხებელი სანდაირიჩი ზისაო, კალთაზე უძეს გირიში, მასცლა უხარის მზისაო. მზის ამასკოლის ხანთ მაგივა ღარია გირვაბისაო”.



მერე ქალებიც ლექსობდნენ. ისინი დისტულს სატრფიალო ლექსობდნენ კებს ულექსებდნენ, ან სიედილის თაობაზე, შეგ რომ ყოფილი ჰქონდნენ ყო ტრფიალიც და გლოვაც. სე გაატარებდნენ მთელ ღამეს, ბოლოს ჩვეულებრივად ქუდებს დაიხურავდნენ და ათავებდნენ სმას.

დისტულს ყველანი ეპატიუებოდნენ, თუ დედიძმა ეტყოდა: „წაყლ, არავი, ახალუხლებსთან გაირთავ“. ეს იმ შემთხვევაში თუ ამ ოჯახში ახალგაზრდა ქალ-ვეუები არ იყვნენ. წაიყვანდნენ დედიძმათ რომელიმე ოჯაში, სადაც ახალუხლები მოიყრიდნენ თავს და ღრის გაატარებდნენ; ოლონდ დისტული არსად წავიდოდა, მანამ დედიძმა არ დაწვებოდა. დაწოლილს დისტული დახურავდა გუდანურს და ერთს არაყსაც კიდევ დაალევინებდა „საძილპირეს“.

როცა ახალგაზრდები დაიშლებოდნენ, დისტულს დააწვენდნენ და ერთ-ერთი, ან ორიც, დედი (მისი დედის მოგვარე ახალგაზრდა ქალები) ზაწვებოდა მის გვერდზე. სრულიად თავისუფლად, თურდა ხალხი ბევრიც ყოფილიყო აქ და ჭერ არ ყოფილიყვნენ დაწოლილი, ან წასულ-წამოსული. შეიძლება დისტულს თავის შენახულ არაყიან ბოთლსაც მოუტანდნენ ლოგინში, რაც უფრო მეტ პატივუმეს ნიშნავდა.

შეორე დღეს დისტული დედიძმასთან მიეიდოდა და მისი მახლობლებიც აქვე მოიყრიდნენ თავს. რაც დარჩა, იმ არაყს დაუწყებდნენ სმას. სადილის წესები ისევე სრულდებოდა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. სადილის შემდეგ კირისპატრონებთანაც წაიყვანდნენ სტუმარს და თავ-თავიანთ ოჯახებშიც ხომ ყველა ეპატიუებოდა. შეორე დღეს და ღამესაც გართობასა და მხარულებაში გაატარებინებდნენ. მესამეს დილას კი წავიდოდა შინ. წამოსვლის დროს დისტულს ყველა აუცებდა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

დანარჩენთა ბედისკვერაც ასეთივე წესით სრულდება, ოლონდ სიძე რომ ცოლეულთას მივიდოდა და ცოლისძმებს მიუტანდა პედისკვერას, ისე თამამად ვერ იქცეოდა, როგორც სხვა სტუმარი. ძალიან ეხათრებოდა სიდედრისა და სიმამრისა. არც სახელს ამბობდა იმათას და არც ხმას სცემდა, ვიდრე ახალგაზრდა იყო და შეილები არ ჰყავდა. სიმამრზე წინ არაყს არ დალევდა, ახალგაზრდობის დროს თავის ხელით ვერც არაყიან ყანწს მისცემდა, ჟესამე პირის ხელით გაუვზავნიდა; ვერც დაილოცებოდა, მათ მოაწყვლი ყანწის სმის დროს სულ ფეხზე იდგა დაუჭდომლად. ცოლეულების სახლში ღამეს იშვიათად გაათევდა და ფუცილებლივ აქ წავიდოდა, სადაც დაპატიუებდნენ. სიძე ამ სოფელში ყველგან



წყნარად და დინგად იქცეოდა, არც ცივივდა, არც მღეროდა ჰუკის ალბორზე არც ბევრს ლაპარაკობდა (ეს ახალგაზრდობის დროს). ტოლის ძმებთან და ცოლისდებთან კი შეიძლება ეხუმრა და ეცინა კიდეც-სიდედრ-სიმამრთან კი არც ხუმრობდა და არც იცინოდა. და-ძინების დროს არ დაწვებოდა, მანამ ოჯახის უფროსს არ დააწვენ-და და არ დაახურავდა, თუ ეს კაცი მისი ცოლის ბიძა იქნებოდა. სიმამრთან კი ხათრით ვერ მივიდოდა უერც დასაწვენად. როცა თვითონ დაწვებოდა, შეიძლება მასთან დაწოლილიყო მისი ცო-ლის მოგვარე ქალი. შორეული მოგვარეც რომ ყოფილიყო, „ცო-ლისდა“ ეწოდებოდა.

სიძე სიმამრის მიერ პურის ჭამისა და არცყის დალევის დრო-საც ფეხზე იდგა. ადგებოდა ფეხზე ცოლის ბიძის პურის ჭამის დროსაც.

მეორე დღეს მოვიდოდა ცოლეულთა სახლში და ისევ ხათრი-ენად იყო. მესამე დღეს აღარ დადგებოდა იქ. ცხენს თვითონ მო-იყვანდა და შეემაზავდა, ბოლოს გამოისტუმრებდნენ ჩვეულებრი-ვად, მხოლოდ სიდელრი და სიმამრი არ გააცილებდნენ შორს. სი-მამრი თავის სახლთან ეტყოდა: „კელ მაგიმართას ღმერთმ“. სიძე ხმას არ გასცემდა და წავიდოდა. სიძეს საბოლოოდ გამოისტუმრებ-დნენ და მას არავინ აკოცებდა, შეიძლება ეკოცნა მარტო ცოლის-დასა და ბიძაშეილს.

ქალის მთხოვართან სტუმარების პირი

ქალს დანიშნავდნენ შუაკაცით. შუაკაცს გაგზავნიდა ვაჟის პა-ტრონი და თუ ის მოაგვარებდა საქმეს, ქალს მისცემდა ერთ აბაზ ეერცხლის ფულს და მას იქეთ ის დანიშნულ ზღად ჩაითვლებო-და. მისი დანიშნის უფლება უკვე აღარავის პერნდა. შუაკაცი რომ მივიდოდა ქალის პატრონებთან, ისინი ჩვეულებრივ მოეგებებოდ-ნენ და მშევიდობა-ამბაეს პერთხავდნენ. დაიწყებდნენ სხვადასხვა ამბებზე საუბარს და ბოლოს შუაკაცი თავის მისვლის მიზეზს ეტ-ყოდა: „მე ამა და ამ კაცმ წიმამლალ თქვენთან მაკეთეობის გასაკე-ოებლად. ჯიშიანნ კაცნიავ-თქო; მიავ ეგენივ მაკეთედ მინდანავ. ქა-ლისაი -დ ვაჟისა ღმერთმა იცისავ ბოლოსავ რას იქმენაოდ, ჩემს სი-ცოცხლეს მინდავ. რო მაკეთედ მყვანდანაო -დ მივხყვებოდავ“. ამის-თანებს ბევრ რამეს ეტყოდა. ბოლოს რომ გაჩუმდებოდა, ქალის მამა ან სხვა მახლობელი დაიწყებდა საუბარს: „ჩვენ ვისიც მაკეთენი-ორთ, იმისგანაც მასაკვეთნი ორთ. რამ მააგონ მაგას ჩვენ პაკეთეო-



ბა. აქითა მაგეების ერთად შაყრამდე რაად უნდა იხარჯას, იტანჯას! მალე ქალის გაყვანისა ჩვენ არ გოქვა, ისენ ჩქარა მაითხოვნა, თუ მაგრამ და ქვე ვიყვნათ, მაშინ იქვე ავერევის მაკეთეობა. კაცნ კი ეგენ კის ჭილაგისანი, ჩვენ მაგათ თავს ვერაით დავამეტებთ, მაგრამ შენაც უწვალებიხარ ტყუილად, ვერ გავაკეთებთ საქმეს, შენაც ნუ დაგვემდურები, ისენ კი არა საკვირველთ გამავლენ“. ასეთს ბევრ რამეს იტყოდნენ. ხანდახან შუაკაცს სამგერ-ოთხერაც მიუგზავნიდნენ. ქალის პატრონი ბოლოს თავისი მახლობელი ძმა-ბიძა-შვილების კითხვითა და თანხმობით დაიჭირდა „ლიშანს“. შეიძლება ქალის მამას არ დაეჭირა ლიშანი და ძმა-ბიძაშვილს ვრნმეს დაეკირა. ბევრის საუბრის შემდეგ ეტყოდნენ: „მაგვეც ლიშანი. არა ის კი კა, ქალ მანამ ოცისა-ოცდა ხუთის წლისა არ იქნების, მანამდე დალრშვნაი სახლის ხარჯვა“. შუაკაცი ამოიღებდა ერთ აბაზ ვერცხლის ფულს და მისცემდა. მოიხდიდა ქუდს და მადლობას გადაუზღდიდა: „მადლობელი ორ, რო კაცად ჩამაგლით, არ გამაშტილეთ“. „დაიხურ ქუდი. ჩვენსა იმათ გულისად შენ ქუდის კდა არ გეკადრების“, — ეტყოდა ქალის პატრონი, ისიც ქუდს დაიხურავდა. მერე სტუმარს კარგად გაუმასპინძლდებოდნენ და გაისტუმრებდნენ. წასვლისას კიდევ ქუდს მოიხდიდა, დაემაღრიელებოდა საჭრის გაკეთებისათვეს და გაემგზავრებოდა. „შვიდობით წახვიდ, ჩელ მაგიმართას“, — ეტყოლნენ მასპინძლები. სოფლის პირში რომ გაეიდოდნენ, კიდევ გამოემშვიდობებოდა და წავიდოდა. ვაჟის შშობლები შუაკაცს პატივს სცემდნენ, რითაც კი შეეძლოთ. მას საშუაკაცო ურგებოდა ერთი ცხვარი, რომელსაც მაშინ მისცემდნენ, როცა ზალს შინ მიიყვანდნენ. თუ ჩაეშლებოდა საქმე, მაშინ საშუაკაცოც ეკარვებოდა.

ჩალენს სათხოვრად მისვლა სტუმრებისა

ქალის დანიშვნის შემდეგ ვაჟის პატრონი დამზადებდა რაც შეეძლებოდა ბევრსა და კარგ არაყს. დიასახლისი გამოაცხობდა ხავიშიან ქადას, რამდენიმე კუბატ-ქადას-კვერს, იშოვიდა საღმე სამ ადლ ფართოს, რომელსაც ეწოდებოდა „სამთხოვრო“. დიასახლისი-აგრეთვე გამოაცხობდა ხუთ ხავიშიან პატარა ქადას. ამათ ეწოდებოდა „მასანთონი“. მასანთონებთან ერთად ხუთ ფეხ სანთელსაც ჩაუწყობდა ხურჯინში და როცა მივიდოდნენ მძახლებთან, იქ ხუცესი ამ მასანთოთ კაქმატის ჭვარისად „მოანთებდა“.

არაყს რომ დაამზადებდნენ, დაუძახებდნენ თავის ძმა-ბიძა-



შვილებს, შუაყაცს და დაალევინებდნენ. ისინიც ყარების ფართზე გაში უსურვებდნენ, „წარმართის წაღმ წასვლას“ ე. ი. ღამის საქმის კარგად დაგვირგვინებას.

ქალის სახორციად ერთ-ერთი უფროსი კაცი უნდა წასულიყო: ან მამამთილი, ან მისი ძმა, მას ერთი ან ორი ახალგაზრდაც გაჟყვებოდა: ქმრის ძმა, ქმრის და, ან მათი ბიძაშვილები. ამ მოწვეულებს არას რომ დაალევინებდნენ, შევმაზავდნენ ცხენებს, აქაური უფროსები დაარცვებდნენ, როგორ უნდა ევლოთ გზაში და როგორ მოქცეულიყვნენ მძახალთან. ბოლოს შესხდებოდნენ ცხენებზე და წავიდოდნენ. გზადაგზა, როგორც ვიცით, შემხვედრებს ყველას არას დაალევინებდნენ და ბოლოს ბინდობისას მიაღწივდნენ სოფლამდენ. აქაც პირველად მასპინძელთან არ მივიდოდნენ, მცირდოდნენ მძახლის რომელიმე ძმა-ბიძაშვილთან. ჯერ იქ დაალევინებდნენ ოჯახის ყველა წევრს და ბოლოს ამ ოჯახის უფროსს გაიყოლებდნენ მძახლებთან. მძახალთ სახლთან რომ მცირდოდნენ, გამყოლი კაცი ცხენებს ჩამოართვამდა და სახლის გვერდით დაბამდა, მერე მივიდოდა და ქალის პატრონს (ხევსურები ქალის პატრონს) უწოდებდნენ ქალის ოჯახის წევრებს მთლიანად) საკორძიდან დაუძინებდა: „შინ ხართა? კარშია გამეედით, სტუმრებ მავიდეს“. სარძლოს გარდა ყველანი გარეთ გამოვიდოდნენ, ზალი კი მანლილს დაახურავდა და ისენი რომ სახლში შევიდოდნენ, სხვაგან დაიმალებოდა, რომ მოსულ უფროს კაცს არ ენახა.

ოჯახის წევრები სტუმრებს ჩვეულებრივი წესებით შეხედებოდნენ. ქალებს მშვიდობას ეტყოდნენ, ვაჟებს გამარჯვებას და მმბავს ჰკითხავდნენ. ამ საუბარშივე ცხენებს ხურჯინებსა და უნავირებს მოხდიდნენ და ბალაზე გააბამდნენ, სტუმრებსაც შეიგარისებდნენ შინ და ჩვეულებრივად დასხდებოდნენ სკამზე. ერთ-ერთი სტუმარი ქალი მოალაგებდა ხურჯინს; თუ სტუმრებს ქალი არ ახლდათ, მაშინ მასპინძელ ქალს სთხოვდნენ ხურჯინის ამოლაგებას. ქალი არაყიან ქინთს თავის ამხანავებს მისცემდა, ქადებს და „სამთხოვროს“ კი დიასახლისს. სამთხოვროსთან ერთად კიდევ იყო ორ-ორი ადლი ფართალი⁷, თუ ამ გვარში ან სოფელში

⁷ რამდენიმეცალებულიც იყო, მდენენჯრ რომ ადლი ფართალი უნდა მიეტნათ, მეორე დღეს მიცვალებულის ტალავართაშე მიიტანდნენ პატივად. ეს იმას ნიშნავდა, რომ როცა „ტალავარი ისხნენ“ ამ სოფელში, ქალის გათხოვება უხერხული იყო. თუ ფართალს მოტანდნენ და მიცვალებულის ტალავარში ჩადებდნენ, პატივის დადება ჭირისპატრონს გაეხარდებოდა და ქალის გათხოვებას ალარ იშვენდა. ტალავარი იყოდნენ სკვედილის შემდეგ შელას გათავებამდე და პატივიც მანამდენ მიქენდათ.



ახალი მიცვალებული იყო, მის ოჯახში მისატანად. დიასახლოებრივი მისატანა ამას უკელავერს გადააწყობდა სადისახლის მხარეზე, სტუმრების კი არა დაასხამდნენ (ზემოთ გამოვტჩა: ბუდეების ურეთში იცოდნენ: ქალის სათხოვრად რომ მივიღოდნენ, შინ შესული უფროსი კაცი კიბიდან უკერფ-კერამდე შესლით გაივლიდა და ღმერთს ეხვეწებოდა: „ღმერთო, მძახლოვა კარგად მოგვიხდინე და კარგი პოლო მიეცი ჩვენს მოკეთობასო“). სანამ არ დაალევინებდნენ, არც მაწვევას გაუშვებდნენ. ის რომ ხალხის საწევად წავიდოდა, დაიწყებდნენ სმას. პირველ ყანწს მისცემდნენ ქალის მამას, ან პაპას. მერე ასე მოაყოლებდნენ უფროსების მიხედვით. ქალის პატრონი სადღეგრძელში იტყოდა: „ღმერთმა ავაშენნასთ, სტუმრებო, ბარაქა მაგცასთ, გულის ნაგონარ აგიცხადასთ, თვალ-გულ ნუეისა მაგრივასთ, დღეს ჩემთან მახველით ქალის სათხოვრად, მუდამ ქალის მთხოვარნი, ზღის მყოლნი გქნასთ. სამაკეთოდ მაგვი-გონენითა, მახველით. ჩვენ ვისაც მაჟეთენი ორთ, იმისანიც მასახელეტნი ორთ. უნდა გითხრათ, რო: მე არ მინდოდ ეს საქმე გაკეთებულიყვ, იმით რო თქვენ იხარჯებით, იტანჯებითა -დ ბოლოს ქალ-ვაჟი ვინ იცის რას იქმენა, რას იტყვიან. ის არ მინდოდ, რო თქვენ ამგ არ დაფასდას, მიაც რაობაში შამცხვენდას, ქალ-ვაჟი ერთად არ იქნან, ყველაზ ტყუილად ჩაიარას. ეეხლა კი, რაკი მახვდ ეს მაკეთობის გაკეთება, თუ მე ცოცხალი ორ, მე ვიცი, ჩემს თვეში წამსვლელს ცოცხალს არ გაუშობ, რომენიც სახლის ჭალაფონბა ჩემს სიტყვას დალოდაჭავსა, ჩემს არას გაიგონებს. თუ ცოცხალ არ ვიქნები, კიდევ ვინ დარჩების, რო დიაც-ყმაწვეილს თავ დაუჭირასა, საქმე იმათ ჭკვაზე არ გაავლიოს. გადღევდელნასთ, გაცოცხლნასთ, მანდილოსნებო, გაგახარნასთ ღმერთმ, ტანით მთლად, გულით მზიარულად გამყოფნასთ. შაუნწნას იმ სულწმიდათ კი, რომენიც კელს გიმართავდასთ გზაშია, მეზაერობაშია წალმ გყვებოდასთ“.

ამ სადღეგრძელოს შემდევ ქალის პატრონს უფროსი სტუმარი ყანწის ბოლოს დაუტერდა და დაალევინებდა. უმცროსი სტუმრები ფეხზე იდგნენ და არიგებდნენ არას. დიასახლისსაც დაალევინებდნენ, მაგრამ ქალის გათხოვების შესახებ ის სულ არაფერს იტყოდა, უპრალოდ დაილოცებოდა და ისე დალევდა. სტუმრებიან პირველად უფროსი დალევდა და ფეხზე მდგომი ქუდმოხდი-

ერთი შლის შემდევ კი ახალ მიცვალებულად აღარ ითვლებოდა, ტალვართაც არ დებდნენ და აღარც პატივი იყო საჭირო.



ლი იტყოდა: „მადლობა ღმერთს, რო მე ამ სახლში შამასვლის გაუწევდი, ამ ხალხთ მაკეთეობისა. დიდხანი, რო ამაზე ჩვენ ვციქ-რობდითა — დ ვერცე ვბედავდით კაცის მალალვას. ჩვენ რა სამა-კეთოდ ვლირორთავ, — ვთქვიდით, კაც რო მიულალათავ, გაგ-ვაწმილებენავ, ჩვენავ ისენ რას ქალს მაგვერენაო—დ იმათ მაკე-თეობის ლირსთ გაგვაძლიანავ. ექლა კი არც კი მეჯერების, რო თქვენ მართლა მაკეთედ გაგვიწადენითა — დ სკამზე დაგვსხენით. მარ-ტო ის რაად მილირს, რო თქვენს სახლშიით გამასულს, თქვენ ტყავ-მასურვილს მნენვენ კაცნი. მძახალნო, ღმერთმა თქვენ თავ ნუ გა-მამართოს. ეხლა კი თუ გინდა მავკვდ, გულით ოღარა გამკვების, ამ საქმეს ვფიქრობდიო, ვერ გავაკეთოვ — აღარ ვიტყვი ეს ერთხან ხო მელირს თქვენ კერთ ძირში თავის შამატარება. მაგრამ იმასაც კი გეტაჟით, რო ეხლა ადვილიც აღარ იქნების ჩემდ ამ სახლისა მაკეთის დათმობაი — დ, თუ ვინ ამ საქმეში უკულმართით ენით ჩაე-რივ, სუდარიც კი მაუნდების უბეში, ცოცქალ ვერ ივლის დიდხანს. გაცოცხლნასთ, მძახალნო, ყველანივ, გადღეგძელნასთ, კარგა გამ-ჯოფნასთ, თქვენ მაკეთობა ღმერთმა ნუ გამამართოს, მტრის თვალ-გულ ნუ მავრივასთ. ღმერთმა ნუ დაგლივნასთ თავისის პატრინა-და, მაკეთის იმედად. თქვენ გადღეგძელნასთ, ამხანიგბო, მუდამ სალხინოდ მაგიყვანნასთ მაკეთის სახლში. მანდილოსნებო, თქვენაც გაგახარინასთ, აეს ნურს ვინ შაგასწვრნასთ კაის მეტს. შაუნდნას იმ სულწმიდათ კი, ვინაც ჩვენ აქ მასელს მახვებოდას“. ასეთი საუბრის და ლოცვის შემდეგ დალევდა უფროსი სტუმარიც. ამ დროს ზალი საძროხეს შხარეს იყო დამალული, მოსულ უფროს კაცს არ ეჩვენებოდა. ახალგაზრდები მოითხოვდნენ სანთებს და სათითაოდ წაულებდენ ყანწს ზალს მოსაკითხად. სტუმარი ქალე-ბი კი უფრო მეტად ზალთან იყვნენ. ქმრეული რომ ზალთან მი-გიდოდა, ეტყოდა: „მახვე მშვიდობით“, — „გიშველას ღმერთმ“, — ეტყოდა ქმრეული და კოლეგბდა. ზალი იმბავს ისე არა ჰეითხავდა, როგორც სხვები იტყოდნენ — „როგორ ხართო“. — ის მარტო ერთ პიროვნებას ეუბნებოდა — შენ როგორა ხარ, ხომ კარგადო? მრავ-ლობითად რომ ეკითხა, საქმროც იგულისხმებოდა და მორცხვობ-და. ქმრეული ზალს ეტყოდა: „ზალო, შენ ხო კარგად ხარ, ხო არა გაწყენ-გაჯავრებსა, აქამდენ კი რა ჩემ საქმე იყვა—დ ეეხლა კი, ზალო, შენს გამჭავრეს ერთ მტკაველ მიწას არ გავავლევ“. თან ესუმრებოდა ამბის კორევაში. ბოლოს ეტყოდა: „აპალე, ზალო, არაყინ ყანწი გამამართოი“. ზალი უპასუხებდა: „აბა ღმერთმა გვარ დაგიშერას, ვერ შენ შასეი, მემრ მიაც დავესწრობი. მე შენს წინ



არ დავიჭერ ყანწს გელჩი; არც სასმელს შავსომ“. ქმრეული დაშორებული ძალებდა, მაგრამ ბოლოს თვითონ აღდეგრძელებდა ზალს: „ზალო, გადღეგძელას ღმერთმ. ტანით მთლად, გულით მხიარულა გამყოფას, ისრ გადღეგძელას, რაკელაც შენის კაის მენდობის გულს უნდ. ძალ ზთისა ეწეროდას, უფალ იესო ქრისტე. გიდღეგძელას დედა-ძამიც, და-ძებიც ნუვის თვალ-გულ მაგრივას როგორც ხარ, უკეთესად გამყოფას“. ყანწს რომ გამოსცლიდა, გადმოაბრუნებდა და ეტყოდა: „აი შავს შენის გახარებისა, ზალო“ ამ დროს აქ თუ კინმე სხვა ქალი იყო, გაგზავნიდა — ერთი ყანწი არაყი მომიტანეო, თუ არა, თვითონ გადავიდოდა სამყოფოზე და გადმოატანდა ზლისთვის ერთ ყანწ არაყს. ზალი გამოართებულდა და ეტყოდა: „რას ლონდებ ჩემი გულისად, რას?“. „ჯვარ დაგიწერას ღმერთმ“ — ეტყოდა ქმრეული ყანწს რომ მისცემდა, „ღმერთმა გიშველას“, — უპასუხებდა ზალი და დაულოცავდა ყანწს: „ოჟავ, გადღეგძელას ღმერთმ, გაცოცხლას, მშეიდობით გამყოფას, ნუვის თვალ-გულ მაგრივას. ჭირს ვსომ შენს“. ყანწს მოიყუდებდა და ცოტას დალევდა, მერე ქმრეულსვე ეტყოდა: „მე ბევრს არაყს ვერ ვსომ, აპალე, შენავა მიშველე“. ქმრეული აძალადებდა — შესვიო, მაგრამ ზალი მაინც თავისას გაიტანდა და ქმრეულს უფრო მეტს დაალევინებდა ამ ყანწიდანაც, ბოლოს თვითონვე გამოცლიდა და ეტყოდა: „ჭირ შავს შენი, ოჟავ, დაგელის მტერი, დუშმანი“. „ღმერთმა გამას“, — უპასუხებდა ქმრეული და ცარიელ ყანწს ჩამოართმებულა. თუ არაყის დამხარჯავები კიდევ იყვნენ, რომ ხალხს გამასპანძლებოდნენ, მამინ ეს ქმრეული ზალთან დაჯდებოდა ღა ისაუბრებდა. ჩუმრობდა, იცინდა, ზალს გვერდზე დაისვამდა, კისერზე ხელს გადახვევდა და ისე ესაუბრებოდა. საუბრობდლენ უფრო სწორფრიბის და ქალვაკუობის ირგვლივ. ზალთან ერთერთი ქმრეული, ან ქმრისდა მუდმივად იჯდა და ესაუბრებოდა. ქმრის ღვიძლ დას, ბიძიშვილს და მოგვარე ქალს, ყველას ეწოდებოდა ქმრისძმა, დანარჩენ მოგვარებს ქმრეულები.

მაწევარი ხალხს რომ მოიყვანდა, სტუმრები და მოწვეული ხალხი ამბავ-მშვიდობის კითხვით შეხვდებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ სმაც იმართებოდა ჩვეულებრივი წესით. ყანწის დალოცვის დროს ულოცავდნენ მძახლების ორივე მხარეს, უსურვებდნენ ამ მძახლობის კარგად დაწყებას და კარგადვე დაგვირგვინებას.

ქალის სათხოვრად მოსული სტუმრები ხათრიანად ეწეოდნენ კველას, გასაჭავრებელი საქმეც რომ შეხვედროდა ვისმესგან,

ისინი მაინც მოითმენდნენ და შძახალთ ხათრით არავისთან იშვილი /
ლებლენენ. ხალხი რომ კარგად შექეიფიანდებოდა, დაიწყებულებოდა
ფშაურ სიმღერას. მღეროდნენ ორ-ორნი და იდგა ერთი ურიამუ-
ლი. ზოგი ლექსებს მღეროდა, ზოგი კი ახლად ალექსებდა ერთმა-
ნეთს. ხშირად ივონებლენენ ხევსურების და ფშავლების მიერ ერ-
თამეორეზე ნათქვამ მოსწრებული სიტყვებით გალექსებას და მღე-
როდნენ ამ ლექსებს. შაგალითად, ლულელი ბაბილო ნია (ხევსუ-
რი) გაულექსებია ფშაველს, როცა ისინი დუქანში ქეითობდნენ-
ნიასაც ფშავლისათვის ლექსითვე უპასუხნია:

დაგილმდება, კევსურო, ნიავ, ვერ ახოლ ღულსაო,
— მე ბერლაშიაც გვიფლი, მთვარეს არ უგდებ ყურსაო,
მავალ და გადავეჭვევი საყელო მოქარგულსაო.
— ფშავში არ ჭამახოლავ, ღულელთ ბაბილის ნიაო?
არ გინდა უმიღის ხინკალი დუმაზედ მაგიხვიაო?
— რას მათგონებს ფშაველი, კნაღალი დამათხიაო,
ფშაველ ხარ უნამუსოი, შარვალთ მიწაზე სთრიაო.
მე მიყვარს ცხარე არაყი, მაქნიოს ფუა-ხიაო“.

სასიმღერო ლექსების რეპერტუარი დაახლოებით ასეთი იყო:

ჩემს ღუშმანს გადმატეჩინდას თავ გამოშობილ კევსური,
რაღას არ დავშინდებოდა, მამდევდ ქმალ-ამაღებული,
სრუ რბოლით გმიამავლივა, ქორისტი, როშკაი, მემრ ღული,
მიშველე, ლაშარის ჯვრო, შენი ყმაი ორ ერთგული!

—
სამი ოორლა გავზარდე: შეთე, მინინო, ღუსუმი,
მეოთხე ხლოდ მეზდების, ნაყაჩაღარი, ქურდული.
ეგეთ ტარება გასწავლე, ზედ არ მეტყობის ჩუჩუნი,
მუკლი ეც დაულალივი, არ იცის ოფლის გუგუმი.
ხანდიხან გადილაქების, რო ჩემ დედიძმა ყულული.

იყო მღერა, სამა, სიცალი და ხუმრობა; თან მმახლებს ეხუმ-
რებოდნენ: „აბა მძახლებო, შაგვასმიერ არაყი, ხო იცით ახალ მძახ-
ლოვა მელის უნატრავ“. ასე გაატარებდნენ დროს და ბოლოს სმა-
საც მოათავებდნენ, „ყანწებს ჩამოჰყრიდნენ“, ქუდებს დაიხურავ-
დნენ. დიასახლისი პურს მოუტანდა ჩეეულებრივი წესით და ტაბ-
ლის ყველა წესები ისე შესრულდებოდა, როგორიც აღწერილი იყო
პედისკვერობის წესში. ხნიერ სტუმრებს გაიპატიუებდნენ სოფელ-
ში, ახალგაზრდები აქვე დარჩებოდნენ. ახალუხლები საძროხიდან
ზალსაც გადმოიყვანდნენ „სამყოფოზე“, რადგან უფროისი აღარა-
ვინ დარჩებოდა, ვასაც ზალი ემალებოდა, და გამართავდნენ ლხინს.

გვალში ლექსის თქმა მწარინ, დავხყები შინაურისა,
უშინ ქართულებს თოფებსა ძვალს აკრედიტის მდღვინავსა,
კვალს არჩევდინ ფოლადსა, ურანგების დანაპიროვსა,
მტერს უხვდებოდეს ვაჟები, ღვიძებს ფოლადის რეინისა,
უშინდელნ მემადირენი ხვევბოდეს მთა-შვერთ პირისა,
დაჯდებოდ, ამჟეუნებდა, თოფსაც ტალს დაუპიროვდა!
საკეორელნ სიმაგრენი დგან, კაცმ რით არ გაიკვირისა,
აიქ ზიდავდეს წინანი თავის ბარგსა და ბრნისა;
არ იქცევდინ მაშინა სოფლელჩი თავისოფენისა.
თავის გვარისი წამყვანი ვაჟ ლმერთმა შაარცენისა.
სხვის გვარისა რო მაველის, ნეტა რაი ეჭობს მისა.
ქალიც არ უნდა ზიდავდას არაყიანსა მინასა,
ვაესთან არ უნდა წავდას, არ ილიძებდას მძინასა.
ზოგს პირად მატუუბენ—აქ შენისთანა ენ ასა.
ქალ უნდა დროზე ჟაფიდას, მიღბარდას თავის შინისა.

ერთი რომ ასეთ ლექსი ილექსებდა, მეორე მეორენაირი ლექ-
სით შესცვლდა. ასე გაივლიდა ღამე, თენებაზე ყველანი დაწევებო-
ლნენ: ზალი ერთ-ერთ ქმრეულთან, სხვები სხვებთან, ვისაც ვის-
თან სურდა ელჩის საშუალებით. რომ გათენდებოდა, როგორც ბე-
დისკვერაზედ მოსულ სტუმრებზე ითქვა, იმავე წესით წავიდოდ-
ნენ სტუმრები და მასპინძელი ჭირისპატრონებთან. დანარჩენი
წესებიც ისეთივე იყო, როგორც წინა სტუმრობებთან დაკავშირებით
აღვწერეთ. სტუმრები მესამე დღეს გამოემშვიდობებოდნენ და წავი-
დოდნენ შინ. წასვლის წინ გავმატის ჭვარისათვის ხუცესს მასანოთ
მოანთებინებდნენ. წასვლის დროს ქუდის ხდით და დიდი ამბით
გამოემშვიდობებოდა უფროსი სტუმარი მძახლებს. გამართვის დროს
ის სახლშივე მოიხდიდა ქუდს და იტყოდა: „ომერთო დალოცვი-
ლო, ქალისა, ვაჟის გამჩენო, მძახლოის გამჩენო, ნუღარ გავვაწ-
ბილებ, ლმერთო დალოცვილო, ნუ გამამართომ ამ კაის მაკეთის
თავს. თუ ეს მიწერავ, წინ-წინ ჩემ დღე გაათავი, მანამ მე ამ
სახლში მაჟეთობა დამელევის. ჭვარ გეწერასთ, მძახალნო, ლმერთმ
ოქვენ თავ ნუ გამამართოს, თქვენ მძახლოვა ნუ მამიშალის, სალ-
ხინოდ მავლიოს თქვენს სოფელშია-დ თქვენს სახლში“. ამ საუბ-
რით გარეთ გამოვიდოდა. ახალგაზრდებიც ჭვარს დასწერდნენ და
გამოეიდოდნენ (ჭვარის დაწერა ამ შემთხვევაში ეწოდება, როცა
სტუმარს მიისტუმრებდნენ და ის იტყოდა: „ჭვარ გეწერასთ, მშვი-
დობით იყვენით“ და სხვა). ამ დროს ცხენები გამზადებული იდგ-



ნენ. მასპინძლები ხელით გამოატარებდნენ მათ სოფლის ბუღალტერიანი დღე. სოფელზე გავლილებს სხვებიც გაჟყვებოდნენ გასაცილებელი და სოფლის პირში გაიმართებოდა სმა. აქ კიდევ მოიხდიდა ჭუდს უფროსი სტუმარი და სახალხოდ იტყოდა: „ხალხნო, მე მადლობელი ორ, რო ჩვენის გულისად აქ სწვალდებით, ისეთ ხოყანა, რომნებსაც ფეხზე ადგომიაც არ გეკადრებისთ. მაღლობელი ორ ეგმ მარათაც, რომ მე შიმაჟეთეს, სკამზე დამისვესა, თავის კაი მაკეთებში წილ ჩამიდვეს. მე ლირს არ არ თქვენის მაკეთეობისა. ოქვენს გამარჯვებას, მაკეთებო-დ სოფლელებო, ყველას გეხვეწებით ემ ჩემი ჭუდით, თუ რა ვის გაწყინეთ, მაპატივეთ; მეორეს იმას გთხოვთ რო, ქალ-ვეფის თხოვა-გათხოვების საქმეში ბევრნ ენანი, ამბავთ მიტან-მატანან იციან ესეთს ნურასეინ გალბეზავს ჩემსა დ ჩემ მძახალი შუაში, თორემ არ მაგვივ კა საქმე. ყველამ კაი თქოსა ქნას, თორე ცუდს გავიგებთა-დ კას არ ვითიქრებთ. აეწიდვე დიდმაც იცოდასა, ცოტამაც, დიაცმაც, კაცმაც, რო ეგ ზალი ჩვენობაზედ ასა-დ ჩვენ სახელ-სირცევილზე. მართალი. მაგას შინით კეებ პატრონები ხყავა, არც ჩემ შეილ-მმისწულებ გაუწევენ მაგას ნაკლებ პატრონობას. ქვამა-დ ხემაც უნდა იცოდას, რო ეგ ქალი დღესიდგე ჩვენობაზედ ას, თუმც კა ლირსნ არ ორთ თქვენის მაკეთეობისანი“. ამ საუბრით ჭუდს ზალის წინ გადააგდებდა და და დაუმატებდა: „აა ამ ჩემი ჭუდით გთხოვთ, რო ჩემის საუბრისა ყურებაი-დ გაგება იყს“. ჭუდს ვინმე იქ მყოფი იაღებდა, გაბერტყდა და პატრონს გადასცემდა. აქ უფროსი კაცებიც იქნებოდნენ და ისინი ეტყოდნენ: „ლმერთმა კაზე მაგივდინასთ მაკეთეობა. ლიასიც ხარა მეტიც სამაკეთეობა. საშურელი, სანატრელი თქვენ გვარი. ნეტავინ მშვიდობა იყოს, თორე აქ თქვენის საქმის არ მახარულ არვინ ვიცით. აბა ჩვენ რა ვის გვეკითხების კიად, თქვენ რო ამ სოფელში სამაკეთეობა სიარულს დაიწყებთ, ეს კი ყველას გვიხარიანა დ ყველანა შენეე ვიქნებით, იცოდ, რო შენს მოავს აქ გასვენება არ ექნების“.

ბოლოს უფროსი კაცი მძახლებს გადაკოცნიდა. ქალები ქალებს კოცნიდნენ, ვაჟები ვაჟებს და წმოვიდოდნენ. ზალი თავის სახლიდან შორს, არ გამოაცილებდა, რადგან უფროს ქმრეულს ემალებოდა. მას თავის სახლშივე გამოემშვიდობებოდნენ ახალგაზრდა ქმრეულები და ქმრისდები.

დაკითხვა ნიშნავს შემდეგს: ქალი ნათხოვი რომ ჰყავდათ, ყოველ წლიურად მის ოჯახში ბედისკერა მიქვენდათ და ჭირობების დღესაც მიღიოდნენ. ახლა დრო დადგებოდა ქორწილისა და ზღვის შინ მოყვანისა. ვაჟის ოჯახს უნდა გამოეხადა ბევრი არაყი, ვინმე პატივცემული კაცი ან თავის სოფლელი გაეყოლებინა ძმას, მამას ან ბიძაშვილს და ქალის პატრონისათვის გამოეცხადებინა თავისი სურვილი. სოხოვდნენ, დრო დაენიშნათ ქორწილისა. არაყი გამოხდიდნენ, დიასახლისი გამოაცხობდა ხავიწიან ქადას და კუბი: ტ-ქადისკერებს. ცხენებს შეკაზმავდნენ და ორი კაცი წავიდოდა მძახლებთან. მძახალი სოფელში ერთ-ერთ მათ ბიძაშვილთან, ან სხვა ნათესებთან მივიდოდა, იმასაც გაიყოლებდა და ჩევულებრივი მისვლა-დახვედრის წესებით მივიდოდნენ. ქალის გათხოვების დროს ბუდის ხევსურებმა დიდი ამბავი და იქია-ბაჭია იცოდნენ. ქალს თითქმის ლურაათ წლამდინ არ ათხოვებდნენ და მოკეთეს უგრძელებდნენ ქორწილის ვადას. ბუდის ხევსური, თუ ის ქალის გათხოვების გუნებაზე არ იქნებოდა, ბევრი წლებიც არ იქნებოდა გასული ქალის დანიშნის და თხოვის შემდეგ. მოსულ მძახლებს არაყი არ დაახარჯვინებდა, ხანდახან შინაც არ შეუშებდა. ეტყოდა: „ჩვენ ეეხლად ქალის გაყვანის დრო არ გოქვ“. მოიგონებდა რამე მიზეზს: ან სახლში დიაცი „გამძლო“ არა გვყავსო, ჯერ ზალი უნდა მოვიყვანოთ და ქალს მემრე გავათხოვებთ, ან ვინმე ნათესავი მოგვიყვდათ, ანდა ქალის ჯერ ქმართას წასვლის დროს არ არის, თავის ჩასაცმელ-დასახური უნდა მოიმზადოსო და სხვ. „ამაზე სახლიც ტყუილად გიხარჯავთა-დ ტყუილა წვალებულხართ. მე წარავ ვიცოდ, რო ჩვენ შეკიენ ვერ ვიქნებოდით. თქვენ მეჩქარენ-ი ხართა, ჩვენ მალე ქალის გაყვანისა არ გოქვ. რასაც გზაზე მასულხართ, ამავ გზაზე წაედით, ქალების მეტ რაი. ბევრ-ი მეჩქარეო, ვინაც ივერ ჩქარა წამავ, თქვენაც ის მაღვარეთ, ხოლოთ ჩვენს ქალს კი თავ დაანებეთ, წაილით თან ე თავისაიც“. ოვისის წალება ნიშნავდა ქალის გაყრას. თავისა ეწოდებოდა ცნობილ „ლიშანს“ და „სამთხოეროს“. როცა ქალის პატრონი ამათ გამოიტანდა და ვაჟის პატრონს ჩააბარებდა, მაშინ ქალ-ვაჟი გაყრილად ჩაითვლებოდა. ხანდახან მძახელნი მისულებს ხურჯინში ჩუმად ჩაუწყობდნენ „თავისას“. ქმრეული მიხვდებოდნენ — ქალი გაგვყარესო. ხევ-სურულად რომ ვთქვათ: „მაყეთეობა დაგვილიესავ“. ამას მოჰყვებო-

და ან ისევ შუაკაცით გარიგება, ან ქალის გატაცება და ან ქალის თავის დანებება.

„გერ თხოვა არავის გაუგავად, აეხლადავ დასაყითხავად მახვეით. ამგით ნათქვამი: მთიულსავ შინ ნუ შაუშობავ, თორე მძახლობას მაგიხედნებსავ. ლორის ტკიშავ ფექთ ნუ დაისომავ, თორე თავს გადაგივლისავ. რა დრონ მიუდიან ან თქვენს ვაჟსად ან ჩერებს ქალს. თქვენ თუ მალე ცოლ-მასაყვანი გყავთა ძმაო, ღმერთმა კელ მაგიმართასთ, ოლონდ ჩვენ დაგვშორდით“. ქალის პატრიონი ასეთებს რომ დაწყებდა, მოსულები ტკბილი სიტყვებით დაუწყებდნენ საუბარს. მათვის მიყოლილი კაციც ასევე ტკბილად ელაპარაკებოდა. ხეწინმდინაც მიდიოდა საქმე. ხან დამშეიღებდნენ მძახალს და ტკბილი სიტყვით მოერეოდნენ, ხან კი რასაც ის პირველად იტყოდა, ბოლომდინ იმას გაიძახოდა და თვისისას გაიყვანდა.

ის კაცი, რომელიც მიიყოლეს, ცდილობდა წამოყვანთა სასარგებლოდ დამთავრებულიყო საქმე. ხანდახან არაყს დალევდა მასპინძელი, მაგრამ ქორწილის ვადას მაინც სამ-ოთხ წლამდინ გაუგრძელებდა. ზოგი მძახალი დასაყითხავად მისულებს მშვიდობიანდ შეხვედებოდა, არაყსაც დალევდა, თავისებსაც „აწევდა“, მაგრამ ვადას მაინც იგრძელებდა, რასაც მოსულთა თხოვნით აახლოებდა.

სტუმრების მოსვლისას ზოგი თავს ისე დაიჭირდა, ვითომც ირ იცოდა, რა მიზნით მოვიდნენ. შეიპატუებდა სახლში. ერთ-ერთი მოსული მოიოხოვდა ხურჯინს, „ხურჯინი ჩასასხმელებს“ დიასხელისი ჩაიბარებდა, ქინთს კი სტუმარი დაიჭირდა ილლიაში. მასპინძელი ეტყოდა: „დაიცავე, გერ ნუ წამასხამთ, გამაგებიერა, რაისად მარტანეთ ეს არაყი. არავინ გაგვჩენივ, არავინ მაგვადომივ, სხვა ამბავ არა მაგვადომივ, ეს არაყ კი მოგიტანავთ“. მოსული უპასუხებდა: „არა უნდა, მძახალო; არაყი შეგსოთ, არაად მოვიტანეთ; კარგა ხანი აღარ ვყოფილვარო აქა, ეეხლა ძლივ მავედით, თუ მიზეზ არა-იქ ჩვენის მოსვლისა, ეს ბოლოს ითქმის“. ამ საუბრით დასხამდნენ არაყს და პირველ ყანწს მისცემდნენ ქალის პატრიონ უფროს ცაცს. მერე ისე უფროსობით ჩამოარიგებდნენ. მასპინძელი მოინდომებდა ხელხის დაძახებას, მაგრამ ის კაცი, რომელიც სტუმრებმა მოიყოლეს, ქალის პატრიონს ეტყოდა: „გერ თავისებს უძახეთ, ცოტა სასაუბრო ასა, სხვებს არა უნდ, ან დილას უძახათ, ან საუბარს რო გავთავებთ, მემრ“. მასპინძელიც დათანხმდებოდა, მაწევარს არაყს დალევინებდნენ და გაგზავნიდნენ თა-



ვისი ძპა-ბიძაშვილების დასაძახებლად. მაწევარი რომ წავიდოფით მარტინ აქეციანი იწყებოდა ჩეცულებრივი სმა. ბოლოს ნაწევებიც მოვიდოლ შექველებიც „აშენებას“ იტყონენ, ხალხი ფეხზე ადგომით შეხვებოდა მათ და მიიწვევდნენ სკიმზე. მოსულებიც უფროსობის მიხედვით დასხდებოდნენ, სტუმრებს შშვიდობა-ამბავს პკითხავდნენ. შემდეგ ისევ განაგრძობდნენ სმას. ბოლოს თან მოყოლილი კაცი დაიწყებდა საუბარს; „იყურეთა, თქვენს გამარჯვებას. ეე მძახალნი ჩეცის მთვლ-მკედარზე მაუსხლეტნი, სრუ დადიან თავის ნუგეშითა-დ წესიც ას, თუ მაკეთეს მაკეთე უნდ. ცხადი ას, მაკეთის შასვლისა ჩვენაც მუდამ მალოდინი გვაწვის, მაგრამ სრუდლისა კვირასთაოდ ვერ ვინ ივლისა -დ ვერცვინ სასმელს სწურავს. სიარულს დროიც უნდ, საქმის დაომობაიცა-დ ვრთ დღე მაინც არ მაუცდებისა, მაგრამ ქორდ უმიზეზოდაც კი კაც-კაცსთან არ წავ. თუ სათქმელი საქნელ არა-ი აქვ. ეეს სასმელიც უმიზეზოდ არ იქნების მატანილი. ეეს მძახალ იმით დავ აქ, რო ჭალის წაყვანა უნდ, თორე ამას წყალში გადასაყრელი არა-ი აქვ. ეეს კაცნ უეხლა დასაკითხავად შასულნი, ქორწილ გვინდავ რო გვაწნივათავ, გზან ავასინივნათავ, კაცნ ჩამავიშორნათავ, კაცთ ენანივ. რასი-სადაც დროს დაგვილიშნათავ, იმ დროსად დავემზადებითავ, — ამბობს ეე მძახალი. კარგა ხანი ას, ეს კაც მაგყვების მაუსხლეტლადა, ცოდოიც ას, ამან რო სრუ აქ იარას. ეეხლა დროი, დაულიშნეთ დროი-დ აქნიეთ ჭორწილი⁷.

კაცი ამ საუბარს რომ გაათავებდა, მერე მასპინძელი გააძნელებდა ამ საკითხის მოვარებას, მოიგონებდა რამე მიზეზს და იტყოდა — ვერ ჭორწილის დრო არ არისო. თვითონ ვაჟის პატრონიც იტყოდა: „ეხლა ჩემიცალ იყურეთა. ჩაად საყურები ასა კი ე ჩემ საუბარი. მე თქვენი წყენით კი არა მინდ, თუნდა ოც წელსაც მაძინდას აქ მაყოლა, ხოლოთ მე თქვენთან იმის სათხოვრად მავედ, რო აგებალავ დროს დამილიშნევდესაო. მანამ ცოცხალი ორავ, ჭორწილს ვიქმოდივ, ჩემს სიცოცხლეს მინდოდ რო შეასწორობიყავ. მემრ თუ გინდა მავკედ. მემრ იმით მინდოდ, რო ზანამ არ წაიყონს, ქალ-ვაჟის საქმეში ენან არ ჩამაეგსნებიან, კაცთ ენის ჩამაესნა-ჩამოშორება მინდოდ. მესამე, გზათ აქსნა⁷ მინდოდ, რო ჭირობინის დროს მასაყოლ-ანგარიშში იქნებოდ ზალი; მაყვანიდგესად

⁷ გზათ აქსნა: ეიღრე ზალს არ მოიყარენ ან ჭორწილით, ან გატაცებით, მანამდრინ ივი თვეისი საქმრის სოფელს არ გაიღოს. ჭმრის სახლში მიყვანის შემდეგ, რამდენი ხანიც უნდა იყოს მამის სახლში, ჭმრის გვარის ჭრზე და ლხინზე ყოველთვის მავა და სირცხვილი აღარ არის.



გზათ აქსნიდგეს, თუნდა ცხრა-ათს წელს აქავ იყოს, ხოლოთ ერთ-ერთ მასული-დ მეტრ ჭირ-ლხინზე სიარტლიშიშვილი შავესწვრ. თუ თქვენ ამის ნებას მაბცემთა დ ღროს დამილიშნავთ, თუ არა, წელიანაც ვთქვი, მე თქვენი წყენით არცრა არ მინდ“. საუბარში ჩაერეოდნენ საბლისკაცებიც, დედასაც ჰეითავლენენ, მაგრამ ის მაინც იტყოდა: „აბა ჩემ რა საქმეი-ას, ჭირიც კაცებისაა, ლხინიც, ჩემ არცარა სახელია, არცარა სირცხვილი, კაცებს რაც უნდ იმას იქმინ“.

ბოლოს, როგორც იქნებოდა, დაიყოლიებდნენ ქალის პატრიონ-საც და ქორწილის დროს დანიშნავლენ: შემოდგომაზე ან გაზაფხულზე, რამდენიმე თვის შემდეგ. დათანხმებაზე სტუმარი ქუდონხდით დაემადლიერებოდა: „მადლობელი ორ, მძახლებო, რო ყველა კას სიტყვას ხარჯავთ. ეეხლა რაკი კორწილის ნება მამეცით, მე ჩემს თავს ბეჭიერად ვსთვლი, აწიდგე თუნდა მავკვდ“. შემდეგ უნცროსებს ეტყოდა: „აბა თუ რა გვიდგას. ეე კეებს მძახლებას შაასჩიეთ, არიქათა!“ გახარებული ახალგაზრდებიც დაუწყებდნენ გამასპინძლებას ზალს.

ამ დროს ზალი, როგორც ვიცით, საძროხეში იყო და არ მოდიოდა თავის უფროს ქმრეულთან, მამამთილი იქნებოდა, ქმრის ბიძა. თუ სხვა ვინმე. ზალი მონაწილეობას არ ღებულობდა საკუთარი ქორწილის საკუთხის გადაწყვეტაში. ის არც აქცივდა ყურადღებას ამ მმაგას. მეორე ან იმავე დღეს ვინმე ქალი ეტყოდა მას. ქორწილის დროს დანიშნაზე. თუ ის საქმარეს სწუნობდა, მაშინ შეიძლება ბუზლუნი დაეწყო — მე ჯერ გათხოვების დრო არა მაქსო. თუ იმ სწუნობდა, მაშინ კი იყო ჩუმად, ვითომც არცეი გაუგონია.

მაგრამ ქალს რაც უნდა ეთქვა, ყურადღებას არავინ მიაქცივდა, არც მოუსმენდნენ მრავალს. რა ქალის საქმეაო—ეტყოდნენ — მშობლები და ძალა-სახლისკაცები ჰყავს, მავისი სახელიც იმართა და სირცხვილიც, როგორც და როცა უნდათ, მაშინ გაათხოვებენ.

ქმრეული ჩვეულეპრივი წესით მოიკითხავდა ზალს და მიუტანდა არაყიან ყანწის. დანარჩენი წესები მიმღინარეობდა ჩვეულებრივად. ბოლოს სტუმრებს გაიპატიუებდნენ ხნიერი ვინც იყო, ახალგაზრდები კი მართავდნენ მხიარულებას — ლექსობდნენ, თამაშობდნენ. ბოლო ხანებში რუსეთის ხელმწიფებები გამოოქმულ ლექსობდნენ ახალუხალში. მაგ.:

1

მინდით ახალია ორ, კეცესურ კერა შეობ ერთია,
 ქალსა გსთხოვ კემშიციანთა, ბაზილთ ნა მყავ ელჩია.
 შენ თუ ქალს მამცემ, ბატონო, მეც კარგად გმიავდგებია,
 დაგიშერ კაცის მკვლელებსა, ქურდებს ზედ გაღვევდებია.
 თუკლალ არა გაქვ ნაგადი, სახლში ფურ არცად გწევებია,
 საძროხეს გადაგავდნდი, გათხევულ გარმახებებია.
 შენ თუ ხარ იმპერატორი, ბაბო მეც მყვანდა ბერდია,
 ჭიათუონ საქონა, ჩამაგლომ იმათ გვერდია.

2

უთხარით კემშიციანთა, სიტყვა ისმინდეთ ჩემია,
 გაწორეთ საქართველოი, სხვა ნეფე გვინდა ჩვენია,
 შინავაც ცალე ვყოფილორთ, ვერას გვაკლებდა მტერია,
 სანეფო ერთულს გილუპავს, შენ ამბობ—არაფერი,
 ხალხი ბუზივით ირევის, მიშერ-მაშერა ბევრია,
 აჩინდეს ბუნტოჩიავები, მაჩიომა შენიც ძნელია,
 განა კერ გაგვვრეტს ტყვიაი, განა ხარ რეინის გრდემია,
 ვითა სხვა გაუკვრეტავის, ნიკალავ, შენი ფერია.

მეორე დღეს სტუმარ-მასპინძლები მოიყრიდნენ თავს, აწევდ-
 ნენ იმ მეზობლებსაც, რომლებიც მათი მოგვარეები არ იყვნენ,
 ჰირისპატრონებთანაც წავიდოდნენ და ა. შ. დანარჩენი სტუმარ-
 მასპინძლობა მიღიოდა ჩვეულებრივი წესით. მეორე დღესაც აქვე
 დარჩებოდნენ და მესამე დილას, როგორც ვიცით, გაემგზავრებოდ-
 ნენ შინისაკენ. გამართვის დროს უფროსი სტუმარი ქუდმოხდითვე
 დაემადლერებოდა მასხალთ, პატივი რომ სცეს და საქორწილო
 დრო დაუნიშნეს.

წასვლის წინ ქალის პატრონი კიდევ გაუმეორებდა მძახლებს
 საქორწილოდ დანიშნულ დროზე და ხალხს გააგონებდა თავის
 სიტყვებს. რადგანაც თუ ვაკის პატრონი აღრე მოემზადებოდა სა-
 ქორწილოდ და დანიშნულ დროს არ მოუცდიდა, მაშინ ხალხს და-
 იმოწმებდა: მე დრო დაგინიშნეთ და რატომ იმ დროისათვის არ
 მოემზადეთო. ქორწილი რომ ჩაეშალა, გასამართლებელი საბუთი
 ექნებოდა.

ასე დამთავრდებოდა ზლის დაყითხვის წესი.

სტუმარმასპინძლობა ძორზიღვი

დაყითხვისას ქორწილი რა დროისათვისაც დაუნიშნეს, ვაკის
 პატრონი იმ დროისათვის აძზადებდა ლუდს, არაყს და ატყობინებ-
 და ყველგან თავის მოკეთებს — ამა და ამ დღეს ქორწილი გვექ-



ნება და გვეწვეთო. ქორწილის ორი დღით შინ ქალის პატივული ოჯახში გაგზავნიდა „მამყვანთ“ (მამყვანი ეწოდებოდა ზღუდული საყვანად წასულ ორ კაცს). მამყვანი ერთ-ერთი იქნებოდა ვაჟის ძმა-ბიძაშვილი, ან მოგვარე, ერთი კი შეიძლება თავისი სოფლელი :ერჩით და გაეგზავნათ. მამყვანთ ხურჯიში ჩაუწყობდნენ მასან-თოთ (ხუთი ხავიშიანა პატარა ქადა და ხუთი ლერი სანთელი), ქა-ლის პატრონის ოჯახში თუ პატარა ბავშვები იყვნენ, ისათვის კუ-ბატ-ქადისკვრებს, საგძლად პურ-სატანს და არაყოთ და ლუდის საესე ქინთებს, გაატანდნენ ორ საელავს (ცხვარს) და გაისტუმრებ-დნენ. ზლის მოყვანილი უშუალოდ ქალის პატრონის ოჯახში არ მივიღოდნენ; კერ ამ ოჯახის ძმა-ბიძაშვილთან მივიღოდნენ. აქ და-ლუდნენ სასტელს და მერე წავიდოდნენ ქალის პატრონის ოჯახ-ში. მისულებს გამოიგებებოდნენ, ცხენებს და საკლავებს ჩამოარ-თმევდნენ და მშვიდობა-ამბავს ჰკითხავდნენ. ბოლოს შეიპატივებ-დნენ სახლში, დაუძხებდნენ ხუცესს, რომელიც „მოანთებდა“ მი-სულების მოტანილ მასანთოთ, შესანთოებს დააწყობდნენ ტაბლა-ზე, აანთებდნენ ხუთსავე სანთელს. ყველანი ფეხზე ადგებოდნენ, მოიხდიდნენ ქუდებს და ხუცესი „მოახსენებდა“: „ლმერთში ადი-დას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, დიდო კავმატის ჭვარო, გი-ორგი ნალორშენიერო, ჩაულიან-ურჯულოთ სალოცაო. ქაჭე-თის გამბეგრაო. შენს სამოაგრიო, გასამარჯვოდ მოიგმარი ეს სეფე-სანთელი, გარიგებული, შენ შენ მეხვეწურთად, ქალისა — ვაჟის პატრონის სამწყალობნოდ, სახით შენოდ ხთისკარზე შაიტანი, ნუ რას შაანანებ, დალოცვილო, ქალი — ვაჟი აბელიანენი, ადავლა-თიანენი შენის სახელის სადიდებლადა, საქსენებლად“. ამ „მოხ-სენებას“ მოჰყვებოდა ხუცობა და ხუცობაშიაც ახვეწებდნენ ქა-ლისა და ვაჟის პატრონებს. ამ დროს ვინც აქ იყო, ისინიც ქალის და ვაჟის პატრონებს დამწყალობნებდნენ: „გწყალობდასთ კავმატის ჭვარი ქალისა, ვაჟის პატრონს, თავის ბეღი, დავლათ დაგავმარასთ, ნუვის თვალ-გული მაგრივასთ. ქალი-ვაჟ აბედიანს, ადავლათია-ნსა. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებელს, ქუდიანსაცა-დ მანდლიანსაც“.

დამწყალობნების შემდეგ ყველანი დასხდებოდნენ და ვარ-თავდნენ სმას ჩეეულებრივი წესით. მოაპატიუებდნენ მეზობლებს და სახლისკაცებსაც. ქალ-ვაჟს ერთად არ დალეგრძელებდნენ ქო-ჩწილამდინ. აქ თამადა არ იცოდნენ და თავ-თავიანთ ჰკვაზე იტ-უოდნენ ცალკე ქალის სადლეგრძელოს და ცალკე ვაჟისას. დანარ-ჩენი წესი ისეთივე იყო, როგორც აღწერეთ „მემასანახავე“ სტუმ-



რების მოსულაში. სმის გათავებისა და პურის ჭამის შემდეგ გადა-
იპატიუებდნენ მოსულ სტუმრებს. ზალი თუ ამ დროს შინ იყოთ აღმა-
ახალგაზრდები არ წავიდოდნენ, თუ შინ არ იყო, მაშინ შე-
იძლება წასულიყვნენ მოპარიუებთან. ოლონდ წასვლამდენ მაინც
ზალთან იქნებოდნენ თუნდა სამრელოსაც ყოფილიყო. ზალთან
კრეული მუდამ მიღიოდა სამრელოს ახლო, სადაც მესამრელო
დიაცები არ გადმოდიოდნენ, მიქენდათ არაყიანი ყანწი, ან ლუდი-
ანი თასი მოსაკითხად. მასთან ვინმე იქნებოდა შინაური ქალი და
ამ მოსაკითხს ზალს ჩაუსხამდა მალლიდან ერთ-ერთ სამრელოს ნა-
ქონ ჰურპელში. ის იქიდან დაილოცებოდა და დალევდა. ახალგაზ-
რდა თუ „მაწმიდარი“ იყო, მაშინ სამრელოს კარშიაც არ მივიდო-
და და სამრელო ქალს ჩიასაც არ გასცემდა, მაგრამ უმრავლესობა
მაწმიდარი არ იყო, სამრელოსთან ახლოც მიღიოდა და ზალს და
სხვა მესამრელო ქალებსაც ელაპარაკებოდა. ეს მაშინ, როცა ის
ზალთან ცუ მოსული მოსაკითხით, სხვა დროს კი სამრელოს კარ-
ში არავინ მივიდოდა.

სტუმრებს სოფლელები რომ გადაიპატიუებდნენ, ვიცით, რა
წესრითაც გაუმასპინძლდებოდნენ. მეორე დღეს მოიყრიდნენ ისევ
ქალის პატრონის სახლში თავს, მზე რომ მოვიდოდა, დაუძახებდ-
ნენ ხუცესს და დაკლავდნენ მოყვანილ ორივე საკლავს, ერთს კაჯ-
მატის ჯვარისათვის (კალის გათხოვება-თხოვეში კაჯმატის ჯვარს
ხშირად ახსენებდნენ, რადგან ის ითვლებოდა ბედის მიმცემად და
ცხოვრებაში ხელის შემწყობად). „ხუცობა“, „მაჯსენება“ და „კურ-
თხევა“ ცუ ჩვეულებრივი, აქ ახვეწებდნენ ქალ-ვაჟს და მათ
პატრონს. საკლავების დაკვლის შემდეგ დაამწყალობნებდნენ ყვე-
ლანი. საკლავებს გაატყავებდნენ ახალგაზრდები და ტყავ-ხორცს
გადასცემნენ დიასახლისს. დიასახლისი ხორცს იმდენი რაოდენო-
ბით მოხარშევდა, რამდენიც სტუმრებსა და მასპინძლებს ეყოფო-
და, დანარჩენს შეინახავდა.

მეორე დღეს, როცა აქ სმა იყო, ზალი ერთ ქალს გაიყოლებ-
და, სოფელს მოუვლადა და ყველას აწევდა: „მყოლად“ გამამყევი-
თო (მყოლი: მყარი), თუ მყოლებად არ გამამყებით, არც მე წა-
ვალო.

როცა სმას და ჭემას მოათავებდნენ, მასპინძელი სტუმრებს
გაპყებოდა ჭირისპატრონებთან, ახალი მიცვალებულის ტალავარ-
ზე ყველგან მიიტანდნენ „პატივს“ — თუ ჰქონდათ, სამ ადლ უბ-
რალო ფართალს, თუ არა სამ აბაზ თეთრ ფულს. ქმართან ქალი
არ წავიდოდა, ახალი მქვდრებისათვის პატივი რომ არ დაედო. ყვე-

ლაფერი რომ მოთავდებოდა, მოვიდოდნენ ისევ მასპინძლის ცა-
ლში და თან ჭირისპატარონებსაც მოიყოლებდნენ. დაიწყებულების დრო
კიდევ სმას, დალევდნენ შასანდობარს ახალი მიცვალებულებისათ-
ვის. რაც ვის ზეეძლო, აძალებდნენ სტუმრები სასმელს. მეორე
დღესაც ამ აზრით დააღმტებდნენ. ქალი კი ვისაც შევდებოდა, ყვე-
ლას უმეორებდა: ყოველ მიწეზგარეშე უნდა გამომყე, თუ არა,
არ წავალო.

ზევსურებს საერთოდ ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: ქალი ყო-
ველოვის უარობდა გათხოვებას, ვაჟიც ცოლის მოყვანაზე უარს
ამბობდა და თავის აზრს ხშირად გამოსთვევამდა ლექსში: ცოლის
მოყვანა არ მინდა, თავისუფლად სიარული, ცხენი და იარაღი მიყ-
ვარსო და სხვა. მაგალითად,

ჩემო ბებერო ფანდურო, ჯერ კი არ დაგაჩუმება,
ეხლად მაღის უქმები, ლექსებში გაგადურება
ხან კი ქალშეით გატერებ, ხან იქავ დაგადუმება.
ცერად მასზებს დედა, არ ვიცი, რას მემდურება,
ხან იმას მეუბნებოდა, დაეგდი, ნუ სტარტურება.
რაღარ მაყიუნ დიაცას, საქონთ რო ვეღია ენურება;
მე ხო არ მიწიდა დიაცი, თავ-თვალი გუნება!
ხუთ რო მამგვარათ ყალაფნო, წავლლალივ, დაეიშუნება!
მე მაშინ მინდა დიაცი, როსაც წვერს გაეგრძენება,
გაოლ-გამოლ ხალხშია, გასულ ძველ გავიხუმრება,
მე მიყორს ცხენი ნიკორი, უმასავით მემსახურება,
იმასავით კი არა მძულს, ცოლ რო ქმარს ეკაშუნება.

მეორე წუხრასაც ასეთივე სტუმარმასპინძლობა იყო. სტუმ-
რებს პატიუობდნენ სოფლელები და რითაც ვის შეეძლო, პატივს
სცემდნენ.

მესამე დღე რომ გათენდებოდა, მყოლები მოემზადებოდნენ,
შეკაზმავდნენ ციხენებს და საღამო ხანზე გაემგზავრებოდნენ. ზალ-
საც მოამზადებდნენ, ჩააკერინებდნენ ახალ ტალავარს და მოელი
სოფლის ქალები, ზოგიერთი კაცებიც, კარგა შორ მანძილზე გამო-
ცილებდნენ.

თან წასალები არაფერი იცოდნენ, მარტო ერთ ხაეიშიან ქა-
დას გამოაცხობდნენ, მას „საგზაოს“ უწოდებდნენ. ამ საგზაოს წა-
ილებდნენ და ქალის სოფლის ახალუხლიბი და დიაცები (მყოლთ
გარდა) საღამდინაც გაჟევებოდნენ, იქ დაკრიდნენ იმდენ ნაწილად,
რამდენიც აქ ქალი და ბავშვი იყო და კველას ზელზე დაურიგებ-
დნენ. მყოლებს საგზაო ქალის ნაწილი არ ეძლეოდათ. ის ეძლეოდა
იმათ, ვინც ზალი გააცილა და უკანვე ბრუნდებოდა. ზალს ასე,

გააცილებდნენ, ყველანი უსურვებდნენ კარგ მგზავრობას და ბეჭდულითობას ნიერებას, მშვიდობის მგზავრობას უსურვებდნენ ზღვის წამყვან-თაც.

მყოლები, ზალი და მისი „მამყვანი“ ჯერ ყველანი ერთად წამოვიდოდნენ, მერე გზიდან ერთ-ერთი მომყვანთაგანი დაწინაურ-დებოდა და „წინამძღვრად“ წინამძღვარი ეწოდებოდა კაცს, რომელიც წინ მოვიდოდა და მოიტანდა ამბავს: ზალი მოგვ-ყავს და მყოლნიც მოპყვებიანო. წინამძღვარს მასპინძელი კარგად გაუმასპინძლდებოდა, აძალადებდა: დალცე, დალალული ხარ, სას-ტელი მოგიხდებაო. ისიც მოუყვებოდა თავის მგზავრობის ამბებს, როგორ დაუხვდნენ მახალნი და როგორ გამოისტუმრეს, ან ცუდი ვინ რა სოქვა და ან მათ სასარგებლოდ კარგი სიტყვა ვინ დახარ-ჯა. ამის შემდეგ მომავალი საღმოსათვის ყველანი ემზადებოდნენ; ალაგებლნენ მყოლთ დასასხდომ ადგილს, სოფლელთ დასასხდომ ადგილს და სხვ. ეგრეთვე მოიტანდნენ ჯვარიდან სპილენძის თა-სებს, გარეცხავდნენ და დამზადებლნენ ლუდისათვის. ამ სამზადის-ში მასპინძელს ეხმარებოდნენ თავის გვარის ხალხი, რომლებიც ამ დილადანვე აქ იყვნენ. ამ დღეს მოკეთებიც იწყებდნენ მოღე-ნას, მოსულებს ყველანი მიეგებებოდნენ, გამარჯვებას ეტყოდნენ უჟებს. ქალებს კი მშვიდობას. ამბავს ყველას ერთნაირად ჰქითხავ-დნენ, ცხენებს ჩამოართმევდნენ, ხურჭინებს მოხსნიდნენ და ბავ-შვებს გააყვანინებდნენ ბალაზე. მოსულებს ამბის კითხვის შემ-დეგ გამოკეთხავდნენ, თუ რამე ახალი ამბავი იცოდნენ და მერე დაალევინებდნენ. მყოლთ მოსვლამდინ ლუდს ცოტას ხარჯავდნენ, რაის კი სტუმრებიც თავისი მოტანილი ქინოტებიდან ასმევდნენ ხალხს და არც მასპინძელი ზოგავდა. სტუმრებში თუ ერივნენ ახალგაზრდები, ნამეტნავად ამ გვარის დისტულები, იმათაც სამ-ზადისში მონაშილეობას მიაღებინებდნენ და ისე საქმავდნენ, ისე ავალებდნენ ყველაფრის გაეთებას, როგორც თავის მოგვარეებს.

სოფელში აარჩევდნენ ორ კარგ დიასახლისს და ხავიშის გასა-კეთებლად მოიყვანდნენ (ოჯახს თუ შეეძლო, ხავიშს აღუღებდა, თუ სუსტად ცხოვრობდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა, იმ შემთხვე-ვიში ფაფას მოხარშავდნენ). ერთი სიტყვით, რაც კი სტუმრების შესახვედრად საჭირო იყო, ყველაფრის ამზადებდნენ.

აქ რომ ასეთი სამზადისი იყო, მყოლები ამ დროს ცხენების თამაშობით მოდიოდნენ. ცხენები თუ ყველას არ ჰყავდა, უცხე-ნოებს შეისვამდნენ ცხენის გავაზე. ამათთან ერთად მოდიოდა ერთ-ერთი ზღვის მომყვანიც. სასმელი მათ არაფერი ჰქონდათ, თუ ამ



სოფლიდან ვაკის მოკეთე ვინმე მოდიოდა, ის წამოიღებდა და გამოისახებდა გზაზე მყოლებს. საღამო უაშე სოფელს მიუახლოვდებოდნენ, ერთი კაცი კიდევ დაწინაურდებოდა და შეატყობინებდა მექორწილეთ „მასელას“. ორი ან სამი კაცი წამოვიდოდა სოფლიდან, თან გამოჰყვებოდნენ სოფლის ქალები, წამოიღებდნენ გარმონს — „ბუზიკანტს“. კაცები წამოიღებდნენ საწდით ლუდს, ჭურჭლით ან ქინთით არაყს და, როგორც ვოქვით, კარგა შორ მანძილზე შეხვდებოდნენ მექორწილეთ. შემხვედრი ვაჟები ვაჟ მყოლებს ეტყოდნენ: „გამარჯვება, ვაჟებო“, ხოლო ქალებს: „მახველით თქვენაც მშვიდობით!“. კაცები უპასუხებდნენ: „გაგიმარჯოსთ ღმერთმ“, ქალები კი — „გიშველასთ ღმერთმ“. ქალები ზალთან მივიდოდნენ და აკოცებდნენ. ჩვეულება იყო, რომ მყოლები, ვიდრე არ დაღამდებოდა, ოჯახში არ მივიდოდნენ. მყოლად მოსულმა ქალებმა, შემხვედრი ქალების მოტყუილება იცოდნენ. ზალი თუ შორი სოფლიდან იყო, მას ყველანი არ იცნობდნენ, თანაც სიბნელეც იყო. ერთ-ერთ მყოლ ქალის დააყურებდნენ თავდახრილად, ვითომ ის იყო ზალი და მორცხვობდა. მოსულებს მიუთითებდნენ — ეგ არის; თქვენი ზალიო; შემხვედრი ქალებისათვის სავალდებულო იყო, ყველას ზლისათვის ეკოცა, ისინი კი სულ სხვა ქალს ჰყოცნიდნენ. ქალები ცოტათან მოითმენდნენ და მერე გამოუჩენდნენ ნამდვილ ზალს. გაწითლებული, შერცხვენილი ქალები ახლა ნამდვილ ზალს მისცვიდებოდნენ. იყო სიცილი და მხიარულება.

ბოლოს ყველანი ამბავს ჰქითხავდნენ ერთიმეორეს და დაიწყებოდა სმა. კაცები სვამდნენ, ქალები კი მართავდნენ ლექსობას და თუ მთვარიანი ღამე იქნებოდა, თამაშიბასაც. ლუდს და არაყს მყოლებს ყველას დაალევინებდნენ — ქალსაც და კაცსაც. ბოლოს ზალსაც მოუტანდნენ და დაალევინებდნენ. მოსულები ილოცებოდნენ: „მასპინძელ ააშენს ღმერთმ, ბარაქა მისცას, ლხინი, ქორწილ ნუ მაუშალას, დღეს ვაკის ქორწილი აქვა-დ მუდამ ვაკის საქორწილო ამზადებივას. მყოლებო, თქვენაც დაგლოცნასთ, გადღევ-ძელნასთ, დღეს ქალის მყოლნი ხართა, კლოვ ვაკის მყოლნი გქნასთ, (ხევსურები ქალს რომ დიდად არ აფასებდნენ, მისი არც გაჩენა უხაროდათ, არც გათხოვბას სცემდნენ დიდ პატივს, ამიტომ ამბობდნენ: „კლოვ ვაკის მყოლნი გქნასთ ღმერთმათ“). სმას რომ მოათავებდნენ, ყველანი წამოვიდოდნენ ვაკის სახლისაკენ. კაცები ხუმრობა-სიცილით მოდიოდნენ, ქალები კი ლექსობით. ჯერთი ილექსებდა, ორნი-სამნი ბანს ეტყოდნენ და მერე სხვები.

ლექსონბდნენ უფრო სატრაიალო ლექსების, ქალის გათხოვება- თხოვისას. მაგ.: 1

მისრუნებულს გავალექსებ, ორს კვირაეს ნადგომია,
პატრიონი ხყავ შევწევრაი, ბევრას ქალსთან ნაშოლია,
რას რა ბძანებას მაგვიტანს, ჩვენ უჩიტელ სამსონია?
ქალი ხყავის ბლალოჩინსა, სახელ ხქეიან ალონია;
ახლა ბლალოჩინ ქალს მამცემს, გავჭლებ თემის ბატონია.
სიბერებ დამიახლოება, დამიხვავდა საგონია,
ახლა სიშავე მაჟუშებს, ეგიც ჩემი საგონია.
დასალუპავნ ქალაფნი მყონ, არ მამართვეს საპონია.

2

ქალაფთ შეყმოსობად შამლალეს, მთაში გაძოებ ცხეარსაო,
გავხედავ სანადიროთა, გაქრაბაზულთა მთათაო,
გარმაქდა მენადირე, მასრან უცემენ თვალსაო,
ფეჩზე ფოლადის შრაბიძი მაგრა გბანდულს ჯლინსაო.
ვაფერებ ჩემსა ერთგულსა ხოლიგათ თათარისაო.
უჯდების თოფ-არალი შემტყელებულთა მეართაო,
ეგ ჩემეულად უთხარით ხოლიგათ თათარისაო,
არაგი ნუ გეშინინ, არ გამშევებული მთასაო,
შინით არ წაგალალვიებ გამახელას ქალსაო.
კიღევ ვინ მისცემს ურბეთსა ჩემსა მამასა, ძმასაო.

3

ქალაო, შენი საქმარე ჩემსამც საქმარეს შახყარა,
კელთ მისცა იარალები, ლურჯა საფერჯედ მაღვარა,
კარგად თუ ვერ დახვდებოდა, ცოცხალიმც აღარ მამგვარა.

ასეთი ლექსონით და სიცილით მოლიოდნენ ქალები, ვაჟებიც
ხანდახან ფშაურ კილოზე შემღერნებდნენ საცინელ, სახუმარო,
ქურდობის, ნაღირობის და სხვა ლექსებს. მაგ.:

შე ჩემ თაო ბეჩაო, გული არ დაგიდგებაო,
თუშის ლურჯაზე გაღაეჭე, რაკი არ მაგიქდებაო,
არ მამიპარავ ლურჯია, ქორი არ გატყდებაო,
მეზობლებ დაგვრებულან, თინას აღირა ხელებაო.
თუში, თავდაბლა იმბე, ვინ მაგცა ძალის ნებაო,
მაშინ კი ველარ მაქელავ, თუ კადევ გადავშედაო,
თაქლასაკე გაუსომ, თაკი არ მამიკვდებაო.

ვაჟები სოფელში შესვლამდე ცხენებზე ისხდნენ და ასეთი
მღერით მიღიოდნენ, ქალები კი ფეხით მიღიოდნენ. სოფელში რომ
შავიდოდნენ, ყველანი ჩამოვალოდნენ ცხენებიდან, ზოგი ამაყი
ხალგაზრდა კი ცხენდაცხენ მივარდებოდა ვაჟის სახლამდენ. აქ
ხნიერი ქალები მოეგებებოდნენ ზალს, ერთ-ერთი მათგანი გაუძ-



ღვებოდა წინ, პატარა ჯამით ეჭირა ფქვილი, კარებში შემოსულს მა-
რჯვენა ხელის თითებით საძერ თავზე დააყრიდა და იტუთდებოდა
„რმერთო, დალოცვილო, რეულ-საქრისტიანოს გამჩენო, ცაი,
ქვეყანიც შენგან ას გაჩენილი -დ კაცნიც. კაცთავე ცოლქმრობაიც
შენგან ას დაწესებული; შენ უშეელი ემ ჩენს ახალს ზალს. ამ
სახლში შამასულს უდრო-უწესოდა -დ გაწმილებულს ნულარ გამა-
ცონ, ქალიც კარგად ამყოფე, ვაყიც. აალელენ, აამთავრენ, ბედი-
რან-დავლათიანნი ქნენი. ერთუცს შააბერენი. ღმერთო დალოცვი-
ლო, ამ სახლს ნუ გაუცულებ ლხინსა-დ მხიარულებას“. ამ საუბრით
შემოიყვანდა ზალს სამყოფო სახლამდინ. მერე მოაბრუნებდა და სა-
დაც ქალები იყვნენ (ზალთან შემზევდრი და მყოლები), მათთანვე
მოიყვანდა ან ეზოში, ან საძროხეში, ან სხვა რომელიმე კუთხეში,
რომელიც სპეციალურად ამათვების იქნებოდა დალაგებულ-დამზა-
დებული. აქ ქალები ჩართავდნენ კიდევ ლექსობა-თამაშობას.

ამ ღროს კაც მყოლებს ვაჟის პატრონის მთელი გვარის ხალ-
ხი და მისი ახლობელ-მოკეთები მოეგებებოდნენ, ცხენებს ჩამო-
ართვამდენ და გამარჯვებას ეტყოდნენ. აალგაზრდები ცხენებს
უნაგირებს მოხსნილნენ. სტუმრების უნაგირების, ნაბდების და სხვა
ზარგის შესანარად ცალკე სახლი იქნებოდა მომზადებული და კვე-
ლაფერს იქ შეზიდავდნენ. მერე სტუმრების ცხენებს მოუვლიდნენ.

ქალის მყოლნა ყველანი წინგარდაშე აკიდოლნენ (წინგარდა:
დაბალი სართულის ბანი) და იტყოდნენ: „სალხინომც ნუ მაგეშ-
ლებრსთ“. ბანზე მათ დახვდებოდა მასპინძელი ხალხი ლუდით და
არაყით. ასხამდნენ და ასმევდნენ სტუმრებს. ერთ ხნიერ დიაცს
ეჭირა ხელში ლუდიან ბაკანი. ლუდში ყინული ერბო იყო ჩაყრი-
ლი და ამ ბაკიდან სტუმრებს ალევინებდა. ხალხი ამ ღროს ფეხ-
ზე იდგა და „საყენოს“ სვამდა (საყენოს უწოდებდნენ ამ ერბოიან
ლუდს). როცა ვისმეს ალევინებდა, ქალი თითებით მიუყრიდა ერ-
ბოს პირთან. ზოგი ერბოს და ლუდს ერთად სვამდა, ზოგიერთები
კი ერიდებოდნენ. ლუდი როცა დანაკლულდებოდა, ხელმეორედ
აესებდნენ ბაკანს. ერბო კი ბლომად იყო თავიდანვე ჩაყრილი, რად-
გან სირცხვილად მიაჩნდათ საყენოში ერბოს შემოკლება. აქ ერ-
ბო იმდენი უნდა ყოფილიყო, რომ საყენოს სმის შემდეგ ბაკან-
ში კიდევ ბევრი დარჩენილოყო (ფშავლები საერთო თასიდან გვარ-
ში სვამდნენ ლუდს. ვინც დალევდა, ამ თასში ვერცხლის ფულს
ჩაყრიდა. ბოლოს ეს ფული რჩებოდა ამ სალოცავის სასაჩვებლოდ.
ამას ფშავლები უწოდებდნენ „საყენოს“, ხევსურები კი საქნარ-
ში და ქორწილში ასმევდნენ საყენო ლუდს. ფშავლები ერბოს არ



ჩაყრილენ და არც ატარებდნენ თასს, თასი ერთ ადგილზე იყვნებოდათ
თითობით მიეიღოდნენ, დაილოცებოდნენ, წამოუწევებოდნენ და ისე
დალევდნენ). ეს დიაკი საყენდან ლუდს სტუმრებს ძალით ასმევ-
და. საქართვის მიცვალებულებისათვის ლოცავდნენ და ისე აძალებ-
დნენ საყენოს ლუდს, ქორწილში კი სადღეგრძელოებს იგონებდა
ეს დიაკი. მოიგონებდა — აპა ამა და ამ კაცის სადღეგრძელო კი-
დევ დალიეო და ასე თითოს რამდენიმეჯერ დაალევინებდა.

ბოლოს ბანზე სამა მოთავდებოდა და შეიძატიებდნენ სტუმ-
რებს მათთვის განკუთვნილ ადგილზე. შესვლისას ყველა იტყოდა:
„ღმერთიშე იგაშენებსთ, მასპინძელო, სალხინოიმც ნუ მაგეშე-
ბისთ“. „გიშეველასთ ღმერთმ, მაგვიხვეით მშეიღობით, მშეიღობით
თქვენ მასვლა“ — იქნებოდა პასუხი და სტუმრებს მიწვევდნენ
სკამებზე (სკამები იყო შემაღლებულზე უბრალოდ დაწყობილი
ხეები). სტუმრები მასპინძელ უფროს კაცებს სთავაზობდნენ საუ-
ფროსოში დაგდომის, ისინი კიდევ სტუმრებს, მაგრავ წესის მიხედ-
ვით ერთ-ერთი უფროსი მასპინძელი კაცი უნდა დამჭირიყო სულ
სათავეში საუფროსო სკამზე, მერე სტუმრები დასხდებოდნენ. მას-
პინძლის მხრიდან თუ კინშე უფროსი კაცები იყვნენ კიდევ, სტუმ-
რების შუადაშუა მოთავსდებოდნენ. აქ სტუმრებთან იყვნენ უფრო
შინაურები, თორებ ისე სოფლის ხალხი ცალკე იყო. მყოლთ ცალ-
კე ჰქონდათ ადგილი. საერთოდ ქორწილში ხალხი სამად იყო გა-
ყოფილი: ცალკე ადგილი ჰქონდა მყოლთ, ცალკე ამ სოფლის
ხალხს — დიდია და პატარას, ქალები კი სტუმარიც. სოფლელიც
უა ამ გვარისაც ყველანი ზალთან იყვნენ. ზოგიერთი ადგილობრი-
ვი ახალგაზრდაც ამათთან მხიარულებაში ღებულობდა მონაწილე-
ობას. მხიარულობდნენ, ლექსობდნენ და თამაშობდნენ. ზალი ამ
დროს სულ ფეხზე იდგა. ლექსობდნენ უფრო მხიარულ ლექსებს;
მაგ:

—1—

მ ზაფხულ ჭუთას გიარე, ცხენა ჩავდეზე მილოსა,
იქ ჩაედ, გადაეცევი ხეტათ მინდისათ ძილოსა,
აბეჩივ, დედის გაზღილო, ჭუთელთ ქალებში ლხინობსა,
კარგას ქალასთან ჭოლილხარ, სუყველა იმას კვირობსა,
კიდევ სად უაოლ ძაუგას, ცხენას ჩავზდეზავ მილოსა,
კიდევ სად გადაეცევევი ხეტათ ქალასა ძილოსა,
მე ქაურ ხო არა ვარ, კლგვირ ეშმაის გრილოსა.

—2—

მტრიანია გასპარარი, თოთხე უსხენ ღავიანი,
არხორ რა საცხოვრისია, ეშმაკიან-ქავიანი,

ვერ იცნოვრებ, გიგიტაო, კოჭლა-ი ხარ, ლაჯიანი,
 ავებ ჯვრი მაგივრას, შაიტანე საჩივარი.
 თუ არ მაგდის, გიგიტაო, ჭირ მამწამე სატკიფარი.

ქალ-ზალი და ახალუხალი როცა ასე მხიარულობდა, ვაშინ
 მყოლთანაც და სოფლის ჯარჩედაც ვაეს პატრონების მოვგარეე-
 ბი ფეხზე იღგნენ და ხელს ლუდს და ორაყს ასმევდნენ. ახალუხა-
 ლშიც მიქვეონდათ სასმელი. მოსულ მოკეთეებს ყველას ჰქონდა
 თავ-თავის ქინთში ორაყი, ფეხზე იღგნენ და ალევეინებდნენ ხალხს.

ამ დროს ნეფე საფმე მეზობლის სახლში იყა და ორი-სამი
 სხვა ახალგაზრდა ახლდა. შეიძლება იქ ქალებიც ყოფილიყვნენ
 და სმასთან ერთად ლექსობით და სიცილ-ხუჭრობით ერთობოდნენ. ნეფე და მისი მანანაგები აქ მანამდინ ისხდნენ, სანამ ნეფიონნი არ
 მოვიდოდნენ და მათ ქორწილში არ წაიყვანდნენ გარკვეული წესით.
 ზალთან მოდიოდნენ იღგილობრივი ახალგაზრდები და მოქვეონდათ
 თასები ლუდით ზალის მასაკითხად. ზალი, როგორც ვიცით, პირ-
 ველად მათვე დაალევისებდა, მერე თვითონ დაილოცავდა, ცოტას
 დალევდა და სხვას დაალევინებდა თავის თასიდან. მის მყოლ ახალ-
 გაზრდებსაც მიქვნდათ მოსაკითხი თასები ზალთან. ეკითხებოდ-
 ნენ — როგორ მოგეწოხა ეს იღგილი, ეს ხალხი; ხომ არ შეწუხდი,
 ხომ არ მოიწყინეთ? ზალი მათთან გულაზდილობას იჩენდა და ეუბ-
 ნებოდა: მე აქ ეხლავე შეუბდები და მთელ თავის სიცოცხლეში აქ
 რა გამაძლებინებსო. ისინი დასცინოდნენ: ქალის სათქმელი ეგ არის,
 მაგრამ ბოლოს ისე მიეჩვევი აქ ცხოვრებას, რომ იქ წამოსვლა
 მგზავრადაც კი დაგუზადებათ.

ასეთი სმით კარგა ხენი გავიდოდა და ბოლოს ერთ-ერთი მყოლ-
 თაგანი იტყოდა: „აბა, ნეფის მოყვანის დროი ას, ეეხლად წავიდა-
 თა, სიძე მავრყვანათ, ჩვენ რო აქ ვიყვნათა, ვსვათა -დ ვჭამია, ის
 კაციც ცოდოი ას, სხვაკან რო იჯდას“. სხვებიც დათანხმდებოდნენ
 ნეფის მოყვანაზე, ინტერესნენ ერთს მყოლთაგანს და ერთს ამ
 სოფლელს ნეფიონად და გაგზავნილნენ ნეფის მოსაყვანად. ისინი
 წაიღებდნენ ლუდს და ორაყს და მივიდოდნენ იმ სახლში, სადაც სიძე
 იყო. მისულებს ჩვეულებრივად მოეგვებებოდნენ, მყოლს გამარ-
 ჯვებას ეტყოდნენ და მმბავსაც ჰყითხავდნენ. მერე ყველანი დასხ-
 დებოდნენ და დალევდნენ ლუდ-არაყს. ამ დროს სადაც მყოლნი
 ისედებოდნენ, აქ დალიდნენ საუფროსო სკამს, დაღგამდნენ ფე-
 ხიან ტაბლის და აღილობრივი ქალები შოიტანდნენ ყველანი თი-
 თო ბოთლ საუკეთესო არაყს და თითო კვერს, მძიევებით და ლილე-
 ბით მორთულს. კვერი იყო პატარა, თხელი და მრგვალი პური. ყვე-



ლა ქალი ცდილობდა სხვაზე უკეთესად მოერთო ის და სხვაზე უკეთესი არაყი მოეტანა. თან თითო ფექ სანთელსაც მოაყოლეშიდან ენერგეტიკული და გადამდებრი ტაბლაზე, არაყიან ბოთლებსაც დადგამდნენ და ზედ სანთელს დააკრავდნენ. ამას ეწოდებოდა „ნებისმიმონთ ტაბლა“. უკეთესი რომ მოთავდებოდა, მოვიდოდნენ ნებისმიმონთ და მოიკვანდნენ ნეფეს. ნეფისათვის ქალის მყოლებმა შარი და ცემა იცოდნენ. იმვიათად გადატჩიბოდა, რომ მისთვის შუღლლად არ გაეხადათ, რადგან ხევსურეთში კაცი მამაცობით და შუღლით ფასდებოდა და სიძის გამოცდა უნდოდათ. ზოგი ახალგაზრდა ქალს იქვე ეტყოდა, როცა ის თავის მყოლში ეპატიუებოდა: შენ ქორწილში ნუ წამიყენ, თოჯე შენს საქმარეს მაგრა ვეკემ და შენ გეწყინებაო. ასეთი ამბავი ქალის სწორფრებმა უფრო იცოდნენ. ქალი ეტყოდა: „ოლონდ შენ წამარედი, იმთვენ დახვარი, რამთვენიც აღარ ჩაშედის“. ზანდახან ქალი თავის სწორფრეს ჩუმად დაავალებდა: „შენ ჩემს ქორწილში ჩემს საქმარეს შამახვარი, განაცადი, რაის გულის კაცი. ის თუ მამაც ვერ ას, მე იმას არ წაუკლ ისიც სადიაცეი -დ მიაც დიაცი, ერთად ვერ ვიცხოვრებთ. ვაშკაც ისეთ უნდა იყოს, რო პირისასაც ცეცხლს ლალევდასა -დ თვალთაც ცეცხლს ასრულებდას. თუ არა, ბექავა რა ქალის წარალად ლირს, რო სწორი ვერ უხვდებოდას“. ამიტომ სიძეს მუდამ ხიფათი ელოდა, ან „ღარილით“ (მიპარეით) ვინმე შემოპკრავდა. ან პირდაპირ იუტეხდა შარს და გაუხდიდა შუღლლად. ამიტომ ნეფიონნი ერთი წინ დაუდგებოდა, მეორე უკან გაპყვებოდა და ისე შემოიყვანდნენ ნეფის ტაბლასთან. ჩეუბში მაშინვე ნეფეს მიეჭველებოდნენ ქალის მყოლი ნეფიონნიც და ადგილობრივნიც. ნეფისათვის შარი ვისმე რომ აეტეხა, ისინი მუდამ ნეფეს ექმაგებოდნენ და ხელჩართულ შუღლშიაც მასთან ერთად ჩეუბობდნენ, თუნდაც ქალის მყოლი ნეფიონნის ძმა ყოფილიყო სიძესთან მაშუღლარი. ნეფეს თუ შემოვლაში არავინ შემოპკრა სილა და ღაჯია, როცა დასხელებოდნენ, მაშინ მაინც იუტეხდნენ შარს. დაიწყებდნენ საწყენა სიტყვებით საუბარს. თუ სიძე არ აცყვებოდა, მაშინ მყოლი ახალგაზრდები სასენო ლექსების ფშაურ კილოზე მღერას დაიწყებდნენ. ლექსები იქნებოდა სიძის გვარისათვის საწყენად გამოთქმული, რომლებსაც სხვა ღროს არავინ ილექსებდა, თუ შუღლში გამოსაწვევად არა. მაგალითად:

უთხარით ერავნელებსა, გზა ხევეთინ ჭალასო.

ჩოდეს თშიოსთანა—ნაშილი გვინდა ტყისაო.

წინწინ აღუს ეჩივლა, მაგ როტვინას შვილსაო,

რა გველავთ, დედას გიტირებთ, გამავლა გინდათ გზისაო. ჭორებს მაგიდით შეშასა, პატრონს გაგიგებთ ძირსაო, კლიის ძირში შატოლებულნო შექ გვიატრებისთ შისაო. ქოჭი დაზღვენით ბერდასა, მაგ მინდაის შვილსაო. შიშველზე არცად მიიღას, სქლად დააკეცეთ ძირსაო, ბეთან დაზიდეთ საფქავი, ძალი აკსენეთ ხთისაო.

ასეთ სასენო ლექსებს შეიძლება მოუთმენდნენ მანამდინ, სანამ ნეფიონთ ტაბლას იხუცებდა ხუცესი, ბოლოს კი აუცილებლივ შულლი მოხდებოდა. ნეფიონნი რომ ტაბლასთან მოვიდოდნენ, მომავლებს ყველა გზას უგმობდა, წინ მიმავალი ნეფიონი ყველას მკვირცხლად უგვიროდა: „გზა!“ და ხალხიც გზას უთმობდა. ხალხი შემოსვლაზე ეტყოდა: „მაგვიხეეთ მშვიდობით, ნეფიონნო, მშვიდობით თქვენ ჰასვლა“. „მშვიდობით დაგვჩვდითა, კარგად“ — უპასუხებდნენ ისინიც და დასხდებოდნენ მათვის დაცლილ სკამზე ნეფიონთ ტაბლასთან. ზალს აქ არ მოიყვანდნენ, ის ისევ ქაჯებთან იყო. ნეფის ტაბლის ნახვით დაინტერესებული და მომავალი შულლით შეშფოთებული ქალ-დიაცები ახლო მივიდოდნენ და იქიდან იყურებოდნენ. ამ დროს ხუცესი დაგებოდა ნეფიონთ ტაბლასთან და იხუცებდა. ჯერ მოახსენებდა, ზედ ხუცობას მოაბამდა და მერე კურთხევას (კურთხევა მარტო ბუდე ხევსურეთში ცოდნენ). ხუცობა ჩვეულებრივი იყო: ლმერთს ახვეწებდნენ ქალს და ვაჟს, აბედიანენ, ადავლათიანენიო და სხვა. ხუცობის დამთავრების შემდეგ ყველა აქ მყოფი ხალხი დაამწყალობნებდა ქალ-ვაჟს და მათ პატრონებს: „გწყალობდასთ კვესურეთულნ ანგელოზი ქალისა, ვაჟის პატრონს, მშვიდობით გამოყონასთ, სიხარულა გაგიჯადასთ, მუდამ ლხინი, ქორწილი ნუ მაგიშალასთ. მყოლებო, თქვენ გწყალობდასთ, დღეს თუ ქალის მყოლნი ხართ, ხვალ ვაჟის მყოლნი გქნნასთ ლმერთმ. ნეფ-დედუფალნი აბედიანნას, ადავლათიანნას. კურით მაყურებელს ყველას გწყალობდასთ, ლხინშია, ქორწილში გავლინესთ მუდამ“.

დამწყალობნების შემდეგ ხუცესი თავის ადგილზე დაჯდებოდა. ერთ-ერთი ნეფიონი არაყიან ბოთლებს მოხსნიდა და ყველას გემოს გაუსინჯვდა, რომელი არაყიც უფრო ცხარე იყო, ცალკე გადადგამდა, უფრო მდარე არაყს ცალკე. წესის მიხედვით, ერთი არჩეული ბოთლი უნდა მიეკა ცოლისმისათვის. სხვა ახალგაზრდებს ზოგს მისცემდნენ ღავრელებულ კვერს და ზოგს კიდევ არაყიან ბოთლს. მყოლები ყველანი ახლო იდგნენ ნეფის ტაბლასთან და ყვიროდნენ: მეც მომეცით არაყიანი ბოთლი, თორემ ამ ტაბლას სულ დაგილეწო. ზოგი ძალით მოდიოდა და თვითონ იტაცებ-



და არაუს. კარგი არაყი რომელიც იყო, ნეფიონი დაიძახებდა — ქართველები კი ისი ბოთლიათ, ქალები ცენობდნენ და ეტყოდნენ, ვისიც იყო. ბოთლის ცოლისძმას მისცემდნენ, რომელიც მისი მომტანის საღლეგრძელოს თვითონაც დალევდა და სხვებსაც დაალევინებდა.

ასე იმართებოდა ბრძოლა. ნეფიონი იცავდნენ თავის ტაბლას. ქალის მყოლნი კი იტაცებდნენ ბოთლებსა და ჭრელ კვერებს. ამ ბრძოლაში ხშირად ხდებოდა შუღლი, ზოგი მყოლი განვებ დაიყინებდა ტაცებას შუღლის გამოსაწვევად.

ნეფიონი ხუცობის ღროსაც ქუდმოხდილი ისხდნენ, სხვა ხალხი კი ფეხსხე იდგა, ხოლო ნეფე მუდამ მზად იყო ჩინუბისათვის. თუ იჩინუბებდნენ, ხანგალს ადვილად არ ხმარობდნენ. ჩინუბობდნენ ლაჯიებით და ასისხლიანებდნენ ერთიმეორებს. ხანჯლების შეხსნა ქორწილის დასაწყისშვევ იცოდნენ და ერთგან შენახვა. თუნდაც წელზე ვისმეს პერსონადა, ხანგალს მაინც არ იხმარებდნენ სიძე-ცოლეულები ამ ჩინუბში.

ნეფიონი ცოტახანს დასხდებოდნენ აქ, ქალის მყოლნი ნახევრად ხუმრობის კილოთი ისევ დაიკანებდნენ: ნეფიონთ წასვლის დრო არის, თქვენ აქ საქმე აღიარ გაქვთ და წადითთ. ნეფიონთაც აქ ბევრი მზე არ სთხებოდა და წავიდოდნენ სამიცენი ერთად. ყველაზე მეტად სახიფათო სიძისათვის გამოსვლის ღროს იყო. როგორც იქნებოდა, გავიდოდნენ და წავიდოდნენ ისევ ძველ ადგილზე. მეზობლის სახლში. ნეფიონი თან წაიღებდნენ ლუდ-არაყს, ქალები და ახალგაზრდა ვაჟები, ვინც მოინდომებდა, მათთან წავიდოდნენ. ქოჩწილში კი ხალხი ისევ დარიგდებოდა: ქალ-ზლები თავის ადგილზე წავიდოდნენ, სოფლის ხალხიც თავის ადგილზე, მხოლოდ მყოლნი დარჩებოდნენ აქ. მათ აქვე დაუდგამდნენ ტაბლას, პურს და ხავიშს ჩეეულებრივი წესებით.

ნეფიონთ ღროს თუ შუღლი მოხდებოდა, ხანდახან ისე რთულდებოდა, რომ მთელი ღამის განმავლობაში შუღლი იყო. ხანდახან საქმე იქამდინ მიეიღოდა, რომ მყოლები მოითხოვდნენ: ჩვენი ქალი გამოიყვანეთ, უნდა წავიდეთ და ისევ თან წავიყუანოთ. ვაჟის პატრონები მყოლებს ეხმარებოდნენ შუღლში. როცა საქმე გამწვავდებოდა და მყოლები ქალის წაყვანას მოითხოვდნენ, ვაჟის საგვარეულო ეხვეწებოდა მყოლთ: ეხლა წასვლაზე საუბარს თავი დაანებეთ, უაქარს ნუ გვიშლით, ნაფიონით რაც გაწყინესთ, ჩვენ სამაგიეროს გადავუხდითოთ. დამთვრალი მყოლები ხანდახან იქამდინ დარეინებდნენ, რომ მასპინძელი საკლავს მოიყვანდა და მშ საკლავით შეეხვეწებოდა — ნუ წახვალთო. საკლავის მოყვანისა შერ-

ცხვებოდათ და დაწერნარდებოდნენ, საკლავსაც ისევ გააშვებინება დნენ. მეორე დილით კი მაშუღლარებს შუაკაცები ადრე შეჭრავებული დნენ. მაშუღლარებისათვისაც სირცხვილი იყო მეორე დღეს შუღლის გამეორება, ამიტომ წინა ლამის ნაწყენობას ცველა თმობდა და ადვილად რიგდებოდნენ. ნეფიონთ ტაბლაზე შუღლი თითქმის სავალდებულოდ მიაჩნდათ, მაგრამ ხანდახან ამ პატარა შუღლს დიღი უბედურება მოჰყვებოდა. მაგალითად, როგორი მცხოვრებმა კობლეთ შიშიამ შვილისათვის წილისა სოფელ დათვისში მცხოვრებ მგელიკა არაბულის და. მგელიკა შუღლის მოყვარული იყო და ნეფიონთ ტაბლაზე თავის დის საქმროს „შუღლად გაუქდა“. შუღლი გაროულდა და ხანჯლებამდინ მივიდა საქმე. თან სანთები გაქრა და სიბნელეში აღარ იცოდნენ, ვინ ვის სცემდა. მგელიკას შიშველი ხანჯალი ეჭირა და სიბნელეში არავის არ არიდებდა. სანთები რომ აანთეს, დაჭრილების გარდა ერთი მოკლულიც აღმოჩნდა — მგელიკას ხანჯალი მისი დის სამამთილო შიშიას ღვიძლში მოხვედროდა, ზურგში გასვლოდა და ხმამოულებლად იქვე დაელია სული. მოსისხლეობაში ცოლ-ქმრობა აღარ შეიძლებოდა, ახალზალი თავის მყოლთან ერთად ღამით გაიპარა. ჩაიშალა ქორწილი და შვილის საქორწილო სასმელ-საჭმელი მძმის სასამარხედ იქცა. ჩავარდა მოსისხლეობა და მიგელიკა დიღხნან იმაღლებოდა. ბოლოს მოკლულის ძმისწულმა ეჭირი აიღო, რომ მგელიკა ღულის ჭალაზე ამა და ამ დღეს გაივლადა. ჩაუსაფრდა გზაში და ტყვით მოკლა. ამის შემდეგაც მათ შორის დიდი მტრობა იყო. ბოლოს „სისხლის სისხლში გაბრიოთ“ მოახდინეს შერიგება. ქალი სხვა ქმრზე გათხოვდა, ორი კაცი კი უბრალოდ დაიღუპა სულ უბრალო ჩხუბის გულისათვის. ამის გარდა, სხვა უბედურებაც ხშირად ხდებოდა — ლაჟრა, დასახიჩრება და ხანგრძლივი მტერობა. ხანდახანს მშვიდობიანდაც ჩატარებოდა ქორწილი, მაგრამ მასპინძელი და სხვა ხალხიც ამითი არ იყო კმაყოფილი — ქორწილში იმდენი სმა არ იყო, რომ შუღლი მომხდარიყო. შუღლი როცა მოხდებოდა, „კაი ქორწილი იყო და ხნაც კარგი გამოილო“ — იტყოდნენ.

მეორე დღესაც ხდებოდა შუღლი. მასპინძელი სტუმრებს იცავდა, მაგრამ ხშირად სტუმრები თვითონ იყვნენ დამნაშავე. მასპინძელი მაინც მათ ეხმარებოდა, მაგრამ თავგამოდებით არა. თუ სტუმარი დამნაშავე არ იქნებოდა და ისე ვინმე რამეს აწყენინებდა, მაშინ კი თითქმის საკვდილსაც არ მოერიდებოდა სტუმრის დასაცავად. ნეფიონთ ტაბლის გარდა უფრო შუღლობდნენ თამაშო-



ზაში და ლექსობაში. თუ ცინმემ სხვებზე კარგად ითამაშეს შეიძლება მოშარებოდნენ მას. უფრო კი სასენო ლექსის ლექსობაზე იყო შულლი. შეიძლება მყოლებს, ან ადგილობრივებს ელექსა ისეთი ლექსი, რომ მეორე მხარის ან ქალი ყოფილიყო ცუდად გალექსიბული, ან ახალგაზრდა ვაჟი ვინმე. ამას არ მოითმენ-დნენ და მოპყვებოდა შულლი. ლექსი თუნდა ქალს ელექსა, მეორე მხარის ახალგაზრდები იმ ახალგაზრდებს მოეშარებოდნენ, ვისიც იყო ეს ქალი, თვითონ ქალს კი არაფერს ეტყოდნენ. ლექსობდნენ ხშირ შემთხვევაში ასეთ ლექსებს შულლის გამოსაწვევად:

—1—

ლექსია ახალ-ნათქევში, შამაირნა გზანიო,
შამაირნა კორშანი, გადაიარნა მთანიო,
ძველ ათერიით გაითქვა თათარეთ აშექალიო,
ბერდედა შამაუმცევავ, შუქია ღლლელ ქალიო,
საძროხეს გადაეთარა, გამაეჭარა კარიო,
თაოდ ზედ აფრინდებოდა, როგორც შიშაქი ცხვარიო.
უთხარით ტრასიერნშვილსა, მზეზე ნუ დახოლ მკვდარიო,
ვერცად ჩაიდგვ საგდალი, ვერცა ჩაიცვი ჯლანიო,
სადარაისა იქნების, ვერას იქმოდეს სხვანიო,
ჩაედგა აშექალასა კალ-ჩბოიან ჯამიო,
სადაც რო მაგშვიდებოდა, ამაიტანე, ჭამიო.

—2—

უთხარით გაგათ მზექალსა, ჭალაიონის ნათქვამი,
ვინაც ვერ გიცნობს, მზექალო, რაქე ღვნინიარ კა ქალი,
მღდლის სახლის კარზე გეტარა იორლა ცხენი საღარი,
ცხენის მცედრობით ვერა გვიძ, ღონდარგა ქისტის ჩაფარი,
სამიმბილაში მაგართვა, სამ მანათიან არღანი,
შენც შაგენახა ბოთლაი, არაყიან, ცამცამი.
კიდევ რა გაჟუთიდი, იცნი ლამაზა ქარდვანი.

—3—

რცსის მათუშეას უთხარით, მე რო გიბარე, რა ხქენი?
მაშინ კა ვიყავ, ქალაო, შენ რო არაყით მათვერი,
გზის ძირში მინა დალმალი, ზედ დაგეფარა მნიდელი,
ვანჭახიანში გეძივა ჩემის ლურჯის ნაფრენი.
შენ ფერებ მათუშეაები ქალაქში დაღის რამთვენი.

უფრო ქალებმა იცოდნენ ასეთი ლექსების ლექსობა, სხვაც უპასუხებდა და გამოვიდოდა შულლი. ქორწილი ხანდახან ჩხუბით იწყებოდა და ჩხუბითვე მთავრდებოდა. ქალის მაყრებს ამაყობას ვაჟის გვარეულები თუ მოუთმენდნენ, სოფლელები აღარ მოუთ-მენდნენ.

ქორწილის ღამეს თუ ძალიან დიდი შუღლი არ იყო, მაშინ /
ქორწილის წესების შესრულების შემდეგ, როცა დაითვრებოდნენ
და დაითლებოდნენ, ადგილობრივები გაიპატიუებოდნენ სტუმრებს
თავ-თავიანთ სახლში, გაუმასპანძლდებოდნენ და იქვე აძინებდნენ.
უფრო ხშირად კი ღამე თეთრად გათენდებოდა სმაში, ან შუღლში;
ახალუხალი კი მაინც ზალთან იყო და იქ ატარებდნენ დროს მხი-
არულებაში.

შეორე დღეს, თუ ღამით შუღლი იყო, დილით ადრე ადგი-
ბოდნენ უფროსი კაცები და შუაცაცებად წავიდოდნენ. როგორც
შერჩების წესი იყო, ისე შეარიგებდნენ ნაშუღლარებს. პატივდა-
სადებს პატივს დასდებდნენ. თასმისაცემს თასს მისცემდნენ და
სხვა. ბოლოს ყველა ხალხი თავს მოიყრიდა ქორწილში. საუბარი
იყო წინა ღამის ამბებზე, სიმთვრალეზე, შუღლზე, ზოგიერთების
ამაყობაზე და სხვა. ბოლოს დაწყნარდებოდნენ და დაწყებდნენ
სმას.

ამ სოფლის მცხოვრებთ ქორწილისათვის ყველას ჰქონდა არა-
უი გამზადებული. ზოგს მარტოს ჰქონდა გამოსდილი და მარტო
ერთი ოჯახი დაპატიუებდა მყოლთ, ზოგს კი ორ-სამ კომლს ჰქონდა
ერთად და ისინი ერთად გაუმასპინძლდებოდნენ სტუმრებს. მეორე-
დღეს დილიდანე დაიწყებოდა სოფელში წევა; ერთი ოჯახდან
მეორეში აწევდნენ, მეორიდან მესამეში და ასე შემდეგ. ვინც და-
პატიუებდა, ის სულ შემოუვლიდა სოფელს და სადაც ვინ გასულ-
გამოსული იყო, ყველას წამოიყვანდა, შინ მოუყვანელს არ გას-
ტრებდა არც ქალს და არც კაცს მყოლთაგანს, მასპინძელსაც აქ
მოიყვანდა და თოთო-ორთლა თავის სოფელელსაც გამოურევდა.
ვინც დაპატიუებდა, მარტო იქნებოდა თუ რამდენიმე, ყველანი ცდი-
ლობდნენ კარგად გამასპინძლებას სტუმრებისათვის. თუ რამდენიმე
კომლი იყო შეამხანებული, მათი დიასახლისები აწყვით შეაერ-
თებდნენ ფქვილს, ყველს, ხორცს, გააკეთებდნენ გულს და ყვი-
ლანი ერთიმეორის დახმარებით გამოაცხობდნენ ქადისკერებს. შე-
აერთებდნენ ერბოს, გააღნობდნენ ქვაში და ტაბლებზე კიცი-
ლებთან ერთად ჭამებით დაუდგამდნენ.

მყოლთ რო აწევდნენ, სახლში შესვლისას ყველა მათგანი იტ-
ყოდა: „აშენდით, მასპინძელო, სალენინომც ნუ მაგეშლებისთ“. „დაშვენდით, მაგვინვეით მშვიდობით, მშვიდობით ოქვენ მასვ-
ლა, სტუმრებო“, — ეტუდა მასპინძელი და მიწვევდა უფროსო-
ბის მიხედვით სკამზე. სკამზე დასხდომის დროს დიდი ბრძოლა
იმართებოდა: არა შენ წამოდი სათავეში საუფროსო სკამზე და

არა შენაო. როგორც იქნებოდა შეთანხმდებოდნენ და უფროსობის
მიხედვით დასხდებოდნენ. მასპინძელი ჩამოიღებდა კელელზე ჭარბი ინტენსიუმის
რით შეკიდებულ სამფეხა ტაბლას, მიიტანდა, დადგამდა საუფრო-
სო სკამზე მსხდარი სტუმრების წინ და იტყოდა: „ლმერთო, კარ-
გაზ გვიყოფი ეე კეებ სტუმრები, ნუ მაგვიშლი ამეების მშვიდო-
ბით სტუმრობას“. სტუმრები კი იტყოდნენ: „ლმერთო დალოცვი-
ლო, უშველი მასპინძლებს, სახლ უშენი, მიეც ბარაქი, სალჩი-
ნოს სუფრას ნუ მაუშლი“. ამის შემდეგ დაცები დამზადებულ კე-
ცეულებს მისცემდნენ და მასპინძელი კაცები ყველას მმ ტაბლაზე
დააწყობდნენ. მოიტანდნენ არაყით სავსე ჭურჭლებსაც და დად-
გამდნენ ტაბლის გვერდზე. მასპინძელი არაყს გასინჯავდა ყველა
ჭურჭლებში, ბოლოს ერთ-ერთ ჭურჭლს აიღებდა ხელში, დაას-
ხამდა ყანწებში და დაურიგებდა სათავიდან მოყოლებით სტუმ-
რებს და უფროს მასპინძლებსაც მათთან ერთად. არაყის დასხმაზე
და ყანწების ხელში დაკერაზე ყველანი ჭულებს მოიხდიდნენ, ჭუდს
ზოგი თავის მუხლზე ჩამოიცვამდა, ზოგი კი დადებდა ისეთ ად-
გილზე, რომ არ დაკერგვოდა. მასპინძელი ერთ ყანწს თვითონ და-
აღერდა ხელში, მყოლები მმ დროს ყველანი ისხდნენ, მასპინძლე-
ბი და მისი მოგვარეები კი ყველანი იდგნენ ფეხზე, გარდა უფრო-
სებისა. ფეხზე ადგებოდა ის უფროსი მასპინძელი, რომელსაც ეტ-
ყოდნენ: „ადეგი, ე ტაბლასა -დ სასმელს შანდობ უთხარ“. ის ად-
გებოდა ყანწით ხელში და იტყოდა: „ლმერთო, დიდება შენდა,
ლმერთო, მადლი შენდა, ლმერთო, შენგან გაჩენილ-ი ცაი-დ ქვეყა-
ნა. შენგან გაჩენილ-ი ქალის თხოვაი -დ გათხოებაი. ლმერთო, კარგა-
ვიყოფი ეე კეებ სტუმრები. დალოცვილო ლმერთო, დღეს ქა-
ლის მყოლებო არიანა -დ ხეალ ზლის მყოლები ქნენი. ეს სასმელი,
ხთისა კეირაის სადიდებელი ას, ეს ხთისა კვირაის დადებითა, ჩემი
სიტყვეს მაკავებით, ხთის წესით, ღლლის წესით (ხევსურეთში ზოგ-
ნი იტყოდნენ: ღლლის წესით და ზოგი მღდლის წესით. ზოგი—იტყუ-
მსელეთის ნათლით, ზოგი კი ამბობდა: ღლებ-სალამის ნათლით)
ალმ-სალამის ნათლით, ქრისტეს გარიგებით. მანდაურის წესით,
სამართლით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიღიოდას, წესი-
სამართალ იყვას, სულს შანდობა მიუდიოდას, ამ ჩვენს სო-
ფელსა -დ ჩვენების სტუმრების სოფელს რანიც წლეულ წელს და-
აყლდეს, იმათ შაუნდხას ეს ტაბლაიც, სასმელიც, დავსებულ ყან-
წებიც. ცოტაიმც დიდად ეჩვენების, რომშემც წმიდად, ფერუქ-
ცევლად, წაუქცევლად, ეემ სითბოთა სინათლით, შაუნდნას ლმერ-

თმა; ეს სტუმრებ კარგად გვიმყოფას“. ამ სიტყვებს, რომ დაამტავ /
ჩემი და, უცელანი იტყოდნენ: „შაუნდნას ღმერთმ, მააწმარას უშემდებო
პინძლებს ბარაქა მაგრამთ, სალხინო ნუ მაგიშალასთ“. ამ დროს
წამოიძახებდა ვინებ: „შანდობა ხუცესს“. ამას ვინც პირველი
დაძაბახებდა, ყანწი, რომელიც ტაბლის დამლოცვას ეცირა, შანდო-
ბის დამძახებელს ეკუთვნოდა. ის დაილოცავდა და დალევდა, მე-
ორეს აავსებდა და ტაბლის დამლოცვას მისცემდა. ის მეორედ და-
ილოცებოდა: „სტუმრებო, თქვენ თავ დაგვიღლოცას ღმერთმ, თქვენ
ძმენიდობით სტუმროვა ნუ მაგვიშელას ლხინსა, ქორწილში. დღეს
ქალის მყოლნი ხართა, ხვალ ზლის მყოლნი გქნნასთ. შაუნდნას
ალნა აჯმარას ეს ტაბლი, სასმელ კი, ვისადაც შანდობა უთხარით.
შანდილოსნებო, გაგახარნასთ, აეს ნუ რას შაგასწერნასთ კაის
მეტს“. ასე დააბოლოებდა და დალევდა მასპინძელი. მერე სტუმ-
რებიც დაილოცებოდნენ: „მასპინძლებო, ღმერთმ აგაშენნასთ, ბა-
რაქა მაგცასთ, სალხინო-სამშვიდობო სასმელ ნუ მაგიშალასთ. მყო-
ლებო, თქვენაც დაგლოცნასთ, გადღეგელნასთ, კლოვ ზლის მყო-
ლნი გქნნასთ. მანლილოსსხებო, გაგახარნასთ, მზის საფიცრებ გი-
ცოცხლასთ. თქვენ ბარაქა მაგცასთა, იმათ ქვე შაუნდნას, ვისა-
დაც დალლოცეთ“. ასე ყველანი მოაყოლებდნენ და დალევდნენ. სმის რომ მორჩებოდნენ, ხალხი ისევ დალაგდებოდა. დაუწყობდ-
ნენ წინ ფიცრებს და დალოცვილი ტაბლიდან გადაულებდნენ კე-
ცეულებს. ერთ-ერთი მასპინძელი კეცეულებს დასტრიდა „ნაწვრე-
თებად“. მერე აიღებდნენ და თითო ნაწვრეთს ხელში მისცემდნენ
ყველას და ეტყოდნენ: „ახვლიჩეთა პურ, ახვლიჩეთ“. სტუმრები
ჯერ პურს არ შეკამდნენ, ფეხზე მდგომ მასპინძლებს ეტყოდნენ:
„დასხეითა თქვენაც, დასხეით, ჩვენის გულისად რა ფეხზე დგომა
გინდათ“. მასპინძლები დაჭირომაზე უარს იტყოდნენ: „ერთ ფეხზე
მდგომი ჭალაფთაც უნდაო“, თქვენზე უკეთესი ჩვენ ვინ მოგვივა,
რომ თქვენ ფეხზე არ დაგიდგეთო. ბევრი ბრძოლის შემდეგ სტუმ-
რები თავის გვერდზე დაისვამდნენ რამდენიმე უფროს მასპინძელს,
უმცროსები კი მაცნც არ დასხდებოდნენ, ფეხზე იდგნენ სტუმრე-
ბის პატივსაცემად. მასპინძელი, ვინც დაჭირებოდა, სტუმრებს ეტ-
ყოდა: „გეთაყვანებით, ვაჟებო“. „ღმერთს, შენს სალოცავს!“.—
ეტყოდნენ სტუმრები. სტუმრები უფროს მასპინძლებს იმდაც
სოხვედნენ — ქუდები დაიხურეთო, მაგრამ ისინი აღარ გაუგო-
ნებდნენ: ქუდს ღმერთს ვუხდითო, ეტყოდნენ, სტუმრები ხართ,
თქვენთან პურის ჭამაში ღმერთს ვახსენებთ და ქუდს როგორ და-
ვიხურავთო. მერე სტუმრები, ნაწვრეთს წევრს მოსტეხდნენ, დაი-



ვერდნენ მარჯვენა ხელში და იტყოდნენ: „ღმერთო, უშველი ძალა კინძლებს, სახლ აუშენი, ბარაქა შეიც, კარგა უმყოფ ე მასულულითობა მაწეულებაც. უდღეგძელი მყოლებიც. გაახარი, გაალალი დიასახლისებიც, ნუ დაულევ სახლისა კელის ბარაქებს“. ამის შემდეგ დაიწყებლნენ ჭამის. ფეხზე მდგომი მასპინძლები ასმევდნენ არაუს. ზოგი სტუმარი მასპინძელს შეაქცევდა არაუს, შოტანილ ყანწს უკან დაუბრუნებდა და ეტყოდა: „სახლნ ვისამ დაეწვენესაოდ — კილნ ვერ დაეთბნესავ, აჰალე, კაცო, შენაცალ შასვი, ჩვენ მოვრალები ორთა -დ, შენ ფხიზელი, შასვი, შასვი ჩვენს გუნებასად მაედი“. მასპინძელი დათანხმდებოდა: ვინც ყანწი შეაქცია, იმას ადლეგრძელებდა და დალევდა, მერე თვითონ აუცხებდა ყანწს და დაალევინებდა სტუმარს, იმართებოდა ძალდატანებით სმა, ხეესურები სმის დროს ძალიან ცოტას ჭამდნენ, ტაბლა იდგა კი, მაგრამ დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა. უმრავლესობა ფეხზე იდგა. აქვე იმართებოდა ფშაურ კილოზე მღერა. მღეროდნენ ყველანაორ სიმღერებს: საგმირო, სატრფიალო, სახუმარო და სხვ. მაგალითად, ასეთს:

აქითა კვირიწმიდამდინ, კაცო, რამდენ შორია;
საკანთიელო კაცია ჩემ მეზობელი ქორია,
ტრედის საქოცლად შავედით, საფერპედ გვყენდა ჭორია,
გვიშარეს კვირიწმიდლებმა, უარე თორბეს ცოლია.
ჩეენც კვირიწმიდელთ ციხესა კარგა დაურთით ზომია,
მეორეს დილას შეეხენ, შვერში მაზრის ბოლია.
მთხრეს საჩირად მ-ლინ ბეჭინაის შეილნ ორნია.
მე ეგენ არ მიჩირებენ, მაკეთებ ორთ მგონია,
არცარა შორიელნი ორთ, მაგათ დისწულ მყავ ცოლია.

ასეთ სიმღერებს მღეროდა ორი, ან სამი. კაცი; ამ დროს მეორე ჭგუფი სხვა სიმღერას მღეროდა, მესამე და მეოთხე — სხვას. ისე რომ, ვეღარ გააჩჩევდით, ვინ რას მღეროდა, ერთიმეორეს ჯურს არ უგდებდნენ. ამ მღერა-ურიამღლისაგან აღარაფერი ისმოდა, ხმამალლა ყვირილი იყო საჭირო, თორემ ამ ალიაქოთში ერთიმეორეს ვერაფერს აგონებდნენ. ბოლოს ტაბლასაც აუმატებდნენ, ყველანი ფეხზე ადგებოდნენ და ზედამდეგებს ეტყოდნენ: „კელ-ფექი მტერზე მაგავმარასთ შორიელზე, ზედამდეგებო“. მერე ზედამდეგებსაც ჩვეულებრივი წესით დასვამდნენ და მოუტანდნენ ტაბლას. ამათი პურისჭამაც გათავდებოდა. უკანასკნელი ჭურჭელი რომ გამოიცლებოდა, მასპინძელი წამოაპირქვავებდა და იტყოდა: „აი, დაეხარასთ მტერი! ცოტას მთასავ ცოტა ნამ მაზდი-

სავ, იციან“. ხალხი უპასუხებდა: „სახლ აგიშენასთ ღმერთმ, რაქა მაგასთ, ცოტა ნამ აღარ იყვ, ზევრ იყვა-დ ძალიანაც და უკურნება ვრენით: ვანა არ ეტყობის ამ ჩვენს ალიაქოთს“. ბოლოს, ვისაც ყანწები შერჩებოდა ხელთ, გამოცლიდნენ და იტყოდნენ: „მას- პინძლებო, ბარაქა მაგასთ ღმერთმ, სახლებ აგიშენასთ, შავსეი თქვენის გამარჯვებისა. დაიხურეთ ქუდები“. სხვები ეტყოდნენ: „ყან- წი ჩამაიყარი, მემრ დავიხურავთ ქუდებს“. ბოლოს ყანწს ჩა- მოართმევდნენ და ეტყოდნენ: „ღმერთმა გაამას, ალალი ქნას“. „ღმერთმა ოქენ კა მაამას“ — ეტყოდა ისიც და ქუდებსაც დაი- ხურავდნენ. მერე მასპინძელი სთხოვდა, ცოტახანს დამსხდარიყვ- ნენ და ემხიარულათ. ერთ-ერთ ახალგაზრდას ფანდურს მიუწოდნენ და სთხოვდნენ — ესა და ეს ლექსი გვილექსეო, რადგან აქ ხნიერი ხალხი იყო, ამიტომ მელექს ილექსებდა ისეთს ლექსს, რომ ძველი ხალხის ქება ყოფილიყო შიგ.

საღაც მყოლები იყვნენ დაპატიჟებული, უეჭველად ახალზა- ლსაც აქ მორყვანდნენ; მას თან მყოლი ქალებიც ახლდნენ და ად- გილობრივი ქალებიც თავს არ ანებებდნენ. ზალი იქ ვერ გამოჩ- ნდებოდა, საღაც უფროსი კაცები იყვნენ. იგი მათ მუდამ ემალე- ბოდა, კაცები თუ სამყოფოზე იყვნენ, ის საძროხეზე იქნებოდა; ამიტომ იყო, რომ უფროსი კაცები სმის გათავების შემდეგ დიდ- ხანს უღარ დასხდებოდნენ. ისინი რომ შავიღოდნენ, ზალს მერე „გაღმოაკადენდნენ“. ახალუხალი რჩებოდა და იმართებოდა ლხინი. ზალის დაჯდომა შეიძლებოდა თავისუფლად, ოლონდ ფეხზე ადგებო- და მაშინ, თუ ვინმე გარეთ გავიღოდა, ან შემოვიდოდა. ან თუ თამაშობას დაიწყებდნენ, თამაშობის დროსაც ზალი სულ ფეხზე იდგა.

ერთ სახლში რომ მოთავდებოდა სმა და ლხინი, მერე მეორე დაიწყებდა სტუმრების წევას.

ამ სოფელში სტუმრობის დროსაც ხშირად ხდებოდა შუღლი, რადგან მთვრალი ხალხი იყო. მასპინძელი სტუმარს დაიცავდა, თუ მას აქაური ვინმე გააჭავრებდა; თუ სტუმრები ერთიმეორეს გაა- ჭავრებდნენ, მაშინ მასპინძელი არც ერთს მიექომაგებოდა და არც მეორეს.

თუ ვინმე ერთ-ერთ კაცთან მივიდა სოფელში სტუმრად და ამავე სოფელში სხვა ოჯახში ქორწილი იყო, ქორწილის პატრონი სტუმარს დაპატიჟებდა. ამ სტუმრის მასპინძელი ეტყოდა: „იქ რო წემავიდას, ვაი თუ გააჭარას ვინა-დ ხათაბალაში რაში გაეხვითს; ან ამას რა ვინ დახერას, ხო მიაც სიკვდილ მინდ მაშინა-დ არც იმის-

გამჯავრეს გაუშობ უჭრელს“. მაწევარი ეტყოდა: „არავინ ას ამისა გამჯავრე იქ. თუ ეს არას დალლევსა, ტყუილად ვინ გააჯავრებულით მას მცდელობაზე იქნებინ. ეს კაცი რაჭელც შენ სტუმარი ას, ისრავ ჩემ სტუმარ იქნების, ჩემს სახლში რო ვინ გააჯავრას“. ასეთი საუბრის შემდეგ სტუმარს მანც წაიყვანდა და იქ თუ შუღლს ვინმე აუტეხდა, პირველი მასპინძელიც და მეორეც მას მიემხრობოდნენ.

ერთხელ არხოტში ასეთი სტუმარი შემოაკვდათ, რამაც მკვლელს და მასპინძელს შორის დიდი მტერობა გამოიწვია. შუაფაცები რომ დროზე არ მიშველებოდნენ, მასპინძელი მოკლავდა თავის სტუმარის მკვლელს. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა: ერთი ქისტი, სახელად ანძორა, მოუკიდა სტუმრად სოფელ ამღაში მცხოვრებ მარაზძე წიკლაურს, ეს ქისტი მარაზძესი კარგი მეგობარი იყო და შისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთიმეორესთან. მარაზძე არხოტში თვალსაჩინო კაცი იყო და ქისტიც სახელგანთქმული ვაჟავიც. როცა ანძორა მოუკიდა მარაზძეს, ამ დროს სოფელ ახიერში მინდია ოჩიაურს ჰქონია ქორწილი და მარაზძესთან მოსული ქისტი დაპატიჟეს. მოპატიჟეს მარაზძემ უთხრა: „მე უკაცურ კაცი ორი (უკაცური: გვარში რომ ბევრი ხალხი არ ჰყავს), არაად წამავ იქ. ჩემ სტუმარ რო იქ წამავიდასა, გააჯავრას ვინ, ერთ კაცი ორ, ან სიკედილ მინდა ან მაკვლა ჩემის სტუმრის გამჯავრისა, აბა ვინ მყავ მე, ან მე ვინ დამიდგების გვერდია ან ჩემს სტუმარს“. მაწევარმა უთხრა: „ანძორა შენ სტუმარი - ასა, ჩევნთან რო წამავ ჩვენიც სტუმარ იქნების, ამის გაჯავრება ჩვენ სირცხვილ უფრო იქნების, მანამ შენი, იმით რო ჩევნს სახლში იქნების“. მაწევარმა მარაზძეც აწივა, მაგრამ მას დრო არ ჰქონდა და ვერ წავიდა, ანძორა კი წაიყვანა. უცხო სტუმარს ყველანი კარგად შეცვდნენ და პატივისცემით ეცყრობოდნენ. ხალხი როცა დაითრო (ქისტი არაყს არ სვამდა როგორც მაპმადიანი და თავისი რჯულის წინააღმდევ ცოტა ლუდს მაინც სვამდა), ქისტს საჭიდაოდ გადაეკიდა ერთი თავმომწონე ვაჟაცი, ოჩიაურების გვარიდან, სახელად უა. ჭიდაობა არც ქისტების საქმეა და არც ხევსურებისა, მაგრამ ქისტი რომ ძალიან ლამაზი და წარმოსადევი ვაჟაცი იყო და ლასაც თავი მოსწონდა, გალაეციდა — უნდა მეტიდო და გავიგო რა ღონის კაცი ხარო. ქისტი არ ეჭიდებოდა, მაგრამ უა მაინც არ მოეშვა და დაუწყო ცმაცვა. ქისტი გამწარდა, უას ხელი მოავლო, შემოიქნია, შემოჰქრა იქ აგებულ ჭურთს (ჭურთი: წივა, ხევსურებმა კოშკების მსგავსად იცოდნენ მისი აგება), გადაინგრა ქურ-



თის კოშკიც და უაც დაბლა გადავირდა. ამ დროს აქ ბევრი ხაროხოსა იყო, ქალებიც კი იყვნენ და უს ძალიან შეტყევა. რომ წამოდგა, მიშველი ხანჯალი წამოიყოლა და ანძორას ღვიძლში ჩასცა. ამ დროს აქ იყო ანძორას მეგობრის, მარაიზძის, და მზია. ის რომ ხევსუ- რულ ქალურ ხათრიანობის წესებს არ გაეჩერებინა, ან იარალი შერჩმოდა რამე, აქვე მოკლავდა მისი ძმის სტუმრის მკვლელს. უამაც თავისი დანაშაული იგრძნო, დაინახა მარაიზძის და მზია და ძოშორდა იქიდან.

უა ახლო მოვარე იყო იმისი, ვის სახლშიც ანძორა მოკვდა, მაგრამ მასპინძელმა მინდიამაც თოფს მოავლო ხელი უს მოსაკ- ლავად. ანძორა კიდევ ცოცხალი იყო, მარაიზძის და მზია მტი- რალი ნახა, მწარედ ჩაიცინა და უთხრა: ჩემო დაო, მე ტირილი არ მინდა, ახია ჩემთვის, მივენდე და უიარალო მოვეკვლევინე, ძა- რაიზძეს უთხარი: „უიარალო მომკლესო“. ამ დროს ქისტს თურმე ხანჯალი არ ჰქონოდა წელზე. მარაიზძემ რომ გაიგო, მაშინვე აის- ხა თოფ-იარალი და უს დაეძებდა მოსაკლავად. ბოლოს უა ქის- ტებს შეუტიგდა და თავისი მოვარეების დახმარებით სამოცი ძრო- ხა მისცა „თავ-სისხლში“, მარაიზძეს კი „სასტუმრო“ ხუთი ძროხა მისცა.

ასეთი მრავალი მაგალითი იყო სტუმრის დაცვისა; ხშირი იყო სტუმრის გულისათვის ხანჭლით კაცის დაჭრა და სხვა.

მყოლებს თითქმის სოფლის ყველა ოჯახში დაპატიჟებდნენ და პატივს სცემდნენ. იქამდე მივიღოდა საქმე, რომ ძალდატანებით სქმლის სმას ევლარ უძლებდნენ და ზოგს ვის ოჯახში ეძინა და ზოგს ვისაში. მაგრამ ვინც ერთი ოჯახიდან მეორეში გაიპატიჟებ- და, ის ყველას მონახავდა, გააღვიძებდა და მოიყვანდა შინ. ერთი შასპინძლიდან მეორისაკენ რომ მიღიოდნენ, გზადაგზა სულ მღე- როდნენ — მოიგონებდნენ სახუმაროდ ნათქვამ ლექსებს, როცა სიცილის გუნებაზე იყვნენ. მაგალითად:

მე და გიგუს ცხერობაი გოქვ, პარშელმ დაურალეთა,
ქოთანის-ბექტ ამაჟედით, მავაყოლებთ ტყასანებსა,
ჩამაჩინდა კულ-ბარარი, ცხეარი დამთხვა, გრიალებსა.
გიგუმ დაიწყა ტირილი, ქალებს შალგავ თმიანებსა.
ღობანის კელ მავიკარ, — ყმაუვილ მაგაჭევინებსა!
ვაცუნებ ეუბნების, შინ წავიდათ, იარეთა,
თორე მავა კულბარარი, კიდე ღაგვატრიალებსა.
ჩვენ პატრონებ ვირ დახველენ ჩევნებს თავებს რეიანებსა.



მყოლები რომ სოფელში დაჰყავდათ, ნეფეც მათთან ერთად დადიოდა, მას მყოლებთან ახლა უკვე კარგი განწყობილება ჰქონდა და აღარ ეშარებოდნენ, თუ თავიდან შულლს არ შეიყოლებდნენ. მეორე და მესამე დღეს მყოლნი ნეფეს ისე პატივს სცემდნენ, რომ სადაც თვითონ იქნებოდნენ დაპატივებული, სიძესაც მაშინვე იქ მოიკითხავდნენ და მოაყვანინებდნენ. ხანდახან კი იცოდნენ სახუ-მაროდ შემღერება სიძისათვის; მაგალითად:

ჩემს სიძეს ბაქას უთხარით, შეთე არ დაშინასა,
გზაში არცად შეეყარას, არცად ტკიცას, ატირასა.
თან იყოლნას იარალნი, ფარა არცად გაწირასა.
ძოლან ღამით ჩამაველა, დაეშვავა მაშინცა.
ამაგის მალექსებელი, შიბუს მიოლ ხვალ-დილასა,
ჭირვ თუ ვერ დაგაიჩინე, აღარ მიოლ სამს კვირასა.

ხანდახან სიძე სამაგიერო ლექსს ან შემღერნებდა ცოლეულებს, ან ფანდურზე ილექსებდა; მაგალითად:

შაყრილან ერავნელები, რა ჩაგარს პირზე დადგესა,
კარში გასვალ აღარ მავე, ეგრ ცუდად გამიაგესა.
მე თუ კაც კაც არ ვიყავ, გაბურთ ქალ რაად მამცესა,
ქერ ქალი მამცეს ლამაზი, თოფიც ზედ გმისართესა.
შენ კი დაცის გულიად ახილ ფედ სამ თვესა,
შენ ღიას ემლებოდი, სხვან აკეთებდეს საქმესა.
შენ რო შვილი გუავ გაგოა, მაგას კაცის ფერ არ ზძესა,
ძუნძულთ ბეკის ვაჟერებ, კაცმ რომ უყურას სახესა.
გმირს შალვავ წინი უმისასა, თეთრაულთ ციხის ამგესა,
მე ხისა გაგიკეთებდით აგთას კაცის ნაშენსა.
ქალ ჩემდ რო თქვენ არ მაგეცათ, სხვებიც წინავ მზა მყვანდესა,
მყარაულნდეს გზაშია, ბოთლაცს მამიტანდესა,
კეცესურის ხათიები არც თქვენებს ქალებს ღვანდესა.

ქალები და ზალი როცა ახალუხალთან იყვნენ და უფროსები-დან იქ არავინ იყო, ასეთს ლექსებს ილექსებდნენ:

ქაპირობ გაკახებასა, დაწუნებასა ქმრისასა,
ფშავლის ქალობას ვაპირობ, გვერდზე გადაწვენას თმისასა,
შაულლ გუდამაყრელსა, პატრონს ბევრას ცხერისასა.
შამაგილალავთ სიძესა, შამთეორებელსა მთისასა.

ხანდახან თავისი მყოლები ახალზალსაც ულექსებდნენ სახუ-მარო ლექსებს; მაგალითად:

ბექჩანა ბერდედაო, საარხვატოდ გალბიბინდი,
რა კარგუა ქალა იყავ, აეხლად კი გახქითირდი,

ასეთი ამბებით გაივლიდა მეორე დღე და ღამეც, სმით და მხიარულობით. მეორე ღამეს სტუმრები ისევ გაფანტულად იქნებოდნენ — ზოგს სად ეძინა და ზოგს სად. ვინც სიმთვრალეს გადარჩებოდა და ფეხზე იყო, თავს მოიყრიდნენ ნეფის ოჯახში, აქ სოფლის ახალუხელიც შოდიოდა და იმართებოდა ლინინი; ახალუხალს ისეთი ადგილი ექნებოდა არჩეული, სადაც ზლისათვის სახათრო ხნიერი კაცები არ შემოვიდოდნენ და იგი მათთან თავისუფლად იქნებოდა. თუ უფროსი ვინმე იყო, ისინი ცალკე ისხდნენ და სვამდნენ, ბევრი ლხინის და მხიარულობის შემდეგ ზოგები წავიდ-წამოვიდოდნენ, ზოგი ქალ-ვაჟები კი ერთად დაიძინებდნენ. ზალიც ერთ-ერთ ქმრეულთან დაიძინებდა. ნეფესთან კი ვინმე მყილთაგანი, ცოლისდად კუთვნილი ქალი, დაწვებოდა. მესამე დღეს მყოლები წასვლას დააპირებდნენ. წინა დღეს მასპინძელი ერთს ან ორ საკლავს დაკლავდა და ამ ხორცის ტაბლას ერთხელ როდისმე აქამდენ დაუდგამდნენ. ახლაც ამავე ხორცისაგან მოხარული ყაურმით გაუმასპინძლდებოდნენ. მასპინძელი ბევრს სათხოვდა, მაგრამ მყოლები გაემზადებოდნენ წასასვლელად, ცხენებს მოაყვანიებდნენ და გაემგზავრებოდნენ. წასვლისას ჩვეულებრივად „ჯვარს დასწერდნენ“ და გადავიდოდნენ ბანიდან. მასპინძელი გამოაყოლებდა ლუდს, არაყს. აქაც ხშირი იყო შულლი. შეიძლება მყოლს ვინმე ამ აქამდენისა და მასპინძლის ხათრით მოითმინა, ან მყოლმა ვისმე აწყენინა. უფრო მყოლებმა იცოდნენ შენის შენისება და წასვლის დროს მას შემოჰკრავდნენ სილას. ვინც აწყენინებდა. მოხდებოდა ჩხები, მასპინძლებიც ჩაერეოდნენ და რამდენიმე კაცი დასისხლიანდებოდა. ხანდახან კი ძალიან მშვიდობიანად გაემგზავრებოდნენ და პატივისცემაც ბევრი გაპყვებოდათ სოფლელებისაგან მყოლთ. ქალის ძმა ან ბიძაშვილი ვაჟის პატრონს ეტყოდა: ჩვენ ამა და ამ დღისათვის მოვემზადებით, ეგ ქალი წამოაყეანეთ და მყოლებიც გამოაყოლეთო. თუ ვინმე ძალიან გულით უნდოდა, რომ მათ ქორწილში მისულიყო, თვითონ აწევდა ახლავე. ეტყოდა: ამა და ამ დღეს ჩემს დას წამოიყვანენ და შენ უცულებლივ წამოდიო, დანარჩენი მყოლების გამოყოლება თვით ქალის საქმეა. ვადას დაუდებდნენ დაახლოებით ერთ კვირამდინ, რომ ქალის მამისახლს ლუდის და არყის მომზადება მოესწროთ. ბოლოს მყოლები გამოემშვიდობებოდნენ და წავიდოდნენ. მასპინ-



ქელი კიდევ შორამდინ მიჰყვებოდა და ასმევდა ლუდ-არა უსამართველო
მყოლთ ქინთებითაც გაატანდა საგზაოდ, აგრეთვე ქალის მშობ-
ლებს გაუგზავნიდა ლუდს.

ზალი ქმრის ოჯახში ერთ კვირამდინ დარჩებოდა, ეხმარებოდა
შინაურ საქმიანობაში და გამვლელ-გამომვლელს პატივსაცემად
ფეხზე აუდგებოდა. დედამთილს პირველად არა, მაგრამ ორ-სამ
ღლეში წმასაც გასცემდა და არც ემალებოდა. მამამთილს და თა-
ვის ქმარს კი ემალებოდა; სადაც ისინი იქნებოდნენ, მათ თვალწინ
არ გამოჩნდებოდა, ემალებოდა აგრეთვე თვავის ქმრის ბიძას თუ
ის ხნიერი იყო და ქმრის მოგვარე უფროს კაცებსაც.

ერთი კვირის შემდეგ დანიშნული დღისათვის ქალი მოიმზა-
დებდა მყოლებს; ერთი ქალი ვინმე გაჰყებოდა, შემოუვლიდნენ
სოფელს და ყველა ხალვაზრდა ქალ-ვაჟს და ზოგს ხნიერსაც და-
პატივებდა მყოლად. ხნიერ ხალხს ზალი თვითონ არ ელაპარაკე-
ბოდა, იმის მაგიერ ელაპარაკებოდა გამყოლი ქალი. წევის დროს
ზალი ეტყოდა გამყოლ ქალს ნელი ხმით და ის გადასცემდა უფ-
როს კაცს ზლის სიტყვებს. ზლისათვის გაყოლა მყოლად ყველას
შეეძლო. ქვერის ოჯახი დაამზადებდა ბლომად არაყს, ჩაასხამდნენ
ქინთებში, მყოლებიც მოემზადებოდნენ და დანიშნულ დღეს გა-
ემგზავრებოდნენ ქალის მამისახლისაკენ ქორწილში. ზალიც, რა
ოქმა უნდა, მათთან ერთად მიღიოდა ქმრის ოჯახიდან.

ზლის მყოლნი ხალისიანად იყენენ, მაგრამ ისეთ სითამამეს
მაინც ვერ იჩენდნენ, რადგან ქალის პატრონი უფრო მაღლა იჭირ-
და თავს — ქალი მოგეცით. ქალის მყოლნი ამაყობდნენ და ხათრს
არავის არ უწევდნენ — ჩენ ქალი მოგეცით და მისი მყოლნი
ვართო. ზლის მყოლნი გზადაგზა სახუმარო ლექსებს მღეროდნენ.
მაგ., ხევსურეთში ორი ქალი იყო არაქალური ქცევისა, ქაჭა და
ქერქა. ქაჭია იძარავდა ცხენებს, ხოლო ქერქა ხევსურებს მოუ-
შოდებდა: მოყარეთ თავი, მე წინ გაგიძლვებით და ქისტეთი
დავლაშეროთო. ხევსურები მათზე ხშირად იცინოდნენ და ლექ-
სებსაც ეუბნებოდნენ. ამ ლექსებს ასეთ მხიარულ დროს მღეროდ-
ნენ, ან ლექსობდნენ. მაგალითად:

იძახე გაეკაურო, რასაც ავილებ ქელჩა,
ცუდებ გავიგი ამბევბი, რა ძნელი გასაგებია.
მთხელეს ქაჭა, ქერქა ორნივ ერთუცის მქრებია,
ბუნტოჩიკობა დაიშყეს, მიძრეს და მაძრეს ზღვებია.
გულჩი იფერებს ქერქას: მთხოს გარს გაუძლვებია!
ქაჭია ზაფხულს მაელის — ვისრა ცხენს გადავეჭდებია.
ჩემო ძმობილო ქაჭიავ, კაცთ ენას რაად ხყებია?

აფევილ, არხოორ წმაელ, საჩუქრით აივებია!
 ერთ ლაშე მთაშე ათენე, დილისად გმისცხვებია!
 მარტოს სიარულ რაღ გინდა, მეც გვერდი დაგიღებია.
 ვერავინ იტყვის აუგასა, კარგ ვიყავ სიახლეშია,
 არცარა ბერი ახლა ორ, კიდევიც გმიაღვებია.
 ძოლნდელს კვირას გადავდეგ ოცდაშევიდეს ჭელშია.
 გვერმართავ ცის მაშნასა, ჰაერზედ გამავხტებია.
 მაშინ მტერ რასაღ დამაკლებს, მე რახან ვიყვა ზეთია.

ეს ქალები ბუდე-ხევსურეთიდან იყვნენ. ლექსი გამოუთქ-
 ვამს არხოტიონს, უფრო მათ იცოდნენ ასეთი სახუმარო ლექსების
 თქმა.

ზლის მყოლნი როცა მიუახლოვდებოდნენ ზლის მამის სო-
 ფელს, წინამდვარს არ გაგზავნიდნენ, პირდაპირ შეხვდებოდნენ
 სოფლის მოშორებით ჩვეულებრივად ლუდ-არაყით. ზალს აქაც
 თავის სოფლის ქალები მოეგებდებოდნენ, ეკითხებოდნენ: როგორ
 იყავ, ხომ არ შეწუხდი, როგორი ხალხი იყოო და სხვა. ისიც უყვე-
 ბოდა იქაურ იმბებს და ხალხზე თავის შთაბეჭდილებებს. ხშირად
 იტყუოდნენ: „ხალს კი არ იყვ ცუდი, კან კაცნ იყვნეს, ნამუსიანნი,
 მაგრამ მე სხვაკან მაინც ვერცად გავისვენებ თავის სოფლის იქით-
 დაილოცას თავის სოფელი, ღმერთს ეესეთა არა გაუჩენავ, რო თა-
 ვის სოფელი-დ თავის სახლი-ას ქალისადა-დ თავის მამისახლი, კაც-
 ნი“. (მამისახლი — მამის მოგვარე ხალხი, მმა, ბიძაშვილები). რო-
 გორც ვაჟის ქორწილის წესები აღვწერეთ, ყველაფერი ისე სრულ-
 დებოდა, ოლონდ, როგორც ზემოთ ვთქვით, ზლის მყოლნი ისე თა-
 მამად არ იქცეოდნენ, როგორც ქალის მყოლნი. ისინი ადვილად
 არ იშულლებოდნენ, მასპინძლის ხათრით ბევრს მოითმენდნენ.

ქალი რომ მამისახლში მოვიდოდა, აქ უფრო მეტ პატივს
 სცემდა თავის მყოლ ქმრეულებს და ქმრისდა-ქალებს. სულ ფეხ-
 ზე იდგა, ლუდს და არაყს ასმევდა, სხვა წვრილმანი მომსახურები-
 სათვის მზად იყო — ფეხსაცმელის გახდა, თათების მიცემა და ჩაც-
 მა, პირის დაბანისას წყლის დასხმა და სხვა. ახალგაზრდებს ქალებ-
 თანაც უელჩებდა. მლერა-თამაშობა და ლექსობა აქაც იცოდნენ.
 ქმრეულები ზალს აქაც ლუდს ან არაყს მიუტანდნენ მოსავითხად
 ჩვეულებრივი წესით. დანარჩენი წესები სრულდებოდა ისე, რო-
 გორც იყო ვაჟის ქორწილში. ბოლოს გამირთულ სტუმრებს მოე-
 ლი სოფელი გააცილებდა ლუდის და არაყის სმით და სტუმრის
 გამართვის ყველა წესით.

„სასიძოდე მისვლა“ იცოდნენ ქორწილის შემდეგ. ქორწილის შემდეგაც შეიძლება სასიძოდე არ წასულიყო სიძე, ვიდრე ცოლს სამუღამოდ არ მოიყვანდა. მაინც კი სიძე ვალდებული იყო, ამ ხანებში გამოეწურა კარგი არაყი, ერთი ვინმე თავის მმა-ბიძაშვილებიდან გაეყოლებინა და წასულიყო ცოლეულთას. ხევსურმა აჩალგაზრდებმა ამისთანა სტუმრობაში მორცხვობა იცოდნენ და ეზარებოდათ წასვლა, მაგრამ წესს ვინ გადაუხვევდა და ერთხელაც იქნებოდა სიძეს უნდა შეესრულებინა თავისი მოვალეობა. სიძე ამზადებდა რაც შეიძლება კარგ არაყს, რომ არ შერცხვენილიყო. ამ საქმეში ეხმარებოდნენ თავისი ოჯახის წევრებიც. ბოლოს ერთ-ერთი მმა-ბიძაშვილის ან მოვარის თანხლებით მივიღოდა ცოლეულთას. თავისი გვარილან შეიძლება გაცყოლოდა რომელიმე აზალგაზრდა ვაჟი, ანდა შეიძლება ქალიც. წავიდოდნენ და მივიღოდნენ ცოლეულთა ერთ-ერთ მახლობელ ოჯახში. იმ ოჯახის წევრებს ბანიდან დაუძახებდნენ ჩევულებრივად. მასპინძელი თავის ოჯახის წევრებით გამოეგებებოდა და მოსულებს ჩევულებრივი მშვიდობა-ამბავის კითხვით შეხვდებოდნენ. სიძესაც და იმის მომყოლ ამხანაგაც მასპინძლები შინ შეიძატიერებდნენ.

სახლში შესული სტუმრის მოქცევის წესები ვიცით. სტუმრები თავის მოტანილი არაყიდან დაალევინებდნენ მასპინძელს და იმისი ოჯახის ყველა წევრს. ბოლოს იმ მასპინძელს გაიყოლებდნენ ცოლეულთას. იქ რომ მივიღოდნენ, თანმხლები კაცი დაუძახებდა ბანიდან თავის ნათესავს: „შინ ხართა? სტუმრებ მავიდეს, კარგია გემებდით“. მასპინძლები ე. ი. ცოლეულნი, დინგად გამოეგებებოდნენ სიძეს და იმის მომყოლ კაცებს. გამარჯვებას ეტყოდნენ. სიძე სიდედრს და სიმარტს ხმას არ სცემდა (ზოგს სიძეს შვილებიც ეყოლებოდა და სიდედრ-სიმარტს პირში კიდევ არ ელაპარაკებდნა). ეს იყო საერთო ჩევულება, ზოგი მეტი მორცხვი იყო, ზოგი კი ადვილად და ადრევე, ე. ი. ერთის ან ორი წლის შემდეგ, დაიწყებდა სიდედრ-სიმარტან პირისპირ ლაპარაკს), დანარჩენებს კი იგიც პასუხობდა მშვიდობა-ამბის კითხვაში. სიდედრი და სამარტი მოსულებს ერთნაირად ეტყოდნენ მშვიდობას, მხოლოდ ამბავს სიძეს ალარ ჰქითხავდნენ. ამბავს ჰქითხავდნენ მარტო სიძისათვის მოყოლილს სტუმარს და მასვე ეტყოდნენ თავის სიძეზედაც: „ესენ ხო კარგად არიან, ხო არა უჭირს“ და ისიც უპა-ცუხებდა: — კარგად არიან, არა უჭირს და სხვა. მერე ცხენებს.



გააბამდნენ ბალახზე და შევიდოდნენ ყველანი შინ. სიძეს უწყობებენ სიდედრ-სიმამრის გარდა მმ ოჯახში სხვა ვინმე ჰყავდა, მაშინ სხვებთან ერთად ისიც იტყოდა: „აგაშენასთ ღმერთმ“. თუ მარტო სიდედრ-სიმამრი იყო, მაშინ სიძე ხმაამოულებლივ შედიოდა ცოლულო ოჯახში. აქ დასხდებოდნენ და საუბრობდნენ ცოტახანს, ჰერე არას მოიტანდნენ და დაიწყებდნენ სმას. სასიძოდ მოსულს სიძეს სიმამრისთვის ყანწის მიცემა ხელზე არ შეეძლო, რცხვენოდა, რადგან ჩვეულება ასეთი იყო. სხვებს თუ სიძე აწვდიდა სავსე ყანწებს, სიმამრს და სიდედრს ყანწს არ მისცემდა; აავსებდა ყანწს და ან თვისი ამხანაგის ხელით გადასცემდა მათ, ან სხვა ვინმეს ხელით. ისინ დაილოცებოდნენ ჩვეულებრივი წესით. სიძესთან დალაპარაკებას ძალიან არ ერიდებოდნენ, მაგრამ, რადგან სიძე არ ელაზარაკებოდა, ისინიც ერიდებოდნენ მასთან ლაპარაკს. სიმამრი ყანწით ასე დაილოცებოდა: „არაყის პატრონებო, ღმერთმ აგაშენნასთ, ბარძა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ერთუცის თავნუ გამაგართვასთ, სამშვიდობოს, საქმეზე გადინნასთ მაჟეთისასაც. შინაც ლხინ მაგცასთ. თქვენაც დაგლოცნასთ, გადლეგძელნასთ ყველანი, მშვიდობით გამყოფნასთ მასულ-მაწეულები. ნასვამ გაამასთ, თქვენის გამარჯვებისა“. ის რომ ასე ილოცებოდა, პასუხობდა მარტო სიძესთან ერთად მოსული სტუმარი და სხვები. სიძე ფეხზე იდგა და ხმას არ ილებდა. სმა გრძელდებოდა ჩვეულებრივად (ტაბლის მოტანა, ჭუდის დახურვა, ტაბლასთან ფეხზე მდგომი და სხვა). სიძე დაჭდებოდა ყველაზე გვიან, ჭუდაც ყველაზე ძოლოს დაიხურავდა და ყველაფერში ხათრიანად და ზრდილობრანად იქცეოდა. აქ რომ ყველაფერი მოთავდებოდა, სტუმრებს სოფელში გაიპატიუებდნენ. სიძისათვის მოყოლილი კაცი თუ ახალგაზრდა იყო, შეიძლება წასულიყო სოფელში, სადაც სიძე წაეიდოდა, რადგან იცოდა, რამ სიძესთან ახალგაზრდები თავს მოიყრიდნენ და ლხინს გამართავდნენ, თუ ხნიერი კაცი იყო, მასპინძელთან დარჩებოდა. სიდედრ-სიმამრთან ლხინს იმიტომ არ მართავდნენ, რომ სიძეს მათი ხათრი ჰქონდა და მმ ოჯახში მისთვის მღერა, ლექსობა და ცეკვა არ შეიძლებოდა. მმიტომ წაიყვანდნენ მას მისი ცოლის მოგვარეები და იქ ილხინებდნენ. სიძე ლექსობაში და მღერაში აქ მონაწილეობას ლებულობდა, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ცეკვავდა. სიძეს ხანდახან სოხოვდნენ და რამე ლექსებს ალექსებდნენ მას, ხან კი ფშაური მღერის კილოზე გადაეკიდებოდნენ სამღერლად. თან სახუმარო ლექსებს უმღერებდნენ. მაგ:

სიძეო, თითოს სივრცეო, უყობის დალეულსამც გიძეო,
თუ გიზდა ქალი ეგია, თუ არა ბორტვი ღგლიჯეო.

ასეთ ლექსებზე სიძეც ხუმრობოცვე უპასუხებდა. სასიძოდ მოსულს შულლს აღარავინ გაუხდიდა, ყველა პატივს სცემდა, როგორც სტუმარს. ხუმრობით საუბარი და სახუმარო სიტყვებით დაცინვა კი ბევრი იცოდნენ მისთვის. როცა მხიარულებაც მოსწყინდებოდათ და დაილლებოდნენ, იძინებოდნენ. სიძეს დააძინებდნენ ცალკე და ერთი ან ორი ცოლის მოგვარე ან სოფლელი ქალი ვინმე დაიძინებდა მასთან. დასაძინებლად არ დაწვებოდა, ვიდრე ამ ოჯახის წევრი უფროსი კაცი არ დაიძინებდა. სხვა ახალგაზრდა სტუმარი და ნამეტნავად სიძე უფროს მასპინძელ კაცს აუცილებლივ ლოგინში დაწოლის დროს მოეხმარებოდა, გუდანურს დახურავდა და სხვა. ახალგაზრდა მასპინძელი კი სტუმრის დაძინებამდი არ დაწვებოდა.

მეორე დილას სიძე და მასპინძლები ადგებოდნენ. ჯერ აქ ისაუზმებოდნენ და მერე წავიდობდნენ ისევ სიძის მოტანილი არაყის დასალევად. მისულებს ცოლეულთ ოჯახის წევრები ჩვეულებრივად ფეხზე ადგომით შეხვდებოდნენ და მშვიდობას ეტყოდნენ. სიძე სხვებს უპასუხებდა, სიდედრ-სიმამრს კი სმას არ გასცემდა. მერე სიძეს მცცემდნენ თავის ქინთს და ისევე სმა იმართებოდა. დანარჩენი სტუმარ-მასპინძლობის წესი იყო ჩვეულებრივი. მხოლოდ სიძეს პევრ ოჯახში პატივობდნენ და ვინც არ იცნობდა, ყველა ცდილობდა იმის გაცნობას. ვინც სახლში რაიმე მიზეზის გამო ვერ დაპატიჟებდა, ამ ოჯახის წევრები გასაცნობად იქ მიღიოდნენ, სადაც სიძე იყო. მისულები არც ფარავდნენ მისელის მიზეზს. ეტყოდნენ, რომ სიძის გასაცნობად მოვედითო. სიძის გასაცნობად უფრო ქალები მიღიოდნენ. მეტ პატივს ახალ სიძეს თავის ცოლის ახლობელი მოგვარე ახალგაზრდა ქალები სცემდნენ. არაყიან ბოთლებს მოუტანდნენ სუფრაზე, აჩუქებდნენ თავის ხელით მოქარგულ რამეებს და მანამდინ არ წავიდოდა, სულ იმასთან იყვნენ და ხუმრობა-სიცილში ატარებდნენ მასთან დროს. ახალგაზრდა ვაჟები კი წყენით არაფერს აწყენინებდნენ, მაგრამ სულ რომ მასთან ყოფილიყვნენ, როგორც ქალებზე ვთქვით, არ იყო წესი. სიძეს თუ ცხენი ჰყავდა, ახალგაზრდა ვაჟები სთხოვდნენ და „საცდელში“ აჭენებდნენ მის ცხეს. (საცდელი არის განსაზღვრული მანძილი ცხენის საჭენებად. მათ იციან კარგი ცხენი ან საშუალო რამდენ მანძილზე აირჩენს აღმართიან გზას); თოფი თუ ჰქონდა, თოფსაც სთხოვდნენ და ნიშანში ისროდნენ. უნდოდათ გაეგოთ, სიძეს რო-



კორი თოფი ჰერნდა ან როგორი ცხენი ჰყავდა. თუ ორივე რეაქცია იყო, ნიშნავდა ვაჟაცის თავმოყვარეობას და ოჯახში კარგი გადასახადი რებას. ამიტომ სიძე ცუდი იარაღებით და ცხენით არ წავიდოდა. იარაღის თხოვა კი სირცხვილად მიაჩნდათ, ცხენს კი შეიძლება სხვა-სას წამოიყვანდა, თუ ჰყავდა ვინმეს მის ნათესავებში და მეზობ-ლებში კარგი ცხენი. სიძე თუ ცოლეულებთან ცუდი ცხენით მივი-დოდა, ამაზე ბევრს დასტინებდნენ.

მეორე დღეს სიძე სოფელში ოჯახიდან ოჯახში მისყავდათ და ასე გავიღოდა ეს დღეც. მესამე დიღას კი ცხენს თვითონ მოიყვანდა, შეკაზმავდა და გამოემგზავრებოდა. გამომართულ სიძეს ჩვეულებრივი, სტუმრის გაცილების წესით გამოაცილებდნენ სოფლის ნაპირამდინ და გაისტუმრებდნენ. სიძეს სიდებრ-სიმბრი არ გააცილებდნენ, მხოლოდ სიძისათვის მოყოლილი კაცის პატივისცმის გულისათვის სახლს ცოტათი გასცებოდნენ და იქიდან ეტყურდნენ მშვიდობას.

ზოგი სტუმრობა ქვეყნის ცენტრალურ

ზალს რომ ითხოვდნენ, ის თავისი ქმრის სოფელში დღისათ
არ მიღიოდა. როგორც ის დედამთილ-მამამთილის, ქმრის, ქმრის-
ნათესავების და სოფლელი უფროსი კაცების სახელს არ იტყოდა,
ისევე არ იტყოდა თავისი ქმრის სოფლის სახელსაც. თუ საქმროს
სოფელში ნათესავი ვინძე ჰყავდა, მამინ შეიძლება ღამით მისუ-
ლიყო მასთან და ღამითვე წამოსულცყო, რომ ამ სოფლის მცხვვ-
რებს აქ არავის დაენახა. ის მხოლოდ მაშინ დაიწყებდა თავისუფ-
ლად ქცევას, როცა საქმროს იწუნებდა და არაფრად აგდებდა მას.
მისვლით დღისით მაინც არ მივიდოდა, დილით კი გათენების შემ-
დეგ წასულას არ ერიდებოდა. თუ ქმრის მწუნობარი არ იყო, მა-
შინ კი გათენების შემდეგ გარეთ არ გამოვიდოდა. ხევსურის ქალს
რომ ითხოვდა ვინძე, ის მაშინვე მანდელის ხევის დაიწყებდა და
საქმროს ნათესავებს უმანდლოდ არ ეჩვენებოდა, თუ შემთხვევით
უმანდლო ვისმე წააწყდებოდა, გაიქცეოდა, თუ საღმე მანდელი
ჰქონდა, დაიხურავდა და ისე ეჩვენებოდა. თუ მანდელი
აქ თვითონ არ ჰქონდა და სხვასაც ვერავის გამოართმევდა,
მაშინ სულ დაიმალებოდა და აღარ ეჩვენებოდა მოსულს. ასეთის
წესის ვაძმ გზაზე უმანდლო არ გაივლიდა, რომ გზაში არავინ
შეხვედროდა ქმრეულთაგანი და სიჩრცვილი არ ეჭამა. ნამეტნავად



საქმროს სოფელში უმანდლოს რა მიიყვანდა. როგორც ვთქვით კონტაქტის მაშინ დაიწყებდა უმანდლოდ სიარულს, როცა ქმარს სწუნობდნენ და. დილითაც დაგვიანებით წავიდოდა და შეიძლება მანდელსაც არ დაიხურავდა. დღილობდა, დაენახა ვისმე ქმრის სოფლიდან გა-თენების შემდევ წასული და ისიც უმანდლო. ეს მის საქმროს უნდა გაეგო, სწყენოდა და თავი დაენებებინა მისთვის. ხევსუ-რის ქალებმა ეს ამბავი იმ შემთხვევაში უფრო იცოდნენ, თუ შას „სცვლიდა“ ვინმე, ე. ი. გულს უცრუებდა საქმროზე: შენ მაგას ნუ წაჰყები, ეგ კარგი ვაშკაცი არ არის, აი ამა და ამ ახალგაზრ-დას გაჰყევოთ. ხევსური ქალები რადვან თავის საქმროს ემალებოდ-ნენ და არ იცნობდნენ, ხშირ შემთხვევაში იჯერებდნენ სხვის რჩე-ვას, თავისი საქმრო ცუდი ეგონათ და, რომელსაც უქებდნენ — ის კარგი. ხან ასეთი შემთხვევაც იყო, რომ ქალი რომელიმე ვაჟთან თავისებური წესით წლლას დაიწყებდა, რომელიც მისი ნათესავი არ იყო და საქმრო არ ეკუთვნოდა წესის მიხედვით. თუ მათ ერთიმეორე შეუყვარდებოდათ, ვაჟი ეტყოდა: შენ იმ საქმროს გა-ეყარე და ცოლად გამომყევიო. ხევსურეთში ქალი მეორეს ისე ვერ გაჰყებოდა, თუ პირველი საქმრო სახალხოდ არ იტყოდა: მე იმ ქალს თავს ვანებებ და ვისაც უნდა იმას გაჰყევსო. თუ საქმრო გაუგებდა, რომ მას იმიტომ სწუნობს, რავი სხვა მოსწონს და მას უნდა გაჰყევსო, თავს არ ანებებდა და, როგორც ვიცით, ქალიც ვერავის გაჰყებოდა. ამიტომ ქალის „გამოცვლა“ ძალიან ჩუმად ხდებოდა, რომ არავის გაეგო. თუ გაიგებდნენ ქალს ვინ „სცვლი-და“ და ვის გუმაზზე სწუნობდა იგი საქმროს, მაშინ საქმრო მეო-რე ახალგაზრდას არ აპატიებდა და აუცილებლივ მაგრა დასჭრიდა ხმლით ან ხანჭლით. სწორედ ასეთი გულგამოცვლილი ქალი უნდა ყოფილიყო ის, რომელიც ქმრის სოფელში ბრიყვად მიეკიდოდა და წამოვიდოდა არსებული წესების წინააღმდეგ. საქმრო რომ გაიგებ-და იმას საქციელს, ასე მოურიდებელ მოსელა-წასელს მის სო-ფელში, ძალიან გამშვარდებოდა, ან თვითონ და ან სხვა მისი მოგ-ვარები მოიტაცებდნენ ამ ქალს და მოიყვანდნენ. ქმარს უფლება ეძლეოდა, თუ ქალს ვინმე „სცვლიდა“ და საქმრო გაუგებდა, რომ მოიყვანდა, აღარ გაეშვა მამისსახლში და ძალით ემყოფებინა თა-ვისთან. ქალის ასეთი საქციელი, რომ მან სხვისათვის გაყოლა მო-ისურვა, არც მამისსახლს მოსწონდა და საქმროს წინააღმდეგ არ მიდიოდნენ. ძალიან ხშირი შემთხვევა იყო, რომ ქალს ბოლოს ეს საქმრო უფრო მოსწონებოდა, ვიდრე პირველი. მიზეზად იმას იტ-ყოდა: მე ამას არ ვიცნობდი და არ ვიცოდი, როგორი იყოო. ვინც



მას „სცლიდა“, ე. ი. გულს უტეხდა, იმას მაინც არ დაასაჭიროებდა, ამას ყოველთვის ფარავდა, რაღაც იცოდა, ამ ამბავს მტკრობ-მოჰყვებოდა.

როცა ქალი პატიოსანი იყო და არც საქმროს სწუნობდა, ღა-მით მოვიღოდა თავის ნათესავთან. ეს ნათესავი სულ ისე არ გა-უშვებდა, რომ ცოტა მხიარულება მაინც არ გაემართა მისთვის. მიტომ ის ჩუმად შეატყობინებდა მის მულს, ან ქმრის ბიძაშვილ-ახალგაზრდა ქალს ვისმე სარძლოს მოსვლას. ისინი შეატყობინებ-დნენ თავის ძმა-ბიძაშვილ ქალ-ვაჟებს და იმ ოჯახში მივიღოდნენ, სადაც მათი სარძლო იყო მოსული. მოსული ქმრეულ-ქმრისლები ზალს ეტყოდნენ: „მახვე მშვიდობით“. ის ფეხზე ადგებოდა და ეტყოდა: „გიშველასთ ლმერთმ“. ქმრეულები და ქმრისლები ყვე-ლანი აკოცებდნენ ზალს, მერე დასხდებოდნენ, ზალსაც სოხოვდ-ნენ დაჯდომას და ამბავს ჰკითხავდნენ. ის ამბვის კითხვაზე პასუხს გასცემდა, მათ ამბავს კი საერთოდ არ ჰკითხავდა, თუ ქმრის ოჯა-ხიდან ვინმე ერია მათში. სირცეცილად მიაჩნდათ, ქმრის ოჯახის წევრისათვის საერთო წესით ამბავი ეკითხათ, რაღაც მისი საქმრო შედიოდა ამ ოჯახის შემადგენლობაში. ქმრეულებს კი სათითოდ ჰკითხავდა: შენ ხო კარგად ხარ, ხო არა გაწყენ-გაჯავრებს და სხვა. მერე ყველანი დასხდებოდნენ და პირველად დაიწყებდნენ თითოებით ამბის გამოყითხვას ზლისთვის. ამის შემდეგ მასაინ-ძელი ყველას გაუმასპინძლდებოდა ვახშმით და თუ ჰქონდა არაყი-თაც. მერე დაიწყებდნენ ლექსობას ფანდურზე ქმრეულები და ქმრის დებიც. ზალი კი არ ლექსობდა და არც ხუმრიობდა. კარგა ხნის შემდეგ სხვები დასაძინებლად წავიდოდნენ, ერთი ქმრეული კი დარჩებოდა აქ, რომელსაც მასპინძელი დააბრუნებდა. ქმრეული იდა ზალი ერთად დაიძინებდნენ. გათენების დრო რომ მოატანდა, ზალი ადგებოდა, მოემზადებოდა და წავიდოდა. ქმრეული და თა-ვისი მასპინძელი ცოტა გზას გააცილებდნენ, აკოცებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ.

თუ შემთხვევით გაუთენდებოდა, ან მოსული იქნებოდა ისეთ რამე საქმეზე, რომ მეორე დღეს ვერ წავიდოდა, იმ შემთხვევაში ზალი დღისით არ გამოვიდოდა გარეთ. მოელ დღეს სახლში იჯდა დაღამებამდინ. ქმრის და და სხვა მახლობელი ქალ-ვაჟები დღი-სითაც იყენენ ზალთან და ართობდნენ მას ლექსობით და სახუ-მარო საუბრით.

ლამისთევა მკითხავების წინასწარმეტყველებითაც ხდებოდა და ხევსურები ღმერთს თავისთვისადაც შეუთქვამდნენ: ხევსური აიღებდა პატარა ჯოხს, დანით ჭდეს გაუკეთებდა და ქუდოხდილი ერთ-ერთ თავის სალოცავს „შასძახნებდა“, რომლისათვისც ლამისთევა სურდა და იმედი ჰქონდა მისგან ივაღმყოფის მორჩებისა, ან სხვა რაიმე გაჭირვებიდან დახსნისა. მაგ., გუდანის ჯვარს ასე „შასძახნებდა“: „დიდო სახმოო გუდანის ჯვარო, უშველი ამ ჩვენს ივაღმყოფს (თუ ჰყავდა ასეთი), მაარჩინი, აყენი, შაგიძლავ დალოცვილო, ძალი ზარალება-ი გაქვ. ნუ გაიქჩერებ საოოდ შენს ყმას. თავ ყმად არ გვშურსა, საქონ ზღვნად, ზღვნითა, სანთლით გვაწედი, დალოცვილო, ამა და ამ დღეობაში (დღეობის დასახელება) ლამისთევას ვიქამ, ლმართმა ნუ წაგართვას ძალი, შეძლება. ჩვენ ლირსნიც არ ორთ შენი სამსახურისანი, შენს დროშას ვისტურებ ზღვნითა, სანთლით“.

ამ ჭდეამოგდებულ ჯოხს წაიღებდა და იმ სალოცავში გადააგდებდა, რომელსაც ლამისთევა შეუთქვა. თუ მკითხავთან შევიღოდნენ, ის ურჩევდა, რომელი სალოცავების დროშები უნდა ისტუმრონ, რომ ავაღმყოფი მოურჩეთ. მის ნაკითხავარზე ივაღმყოფის პატრონიც შეუთქვამდა. მოამზადებდნენ ლუდს და არაყს, საკლავებს და ისტუმრებდნენ ჯვარს. როცა ლამისთევისათვის მმთავრებლები მაშინ თითო-ოროლა მოკეთეს შეუთვლიდნენ — ლამისთევა გვექნება და მოდითო. თუ ძალიან ახლობელი არ იქნებოდა, არც იწევდნენ. უნდა ყოფილიყო ან მამიდა, ან მათი შვილები ან სიძე, ან დედიძმა, ცოლისძმა და ასეთი შინაური ნათესავები. მოკეთეები სხვა დროს თუ მუდამ მოიტანდნენ არაყს, ლამისთევაში არავინ მოიტანდა, მოვიდოდნენ სრულიად ხელცარიელი.

ლამისთევისათვის დანიშნულ სალამოს ერთ კაცს ჯვარის შაწევრად გაგზაუიდნენ. ეს კაცი ან იქნებოდა თვითონ ლამისშთეველი, ან მისი ძმა-ბიძაშვილი ვინმე.

ის რომ ჯვარში მივიდოდა, მოიხდიდა ქუდს და იტყოდა: „ხთისგან გაგემარჯვოს, შენი გამჩენისაგან, დიდო გუდანის ჯვარი! შენ შამაძახილზე ნუ გამიშყრები, შენის კარისა კამალის დალაგვას ნუ შამისაწყინდები. უმეცრობით ბევრს რასამ გაწყენ. შენ შემიჩდევი; ყმა შაუწყენ არ იქნებისად ბატონი შაუდობარი. შენ ყმა შენ მტვერი ორ, დალოცვილო, ჭირ მავხპარი შენს

ძალასა, შენს სახელ-სამართალს“. ამ სიტყვებს რომ დაამთავრებდა, / „დარბასის კართან“ მივიღოდა და გვარიონთ ეტყოდა: სპულების დით, გვარიონნო, აშენდით! წალმამც წაგივათ დღეი დღეობა“. „დაშვენდ, მაგვიცევ მშვიდობით, მშვიდობით შენ მასელა (სახელს ეტყოლნენ გვარიონები). წყალობა გუდინის ჭარსა, წალმ მაგევებასთ გუდინის ჭვარის დავლათი“ და როგორც მაწევარს შეიყვანდნენ დარბაში. დარბასში შესვლისას მლოცველი კარებთან შუხლს მოყრიდა, გუდინის ჭვარს კიდევ შეეხვეწებოდა — თუ რამე გაწყენინე, მაპატიეო, კარის ჩარჩოებს ორივე მხარეზე აკოცებდა, შუხლისკვრით დარბაზში შევიდოდა, მერე ადგებოდა ფეხზე და ხმადაბლა ეტყოდა კიდევ „აშენებას“ (დარბასში ხმამალლა არ ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით მოსული სტუმრები). ჭვარიონიც მოეგებდებოდა ფეხზე ადგომით და როგორც სტუმარს, საჯელოსხო სკამისაკე მიიწევდნენ. პირველად გაძალიანდებოდა — შანდეთ მხარეს არ წამოვალ, მეხათრებაო, მაგრამ ჭვარიონნი ეტყოდება: „შენ სტუმარი ხარ, ჩვენ წეს ეგრ ას, რომ სტუმარი ხუცეს-ჭელოსანთ გვერდით უნდა დაესვათ, ეს ჭვარს მაუდის თაოდა-დ, ამაზე არც გაწყრების დალოცვილი. შენ ნუ გეშინიან, ის თავის ჭესობასა, მადენილობას არ დაშლის“. ამის შემდეგ სტუმარი გაძყვებოდა და დაჯდებოდა ხუცეს-ჭელოსანების გვერდზე, უფრო ბოლო მხარეზე. ჭვარიონთ აქ თუ სხვა სტუმრებიც ჰყავდათ, ვაშინ უფროსობის მიხედვით დასვამდნენ ყველას. ჭვარივნებს თავის-თვის ლუდი მუდამ ედგათ საწმით, მაგრამ სტუმრის მოსელაზე ახალ ლუდს გამოიტანდნენ და პატივსაცემად მასთან ახლო დგაშდნენ. ერთ-ერთი დასტური იაღებდა თასს, აავსებდა ლუდით და ხუცესს მისცემდა. ხუცესი ფეხზე ადგებოდა და იტყოდა: „გაემარჯოს ამ ჩვენს სალოცავასა, იმის წყალობა გქონდასთ ჭვარის გამძლოთ, სტუმარს გწყალობდას, სასტუმრო სანახავად ნუ დაგლივას. ეს აესებული თასიცა, ეს საწმენიც იმ სულწმიდათ შაუნდნას, სტუმარო, რომენნიც შენ გზაშია მგზავრობაში გყვებოდანა, კელს გიმართავდან“. „შაუნდნას, ღმერთ მააკმარას“ — იტყოდნენ ყველანი. სტუმარი უპასუხებდა — „თქვენ მაღლად მაგცასთ ლმერთმ, იმათ საიქიო დაგიმადლასთ, თქვენ ნუ ვინ დაგაკლასთ“. შასანტობარს ხუცესი დალევდა და მერე სტუმრიც და ჭვარიონნიც ყველანი დალევდნენ. დასტურებს ხორცი თუ მოხარშული არ ჰქონდათ, სტუმრის მოსელაზე საუკეთესო ხორცს ჩამოიღებდნენ მაღლა დაკიდებული ქირჭოდან, ნაწილს მოხარშავდნენ და ხაწილს მწვადებად გააკეთებდნენ. სმის ღროს ხევსურები ხშირად ფეხზე



იდგნენ. ჯერ ნასხდომები დაიწყებდნენ სმას, მეოქ ერთი ადგებულობრივია და, ახლა მეორე და მათდა შეუმჩნევლად შეა სმაში ყველაზე ფეხშე იყვნენ. საშემოლი რომ მომზადდებოდა, დასტურები ფეხშე მდგარ ხალხს სოხოვდნენ: „დასხით, ვაჟებო, ეეხლად ტაბლას დაგიდგამთ, სასმელში ცოტა პურიც თუ არ ახვლიჩ კაცმ, ცუდად გაკდების“. ნასვამი სტუმარეცა და მასპინძლებიც კიდევ არ ჩქარობდნენ დასხდომას და ფეხშე ნადგომნი სასმელს აძლებდნენ ერთმეორეს. ახლა სკამზე დაჯდომაზე პქონდათ დავა: სათავეში შენ დაჭექი, არა შენაო. ხუცეს-კელოსნების სათავეში არაეინ დაჭდებოდა, მერე თუ მაწევარის გარდა კიდევ იყვნენ სტუმრები,, ისინი წლოვანების მიხედვით უფროსობით დასხდებოდნენ. საჭმელი წინასწარ იყო ტაბლაზე გაწყობილი. ხალხი რომ დასხდებოდა, დასტურები ტაბლას მათ წინ დადგამდნენ და იტყოდნენ: ღმერთო, გაუმარჯვი (თუ გუდანის ჯვარში იყვნენ) გუდანის ჯვარსა გუდანის ჯვარო, შენ წყალობდი შენთ გამძლოთ, შენის მგზავრის დროშაის სასტუმრიელოდ მოსულს მაწევარს, ჩეენში დაწყვდეულ სტუმრებს, დაადევ წალმ, შენი წყალობით შაინახენ“.

სტუმრებიც და სხვა ჯვარივნებიც ტაბლის მოტანის დროს ასევე დაილოცებოდნენ: „ღმერთო, გაუმარჯვ დიდს გუდანის ჯვარსა. გუდანის ჯვარო, შენ წყალობა მიეც ამ ჯვარივნებს, დასტურ-კელოსნებს, გამძლოთ, სტუმარს აქ შამამწყვდეულს; შენი წყალობით შაინახენ“.

ტაბლის დადგმის შემდევ ჭამის დაწყებისასაც დაილოცებოდნენ და ჭამის გათავების შემდევაც. ჭამის დროს კარახანებსაც დალევდნენ (კარახანა ეწოდება ლულით სავსე თასს). როცა სტუმარი კარახანს ხელში აიღებდა და დაილოცებოდა, მაშინ ფეხშე მდგომები „თავკმელად“ შემლერნებდნენ სტუმრის წინაპრებისაგან ჩადენილი რამე გმირობის შესახებ. ან სხვა ისეთ რამე სიმღერას უმღერებდნენ, რომელიც სტუმარს ასიამოვნებდა. ვთქვათ, სტუმარი კიბალაურის შთამომავლობიდან იყო. მაშინ კიბალაურის ჩადენილ გმირობაზე უმღერებდნენ. ქვემო მოყვანილ სიმღერაში კიბალაური წიკლაურების ქვეგვარია, ჯურჯა კი ამ ქვეგვარის კაცის სახელი:

ცოტინას კიბალაურსა გული მიუღის ცდაზედა,
საკეოდ გმაემართა ოსების მუქარაზედა,
საშელეს გადამვალმა თოფი დაზვერა მკლავზედა,

ჭურქაშ აყეფნა ქოფაკნი, ოსო, გამოდი კარზედა.
 გამავა ყარაფაიძე, გამასერნავდა ბანზედა,
 თოფი და ცეცხლა ჭურქაშ, ოს დაცულია თავზედა⁸.

ამ სიმღერის მღერის დროს სტუმარი თასით ხელში იდგა და წყნარად ამბობდა: „დიდხანამც იმღერეთ კაი გულით, დაურ-ჩით ერთუცს“, თან დალევდა ცოტ-ცოტას; ფეხზე მდგომები მღერას რომ გაათავებდნენ, ახლა სტუმარი შემღერნებდა მათი გვარის სასახელო სიმღერას და თავისი თასიდან ცოტა ლუდს დაალევიხებდა. მაგალითად, ფეხზე მდგომები ქვემოთ მოყვანილი სიმღერის გმირის — ბადას შთამომავლობას თუ ეკუთვნოდნენ, მაშინ სტუმარი ამ სიმღერით შემღერნებდა „თავკმელად“:

ნუმც იკლის კეცსურთ შვილები ნაკალსა ბალაისასა,
 შიშიშილის შალონებული ქოჩთა ძოვს მალლის მთისათა,
 წყურელის დალონებული ნამთ ლოკდა ბალახისათა,
 სამჯერ გამყიდეს ლევებმა, ფასს არ იღებენ ტყვესასა,
 მეოთხედ გამავისარე, ჩორესს ჩამავხყევ კლდისასა.
 გზას ლევკი შემამყარა, სულს მანქევს დუსურბნისასა.
 გზა მაგან ჩამამასწევლა, დახუ დანდობას მტრისასა,
 გურგო, თუ დამენდობოდი, ჩისაქედს დახყევ მზისასა,
 ბადა ორ კეცსურიმჟილი, პირს მეც გაჩვენებთ მზირთასა.

ტაბლის წესი ასეთი კარახანებით თავდებოდა, ბოლოს ტაბლას „აუმატებდნენ“, ქუდებს დაიხურავდნენ. ფეხზე მდგომებსაც ტაბლას დაუდგამდნენ. ეხლა სტუმარი მოიხდიდა ქუდს და ფეხზე მდგომების პურის ჭამაში ის დადგებოდა ფეხზე, კარახანებსაც ის მიუტანდა, ის შეუმღერნებდა და მოემსახურებოდა სუფრაზე.

ამათი პურის ჭამაც რომ გათავდებოდა, ჭვარის მაწევარი ეტყოდა: „თქვენი ჭირიმეთ, მე ჩემი თხოვნით გთხოვთ, რო ნულარ დავგვიაბდებით, წავიდათ, იქაც მიგველიან“. ხუცესი ეტყოდა დასტურებს, რომლები უნდა გაჰყოლოდნენ ჭვარს, მედროშესაც მოამზადებდა.

სტუმარი მაღლს მოსთხოვდა ჭვარს და ჭვარიონთ ეტყოდა: „ჭვარ გწერიათ ჭვარსაც, კაცსაც. ჭვარმაც მაპატიოსა -დ ჭვარის გამღლოთაც, რაიც ვის გაწყინეთ“. სტუმარი მათ ჭვართ მოშორებით მოუცდიდა. მედროშე „მგზავრ დროშისთან“ მივიდოდა, ქუდმოხდილი მგზავრ ანგელოზს ეხვეწებოდა — თუ რამე გაწყინე, მა-ზატიეო, დროშას მხარზე გაიდებდა და ისიც გამოემგზავრებოდა.

⁸ ცოტინა — ყმაწევილი.



თან გამოჰყვებოდნენ ხუცესი და დასტურები. დასტურებს მოჰყვებოდნენ დათ ლუდით სახეს სახუცო კოშობი და ვინც გზაში შეხვდებოდა აჭარის დააღვინებდნენ, გზადაგზა სიმღერით მიღიოდნენ; სიმღერები უპირველესად შეიძლება ემღრათ, რაც ჯვართ საქმეს ეხებოდა, არა და რაც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ სერიოზული. მაგ.,

ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო, წევრად მაუსხმა ყურძენი, საქმელად შამოსულაო, მაგის უპმელი ქალ-ვაერ უძროდ დაშაულაო,

შეიძლებოდა ემღრათ ისეთი საგმირო სიმღერა, რომელიც იმ ჯვარს ეხებოდა, რომლის ჯვარიონნიც იყვნენ. ასეთ სიმღერას უფრო მაშინ დაიწყებდნენ, როცა ღამისმთეველის სოფელს და სახლს მიუახლოვდებოდნენ. მაგ.,

გუდი მავიდა ლაშქარი, კი კარვებმა შააფარა,
ლურჯამა გალალებულმა თავი სოფლისკე დახარა,
მეუდარმა ლურჯაისამა გული საომრად დახყარა,
უნცროსმა ქიჩარაულმა ლაშქარი შყალში შაყარა,
ჯავე-მუშარადმა, ჩაჩქამა ქანგი ფქვილებურ დაშალა,
ქალმა ქენუბან გაიგა, თავ-მანდელ მაღლა შაყარა,
გაქებენ, ქიჩარაულო, ჩემსამც საქმარეს შაგყარა.
შელჩიამც მისცნა აბარინი, ლურჯა საფერჩედ მაღვარა,
შენ თუ ვერ დაგიხველებოდა, ცოცხალიც ნულარ მამგვარა.

ასეთი მღერით მივიდოდნენ ღამისმთეველის სახლთან. აქ ჯვარიონთ ყველანი გამოეგებებოდნენ, თვითონ ღამისმთეველი, მისი მოგვარები და მიწვეული სტუმრებიც. პირგვრისტერით და ქუდმოხდილებიც ყველანი ეტყოდნენ: „გამარჯვება ბატონ-ყმით, გელიმც მაგემართებისთ“. „გაგიმარჯოსთ ღმერთმ, წყალობა მაგიტანეთ მგზავრის ანგელოზისა, წყალობა. წალმ მაგეგებასთ მგზავრის ანგელოზის დავლათი“, — უპასუხებდნენ მოსული ჯვარიონნი. „თქვენ იყოს მწყალობელი“ — იქნებოდა პასუხი და ჯერ ჯვარივნები, მერე კი ყველანი მაღალ ბანზე ავიდოდნენ.

მედროშავე დროშის წეარუნით ბანს სამჯერ გარშემო შემოულიდა და დროშას ტარით შეშის კონაში გაამაგრებდა, რომელიც წინასწარ იქნებოდა გამზადებული.

ჯვარიონნი მობრუნდებოდნენ და ღამისმთეველს დაამწყალობნებდნენ. ამავე დროს ყველა, ვინც იქ იყო, წყალობას ეუბნებოდა ღამისმთეველს ისეთივე სიტყვებით, რასაც ჯვარივნები ამბობდნენ: „გწყალობდასთ, ღამის მთეველნო, მგზავრის ანგელოზის დავლათი, საწალმართო მაგიარასთ, მშვიდობიანად შაგინახნასთ,



სიხარულა გაგიკადასთ ღამისთევა-ეამისწირვა, კლოვ უკეთესობაზე
ლით ძაგერძასთ". „თქვენ იყოს მწყალობელი", — ამბობდნენ უკეთესობაზე

ამ დროს მოიყვანდნენ საკლას. ხუცესი და მერე უკელანი
დამწყალობნებდნენ ღამისმთეველს. საკლას დაიჭირდა დასტური,
ხუცესი ჩევულებრივად იხუცებდა და დაკლავდა მას. დასტუ-
რები გაატყავებდნენ, ნახევარ ხორცს დილისთვის შეინახავდნენ,
ნახევარს კი მაშინვე მოხარშავდნენ. ხუცესი საკლას რომ დაკლავ-
და, მიუტანდნენ ლუდიან კოში. კოში დასტურს ეჭირა, ხუცესს
სახუცო კოჭიობში ჩაუსხამდა ლუდს და ამით „მოაქსენებდა". შემ-
დეგ უკელანი დამწყალობნებდნენ. ჯერ ხუცესი დალევდა, მერე
მისი თანამყოლნი და ბოლოს სხვა სტუმრებიც და მასპინძელიც.
თასის ჩამოყრის, ფეხზე მღერის და სხვა ასეთი წესები ამ დრო-
საც სრულდებოდა ჩევულებრივად. ქედე ედგათ საწდით ლუდი,
ამოქმენდათ და უკელას დაალევინებდნენ, ვინც სტუმრები და სა-
ხლისკაცები იცენენ. მოშორებით იდგნენ სტუმაოი და შინაური ქა-
ლებიც. ლუდს იმათაც დაალევინებდნენ. მამაკაცები როგორ დაი-
ლოცებოდნენ თასს, ეს უკვე ვიცით. ქალები კი ასე დაილოცე-
ბოდნენ: „დაგლოცნასთ ღმერთმ, ღამისმთეველნო, მშვიდობით
გამყოფნასთ, წყალობა მაგცასთ, რაისაც სადიდებელი ასა-დ რაის
დროშანიც ბანზედ გიბრძანიანთ. გულ ნუვისა მაგრივასთ. ის
წყალობა მაგცასთ, რასაც თქვენ გულ გამავლის. თქვენ დაგლოც-
ხასთ ღიაცებო, საიმედოებ გიცოცხლნასთ, ჭირს ვსომ თქვენს
უკელასას".

ამნაირად ლუდს უკელანი დალევდნენ. თავხმელად მღერაც
იყო ჩევულებრივის წესით, ბოლოს უკელანი ჭერხოში ჩავიდოდ-
ნენ. ჭერხოში სკამები ჯერ ჯვარიონთათვის იყო, მერე სტუმრებს
დასვამდნენ. სოფლელი სახლისკაცები ცალკე იქნებოდნენ და დია-
ცებიც. მოწვეული სტუმრები კი მუდამ ჯვარიონთ ახლო ჰყავდათ.
ჯვარიონთან ერთად სხვა ხალხზე მეტ პატივს იმათ სცემდნენ. აქ
ფეხზე ტრიალებდნენ ღამისმთეველი და მისი სახლისკაცები, რაც
შეიძლებოდა ჯვარივნებსა და სტუმრებს აძლებდნენ ლუდ-
არაყს. სოხოვდნენ, დალიეთო, ლოცავდნენ მკვდრებისათვის, იგო-
ნებდნენ სადლეგრძელოებს; თუ ეს არ გავიდოდა, მაშინ კისერზე
ხელის გადახვევით ძალადაც დაალევინებდნენ. სმის დროს, მარ-
თალია, ჭამა არ იცოდნენ, მაგრამ, თუ სტუმრები და ჯვარივნები
შორეულები იყვნენ, მათთვის მწვადებსაც გაამზადებდნენ. საწდეს



რომ აავსებდნენ, ხშირად ლოცავდნენ სტუმრების მიცვალებულებით გადასაცემა.

ჯვარიონთან თამაშობაც იმართებოდა, მღერა და ლექსობაც შეიძლებოდა. ჯვარიონთან როცა ლხინი იმართებოდა, მაშინ სოფ-ლელი ხალხიც ახლო მოდიოდა მათთან და ხანდახან მონაწილეობასაც ლებულობდა.

სოფლულები თავის ჯარზედაც მართავდნენ ლექსობას და მღერას. სოფლელ ქალებთან თუ სტუმარი ქალებიც იყენენ, ხშირად იკოდნენ სასენო ლექსების ლექსობა. მაგალითად, არხოტიონი ქა-ლები ბუდე-ხევსურის ქალებს თითქოს სახუმაროდ, მაგრამ მაინც სასენოლ ასეთ ლექსს ულექსებდნენ:

არ მინდა ქინძი, ქონდარი, არც ნიავხური მხალადა,
არაგვ არ მინდა სავალად, ბარისაჯვი ქმარადა.

მთა მინდა გადასავალი, არხოტიონი ქმარადა,

დღის თაოდ წოცენ ლილველებს, ნადირს თავს შეკრინ ცხვარადა.

შაულო ოჩიაურსა, კეესურთშეილების ჯაბრადა.

სტუმარი ქალებიც ასეთ რამეს ულექსებდნენ. თუ კამათის სახე მიეცემოდა ამ ლექსობას, მაშინ სტუმრებს მოეფერებოდნენ, გულს მოუბრუნებდნენ.

სიმღერა და ლხინი რომ მოსწყინდებოდათ, ჭამის დროც შოგილოდა. დიასახლისებიც ამ დროისათვის დაამზადებდნენ კაცეულებს და გამდნარ ერბოს. დასტურები მოხარშულ ხორცს აძოდებდნენ, სატაბლო პურებზე გააწაწილებდნენ. მასპინძელი ჯვარიონთ წინ დადგარდა სამფეხა ტაბლას, მიიტანდნენ ხორცდაწყობილ პურებს, კეცეულებიან ბაკანსაც და დააწყობდნენ ტაბლაზე. ასეთ-სავე ტაბლას მოუტანდნენ და დაუდგამდნენ. სტუმრებსაც. ლუდიინ თასებსაც დადგამდნენ და ხუცესი ჯვართ „გააღიდებდა“. აქ თასებს ჯვარიონნიც და სტუმრებიც დალევდნენ ჩეესულებრივი წესით (პურის ჭამის წესიც უკვე ვიცით, ჭამის დაწყებისას და გათავებისას დალოცვა პურისა, ზედამდეგები და მათ მიერ კარხანების დადგმა ტაბლაზე, ამისი თავკმელად მღერის წესების შესრულება და სხვა).

ბოლოს სტუმრებს შეიძლება აქ დააწვენდნენ, შეიძლება სოფელშიაც გაიპატიუებდნენ. ქალებს და ვაჟებს ელჩები ერთად აძინებდნენ, ჯვარივნები კი დროშასთან დაიძინებდნენ. მათ უფრო სუფთა საგებ-სახურავს გაუშლილნენ, რადგან დროშათ ახლოს და მერე ჯვარიონთათვის ნახმარი „ტყავსაღამოს“ დაგებ-დახურვა არ შეიძლებოდა. მეორე დილას მასპინძელი ადრე ადგებოდა, ჯვარ-



ოვნებს და იქ დარჩენილ სტუმრებსაც სადილაო არაყს მიუტანდებოდა ლოგინშვერ დაალევინებდა. ყველანი ღამისმთევლის ჭერხოში შეგროვდებოდნენ. იქ მეორდებოდა წინა ღამის ამბავი. დასტურები მოხარშავდნენ წინა ღამის ნარჩენ ხორცს, დიასახლისები კეცეულებს გამოაცხობდნენ და უაშისწირეის შემდეგ დაედგმოდა ხორციანი ტაბლა და კეცეულები სტუმრებს და ჯვარივნებს.

მეზობლებს და სახლისკაცებს კეცეულების ტაბლას დაუდგაძლნენ იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი შეძლებული კაცი იყო; თუ სუსტად ცხოვრობდა, სავალდებულო არ იყო მეზობელ-სახლიკაცებისათვის კეცეულების დადგმა, მარტო ხორცის ტაბლას დაუდგამდნენ მათ. სტუმრებთან და ჯვარიონთან კი ეს აუცილებელი იყო. ამ დროსაც ტაბლის წესები ჩვეულებრივ სრულდებოდა: „ზედამდეგები კარახანებს დაუდგამდნენ, თავჯელად“ შემღერნებდნენ და სხვა. ქალების ტაბლაშე კარახანა და მღერა არ იცოდნენ. მათ ჭამაშვილე ასმევდა ლუდს ერთ-ერთი ზედამდეგი. ლუდს მოაყოლებდა ერთი თასით. ეისაც თასი ერგებოდა, ის ფეხ-ზე იდგებოდა, დაილოცებოდა და რამდენიც შეეძლებოდა, იმდენს დალევდა. ზედამდეგი ცდილობდა, თასი ყველას გამოეცალა.

პურობის შემდეგ კიდევ იმართებოდა თამაშობა, მღერა და ლექსობა. ამასობაში საღამოც მოაწევდა. ჯვარიონნი ადგებოდნენ და იტყოდნენ: „ჯვარ გეწერასთ, ღამისმთეველნო, კლოვ უკეთი გულით გამსახურნასთ“. „ჯვარისაიმც წყალობაი გაქვთ“ — ეტყოდა ღამისმთეველი. ჯვარიონნი გამოვიდოდნენ და ივიღოდნენ მაღალ ბანზე. მასპინძელიც და სტუმრებიც ყველა იქ ამოკყვებოდა. ამოიტანდნენ საწდით ლუდს. აქვე ამოიტანდნენ ფანდურს და იმართებოდა თამაშობა.

ბოლოს მედროშე დროშით კვლავ შემოუვლიდა ბანს და გამოეგზავრებოდნენ. ჯვარივნები კიდევ დასწერდნენ ღამისმთეველს ჯვარს და გადმოვიდოდნენ ბანიდან. გადასულ ჯვარივნებს საწდით და თასებით ხელში კიდევ შორამდინ გაჰყვებოდნენ და გააცილებდნენ. გამოთხოვებისას მასპინძელი და ყველა ბასთან მყოფი ეტყოდნენ: „პელ მაგიმართასთ ლმერთმ ჯვარსაც, კაცსაც. გვაპატივეთ, თუ რა ვის გაწყინეთ“.

ჯვარიონნი რომ წამოვიდოდნენ, დანარჩენი სტუმრები და მასპინძელი ისევ ღამისმთეველის სახლში მიბრუნდებოდნენ. ღამისმთეველი სტუმრებს ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას შიაქცევდა და რითაც კი შეიძლებოდა, კარგად გაუმასპინძლდებოდა. უმღეროდნენ საგმირო სიმღერებს და ისე ასმევდნენ:

თქვენთან მშადიან, არწივნო, სმა-ჟამა, ლხინი გძელიო,
რა უდარობა დაგვიღვის, ჩამაფარნიდით თბენიო,
მმ თქვენი სახლოითა რალას დაგვაკლებს მტერიო,
საცა თქვენა ხართ, დღეი ას, საც არა—ღმე ბნელიო...
თქვენ მახოლთ, მაგვისინათლებთ, თქვენ ჭახოლთ, ჭავლენ მზენიო.

სტუმრებისთვის სასირცხვილო იყო თასი პირზე არ მოეყუდა
და არ დაელია ამ სიტყვებით: „აი დაურჩით ერთუცს, დიდხანამც
იმღერთ კაი გულით“.

ბოლოს სტუმრებიც მოინდომებდნენ შინ წასვლას. თუ „შო-
რეულები იყვნენ, მასპინძელი მათ კიდევ არ გაუშეებდა, ხოლო
სოფლელები კი წავიდოდნენ. ვინც დარჩებოდნენ, მეორე დღეს
ყველას ერთად გაისტუმრებდა, გააყოლებდა გზაში ლუდს და
არაყს.

სტუმარების სახმობა სახმობი

სახმოს ასრულებდნენ თავთავიანთ სახლებში, ჯვარში კი არ
იცოდნენ. სახმოო მეითხავის გარეშე კეთდებოდა. თითქმის სრუ-
ლიადაც არ ღებულობდა ის მონაწილეობას სახმოს შეთქმაში.
თუ ოჯახს ვაჟი შეეძინებოდა, ან სხვა რაიმე ბედნიერება ეწეოდა,
თვითონ იტყოდნენ: მაღლობა ღმერთს, რომ ასეთი ბედნიერება
მეღირსა, ამ კარგი საქმისათვის კაი სახმოს გადავიხდიო. სახმო-
სათვის მესახმოო დამზადებდა ლუდს იმის მიხედვით, რაძენი
ისტუმრის მოლოდინიც ჰქონდა. ნაკლების დაზადება და სახმოში
ლუდის გათავება სირცხვილი იყო. ხალხი იტყოდა: თუ არ შე-
ეძლო, რა ძალა ადგა სახმოს საქნელადო.

სახმოში დაბატიუებდა ყველა თავის მოკეთეებს და შეგობ-
რებს. მოკეთე-შეგობრებთან მოპატიუეს არ გაგზავნიდა. წინასწარ
დაუბარებდა ვინმეს პირით: „ამა და ამ დღეს სახმოო ვვექნები-
სა, წამახვიდით ვველინი“. მოკეთეც ამ დროისათვის საარაყეს გა-
მოსწურავდა. სახმოო უფრო შემოღვიმის დროს იცოდნენ, მანამ
დაზამთრდებოდა, რომ მოკეთები შორიდანაც მოსულიყვნენ. მო-
კეთეები დაიწყებდნენ მოდენას სახმოს წინა დღით. მოსული
სტუმრები სოფლის პირას ცხენებიდან ჩამოვიდოდნენ, ცხენებს
აღვირებით დაიჭერდნენ და ისე გაივლიდნენ სოფელს.

მასპინძელის კარზე მისულებს გამოეგებებოდნენ მასპინძელი
და მისი ძმა-სახლისკაცები. ამბავს ჰკითხავდნენ: „მშვიდობითა,

რას გუნებას ხართ? ხო არა გიჭირსთ ან კაცა, ან საქონის? მე/ /
ზობლებს ხო არვის უჭირს, სხო ახალ ამბავ ხო არაი თქვენი გადასახლება
„კარგად ორთ, რა იკითხების ჩვენ ამბავი. გვიდგას სულები თქვენის
იმედით, ხთის წყალობით“ — უპასუხებდნენ სტუმრები. ამ-
ბავს ჰკითხავდნენ სტუმრებიც მასპინძლებს, მერე მოხდიდნენ ცხე-
ნებს, სტუმრებს, კი აიყვანდნენ ბანზე და წინასწარ გამზადებულ
სკმებზე დასვამდნენ, საუბრობდნენ ახალ ამბებზე — ვინ ჯიხვი
მოკლა, ვინ ქისტი, ვინ ვისთან იშულლა და ვინ ვის უფრო შეტი
ჭრილობა მიაყენა; ისევ მტრები არიან თუ შერიგდნენ, ან რითი
და როგორ შერიგდნენ; ან ქალი ვინ ითხოვა, ან ვინ გაიტაცა
და ბოლოს როგორ წავიდა საქმე. ასეთი საუბრით მიღიოდა დღე
და სტუმრები თანდათან ემატებოდნენ. მასპინძელი ელოდებოდა,
რომ მოკეთები და მოწვეულები კველანი მოსულიყვნენ და მერე
დაეკლა საკლავები, რომ უფრო მეტ ხალხს ეთქვა წყალობა.

როცა ყველა მოვიდოდა, მასპინძელი მოიყვანდა ხუცესს.
„კოდისათვის სანთელს დააკვრეინებდა“ და გახსნილნენ კოდის (სან-
თლის დაკვრა ეწოდებოდა კოდის გახსნის წესების შესრულებას; ხუცობას და სხვა). მოკეთებები ქუდმოხდილი დადგებოდნენ კოდ-
თან. ხუცესი როასხენებდა: „ღმერთმა ადიდას თქვენ ძალი,
თქვენ სახელ-სამართალი, მესამეთოენო, ანგელოზნო. ღმერთმა
გადიღნასთ, ღმერთმა გაძრიელნასთ ამ კოდ-საფუარზედა, სეფე-
სანთელზე. შენა სამთავრო, თქვენა გასამარჯოდ მაიჯმარი ეს კოდ-
საფუარი. სეფე-სანთელი თქვენ სახმოოს პატრონისა, მამაშვი-
ლებისა საშველო, სახოიშნო, სამწყალობნო ხთის კარზე შაიტანი,
თქვენიმც ძალი სახელ-სამართალი დიღდებისა, კსენდების“. ამას
მოჰყვებოდა ხუცობა, ხუცობა — კურთხევა და ყველგან ხენ-
დებოდნენ მესახმოენი ანგელოზნი. ტექსტში ჩართული იყო სახ-
მოოს პატრიონი მამა-შვილების დამწყალობნება. ხუცობისა და კურ-
თხევის გათავების შემდეგ, ხუცესიც და ყველა აქ მყოფი ხალხიც
დაამწყალობნებდნენ. დამწყალობნება ხევსურეთში მამაკაცებისა
ცალკე იყო და ქალებისა ცალკე. ორივეს ერთად არ ამწყალობნებ-
დნენ. ორ ხუცობაში ურთავდნენ ორივე სქესს ერთად. აქაც ასე
იტყოდნენ: „შენ მამა-შვილების სამწყალობნელოდ მაიჯმარი (მამა-
შვილები მარტო მმრბობით სქესზე ითქმება, ქალი შვილებში არ
ითვლება), მაგათ თავისად, ჯალაფობისად“ („თავი“—მამაკაცები,
„ჯალაფობა“ მეორეხარისხოვანი ოჯახის წევრები—ქალები). საერ-
თოდ ხუცობის გათავების შემდეგაც ყველანი ასე დაამწყალობნებ-
დნენ: „გწყალობდასთ, მამა-შვილებო, მესახმოეთ ანგელოზთ დავ-



ლათი, კაცს გიმატასთ კას დროს, სარჩინსა, სარგებელს“ („კაცს გული ვატასთ კას დროს“ იგულისხმება მამაკაცები მოგემატოსთო. ჭრალი დროს მაშინ ეძინიან, როცა ოჯაში და გვარში ბევრი მამაკაცები არიან). კაცების დამწყალობნებას რომ გაათავებდნენ, მერე ქალებს ეტყობნენ კალე: „მანლილოსნებო, თქვენაც გწყალობდას მესახმ-თოენ ანგელოზი, საწარმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შავინახ-ნასთ, ნუ შავანანასთ მსახურობა, კლოვ უკეთი გულით მაგვერნასთ“. ვისაც ამწყალობნებდნენ, ისინიც ამბობდნენ ნელის ხმით: „თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენს თავს სწყალობდას“.

კოდთან ხუცობის და დამწყალობნების შემდეგ ხუცესი აი-ლებდა ლუდიან თასს, ზედ სანთელდაკრულს (ეს თასი ხუცობის დაწყებისასვე იყო აქ დადებული, კოდიდან ამოლებული ლუდით საესე), და იტყოდა: „გწყალობდასთ, მამა-შვილებო, მესახმთოეთ ანგელოზთ დავლათი, წაღმ მაგიარასთ, მშვიდობით შავინახნასთ, ლინი სახმოთ ნუ მაგიშალასთ, კლოვ უკეთი გულით მაგვერ-დასთ. სტუმრებს მაგიასთ წყალობა მესახმთოეთ ანგელოზთ დავ-ლათმ“. ამ დალოცვას რომ გაათავებდა, ხუცესი თასს მაღლა ას-წიველდა და კიდევ იტყოდა: „ამ სადიდებელზე გაგიმარჯოსთ ღნერ-ობა, მესახმთოენო ანგელოზნო, თქვენა სამთავროდ, გასამარჯოდ ხთის კარზე შაიტანეთ, ლერტით თქვენს ბატონობას გაუმარჯეებს“. ცოტანას გაჩერდებოდა და კიდევ იტყოდა: „კვართ დიდება, მეხვეწურთ წყალობა“. ამ სიტყვების შემდეგ დალევდა ცოტას. მერე თასს ხსევებს მისცემდა. ისინიც დაილოცვებოდნენ, ცოცოტას დალევდნენ. ბოლო თასი ხუცესის ხელშივე მივიღოდა და ის გამოსცლიდა. ამ თასს ხანდახან „თავემელად“ მღერაც მოჰყვებოდა. ბოლოს თასს ჩამოართმევდნენ, პატარა საწდეს აავსებდნენ ლუდით და ყველა სტუმარს თითო თასს დაალევინებდნენ. და-ლევის წინ ჩვეულებრივად ილოცებოდნენ. მასპინძელი ბანზე მო-იყვანდა სამ საქლავს. ერთს დაელავდნენ მესახმთოე ანგელოზ-თავის, მეორეს ადგილობრივი მთავარი სალოცვაისათვის და მე-სამეს კვირისათვის. კვირისათვის იკვლებოდა თხა, ცხვრის დაკვ-ლაც შეიძლებოდა, მაგრამ სახმთოში თხა აუცილებლად უნდა დაკ-ლულიყო, ამიტომ მესამე საქლავი იყო თხა (თხას და თიქანს ხუ-ცესი და მკითხვების უწოდებდნენ „კიკინმაღალა“, მამალ კხვარს „რქაგანგიანს“, ხარს და მოზვერს „ბუღაურს“). საქლავების და-კვლის დროს სტუმარ-მასპინძლები ქუდმოხდილნი ფეხზე იდგ-ნენ და პირვერს იწერდნენ. ხუცობის დროს ეს ხალხი ხმადაბლა ამბობდა: „ხთისაგან გაგემარჯვასთ, თქვენის გამჩენისაგან, თქვენ



უშველეთ თქვენთ მეხევეშურთ“. ხუცესი საკლავებს ცალცალკე მოახსენებდა და იხუცებდა. ხუცობა იყო ჩვეულებრივი, ჰურანტ ხუცობაში იმ ხთიშვილის სახელს ახსნებდნენ, რომლისათვისაც კლავლნენ საკლავს. ხუცესი თითო საკლავს ცალ-ცალკე იხუცებდა, დაკლავდა და დადებდა მოშორებით, ახლა მეორეს და მესამეს. საკლავები რომ დაიხოცებოდა, ხუცესი დანას გაწმენდდა თავისი ჩოხის კალთით, ქარქაშში ჩააგვებდა და იტყოდა: „გწყალობდასთ, მამა-შვილებო, მესახმთოენი ანგელოზინ“ და ა. შ. ხუცესთან ერთად სხვა ხალხიც ჩვეულებრივად ამწყალობნებდა სახმთოს პატრონს. აქაც კიდევ მოიტანდნენ კოშით ლუდს, ხუცესი ჩვეულებრივად შეუსახლებდა ამ კოშს და დალევდა, მერე კულას ჩამოურიგებდნენ და დაალევინებდნენ. ბოლოს კოში ხუცესის ხელშივე მოვიდოდა. ის გამოცლიდა და გადაიხდიდა მადლს. მერე თასს ჩამოართმევდნენ და ქუდებს დაითხრავდნენ. საკლავებს გადასცემდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც გაატყავებდნენ, ტყავებს პატრონს მისცემდნენ, ხორცს კი ნაწილს მოხარშავდნენ, ნაწილს კი მეორე დღისათვის შეინახავდნენ.

მესახმთოე სახმთოში მოკეთების გარდა მთელი : სოფლის მცხოვრებლებს მოიწვევდა—დიდია და პატარას, ქალსა და კაცს, გამოყოფდნენ თავისი გვარის ერთ ან ორ ახალგაზრდას და მათ გაგზავნიდნენ სოფელში. ისინი ყველა კომლთან მივიღოდნენ, ოჯახის უფროსს გარეთ გამოიძახებდნენ და ეტყოდნენ: „სამხთო-ი აქვ (სახელი სახმთოს პატრონისა), წამაგვლალნ, მაკეთეიც შაბიულიდაო -დ. თქვენაც ყველან წამერდითავ, არ დაზღვათავ არც დიდივ, არც ცოტაივ, თორემ თქვენს სახლს აღარ გავივლივ. ჩვენდავ ერთ-სიტყვაიც კაი ასავ, რო გვითხრათავ. წყალობას გვეტყვითავ თითო-ოროლი თასითავ. ნუ დაგვამადლებთავ“. „ლმერთმა ლენინის სახმთო ნუ მაუშალას, რა ცოტა ხალხ ექნების, მაგრამ ერთ-სხვის კვალად ვინ ას, წამაოლთ, მავემზადებითა, წამაოლთ“—უპასუხებდა ისიც. მაწევრებს შეიპატიუებდა სახლში, მაგრამ ისინი იშვიათად შევიდოდნენ, რადგან ეჩქარებოდათ, დროშე შეესრულებინათ დავალება და დაგვიანებისათვის უფროსებისაგან საყვედური არ მიეღოთ. სახლში თუ ნაწევ ოჯახს სტუმრები ჰყავდა, სირცხვილი იყო კარხე მისული კაცის შინ არ შეყვანა. ისინი აქაც არ დაიგვიანებდნენ, არც კი დასხდებოდნენ, თითო-ოროლ ყანწს ფეხშე მდგომნი დალევდნენ და მალე გამოვიდოდნენ. შინ შესულებს მთელი ხალხი მოეგებებოდა: „მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მოსულა“. „მშვიდობით დამხვდითა, კარგად“ —



უპასუხებდნენ მაწევრები. როცა დალევდნენ და გამოვიდოდნენ კუთხით გამოსულაშიც იტყოდნენ: „კვარ გეწერასთ სტუმარსაცა, მასპინძელსაც. მადლობელი ორ“. „კელ მაგიმართასთ ღმერთმ, გააშასთ, რაც ვინ იამეთ“. ამნაირად მოუვლიდნენ მთელ სოფელს. სოფლის ხალხიც — დიდი და პატარა — ყველა მივიდოდა მასპინძელთან.

სახმოოში ის ას მივიდოდა, ვინც ამ ოჩახის მტერი იყო და მათვის კარგი არ უნდოდა. მასპინძელს ის უფრო უხაროდა, რაც მეტი ხალხი მოვიდოდა, იმიტომ რომ წყალობას ყველა ეტყოდა და რაც უფრო მეტი ხალხი დაამწყალობნებდა, მეტი კარგი დაემართებოდა.

ხალხი რომ მოგროვდებოდა, იმართებოდა სმა. სტუმრები და ადგილობრივი ხალხი ყველანი ერთად ისხდნენ უფროსობის შიხედვით, უფრო კი მოსულ სტუმრებს სცემდნენ მეტ პატივს და ოდნავ ხნიერი თუ იყო, უფროსებთან დასხამდნენ. მერე მოჰყებოდა და სულ ბოლოს ახალგაზრდებს დასხამდნენ. დიაც-უმაწვილი უფრო განცალკევებით იყო. კარგა რომ დალევდნენ, მერე დადგამდნენ საღიდებელთ; იმდენ ლუდიან თასს დაღვამდნენ, რამდენი ხთიშვილიც იცოდა ხუცესმა ხევსურეთში. თასებზე თითო ფეხ სანთელს დააკრავდნენ და აანთებდნენ. სტუმრები და მასპინძლები ყველა ქუდმოხდილი დადგებოდნენ. ხუცესი შეუდგებოდა ხთიშვილთ ხსენებას. ის თასებთან ახლო იდგა, თითოობით მიუთითებდა და თითო თასზე თითო ხთიშვილს ახსენებდა, ანუ აღიდებდა. ხუცესმა ხთიშვილთ უფროს-უნცროსობაც იცოდა და ამის მიხედვით მორიგეობით ახსენებდა შათ. რაკი აქ სახმოო იყო. პირველად მესახმოო ანგელოზთ ახსენებდა, მერე ადგილობრივ მთავარ სალოცავს, მესამედ კვირაეს და შემდეგ სხვებს. პირველს ახსენებდა ასე: „ამ ჭიქა-ბარძიმზე თქვენ გადიდნასთ, გაძრიელნასთ ღმერთმა, მესახმოენო ანგელოზნო, თქვენა სამთავრო, თქვენა გისამარჯოდ მაიგმარეთ ჭიქა-ბარზიმი, საღიდებელი თქვენ თქვენთ მეხევწურთად, მესახმოეთად, მამა-შვილებისად (თუ ამ ოჯახში მამა-შვილები იყვნენ, მამა-შვილებს ამბობდნენ, თუ მამაკაცი მარტო ერთი იყო, არც მამა პყავდა და არც ვაჟიშვილი, ასეთი კაცისას მხოლოდ სახელის იტყოდნენ), მაგათ იავისად. ჯალაფობისად საშველოდ, საროიშნოდ; სამწყალობნოდ მაგმარი, ხთის კაზზე შაიტანი, შენიმც სახელ დიდდებისა, ქსენდების“. მეორე თასზე მიუთითებდა და თავის ადგილობრივ სალოცავს ახსენებდა, მესამეზე აუცილებლივ კვირაეს და ასე მოჰყებოდა. ყველა საღიდებლების ბოლოს რომ გავიდოდა, მერე ყველა



ხთიშვილი ერთად მოიხსენებდა შემდეგა სიტყვებით: „თუ ქართველი არ გამოიკვლევს სამთავრო, გასამარჯოდ მაიჯმარეთ, ნაკავინობის ანგელოზნიშვილის მაქსინებულ სადიდებელი“ — და შემდეგ ჩეცულებრივი გაგრძელება მოსდევდა. მერე ყველანი დამწყალობნებდნენ. სადიდებელს აიღებდა ერთ-ერთი მასპინძელი, ჭერ ხუცეს მისცემდა, მერე უფროსობით მოაყოლებდა და ყველას ხელშე დაურიგებდა. უფრო სტუმრებს არ გამოტოვებდა უსადიდებლოდ. სადიდებლებს რომ დაიჭირდნენ, ყველა დაილოცებოდა: „მამა-შეილებო, აგაშენასთ, ბარაქა მაგცასთ, ლხინი, სახმოო ნუ მაგიშალასთ, თვალ-გულ ნუ ვისა მავრივასთ, სიხარულა გაგიჯადასთ კევსურეთულთ ხთიშვილთ კსენება, დიდება. სტუმრებო -დ სოფლელებო, თქვენაც გრყალობდასთ ნაკსენებთ ანგელოზთ დავლათი, სასტუმროდ სანახავად ნუ დაგლივნასთ. მანდილოსნებო, თქვენაც გაგახარნასთ, გაგალალნასთ ღმერთმ, ტანით მთლადა, გულით მხიარულად გამყოფნასთ“. ამნაირად როცა ყველანი დაილოცებოდნენ, ხუცესი თასის მალლა აწევით კიდევ იტყოდა: „ნაკავინობი ანგელოზნო, თქვენა სამთავრო გასამარჯოდ მაიჯმარეთ ეს სადიდებელი, ხთის კარზე შაიტანეთ, აგრემც გაგემარჯვებისთ“. ხუცესის უკანასკნელ სიტყვებზე სადიდებელთ თასებს ყველანი მაღლა ასწევდნენ და იტყოდნენ: „ისმინეთა, გაიგონეთ, გამარჯვებას თქვენსა, თქვენის გამჩენის ხთისას“.

ამის შემდეგ იმართებოდა თავჭმელად მლერა. შემდერნებდნენ სტუმრებს ადგილობრივები. სიმღერას ფეხზე მლერის დროს თავიდან ბოლომდინ არ მლეროდნენ, მას იმღერებდნენ ნაწყვეტნა-წყვეტებად. ვისაც სადიდებელი თასი ჰქონდა, პირველად იმათ უმღერებდნენ, მერე ისინიც უპასუხებდნენ და თავის თასებიდან ასმევდნენ ლუდს.

თასები რომ გამოიცლებოდა, უკვე ვიცით, რა წესით ჩამოიყრიდნენ ყანწებს და დაიხურავდნენ ქუდებს.

თასებს თავის ადგილზე დადგამდნენ, ხალხი დარიგდებოდა ადგილებზე და იმართებოდა სხა. ზედამდეგებს ედგათ საწდებით ლუდი და ასმევდნენ ხალხს. მასპინძელი ან მისი მახლობელი ვინმე არაყს არიგებდა. მოსული მოკეთებიც თან მოტანილ არაყს ალევცნებდნენ ხალხს.

სმაში მოაყოლებდნენ იმ კაცის სადღეგრძელოს, ვის გამოც დამზადებული იყო სახმოო. მაგალითად, თუ ახლად შემოემატათ ვაუიშვილი და ამით გახარებულმა ოჯახმა გადაიხადა სახმოო, ამ სადღეგრძელოს მოაყოლებდა ერთი კაცი დიდი თასით, მეორე:



ლუდიანი თასით ხელში თავს ადგა და ვინც ერთბაშად არ დალევჭილოდა და სულს უქცევდა, იმას ხელმეორედ აუცხებდნენ და დაალევინდნებოდა დნენ. სარტყეგრძელო იყო ასეთი: „ადლეგძელას ის კაცი, ვისაც გულისად დღეს ანგელოზენ ქსენდესა დიდდეს. ეწეოდას მესამხოვეთ ანგელოზთ დავლათიცა, ჟევსურეთულნ ხთიშვილნიც, ძალ ხთისა ეწეოდას. შუქ მზისა. გაზარდას, კაის ბედის კაც გამაიყვანას. ისრ ადლეგძელას, როგორც დედ-მამისა. მაგის კაის მენდობის გულს უნდ. მანამდე ადლეგძელას, მანამ პერანგის ზიდვა შაუძლავ. სარგებელ იქნას დედა-მამისაცა-დ, ჩვენიც, თქვენიანად ადლეგძელას, ხალხნო, კაის მენდობიანად. ამინ“. კაცებს ასე დაალევიხებდნენ ყველას. მერე ქალებსაც დაალევინებდნენ. ქალები ასეთ სადლეგრძელოს იტყოდნენ: „ადლეგძელას ღმერთმ (სახელს იტყოდნენ, ვისაც სადლეგრძელო იყო), ეწეოდან დლეგძელობაში კევსურეთულნ ხთიშვილნიცა, ღმერთიც. დედ-მამიანად, კაის მენდობიანად ადლეგძელას. ვისაც მაგის დლეგძელობა არ უნდ, ღმერთმა ნუვინ უდლიგძელას. ილბლიანთ ილბალ ეწეოდას, დავლათიანთ დავლათი, ერთგულის ილბალ შასწიოს, ორგულის დლენი. მანამ ადლეგძელას, სანამ ცას ნამ მაზდისა, მიწას მწვანილი. თქვენა დაგლოცნასთ, ყველან გადლეგძელნასთ, წყალიობა მაგცასთ, რაისაც სადიდებელი ას. ქალ-დიაცებო. თქვენის გახარებისა, ყველაისა. ჭირს კსომ თქვენს ყველასას“. ასეთი სადლეგრძელოს წარმოოქმის შემდეგ დალევდნენ დედაკაცებიც. შელავათს სადლეგრძელოში არავინ მრიცემდა არც ქალს და არც კაცს. სადლეგრძელო თასს თან ჰყებოდა ანთებული მსხვილად ჩამოქნილი სანთელი, რომელსაც ეწოდებოდა კელაპტარი. ვისაც თასს მისცემდნენ, იმასვე მიაწოდებდნენ მეორე ხელში ანთებულ სანთელსაც. როცა დალევდა, ისევ ჩამოართმევდნენ და მის გვერდზე მჯდომს გადასცემდნენ სანთელსაც და თასსაც.

ეს ცერემონიალი რომ მოთავდებოდა, იმართებოდა ცეკვა დალექსობა, ფშაურად მღერაც. ფშაურად უფრო მოკლე-მოკლე ლექსებს იმღერებდნენ.

სახმოთში საერთოდ დიდი მხიარულობა იყო მიღებული. შეტს ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ლექსობდნენ, რადგანაც სახმოთო ლხინის დღე იყო. ლხინი და მხიარულება რომ მოთავდებოდა, აშ დროისათვის ხორციც მოიხარშებოდა. ხორცს ფიცარზე ამოიღიდნენ და პატარა ნაწილებად დაჭრიდნენ. აქვე სატაბლო პურებზე დააწყობდნენ ვარაუდით. ზედამდეგები ხალხს დასვამდნენ წესის და უფროს-უმცროსობის მიხედვით. მერე მიიტანდნენ ფარდაკებს,



ტყავებს და გაუშლიდნენ წინ მწკვრივად დამსხდარ ხალხს. ქრთა
ხის ან სპილენძის ტაბლას მიიტანდნენ და უფროსებს დაუდგაშინებოდა
წინ. მასპინძელი იტყოდა: „ღმერთო დალოცვილო, გაუმარჯვი მე-
სახმოოეთ ანგელოზთ. მესახმოონო ანგელოზნო, კარგად გვიყო-
ფენ ეს სტუმარ-სოფლელები, მიეც ლხინი შინაცა, მოკეთისასაც“. სტუმრები კი ასე დაილოცებოდნენ: „ღმერთო მადლიანო, გაუ-
მარჯვი მესახმოოეთ ანგელოზთ! მესახმოონო ანგელოზნო,
სწყალობდით ამ სახმოოს პატრონს მასპინძელს, დაადეით წარმ,
თქვენი წყალობით შინახენით, კარგად უმყოფეთ სტუმარ-სოფლე-
ლებიც, უდინენით მუდამ ლხინზედ“. შემდეგ მოუტანდნენ სა-
ტაბლო პურებს, რომლებზედაც ხორცი იყო დაწყობილი და ტაბ-
ლაზე დაალაგებდნენ. მერე ფარდაგებზე ხალხის წინაც დადგამდნენ
ტაბლებს. ტაბლაზე სამ ლუდიან თასს დადგამდნენ, ზედ სანთ-
ლებს დააკრავდნენ და ხუცესი იხუცებდა. ხუცობა იყო ჩვეულებ-
რივი. თავის ხუცობაში იგი მესახმოო ანგელოზთ სთხოვდა სახმ-
თოს პატრონისათვის დახმარების გაწევას და ყოველგვარი გა-
ჰირებიდან ხსნას. ხუცობა რომ მოთავდებოდა, დაამწყალობნებ-
დნენ. მერე აიღებდნენ ამ სამს თასს, ერთს ხუცესს მისცემდნენ
და ორს — სხვა უფროს კაცებს. ისინი დაილოცებოდნენ. ხუცესი
უკანასკნელად ტიდევ შეუსახელებდა თასებს, სამივენი მალლა ას-
წევდნენ და იტყოდნენ: „მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გაძქე-
ნის ხთის კარზე, თქვენიმც ძალი, სახელ-ი დიდდებისა, კსენდების“.
შემდეგ ყველანი სათითაოდ იტყოდნენ: „გვართ დიდებაი -დ მე-
ხვეწურთ წყალობა“ და დალევდნენ, ამ თასების სმის დროს ფეხ-
ზე მდგომი ახალგაზრდები „თავკელად“ უმღერდნენ თასიანებს.
ისინიც სიმღერით უპასუხებდნენ და გამოცლიდნენ ამ თასებსაც.
ახლა სხვებს აავსებდნენ და დაურიგებდნენ სტუმრებსაც და ად-
გილობრივ უფროს ხალხსაც. თასიანები ისხდნენ, მხოლოდ ხუ-
ცესი ან სხვა უფროსი კაცი ვინმე აღგებოდა ფეხზე და ტაბლას
მიცვალებულებისათვის ეტყობა შანდობას. ეს ტაბლა დაილოცე-
ბოდა ამ ოჯახის წინაპრებისა და მათი ჩამომავლობისათვის.
ტაბლის დალოცვის წესი ყოველთვის ერთნაირად სრულდებოდა.
ტაბლა რომ დაილოცებოდა, ყველანი ფეხზე აღგებოდნენ და იტ-
ყოდნენ: „შაუნდნას, ღმერთმა აჯმარას“. უთასოები ისევ დასხდე-
ბოდნენ, თასიანები კი ფეხზე მდგომნი დაილოცებოდნენ: „მასპინ-
ძელო, ბარაქა მაგცას ღმერთმ, სახლ აგიშენას, ლხინის სასმელ
ნუ მაგიშალას, სტუმარ-სოფლელებ დაგლოცნასთ, გაგიმარჯოსთ,
მუდამ ლხინზე გადინნასთ მაკეთისასაც, შინაც ლხინ მაგცასთ.



შაუნდნას იმათ კი, ვისადაც დაილოც ეს ტაბლაი -დ სასმელი, მეტად გამოიყენება „აქმარას“. ყველანი ასე დაილოცებოდნენ და დალევდნენ. ამ თავის სების სმის დროს მღერა არ იცოდნენ, რადგან მიცვალებულისა-თვის იყო დალოცვილი. ვისაც თასები ჰქონდა, თანადათანობით ართმევდნენ, ავსებდნენ და სხვას გადასცემდნენ. ყველა ერთნა-რი სიტყვებით დაილოცებოდა და დალევდა. ამ შესანდობარს ქალსა და კაცს ყველას სულუქცევრად დაალევინებდნენ, სურდა თუ არა. შასანდობარის სმა რომ მოთავდებოდა, ყველანი ისევ თავ-თავის ადგილზე დასხდებოდნენ. ზედმიდეგები იღებდნენ პურს და თითო კაცს გაუტეხდნენ ხელში. პურის გატეხის დროს სტუმარი იტყოდა: „ღმერთო, გაუმარჯვი მესახმთოეთ ანგელოზთა, ანგელოზნო, თქვენ სწყალობდით სახმთოს პატრონს მამაშვილებს, დაადეით წალმ, თქვენი წყალობით შაინახენით“. მასპინძელი ან ზედამდეგი იტყოდა: „მესახმთოენო ანგელოზნო, თქვენ სწყალობ-დით ამ ჩვენს სტუმარ-სოფლელებს, დაადეგით წალმ, თქვენი წყალობით შაინახენით“. ამის შემდეგ იწყებოდა ჭამა, ოლონდ დი-აცები კაცების ჭამის გათავების შემდეგ დასხდებოდნენ საჭრელად.

კაცების პურის ჭამის დროს კარახანები მოჰქონდათ და თავ-კმელად სიმღერა იმართებოდა ჩვეულებრივად. სტუმრებს უშლე-რებდნენ:

თქვენ ჩვენად რამ ჩამაგყარნათ, არწივონ ქუშონ მზისანო?
სასტუმროდ საყვარელი ხართ, მასპინძლად შუქნო მზისანო,
მაყეთის გამლალებელნო, გამჭარებელნო მტრისანო.

სტუმრები მასპინძლების მღერის დროს ნელ-ნელა სვაძლენენ ლუდს და ბოლოს თვითონაც შემღერნებდნენ:

მე აქა მასვლა არა ვთქვი, მაძოვა მმ ბალიხისა,
აეხლად წასვლა არ მშადის, გაშირვა მმ ქალაქისა,
არ მამწყინდების თქვენთან ყოფნა დიდი ხნის ვადითა,
მასპინძლად ღიღებული ხართ, მტერთ კი უბარებთ ქადინსა,
მაინმობთ ცვავთა, ყორანთა, მტრის ლეშზე იჭმევთ სადილსა.

ჭამას რომ მოთავებდნენ, ზედამდეგები ტაბლას აუმატებ-დნენ, ტაბლის ალების დროს დაილოცებოდნენ იმავე სიტყვებით, როგორც ტაბლის დადგმის დროს. ტაბლას რომ აიღებდნენ, ზე-დამდეგებსაც დასვამდნენ, სტუმარი ახალგაზრდები შეიძლება დამდგარიყვნენ ფეხზე ზედამდეგების პურისჭამის დროს.

ჭალები როცა ჭამდნენ, აქ კაცი ზედამდეგები იდგნენ ფეხზე და ასმევდნენ. ტაბლის ალების შემდეგ ცოტახანს კიდევ ცეკვას



ან ლექსობას დაიშვებდნენ, ბოლოს ადგილობრივი ხალხი მოულ
სტუმრებს თავთავინთ ოჯახებში წაიყვანდნენ. როცა ძილის დადგინდო
მოვიდოდა, ქალები სტუმარს ფეხსაცმელს გახდიდნენ, ჭრებს
ამობერტყავდნენ (ბალას ამოილებდნენ) და დაპკილებდნენ შა-
ლლა, მოუტანდნენ და ჩაცმევდნენ თათებს. დააგებდნენ ვერ-
ხოში ლოგინებს, სტუმრის თვისისაც და თავის ოჯახის წევრი კაცე-
ბისათვისაც. თუ ახალგაზრდა სტუმარი იყო, მისთვის შეიძლება
კერხოში დაბლაც გაეშალათ ლოგინი, თუ ზაფხული იყო, შაშინ
ბანზედაც გაუშლიდნენ და მასთან მასპინძელი ქალიშვილი ან
თვითონ დაიძინებდა ან სხვა ქალთან უელჩებდა. სტუმრის დაწო-
ლამდინ არ დაწვებოდა მასპინძელი. თუ იგი ახალგაზრდა იყო,
სტუმარი კი მასზე უფროსი ან მისი ტოლი, ის აუცილებლივ სტუ-
მარს ლოგინში დააწვენდა, დახურავდა და მერე თვითონ დაწვებოდა.
თუ სტუმარი ახალგაზრდა იყო, მასპინძელი კი ხნიერი, შაშინ
სტუმარი მასპინძელს დააწვენდა, დახურავდა და ეტყოდა: „ვარ
გეწერას, ძილნებისა მაგცას“. „ყოფა ნებისა მაგცას“ — იტყოდა
მასპინძელიც.

შეორე დილას ყველანი მოიყრიდნენ თავს ისევ სახმთოს პა-
ტრონთან. იმართებოდა კიდევ სმა. მასპინძელი ყველას დაალევი-
ნებდა სადილაო არაყს. სტუმრებს ეჭირათ თავისი ქინთები, და-
დიოდნენ ხალხში და ცდილობდნენ არავინ გამორჩენოდათ ისე,
რომ თავისი არაყი არ დაელევინებინათ, ამასობაში ხორციც მოი-
ხარშებოდა და ტაბლას დაუდგამდნენ ყველას.

სახმთოში შუღლიც ხდებოდა, ერთიმეორის დაჭრაც. თუ
შუღლი არ მოხდებოდა და ხალხი ჭკეიანად იყო, მაშინ მასპინძელი
სტუმრებს ლუდიან საწდეს მოუტანდა პატივად. საწდის პატივად
მიტანა დიდ პატივისცემას ნიშნავდა სტუმრებისათვის და ძალიან
დიდ მაღლობასაც გადაუხდიდნენ.

საწდის პატივად მიტანა ასე იცოდნენ: მასპინძელი ერთ
ქვაბს ანუ საწდეს ლუდით აავსებდა, მიიტანდა სტუმრების წინ,
დადგამდა და უტყოდა: „სტუმრებო, ეს საწდე თქვენ პატივი იყოს.
მე მაღლობელი ორ, რომ მე ბეჩავ კაცი კაცად ჩამაგლით. ჭერ
მახველით სასმლითა, საგძლით მძიმედ, მეორე, არც თავს ხკად-
რეთა -დ არც მე შამაწუხეთ — ერთმანეცი არ გააჭავრეთა -დ ეამკარ
არ ამირიეთ“. „პატივი, კაი კაცობა ნუ მაგიშალასთ ღმერთმ“ — ეტ-
ყოდნენ სტუმრები. მერე ერთი სტუმართაგანი ამოილებდა თასით
ლუდს, მისცემდა ერთ-ერთ უფროს კაცს და სთხოვდა — ამ საწ-
დეს სიტყვა უთხარიო. უფროსი კაცი ადგებოდა, თასს ხელში და-



იქერდა, საწმესთან ახლოს დადგებოდა და იტყოდა: „ღმერთშოთ უმშებიობა დიდება შენდა! ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, გაუმარჯვი შე-სახმიოეთ ანგელოზთ, მესახმთოენო ანგელოზნო, თქვენ სწყალობდით (მასპინძლის სახელი), თქვენი წყალობით შაინახეთ. ანგელოზნო, ნუ იქ ისრ (სახელი კიდევ) საქმეს, რო გასაგო არ გაიგას, პატივ დასადებს პატივი არ დაზღვას. მესახმთოენო ანგელოზნო, ნუც ამ სტუმრების საქმეს იქ ისრ, რო ხალხში, საცა გავლენა-გამავლენ, პატივ არ ედვას, საპატიო არ მიუდიოდას, ხალხი არ ხედევდენ. მესახმთოენო ანგელოზნო, თქვენი დიდებითა, ჩემის სიტყვის მავსენებით, ხთის წესითა, ლდლის წესით, იერუშ-სალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ზედამრჩეობის დღეგძელობდით სააქაოს ნათქვამი თუ საიქიოს მიდიოდას, წესი სამართალიყოს, სულს შანდობა მიუდიოდას, ეს ავსებულ თასიცა, საწდეიც როგორც ჩვენს კელთ ას, ისრამც სულს (მასპინძლის მიცვალებულის სახელს რომელიმეს იტყოდა) მაეკმარების“. „შაუნდნაუ ღმერთმ, მაავმარას“ — იტყოდნენ ყველანი. ვინც დალოცავდა, ის ამ სავე თასს ჩასხამდა საწდეში, მერე ამ თასს ისევ ის სტუმარი აუგსებდა ლუდით და მისცემდა დამლოცავს, რომელმაც პირველად აუგსო. ის დაილოცებოდა და დალევდა. მერე სტუმარი ამავე თასით პატივად მოტანილი საწდიდან ყველას დაალევინებდა, სტუმარსაც და მასპინძელსაც. ბოლოს, საწდე რომ გამოიცლებოდა, სტუმრები კიდევ გადაუხდიდნენ მაღლობას პატივისცემისათვის მასპინძელს. სტუმარი, რომელიც ამ პატივის საწდიდან არიგებდა ლუდს, დაჯდებოდა, ოლონდ დაჯდომის წინ ხმამალლა იტყოდა: „ღმერთმა გაამასთ, ვაებო, თუ რა ვინ იამეთ“. „ღმერთმა გაცოცხლას“ — ეტყოდნენ. ბოლოს, სმა-ჭამა რომ მოსწყინდებოდათ, სტუმრები მოემზადებოდნენ წასასვლელად. მასპინძელი კიდევ სთხოვდა დარჩენას, მაგრამ თითო-ორთოლა თუ დარჩებოდა, უძრავლესობა კი წავიდოდა. წასულ სტუმრებს ნაარაყალ ქინთებს ლუდით უვსებდნენ და საგზაოდ გაატანდნენ თან.

სტუმარმასპინძლობის ჭესი მტრების შერიგების დროს

ხევსურეთში მტრობა სულ პატარა საქმეზეც კი ადვილად ხდებოდა, მაგრამ შერიგება ძნელი იყო. შულლის შემდეგ შუაკაცები შერიგებისას ხელს ჩამოართმევდნენ ორივე მხარეს, ერთად მიიყვანდნენ და შეარიგებდნენ, იმდენად მაინც, რომ გზაში შეხვე-



დრილებს აღარ ეჩხუბათ. მთავარი შერიგება კი გადაიდეს შემდეგისათვის.

შაშულლარები რომ ერთმანეთს დაჭრიდნენ, მათ პირველ შერიგებას, ეწოდებოდა „ერთად შეყრა“. ერთად შეყრის დროს ერთმანეთს პატივს დასდებდნენ ჭრილობის მიხედვით. ხელზე, ფეხზე, თავზე და სხვა პატარა ჭრილობებს, თუ ის არ ასახიჩრებდა ადამიანს, ეწოდებოდა „საფათვლე ნაჭრევი“. ასეთ ნაჭრევზე დამჭრელი პატივს დასდებდა ერთი აბაზი ვერცხლის ფულით. შუაკაცები დამჭრელს გამოართმევდნენ ამ ფულს და დაჭრილს მიუტახდნენ. ამას ეწოდებოდა: „კმელი პატივი“. პატივის დადების შემდეგ დაჭრილი მშეიდებოდა და საღმე შეხვედრილს შულლს აღარ გაუხდიდა. დამჭრელი თუ პატივს არ დასდებდა, ეს ნიშნავდა ერთმალობას, კაცის აბუჩად აგდებას, რის გამოც დაჭრილი ძალიან ბრაზდებოდა და ექცებდა მარჯვე დროს. სამაგიეროს გადასახდელად. კაცი თუ ხელში ან ფეხში მძიმედ იყო დაჭრილი და დასახიჩრება, ელოდა, ან პირსახეზე სჭირდა ჭრილობა, ან მუხლიდან ერთ მტკაცელს ზევით, ან წელს ქვევით, ასეთებზე იყო „საკლავ პატივი“. საკლავ პატივიც იყო „სისხლიანი“ და „კმელი“. კმელი საკლავ-პატივი იყო ექვსი აბაზი ვერცხლის ფული. ელოდა თავში მიყენებული მძიმე ჭრილობისათვის, იგრეთვე შუბლში სამი ნაჭის ზემოთ მიყენებული ჭრილობისათვის; ხელი ან ფეხი თუ ნახევრად სახიჩრდებოდა, ამისათვისაც, სისხლიანი საკლავ-პატივი იყო ერთი აბაზი ფული და ერთი საკლავი. მუხლს ზევით ერთი მტკაცელის გადაზომის შემდეგ და წელს ქვევით მიყენებულ ჭრილობას უწოდებდნენ „საუნამუსოე ნაჭრევს“. რადგან შეხვევის დროს ქვედა ტანსაცმელს სჭირდებოდა გახსნა. ამასაც ეკუთვნოდა სისხლიანი საკლავ-პატივი. განსაზღვრული წესის მიხედვით შუაკაცები დამჭრელს ართმევდნენ ზემოთ დასახელებულ საკლავ-პატივებს და მიპერნდათ დაჭრილთან. ამავე დროს ეუბნებოდნენ დამაშეიდებელ სიტყვებს. დამჭრელს თუნდაც სინანული არ გამოეთქა, შუაკაცი დაჭრილს მაინც ამბავს მოუტანდა: შენს დამჭრელს ძალიან ენანება, ეს არ ჩამედინა და მოვმკვდარიყავი, ის მერჩივნაო. ასეთი სინანულისათვის დაჭრილი გულს მოიბრუნებდა და შერიგებაზე ფარს აღარ იტყოდა. მოსულ შუაკაცებს დაჭრილი ისე მოეპყრობოდა, როგორც სხვა სტუმრებს, მოეგებებოდა, მშვიდობა-ამბავს ჰკითხავდა და ზრდილობიანად ექცეოდა. შუაკაცად მოსული სტუმარი კი მორიდებით იქცეოდა, დასამშეიდებელი სიტყვებით ესაუბრებოდა და ხაორიანად სთხოვდა შერიგე-



ბას. დაჭრილი კაცი შუაყაცს ეტყოდა: „მე მადლობელი ორ, რომელიც ჩვენს შუაში კას სიტყვას ხარჩავ, ფეხზე ადგომაც არ გვკადრების ჩვენ კვალათ გულისად (ე. ი. ჩვენისთანა კაცების გულისათვისი). მია-დ. ეგი დიდხანს ვერ შავლრიგდებით; არას მემართლებოდ, რო ეეგრ გამქად. მარტოებ რო შავიყრებითა -დ სურ-სურად ვიშულლებთ, მემრ თავისთავად შავლრიგდებით“. შუაყაცები ეხვეწებოდნენ: „შალრიგდით, სისხლ სისხლით არ დაიბანების, მახდლ, რაიც მახდლ. შულლზე საკვირელო ამ უნდა გამავიდას; განა შულლ-უნახავი ხარ, კაცს შულლიც უნდა შეეძლიყოსა-დ შარიგებაიც. თქვენს მტერობას ცა-მზეს ხო არ გააწვდენთ. რაც უნდა დაიდხანს იმტერათა -დ იარაღ უქნიოთ ერთმანეთს, ბოლოს მაინც შარიგება გინდათ, ცოტა საქმე უფრო მარჯვე გასარჩევია ასა, უფრო მეტ საქმე რომ დაილივის, მაშინ უფრო მეტ ხათაბალა დაშვირდების თქვენს შარიგებას. ის კაცი ნანობს, თვიდან-ილი შენთან. წინ უდგეორავ, თეთრი იქროთ აგილესავავ თქო, რა-იც დავლიევ, ჭარით ვაკეთებავ, არ მამკდარიყვავ, კა იყვაოდ, მახ-კდაო, თავის დალეულსავ გაძლოლა გაკეთება მინდავ“. დაჭრილი ეტყოდა: „მე მაგისგან მკვდარი ორა, ხთისგან ცოცხალი. კაც რო კაცს ესრ გამაიქჩერებასა, სასიკვდილოდ იარაღს უქნეს, მაშინ ისი კაცთ არაად ყრისა, მანამ მარტო მარტოსთან არ იშულლებს, მა-ნამ გონთ არ მავ, როსაც მარტო-მატონ შავიყრებით ისეთს ალაგში, რო ცის მეც არა-ი გვხდევდასა, მარტ-მარტონი ვშულლაობდათ. მემრ იქნების შარიგება. ეეხლა მეშველში დამკრა, ისი ლგონავ სრუ ეეგრ იქნებისავ“.

ბევრს ისაუბრებდნენ და ბოლოს შუაყაცები ქუდებს მოიხდი-დნენ, დაჭრილის წინ გადაყრიდნენ და იტყოდნენ: „აი ამ ჩემი ქუდით გეხვეწები, უფერს ნულარას ჩამააგდებთ, შალრიგდით, ეს დალეულ საქმეიც გაწმიდეთ. კაცმ მაშინ უნდა გაუგონას, რახან კაცნ ეხვეწებოდან, თორემ კაცათ თუ თავ დაინებეს, მემრ უფრის საქმის მეტ ალარა მახდლებისა, უფერ საქმე ძნელ გასაწმედი. ეეხლა ქვე არაი გვირს იმთავენი, მაშინ დიდ საქმე გაიძაქების. ჩიტის სკუნტლზედაც ციხე აშენებულავ — იცოდიან წინავ. მარ-თალიც ას, სრუ მუდამ ცოტას საქმეზე მადის ცუდ საქმე, კაც თუ გონთ არ ასა, არ ერცდების ეშმაკის საქმეს. თქვენს შუაში ეშ-მაკი ამაღლებული. ან ერთს მაგინელებსთა -დ ან მეორესა, მაშინ დასხდებით“.

დაჭრილი კაცი ქუდებს თითოობით აიღებდა, გაბერტყდა და თავის ხელით დახურავდა თავზე ქუდის პატრონებს. შემდეგ ეტ-

ყოდა: „მადლობელი ორ, წელანაც გითხარით, ჩვენის გულშემდებარებული ფექტები აღმომასაც არ უნდა ხეაღრობდათ, თორე ჭუდის კდის კი არ. იყოს, მიპატივებავ ამ თქვენის ჭუდებისად, რა უყოთ, თუნდა ქვეც მავეკალი თქვენის ჭუდებისადა თქვენდ ისიც უნდა დაეთმ ჩემებს ძმა-სახლიყაცებს, თორემ ეს ნაჭრევებ კი არ“. შუაკაცების მოსვლას და შერიგებაზე საუბარს დაჭრილის მოგვარეებიც ეს-წრებოდნენ, იმუქრებოდნენ და ცხარობდნენ. ბოლოს შუაკაცები რომ აღარ მოეშვებოდნენ და დაჭრილი შერიგებაზე დათანხმდებოდა, თავისიანებსაც ეტყოდა — დავთმოთ ამ შუაკაცების ხათრით და შევრიგდეთო. როგორც იქნებოდა, იმათაც დაითანხმებოდნენ.

სშირად ხევსურეთის მოსისხლეობასა და ჭრა-ჭრილობას ერთომეორეში ურევენ და ყველას მოსისხლეს უწოდებენ. მოსისხლეობა, ანუ „მამკლავ-მამკვდრობა“ ეწოდება მარტო იმას, როცა კაცი უკვე მოკლულია სხვისი ხელით და მომკლავის გვარი ითვლება მოკლულის გვარის მოსისხლედ. უბრალოდ დაჭრილი არის „ნაჭრევიანი“, დამჭრელს ეწოდება „მენაჭრევე“. ისინი მოსისხლეები არ არიან. მათი საქმე „ჭრა-ჭრილობად.“ იწოდება. სიკვდილის შემდეგ ჩავარდება მოსისხლეობა ანუ მამკლავ-მამკვდრობა:

როგორც აღვნიშნეთ, პატარა ჭრილობებზე მოწინააღმდეგენი ადვილად შერიგდებოდნენ, საკლავ-პატივი თუ იყო საჭირო, მაშინ ჭიანურდებოდა შერიგება. შერიგებაზე რომ დათანხმდებოდნენ, შუაკაცები კიდევ მოიხდინენ ჭუდებს და ეტყოდხენ დაჭრილს: „მადლობელნი ორთ, რო ჩვენაც კაცად ჩაგვაყარენითა — დორიგდებით. თავსაც ჭირ მააშორეთ. ამ ნაჭრევს აქიმს დაგაყენებას, ამაგას რაიც მაუდის, მზას ას ის კაცი. დღესა გაგიძლვების“ (ამ წესით შერიგება მძიმე ჭრილობის დროს ხდებოდა; მძიმე ჭრილობას ეკუთვნოდა სისხლიანი საკლავი). შუაკაცებთან საუბარს რომ გაათავებდა, დაჭრილი მათ შინ შეიპატიუებდა და სტუმარმასპინძლობის წესით პატივს სცემდა; რაც კარგი ჰქონდა, ეს ოჯახი მათვის არ დაიშურებდა. ბოლოს შუაკაცები ბრუნდებოდნენ მენაჭრევესთან (დამჭრელთან) და ამბავს მიუტანდნენ. ის მოამზადებდა საკლავს, ერთ აბაზს ფულს და ცოტა სასმელს. წავიდოდა დაჭრილთან და თან გაიყოლებდა ერთ-ერთ შუაკაცს. ისინი მივიღოდნენ დაჭრილის სახლთან სალამოხანზე, ზინდობისას. შუაკაცი „საკომითანით“ დაუძახებდა: „შინ არ ხართა? კატია გამაედით“. ოჯახში ვინც მამაკაცები იყნენ, ყველანი გარეთ გამოვი-



დოლნენ და თუ მოსულები სხვა სოფლიდან იყვნენ, ეტყოდნენ: „გამარჯვება, ვაჟებო“. თუ ამავე სოფლიდან იყვნენ: „მოგვიხვდოთ მაშვიდობით, ვაჟებო“. დამჭრელი კაცი ხათრიანად იქცეოდა, თითქო რცხვენოდა, ეს საქმე რად ჩავიდინეო. შუაკაციც ძალიან არ თამობდა, მასაც სჭირდებოდა ხათრიანი და მორიცებული საუბარი დაჭრილთან. დაჭრილი და მისი ოჯახის წევრები მოსულ სტუმრებთან ისე ზრდილობიანად იქცეოდნენ, თითქოს მათ შორის ცუდი არაფერი მომხდარიყოს. თუ ცხენით იყვნენ მოსულნი, ცხენებს ჩამოართმევდნენ, უნაგირს მოხდიდნენ და ბალაზე გაიყვანდნენ, მშვიდობა-ამბავსაც დამშვიდებულად ჰქიოთხავდნენ. ბოლოს სახლში შეიყვანდნენ. სახლში შესული სტუმრები ეტყოდნენ: „ომერთმც აგაშენებსთ“. „დაგაშვენნასთ ღმერთმ, მაგვიხვეო მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასკვლა“ — უპასუხებდნენ შინაურები. მასპინძლები სტუმრებს საუფროსო სკამისაკენ გადაიპატიუებდნენ, მაგრამ დამჭრელი არ წავიდოდა საუფროსოში, ბოლოს დაგდებოდა. შუაკაცს კი იქ დასვამდნენ. ცოტახანს ისაუბრებდნენ სხვა რამეზე და მერე შუაკაცი ადგებოდა და დაჭრილს ეტყოდა: „მე მადლობელი ორ, რო საქმე აქამდინ მიიყვანეთ, რო ეხლა ერთად შაიყარენით, სტუმარ-მასპინძლელნ გახქეით. ღმერთმა, ე ჩვენ სალოცავებმ გიშველანთა, ნულარა ავ ჩამაგიგდასთ. ეხლა მე გახარებული ორ, რო კაცად ჩამაგდითა -დ ჩემი შუაკაცობით შალრიგდით. ნათქვამი ას: კა მტერივ ცუდ მაკეთეს უკობავ. ჯიშიანმ კაცმ ავიც იცისა, კაიც“. შუაკაცი ამ საუბრის დროს ქუდს მოიხდიდა და საუბრის გათავებისას ისევ დაიხურავდა; „მადლი ხთისა გწეოდას, ჩვენ ორთ მადლობელნ, რო ჩვენის გულისად სწვალობთ“ — ეტყოდნენ მასპინძლები. დაჭრილი იტყოდა: „ეჲ, ეხლა აღარაი ას სასაუბრო, ეხლა შინ მასულები ხართ, ჩემებ სტუმრები ხართ. რაიც იყვ, იყვ. მე ამას არ უხედევდი (არ მოველოდებოდი) ჩემს ეესრ გავდას, არ მეგონ, თუ ამთვნად გამიძრებდ, მაგრამ შულლ ძმათაც მაუკდებისა, იქავ ძმანი, უშულლარი ვინ ას. თუ კაცი კაცსთან მიიღოს, ეს დიდ საქმეი, მე დღესიდგი მტერ აღარ ორ, არც გზაში შეყრილისაი -დ არც სხოდ. თუ აქამდენ შავყრილიყვენით კი არ მქონდ კა გული, ვიშულლებდით. ეეხლა კი ჩემს გულში ცუდ აღარაი ას. როსა მავრჩები, ყველას თავის წესი, რჯული აქვ, ნიადე რჯულ მაგვიქდების. მანამდე ეესრ ვიქნებით, ხოლოთ აქიმ მინდ, უაქიმოდ ნაჭრევიც გაფუჭვდებასა -დ ნაჭრევის გაფუჭვებას მანდევს სიკვდილი -დ ხათაბალა. როსაც აქიმ არ ადგას, ცოტა ნაჭრევიც კლავს კაც-



სა, როსაც რიგიან აქიმი ხყავ, მძიმედ ნაჭრევიან კაციც მართველი რჩების. არცალ გვინდ ეეხლა ამაზე ბევრ საუბარი, გაუშვაზ, გვე-
ვათავათ. ევგზ იცის კაცმ, შულლიც შაუძლავა -დ შარიგებაც“. ამათ საუბარში დამჭრელი ცალ-მუხლზე იჯდა და უსმენდა. ბოლოს ისც იტყოდა: „მე ნეტაინ ეს საქმე არ მამსვლიყვა -დ
თაოდ მავმკვდარიყავი, მმას მერჩიყავი -დ ის რა მამიჯდ: ვისთანაც
არ სწადის კაცს, იმასთან მაზღის ხიფათი, ნამეტნავად სიმთვრა-
ლის დროს. ეეხლა ბევრი ნანობით აბა რასალ ვიქამ, თავის და-
ლულ საქმეს თაოდ მინდ გაკეთებაი. თეთრი ოქტორ აგილესაც,
რაიც არავის უქნავ, იმას ვიქ. კარით ვაკეთებ თავის დალეულს.
მამკდარს საქმეს აღარა ეშველების მავლის მეტი. აქიმს ქვე და-
გეუნერი ხვალ (დასახელებდნენ ერთ-ერთ კარვს სოფლის აქიმს),
სააქიმოსაც გავიღება -დ სანათლავსაც მავლგვრი, კვარებშიაც ყვე-
ლკან დავხნოც სამეშვლო ზღვნებს, შენ თუ კარგად იქნები“.

დამნაშავე ამ სიტყვას ძალიან მორცხვად ლაპარაკობდა. ის
რომ საუბარს მორჩებოდა, ნაჭრევიანი ეტყოდა: „ეჭ, აბა რა
უყოთ, მამკდარს საქმეს აღარა ეშველების, გაუშვათა, გავათავათ.
მავრჩები, ჩემდაც კაია, არ მავრჩები, აბა რაიღ უყოთ, იმის ამხა-
ნიგიც ბევრი გეყავ. მე მგონავ, რო მაღლობელი არც შენ ხარ ამ
საქმისა, ნულარ ვიამბობთ ამ საქმეზე, სხვაზე რაზე ვიამბათ ეეხ-
ლა ქვე. ემ მიწა-წყალთ ეესრ მაუდის ჭვესურეთ, განა მარტო მე
ორ ნაჭრევიანი“.

ამ საუბრის შემდეგ შუაკაცი ადგებოდა, მოიკითხავდა საკ-
ლავს, რომელიც მათ მოიყვანეს და ქაზდარში ან ბაზზე დაკლავ-
დნენ. ხუცესი ხმირად თვითონ იყო შუაკაცი და თუ ის არ იქნე-
ბოდა, ადგილობრივ ხუცესს დაუძახებდნენ. ხუცესი ხუცობაში
დაგილობრივ სალოცავს სთხოვდა დამჭრელის და დაჭრილის ჯენ-
მრთელობას შათი ცოლშვილით; რაც მათ შორის მოხდა, ამის გა-
დატანას მშეიდობიანად და მათ შორის კარგი განწყობილების ჩა-
მოგდებას, დაჭრილი კაცის მორჩენაში ხელის შეწყობას და სხვა.
ბოლოს საკლავს ჩვეულებრივი წესით დაკლავდა და ყველანი და-
ამწყალობებდნენ ერთურთის მოდავეთ. საკლავს ერთ-ერთი ახალ-
ჯაზრდა კაცი გაატყავებდა, ხორცის ინხარშავდნენ, ტყავი კი ეპუ-
თვნოდა შუაკაცს. მერე დამნაშავე მოიკითხავდა თავის მოტანილს
არაყიან ქინთს, მოხსნიდა, მარცხენა ილლიაში დაიჭერდა, დაასხამ-
და და მისცემდა ჭერ ამ ოჯახის კაცს, მერე კი სხვებსაც. თავის
დაჭრილსაც მიუტანდა ყანწს და ხათრიანად მისცემდა, აგრეთვე
შუაკაცსაც. შუაკაცი დაილოცავდა ყანწს, ბოლოს ქინთსაც და



ყანწებსაც დაჭრილის და დამჭრელის მკვდრებისათვის დალოცებული და, ორივესათვის ერთად (დალოცების წესი ზემოთ არის მოყვარული). მასპინძელი დაილოცებოდა: „აგაშენას (სახელი დამჭრელისა) ღმერთმ, ბარაქა მაგცას, მშვიდობით გამყოფნასთ, შნო მაგცას დალევისაიცა, გაკეთებისაიც. ძალიან ვიყავ შენგან ნაწყენ, მაგრამ კაცის ვულს ცოტა აყენებსა — და აფახებს. ეეხლა კარგად ხქებ, რო მახვედი, თავს ჭირ მაშორე, მე — სირცხვილი. გადლეგტელას, გაცოცხლას, შენაც გადლეგტელას, გაცოცხლას, კაის თქმად, კაის გონებად ნუ დაგლივს (ეტყოდა შუაყაცს) — შაუნდნას, ვისადაც ილოცა, თქვენს სახლს კი ბარაქა მისცას“. ამ სიტყვებით დალევდა ნაჭრევიანი და მისი ძმა, ან მამა. იცოდნენ დანარჩენი ბიძაშვილების დაძალებაც. ისინიც ესწრებოდნენ მტრის შერიგებას. მოსულს ცუდს არავერს ეტყოდნენ, როგორც სტუმარს. ცოტა სამდურავს კი ეტყოდნენ — ასეთი საქმე არ უნდა ჩაგედინაო, მაგრამ ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას და სტუმრისათვის წყენას ერიდებოდნენ, რადგან სტუმრად შემთხვევით მოსისხლეც რომ მოსულიყო, თავის სახლში იმასაც არ აწყენდნენ. გარდა ამისა, დამნაშავე თვითონ ხათრიანად იქნებოდა, თავის დანაშაულს გრძნობდა და თავმდაბლად იყო. ნაჭრევიანი რომ დალევდა, მერე სხვებსაც, ყველას, დაალევინებდნენ. სხვებიც უსურევებდნენ დღეგრძელობას და ამ მომხდარი საქმის მშვიდობიანად ჩატარებას.

დამნაშავე რომ დალევდა, ასე დაილოცებოდა: „აგაშეხხასთ ღმერთმა (დაჭრილის სახელი), ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, თქვენ თავ ნუ გამამართოს. მე ამ საქმის მაკიომამდე რო მავმკედარიყავ, ის მერჩიყ, მაგრამ მაკვდომიდე ალარა ეშველების. თავიც რო მავიყლ, ჩემს დალეულს საქმეს ველარცად წაულ, გაძლოლა მინდ. თქვენ დაგლოცასთ, ყველან გადლეგტენასთ, კაის თქმადა, კაის გონებად ნუ დაგლივნასთ, ნასვამ გაამასთ, თქვენის გამარჯვებისა. შაუნდნას, ვისადაც დალლოცეთ კი, მააკშარას“. ბოლოს დიაცებს დაალევინებდნენ, აქ ან დედა იქნებადა, ან ცოლი, ან და. ისინი ასე ადლეგრძელებდნენ დამჭრელს: „გადლეგტელას ღმერთმ, გაცოცხლას, მშვიდობით გამყოფას, გოშველნათ ე კევთსურეთულთ სალოცავთ, ამ საქმეს მშვიდობით გადაგარჩინნათ. ნეტავინ ცოცხალ გადაშჩის (დაჭრილზე აშბობენ), თორე რა დიაცის საქმეი ას შულლზედა ჭრა-ჭრილობაზე საუბარი. კაცებ ხან იშულლებთა, ხან შალრიგდებით. ეეგ მაულის ე კევსურეთულთ მიწა-წყლით. იპი, ის კი მაღონებს, რომ ნაჭრევებ არა გაუფულებდასა, შენაც არ დალონდა, ჩვენაც არ დავილუბ-

ნათ, თორე სხო დიაცის სასაუბრო რაი ას. მშვიდობით გამყიდვებული ნასთ ყველანი: კაციც, შუაყაციც. ღმერთმა ყველას გიშვედეს შემორჩენა, დალეულს საქმეს კიდევ არა დაემატ. ჭირს ვსომ თქვენს ყველაისას. შანცდნას იმ მკვდართ ქვე, ვინაც ცუდს საქმეს კარგად გიქცივდასთ, თქვენდ ცუდ მამკდარ სწყინდასა, კა ალალებდას“. ასეთს სიტყვებს იტყოდა მარტო ხნიერი დედაყაცი, ახალგაზრდა ქალები სულ უბრალოდ დაილოცებოდნენ. ვითომც არაფერი მოშხდარა, ისე არაფერს იტყოდნენ შულლის და ჭრა-ჭრილობის ორგვლივ.

ამასობაში ხორციც მოიხარშებოდა, საჯორცით ამოილებდნენ ასო-ასოდ ჩაყრილ ხორცს და ფიცარზე დააწყობდნენ. დანით დაანაწილებდნენ წვრილ-წვრილ ნაჭრებად და ისე მოიტანდნენ ტაბლაზე. ტაბლას რომ დადგამდნენ, მოიყვანდნენ დამჭრელ სტუმარს და სკამზე დასვემდნენ. დაჭრილის ოჯახის რომელიშე წევრი კი ფეხზე დადგებოდა და ტაბლაზე ემსახურებოდა. ჭამას რომ გაათავებდნენ, მენაჭრევესაც და შუაყაცსაც ნაჭრევიანის სახლის-კაცები გაიპატიუებდნენ სახლში. იქ მათ ვატივს სცემდნენ ჩეულებრივა სტუმარმასპინძლობის წესით (ეს წესები ყველა ნაოქვამია ზემოთ).

მეორეს დილას სტუმრები მოვიდოდნენ ისევ ნაჭრევიანთან, აქ ცოტა პურს ჭმდნენ, სასმელს დალევდნენ და მენაჭრევე აქიშთან წავიდოდა მოსაყვანად. აქიმი სტუმარს გამარჯვებას ეტყოდა, ამბავს ჰკითხავდა: „მშვიდობითა, რას გუნებას ხართ. ხო არა გოვირს კაცას, საქონს, დიდ, ცოტა ხო ყველა კარგად ხართ? მეამბის თქვენ მშვიდობა. ნაჭრევიან როგორ გყავ, ხო არა ძალიან, წუხად“. „ცოცხლები ვხყრიორთ, ვათენ-ვალამებთ, რა იყითხების ჩევენ ამბავი. ნაჭრევიანიც ეეხლა კი კარგად ას, მაგრამ რა გაიგების ნაჭრევებისა, საშიში, ან არ დაულუბას, ან სხოდ რით მახიბლას. უბედურება მამიჯდა-დ, კიდევაც მეშინის, ნეტან ცოცხალ გადაშჩას, თორე სხვას კი ვინაო რას დაიჩივლებს“. აქიმი ანუგეშებდა: „არა უნდ, ნუ გეშინიან. კევსურეთ ვითაიც დაიჭრების, რო ყველა მაკვდას, აქამდე კაცნ სრუ გათავდებოდეს. მავლა უნდ ნაჭრევსა, მარჩების“. მენაჭრევე დაიწყებდა: „აბა, კაც კაცის კარად არ მივ. თუ არა გაუჭირდ. ეეხლა მე ძალიან მიჭირს საქმეი, იმით მავედ შენთან. ეეხლა შენ ხარ ჩემ ღმერთი, შენ თუ რას მიშველა, მამირჩენ მაგ კაცს, თორე მე ისეთ უკლო-უბედურ კაცი ორ, რო უბედურება რა ამამიტყვრების“. აქიმი უარს ეტყოდა პირველად: „მე არ შამიძლავ, არც დრო მაქვა, ათას საქმე რაიმ

მევ მე კელს ვერ დავზდებ. კელს რო დაზდებს, კაცმ ჰვევ უწყესობისა და მაუარასა, მაარჩინას. აქიმები სხვებიც არიან, აგებ სხვა ვერწლითობა დააყენ აქიმად“. დამშრელი ხვეწნას დაუწყებდა და მაინც დაითანხმებდა მას.

ბოლოს აქიმი ეტყოდა: „რა ვქნა, მე ძალაან ხათრი მაქვ შენიცა -დ ხთიშვილთა უფრო მეტად. სააქიმო სააქიმო ას. მამცემ, მაგრამ თუ სანათლავ არ იქნ, ისრ ვერ ვიმუშვებ, წყრულს ვერ დავახვევ უსანთლაოდ. არც ჩემდ ვარგა -დ არც რა ნკურევანს ეშველების, თუ წმიდად არ ორ, -დ კვარნ კელს არ მომართავენ“. მენაჭრევე ეტყოდა: „მე სააქიმოსაც მაშივ ჩაგაბარებ, როსაც მარჩების, რაისაც სააქიმო გერგების (სააქიმო ანუ ექემის გასაშრელო განისაზღვრებოდა ჭრილობის მიხედვით, ყოველგვარ ჭრილობაზე იყო დადგენილი კუთვნილი საექიმო ხელფასი).. სანათლავს ნიადეგ წინთავით ჩაგაბარებ, დღესაც ვიშოება, მოვაყონ, ხოლოთ შენ კელ დაზდევი -დ მაარჩინი ეგ კაცი. ვის შურს, თუნდა სახლ-კარიც არ დამჩას“. როცა შეთანხმდებოდნენ, აქიმი უსათუოდ შინ შეიძატიებდა სტუმარს. იქ მისი ოჯახის წევრებიც მოეგებებოდნენ და მშვიდობა-ამბავს ჰქითხავდნენ. მერე ჩვეულებრივად საუფროსოსაკე წაიყვანდნენ და იქ დასვამდნენ; ტაბლას მოიტანდნენ და რამე სახელდახელოდ დამზადებულ საჭმელს — „კუს-ერბოს“ (კუს-ერბოს უწოდებდნენ ერბოში პომ-წვრ ყველს), ან სხვა რამეს მიართმევდნენ, რადგან სტუმარი აქიმს აჩქარებდა მალე წასასვლელად და ჭრილობების შესახვევად. თუ ჰქონდათ არაყსაც მოიტანდნენ და დაალევინებდნენ; თუ მეზობელს ჰქონდა, ისესხებდნენ და სტუმრის პატივისცემად მოიტანდნენ, გაყიდვა კი ხევსურებმა არ იცოდნენ არაყისა. ბოლოს შოსული კაცი გამოემშვიდობებოდა, აქიმი დაიკიდებდა აბგას, რაშიაც ბალახისაგან დამზადებული წამლები ეწყო და წავიდოდნენ. ნაჭრევიანთან რომ მივიდოდნენ. აქიმის მოსვლა ყველს გაუხარდებოდა და მოეგებებოდნენ. დასველებულ ფეხსაცმელს გახდიდნენ, თათებს ჩააცმევდნენ, ტყავს გამოიტანდნენ და მოახურავდნენ, რომ ნამგზავრი, გაოფლიანებული კაცი არ გაციცებულიყო. შეიძატიებდნენ სახლში და პურით და სასმლით გაუმასპინძლდებოდნენ, თუ სასმელი შინ არ ჰქონდათ, მეზობლებში მაინც იშოვიდნენ. ჩევსურები აქიმს დიდ პატივს სცემდნენ და ეფერებოდნენ. პურის ჭამადინ ის ავადმყოფს გამოკითხავდა: როგორი ტკივილები აქვს, რამე სძინავს თუ არა, მხედველობა როგორი აქვს, სმენა, მოძრაობა და სხვა.



ჭამის გათავების შემდეგ აქიმი მოითხოვდა წყლის გამოწვევას. პატარა ქვაბს (სპილენძისას ან თუჭისას) მორეცხავლნერზე უკურნებდნენ და წყალს გაათბობდნენ. გამთბარ წყალს ხის ჯამში ჩაასხამდნენ და აქიმი შეუდგებოდა ჭრილობის შეხეევას. ამოიღებდა შეხეევის დროს საჭირო იარაღებს და დაწყობდა იქვე რამე ფიცარზე. აქ იყო: დანა, ხოჭი, ანუ ხევწი (ბუდე ხევსურები უწოდებდნენ ხოჭს, ორხოტიონები ხევწს), კმალიკა, ღურბელი და თუ ჰქონდა წყლის დასასხმელად გაკეთებული საწრინკა (დგუშის მაგვარად მოწყობილი, დიდგულის ხისაგან გაკეთებული). აქიმი ქუდს მოიხდიდა, პირჯვარს დაიწერდა, ავადმყოფს თავზე ჯვარს გადასწერდა მარჯვენა ხელით და შეხსნიდა მოხვეულ შალებს და ხელსახოცებს. ჭრილობას პირველად საწრინკათი დაასხამდა წყალს და გარეცხდა, მერე ღურბელს ამოათრევდა წყალში და მოუსვამდა ჭრილობაზე. ღურბელს მანამდინ უსვამდა, სანამ სულ არ ამოშრებოდა, ხანდახან მოსისხლიანდებოდა კიდეც, მერე აიღებდა კმალიკას და იმით მისწევ-მოსწევდა ხორცს ჭრილობის ნაპირებზე (ვისაც ღურბელი არ ჰქონდა, ზოგიერთმა აქიმმა პირით მოწოვაც იცოდა ჭრილობისა). მერე აიღებდა ხევწს და მისი პირით ძვალს გასინჯავდა, გაჭრილი თუ იყო. გასინჯავდა, რამდენზე იყო გაჭრილი, რომად იყო თუ არა. თუ ჭრილობა ისე იყო მიყენებული, რომ გაჭრის გარდა ძვალი ჰქონდა დამტვრეული, აქიმი აიღებდა დანას და სიგრძეზე მიყენებულ ჭრილობას სიგანეზედაც გაჭრიდა ჯვარედინად. მერე დაღეჭავდა კანაფის თოკის ნაპირს, დამრგვალებულ „სელებს“ მარილში ამოათრევდა და კმალიკათი მაგრად ჩაჭრედდა ჭრილობაში. ზედ დაადებდა ცხრა-ძარღვა ბალახის ფოთოლს და მოსახვევდა ბამბის ქსოვილს, ხელსახოცებს და მოსახვევ შალს. შემდეგ კიდევ დაადებდა თავზე ჯვარედინად ხელს და იტყოდა: „ლმერთმა გილხინას, მაგარჩინას, ლხინის წამალ დაგაყარას“. მერე განაცხადებდა ჭრილობის ამბავს, როგორი იყო მისი სიდიდე და საშიშროება. აქიმებმა ჭრილობის სიდიდის და საშიშროების გაზვიადებაც იცოდნენ, რადგანაც ჭრილობა რამდენადაც ძნელი მოსარჩენი იყო, მეტი სააქიმო ერგებოდათ და სახელიც მეტი უკეთდებოდათ. თუ ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში იყო, აქიმი აქ რჩებოდა რამდენიმე დღით, მანამ ავადმყოფს ჭრილობები არ დაუმშვიდდებოდა. თუ ამავე, ან ახლო სოფლიდან იყო, მაშინ კი შინ მიდიოდა და როცა ავადმყოფი ცუდად გახდებოდა, დაუძახებდნენ. აქიმს რომ დააყენებდნენ, მენაჭრევე გამოემშვიდობებოდა და წავიდოდა შინ. ხშირად მოფი-



ოდნენ მენაჭრევის ნათესავები ნაჭრევიანის საკითხავად. მენაჭრევიანი
კე აქმის მოუყვანდა ერთ საკლავს, როთაც ის გაინათლებოდა, მიშენებული
სამს საკლავს სამეშველოდაც დაყლავდა სხვადასხვა ჯვარებში და
ხეთიშვილით ოხოვდა თავისი დაჭრილის მორჩენას. დაჭრილი
როცა მორჩებოდა, აქმი უანგარიშებდა ჭრილობის მიხედვით,
როგორც იყო წესით შეფასებული, და მენაჭრევე პირველ რიგში
სააქმიოს გადაიხდიდა. ბოლოს, როცა „სახვიელსაც“ დაიხსხიდა
ავადმყოფი, მენაჭრევე დაჭრილს კაცს მიუგზავნიდა და „შეუთვ-
ლიდა: ვირჩულოთო. რჯული იყო სხვადასხვანაირი; თუ ჭრილობა
მსუბუქი იყო, ან „პირისერზე“ და „საუნამუსოეში“ არ იყო,
მაშინ შეიძლებოდა პირდაპირ მიგზავნა შუაკაცისა და თქმა—ვირ-
ჩულოთო. შუაკაცი არც არაფერს მიიტანდა და არც მიიყვანდა,
პირდაპირ ისე ეტყოფდა. მაგრამ თუ ჭრილობა პირისახეზე იყო, ან
ძეალი „ტვინზეით ამოუვიდა“, ან დასახიჩრდა, მაშინ შუაკაცს
უნდა მიეყვანა „რჯულის საკლავი“, ჯერ ის დაეკლა და მერე და-
ეწყო ლაპარაკი შერიგებაზე. ვინიცობაა დამჭრელი ფიქრობდა,
რომ ისეთ ადგილზე არა აქვს ჭრილობა მიუწებული, რომ რჯუ-
ლის საკლავი ეკუთხნოდესო და შუაკაცი უსაკლაოდ გაგზავნა,
დაჭრილი კი თვლიდა, რომ საკლავი მეკუთვნისო, მაშინ უსაკლა-
ოდ მოსულ შუაკაცს არ ალაპარაკებდა, მიუხედავად იმისა, რომ
ის სტუმარი იყო. ხანდახან სახლიდანაც დაითხოვდა და აწყენიხებ-
და.

უსაკლაოდ მისული შუაკაცი რომ მივიღოდა, პირველად
უკელანი კარგად მიეგებებოდნენ, მშეიღობა-ამბავს ჰეითხავდნენ,
სახლში შეიპატიუებდნენ და, რის საშუალებაც ჰქონდათ, პატივს
სცემდნენ როგორც სტუმარს. ბოლოს ის თავის მოსვლის მიზეზს
განაცხადებდა და ეტყოფდა მენაჭრევის სახელს (მაგალითად, შეხა-
ტრევის სახელია ხახონი და დაჭრილისა უნცრუ): მე ხახონმ
წიამამლალ თქვენთან, არ მინდოდავ, დამაბარ—თქვენთანვე ეს საქ-
მე მამქოდმიყვავი, მაგრამ მამქდარს საქმეს ალარა ეშველებსავ
გაძლოლის მეტივ. ნუ გამქდითავ მერჩულებავ ჭრა-ჭრილობისადავ,
ნუც მიაო, ნუც თავის თავსავ, მართლა თუ მაუდისავ კევსურეთის
მიწაწყალთავ, თორე ეეხლა წინწინ მე და შენ ხო არ ვიშულლეთავ.
ენანობავ, დამაბარ ხახონმ, წინ გიდგეორთავ. კარით ვაკეთებავ ჩემს
დალეულსავ, თეთრი ოქროთ აგილესავთავ. გავიდათავ რჯულშიავ,
რჯულის კაცნ შევყარნათავ, რჯულის წყალ გავავლიოთავ. ნათქვეძი
ას: „რჯულის მაჭრილ კელ არ ეტკივნებისავ“. ვხეითხათავ რჯუ-
ლსაო -დ რასაც რჯულ გადასწყვეტსავ, მე მზას ორავ, დავაწყო-



ბავ ერთმანეცხედავ დრომასაო -დ შინ მიუტანავ“. ამ საუკრძალო შემდეგ შუაყაცი გაჩუმდებოდა. ნაჭრევინი ეტყოდა: „შეხელმისამართი როგორ გვიცის წეს ნეტა, თუ იმან არ იცის, ან მე მკიდითა კაცუნახაოდ? ჩემ საუბარ შენ კი ნუ გეწყინების, სტუმარი ხარ, ჩემს სახლში ზიხარა -დ ხათრი მაქვ. ეს რო ესრ არ იყოსა, სხვავან სად ვყოფილიყვენითა -დ იქ აგერებ, ისი გვინავა უნცრუავ იყურებდავ ეემ საუბარსავ, ესრ უწესოდავ. შენ ხო იცი, ჟე ხაჭრევ სადაც მჭირს მაგათგან, შენ რჯულშია კაც-შუაყაცშიაც წილ გიძესა, დახოლ, მტერთ შარიგებაიც გინახავ, ისიც კარგად, იცი რა მიუღის ეესეთას ნაჭრევს, მაგრამ ხახონმაც კისერზე კელ შაისვა, შენაც წამახვედ, ვითამ არცრაიც. ადედას მტრისას, მე რო ქვეც არ ვიცოდ, შუაყაცმ მაინც რად უნდა ქნას ისეთ საქმე, რაიც რჯულ არ ას. ურჯულო რჯულ რად უნდა დადოს. რჯულის ასატეხლად რო კელცალეს მაგლალევდ, ნეტარ რას ფიქრობდ, ვინ ასავ კაცუნახავივ, თუ იმას ფიქრობდ: უნცრუასავ ოლონდ რჯულ მიესცავო -დ ესიც დალიან გაუხარდებისაო -დ რაიც მიუღისავ, ველარც ამას გაიგებსავ. ეეხლად სთქვიად, ძალიან გთხოვ, რო ამას ნუღარ გამეორებ. ნუც მე მკდი კაცუნახავადა, ნუც შენ ხადრულობ ურჯულო რჯულზე საუბარს. ხახონს თუ რჯულის ქხაი სწადიან, კელცალე რაად გამაგიშვ? ძალიან კარგად იცის რჯულის თავ, მაგრამ ეეგეთი, რახან კაცი კაცს არ ხედავდას. ხახონი იმას ფიქრობს, რომ შამრიგდებიანავ-შამრიგდებიანაო -დ არაო სრუ იმტერანავ, თუ არ დაიშლიანავ, რაიც წაიღესავ ჩემგანავ, აიმასავ წაიღებენავ. შენ კი მადლობელი ორ, რო ჩვენის გულისად აზდეგ, აქ იწვალი. ჩემსა, ხახონის გულისად ფექზე ადგომა არ გაკაღრების. კლოვ ნუღარც აზდგები. ეეხლა მე ფექზე ორ აძღვარი, მია ხოხონ სად შავიყრებითა, ჩემი იმის საქმე მაშინ გარიგდების, რახან მარტონი ვშულლობდათა, ცის მეტ არა გვხედევდას. „როს-რა იქნების ის დროი, შამახვედა ნათელი ზძესა მე -დ შენ რო მარტონ ვშულლობდათ, მზე იდგას, სისხლსა წვიმდესა!“ გამწარებული, ნაჭრევიანი ასეთ სიტყვებს წარმოსთქვამდა. შუაყაცი კიდევ შეეხვეწებოდა: გამიგონე და რჯულში გაპყევიო, მაგრამ ნაჭრევიანი ბოლოს მევახედ უპასუხებდა: „ნუღარ შეუპნები მაგაზედ, სტუმარი ხარ, არ გამეჯავრებივა, საქვეყნოდ შამარცხვინა, თავ მამკრ — შინ მისულ სტუმარ გააჭავრავ“. ბოლოს შუაყაცი გაჩუმდებოდა. წასვლის დროს კი მაინც შეეხვეწებოდა: ცოტახანს მოიცადე, ცუდს ნურაფერს ჩაიდენ და მე ისევ მოვალო. ის კი სთხოვდა:



შენ ნუ გაირჩები, ნულარ წამოხვალ და ჩვენ თავისთავად შევრჩენეთ და დამატებითო. ეს კი მუქარას ნიშნავდა.

შუაკაცი რომ დაბრუნდებოდა და დამჭრელს ამ ამბავს მოუტანდა, ის შეიძლება შუაკაცს დახათრებოდა და ეტყოდა: „არ ეკუთვნის კი, მაგრამ არცარა დიდ საკლავი ას, საკლავიც მიუღვარათ, უნცრუს მაგის ნებანიც უსრულნათ“. ზოგი კი გაცხარდებოდა და ეტყოდა: „მე მაგან ჭრაჭრილობის მერჯულედ გაძქად, ვეუბნებ, რო წინ გიდგეორავ, რაიც დავლიერ გავაეთებათ -დ ეგ ქორდ თავს წავიდ, ურჯულო რჯულ წამყიდ. მაგას ისითა არა შეირდ, რო რჯულის საკლავს ითხოვს, თუ რა შეირდას, მიაც გავიგებდი, კაცნიც. რჯულისა ყველა წესია, ურჯულოს მე არას მივსცემ; თუ არ იჯერებს, შამხვდას გზაშია, იმანაც დაშკრას. მემრ ე კაცნ გაიგებდენ, რაიც იქნების, რახან არ იშლიდას“. მენაჭრევე ამეებს რომ ამბობდა, შუაკაცი გაჩუმებული იყო. ბოლოს მენაჭრევეს ეტყოდა: „შენ არ გიკდების მაგის საუბარი. კაცს შულლიც უნდა შეეძლიყოსა, შარიგებაიც. ერთხე გათლილ არ უხდა იყოს კაცი, ყველა უნდა შეეძლიყოს, ყველაის ყუვი უნდა ხეონდას. რაი, ერთ ბატკის მწკალი, თუნდა გაგიჟყლებათა -დ თუნდა არ. შაურიგებლობა უფრო ცუდი; შაიყრებით, არა მე გვობიორავ, არა მიაო, იმოობაში იარაღს ის არ დაებარების, კაცს ნუ მოხქლავავ. სიკვდილ მარჯვე არ ას, ბევრ ამბავ მაღბავ, თავ-სისხლი ძნელ გასაწმედი, მემრ ნანობა ილარის უშველს—რადარავ ამაშიავ შავლრიგდივ, როსაც ცოტა საქმე იყვაო -დ, მარჯვედ შავლრიგდებოდივ. კაც გონი უნდა იყოს, კა სიტყვა ქვასაც გვერდს მააქცევიებს. შენ რო აქ კიდე იმათკე უჯავრობ, ისი გვონავა, ამასაე ისენ ვერ იგებენავ? ხო იცი, კაცთ ენა არ დაიჭერის, შენ ნაუბარ იმათ ყველა მიზდისა -დ იმით გავრობენ ისენიც. ნუ გეწყინების კია, გემართლებიანაც, დამნაშავეი ხარ. თავის კელით დალეული კაცმ თაოდ უნდა გააკეთას, თორე სხვათ რა ვის ენაულების. თავს ბრალ უნდა დაზდოს კაცმ. შენ ადეგ, ერთ ბატკან დიდ საქმე არ ას, ეგ მაგვეცი. ან მიავ წაოლა წავიყონ, ან სხვას კაცს წააყვანი, პირობა დაადებიე, როსაც იტყვიან, ამაში რჯულში გვედით. ერთს ან ორს კაცს შენ მიიყონ, აისრავ ისენი. დასხდებიან რჯულის კაცნი, თავის სათქმელს ხახნი იჩივლებს, შენც ეტყვი თავის სათქმელს. რჯულის კაცები ნაჭრევებსაც გაშინჯვენ, შააფასებენ, თუ ეგ რჯულის საკლავ არ მიუდის, იმასაც კაცებ იტყვიანა -დ დრომაში გამაღბრიანა -დ არ დაგვეკარების. თუ მიუდის, ხო დაკლული, მაშორებულ გექნების“.



შუაკაცი და დამჭრელი ასე ისაუბრებდნენ, მაგრამ ბოლო მუხლისა შუაკაცი მაინც თავის სიტყვას გაიცვანდა, შეიძლება შეეხვერებოდა და კიდეც დამჭრელს საკლავის მოცემაზე. გამოართვამდა საკლავს და მიუყვანდა დაჭრილს. ოღონდ დამჭრელის მკვანე ლაპარაკს და-ჭრილთან არ გაამხელდა; იტყოდა, რომ დამნაშავე მზად არის, უველა წესები ხევსურეთულის რჯულისა პირნათლად შეასრულო-სო. დაჭრილი და შუაკაცი ამის ირგვლივ ბევრს ისაუბრებდნენ, ბოლოს ხუცესს დაუბახებდნენ და საკლავს დაკლავდნენ. საკლა-ვის ხუცობაში ხეთიშეილს სთხოვდნენ ნაქრევიანის და მენაჭრე-ვისათვის დახმარებას, რაც ცუდი საქმე მოუხდათ — კარგით შეცვლას და სხვა. საკლავის ტყავი შუაკაცს ეკუთვნოდა, ხორცს აქ მოხარშავდნენ და ჭამდნენ. ბოლოს პირობას დადებდნენ, რო-მელ უქმში, რომელ დღეს და სად უნდა შეყრილიყვნენ რჯულის კაცები. შუაკაცი გამოემშვიდობებოდა ნაჭრევიან კაცს. მთელი ოჯახი გამოაცილებდა სოფლის ნაძირამდის და სტუმრის გაძარ-თვის წესების დაცვით გამოისტუმრებდნენ. წასვლისას ის კიდევ მაღლობას გადაუხდიდა ნაჭრევიანს: „მაღლობელი ორ, რო კაცად ჩამაგდით, ეხელა გაწბილებულ არ წამლალეთა -დ რჯულის პი-რობაზე მიმისტუმრებთ“. „მაღლ ხთისა გეწეოდას, — ეტყოდ-ნენ, — შენ ჩვენის გულისად არცი გეკადრების, რო ფეხზედაც აზდგ. მაღლობელი ჩვენ ორთ, რო ჩვენის გულისად ამთვენს სწვალობ“. ბოლოს მიმავალი საბოლოოდ გამოემშვიდობებოდა: „მშვიდობით იყვენით, ჯვარ გეწერასთ, ღმერთმ თქვენ თავ ნუ გა-მამართოს“. „კელ მაგრიმართას ღმერთმ, მშვიდობით იმგზავრი“ — ეტყოდნენ მამაკაცები. შუაკაცი მიუტანდა ამბავს მენაჭრევეს. რჯულის პირობა დავდევით ამა და ამ დღისად და კაცები გაამზადებდა რჯულის კაცებს და დანიშნულ ადგილზე ირჯულებდნენ (რჯულის აბბავი არ ეხება ჩვენს თემას, რადგან აქ სტუმარმასპინძლობა არ არის). რჯულის კაცები გადაწყვეტილნენ „დრამას“ ნაჭრევიანის სასარ-გებლოდ მისი ნაჭრევების მიხედვით. ან გადაწყვეტილნენ ისე, რომ ნაჭრევიანი მივიდეს დამჭრელის სახლში და თვითონ წამოილოს დრამა, ან ისე გადაწყდებოდა, რომ დამნაშავემ უნდა დაამზადოს: დრამა, საკლავი და არაყი, გაიყოლოს ერთი შუაკაცი და მიუტანოს დაჭრილს სახლში. ეს ასე მაშინ გადაწყდე-ბოდა, თუ ჭრილობა მძიმე იყო, ან ისეთ ადგილზე, სადაც ასეთი წესით ერგებოდა ამ ჭრილობას გადახდა — პატივი.

ამ უკანასკნელი „გარჯულვილის“ თანახმად, მენაჭრევე ერთ-



ერთი დღისათვის დაამზადებდა არაყს, საკლავს და სპილენძეს ქვაბებს. სპილენძის ქვაბების ასაწონად შუაყაცს მოიყვანდა, ჰქონიდნენ ხუთ კილო სპილენძს თითო ძროხად და ამ რაოდენობის სპილენძს, რამდენი ძროხაც იყო გადაშვეტილი, ისე დაიანგარიშებდნენ. თუ სპილენძი არ იყო ოჯახში იმდენი, რომ აენაზღაურებინა ეს დრამა, ვერცხლის ან სხვა სანაქებო იარაღს შეაფასებდნენ. წაიყვანდნენ საკლავს, წაილებდნენ ქინთით არაყს, აპკიდებდნენ. ერთის ჭორჩე დრამას და შუაყაცი და მენაჭრევე შევიდოდნენ ნაჭრევიანთან მისულები სპილენძეულობას (დრამას) ჩამოხდიდნენ, შუაყაცი წინგარდაზე გავიდოდა და დაუძახებდა: „ხახონო, შინ არ ხარაზ კარშია გამეედით“. გამოვიდოდნენ ოჯახის წევრი მამაყაცები. მოსულებს გამარჯვებას ეტყოდნენ. ამბავსაც ჰყითხაედნენ. მოსულებიც ამბის კითხვითვე უპასუხებდნენ. ადგებოდა შუაყაცი და ამ მოტანილ დრამას ჭერხოში შემოიტანდა, ნაჭრევიანი მასპინძელი დრამას არც გადახედავდა და არც ხელს ახლებდა. ბოლოს სახლში შევიდოდნენ ყველანი და ხურჭინსაც შეიტანდნენ არაყიანი ქინთით. სტუმრებს ოჯახის წევრი ქალებიც შიეგებებოდნენ და თავისებურად მშვიდობა-ამბავს ჰყითხავდენ. ცოტახნის საუბრის შემდეგ სტუმარი მენაჭრევე მოითხოვდა თავის მოტანილ არაყიან ქინთს. მაგრამ იშვიათ შემთხვევაში მისცემდნენ არაყის დასხმის ნებას, სანამ ძმა-სახლისკაცებსაც არ დაუძახებდნენ, რომელთაც მაშინვე კაცს გაუგზავნიდნენ და მოაყვანინებდნენ. მოსულებიც სტუმრებს გამარჯვებას ეტყოდნენ და ამბავს ჰყითხავდნენ. ცოტახანს ისაუბრებდნენ აქაურ და იქაურ ახალ ამბებზე. ბოლოს შუაყაცი იტყოდა: „თქვენ იცით, ჩვენ რაადაც მოვედითა, აზირ გავათვათ საქმეი, მემრაოდ შავსოთ ეგ სასმელიც“. ადგებოდა და ნაჭრევიანს ეტყოდა: „აბა წავიდათ ეეხლადა, დრამა ვნახათ“. ის არ მოინდომებდა დრამის ნახევას, აწონასა და შეფასებას. იშვიათად გაჰყვებოდა დრამის სანახავად. უავალებდა ძმა-სახლიკაცებს შუაყაცისათვის გიყოლას, ხანდახან სასწორს მოიტანდნენ და ასწონდნენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისე ვარაუდით გადააფასებდნენ და გადააწყობდნენ. შუაყაცი ცდილობდა ნაჭრები სპილენძი მიეცა მეტ ფასში. სახლში მოტანილ დრამაზე ესენც ბევრს არ ჩაეძიებოდნენ. თუ სახლში არ იყო შიოტანილი და დამნაშავის ოჯახში იქნებოდნენ მისული დრამის წამოსალებად, მაშინ კი აუცილებლივ აწონიდნენ. დრამა რომ გადაფასდებოდა, ნაჭრევიანს უეჭველად მოიყვანდა შუაყაცი და აჩვენებდა. ნაჭრევიანი ხელს არაფერს ახლებდა, ოღონდ ხშირ შემ-



თხვევაში შუაკაცს აპატიუბდა ორის ან სამი ძროხისას და მათ შემდეგ უფრო უბრუნებდა დამჭრელს. იგი შუაკაცს ეტყოდა: „ძენ ბევრს სწვალობ, შენის ხათრით მიპატივებავ ამდენი-ამდენ ძროხის რვალი (სპილენძი), აილი შენ აი ამ თქვენს მატანილს დრამაშით. რაიც გინდა, მიეც უნცრუას (დამჭრელს)“. ზოგჯერ ბევრსაც არ აპატიუბდა, ოღონდ შუაკაცის ხათრით სულ ისე კი არ გაუშვებდა, რომ არაფერი დაებრუნებინა მისი მოტანილი დრამიდან.

შუაკაცი თვითონ არაფერს აიღებდა, დამჭრელიც ამბობდა, რომ მე აქედან არაფერს დავიბრუნებ, დამნაშავე ვარ და დანაშაულისათვის კუთვნილი გადასახადი უნდა გადამხდეს. შაგრამ ნაჭრევიანი არ დაშლიდა, აიღებდა რამდენიმე ქვაბს, ცალკე გადადებდა და ეტყოდა: „აი ესეები მიპატივებავ თქვენის მასვლისადა დ სტუმრობისად. რო წახოლო, წაილით თან. წეს რამ ასავ, თორე სრუაც არას გავსწირეუდი აქ; კაცს ატანილ-გატანილი არც ააშენებსა, არც გააღარიბებს“.

ეს საქმე, რომ მოთავდებოდა, ჩაიდოდნენ ისევ სამყოფოშე და დასხდებოლნენ, სტუმრები მოითხოვდნენ თავის ქინთს და დაიწყებდნენ არაყის სმას (სმის წესები უკვე ვიცით); შუაკაცი ხანდახან არ ენდობოდა შერიგებულო, ფიქრობდა: სასტელში საღმე შეხვდებიან ერთმანეთს და ისევ იშულლებენო. ამიტომ მაინდომებდა და ფიც-ვერცხლით ამობილებდა შათ (ამბილობის წესზე ნათქვამია ზემო თაეში), ვინაიდან ძმად გაფიცვის შემდეგ ისინი აღარ იშულლებდნენ. ხანდახან იყო ისეთი შემთხვევა, რომ ძალიან მაგარი შტრობა ჩამოვარდებოდა. სასიკედილოდ დაემუქრებოდნენ ერთიმეორეს, ვინაიდან ან ერთი მეორეს დაჩაგრავდა, ან ჭრილობებს მიაყენებდა და სირცხვილს დასდებდა, ან ისეთ აღგილზე დასჭრიდა, რომ ხევსურეთში ესეც სირცხვილად მიაჩნდათ, ან შინ მოსულ სტუმარს დაუჭრიდა და ამით დასდებდა სირცხვილს და ა. შ. ამ შემთხვევაში სირცხვილ-დადებული კაცი ძალიან ცდილობდა, საღმე მოხერხებულ აღგილას და დროს შეხვედროდა სირცხვილის დამდებს და სამაგიერო გადაეხადა. შუაკაცები ბევრს ცდილობდნენ მათ შერიგებას, შაგრამ სირცხვილდადებული იმუქრებოდა და შერიგებაზე უარს ამბობდა. ხევსურეთში ჩეეულება იყო, რომ შუაკაცები მოსვენებას არ მისცემდნენ და მაინც მიიყვანდნენ საქმეს შერიგებამდე. სირცხვილად მიაჩნდათ, თუ მტრებს ვერ შეარიგებდნენ. ამ სოფელში უფროსი კაცები აღარავინ იყოთ? — იყითხავდა ხალხი, თუ შტრები არ შერიგდებოდნენ და ცუდ რამეს ჩაიდენდნენ. ამიტომ შუა-



კაცები ყოველ ღონეს ხმარობდნენ შერიგებისათვის, მაგრამ შე რიგების შემდეგაც, როგორც ვთქვით, სახითათო იყო და ამიტომ მიმართავდნენ კველაზე პატივუცემულ და მაღალხარისხოვან ხერხს შერიგებაში. დამაზავეს რომ მოიყვანდნენ დაზარალებულის სახლში, მაგრამ ისევ შიშობდნენ მოსალოდნელ შულლზე, შუაკაცები სთხოვდნენ დაზარალებულის დედას, რომ თავისი ძუძუ ჩაედო შვილის მტრისათვის პირში, რომელიც ამჟამად შესარიგებლად იყო მოსული. ხევსური ქალები მუდამ მომხრენი იყვნენ მამაკაცების შერიგებისა და ხნიერი ქალი სიამოვნებით შეხვდებოდა ამ თხოვნას. შუაკაცი შეიძლება ამ სურვილს დაზარალებულს განუცხადებდა; შენ ყოფილ მტერს, ახლა შენს სახლში შესარიგებლად მოსულს, შენის დედის ძუძუ უნდა ვაწოვინო და ძმად გაგიხადოო. ხშირ შემთხვევაში არცე ეტყოლნენ და ისე გააწყობდნენ საქმეს, რათა შას უარი არ ეთქვა ასეთ მტკიცე შერიგებაზე. შუაკაცები როცა დაზარალებულის დედას შეუთანხმეჭებოდნენ, ააყენებდნენ დამაზავეს, მიიყვანდნენ მასთან და დედას ეტყოლნენ: „შენ დედა და ეს შვილი“-ო. მოაწოვე, ისე როგორც შენი შვილებისათვის გიშვევებია და ეს შენი „ვირუნახავი“ შვილი იქნებაო. ვითომც ამის შობაში და გაზრდაში შვილი შეიძინეო. მოხუცი ქალი გარსხნიდა „ფარაგის“ ლილს, თავის ძუძუს ჩაუდებდა პირში და ეტყოდა: მე ამდენი შვილი მყავს (მაგ. სამი) და მეოთხე შენ იქნებიო. ისიც უპასუხებდა: „დღესიდგეს მე შენ შვილ ვიქნები, ისრ გეგულებოდ პირშიაცა, ლხინშიაც, როგორც თავის ლვიძლ შვილები“. მერე ადგებოდა ნაშვილობი და ნადეობობს პირზე აკოცებდა. შუაკაცები კი მიულოცავდნენ: „კაზე მაგიქდინასთ დედაშვილობა დედაშვილობის გამჩენელ ლერთომ. ნუ შაგანანასთ, ნდობაი, სიყვარულ მაგისთ, როგორც ლვიძლის შვილი-საიდ, ლვიძლის დედისა“. მერე მიიყვანდნენ შუაკაცები და ამ დედის შვილებს ყველას გადააკოცნინებდნენ ახალ ნაშვილობს. კოცნის წინ ისინი ერთიმეორეს ეტყოლნენ: „იცოდან კევსურეთულთ ხითშვილთ, რო დღესიდგეს ჩვენ ვიქნებით ლვიძლ და-ძმები ერთუცისა“. მაშინ გამოტყდებოდა დაზარალებულიც, რომ გულში ფიქრობდა სამაგიეროს გადახდას: „შენ მე ძალიან ცუდად მიყავი, გულში არც მე ვფიქრობდი კას. ვფიქრობდი — რომაც შავიყრებითავ. მე ჩემს ვეცადაო -დ, ის თავისას ეცდებისავ, ან მავეკვლივაო -დ ან მავლავ, სიცოცხლეზე აღარ ვფიქრობდი -დ, არც მალეით მასკლასა შულლს ვფიქრობდი. მე გულში მედვ, რო იმ დროს უნდა შაგხვდრიყავ, რო პირდაპირად მავსულიყავ შენთან,

სწორ-სწორად გვეშულლ ერთფერით იარაღით. ისიც ვიცოდ, რომ მე შენ ვერას გამოგჩებოდი, იაფად არ დამიჯდებოდ შეულლ. მაგრამ სიკვდილამდინ ბძოლა კი მქონდ გულში. გოშას უთქომავ — იტყოდიან წინავ — მე კი შავებიო, მეგრავ თუნდა-ძირსათ -დ თუნდა ზედავ. ბევრჯელ ქვეც ვიარი ისითს გზაზე, რომ შენ საით შაგურიყავი, მაღლობა ღმერთს არ შაგხვდი. ეკლა კი შენ ძმათან ძმა-ი ხარ ჩემი. როგორც მე მიწოვავ დედას ჩემის ძუძუ, ისრავ შენ. გეფიცები კევსურეთულო ხთიშეილთ, რომ შე ჩემს ძმებსთანით აღარ გაგარჩევ არც ჭირშია -დ არც ლხინში. მე ვუდავ ჩემს კაცობას. რომ შენკე დახრილს მტრის იარაღს მე შავეგებები წინ“. ამ საუბრის შემდეგ კიდევ გულიანად გადა-ჰკონიდა თავის ახალ ძმის. ბოლოს შუაკაცებიც და მასპინძელიც ყველანი დასხდებოდნენ, სტუმარი კი თავის ქინთიდან არაყ და-სხამდა და პირველად თავის ნადებობს მისცემდა. ის ადგებოდა და პარველად თავის შვილობილს ადლეგრძელებდა: „შვილო, ღმერთმა დაგლოცას, ღმერთმა გადლეგძელას, შენ თავ მიცოც-ხლას. გიდლეგძელას ვინაც გყავ, ვინაც გეიმედების. მანამ გა-დლეგძელას. მანამ ცას ნამ მაზდისა, მიწას მწვანილი. ეკლა შენ ჩემს შვილებსთან შვილი ხარა, ჭირშიაც მაგეებსთან უნდა იყვა -დ ლხინშიაც. ჭირუნახავ შვილი ხარ შენ ჩემი -დ მე დედა-ი ორ შე-ნი. გადლეგძელას, გაცოცხლას, ჭირს ვსომ შენს. თქვენ დაგლოც-ნასთ ყველანი, გადლეგძელნასთ, კაც-შუაკაცნ დაგლოცნასთ ღმერთმ, კაის თქმა-გრძება ღმერთმა ნუ მაგიშალასთ. თქვენ ავი კაზე მაქციეთ. თქვენ იმედ ნუ მაუშალას თქვენს კაის მენდომე-საცა -დ თქვენს სოფლელ-სახლისკაცებასც. ჭირს ვსომ თქვენს ყველაისას“. ნადედობი არაყ საერთოდ სვამდა თუ არა, თავის ახალი შვილობილის სადლეგრძელო ყანწს მაინც გამოცლიდა და იტყოდა: „აა თქვენის დლეგძელობისა ყველაისა“. ნაშვილობი ყანწს გამოართმევდა და ახლა თავის ახალ ძმიბილებს და დობი-ლებს დაალევინებდა. ისინიც სადლეგრძელოში ძმიბილს დლეგრძე-ლობას უსურვებდნენ და პპირდებოდნენ ამის შემდეგ შეურ სი-ყვარულს. ბოლოს იმასაც მისცემდნენ ყანწს. თავის სადლეგრძე-ლოში ახალ ნადედობს იგი ასეთი სიტყვებით ადლეგრძელებდა: „დედავ! ღმერთმა გადლეგძელას, ღმერთმა გაცოცხლას, ღმერთმა გიდლეგძელას ძმა-ძმისწულებიცა -დ შვილებიც. ჩემო დედავ! მე ლირს არ ვიყავ, რო შენ ჩემდ შვილობა გეოქვ, მაგრამ შენ ჩემ შვილობა არ იუკადრისი. შვილად ამიყვანი. მე ამისა მაღლობელი იარ, მე აქამდინ ვისაიც შვილი ორ, იმათად რას მარგევ თრა-დ.



ეხლა შენ მეორე დედა-ი მყვიხარ. მე ბეჩავ კაც კი ორ, მაგრამ რესპუბლიკური იც ძალონენი -დ კაცობაი მაქვ კი, გაგიწევ შვილობას. თუ მე ისტორიული შვილ გექნები გულით, როგორც სხვა შვილები, მე მეშველასა, თუ არა, არამ იყოს დედაშემის დედობაიცა -დ შენიც. თქვენ გადლეგძელნასთ ღმერთმ უველანი, გაცოცხლნასთ. შუაკაცებო, თქვენ გაგიმარჯოსთ, გაცოცხლნასთ, თქვენ თავი, თქვენ იმედ ღმერთმა ნუ მაგვიშალას, კაის თქმად და კაის გონებად ნუ დაგლივნასთ ღმერთმ, მადლობელი ორ, რო ჩვენის გულისაც, იწვალეთა, ავ საქმე კარგად მაგვიქციეთ. მე ვერ გადაგიჯდით ამთვენს სიკეთესა, კევსურეთულნ ხთიშვილი, ღმერთ არ დაგიკარგვასთ. თქვენის გამარჯვებისა, გახარებისა უველაისა“ ასეთი დალოცვის შემდეგ სტუმარი ამ ყანწს სულუქცევრად გამოცლიდა და იტყოდა: „აი შავსვი თქვენის გამარჯვებისა, გადლეგძელნასთ, გაცოცხლნასთ“. „ღმერთმა გაამას“ — ეტყოდნენ ყველანი. მერე სტუმარი ყველას ღაალევინებდა. ისინიც აღლევრელებდნენ ახალ დედობილს და შვილობილს. სტუმარი აქამდინ თუ თავს უხერხულად გრძხობდა, როგორც ამ ოჯახთან დამნაშავე, ახლა თავისუფლად იყო როგორც თავის ოჯახში. მან ისიც იცოდა, რომ დანაშაული სულით და გულით აპარიეს და ძეირი გული აღარავის ჰქონდა მასზე. სმის გათავების შემდეგ, ამათი სახლისკაცებიც გადაიპატიუებდნენ სტუმრებს და პატივს სცემდნენ თავ-თავიანთ ოჯახებში. მტრების შერიგება ასე საბოლოოდ და მტკიცედ ყველას უხაროდა და გულგახსნილად იყენენ. მეორე დღეს სტუმრებს გაუშვებდნენ და არავინ ამ ოჯახის სახლისკაცი ისე არ დარჩებოდა, რომ ისინი სახლში არ დაეპატიე და რითაც კი შესაძლებლობა ჰქონდა პატივი არ ეცა. ყველანი უმადლოდნენ შუაკაცებს, რომ თავი შეიწუხეს და ორი გვარის ხალხი ერთმანეთს ვადაარჩინეს, რადგან ამ კაცების ჩხუბის შემთხვევაში არა მარტო ისინი რჩებოდნენ მტრად, არაშედ გვარი გვარს გადაეკიდებოდა და მოსალოდნელი იყო რამდენიმე კაცის სიკვდილი ორივე გვარში. იმიტომ სტუმრებს იმდენ პატივს სცემდნენ, რომ როგორმე მათი შრომის სამაგიერო გადაეხადათ. ამ სოფელში თუ სასმელი გამოელეოდათ, ვინმე ახალგაზრდას გაგზავნიდნენ და არაყ მოატანინებდნენ სხვა სოფლიდან. მიიტანდნენ იმ სახლში, სადაც მტრები შერიგებნენ და იქ უმართავდნენ სმას. ლხინს მტრებ შერიგების დროს არ მართავდნენ. მხოლოდ ხანდახან ლექსობა კი იცოდნენ ფანდურზე. თუმცა შერიგება მტკიცე იყო, მაგრამ შესარიგებლად მოსული მაინც არ შხიარულობდა, არც ლექსობდა და არც თამაშობდა. მაინც მორიდებუ-



ლად იქერდა თავს. ოდგილობრივები კი სერიოზულ ლექსებს შემუშავა
სობდნენ. ლექსში იქნებოდა გმირობა, სიკვდილი და სხვა.

არც ახალუხალი იყრიდა თავს. მეორე დღეს სტუმრებს ასე
უმასპინძლდებოდნენ, მესამე დილას კი ცხენებს მოუმზადებლენ
და გაისტუმრებდნენ.

სტუმარმას კინძლობა „მამკლავ-მამკვდრობის“ დროს

მამკლავ-მამკვდრობაში შუაკაცის მოსვლა სულ განსხვავდე-
ბოდა სხვა სტუმრისაგან და მასპინძლის დახვედრაც სხვა მასპინ-
ძლობასგან (მამკლავ-მამკვდრობაში ჩვენ ვეხებით მარტო სტუ-
მარს და არა მამკლავ-მამკვდრობის წესებს), სხვის ხელით რომ
კაცი მოკვდებოდა, გაგებისთანავე მცს ოჯახში ხალხი მივიდოდა,
მათ იმავე წესით შეხვდებოდნენ როგორც მკვდრის სატირლად
მოსულებს, მაგრამ განსხვავებებიც იყო. სტუმრები ძალიან ჩუ-
მად და დალონებული სახით მოვიდოდნენ. მათ შეხვდებოდნენ
ადგილობრივი ხალხი, ჭირისპატრონი და მისი სოფლელი სახლის-
კაცები. როგორც ვიცით, მოსულები გაიწევდნენ მკვდარზე დასა-
ქვითინებლად, მაგრამ დამხვედრები ადვილად არ გაუშვებდნენ
მიცვალებულთან. ჭირველად მოსულებს ძალიან წყნარის ხმით
ეტყოდნენ: „მახველით მშვიდობით“ (მიცვალებულის დროს სტუმ-
რებს გამარჯვებას არ ეუბნებოდნენ), ამ თქმაში შეამჩნევდით
როგორც ბრაზს, ისევე გლოვის ხმას, უფრო კი ბრაზს მტერზე.
ისინიც ნელის და დალონებულის ხმითვე უპასუხებდნენ: „გიშვე-
ლასთ ლმერთმ“. ტირილის შემდეგ (ტირილს უწოდებდნენ დაქვი-
თინებას) მობრუნდებოდნენ და ჭირისპატრონს ჭირს უწყენდნენ.
ჭირის წყენა ჩვეულებრივი იყო, მაგრამ სხვის მოკლულის დროს
ისე ვრცლად იშვიათად ვინმე უწყენდა ჭირს, როგორც სხვა მი-
ცვალებულებზე. აქ ასე მოკლედ ეტყოდნენ: „რადარ მე მაგი-
კვედ (ჭირის პატრონის სახელი), მანამ შენ გულ დასწუხდებოდ,
ბრალი, დადის ლმერთის წყენაი იმის მზის ჩაბნელებაი-დ ჩემ მზე-
ზე სიარული. იმის სულ ლმერთმა აცხონასა, ნარჩომს ჯვარ დაგ-
წერასთ ლმერთმ“. ჭირის მწყენელი ცოტა ხანს შეჩერდებოდა და
კიდევ ამოოხერით იტყოდა: „ახ ლმერთო, რადარ მე მამკალ, მა-
ნამ ჩემნ ყურნი ამას გაივონებდეს“.

ჭირის პატრონიც ოდნავ გასავონი ხმით უპასუხებდა: „რაის
გაისად ორთ. მავკვდებითა, მავისვენებთ. ეემ დღისად ორთ აი,



რო სალაო-სანებივროდ რაც ვის სწადის იმას ჩაგვადენს. უნაშენებობრივი დებლოდ გვკოცენ“.

სხვისი ხელით როცა კაცი მოკვდებოდა, მკვდრის ძმა-სახლის-კაცები ცდილობდნენ, რომ გაპარულიყვნენ და გზა შეეკრათ მკვდელისა და მისი გვარეულებისათვის. თუ მტრები ამ გზით გამოივლიდნენ, სისხლს აიღებდნენ, მაგრამ გახიზნულებმაც იცოდნენ ეს ამბავი და სახიფათო გზებს ერიდებოდნენ. თანაც გაპყვებოდნენ მათი სოფლელი ახალგაზრდები, საშიშ გზებში შუადა-შუა ჩაუდგებოდნენ, რომ ჩისაფრებულებს საშუალება არ მისცემოდათ, დამნაშავე გვარის კაცები გაემარტოვებინათ და სროლა აეტეხნათ. სროლას ვერ ატეხდნენ, თუ მეორე კაცი გვერდზე ედგა, რადგან სხვა გვარის უდანაშაულო კაცის მოკვლა არ შეიძლებოდა.

სატირლად მოსული სტუმრები ამიტომ ადევნებოდნენ თვალყურს მოკლულის ძმა-ბიძაშვილებს, რომ გზის შესაკრავად არავინ გაპარულიყო და სისხლს სისხლი არ დამატებოდა. თუ ვინმე წასულს დააპირებდა, გზაში გადაელობებოდნენ წინ. სისხლის ასაღებად წასულს არ უნდოდა, რომ მისი წასული ვისმე გაეგო, რადგან ეშინოდა, მაცნე გავიდოდა და მტერს გააფრთხილებდა. ამიტომ წასასელელად მომზადებული კაცი თუ დაინახავდა ვინმეს გზაში და შეამჩნევდა, რომ განზრახვა გაუგეს, მაშინვე მობრუნდებოდა, იარაღებს ჩუმად მიიტანდა და დამალავდა სხლში. მერე ვითომშე არაფერი, ისე გამოვიდოდა ხალხში. ჭირისპატრონის გვარიდან ქალების გარდა, არავინ ტიროდა სხვის მოკლულზე და არც კვნესოდნენ; თუ ვინმე იტყოდა რამეს ამ საქმის ირგვლივ, ისინი ასეთ პასუხს გასცემდნენ: „ეეგრ იცის მტერმ. აბა არა აშინებს ჩვენგან. იმით ქნა ეს საქმე, რო არვისგან ეშინოდ. თორე თუ შიშ ჩქონიყ, ვერ გალბედევდ“. თავის და-ბიძაშვილი ქალები ყველანი ძახილით ტიროდნენ: უსაფეროებმა მოგკლესო, ღალატით მოგკლეს, პირდაპირ ვერ გაგიშედავდნენო და სხვა. მოსული მოკეთე ქალებიც ასეთივე სიტყვებით ტიროდნენ და წყევა-კრულვით იხსენიებდნენ მკვდელს. ზოგიერთი კაცები, რომლებიც სატირლად იყვნენ მოსული და მკვდელის გვარისაგან შუაქაცობა პქინდათ ნათხოვი ან დავალებული, მისვლა-მოსვლას აწარმოებდნენ მკვდელის გვარში და ჭირისპატრონთან. ჭირისპატრონი თუ მოკლულის ოჯახში კაცი იყო, მაშინ მას ეკითხებოდა ამ მამკლავ-მამკედრობის ირგვლივ ყველაფერი, თუ ამ ოჯახში მამაკაცი არ იყო, მაშინ მის მოგვარეებს ეკითხებოდა. თუ ისეთი „უკაცური“ იყო (უკაცური:



გვარი რომ არ ჰყავს, ერთი კაცია გვარში ან ორი), რომ შუალედობა გვარში მამაკაცი აღარ დარჩა, მაშინ ამ ოჯახში დარჩენილი დია-ცები თავის სოფლელ კაცებს მიანდობდნენ ამ თავსისხლის წე-სებზე საუბარს, მოსული შუაკაცებისათვის პასუხის გაცემას, მო-სული რიგის სწორად მიღებას და სხვა. სოფლელებს გადამწყვე-ტი ხმა კი არ ჰქონდათ, ისინი „რჯულისთვეს“ (რჯულის წესს) ეუბნებოდნენ ჭირისპატრონ დიაცს, ასწავლიდნენ ჩოგორ იყო საჭირო მოქცევა, ან მკვლელის ოჯახიდან რა ერგებოდა და სხვა. დიაცი მათ სიტყვას იგონებდა და ეტყოდა: „ჰო, აბა თაოდ იციო, ურჯულო ქვე არაად გვინდა, რჯულისას ქვე ნურას დაცლებთ, მააყვანიეთა — დ მაატანიეთ“. დიაცები მოსისხლეობის საქმეში ქა-ლიან იშვიათად ამოიღებდნენ ხმას და მაშინაც ამას დაუმატებ-დნენ: „მე დიაცი ორ, რა მეკითხების. სახელ არ ას ჩემი — დ სირ-ცხვილა. დეგრა კაცები არიანა — დ იმათ იციან ყველა, სახელიც იმათა ასა—დ სირცხვილიც“. კაცებს კი მაშინვე მოუვიდოდნენ შუა-კაცები, რაწამს ხმა დავარდებოდა ამ კაცის სიკვდილისა. შუაკა-ცები პირველ მოსვლაზედვე მოიყოლებდნენ ერთ საკლავს. ამ საკლავს ეწოდებოდა „ასამტეხლო“. ასამტეხლო ნიშნავდა იმას, რომ ვიდრე ამ საკლავით არ სთხოვდნენ ჭირისპატრონს, ნება მოგვეცი რიგი მოვიტანოთ, გიყენოთ და ვილაპარაკოთ თქვენსა და დამააშავეთ შუაშიო, მანამდინ ვერაფერს იტყოდნენ, საუბარს არ ასტეხდნენ.

ასამტეხლო საკლავს რომ მოიყვანდნენ, ჭირისპატრონი შუა-კაცებს თხოვნით ეტყოდა: „ეეხლა მე გთხოვთ, რო ამ საკლავებს თვალით ნუ მაჟერიებთ, ჩენსა მაგათ საქმეზე ნუც საუბარს და-იწყებთ, ნუვინ გამეჭავრებიებით. ეეხლა მე მაგაზე საუბარს არ ვიყურება — დ ნუ ვინ დამემდურების, რო ვინაც არ დაიშლისა საუბარს დაიწყებს, ის გამეჭავრებიოს. აი მე ამ ჩემი ქუდით გთხოვთ, ნუ მაჟერიებთ თვალით, მამაშორეთ ე საკლავი. ჩემის მკედრის სატირლად ხართ მასულები, ჩემებ სტუმრები ხართა, ხათ-რი მაქვ. ნუც რას ამიტეხთა, ნუც მაუბნებთ“.

შუაკაცები ამ საუბარში გაჩუმებული ისხდნენ, ძალიან თავ-დახრალად და ხატრიანად. ჭირისპატრონს ველარაფერს ეტყოლ-ნენ, ერთიმეორეს ნელის ხმით მიეთათბირებოდნენ: „იყოს, დავა-ნებათ თავი, ეხლა ნუ შავაწუხებთ“. საკლავს სხვაგან საღმე შეი-ნახავდნენ და ხალხში დასხდებოდნენ. მერე ან ახალი სტუმარი ვინმე მოუვიდოდა, უფრო გამოცდილი, რომელსაც შუაკაცობაში მეტის გაკეთება შეეძლო, ან და მოსული იქნებოდა და ჯერ არ



ჩირეულიყო ამ შუაკაცობაში. ასეთ კაცს მოელაპარაკებოდოხოზონება
შუაკაცები და მოიმხრობდნენ, რავი ხალხი მეტ პატივს სცენდა,
გამოცდილება ჰქონდა, მეტის თქმა შეეძლო და მეტი გასავალიც
ჰქონდა მის სიტყვის. ასეთი კაცი უნდა ყოფილიყო გამბედავი,
შეეძლებოდა გამოცდილი და მოხერხებული ლაპარაკი, გაებედა ჭი-
რისპატრონისათვის პირდაპირი საუბარი, ხევწნა-შუღარა, რათა
მოქანცა ლაპარაკითა და ხევწნით და დაეთანხმებინა „რიგის ყენე-
ბაზე“. რიგის ყენებას უწოდებდნენ: კაცი, რომ სხვის ხელით შო-
კვდებოდა, მრავალი წესები სრულდებოდა დაზარალებულის ოჯა-
ხის სასარგებლოდ; საელავები, კურეტები, სპილენძი და სხვა შუა-
კაცებს უნდა მოეტანათ ყველაფერი თავ-თავის დროზე ჭირის-
პატრონისათვის დამნაშავის სახლიდან, (რადგან ამ თემას არა ვე-
ხებოთ, ეს წესები იწერება ნაწილობრივ, რაც სტუმარებას პინ-
ძლობასთან არის დაკავშირებული). ასეთ კაცს რომ იშოვიდნენ.
შუაკაცები ხელმეორედ მივიდოდნენ ჭირის პატრონთან, დაუწ-
ყებდნენ საუბარს და თხოვნას: „ეს ასამტებლო საქლავ მაყანილი
გვიავ. ემას იმაად ვკლავთ, რომ ეს აგიტებთ. მემრ, ხოლოთ
შენმ პირმ ბძანასა, ჩვენ მზას ორთ შავისრულათ ყველა ის წესი,
რაც კევსურეთს მაუდის. ეს ამბავი წინწინ თქვენ ხო არ მაგიკ-
დათ, რაად ან შენ თავი გგონავ მერჩულეი -დ ან ჩვენ რაად და-
გვიდი შუაკაცების მერჩულედ. (მერჩულე — ისეთი ამბის ჩამდე-
ნი, რომელიც არ მომხდარა აქამდინ. იგი ჩაითვლება მერჩულედ,
რადგან მან პირველმა ჩაიდინა და მისი მიბაძვით სხვებიც ჩაიდე-
ნენ მის დაწესებულს ანუ გარჩულებულ ამბავს). შენი ჭირიმ, თუ
გწყალობს (ადგილობრივი სალოცავის სახელს ეტყოდნენ, საღაც
ხდებოდა ეს ამბავი; მაგ. ეს ამბავი მოხდა შატილში და აქ ადგი-
ლობრივი სალოცავი არის ანატორის ჭვარი) ანატორის ჭვარი,
გავიგონი, არამც არც მევდრისად იყოს კარგი, არც ზედამჩრისად.
აბა ჩვენ რა ვიცით, საიქიოს რა წეს-სამართალი ასა, სააქაოს კი
ვიცით, რო კევსურეთულ მიწაწყალთ მაუდის მამკლავ-მამკვიდრო-
ბაიცა -დ რკულ-სამართალიც ყველას თავისათ აქვ. კევსურეთი ისეთ
რა მახვდებს, რომ მეორის თავზე არ მასულიყოს, ყველას თავის
წესი -დ რიგი აქვ. ყველა თავის წეს-რიგით ერჩევის. რაც ჭვარ-
ჭვარისკარსა მიწა-წყალს წესი, რიგი აქვ, მოდი, იმას ნუც ჩვენ
ჩავშლით, არამც არც საბოლოოდ ვარგოდას“.

ბევრს ასეთს ესაუბრებოდნენ შუაკაცები (იმ დროს აქ მმა-
სახლისკაცებიც ესწრებოდნენ, ოღონდ ისინი ბევრს არ ლაპარა-
კობდნენ. საუბარს უთმობდნენ ახლობელ ჭირისპატრონს. თუ ის



რიგიანად არ ამბობდა, სხვები მაშინ ჩაერეოდნენ). ჭირისპატირობული ნიც პასუხობდა და რიგის ყენებაზე უარს ამბობდა. შუაქურები რომ არ ეშვებოდნენ და საუბრით შეაწეუხებდნენ, ჭირისპატრონი მათ კი არ ჰყადრებდა — დაგეტოვეთო, როგორც სტუმრებს, სახლისკაცებს ეტყოდა: „აბა წამეედითა აქ, სათქმელ-საყითხავი შავე თქვენდ. თქვენთან უკაცრავად, ვაუებო, ცოტახანს მავიციცადეთა, მაოლთ“. ძმა-სახლიკაცები ადგებოდნენ და ცალკე გავიდოდხენ. აქ მოისაუბრებდნენ: „იყენონ თუ არა რიგი“. ზოგი მათგანი ამბობდა: „ჩვენ ვერ დაგხეარგავთ ეეგრ. მაյვლა გვინდა, მაშინ იქავ დასაბრუნებლად რად გვინდ რიგის ყენება. რე რო ვიყენათ, რო მახვდების რა, მემრ რაიღ ჰქვა-ი აქვ მატანილის რიგის უკან ბრუნებას“. მეორეები ამბობდნენ: „რიგის ყენება ასცრას გაამტყელება, არცას გააწერილებს. ურიგობა უფრო სირცხვილია, არც მკლრისად ას კაი. თუ კი რაისვინ მაქმედი ორთ, ნეტაინ ქვე ჩავიგდათ კელჩია ქვე რა-ი ვქნათ, თორე რიგის დაბრუნება კი რას კელს შაგვიშლის, სიხარულით კიდევაც მეტს მიესცემთ, რიგ რო ვყენათ, ისი ჭობ, ურიგოდ ჯდომას კი“.

ასე ისაუბრებდნენ და უმრავლეს შემთხვევაში გადაწყვეტილნენ: იყენონ რიგი. მერე ადგებოდნენ და მოვიდოდნენ ისევ შეაკაცებთან. შუაკაცები მათ მოსვლაზე ფეხზე ადგებოდნენ და ეტყოლნენ: „მაგვიცევეით მშევიდობით“. „გიშველასთ ღმერთმ“ — ეტყოლნენ მოსულებიც და დასხდებოდნენ განურჩევლად უფროს-უნცროსობისა. დამსხდრები დიდხანს იქნებოდნენ ჩუმად და ბოლოს ერთი უფროსი კაცი დაზრალებულის გვარიდან იტყოდა: „შუაკაცებო! შუაკაცს უკაცობო კაც აწყენსა, არ გაუგონებს. ჩვენ მაგათ ნაყენებ რიგი არ გვინდოდ. არაც მკვდარს გვიცხონებს მაგათ ნაყენებ რიგი -დ არც სირცხვილს მაგვდის, მცრამ თქვენ სწვალდებით: სხვის გულისად ძილსაც სთმობთ, კას ტაბლასა -დ ლოგინსაც თავის შინ. ეეხლა იმას გეტყვით, რო რაკელაც გინდათ, ისრაც მაიქცენით. თუ მაიც არ იშლით, რიგიც მაიტანეთ, ხოლოთ კევსურეთის რჯულ რაიც ას, ყველამ კარგად იცითა, იშისად არც გადაჭარბებული ვარგ, როგორც დაკლებულ არ ვარგ. მე მაგის მეტს არას გეტყვითა -დ ეეხლა თქვენ თაოდ იცით“. ამ სიტყვების გაგონებაზე სტუმრები (შუაკაცები) ფეხზე ადგებოდნენ, ქუდებს მოიხდიდნენ, დაზარალებული გვარის კაცების წინ გადაყრიდნენ და ყველანი იტყოდნენ: „აი ეე ქუდით მადლობელნი ორთ, რო გზა-კვალ მაგვეცით. მარჯვე არ იყვ ეეხლა თქვენდ შამაწონაი, თქვენთან საუბრის გაბედვა, მაგრამ საითალ ვინ მავი-



ყვანათ. რაც გინდა უცოდინრებ ვიყვნათ, მკედართ ხო ვერ ამაშულებულია სთხრით, მაინც ჩენ უნდა ვთქვათ სათქმელი. კაი კაცმ ყველა კად იცისა -დ კაის ჯიშის გვარმ, ზოგ კაცი, ზოგ გვარი მაცოდარ-საც გზა-კვალს აურევს, ჩვენისთანა უცოდარს კი არ. იმით ორთ მაღლობელნ, რომ მაცოდარნ კაცნ-ი ხართა, ბევრს ჩვენს სათქ-მელს თქვენ თაოდ ამბობთ, რო ჩვენ ვერ ვგონობთ რაიც სათქმე-ლი“.

ჭირის პატრონები ადგებოდნენ და ხალხში გავიღოდნენ, შუა-კაცები „ასამტეხლო“ საკლავს გაიყვანდნენ ბაზე და დაკლავ-დნენ, საკლავის დაკლას ჭირისპატრონი იშვიათად დაესწრებოდა. ერთი შუაკაცი საკლავს დაიკურდა, მეორე ხელში დანას ან ხან-ჯალს მოიმარჯვებდა და იტყოდა: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერ-თო, მაღლი შენდა, ღმერთო, უშველი ამ ჭირისპატრონს (სახელს იტყოდა), მარჯეს ნულარას მისცემ, ნულარას ავს ჩამაუგდებ, და-ლაციოლო ღმერთო, ერთულის მედავეთ რაც ავ ჩამარვარდნივ, ღმერთო. შენი დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჯსენებით. სადაც შენ ხარ (მიცვალებულის სახელი), შენ ანდაბი ას, ეს საკლავი შენ-სამც სულს ამთავრებს, შენსამც სულს აიაღებს, მანდაურის წე-სითა, სამართლით. მყვალესა მჯავრესამც გაშორებს, სამძიმარსაც გიზუბუქებს, ენით ნათქვამს, კელით ნაჯარს, ყურით განაგონარს, წინ მაგებებულს, უკენ მაწეულს, სიკვდილის დღეს დამწყვდე-ულს, შაგინდნას ღმერთმ ქრისტიანობის გამჩენმ, შენსამც სულს ამთავრებსა -დ აიაღებს“ (ამას ეწოდება „საკლავის შასხელება“ სულისათვის). შესახელების შემდეგ ხუცესი საკლავს ყელს გამო-ჭრიდა. იმას ისე გაატყავებდნენ და სადმე დაპირებდნენ, რომ ეს მუშაობა ჭირისპატრონის თვალწინ არ ყოფილიყო, რადგან ჭი-რისპატრონი ამ დროს ერიდებოდა სისხლის, ხორცის და სხვა ამისთანების ნახვას. ხორცი აქ დარჩებოდა და ტყავი კი ეძლეო-და შუაკაცებს. ყველა სტუმრები გამწკრივებული და გაჩუბებუ-ლი იყვნენ.

ამ საკლავის დაკლას შემდეგ შუაკაცები გამოემშვიდობებო-დნენ ჭირისპატრონს და წავიდოდნენ დამნაშავის ოჯახში. შეიძ-ლება ჭირისპატრონს არც კი შეაწუხებდნენ გჭმოსამშვიდობებ-ლად და მის გაუგებრად წავიდოდნენ, მიეიდოდნენ დამნაშავის ოჯახში. ამ ოჯახიდან ახალგაზრდა გახიზნული იქნებოდა, მოხუ-ცი კაცი და ქალები იქნებოდნენ შინ, რომლებისთვისაც თოფის სროლა არ შეიძლებოდა.

მოხუც კაცს როცა იარაღებს ალარ ატარებდა, არავინ მოჰკლავ-



და: მას ეწოდებოდა: „იარაღყრილი კაცი“. მაგრამ მათი უკანასკნელი წევრის ხელით რაცი კაცი მოკვდა, გარეთ არც ის გამოდიოდა და შეიტყო სით. წესი იყო: ერთ საკლავს კერძოდ ამის სათხოვრად გაგზავნიდნენ. შუაკაცების ხელით ჭირისპატრონთან, რომ ოჯახის დიაცუმაწვილის და მოხუცებისათვის ნება მიეცა გარეთ გამოსვლისა როგორც ვთქვით, ამ ახალ მომხდარ ამბავზე კი ყველანი შინ იმალებოდნენ და დაამტებამდინ გარეთ არ გამოდიოდნენ, ვიდრე ჭირისპატრონი ნებას არ დართავდა. თუ ვინმე გამოვიდოდა, შესაძლებელია ჭირის პატრონს „ჯურუმი გამოება“ გარეთ გამოსვლისათვის. ჯურუმი (ჯარიმა) იყო ხუთი ძროხა. ჭირისპატრონს უფლება ჰქონდა წესის დარღვევისათვის შეეთვალა ჯურუმი და შუაკაცები მაშინვე მოუტანდნენ. (მე მახსოვს, სოფელ აქლაში მცხოვრებს ხომისზურათ ბაბუას შემოაკვდა კიბალაურთ ჯლუნადა იმას ხუთი ძროხა გადაახდევინეს,—როცა ჯლუნას ასაფლავებდნენ, მაგან ქულაჭა გამოიტანა და გაბერტყაო. ბაბუა თვითონ მკვლელი იყო, მაგრამ გადასახლებული იყო სხვა სოფელში).

შუაკაცები დამნაშავის ანუ მამკლავის ოჯახში რომ მიეიღოდნენ, იქ გარეთ ვერ გამოეგებებოდნენ, შინ შესულებს კი ყველანი მოეგებებოდნენ და მშვიდობას ეტყოდნენ. მოსულები უამბობდნენ ყველაფერს, თუ როგორ გაუჭირდათ ლაპარაკი ჭირისპატრონთან, რამდენი ბრძოლა და თხოვნა დასჭირდათ რიგის ყენების შესახებ, როგორ დაკყოლიეს ისინი რიგის საყენებად, იმათი გვარიდან შურისსაძიებლად ხომ არავინ იყო წასული და სხვა. მამკლავის ოჯახის წევრები მადლობას გადაუხდიდნენ შუაკაცებს წვალებისათვის და კადევ სთხოვდნენ, რაც შეიძლება დახმარებოდნენ და მოელბოთ ჭირისპატრონის გული. ჩვენ ცხოვრება არაად გვინდაო, — იტყოდნენ ისინი, — რაც შეიძლება შეტი დავხარჯოთ და როგორმე ჭირისპატრონი დავამშვიდოთ, იქნება ისე გამწარებულმა ალარ დაუწყოს დადევნა და ძებნა ჩვენებს მოსაკლავად, თორემ მმ მწარე გულზე თუ ის კიდევ გავამწარეთ, სულ არ მოისვენებს და უაცილებოვა ვისმე მოგვიყლავს. ხევსურეთში იციან: გამწარებულ გულს წესი და რიგი ამშვიდებს და კარგი ქცევა დადებულ (დამიზნებულ) თოფს ალებინებსო.

შუაკაცები ეტყოდნენ ამ პირველა რიგის ყენებაში რა იყო საჭირო. ეს ოჯახიც მოუმზადებდა საკლავებს, კურეტს და ყველაფერს, რაც კი წესი იყო. ისინი ხელმეორედ დაბრუნდებოდნენ და მიიტანდნენ რიგს. ჭირისპატრონები ისევ ეტყოდნენ მშვიდობას და ისევ კაი გულად კი ვერ შეხვდებოდნენ, როგორც სხვა დროს.



საკლავებს, კურეტს ან კიდე მოტანილ სპილენძს ისინი არ ჩატარებულიყო
ართმევდნენ. შუაკაცები მიტანილს და მიყვანილს ყველაფერს
თვითონ დააბინავებდნენ, დასხდებოდნენ და სხვა ხალხთან ერ-
თად ისაუბრებდნენ. მერე ადგებოდნენ და რიგის საკლავს დაკ-
ლავდნენ; კურეტს ხან დაკლავდნენ, ხან კი ცოცხლად გაუშვებ-
დნენ. ხუთ ძროხა დრამასაც დააწყობდნენ ჭერხოში. ჭირისპატ-
რონი ამას უურადლებას არ აქცევდა. შუაკაცები ყველა რიგის ყე-
ნების დროს ხათრით მიღიოდნენ და დიდის თხოვნით აყენები-
ნებდნენ რიგს. რიგის ყენება მრავალი იყო, „სახლის რიგი“,
„წყალწისქვილის სამჯსნელო“, „საფლავ-სამარხის სამჯსნელო“,
„კვნად გასვლის სამჯსნელო“, „თიბისა“, „საძმო“, „სადედო“,
ჯურუმები და სხვა მრავალი. ეს წესები ყველა სრულდებოდა შუა-
კაცების საშუალებით. მისვლა-მოსვლა და სტუმარმასპინძლობა
ერთი და იმავე ხასიათის იყო. სტუმარი შუაკაცი იქცეოდა ძალიან
ხათრიანად და მასპინძელიც ისე პატივცემით ვერ ეცყრობოდა,
როგორც სხვა ჩვეულებრივ სტუმარს, ხანდახან აწყენინებდა კი-
დეც, მაგრამ სტუმრისათვის პატივისცემას მაინც არ კარგავდა და
ისევ თავაზიანად ექცეოდა მათ. მოვიყვანთ ზოგიერთ განსაკუთრე-
ბულ წესებს. სადაც სტუმარი მეტად ჩანს მამკლავ-მამკვიდრო-
ბაში.

ხანი და დრო გაივლიდა, რიგსაც ყველაფერს და ყოველთვის
უყენებდნენ. მამკლავ-მამკვდრობა რომ მოხდებოდა, რამდენიმე
წლის შემდეგ (ორი ან სამი წელი) მამკლავი „ჯვარში შაუჭდებო-
და“. ჯვარში შეჯდომის შემდეგ მას მოსაკლავად ძებნას არ დაუ-
წყებდნენ, თუ არ გაბრიყვდებოდა და არაფერს აწყენინებდა ჭი-
რისპატრონს. როცა ისინი მის ძებნაზე ხელს აიღებდნენ, ამას
ეწოდებოდა: „თოფის აღება“, მანამდენ თითქოს თოფი დადებუ-
ლი (დამიზნებული) იყო მოსისხლისათვის სასროლად და ახლა
აიღეს, აღარ უმიზნებეს მოსისხლეს. სინამდვილეში კი ასე იყო ეს:
ჯვარში შეჯდომის დრო როცა მოვიდოდა, მამკლავი მოამზადებდა
არცეს, ერთს სამის წლის კურეტს, ერთს ცხეარს და ხუთ ლიტრა
სპილენძს. ამას ყველაფერს საიდუმლოდ ამზადებდა, რომ ჭირის-
პატრონისათვის. ამბავი აზავის მიეტანა და მიმავალი მამკლავისა-
თვის გზა არ შეეკრათ. ბოლოს ჩუმად შეარჩევდა სამ-ოთხ ახალ-
გაზრდას, ლამე წავიდოდა, მიიპარებოდა მამკვდრის სოფლის მთა-
ვარ სალოცავში. აქედან მისი თანამყოლი ერთ-ერთი წავიდოდა
და ხუცესს მოიყვანდა. თუ ამ სოფელში ვინმე სანდო და საიშე-
დო ახალგაზრდები ან მოკეთები ჰყავდათ, იმათაც შეატყობინებ-



დნენ. ისინიც და ხუცესიც ღამით ჩუმად მივიდოდნენ. ახალი დროის განვითარების შეზღუდვის მიზანით იქით-აქეთ ათვალიერებდნენ, რომ გაგებული არავის პერსონა მოკლულის გვარში, აյ არ მოპარულიყო და საკლავის დაკვლამდე მამქლავი არ მოექლა. საკლავის დაკვლის შემდეგ კი ადგილად ალარ მოკლავდნენ, რადგან მამქლავი ჭვარს მიებარა და ის გაიხადა თავისი მფარველად. საკლავს დაკლავდნენ, კურეტსაც, დრამისაც იქ დააწყობდნენ და სასმელს საჩქაროდ დალევდნენ. მერე იქაური ახალგაზრდები გამოაცილებდნენ მისულ სტუმრებს კარგა შორ მანძილზე, ჭვარში კი დარჩებოდა მამქლავს მოყოლილი შუაქაცი, ხუცესი, ახალგაზრდებიც აქვე მოვიდოდნენ, დალევდნენ მამქლავის მოტანილ არაყს. მერე დაკლულები და დრამა აქ დარჩებოდა, თვითონ კი სოფელში წავიდოდნენ. მამქლავი და მისი გამყოლი ხალხი კი გათენებამდე სამშვიდობო გზას გმოვიდოდნენ. მეორე დღეს შუაქაცები მოიმხრობდნენ ადგილობრივებსაც, მივიდოდნენ და ეტყოდნენ ჭირისპატრონს. ახალგაზრდები გაატყავებდნენ კურეტს, ტყავსაც და ხორცსაც მიიტანდნენ ჭირისპატრონის სახლში. ცხვრის ტყავი და კურეტის ტყავის ნახევარი შუაქაცებს რჩებოდა, ნახევარი ტყავი და კურეტის ხორცი — ჭირისპატრონის. ცხვარს კი აქვე მოხარშავდნენ და ჭამდნენ ყველანი. ჭირისპატრონს ეს მმავი არ ესიამოვნებოდა, რადგან ამის შემდეგ ადგილად ვეღარ მოკლავდა მამქლავს, მაგრამ მოსული სტუმრების პატივისცემის გულისათვის ვეღარაფერს ამბობდა. ისინი საკუთარ არაყს მიიტანდნენ და ჭირისპატრონის სახლში დაიწყებდნენ სმას, ოლონდ ამ მამქლავ-მამქვდრობის ირგვლივ ბევრს არაფერს ლაპარაკობდნენ. ჭირისპატრონი სტუმრებს, რითაც შეეძლო, პატივს სცემდა და მერე გამოისტუმრებდა.

ერთ ასეთი შემთხვევაში მე მცილე მონაწილეობა; ერთ არხოტიონ კაცს, თათარა წიკლაურს, შემთხვევით შემოაქვდა სოფ. ჭუთაში მცხოვრები ჭურქა არაბული. თათარა სხვებთან ჩხუბობდა. ჭურქა გამშველებლად მოვიდა და შემთხვევით თათარას ხანგალი მოხვდა წვიერში. მაშინ მთვრალი ხალხი იყო და ვერაფერი გაიგეს, ჭურქა სისხლისაგან დაიცალა და იქვე გარდაიცვალა. სწორედ ამ წინა ღამეს თათარა ჭურქას სტუმარი იყო და დიდი პატივიც სცა. თათარამ რომ გაიგო ჩემი ხანგლით დაჭრილი მოკვდაო, წავიდა და ჭურქას სახლში შევიდა: მისი სტუმარი ვიყავი, პატივი მცა და მე ასეთი უბედურება მომიხდა; ამის შემდეგ მე სიცოცხლე არ მინდა. შევალ მის სახლში და იმის ძმებს მოვეკვლევინებიო. ამ დროს ჭურქას ძმები სახლში არ დახვდნენ. ჭურ-

ქას ცოლი ძალიან ჭკვიანი ქალი იყო; თათარი რომ იქ შესული დაინახა, უთხრა: „წადი, შე საცოდავო, შენ განა შენის ნებზე მახალი. აღარ მინდ რო შენს ცოდვას უყურ. მავლენ ჩემები ქმრის ძმები, ასო-ასო აგვაფვენ“. თათარის გამოსვლა არ უნდოდა, ელოდა, ეგებას მოვიდეს ვინმე და მომკლავსო, მაგრამ ჭურჯას ცოლმა არ გააჩერა და გააგდონ გარეთ. სანამ ჭურჯას ძმები გაიგებდნენ, თავისმა მოკეთე ჭუთლებმა დამალეს და ღამე სხვა გზით გააპარეს. ჭურჯას ორი ძმა დარჩა, ძალიან სახელოვანი ვაჟკაცები, თათარი პირველად თუ ცდილობდა, რომ მათ მოეკლათ, დროს გასვლის შემდეგ დამშვიდედა და სიკედილი აღარ უნდოდა. ჭურჯას ძმები ძალიან ეძებდნენ მოსაკლავად, მაგრამ ის უფრო მეტად ფრთხილობდა, ხან ერთ კუთხეში იმალებოდა ხევსურეთში და ხან მეორეში. ერთხელ ესროლეს კიდეც, მაგრამ ტყვიამ ტანისამოსში გაუარა, თვითონ კი სახლში შევარდნით გადარჩა. ბოლოს მოაწია ჭეარში შეჯდომის დრომ და თათარი საამისოდ მოემზადა. მოვემზადეთ ხუთი ახალგაზრდა და გაცემებით. შუალამე იქნებოდა, რომ სოფელ ჭუთას მივუახლოვდით. მე ძალიან კარგი, საიმედო ცხენი მყარდა, თათარი შემოვისვი ცხენის გავაზე და ზედ ორივემ ნაბადი მოვიხვიეთ, სხეებიც ცხენებზე შესხდნენ და ჯგუფად წაველით ხელი ნაბიჭით. ვინიცობაა, თუ შემთხვევით ისინი გაიგებდნენ და თათარის ხიფათი ელოდა, ცხენის იმედი გვქონდა, უცბად გამოგვარილებდა. გარდა ამისა, რაკი მე მეჭდა ცხენის გავაზე, სროლი აღარ შეიძლებოდა, რადგან იმისათვის ნასროლი ტყვია შეც მომხვდებოდა. ასეთ ამბავს ხევსურები ძალიან ერიდებოლოხები და არავინ გაბედავდა სროლას, თუ მკვლელის გარდა კიდევ ვისმეს ელოდა ხიფათი. სოფლის ბოლო გავიარეთ ფრთხილად, ერთი კაცი შორს წინ მიგვიძლოვდა, თუ ვინმე სახიფათო კაცი შეხვდებოდა, ნიშანს მოგვცემდა და ჩვენ თათარის გამოვაცილებდით. ბოლოს სოფლის გაღმა მხარეს, ჭუთის ჭვართან მივედით (ამ ჭვართ ეწოდება ჭუთის წმიდა გიორგი), ცხენებიდან ჩამოვედოთ, მარჯვეს დავიბით და თვითონ დავიმალეთ შამბებში. ჭუთას სოფელში კაცი გავგზაენთ ხუცესისა და თათარის მოკეთე ახალგაზრდების გამოსაძახებლად. გაგზავნილი კაცი ფრთხილად მივიდა ოჯახში და უველანი ჩვენთან მოიყვანა. ჭუთელი ახალგაზრდები გარშემო დაიფანტნენ სამეთვალყურეოდ, ჩვენ კი კურეტი და ცხვარი სასაკლაოზე დავაყენეთ, დრამა ხუცესს ჩავაბარეთ, რომელიც საქვაბეგში შეინახა, ხმადაბლა ისუცა, რომ ხმა შორს არ გასულიყო, და კურეტი და ცხვარი დაკლა. ხუცობაში ჭუთის წმი-

და გორგის ეხვეწებოდა: „ერთულის მოდავეთ რაც იგი ჩამაუ/ გარდ, ნულარას ავს ჩამაუგდებო, დაინდუნენ ჭირისპატრულობებისა/ ისე, როგორც ამის შემდეგ თათარას დაინდობენო“ ამწყალობნებ-და ორივე მხარეს. ჩუმად დაკლეს საკლავები და ყველამ ჩუმად ნელის ხმით დავამწყალობნეთ ყველანი: „გწყალობდასთ ერთ-უცის მოდავეთ ჯუთის გიორგი, მშვიდობით შაგინახნასთ, ავ ნუ-ლარა ჩამაგიგდასთ, ამის შემდეგ კას საქმეზე დაგარიგნასთა, გა-დიდნნასთ. თქვენ გწყალობდასთ კაცას, შუაფას, მეჭელებს ეგი-ლობა ნუ დაგიკარგასთ, ხუცესს ენა-პირ გიურთხას, დიდხანს-გაგიყოლას“ თათარა ამ დროს სულ მუხლზე იჯდა და თავდახრი-ლი პირჯვრს იწერდა, თან ნელის ხმით ამბობდა: „დიდო ჯუთის წმიდაო გიორგიო, შენ მიშველი, შენ დამეკმარი, შენს კალთაში შამამიფარებავ თავი, შენ შამაგხვეწიორ, შენ შამინვეწე, ნულა-რაით დამამარცხებ, ზღვითა, სანთლით მაყდი, დალოცერლო, კა-ცით ნურას გადამაჯდევ“.

დამწყალობნების შემდეგ თათარაც ფეხზე ადგა, ყველანი ერ-თგან მჭიდროდ შევჯუდით, რომ მოსულ კაცს სიბნელეში ვერ გაერჩია რომელი იყო მათი მეცლელი, დაუსახეთ ჯუთელებსაც, რომლებიც გარეშემო დარაჯობდნენ, ამოვილეთ არაყიანი ქინთი, პირელი ყანწი ხუცესის მივეცით. მან დაილოცა: „გაუმარჯვის ჯუთის წმიდას გიორგისა, გწყალობდას გიორგის დაელათი, თათა-რავ, დაგიცას, დაგიფარას დღესაც, ღამესაც, ველთაცა, შინაც. შა-მალბარებიხარ გიორგის კალთასა, თავის კაბის კალათა ჩაგაფარას, გაჭირებაში დაგიკსნას ნურა აე მაგკერძას. თათარაისად მატყოლ ახლებო, თქვენაც გწყალობდასთ გიორგის დავლათი, უჭილობა ნუ დაგიკარგასთ. (აქაურ ჭირის პატრონის ქვეგვარი იყო „ხუტანი“) ხუტათაც სწყალობდას გიორგის დავლათი, დღეს ამას იქით კა აგონებიყას, დაინდენას როგორც დაგინდობენ. აქამდინ შენ ისენ ვერ დაგინდობდეს, რაფი მაქლავი იყავი. ეხლა შამანვეწილი, თავშამფარებელი ხარ გიორგის კალთაში. გიორგიც გწყალობდა-სა, გიორგის ხათრით ალბათ ხუტანიც დაგინდობენა, თოფს აი-ლებენ“.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ხუცესმა არაყი დალია. თათარა ისევ მუხლზე იჯდა და მაღლობას უზღიდა. მერე ადგა ერთმა ჩეენმა ამხანაგმა დაასხა არაყი და ჯუთლებს დავალევინეთ (ეს ჯუთლები იყვნენ თათარას მოკეთები, ხუტათი არაფერი იყვ-ნენ). მათ რომ დაილოცეს და გვისურვეს მშვიდობის მგზავრო-ბა, მერე ჩვენც დაგვალევინეს. ამნაირად ოროლ-სამსამი ყანწი



გამოვცალეთ. ახალგაზრდები ზოგნი წინ წამოვიდნენ გზების და სათვალიერებლად, დანარჩენებმა ჯვართ ჩვეულებრივად მუხლით მოვუყარეთ და ვთხოვთ მგზავრობაში ხელის მომართვა. შერე ხუცესს ვუთხხარით: „ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა -დ კაცსაც“. „მშვიდობით წაედით, კელ მაგიმართასთ ღმერთმა, წყალობა გაიყოლეთ გიორგისა, წალმ გამაგყოსთ, კელ მაგიმართასთ გზაშია -დ მგზავრობაში“, — ვითხხრა ხუცესმა. მე ისევ თათარა შემოვისევი ცხენზე, სხვები თავ-თავის ცხენებზე შესხდნენ და წამოვტედით. გზალაგზა ჩვენ ამხანაგებსაც დაევწიეთ, რომლებიც წინ წავიდნენ. დამხმარე ჭუთელ ახალგაზრდებსაც გამოვემშვიდობეთ და გათენებამდინ გადავედით ისევ არხოტში. ერთი ხნიერი კაცი შუაკაცად დავტოვეთ ხუცესთან. მეორე დალას წესისამებრ შუაკაცი და ხუცესი ჭირის პატრონთან მისულიყვნენ. არაყიც, საკლავის ტყავ-ხორციც და კურეტისაც წესის მიხედვით გაენაწილებინათ. მესამე დღეს შუაკაცი მოვიდა და თათარას ამბავი მოუტანა: ხუტათ თოფი აიღეს და სიტყვა თქვეს: იმას ნუღარ ეშინია, ჩვენ ძებნას და დადევნას არ დაუწყებთ, მხოლოდ თავის თადარიგით იყოს და ცუდს ნურაფერს გაგვაგონებსო. თოფის აღება ცველაშ მიულოცეთ და იმანაც მის გამყოლებს და შუაკაცებს არაყიც პატივი გვცა.

შერე საბოლოოდ სხვა ძმებმაც შეიტიგეს, მხოლოდ ჭურვა ხათრიანად იყო იმათთან.

ჯვარში შეჯდომის შემდეგ მკვლელი ცოტათი მაინც განთავისუფლდებოდა, იმდენი მაღვა აღარ იყო საჭირო, როგორც აქამდის. მოსაკლავად აღარ დაეტებდნენ, მხოლოდ თვითონ კი შათი მოგვარეების სიახლოვეს არ გაიღლიდა, თუ გზაში ვინმე შეხვდებოდა, ქუდს მოიხდიდა, იქვე დააგდებდა და თვითონ გზის ძირში გადავიდოდა. შემხვედრიც ხმას არ გასცემდა. ხათრს უნახავდა იმ გვარის ღისწულებს, ქალებს და სხვა. ახლო მოგვარეებს პირშა-სამყრელომდინ მაინც ვერ შეხვდებოდა გზაში.

სტუმარმასპინძლობა პირშასამყრელოს დროს

მომკლავი ჯვარში შეჯდომის შემდეგ, როგორც ვიცით, ნახევრად განთავისუფლდებოდა, მაგრამ საჭირო იყო პირშასამყრელო „პირშასამყრელო ძმა-სახლიკაცებმა აღრევე იცოდნენ, ე. ი. კაცის სიკვდილიდან მოკლე ხანში. თვითონ მკვლელი კი სამ წე-

ლიწადს მაინც იმალებოდა, მოსაკლავად დასდევდნენ. ბოლომ შუაკაცების საშუალებით მოხდებოდა პირშასამყრელო. პირშემციც მოხდებოდა რელოს მოსაგვარებლად შუაკაცებს რამდენჯერმე გაგზავნილნენ. ჭირისპატრონი მომქლავის პირად შეყრაზე ხშირად მაბობდა უარს. ოოცა ის შუაკაცების თხოვნას ყურადღებას არ მიაქციედა და პირშასამყრელოზე უარს ეტყოდა, მაშინ მომქლავი ერთ წელს ან ნახევარ წელს კიდევ მოიცდიდა და მერე კიდევ მისცემდა შუაკაცებს ერთ საკლავს, არაყს ქინთით და გაგზავნიდა საოთხოვნელად, რო პირშასამყრელოს ნება მიეცა. ჭირისპატრონი საუბრის დროს მათ ხშირად უმეორებდა: „თქვენს გამარჯვებას, სტუმრები ხართ, ცუდს ნურას მათქმევთ, უკაცობო კაც აწყენს კაც-შუაკაცსა, სტუმარს. მაგრამ ოოცაც დრო არ ას, არც უნდა შუაკაცებ აწუხებდან კაცს“.

უკანასკნელად შუაკაცები რომ მიეკიდოდნენ ჭირისპატრონთან, მიიყვანდნენ საკლავს და სასმელსაც მიიტანდნენ (სასპელის მიტანა და საკლავის მიყვანა იცოდნენ იმიტომ, რომ უსაკლაოდ შუაკაცები ვერ ეტყოდნენ პირშასამყრელოს შესახებ რამეს, რადგან მამკლავ-მამკვდრობაში ასეთი მძიმე რამეს შესახებ საუბრის დაწყებისას საკლავი უნდა ყოფილიყო აუცილებლივ). შერე კიდევ შეეხვეწებოდნენ ჭირისპატრონს: „ჩვენ შენთან კიდევ მავედით შენ შასაწუხებლადა, საოთხოვლად, ეს საკლავი, სასმელიც იმაად მავიყვანეთ, რო უამისოდ ვერ აგიტებდით ამ საქმეს, თქვენს გამრჯვებას, ეეხლა კი ჩვენაც კაცად ჩაგვყარენით, ღმერთსაც ახენეთ, არამც არც მკედრისად იყოს კაი, არც ცოცხლისად. ამოვენ ხანს დაოს, მართალია თავის დალეულზე, მაგრამ ეს საქმე კევსურეთ წინწინ მამკდარ ხო არ ას. წინავ სხვის მახვილმივასა -დ კლოვ სხვის თავზე მივ. კაცობილნ კაცნი ხართ, ჯიშიანნ კაცნი ხართ, რჯულის თავი თქვენზე მეტად კევსურეთ არვინ იცის, თქვენ ჩვენზედაც კარგად იცითა, სხვათაზედაც, რო ეხლა საქმაოი ას მაგისა, ეეგრ სიარული. ეგ თუ თქვენს კელს სწერებიყვ. აქიმდინ არ გადაგჩებოდათ. მირგვალს კევსურეთ სრუ მამკლავ მამკვდარაბა-ი ასა, ხალხი თვალგულს ვაძლევთ ვინ რას ჩადის. თქვენ რო მაგას მიხყევით, მაგოვენ მიყოლა არ გაგონილას, ალგათ არ სწერავ თქვენს კელს. ახლა კი ჩვენაც გვიატოვთა -დ ჯვართაც, ნულარ გაგვაბრუნებთ ეგრ, რო გზა-კვალ არაისა შოგვ-ცათ. თუ სხვა რა მიზეზი, ან ჭურუმს რაზე უბომთ, ისიც გვითხარით, თქვენ ენა რასაც იტყვის, იმასაც შავასრულებთ“.

ამ საუბრის შემდეგ ჭირისპატრონი თავის სახლისკაცებთან



მოისაუბრებდა და თუ ისინი ურჩევდნეს პატშაშამყრელის. აქციული გამოსახულის ფორმი რამე ჰქონდა გამოსაბმელი, ამასაც იტყოდნენ, კამათ ადგებდნენ მოკლულის გვარში ჯურუმს, ან რამდენს და ან რა ში-ზეზით. სახლისკაცები რასაც გადაწყვეტდნენ, მოვიდოდნენ შუა-კაცებთან და ერთი მათგანი უფროსი კაცი ეტყოდა ყველაფერს, რაც სახლისკაცებმა მოისაუბრეს. ჯურუმი ხუთ ძროხაზე ზევით არ შეიძლებოდა, იმაზე დაბლა რამდენსაც იტყოდა, ჭირისპატ-რონის საქმე იყო. მამკლავის გვარისამ ვინ რა ჩაიდინა ისეთი და-ნაშაული, რომ ჭირის პატრონს ეწყინა, ან რამდენად საწყინო იყო მისი დანაშაული ან რამდენად მახლობელი იყო დამნაშავე მამკლავისა, ამის მიხედვით განსაზღვრავდნენ ჯურუმს. რამდენა-დაც მახლობელი მოგვარე იყო, იმდენად მეტი ჯურუმი ეკუთვნო-და გადასახდელი, რადგან მისგან მეტად ეწყინებოდა ჭირისპატ-რონს. ჯურუმს გამოუბამდნენ შემდეგ დანაშაულზე: კაცის მოკვ-ლის შემდეგ თუ ერთი წელიწადი არ იყო შესრულებული და მკვლელის მოგვარემ ამ დროს სადმე იმღერა, ან იცეკვა და თუ ამას გაუგებდა ჭირისპატრონი, გამოუბამდა ჯურუმს. ან თუ ცუ-დი რამე თქვა სადმე და ეს გაუგეს. მაგალითად, თუ თქვა: ის რომ მოკვალი, ახი იყო მისი სიყვდილი, ისიც მოკვალი და თუ თავი არ დაგვანებეს, კიდევაც მოკვლავ მაგათ გვარშით ან თუ ამ გვარის ნათესავს არ გაუწია ხათრი, გალანძლა მოკლულის დის-ტული, მამიდაშვილი და სხვა. ან ნებადაურთველად ხვნა დაიწყო, ან თიბვა, ან ღამით დამნაშავის მოგვარემ დაზარალებულის სო-ფელზე გაიარა, ცხენშე იჯდა და ისე შეხვდა ვინძეს, თუნდაც ბავშვს, ან ქალს, ანგარიში არ გაუწია და ცხენიდან არ ჩამოვიდა. სხვა ასეთი მრავალი მიზეზების გამო გამოუბამდნენ ჯურუმს, ხუ-თი ძროხის ქვეეთ რამდენიც სურდა ჭირისპატრონს.

სახლისკაცების მოსაუბრების შემდეგ, როგორც ვიცით, ყვე-ლაფერს ეტყოდნენ შუაკაცებს. დაუსახელებდნენ, ვინ უნდა და-ჯურუმდეს და რამდენით, ან რა დანაშაულისათვის. შუაკაცები დაიმახსოვრებდნენ და წაიღებდნენ ამ ამბავს დამნაშავებთან. ჭირისპატრონები ბოლოს პირსშასამყრელოზედაც დათანხმდებო-დნენ. „აი, ხალხნო, ისენი თქვენაც გარცხვნიანა, ჯვარ-ჯვარის-კარისაც ხათრი გოქვ. წინავაც შინ მასულები დაგაბრუნებითა, ისიც გვეხათრებოდ თქვენგან; მაგრამ არ იყვ მარჯვე მამკლავის თვალით ნახვის გაბედვა. ეხლა კი აღარ გაგიტეხთ ხათრს, ერთ-ხანც იქნების მაინც ამას ვერ ავსცდებით. აბა რა იმის თავგზა-ი გვქონდ ჩვენ, რომ სირცხვილ მაგვეშორ. იყოს, ეხლა ყველა და-



გვითმავ, თქვენის სტუმრობისადა, შუაყაცობისად, თქვენი სტუმრობისად. ეგ ჭურუმი რაიც ვისაზე გითხარით, ქვე მანამენებ, თუნდა პირშასამყრელოს დღესა, თუნდა მანამდინ. მანამ ეს არ შასრულდების, ქვე ნუ რას შადგებიან პირსშასამყრელოსა, მემრ თქვენის ხათრით, რომენსაც დღეს გინდათ, იმ დღეს ქნან პირსშასამყრელო -დ შავიყრებით ჭვარისკარ. ჭერ კი ჭურუმს არა დააკლდას რაიც ვთქვით, თორემ მემრ ნულარც თქვენ დაგვემდურებითა -დ ნუც სხო ხალხ იტყვის აუგს, რო ჩვენ სიტყვა შავიცვალათ. ხო იცით, კას კა გამააქვა -დ ცუდს ცუდი. კა საქმე კას აქნევიებს კაცსა -დ ცუდი საქმე ცუდს“.

შუაყაცები ამ საუბრის შემდეგ ჭუდებს მოიხდიდნენ, ჭირისპატრონების წინ გადაპყრიდნენ და ეტყოდნენ: „აი, ამ ჭუდებით მადლობელნი ორთ, რო გზაკვალ მაგვეცით. ლმერთმა -დ კეკურეთულთ სალოცავთ გიშველნათა, დაგიმადლანთ“. ამის შემდეგ საკლავს დაკლავდნენ, ტყავი შუაყაცებს მიპქონდათ, ხორცს კი აქ მოხარშავდნენ და ჰამდნენ ყეველანი. შუაყაცებს სასტელი ჰქონდათ. სტუმრები დაასხამდნენ და მასპინძელს პირველ რიგში დაალევინებდნენ. მასპინძელი შუაყაცებს უსურვებდა დიდხასს სიცოცხლეს, ჭანმრთელობას, კარგის თქმას და კარგის მოფერებას. შუაყაცები ჭირისპატრონს ლოცვალნენ და უმადლოდნებ პირშასამყრელოს დაპირებას. სტუმრები ერთ დღეს იქ დარჩებოდნენ, მეორე დღეს კი მათ გამოისტუმრებდნენ ჩვეულებრივის წესით.

დაბრუნვილი შუაყაცები ამბავს მოიტანდნენ, ჭირისპატრონი როგორ დაპირდა პირშასამყრელოს, ჭურუმი ვის დაადო და რამდენი (ჭირისპატრონი თუ პატიოსანი კაცი იყო, შეიძლება სულ არავისთვის დაედო ჭურუმი). ზოგიერთი სინდისხაკლები კაცი კი აგროვებდა საჭურუმო ამბებს, ამ დღეს ყველაფერს გამოამულავნებდა და გადახდევინებდა ჭურუმებს. ჭირისპატრონს რაც უნდა მძიმე ჭურუმები ეთქვა, უარის თქმა არავის შეეძლო, თოთქმის კიდევაც უზაროდათ — ამდენს რომ ლებულობს, ალბათ მოკვლას არ ფიქრობსო. ვინაც დრამას არ ლებულობდა, ან რიგს სულ არ იყენებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ აუცილებლივ სისხლის ალება უნდოდა და ერიდებოდა დრამა ხელმეორედ დასაბრუნებელი არ გახდომოდა. ხევსურები იტყოდნენ: ვინც დრაპის ალებას ეშურება, ის კაცს არ მოკლავსო.

ჭირისპატრონის მთავარ სალოცავში შუაყაცები ან თვითონ წაიღებდნენ სვეს და ქერის ფქვილს, ან სხვა ახალგაზრდებს ვისმე გაგზავნიდნენ (ფქვილი და სეე იყო მამკლავის ოჯახიდან) და



ადულებდნენ ხუთის საწყავის ლუდს (ხუთი საწყავი: ხუთი ფუთორობელი ქერი). ამ ჯვარის დასტურები, ან ხუცესი დაეხმარებოდნენ მათ, მისცემდნენ ლუდის ლულებისათვის საჭირო ჭურჭელს და სხვა. სვის წვენი რომ დამზადდებოდა, გამოუძახებდნენ ადგილობრივ ხუცესს და ის „შახყრიდა“ (შაყრა: ლუდის გადაღება კოდში, „სის-უვენისა“ და საფუარის ჩასხმა მასში და ფუვლება. ის აქცევდა ყურალებას მის ფუვლებასაც).

ჭურუმებსაც დაამზადებდნენ; ორ საკლავს და ერთ კურეტს მამკლავი დაამზადებდა. დანიშნულ დღეს შუაკაცები და რამდენიმე ახალგაზრდა წაიყვანდნენ მამკლავს და დრომასაც წაიღებდნენ, ლამით მივიღოდნენ იმ ჯვარში, საღაც ლუდი პერნათ ნადულარი. ერთი ან ორი შუაკაცი მოკლულის სოფელში შევიდოდა, გამოუძახებდნენ ხუცესს, რამდენიმე სხვა გვარის ახალგაზრდას, (მოკლულის ნათესავები არ უნდა ყოფილიყვნენ) და გაგზავნიდნენ ჯვარში. მისულები მშეკიდობა-მბავს ჰყითხავლნენ სტუმრებს და მამკლავს ისეთ ადგილზე საღმე წაიყვანდნენ, რომ დრომდენ ის თვალით არ ენახათ მოკლულის მოგვარეებს. ამ დროს შუაკაცები მოკლულის ქვეგვარის ყველა მამაკაცს (ბავშვების გარდა) მოუყრიდნენ თავს მოკლულის სახლში. აქ რომ ყველა მოგროვდებოდა, შუაკაცები ადგებოდნენ ფეხზე და ერთი შათგანი ტყოდა: „აბა, თქვენ იცით, ჩვენ რაად ორთ მასულები. რაიც ქევსურეთის მიწაწყალთ მაუდის, ჩვენ იმ წესს ვერცად წუულოთ. ეს საქმე დღეს ამას იქით ღმერთმა ნულარავის მაგარგინასთ, შაგრამ წინავ სხვას მასტივა, კლოვ სხვას მაუც. უამისოდ ქევსურეთი ვერ დადგების, მაგრამ დროთა, ხნით, ქევსურეთულის რჯულსამართლით მამკლავ-მამკვდარ ერთად სხავ. ტყუილად კი არ ას ნათვამი. ქევსურეთულნ ხოიშვილნივ თხა-მგელთავ ერთად აძმებდენავ. ახლა თქვენთანაც ჩაიმარ დრომ, კარგახანს იყვენით ერთად შაუყრელად. ეეხლად ერთად უნდა შაიყარნათ ჩვენის სალოცავის კარში, დაილოცას იმის ძალი. განა იმის კრში მასულსთან, შამახვეწილსთან ცუდს ასამ იფიქრებთ, მაგრამ თუ გწყალობსთ აი ჩვენ სალოცავი (ამ სალოცავის სახელს ახსენებდნენ), შამაბედვაზედა, თქმაზე ნუ შაგვისაწყინდებით. ჯვარისკარ ამ დღეს იარალის მიყოლება წესად არ მაგვიდისა, გთხოვთ, რო ყველამ ჩვენ თვალწინ აიქსნათ იარალი, აქ გასწირათა -დ იისრ წამახვიდათ“. შუაკაცები გაჩუმდებოდნენ და ახლა მასპინძლები იტყოდნენ: „ჩვენ იარალით ჯერ მაშინ რაი ვქენით, როსაც დრო იყვ, ეხლა ჩვენ იარალზე ქელი გოქვ ალებული, თუ ისენი ისეთს არას იქმენ, რო ძალად



არ აგვალებიც ბენ იარაღს კელში. მემრ ჰევსურეთს რაიც მაკაველისა და მარტინ დავითის მიას რად დავარღვეთ?“ ამ სიტყვების შემდეგ ყველანი მშეაბულება ნიდნენ ხანჭლებს, დანებს და დააწყობდნენ. მერე შუაკაცი კიდევ სთხოვდა: „ნუ დაგვემდურებით კევსურეთის წესის შასრულებაზე. წესად მაგვიდის, რო ჩვენ შავამოწმათ თქვენს ტანზე. იქნება თქვენ დაგცილდათ, იარაღ სად-რა შაგჩათ ანგარიშმიუცემლად. ჩვენ გავიგებთ, იქნება იარაღის პატრონს არ მაღვონდას, რომ მიავ იარაღი მაქვავ შარჩენილიოდ. სხვა რო გაშინჯავს, ქვე გამაჩინდას“. ამის შემდეგ შუაკაცები ყველას თითოობით გასინჯავდნენ და სხვა მხარეზე გადმოაყენებდნენ. ბოლოს შუაკაცები და დაზარალებულის გვარის მამაკაცები ყველა ერთად წამოვიდოდნენ. შუაკაცები თვითონაც იარაღებს აისანიდნენ, კირისპატრონის სახლში დატოვებდნენ და ისე მივიდოდნენ ჯვარში. კირისპატრონები რომ ჯვარში მოვიდოდნენ, ყველანი ქუდებს მოიხდიდნენ და პირჯვარს გადაისახავდნენ. მერე ჯვარს შესთხოვდნენ: „დალოცვილო (მაგ., არხოტის ჯვარში თუ იყვნენ) არხოტის ჯვარო, შენ გვიშველე, უდროოს დროს მასკლაზედა შამაძახილზე ნუ შაგვისაწყინდება. შენის ძალით შაგვინახენი, ნურაით შაგვიცოდვებ, მეწალმართო ანგელოზ დაგვაყოლი, შენის სახელის კირიმ“. მერე მობრუნდებოდნენ. ხუცესს და შუაკაცებს ეტყოდნენ: „აშენდით ჯვარიცა, კაციც, აშენდით“. „დამშევნდით, შაგვიხვევით მშევიდობით, მშევიდობით თქვენ მასვლა“, — ეტყოდნენ ისინიც და ყველანი საჯვაბეში შევიდოდნენ და დასხდებოდნენ. იქ უკვე ცეცხლი ენოო. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ხუცესი და შუაკაცები ერთად გაზიერდოდნენ. ხუცესი ქუდმოხდილი მივიდოდა სასაკლაოსთან და შეეხვეწებოდა ჯვართ: „დალოცვილო არხოტის ჯვარო, შენ ნუ შამისაწყინდები შამაძახილზე. შენ უშველი შენთ ყმათ, რაც ავ ჩამაუვარდ, აქმაი, ნურარს აეს ჩამაუგდებ. შენ დაიცვენი, დააფარენი, დაინდვენ, რაჭელც დაინდობენ ერთმანეთს, შენის სახელის კირიმ, ღმერთმა ნუ წაგართვას ძალი, შაძლება“. ამ დროს სასაკლაოსთან წააყენებდნენ კურეტს და საკლას. აქ ერთი დასტურიც იქნებოდა, თუ ორი არა. საკლავები რომ სასაკლაოზე დადგებოდა, მაშინ შუაკაცები და სხვა ახალგაზრდები მამქლაეს შოიყვანდნენ. ის მოკლულის გვარის კაცებიდან კარგა შორს შუხლზე დაჭდებოდა ქუდმოხდილი და თავდახრილი. მის გვერდზე იდგნენ შუაკაცები და ახალგაზრდებიც. ხუცესი იტყოდა: „გწყალობდასთ (თუ არხოტის ჯვარში იყო) მიქიელის დავლათი, რაც ავ ჩამაგივარდათ, ნულარა ავ ჩამაგიგდასთ. შანაწყინარ გაპატივისთა,



რაყელც ერთულს დაინდობთ, ისრ დაგინდვნასთ. კაცსა, შუაკაცებულისთვის
მაგცასთ შეყალობა, კაის თქმადა, კაის გონებად ნუ დაგლოვნასთ".
ხუცესი რომ ამწყალობნებდა, შუაკაცებიც ასეთივე სიტყვებით ამ-
წყალობნებდნენ. ერთიმეორის მოდავეები კი გაჩუმებული იყვნენ,
მხოლოდ თითო-ოროლა ნელი ხმით შუაკაცებსა და ხუცესს უპა-
სუხებდა: „თქვენ იყოს მწყალობელი". ამ დროს აქ ისეთი საშარი-
სებური სიჩუმე იყო, რომ ხმის ამოღება ყველას უმძიმდა. სამი-
ოთხი წელიწადი ვისაც ეგბენენ მოსაკლავად, მის ტებნაში ბევრი
ბნელი ღამე გაეთიათ, ახლა იმ კაცს თვალით ხელავდნენ, აგონ-
დებოდათ მისგან დალვრილი თავიანთი ძმის სისხლიც, მაგრამ
ადათი ნებას აღარ აძლევდა, სისხლი აელოთ. ამიტომ იყო არაჩე-
ულებრივი სიჩუმე. მერე ხუცესი დაიწყებდა ხუცობას. ხუცობა-
შიც ჯვართ სთხოვდა: „უშველეთ ერთუცის მოდავეთ, ავს საქმეს
ნულზას ჩამოუგდებთ, წყალობა მიეცით მაგათ — კაცსაც და სა-
ქონსაც". დაინდევ ეს ორი მოპირდაპირე გვარი ისე, როგორც
ერთმეორეს დაინდობდნონ და სხვა.

ხუცობა რომ გათავდებოდა, დაიკვლებოდა კურეტიც და
ცხვარიც, ამის შემდეგ კიდევ დაამწყალობნებდნენ. მოკლულის
ვეარი, შუაკაცები, ცერეთვე ხუცესიც შევიღოდნენ საქვაბეში.
ახალგაზრდები დარჩებოდნენ და გაარტყავებდნენ კურეტსაც და
ცხვარსაც. შემოიტანდნენ და ცხვრის ხორცს ქვაბით მოსახარშად
დაპკიდებდნენ, კურეტის ხორცს კი შუაკაცები და აქ დამსწრე ჯვა-
რივნები მეორე დღეს გაინაშილებდნენ. ხუცესი კოდთან სანთელს
აანთებდა, კოდს „მოსტიშავდა" და ჩვეულებრივის წესით გახსნიდა
შას. იხუცებდა, ხუცობის შემდეგ გასინჯავდა ლუდს ნახუცევი თა-
სიდან და დასტურსაც დაალევინებდა. მერე საწლეში ჩაასხამდნენ
და ყველას დაალევინებდნენ. მამკლავი შემოსკლისთანავე კარეჭან
დაჭდებოდა მუხლზე თავდახრილი. ის არც თავს ასწევდა მალლა და
არც ხმას ამოიღებდა. შუაკაცი აიღებდა თასს, აავსებდა ლუდით.
პირველად მოუტანდა უფროს კაცს პირისპატრონის გვერში. ეს თასი
ითვლებოდა მამკლავისაგან პატივად მიტანილ თასად. ამ პატივს
ჰქონდა ჩვეულებრივი დალოცვის წესი (ზემოთ ვთქვით პატივად
მიტანილი თასის დალოცვაზე), თასი ეკირა მოკლულის მოგვარეს
და ხუცესი დალოცავდა ამ თასს. პატივად მიტანილი თასი მომ-
ტანის მიცვალებულისათვის დაილოცებოდა და ვინც დალოცავ-
და, იგვევ დალევდა. ვისაც თასი მიუტანეს, იმას კი მეორე თასს
აუცებდნენ და დაალევინებდნენ. მერე თასებს მიუტანდნენ მოკ-



ლულის ყველა მოგვარეობს და დაალევინებდნენ. ასევე ამჟამად შეიძლოთ მათი სხვა აქ დამსწრეებსაც.

მოკლულის მოგვარეობი როცა ყველანი დალევდნენ, ერთი მათგანი აღებოდა, აავსებდა თასს, მივიდოდა მამკლავთან, მოჰკიდებდა მხარზე ხელს და ეტყოდა: „წამეედ, თასს მაგცემ. ჩვენს შუაში ეს საქმე რო არ ჩამოვარდნილიყვ, კა იყვ, ჩამოვარდა, ქვე აღარა ეშველების. ბევრ გიძიეთ, ბევრ ვეცადენით შენს მაკვლას, მაგრამ ალბათ არ გეწერ. ჩვენ შენ ვერ მაგკალითა, ეეხლადაც ცოცხალი ხარ. აწიდგეს ჩვენგან ნულაზ გეშინიან, ღმერთმა ადამის დღე მაგცეს. ალბათ ხევსურეთის წეს-რიგზე ქვე მაიქცევით, სხვას არც ჩვენალ-რას მავითხოვთ შენგან. ალბათ, ესრ იყვ ბეღი, წერა, ეესრ მახჯდ. ადე, გამამყევი, თასს მაგცემ. ათასი გვყავ ამხანიგი ეე მირგვალს კევსურეთშია -დ რაიც რჯული რიგი, ვერც ჩვენ სად წაუოლო იმსაც.“

ამ საუბრით მამკლავს ფეხზე ააყენებდა, წამოიყანდა, სადაც ხალხი ისხდა, იქ დასვამდა, ხელში ლუდიან თასს მისცემდა, თან ეტყოდა: „ჯვარ დაგიწერას ღმერთმ“. „ჯვარის წყალობა გქონდას“—ოღნაც გასაგონი ხმით იტყოდა ის და ისევ ფეხზე აღებოდა, ვიღრე თასის მიმცემი თავის ადგილზე არ დაჭდებოდა. თასის მიმცემი რომ დაჭდებოდა, ცოტახანს მამკლავსაც ისევ დასვებდნენ. ეს პირეელად ხმა ხომ გასცა მამკლავმა, მაგრამ ახლა თასის დალოცვა უმიმდა, ბოლოს როგორც იქნებოდა გაბედავდა: „გწყალობდასთ მთავარანგელოზი (ეს იგულისხმება არხოტის ჯვარი, ან სხვა, სადაც ილოცავენ მთავარანგელოზს) აქა ბრძანებულებს ყველას. ჭირს დავლევ თქვენს ყველაისას“—ასე მოკლედ და ძალიან ჩუმის ხმით, გაუბედავად იტყოდა ამ სიტყვებს, ცოტას დალევდა, ვისმე შუავაცს გადასცემდა თავის თასს და ისევ ხალხის ბოლოში დაჭდებოდა მუხლით.

ხალხი სვამდა, საუბრობდა, მხოლოდ გულგაუხსნელობა ეტყობოდათ მამკლავსაც და მოკლულის ქმა-სახლისკაცებსაც, მაგრამ უფრო წესს ემორჩილებოდნენ, ვიღრე გრძნობას. სხვები სვამდნენ, მამკლავი კი ნმას არ იღებდა და ისევ იჯდა მუხლზე. ამასობაში ხორციც მოიხარშებოდა, სხვა გვარის ახალგაზრდები ამოიღებდნენ, დაანაწილებდნენ და ტაბლას „დააგებდნენ“. ტაბლისათვის პური მამკლავის ოჯაბიდან იყო მოტანილი („სატაბლო პურები“). ამ პურებზე, როგორც ვიცით, დააწყობდნენ ხორცის „წილობებს“ (წილობები ეწოდებოდა წვრილ-წვრილად დანაწილებულ ხორცს). მერე ახალგაზრდები მიიყვანდნენ და დასვამდნენ



უკელის, ვინც იქ იყო. ერთი-ორი ახალგაზრდა დადგებოდა ფეხში და მარტივი ისინი ხალხის წინ მიიტანდნენ ტაბლებს. ტაბლას დაუდგამდნენ სამ-სამ კაცს ერთად. ბოლოს ზედამდეგები გაუტეხდნენ უკელას პურს ხელში და იტყონენ: „ლმერო, გაუმარჯვი მთავარანგელოზშა, მთავარო ანგელოზო, შენ წყალობა მიეც ამ ერთუცის მოდავეთ. რაც ავ ჩამაუვარდ, ნუღარის ავს ჩამაუგდებთ, მთავარო ანგელოზო, შენ წყალობა მიეც კაცსა-შუაკაცსაც, შენი წყალობით შაინახენ“. ამის შემდეგ პურს ჭამდნენ, მაგრამ ძალიან ცოტას. ჭამის გუნებაზე არავინ არ იყო, რადგან ეს პირსშეურა ძალიან მძიმე საქმე იყო მათთვის. ამ ტაბლაზე კარახანების დადგმა არ იცოდნენ, ისე კი ფეხზე მდგომი ახალგაზრდები ასმევდნენ ლუდს. ტაბლის აღების შემდეგ შუაკაცები აავსებდნენ ლუდით ერთ საწდეს, მამკლავს წაიყვანდნენ მამკვდრის სახლში, თან ერთ საკლავსაც გააყოლებდნენ „ზღუბლის სამლაჭაოდ“ დასაკლავად (ზღუბლის დალაჭვა ეწოდება: კაცის სახლში შესვლის და ზღურბლზე ფეხის დადგმას). რადგან მამკლავის შესვლა მამკვდრის სახლში მძიმე საქმე იყო, ამიტომ იკვლებოდა იქ შესვლის საკლავი „ზღუბლის სამლაჭაოდ“. შუაკაცები და მამკლავი რომ წამოვიდოდნენ, დანარჩენი ხალხი ისევ ლუდის სმას განაგრძობდა ჯვარში. წამოსულები მივიდოდნენ მოკლულის ოჯახში. აქ მამაკაცი ამ დროს არავინ იყო, რადგან უკელანი ჯვარში იყვნენ. ოჯახში დახვდებოდათ მარტო დიაც-ყმაწვილი. სახლში შევიდოდნენ ჯერ შუაკაცები; აქ მოკლულის ან დედა იქნებოდა, ან და, ან ცოლი, შუაკაცებს ისინი ისე შეხვდებოდნენ, როგორც ჩვეულებრივ სტუმრს: მშვიდობას ეტყოდნენ და ამბავსაც ჰყითხაედნენ. მათ იცოდნენ, რომ შუაკაცები ახლა აქ შემოიყვანდნენ მამკლავს, ეს ამბავი დიაცებისათვის საშინელი ასატანი იყო, რადგან ახლა თავის სახლში უნდა დაენახათ თავის ოჯახის წევრის მკვლელი. ქალები იტანჯებოდნენ, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ ადათის ძალით. ამ დღეს კაცებიც კი ვერ იღებდნენ ხმას, თორემ ქალებს ხომ სულ არ ჰქონდათ უფლება სისხლის საქმეში ჩატევისა. შუაკაცები ცოტახნის სიჩუმის შემდეგ ეტყოდნენ შემხვედრ ოჯახის წევრებს: „ადვილ სათქმელ არ გოქვ, მაგრამ რაც კევსურეთის რჯული ას, იმას ვერცად წაულოთ, ის უნდა ვთქოთაცა, ვქნათაც. ეს ამბავი მარტო აქ არ მახვდ, ეე მირგვალს კევსურეთ ერთიანა კაცთაზე მაღის. ისეთ მამა არ ას კევსურეთ, რო წილად თავ არ ედოს მამკლავ-მამკვდრობაში. წინწინ უკელა მარქეი-ას უკელაისალ, მაგრამ დროდგესა, ხნიდგეს კევსურეთის წესით მამკლავ-მამკვდარ სრუ ერთად



სხავ. ზოგ თავ-სისხლი ისრ გაგძელდების, რო თას გვეკრძალავთ სამ-სამ, ოთხ-ოთხი მაჟვდების ერთუცის ჭელით, მაგრამ ბრტყლაშოთ მაინც იქავ ღრიგოდებინა, ერთუცის გვერდი უსხენ მამკლავ-პარ-კვდრები. ეკედა ჩვენაც კევსურეთის წესით ეს სახლის ზღუბლი უნდა დავალაგვივათ თქვენს მოსისხლეს. თქვენს სახლში რო ფექს შამაზდგამს, ის მაშინ მამკლავ აღარ ას, ის მაშინ სტუმარი იქნების თქვენი, როგორც ჩვენ ორთ თქვენებ სტუმრები. ის რო სახლში შამავ, ყველა უნდა დაიცილათ, ვითამ სრუ არა მმწვდირ, ვითამც უცხო კაც მასულ სტუმრადა, იმას დახვედრიხართ. ჩვენაც უენდა გვცათ პატივი -დ დალოცვილს არხოტის გვარსაც, რავი დღეს იმის კალთაში შააფარ თავი -დ იმის კარშიითა კამალაშით, იმის თავზღებობით მაგვყოვ აქა, ვასრულებთ კევსურეთის წეს-რიგს“. ამ დროს შუაკაცებს საქლავიც ხელში ეჭირათ და ლუდიანი საწ-დეც იქ იდგა. მამკლავი კი ერთი კაცის თანხლებით გარეთ იყო, გზიდან მოფარებულ ადგილას, რომ სახლში შესვლამდინ არავის დაენახა. შუაკაცის საუბრის შემდეგ ამ სახლის ერთ-ერთი უფ-რო ხნიერი ქალი, თუ ასეთი არ იყო, იმ შემთხვევაში ახალგაზრ-დაც იტყოდა: „ეპ, თავის მამკლავის თვალით ნახვა მარჯვე კი არ ას, ნამეტნავად დიაცისად. დიაცს ძალის გული შჩრავ იქმით, რო კელით ქვე არაის გაეკეთება შაუქლავა, გულ უფერი აქვ. მაგან დაგვლუპნ ჩვენ, წყალ შამაგვიგდ, მაგრამ დაილოცნან კევსურე-თულნ ხთიშვილნი, მიწა-წყალთ მაღდენილობა. კევსურეთ თხა-ჯელნი ერთად ძოვენ ხთიშვილთაგან. ჩვენაც ამ მაღდენილობას ვერცად წაუოლთ. ჩა უყოთ, თუ ჩვენ დამღლებელი დღეს ჩვენს ზღუბლს დალლავავსა, ჩვენს შამავ. წინავ სხვის თავზე ყოფილა, კლოვ სხვის თავზე მივ ეს საქმე, აბა ჩვენ ხო არ ორთ ამის მერ-ჯულენი. შინ შამასვლამდინ მაქვ უფერ გულ, თორე რახან ზღუ-ბლთ გარმავტას, მემრ სტუმარ იქნებისა, სხო ყველა დამცილდე-ბის სტუმრის პატივცემის გულისად. თანაც დიაცს ჩა ეკითხების სისხლის საქმეში, არც სირცხვილი დიაცისაი -დ არც სახელი, კა-ცებმ თაოდ იციან. არაგინდათ, კაცო, შუაკაცები ხართა, რაკელაც გინდათ, ისრაც მაიქცენთ, გეედითა, შამაიყვანეთ აქ“. ერთი შუა-კაცი გავიდოდა და სახლში შემოიყვანდა მამკლავს. ის კარები-დანვე მუხლზე დაჭდებოდა და მუხლით სიარულით შევიდოდა სამყოფო სახლში. სამყოფოს კარების შიგნით რომ შევიდოდა, იქ გაჩერდებოდა. ამ დროს ისიც ძალიან სწუხდა და იტანჯებოდა. მე კაცის მკვლელისაგან გამიგონია: ისეთი ძნელი და მძიმე საქმე არ გადამხედია ჩემს სიცოცხლეში, მე რომ იმ დროს მათ სახლში



შესული ტანჯვას და მწუხარებას განვიცდიდიო. მცხვენოდა. მეტყოფანება
ნოდა და სვინდრისი საშინლად მტანჯვდა. ჩემი სულის ამოსელას
კოტა დააკლდა, ვიღრე გამოვიდოდიო. შესულ მამკლავს ოჯახის
წევრები მოეგებებოდნენ და ეტყოდნენ: „მაგვიხვე მშვიდობით“.
მამკლავი პასუხს ვერ გასცემდა და იჯდა მუხლებზე თავდახრილი.

შუაკაცები საკლავს წამოაყენებდნენ და დაკლავდნენ ამ ოჯა-
ხის წევრთა სამწყალობნელოდ. მერე საწდიდან ლუდს ამოილებ-
უნენ და საწდესაც და თასსაც იმ სულებისათვის დალოცავდნენ,
რომლებიც ამ შერჩებაში ხელს უმართავდნენ და ავ საქმეს კარ-
გად უძეცევდნენ. (აქ იმ მიცვალებულს სულ არ ახსენებდნენ, რომ-
ლის გულისთვისაც ეს ამბები ხდებოდა, რადგან მამკლავის აქ
ყოფნის დროს უხერხული იყო მისი ხსენება). რომელმაც დალო-
ცა, ის შუაკაცი ჭერ თვითონ დალევდა და მერე თასს მისცემდა
ამ ოჯაში უფროს ქალს. ის ასე დაილოცებოდა: „შუაკაცებო,
ღმერთმ დაგლოცნასთ, გადღეგძელნასთ, ბევრს სწვალდებით
ხალხის გულისადა, ღმერთმა დაგიმადლასთ. ავს საქმეს კარგად
ქმიცეთ, ღმერთი თქვენს შეილბოლოსამც მისცემს კას“. ახ-
ლა მამკლავი დალოცავდა, მხოლოდ სახელს არ ახსენებდა. „შე-
ხაც დაგლოცას ღმერთმ, მშვიდობით გამოყოფას“. ასე მოკლე, და-
ლოცვის შემდეგ დალევდა. მერე საწდიდან ამოილებდა ლუდს, მი-
უტანდა ვამკლავს და ეტყოდა: „აპა თასი, არ ჩამაგვეარდნიყვ ეს
საქმე, კა იყვა, მახევდა, ქვე აღარა ეშველების. ალბათ კვესურეთის
მიწა-წყალთ ესრ მაუდისა ჩენ ბედსა წერასაც ეესრ უნდოდა -დ ესრ
მახედ. ეეხლა ადგე, ეს თას გამმართვი, ნუც გცხვენისა, ნუც გე-
შინის, ეეხლა ამ ჭერთ-ძირში შამბაული სტუმარი ხარა -დ შენაც
სტუმრად იფიქრი შენ თავი“.

მამკლავი ხმამულებლად ადგებოდა, თასს გამოართვამდა და
ხმამოულებლადევ დადგებოდა. არ დალევდა, სანამ არ გაუმეო-
რებდნენ. იმიტომ ვერ დალევდა, რომ დალოცაც უმშიმდა და და-
ულოცავად დალევდა. ბოლოს შუაკაცებს ოდნავ გასაგონი ხშით
დალოცავდა: „შუაკაცებო, კაის თქმადა კაის გონებად ნუ დაგლივ-
ნასთ ღმერთმ. ამ სახლში მყოფელნიც ღმერთმ ყველან დალოც-
ნას, ადგეგძელნას“.

მამკლავი ხმამულებლად ადგებოდა, თასს გამოართვამდა და
და მესამე წევრის სახელით ლოცავდა. ცოტას დალევდა და ისევ
მისცემდა შუაკაცს. ზოგიერთი მასპინძელი ამ დროს მოითხოვდა,
რომ სტუმარეთ მოქცეულიყო მამკლავიც, გადმოსულიყო და

 დამჯდარიყო სკამზე. მაგრამ მამკლავი ამას ვერ გაბედავდა, ისევ მუხლზე დაჯდებოდა და ისე გადავიდოდა ზღურბლზე უკანუნულებელი გავლით, რომ ოჯახის წევრებისათვის ზურგი არ შეექცია. ხმას ვერ ამოიღებდა გასელაში. გარეთ რომ გავიდოდა, მაშინ ადგებოდა ფეხზე, შუაკაცებიც ჭვარს დასწრებლენ და გამოვიდოდნენ ოჯახიდან. მასპინძლები გამოჰყევებოდნენ გარეთ და ეტყოდნენ: „მშვიდობით წევდით, კელ მაგიმართასთ ღმერთმ“. — „ჭვარ გეწერასთ“, — ეტყოდნენ შუაკაცები და წავიდოდნენ. ერთ-ერთი შუაკაცი დაბრუნდებოდა, ისევ შევიდოდა და საკლავსაც გაატყავებდა. მამკლავი იმავე ღამეს სხვა სოფელში წავიდოდა, ამ სოფელში კი რამდენიმე თვე ან წელიწადი დღისით გარეთ არ გამოჩნდებოდა. თუმცა წესი ნებას აძლევდა, ის მაინც ეხათრებოდა ჭირისპატრონს და მის თვალწინ გავლას ყოველთვის ერიდებოდა.

ასეთი იყო მამკლავის სტუმრობა მამკვდრის ოჯახში. ამის შემდეგ წლები რომ გავიდოდა, მამკლავი ყოველ ჭირ-ლხინის დღეს მიიტანდა არაყს ამ ოჯახში, მხოლოდ ყოველთვის ხათრიანად იქცეოდა, მუდმი მუხლით იჯდა და ბევრს არ საუბრობდა. მღერა და თამაშობა ამ სოფლიდან დაშორებით სოფლებშიც კი ენერებოდა და ბევრი წლების შემდეგ თუ გაბედავდა. თითქმის უმღერლად და გაუმხიარულებლად ბერდებოდა მამკვდრის მოგვარების ხათრით.

პირშასამყრელოს შემდეგ მამკლავი თუ სტუმრად მოვიდოდა მამკვდარის გვარში, მაშინაც ძალიან მორიდებულად იქნებოდა. თუ მას ვინმე შარს აუტეხდა, ის ხმას არ გასცემდა თავის მასპინძლის ხათრით. ამ ამბავს რომ მისი მოსისხლენი გაიგებდნენ, თავის მამკლავისათვის შარის ამტეხს „შულლად გაუკადიდნენ“ — შენ ჩვენი მამკლავი აქ რად გააჯავრე, როცა ის ჩვენი ხათრით ხმას არ გცემდათ. თავის მამკლავს მოკლულის საგვარეულო ასეთ შემთხვევაში სხვაგანაც იცავდა. მამკლავს სადაც თავისი მოსისხლე, ანუ მოკლულის მოგვარე ეგულებოდა, იქ არავისთან იშულლებდა, თუნდაც სილა ვისმე გაერტყა მისთვის. ამას რომ გაიგებდა მოკლულის მოგვარე, აქაც მფარველობას გაუწევდა მას, რადგან მისი ხათრით არ უპასუხა მაშულლარს. ხანდახან კი მამკლავიც ჩხუბში მხარს უჭერდა მოკლულის საგვარეულოს კაცს, თუ იმას ვინმე აუტეხდა შულლს. შეიძლება, პირდაპირ მისი თანდასწრებით ვერ გაებედა შულლი, მაგრამ გაშველების შემდეგ მამკლავი თავის მოკლულის მოგვარის მტერს იყარაულებდა და როცა მარტოს იგდებდა ხელში, მაშინ ეშულლებოდა. მამკლავი

როცა მოკლულის გვარში სტუმრად მივიღოდა, ყოველთვის მზეჭდილობა იყო დახმარებოდა მათ საქმიანობაში. რამდენადაც ის ხათრიაზმის იქცევიდა, მოკლულის მოვარეები მით მეტ პატივს სცემდნენ მას. ზაგრამ ამასაც კი იტყოდნენ ხევსურები: მამკლავი მამკვდართან სტუმრად ხშირად არ უნდა დადიოდეს, თორემ ერთიმეორეს შა-ექსვიან და ბოლოს კარგი რამ არ დაემართებაო.

მოსისხლეთა სტუმრობა

როდესაც მოსისხლეობა აზალი იყო, მოსისხლეები იძალებოდნენ. დრო გავიდოდა და მოსისხლენი შერიგდებოდნენ, მოსისხლე ყოველგვარი ჭირისა და ლხინის დღეს მიღიოდა თავისი წესით ინის გვარში, რომლის კაციც იყო მისგან მოკლული. თვითონ შევლელი არ მივიღოდა, გაგზაუნიდა ან ძმას, ან მამას ან ბიძა-შვილს. როცა ვინმე მოუკვდებოდათ, ისინი პირველად თავზე ში-ვიღოდნენ. თავზე მისული მოსისხლე აუცილებლად მიიყვანდა ერთ საკლავს — ცხვარს, თოხლს ან ხბოს. მიიტანდა ქინთით არა-ყსაც. მოსისხლე პირდაპირ არ მივიღოდა ჭირისპატრონის სახლში. მივიღოდა ან თუ თავისიანი ვინმე ჰყავდა, ან სოფელში სხვა პა-ტივცემულ კაცთან. მისულს მასპინძელი გამოეგებებოდა, მშვიდო-ბა-ამბავს ჰყითხავდა, ცხენს მოხდიდა და ბალახზე გააბარდა. მო-სისხლე ცხენს ჭირისპატრონთან არ მიიყვანდა. მასპინძელი შეი-პატივებდა სახლში, დიასახლისი თუ სატირალში იყო, დააძახები-ნებდა და მის მოსვლამდე სტუმარს ბაასით შეაქცევდა. დიასახ-ლისი სტუმარს მშვიდობას ეტყოდა, ამბავს ჰყითხავდა და სადი-ასახლისო საქმეს შეუდგებოდა. რაკი ამ დღეს ხორცეულს არ ჭამდნენ, დიასახლისი პურს, ყველს და ერბოს მიუტანდა. სტუმა-რი თავისი ქინთიდან არაყსაც დაალევინებდა ყველა ოჯახის წევ-რებს. ბოლოს საკლავს ეს მასპინძელი დაიჭირდა ხელში, ხურჯინს არაყიანი ტიკით ან სხვა ვინმე წაიღებდა, ან თვითონ სტუმარი და მივიღოდნენ ჭირისპატრონის სახლთან. ჭირისპატრონი გამო-ეგებებოდა და სტუმარს ეტყოდა: „მახვე მშვიდობით“; ის წენა-რად უპასუხებდა: „გიშველას ლმერთმ“; თუ ხელში ჭოხი ეჭირა ან ხურჯინი, ჩამოართმევდნენ და წაიღებდნენ ჭერხოში. მოსულს სხვა ხალხიც მშვიდობას ეტყოდა და ამბავსაც ყველანი ჰყითხავ-დნენ. ის დაბალი ხმით და ხათრიანად პასუხობდა, თან საუბარში თავის დასამცირებ სტუკვებს ურევდა; ამბის კითხვაზე ასე უპა-



სუხებდა; „ვხყრიორთ ცოცხლეები, მოელნი, მკედარში სათვაჭროებულები გერგას მწარეებ სულები“ და სხვ. მოსისხლე ჭირისპატრონ: „ურისწყენის სრული სიტყვებით ვერ უწყენდა ჭირს, მხოლოდ თა-თო-ოროლი სიტყვის თქმის უფლება ჰქონდა. მაგალითად მოსის-ხლე ამ სიტყვებს ეტყოდა: „რადარ ჩემ სიკვდილ გაიგონი, რად-არ მე მაკვედ, მანამ შენ გულ დალონდებოდა, ჩემ სიკვდილ მაღლ იქნებოდ, თქვენ კი ბევრ კა დაგცდებისთ, კა იარაღი, კა ცხე-აბჯარი. რადარ ჩემ სიკვდილ გაიგონი“. ასეთ სიტყვებს რომ მო-სისხლე მბობდა, ჭირისპატრონიც გულგრილად პასუხობდა: „რა უყოთ, ყველა სიკვდილისად ორთ გაჩენილი, ღმერთმა დაგიფარას, იმის სიკვდილისა რა მაღლობელნი ორთ“. ასეთ სიტყვებს ეუბ-ნებოდა, ოლონდ თავის დასამცირებელს მოსისხლეს არ ეტყოდა. ღმობიერად კი ეცცეოდა მას. მოსისხლეს სკამზე დაჯდომას შეს-თავაზებდნენ, ის სკამის ბოლოში დაჯდებოდა, შეიძლება ცალ მუხლზედაც დამჯდარიყო, მაგრამ ჭირისპატრონი ააყენებდა და ისიც სკამზე ბოლოში დაჯდებოდა.

მოსისხლე ცდილობდა ისე მისულიყო, რომ მიცვალებული დასაფლავებული ყოფილიყო, ოლონდ დასაფლავების დღეს. რო-კა მიცვალებული დასაფლავებული იყო, საპირიქსნო დაკლული, მაშინ შეიძლებოდა სხვა საკლავის დაკვლა. მოსისხლის მოყვანილ საკლავს გამოიყვანდნენ, ერთი კაცი დაიჭრდა და სულის ხუცესი ან სხვა ვინმე ხნიერი კაცი მიცვალებულის სულისათვის დაკლავდა შემდეგი სიტყვების წარმოთქმით: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მაღლი შენდა, ღმერთო, სულიც შენ გებარებისა, კაციც შენ გიხვეწების. ღმერთო, უშეელ მასპინძელსა, მარჯეს ნულარას მისცემ. მარჯეზე ნულარაზე გაუჟი (მოსისხლის სახელს იტყვის), კლოვ ლხინზე მაიგვანი. სადაც შენ ხარ (მიცვალებულის სახელს იტყოდა), შენ სულის ყოფი ას, საკლავი შენიმც სავმარი ას, შე-ნიმც საიაღო ას, მეჯელა მჯავრესმაც გარიდებს, სამიმარასიამც გიმზუბუქნას, ცოდვანიმც შაგრნდობიან ენით ნათქვაში, კელით ნაენარი. წინ მაგებებული, უკან მაწეული, სიკვდილის დღეს დამ-წყვდეული, თვალით ნახული, ყურით განაგონარი“.

ამ შასახელების შემდეგ საკლავს თავს მოსჭრიდნენ (თავის მოსაჭრელი იარაღი შასახელების დროსვე შიშვლად ეჭირათ ხელ-ში). საკლავი რომ დაკვლოდა, ყველანი იტყოდნენ: „შაუნდნას, მაახმაროს ღმერთმ, იმისამც საიაღოი“; გაარყავებდნენ, ხორცს აქ მოხმარებდნენ, ტყავი კი იმ კაცს ეკუთვნოდა, ეინც მოსის-ხლეს მოჰყვა. ხუცესს ცხვრის თავს აძლევდნენ. საკლავის დაკვ-



ლის დროს მოსისხლე ხალხის ბოლოში ცალ მუხლზე იჯდა თავ-
დახრილი და ვიდრე ხალხი არ დასხდებოდა სკამებზე, არ აღგენილობდა
ბოდა. მერე თავის ქინთს მოიკითხავდა, დაასხამდა არას და ში-
ცემდა რომელიმე უფროს კაცს. ის ჩვეულებრივი სიტყვებით და-
ლოცავდა ამ ქინთს ახალი მიცვალებულისათვის, რომელის გუ-
ლისთვისაც მოსულიყო ეს მოსისხლე. და დალევდა. მეორე
ყანწს მოსისხლე ჭირისპატრინს გაუგზავნიდა სხვისი ხელით,
თვითონ კი ისევ ცალ მუხლზე დაჯდებოდა. აქ ის წესი უნდა შეს-
რჩულებულიყო, რა წესითაც მოსისხლის მიტანილ პატივს ლო-
ცავდნენ, მაგრამ რაყი მოსისხლე მის სახლში იყო მოსული, შას-
პინძელი ამ ყანწს პატივად მიტანილ ყანწის სახეს არ მისცემდა
და სხვის არ დაალოცინებდა. ადგებოდა და თვითონ უბრალო
ლოცვით დაილოცებოდა. არაყის მომტანს სახელს ეტყოდა: „აგა-
შენას ღმერთმ, ბარაქა მაგცას, მარჯეზე ნულარაზე დაგხარჯას,
თქვენ დაგლოცნასთ ყველანი, მარჯეზე ნულარაზე ვინ გაგსაჭ-
ნასთ“, მერე არაყის მომტანის ერთ-ერთ მიცვალებულს დაასა-
ხელებდა და იტყოდა: „იმას შასნდნას, ღმერთმ მააქმარას“. ასე
მოკლედ დაილოცებოდა ჭირისპატრინი და დალევდა. მოსისხლე
ადგებოდა და ყველას დაალევინებდა თავის მოტანილ არაყის,
ოლონდ ხმაშალლა ლაპარაკი მას არც აქ შეეძლო.

მოსისხლე დაზარალებულს, რომ ყანწს გაუგზავნიდა პატი-
ვად, მაშინ ამ ყანწის დალოცვას სხვა წესი ჰქონდა, რომელსაც
ამ შემთხვევაში მასპინძელმა მხარი აუქცია; სხვაგან, რომ ყოფი-
ლიყვნენ, როგორც ყოველთვის სმის დაწყებისას იცოდნენ, მო-
სისხლე არაყს ან ლუდს არ დალევდა თუ დაზარალებულს პატივს
არ მიუტანდა. ყანწს რომ გაუგზავნიდა, მოსისხლე თვითონ მუხ-
ლით დაჯდებოდა, ყანწის მიმტანი კი დაზარალებულს ეტყოდა:
„ეს ყანწ წამამატანივ (დაუსახელებდა, ვინ გამოგზავნა ყანწი პა-
ტივად), მიავ აქ ყოფითავ ბევრს ასამ გაწყენავ ჩემი უკაცობო-
ბითავ -დ უცოდრიბითავ. მაღლობელი ორავ, რო კარჩია კაცი
გამოსვლის ნებას მაძლევავ, ეს თასივ შენ პატივ იყოსავ“. ის
ეტყოდა: „არას უხედავ მე ამას, ეს პატივ ჩემის სირცევილისი ი
(კითომც პატივი იმიტომ გამომიგზავნა რომ მათ ჩენი კაცი
ჰყავს მოკლული და მათგან ეს სირცევილი თავზე მავევსო). თა-
ვისთავს დააყენებს, მე ამით ერა კაცობა შამემატების“. პატივის
მიმტანი ეტყოდა: „რაც ჩამოგივარდათ, ღმერთმა ნულარა ავ ჩა-

მაგიგდასთ, მამკლავ-მამკვდროის წესი, კაცის გულს ხათრი, ჟამურიშვილის აუენებს, თორე კაცნ ერთუცს დალლევდეს“⁸.

დაზარალებული ყანწს დაიჭერდა და ვინმე უფროსს ეტყოდა: „ეს თასი ჩემის სირცევილის თასი ას (დაუსახელებდა ვინ მოუტანა პატივად), პატივად მამიტან, მე კი არას უხედავა, თავის თავს აყენებს (არ უხედავ—არ ვთხოვ, არ მოველოდები; აყენებს: აფასებს), ადეგი, იწვალი ეემ თასის გულისადა, სიტყვა უთხარი (სიტყვის თქმა: დალოცვა ანუ შენლობის თქმა)“. ეს კაცი ეტყოდა. „რადგან ჯეესურეთის წესი ას მაშ, მიწაწყალთ მაუდის“. ადგებოდა უფროსი კაცი (თასი ისევ იმას ეყირა ხელში, ვისაც პატივად, მიუტანეს) და იტყოდა: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, შადლი შენდა, ღმერთო, უშველი ერთსხვის პატივის მდებელთ (სახელები, დაუუშვათ: შკვლელის გვარიდან გიგია და მოკლულის გვარიდან ბაბუა) ბაბუასა -დ გიგიას, რაც ავ ჩამაღვარიდნივ. ნუორას ჩამაგდებთ. ღმერთო, უშველი ბაბუას, ნუ იქ მაგის საქმეს ისრ, რო კაცნ არ ხედავდან, სადაც გაოსა გამაოს საპატიოს ალაგწი პატივ არ მიუდიოდას. ნუც გიგიოს საქმეს იქ ისრ, რო გასაგო არ გაიგას, სანახავ არ ნახას, საპატიოს პატივ არ დაზდას. ღმერთო, შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაქსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუშსალეთის ნათელით, ქრისტეს გარიგებით, სააქაოს ნათქვაშ თუ საიქიოს მიღიოდას, წესი მართებულიყოს, სულს შანდობა ერგებოდას, ეს თასი როგორც ჩვენს კელთ ას, ისრამც სულს გიგიას მამისას მაეკმარების“ (ან თუ სხვა მიცვალებული ვინმე გაახსენდებოდა დამლოცავი, გიგიას გვარიდან, იმას ეტყოდა შენლობას)“. შაუნდნას ღმერთმ—იტყოდნენ სხვებიც. ამ თასს დამლოცავს გადასცემდა ის, ვისაც პატივად მოუტანეს. ის დაილოცებოდა კიდევ და დალევდა. მეორე თასს მოსისხლის მაგიერ ისევ იმას მისცემდნენ, ვისაც პატივი მიუტანეს, ამას კი თვითონ დალოცავდა და დალევდა. მეორე თასს აავსებდა დაზარალებულის მოგვარე, ააყენებდა მუხლზე მჯდომ მოსისხლეს და დაალევინებდა, ან შეიძლება თასი არ მიეცა და როცა თვითონ დაცლიდა, ცარიელ თასს ჩამოართმევდნენ, მაშინ ააყენებდა

⁸ თუ მოსისხლეები სმაში ერთად შეხვდებოლნენ და მოსისხლის მოგვარე დაზარალებულის მოგვარეს პატივს არ მიუტანდა, ის მაშინვე ჩანგალს დაპერავდა და ჭრილობს მიაყენებდა, მათგან მოკლულ თავის მიცვალებულს შესწირავდა ამ სიტყვებით: „უნცროსიმც ხარ (მიცვალებულის სახელი), ჭრითამც უბრნდავ, შუალსამც უზიდავ“. ვითომც გარდაცვალების შემდეგ საიქოში ის მიცვალებულის მოსამსახურე გახდებოდა.

მოსისხლეებს: „მუკლით ნუ ზიხარ, იყვა შენაც ეეგრ, როგორც სხვა
ხალხი“.

როგორც ვთქვით, მასპინძელი თავის სახლში მოსული მო-
სისხლის მოტანილ პატივს მიიღებდა, მაგრამ, როგორც შინ მო-
სულ სტუმარს მეტ პატივსცემდა და პატივს პატივად მიტნილი
თასის სახეს არ მისცემდა, დაილოცებოდა და თვითონ დალევდა
პირველსავე თასს. ბოლოს მასპინძელიც და სტუმრებიც რომ
დალევდნენ, მოსისხლე ამ ოჯახის დიასახლისაც მოიკითხავდა და
დაალევინებდა. დიასახლისი დაილოცებოდა ისე თავისუფლად,
თითქოს ეს მოსისხლე არ ყოფილიყოს. ქალები სისხლის საქმეში
ძალიან ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ და გამონაკლისის გარ-
და სულაც ხმას არ იღებდნენ.

მოსისხლე ფეხზე იდგა, ვიდრე ქინთს არ გამოულიდა. მე-
რე სხვა ვინმე დაპატივებდა სახლში. შეიძლება მასპინძელს ეთ-
ქვა: არსად წახვიდე, აქ იყავიო, მაშინ იმის სიტყვას ვერ გადა-
უხვევდა და აქ დარჩებოდა, მაგრამ წასვლა კი ერჩივნა, რადგან
აქ ბევრი ხათრი სჭირდებოდა და იტანჯებოდა.

გამოემშვიდობებოდა მასპინძელს ძალიან მოხარუებით და
წავიდოდა იმ მასპინძელთან, ვისთანაც ის პირველად მივიდა.
ისინი შინ შეიპატივებდნენ, პურს აჭმევდნენ, თუ ჰქონდათ, სას-
მელსაც დალევინებდნენ, ბოლოს ცხენს შეუკაზმავდნენ და ჩვეუ-
ლებრივად გაისტუმრებდნენ. მოსისხლე სოფელთან ახლო ცხენ-
ზე არ შეჯდებოდა, ხელით ატარებდა .ვიდრე სოფლიდან გზა ჩნ-
და. როცა მოეფარებოდა, შეჯდებოდა ცხენზე და თავისუფლად
ამოისუნთქავდა. მაგრამ გზაზედაც იყო საფრთხილო; თუ დაზა-
რალებულის გვარიდან ვინმე შეხვდებოდა, ცხენიდან უნდა გად-
მომხდარიყო, გზის ძირში უნდა ჩასულიყო და ქუდმოხდილი გა-
ჩერებულიყო. ის რომ დაინახავდა, ეტყოდა: ამოდი მაღლა და
გზაზე გაიარეო. თვითონ კი განაგრძობდა გზას შეუჩერებლად.
კარგა შორს გზას რომ გაივლიდა, მერე მოსისხლე ამოვიდოდა
გზაზე და წავიდოდა თავისუფლად. თუ გზის ძირში არ გადავი-
დოდა, მაშინ მოკლულის მოგვარე მაშინვე ხანჯალს, ან ხმალს და-
ჰქირავდა, დასჭრიდა და „შესწირავდა“. ის ხმაამოულებლად უნდა
გაჩერებულიყო. თუ მოასწრებდა და გადახტებოდა გზის ბოლო-
ში, მაშინ შემხვედრი აღარ დაედევნებოდა და არ დაარტყამდა,
იარაღი ამოღებულიც რომ ჰქონდა, ისევ ჩააგებდა და წივიდოდა.



დობილ-ძმობილობა ხდებოდა უცბად, მოულოდნელად შემთხვევაში ერთმანეთის მოწონებითაც. ზემო თავში შეტყილი არის შუღლის შემდეგ ძმობილობის წესი. რამე საქმეზე რომ შუღლი მოუხდებოდათ, შეტყიგების შემდეგ მათ შეაკაცები აძმობილებდნენ. იმათაც ერთომეორის დანდობა და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. ხახდანან ხდებოდა ძმობილობის შემდევაც, რომ ის ძმობილი, რომელიც ჩხერში დაჩაგრა შეორებ, „დარილით“ (მიპარვით) ან ხანგალს დაპკრავდა მას, ან ღაჭიას და ხელმეორედ იშუღლებდნენ. ეს მიღებული არ იყო და არც ხშირად ხდებოდა. უმეტესობა ფიცს არ უღალატებდა და ნაწყენობასაც ძმობილობის ხარისხთ თმობდა. შეაკაცები როგორ შეარიგებდნენ და აძმობილებდნენ, ამ წესზე ნათქვამი იყო ზემოთ. ძმობილობის შემდეგ შეტყიგების შეაკაცი მოსჭრიდა ორ „წილს“, ერთს ნიშანს გაუკეთებდა, ერთი კი უნიშნო დარჩებოდა. ერთ წილს დააჩემებდა ერთ მათგანს და მეორე წილს მეორეს. ჩაყრილნენ ქუდში, შემრიგებელი მოიხდიდა ქუდს და იტყოდა: „ლმერთო დალოცვილო, კევსურეთულნო ხთიშვილო, თქვენ შეეწიეთ ამ ძმათა, ამ ძმობილთ. რომენსაც უფრო უნდ რო ძმობილს წინ მიუვიდას არაყით, იმის წილ მაიყვანეო, ვამარჩებას თქვენსა, თქვენის გამჩენის ხთისას“. ამ სიტყვებით ერთი მათგანი დაიწნევდა ქუდს და მათი მძმობილებელი აძმილებდა წილს. რომლის წილიც აძმვიდოდა, იმას ეტყოდა: „წყალობა მაგცან კევსურეთულთ ხთიშვილთ, აბა ექხლა შენ იცი, რაგელსაც არაყს მიუტან შენს ძმობილს. მე თუ იქ არცაით შავხვდები, საღლევებელო მაინც შასვიდით ჩემიც“. ასე ხუმრობდნენ ძმობილობის დროს. ამის შემდეგ ვისაც პირველად ერგო არაყით მისვლა. ის დაამზადებდა საარაყეს, გამოსწურავდა, ჩასხმდა ქინთში და წავიდოდა ძმობილთან. შეიძლებოდა მარტო წავიდოდა. ან გაიყოლებდა ძმას, ბიძაშვილს, შეიძლება და ან ბიძაშვილი ქალიც გაეყოლებინა, წავიდოდნენ ორნი. ძმობილთან წასული ერთ ამხანაგზე მეტს არ გაიყოლებდა. წასულამდე თავისიანებს დაალევინებდა არაყს. უფროსები დალევდნენ არაყს, დაარიგებდნენ და ვაისტუმრებდნენ წამსვლელებს. ისინი გზადაგზა არაყის სმითა და მხიარულად მიდიოდნენ. ძმობილის სახლთან ძმობილი თამამად ჩამოვიდოდა ცხენიდან და საკომში დაიძახებდა: „ძმობილო, არ ხარა შინ, კარშია გამეედით“. „შინ ორთ, ძმობილო, შინა, კარშიაც გამაოლ“. მთელი ოჯახის წევრები გარეთ გაძვი-



დოლნენ, ქალები ეტყოდნენ: „მახვეი მშვიდობით“, კაცები კი ეტყოდნენ უფრო ვაჟს გამარჯვებას, ქალს კი — „მახვე მშვიდობით“. ჭრების სტუმრები პასუხობდნენ ვაჟებს — „გაგიმარჯოსთ ღმერთმ“, ხოლო ქალებს — „გიშველასთ ღმერთმ“. მოსული ქალები კი კაცაც ყველას ერთნაირად ეტყოდნენ: „გიშველასთ ღმერთმ“.

ცხენებს რომ მოხდიდნენ, ბალაზე წააყვანინებდნენ, სტუმრებს კი შინ შეიძატიუებდნენ. შინ შესული სტუმრები იტყოდნენ — „აგაშენასთ ღმერთმ“. „გიშველასთ ღმერთმ, მაგვისკვეით მშვიდობით“, — უპასუხებდნენ მასპინძლები და სტუმრებს სკამზე დასვამდნენ. მამაკაცები სამამაცოს დასხდებოდნენ, ხოლო ქალები სადიაცო მხარეს დაბლა ჩამოსხდებოდნენ (ჩევსური ქალი უსკამოდ დაჭდომას ისეა მიჩვეული, რომ სკამი რომ დაუდგა, გვერდზე გადადგამს და თვითონ დაბლა დაჭდება). დიაცი ან ქალი (დიაცი ეწოდება ქალს გათხოვებისა და შვილის ყოლის შემდეგ, ქალი კი გასათხოვარს, ქალიშვილს) სტუმრებს ჭანის ბაწრებს კაუჩესნიდა, ჭლებს გახდიდა და თათებს ჩაატევდა, მოუტანდა საკაცო ტყავებს (ქურქი) და მოახურავდა. ოჯახი თუ რიგიანად ცხოვრობდა, სტუმრისათვის თათები და ტყავები ბევრი ჰქონდათ. სტუმარი ქალები კი თვითონ გაიხდიდნენ და საქალო თათებს ჩაიცვამდნენ.

რაც მმობილი მოუვიდოდათ არაყით, მოსულებიც და დაბხდურებიც მხიარულად იყენენ. მოსული მმობილი მალე მოითხოვდა თავის არაყიან ქინთს და ყანწებში არაყის დაასხამდა. პირველი ყანწი, როგორც ვიცოთ, ეკუთვნოდა უფროს მასპინძელს, მერე კი თანმიმდევრობით დაარიგებდა. მმობილის მოსვლაზე მასპინძელი სახლისკაცებისა და თავისი სოფლელების დაახებას გადაწყვეტდა. მაგრამ სტუმარი მაწევარს არ გაუშვებდა, ვიდრე არაყის არ დაალევინებდა (მაწევარი როგორ მიღიოდა საწევრად და ნაწევრი სტუმრები როგორ მოღიოდნენ, ან რა წესით შეხვდებოდნენ მოსულებს სტუმარი და მასპინძელი, უკვე ვიცით). მოწვეულები პირველად აშენებას ეტყოდნენ მასპინძელს, მერე მოსულ სტუმრებს — გამარჯვებას. ამბავსაც ჰკოთხავდნენ და დასხდებოდნენ ჩვეულებრივად. ჭერ იქნებოდა სმა, სმას მოჰყვებოდა მლერა, ლექსობა და თამაშობა. უფრო მეტწილად მოწვეული იყო ახალგაზრდობა, რადგან მეტი მხიარულება იცოდნენ მმობილის მოსვლაზე. სმაში ზოგი მლეროდა ფშაურ კილოზე, ან ფანდურზე ლექსობდა:

ის დრო აღარა, შერილაო, იქ რო ქალებსთან სუცვებოდი, დალლევდი ბოთლის არაყასა, ძმობილო, გალლოოთდებოდი, იქ ხყარაულობ სა მძღვანელისა, იქაც მტრერთ უმაგრდებოდი, შახვილოდ სანადიროდა, ბერდენგას ეჭადლებოდი, ჩიქებს თოფს დაჭკრევდი, მახკლევდი, გაქნდის, სიცილს ხკედებოდი. უენი ძმასც მქნა, ძმობილო, რო გვერდი დაგიღგებოდი, ანამც ნისლი მქნა, მცარეველად საომრად ჩემოგყვებოდი, ანამც პამალი მქნა ფოლადი, შენს მტერს რო ვეკვეთებოდი, მმში შასულსა ვაშკაცსა, მეც რო თან გამაგყვებოდი, გაქნევიებდი სახელსა, იქაც თან ამაგყვებოდი, ამაგის მალევსებელი, რუსეთ სმირნაზე ვდგებოდი. რუსულ ჭუქუნაჲ ჩამაცვეს, მნახედვი, განკვირდებოდი.

ასეთ ლექსებს ფანდურზედაც ლექსობდნენ და ფშაურად მღერის კოლოზედაც.

კარგად რომ შექეიფიანლებოდნენ, სტუმარს გამოართვამდნენ ქინთს, მოაკრავდნენ პირზე და დაპერდებდნენ უფრო საღიაცოს მხარეს. ქინთს სტუმარი ადვილად არ დაანებდება — ჯერ კიდევ დავლიოთო, მაგრამ ისინი მარც თავისას გაიტანდნენ და გამოართვამდნენ. ამის შემდეგი წესები სრულდებოდა ისე, როგორც ზევით გვაქვს ნათქვამი. ძმობილი ძმობილს ისე არ გაუშვებდა, რომ ვინმე ქალი არ მოეყანა მასთან. ძმობილის და, ან ბიძაშვილი ქალი თუ იქნებოდა აქ, ისინიც თავისუფლად დაწვებოდნენ თავის ძმის ან ბიძაშვილის ძმობილთან. სტუმარს, როგორც ვიცით, სხვა ოჯახებშიც გაიპატიუებდნენ და, რითაც შეეძლოთ პატივს სცემდნენ. მეორე დღეც ასე გავიდოდა და მესამე დილას სტუქრები გამოემგზავრებოდნენ. ძმობილი არაყით მოსულ ძმობილს აჩუქებდა რამეს „სამმობილოს“ — ან სპილენძის ქვაბს, ან ხანგალს, ან სხვა იარაღს რამეს. შეიძლება საძმობილოში ერთის ან ორი წლის ხბოსაც აჩუქებდნენ. ზოგი კი ძმობილს ეტყოდა: მე აქედან საძმობლოში არც წავიღებ რამეს და არც მოგცემ. ეს ვალი არის. შენ რო მომცე რამე, ხომ მეც უნდა დაგიბრუნო სამაგიეროო. ზოგი კი წაიღებდა და იქონიებდა ძმობილის სახსოვრად საძმობილოს. თვითონაც ისეთ რამეს მისცემდა, რომ ძმობილს საშუალოდ შეენახა მის სახსოვრად. ასე ჩვეულებრივი წესით გაისტუმრებდა ძმობილს. გაცილებდა სოფლის პირამდინ, ცხენზე შესვამდა და დაემშვიდობებოდნენ ერთიმეორეს. შულლის ნიაღავზე ძმობილობის გარდა იყო მეორე ძმობილობა, დამყარებული ერთიმეორის მოწონებაზე. შეიძლება ახალგაზრდა ვაჟს მოეწონებოდა რომელიმე ახალგაზრდა ვაჟი, მაშინ მოიგონებდა ძმობილო-

ქმობილობა იცოდნენ ქალ-ვაჟის სიყვარულზეც; ვთქვათ,
ქალს მოეწონა ვაჟი და საშუალება არ აქვს მასთან დაახლოებისა,
მაშინ ქალი გააწყობს საქმეს ისე, რომ თავის ძმას ან ბიძაშვილს
აძმობილებს თავის მოწონებულ ვაჟს და ამის შემდეგ ექნება მის-
ვლა-მოსვლისა და დაახლოების შესაძლებლობა. შეიძლებოდა ქა-
ლის და ვაჟის ძმობილობაც, მხოლოდ ეს გაძმონაქლის შემთხვევაში
ხდებოდა. ქალებმა იცოდნენ ქალისათვის დადობილება, ერთიმეორის
მოწონებითაც და ვაჟის სიყვარულის გამოც. ეს მაშინ, თუ ქალს
ან ერთს, ან ორსავე სხვადასხვა სოფელში ვაჟი მოსწონდა და
მიმოსვლის საშუალება არ ჰქონდა, მაშინ ქალები ედობილებოდ-
ნენ ერთიმეორეს და გაჩნდებოდა ერთად მისვლა-მოსვლის მიზე-
ზი, რასაც მოჰყვებოდა ქალ-ვაჟების დაახლოება. ღობილი ქალი
დობილს, როცა ის სტუმრად მიუვიდოდა არაყით, მოწონებულ
ვაჟთან უელჩებდა. ქალებმა საღობილოში იცოდნენ თავის ხელით
მოქარგული რამის მიცემა. ღობილი ქალები ხშირად მიღიოდ-
მოდიოდნენ ერთიმეორესთან; აქედან ებმებოდა ელჩობა და დამე-
გობრება ქალ-ვაჟებისა სწორფრად; ზოგიერთი ქალები კი ისე
ედობილებოდნენ, რომ მხედველობაში სულ არ ექნებოდათ ვა-
ზების ამბავი.

არაყით მისვლა-მოსვლა ქალებმაც და ვაჟებმაც ერთნაირად
იცოდნენ. ჯერ ერთი მიუტანდა საღობილო ან საძმობილო არაყს,
მერე მეორე იმავე წესით, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ. ამ სა-
ძმობილო არაყის მიტანის შემდეგ ღობილი და ძმობილი ჭირ-ლხი-
ნის დღეს მუდამ მიუტანდნენ არაყს ერთიმეორეს და ხშირი სტუ-
მარ-მასპინძლებიც იყვნენ.

ძმობილი რომ მოკვდებოდა, მეორე ძმობილს მის ღოღში
ცხენსაც უჩევდნენ. ძმობილი ისეთივე მგლოვიარე იყო, როგორც
მკვდარი ძმობილის სხვა ნათესავები. ბოლოს ძმობილი ლუდსაც
აღულებდა და დალოცავდა მკვდარი ძმობილისათვის. როგორც
ვთქვით, ძმობილობა შულლის შემდეგაც ხდებოდა. უფრო შტკი-
ცე ძმობილობა კი იყო ერთიმეორის მოწონებით და სურვილით.
ძმობილის და ღობილის და-ძმებსაც ყველას ისე უყურებდნენ,
როგორც თავის ღობილს და ძმობილს.



მთიგელი არის თბის მუშა, მამკალი — სამკალის მუშამაშულობა. შის შევრა ხევსურებმა იცოდნენ თავისებურ უქმე დღეებში: ორ-შაბათს, პარასკევს და შაბათს. შეიძლებოდა მუშა კვირა დღესაც შეეყარათ, ოლონდ მაშინ თხა უნდა დაეკლათ კვირისათვის. (ეს გვილაფერი აწერილია რელიგიურ ჩვეულებებში). მუშას რომ და-აპირებდნენ, მაგ. პატრონი წავიდოდა სოფელში და აწევდა ვა-უებს მთიგელში. ქალებს „ყანცვლაში“ ქალები აწევდნენ (ნამ-გლით თიბვას „კენცვლას“ ეძახოდნენ). მეგობარი ქალ-ვაჟები იმ მუშაში წავიდოდნენ, სადაც ერთიმეორე ეგულებოდათ. მთიგელთ პატრონი როგორც თავის სოფელში, ისევე სხვა სოფლებიდანაც დაპატიჟებდა ახალგაზრდებს. ახალგაზრდები პირობას მისცემდნენ დანიშნული დღისათვის. მასპინძელი დაამზადებდა ლუდს ან არაყს. დანიშნულ დილას ყველანი გამოცხადდებოდნენ მასპინ-ძელთან (მუშები ფასით არ იცოდნენ, აქ ზოგი ეხმარებოდა ისე, მეგობრულად, ზოგი კი ხელნაცვლად. ე. ი. ჯერ ერთი მიე-შევლებოდა და მერე მეორე უშველიდა სამაგიეროდ. ფასით მიშველება იცოდნენ სამუშაო დღეებში. ამას ეწოდებოდა „შე-დღეულე მუშა“. უქმში რომ მუშას შეჰყრიდნენ, იქ ფასიანი მუ-შები არ მიღიოდნენ). მასპინძელი და მისი ოჯახის წევრები ყვე-ლანი მოეგებებოდნენ მოსულ მუშებს. ვაჟებს გამარჯვებას ეტ-ყოდნენ, ქალებს მშვიდობას და ამბავსაც პკითხავდნენ. მშვიდობა-ამბავს ჰკითხავდნენ სხვა სოფლიდან მოსულებს, თავის სოფლე-ლებს კი ეტყოდნენ: „მაგვისვეით მშვიდობოთ“.

მოსული ვაჟები ყველანი მოიტანდნენ ცელებს, ქალები კი ნამგლებს. ცელ-ნამგლებს დააწყობდნენ და მასპინძელი მუშებს შინ შეაპატიჟებდა. აქ დისახლისს პქონდა ფაფა, რძეში მოხარ-შული სიმინდის ფქვილისაგან. მუშები სამუშაოსაკენ ჩქარობდნენ სტუმარმასპინძლობას და საუფროსო-საუნცროსო სკამებს არ აქ-ცევდნენ ყურადღებას და, ვისაც სად შეხვდებოდა, იქ დაჭდებო-და. მასპინძელი საჩქაროდ დადგამდა ტაბლას, ზედ ფაფიან ერბო-დასხმულ ბაქნებს და არაყიან ჭურჭლებს, ან ლუდიან საწდეს. მასპინძელი ასხამდა არაყს და ერთ-ერთი ამ ოჯახის უფროსი შენდობას ეტყოდა ტაბლას და არაყს თავისი და თავის მუშების მიცვალებულისათვის. დალოცვის წესი ჩვენ უკვე ვიცით. მხო-ლოდ იქ ასე იწყებოდა დალოცვა: „ლმერთო, დიდება შენდა, ლმე-რთო, მადლი შენდა, ლმერთო, გვიდლეგძელი ე მუშები, შაგვი-

რჩინი კელი-მჯარი, უშველი კაით შველვისად“. ამის შემდეგ აქტუალური იყო ჩვეულებრივი დალოცვის წესი. ტაბლას რომ დალოცვედა, მუშათ პატრინი ჯერ თვითონ დაილოცებოდა და დალევდა არას, მერე სხვებსაც დაალევინებდა. მუშათ პატრინი ასე დაილოცებოდა: „მუშანო, ღმერთმა დაგლოცნასთ, გადლეგიელზასთ, კელი-მჯარ შაგარჩინასთ, ჩვენის შველვისად ღმერთმა კაით გი-შველასთ. ქალ-დიაცებო, ოქვენაც ღმერთმა დაგლოცნასთ, კელი-მჯარ შაგარჩინასთ, საიმედოებ გიცოცხლასთ. შაუნძნას იმ სულს კი, რომენიც ამ ჩვენს მუშათ შაყრას მანყვებოდას“. ვაჟი მუშა ყანწს ასე დაილოცვედა: „ღმერთმა აგაშენას, მასპინძელო (ან სახელს ეტყოდა), ბარაქა მაგყას, მშვიდობით გამყოფას. მშვიდობას მაგაჭმარის მუშათ ნამუშეელიცა, თავისაიც. მუშანო, თქვენაც დაგლოცნასთ, გადლეგძელნასთ, კელი-მჯარ შაგარჩინასთ, ამათად შველივსად კაით გიშველასთ. მექენცლებო, ოქვენაც დაგლოცნასთ, საიმედოებ გიცოცხლასთ“. ქლებისა და ვაჟების დალოცვა ბევრად არ გამოიჩინადა. სასმელს დალევლნენ ფეხზე და აჩქარებით. ამის შემდეგ ყველანი დასხდებოდნენ, დაუდგამდნენ ფაფიან ბაქნებს, დაუწყობდნენ პურის კვერებსა და ყველსაც. მასპინძელი აიღებდა პურის კვერებს, ჯერ უფროს მუშას და მერე სხვებსაც გაუტეხდა ხელში და იტყოდა: „ღმერთო, კრძალ გვიმყოფი ე მუშები, შაგვირჩინი კელი-მჯარი“. მუშები კი პურის გატეხის დროს იტყოდნენ: „ღმერთო, უშველი მასპინძელს, მიეც ბარაქა, მააქმარი მშვიდობას მუშათ ნამუშეელიცა-დ თავისაიც, უდლეგძელი ე მუშებიც, შაურჩინი კელი-მჯარი, უშველი კაით ამათად შველისად“. ბაქნებს გარშემო შემოუსხდებოდნენ ყველანი და თავისი კოვზათ ერთი ბაქნიდან რამდენიმე კაცი ჭამდა. მხოლოდ წესი იყო, რომ ერთი მეორე სტუმრის წინიდან არ იღებდა ფაფის. თუ ერთი მეორეს ადგილიდან დაიწყებდა ფაფის ამოლებას, ხშირ შემთხვევაში შუღლიც მოხდებოდა: — შენ, რომ ჩემს მხარეზე ჭამ, ხალხსაც და მასპინძელსაც ჩემი ნაჭამი ეგონება და მე შინიდან მშეერი და დაამლული ვეგონები მოსულიო. ხევსურები პურის ჭამაში საერთოდ „კაკურაზობდნენ“, თუნდაც შიებოდათ, მაინც ძალიან ცოტას შეჭამდნენ, რომ არავის ეფიქრა: შინ არაფერი ჰქონდა, რომ სხვაგან ამდენსა ჭამსო? სხვა დროს ქალები და ვაჟები პურს ერთსა და იმავე დროს არ ჭამდნენ, მუშაში მიმავლები კი ყველანი ერთბაშად დასხდებოდნენ — დიაცები სადიაცო მხარეს და ვაჟები სამამაცო მხარეს. მხოლოდ თამაში, გაუთხოვარი ქალები შეიძლება ვაჟებთანაც დამსხდარიყვნენ და



ეჭამათ. ქალები ფაფის ჭამაში ეხუმრებოდნენ ვაჟებს: ფაფუა ეხუმრებოდნენ კე მხარეზე ნუ იღებ, თორემ სილა მოგხვდებაო. მუშები როცა ჭამდნენ, მასპინძელი ქუდმოხდილი ფეხზე იღვა და ასმევდა სას-მელს. დიასახლისი „სასაგდლებში“ ჩააწყობდა პურს და ყველს-ბუდე-ხეესურეთში ხავიწიც იცოდნენ, აზხოტში კი მარტო პურ-ჟველი. თუ სათიბი მთა ისეთ ადგილის იყო, სადაც ცხენით შეიძლებოდა მისვლა, მაშინ ხურჯინებში ჩააწყობდნენ ცხენით წასა-ლებად ბარგს: ორძირას, საგზალს და ა. შ. სმა-ჭამის მოთავების შემდეგ ყველანი საჩქაროდ გამოვიდოდნენ და წავიდოდნენ სა-შუშაოდ; თან გაპყვებოდათ ერთი ან ორი მეწყლე. სათიბს რამ-დენად დაშორებული ჰქონდა წყალი, იმდენი მეწყლე იქნებოდა საჭირო, რომ მუშათავის წყალი მიეტანა. ხშირი იყო შემთხვევა, რომ მუშების ისეთ მხარეს გაგზავნიდნენ, რომ მთიბლები და შეკვეულები ერთმანეთის პირდაპირ ყოფილიყვნენ. ცელით მთი-ბელები მთაში რომ მივიდოდნენ, დააგებდნენ ცელებს ტარზე, პირველად საბინაე ადგილს გასთიბდნენ და ბინას დააწყობდნენ. დაწყობილ ბინას დააყრიდნენ გათიბულ ბალას. ყველა მთიბელი ცდილობდა აღრე გაეჭრა ნამკრევი და წინ წასულიყო, რომ შო-რიდან მეკვეულებს ენახა, ეცნო ის და საღამოზე ეკითხა: — ვინ იყო, რომ წინ მიდიოდათ. პირველად რომ თიბვას დაიწყებდნენ, ყველა იტყოდა: „ღმერთო, უშველი მუშათ პატრონს, მააჯგარ მშვიდობას მუშათ ნამუშეელიცა-დ თავისიაც. გაუმარჯვი მუშა-თაც, შაარჩინი კელი-მქარი“. თიბას რომ დაწყებდნენ, ხანდა-ხან მაშინვე „დაიმუქრებოდა“ ხალხი. პირველადვე გადაზომავ-დნენ მანძილს სიგანეზე ცელისტარით. ყველა გაჭრიდა თავთავის ნამკრევს და წავიდოდნენ ერთნაირი სიგანით მაღლა-მაღლა. აქ იცოდნენ „მთიბლური“ მლერა, მლერაში ჯერ ერთი კაცი იძახებდა პირველად და იმავე სიტყვებს გაიმეორებდა მეორე მთიბელი. მთი-ბლური მლერა ანუ „გვრინი“ ძალიან წააგავდა ქმით ტირილს. ე. ი. მის კილოს. მლეროდა ერთი კაცი ძალიან ხმამაღლა, თითქმის რაც ხმის ამაღლება შეეძლო. სიტყვებს მოკლე კილოთი იტყოდა და ბოლოს გაუგრძელებდა ხმას. ამ ხმას ძალიან შორს გაიგონებ-დნენ და შეიძლება სხვა მთიბელებიდნაც ვინმე აპყოლოდა. მთი-ბელში მთიბლურად რომ იმლერებდა კაცი, მეორე მთიბელი სად-მე მის მოპირდაპირე ადგილიდან იძახებდა გვრინს. უფრო ხში-რად კი ერთ მთიბელში მლეროდნენ ორნი. მლერის ხმა მეკვეულე-ებამდინაც მისწვდებოდა და ისინიც სიამოენებით ყურს უგდებ-



დნენ. ვაკებს თოფ-იარაღი და დურბინდები თან დაპქონდათ, სკენების დროს დურბინდებით გაპყურებდნენ მეცნილებში მასში მთიბლები დასვენების დროს ჭამდნენ პურ-ყველს და თუ ჰქონდათ, ხავიწს.

მთიბლები რომ სამუშაოდ წავიდოდნენ, დიასახლისი მაშინვე შეუდგებოდა მთიბლთათვის გასაგზავნი სადილის კეთებას. არხოტში იცოდნენ კაცეულების გამოცხობა, ბუდე-ხევსურეთში კი აკეთებდნენ „თეთრას“ — რძეს, ერბოს და ფქვილს მოადულებდნენ ერთმანეთში. ის იყო ხავიწივით, მოახელო და პურთან ერთად ჭამდნენ. არხოტში კაცეულებს ჩაწყობდნენ ხურჯისში და ერაწით ერბოს გაგზავნიდნენ გაუდნობელს. ერთ კაცს იშვიდნენ სადილის წამლებს (იმას ეწოდება „მესადილე“). ცელით მთიბლები მაღლა იყვნენ მთებში და აქ ჟველა ვერ წაიღებდა, თუ ცოტა ყოჩალი მესადილე არ იქნებოდა. სადაც ცხენის მისავლელი იყო, სადილს ცხენით წაიღებდნენ, თუ არა და ზურგით.

ქალები კი დაბლა ბარად თიბდნენ, ყანების მიღამოებში და მათთან სადილის მიტანა ადვილი იყო; ქალიც წაულებდა სადილს და ცოტა მოზრდილი ბავშვიც. სადილს მიიტანდნენ სალაშო ხანზე. ე. ი. ხევსურული თქმით, სამხრობის დროს, როცა მზე გადაიხრებოდა. მთიბლები რომ მესადილეს დაინახავდნენ, მაშინ უფრო ძალზე დაემუქრებოდნენ თიბაში ერთიმეორეს, თან მღეროდნენ მთიბლურად:

სადილობამდინ დათვიამაო,
სამი ნამკრევი აიტანაო,
სადილად დაჭდა დათვიამო,
კვირიდ ნაკლეჩი გადიტანაო“.

— „სადილობამდინ მე ვიცა,
სადილობაზე სადილმა“ და სხვა.

მესადილე რომ მიდიოდა, თან ისიც დაპქიოდა: აბა შოთიბეთ ჩქარა, მოვდივარ და სადილი მომაქვსო. მესადილე კაცეულების და ერბოს გარდა მოიტანდა არაყს ან ლუდს, ცეცხლის ასანთებად ჩირახს (ჩირახი არის გამხმარი ფიჭვის ძირი, რომელსაც სახელევით ეკიდება ცეცხლი). მესადილე რომ ბინაში მოვიდოდა, მასპინძელიც აქ დაუხვდებოდა და დაანთებდნენ ცეცხლს ხმელი ბალახით და ჩირახით (ბუდე ხევსურეთში ჩირახი არ იყო და იმის მაგიერ „ჩრაქვს“ ხმარობდნენ. ჩრაქვი არის არყის ხის ქერქი). ერბოიან ერაწს ცელის ტარზე გაუყრიდნენ და გააღნობდნენ ერბოს. მთიბლებიც ამ დროს ბინაში თავს მოიყრიდნენ და დას-



ხდებოდნენ, მეწყლე ცოვ წყალს მოიტანდა, მასპინელი კაცებულება
ლებს ამოალაგებდა, იქვე ხურჭინზე ან სასაგძლეზე დაწყობდნდა
და დანით დასჭრიდა ნაწვრეთებად. გაშლილნენ ჩიხებს და სხვა
ასეთ რამეებს, გადააწყობდნენ ნაწვრეთებს და პატარა ჯამებით
ერბოს დადგამდნენ (პატარა ჯამს ხევსურულად ეწოდება წიწანი).
მთიბლები დასხდებოდნენ, სადაც ვის როგორ მოუხდებოდა, ნაწვ-
რეთს აიღებდნენ ხელში და იტყოდნენ: „ღმერთო, უშველი შუ-
შათ პატრონსა, მააკმარი მშვიდობას მუშათ ნამუშეელიცა, თა-
ვისაიც. კარგა უმყოფი მუშებიც. შაურჩინი კელი-მვარი. გაუ-
მარჯვი მესადილესაც, უგილობას ნუ დაუკარგავ“.

ასეთის დალოცვის შემდეგ დაიწყებდნენ ჭამას. მასპინელი
და მესადილე ფეხზე იდგნენ და ტაბლაზე ემსახურებოდნენ მუ-
შებს. ერთი მათგანი ასხამდა ყანწში არაყს, მეორე კი არიგებდა
და ასმევდა მთიბლებს. მთიბლები პურს ჭამდნენ ყოვლად მოუ-
რიდებლად და დაუხათრებლად. ხანდახან აიღებდნენ და წიწით
ერბოს მოსვამდნენ. ზოგიერთი მთიბელი არაყს სულაც არ დალევ-
და — მუშაობაში ცუდ გუნებას გამიხდისო, ზოგი კი კარგად და-
ლევდა. ჭამის გათავებისას ისევე დაილოცებოდნენ, როგორც
ჭამის დაწყებისას. მასპინელი ერბოიან წიწნებში ჩაყრიდა ხაწვ-
რეთებს და ეპატუებოდა მთიბლებს: ქარმიჯი ამოიღე და კიდევ
ჭამეო (ქარმიჯი ეწოდებოდა ჭამის გათავების შემდეგ შეპატი-
ებულ საბოლოო ლუქმის, რომელსაც ერბოში ამოათრევდნენ).
ხორცის წილობის მიცემაც შეიძლებოდა ქარმიჯად, რომელიც სა-
უკეთესო ნაჭერი უნდა ყოფილიყო). წიწანში რომ ნაწვრეთებს
ჩაყრიდნენ, თითო მუშას ხელში მისცემდნენ და აძალადებდნენ —
ჭამეო. ხან ეტყოდნენ: შეჭამე ჩემის გამარჯვების ქარმიჯიო, ახლა
სხვა ვისიმეს გამარჯვებისა და ამნაირად თითო კაცს თითქმის თი-
თო წიწანს დააცლევინებდნენ ერბოთი და ნაწვრეთებით სავ-
სეს. ერთს რო ქარმიჯებს აძალებდნენ, ამ წიწანში რაც ერბო
დარჩებოდა, ერაშიდან კიდევ ჩაუმატებდნენ და ახლა სხვას და-
აძალებდნენ.

მთიბლებმა ხუმრობაც იცოდნენ: არა მე უფრო კარგად
ვმუშაობა და არა მეო, დიასახლისს უთხარი: თიკნის თავი მე შე-
კუთვნისო და სხვა (უქმეებში თუ მუშას შეკრიდნენ, მაშინ აუცი-
ლებლად თიკანი უნდა დაეკლათ, უიმისოდ მუშაობა არ შეიძლე-
ბოდა, თიკნის დაკვლას ეწოდებოდა „უქმის დანათვლა“. მუშაში
დასაკლავ თიკანს — „უქმის სანათლავი“).

ქარმიჯების ჭამა და სმა რომ მოთავდებოდა, მუშები ცელებს



გალესავდნენ, ადგებოდნენ და ძალიან მავრა თიბვას დაიწყებდნენ წამოცვეულებისა და საღილევს, ნამეტნავად ერბოს ჭამის შემდეგ, მუშაობაში თუ არ დაიღალა და ოფლი არ მოიყვანა, ისე არ ვარგა, კაცი ჯანბრთელი ვერ იქნებაო. მუშები რომ თიბას დაიწყებდნენ, მესაღილე წამოცვიდოდა და თან წამოიღებდა მთიბელთ ნარჩენ საღილს. შინ რომ მიეიღოდა, ხუცესს მოიყვანდა. ხუცესი თიკანს დაკლავდა, მესაღილე გაატყავებდა, ტყავს მუშებს შეუნახავდა და ხორცს ასო-ასოდ დაჭრილს ქვაბში ჩაყრიდა და მოხარშავდა (მუშები თიკნის ტყავისას ღვედებს აკეთებდნენ და ანაწილებდნენ).

მუშები საღამო ხანამდე ძალზე მუშაობდნენ, გვრინსაც უფრო უმატებდნენ, ხშირად გაიგონებდთ ასეთ გვრინს:

ახლა მავიდა შუხრი-ხანო,
დატკბა მუშაი, დაგემნივრდა,
ზოგის ვაესა მაღის გვრინო,
ზოგისა მაღის—რა ვქნა, დედაო!
ქოჩინ ჩამატცეს ჩიყილითაო;
ნაღეო შენგან დატუქსეილნო
ცელო, გაძაშვერ გზის ნაპირიო,
ხალხი აღ-ჩადის, საჩუქვილიაო,
ორთავე ღაგვიშუევლენენ კელსაო,
შენსა მჭედელსაც გამლესველსაო.
გამაშვერ, გამაყარენ პირნიო,
ქოჩებსაც დაულიენ ძირნიო.
მემრე კი გაჭრა ჩემმა ცელმაო,
როსაც გაკვეთა სურიელიო.

მღეროდნენ ისეთ მთიბლურ სიმღერებს, რომელიც უფრო ცალს ეხებოდა, მაგრამ ხმით ნატირლებსაც ხშირად მღეროდნენ „ცელის ტარზე“ (გვრინი, მთიბლური და ცელის ტარზე მღერა ერთი და იგივეა. ხმით ნატირალი — „ცელისტარზე“ სამღერლები — აწერილია მიცვალებულის კულტში. ამიტომ აქ აღარ ვეხებით).

მუშები. როცა შეაჩნევდნენ, რომ დროა შინ წამოსვლისა, თითობით ყველა ძალზე გასთიბდა და დაიძახებდა: „ღმერთო. მააკმარი პატრონს მშვიდობას“ და ამ სიტყვებით ცელ-მხარზე გადებული დაუყვებოდა დაბლისაკენ. თუ გრძელი მთა იყო შე-თიბული და დაღლილ მთიბელს ჩამოსვლა დაზარდებოდა, „ნამ-კრევთ“ სათავეში შექრავდნენ „ქოჩი“ ბალახის კონებს, დასხედოდნენ და ნამჯრევთ ბოლომდე დაცურდებოდნენ. „გვერდალი“ — ძალიან დაქანებული სათიბების გამო ფეხსაცმლიანები



ვერ თიბდნენ და მთელი დღე ფეხშიშველა მუშაობდნენ. ბაზარის არომ მოგროვდებოდნენ, ფეხზე ჯლანებს ჩაიცვამდნენ და ყველანი ერთად წამოვიდოდნენ. წამოსვლის დროს მასპინძელს ყველანი ეტყოდნენ: „მშვიდობას მაგაქმარასთ ღმერთმ მუშათ ნამუშეელიცა, თავისაიც“. მასპინძელი უპასუხებდა: „ღმერთმა გიშველასთ, ღმერთმა კელი-მქარ შაგარჩინასთ“. ასე წამოვიდოდნენ და დაღ-ამების დროს მოვიდოდნენ მასპინძლის სახლში. ცელებს მიაყუ-დებდნენ და ყველანი დასხდებოდნენ ბანზე. მეკენცლებიც მო-სულნი იქნებოდნენ და ქალ-ვაჟები ხუმრობდნენ, ცცინძლნენ: არა მე ვსჭობდი სხვებს თიბაში და არა მეო. მეკენცლები და მთიბლები თუ ისეთ ადგილებზე იყვნენ, რომ თიბვის დროს ერთი-მეორეს ხედავდნენ, მაშინ ეკითხებოდნენ ურთიერთს: ის ვინ იყო მთის სათავეში პირველმა რომ აიტანა ნამყრევიო? მთიბლები იცინოდნენ — არა მე ვიყავი და არა მეო, თიკნის თავი მე მეკუ-თვნისო. აგრეთვე ვაჟებიც აძლევდნენ ასეთ კითხვებს და ჰქონ-დათ ერთი სიცილ-ხუმრობა. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ყვე-ლანი სახლში შევიდოდნენ. მასპინძლები ჩვეულებრივად შეხვდე-ბოდნენ. დიასახლისი ან სხვა თუ ვინმე იყო მოხუცი, ეკითხებოდ-ნენ მუშებს: „რაკელ სად იმუშაეთ, რაკელ ბალახ გეღგათ, იყვა რა გამასადეგ თუ ტყუილად იწვალეთ დღეს?“ მთიბლებიც უა-ბობდნენ, როგორი ბალახი იყო და როგორ იმუშავეს.

მასპინძელი მოიტანდა სასმელს და იმართებოდა სმა (არაყი იცოდნენ უფრო ხშირად, ლუდს კი იშვიათად ამზადებდნენ თი-ბის მუშათათვის. ლუდს უფრო ამზადებდნენ, როცა სამკალში ჰყავდათ მუშანი). მასპინძელი ეუბნებოდა: თქვენი ჰირიმე, და-ლიეთ, დღეს ჩემს საქმეში ოფლი ლვარეთ, სასმელი მაინც და-ლიეთ და პური ჰამეთო. მუშები ყანწს ჩვეულებრივად დალო-კავდნენ, მხოლოდ მასპინძელს ეუბნებოდნენ: „ღმერთმა მშეიდო-ბას მაგაქმარასთ მუშათ ნამუშევარიც და თავისაცაო“. მუშებს კი „ღმერთმა კელი-მქარ შაგარჩინასთ, და მასპინძლის შეელივისა-თვის კაით გიშველასთო“. თუ უცხო სტუმარი არავინ მოუვიდო-დათ, ადგილობრივ კაცს მუშასთან არავის შემოიყვანდნენ. თუ ჭირისპატრონი ვინმე იყო ახლო-მახლო პატივსაცემი კაცი, მაშინ თუ მუშანი თვითონ მოითხოვდნენ, იმას მოიყვანდნენ. ბოლოს თიკნას ხორციც მოიხარშებოდა; მესადილე ან შინაური ვინმე ამოილებდა. მასპინძელი „ტაბლათ“ დადგამდა ჩვეულებრივი წე-სით და სიტყვებით, ზედ პურის კვერებს და ხორცის წილობებს დააწყობდა. მასპინძელი მუშებს პურს ხელში გაუტეხდა და და-



სწყებდღნენ ჭამას. იგი ფეხზე იდგა და არაუს ასმევდა. ხალკოროცხუა
სთხოვდა: „დაღალული ხარ, დაჯედი“, მაგრამ მასპინძელი რეპ-
რებდა: თქვენ ჩემის გულისათვის მთელ დღეს ფეხზე იდექით და
ოფლი ღვარეთ, მე ეხლაც არ დავდგი ფეხზეო? დილას საშუ-
შაოსაკენ რომ ჩქარობდნენ, ქალები და ვაჟები ერთად ჭაბლნენ
პურს. ახლა კი ქალებს სადიაცოს მხარეს ცალკე დაუდგაბდენ
ტაბლას. ტაბლაზე იდგა ჭამებით წვენი და შიგ „ქიტურები“.
წვენს სამ-სამი ან მეტი კაცი ერთი ჭამიდან ჭამდა, ქიტურებსაც
რიგ-რიგობით იღებდნენ ჭამიდან (ქიტურა კოვზის მსგავსი,
მრგვალი და უფრო ღრმად ჩაჭრილი კოვზზე). ხორცი ყველას
ერთნაირად ეწყო ტაბლაზე, მაგრამ თიკნის თავი ვის ეკუთვნოდა,
იმაზე იყო საუბარი. მერე მესადილე და მთიბლები ერთხმად იტ-
ყოდნენ ერთ-ერთ კაცზე, რომელიც უკეთესად თიბდა: ეს კაცი
სხვებზეც მეტს თიბდა, ცელიც კარგი ჰქონდა და თვითონაც კა
მთიბელი არისო. აიღებდნენ დაუჭრელად მოხარშულ თიკნის თავს
და მას დაუდებდნენ ტაბლაზე ვინც ხალხმა დაასახელა.
მასპინძელი კი, სხვა მთიბლებს რომ არ სწყენოდა, ამბობდა: „მე
არ ვიცი, ვინ იყვ უკეთესი, ყველა ცარგად თიბდ, მე ის ვიცი,
სხო ვერა“. ახლა მევენცლებიც მოითხოვდნენ თიკნის თავს და
იყო ერთი ხუმრობა-სიცილი. ვისაც აკუთვნეს, ის დანით და-
ჭრიდა, ზოგს თიკნის ყურს შესთავაზებდა, ზოგს თიკნის თვალს,
ზოგს სხვა რამე ნაწილს. ბოლოს ძვალს გასჭრიდა და ტვინსაც
ვისმე მიართმევდა. თვითონ ბევრს არ შეჭამდა, სხვებს უფრო
მეტს სთავაზობდა. თიკნის თავის ხორცი სხვა ხორცზე მეტად
არ უყვარდათ, მაგრამ მისი მიღება დაფასება იყო კარგი მუშაობი-
სათვის და წახალისება. თავი მიაჩნდათ როგორც უპირველესი
ნაწილი ცხოველისა და ამიტომ ეკუთვნოდა სხვებზე კარგ მუშას
(ხუცესსაც აძლევდნენ დაკლული სკალავის თავს). ასე ივაბშებ-
დნენ ხუმრობა-სიცილით. ჭამას რომ გაათავებდნენ და ტაბლას
აიღებდნენ, იმართებოდა მხიარულება. ხალხი დალლილი იყო,
მაგრამ მაინც ლექსობდნენ და თამაშობდნენ. თუ ვინმე მათგანი
დალლილობას იტყოდა, არ იცეკვებდა ან არ ილექსებდა, ახალ-
გაზრდები დაცინოდნენ: ისეთი დალალვა რა არის, რომ კაცმა
ეერ ილექსოს, ან ეერ ითამაშოსო. ამიტომ ყველაფერს ასრუ-
ლებდნენ. თიკნის ბეჭს აიღებდნენ და მის ყელს ხანჭლის წევრით
ორ ადგილს ერთმანეთის მოპირდაპირედ ჩახვრეტავდნენ, მერე
შარცხენა ხელში დაიჭვერდნენ და მარჯვენა ხელის ცერს მოხერ-



ხებულად სცემდნენ — ამით ცდილობდნენ ბეჭის ჟელის განვითარებისა და განვითარების მინისტრის მიერთა შემდეგ..

ერთხელ ასეთ შემთხვევას შეხვდა ბუღე-ხევსურეთში არხო-ტიონი კაცი, სახელად ბათირა. ხევსურები ისეთი ვაჟაცემი ის-ხდნენ, რომ მე ცოცხალს ჩამყლაპავდნენო — ოქვა მან. იიღეს თიკინის ბეჭი და ხანჯლის წვერით ჩაუჩხვლეტელს დაუწყეს ცე-რით ცემა მოსატეხადო. არხოტიონი ამ ბუღე-ხევსურების ახალ-გაზრდებში მარტო ბათირა ყოფილა და თურმე არ უნდა რომ შერცხვეს. თან ქალებიც ბევრნი ყოფილან და მათთან უფრო ცდილობდა თავის მოწონებას. იქ მერჩე ბეჭი ეგდო, — ყვებოდა ბათირა — და როცა იმ ბეჭის ხევსურები ხელი-ხელ იცვლიან და სცემენ, მაშინ ის დაბლა ნაგდები ბეჭი ჩუმად ავიღე და სხვები-საგან შეუმჩნევლად კბილები ბეჭის ყელზე მაგრა მოვცურე, მერე დავაგდე და ჩუმად ფეხი დავადგიო. რომელსაც სცემდნენ, ის ბეჭი როცა ჩემამდენ მოვიდა და ხევსურებმა მითხრეს: აბა, შენ სცადეო, მე ჯერ უარი ვთქვი, მერე დაბლა დავხედე და ხევსუ-რებს ვუთხარი: აი ბეჭი აქაც ყოფილაო, მერე ავიღე და ისე და-ვიჭირე, რომ მოტეხილი ბეჭის ყელი ქალების მხარეს გავარდნი-ლიყო, ყველას დაენახა და თავი მესახელა. რაც ძალი და ღონე მქონდა ბეჭის ყელს ცერი გავარტყი, დასუსტებული ძვალი მო-ტყდა და სადიაცოს მხარეს კიდობანს მოხვდაო. ხევსური ახალ-გაზრდები ძალიან ნაწყენი დარჩნენ, მე კი ისე დავიჭირე თავი, ვითომც ეს ჩვეულებრივი მბავი იყო. თურმე ხევსურ ახალგაზრ-დებს ბათირასთვის ცემა უნდოდათ, მაგრამ მასპინძლის ხათრით ვერაფერი გაუბედიათ.

ასეთ ამბებს მოიგონებდნენ, მოპყვებოდნენ და იცინოდნენ, თანაც სახუმარო ლექსებს მიაყოლებდნენ მაგ.:

1

რას ამბობთ, რომენ ალექსებთ, მარტიას ჩემსა სიძესა? ახია, თუ კოც მაჩვებსა, ჩვენებს ყანებს რო თხრდესა, ბაქათ გოორგი ჩიოდა, ჩვენ ხვავიც ამასწყვიტესა, არ იყვა გამასადეგი, კალოთანით რო ვზიდეთა, მგონი ორი გაქვ ხაფუნგი, ერთი თემებში ზიდესა, ერთი მეც გამამიგზავნე, შენ გვაცვალე სიძესა, აისც დამასწავლიდი, როგორ უკეთებ კლიტესა, სხევებმ კი ტყუილად ჭაილეს, გაქლიბეს-გძმოქლიბესა.

2

მარტიას ხაფუნგ მიხერქდა, ძლივ კი ეკიდნეს თითანი, იქავ ტოტოხთავ ზდგომიყვა, ტყრაშნ იქნეს ხაფანგისანი.

უფრო ბეჭინა გაიძცა, მქარეზე გაისხნა ფიწალნი.
მარტია ღმერთმა დასწუყევლას, მაგასაც უკრნეს ლიპანი.
მაჩეკი-დ მარტია შაიბნეს, მაშინ დაიძრნეს მიშვინი,
ხალხია გაკვირვებული, რათ იქერენ ციცანი?

3

დიდება ჩემს სალოცავას, კაცი თუ იყვა ბედნეა,
შეაყრილან კუდიანები, რამდენს ისრებს ჟებენენა.
ცხენს უკაზმებენ ბუხასა, ლაგამსაც მაზდებენა
მაგის საჭელთა თვეათა ხურგის თვალში დებენა.

ასეთ ლექსებს მიაყოლებდნენ. ხანდახან არასახუმარო ლექსებ-
საც ილექსებოდნენ.

ბოლოს უველაფერი მოთაცდებოდა ჩვეულებრივი სტუმარ-
მასპინძლობის წესით. ადგილობრივი მუშები შინ წაეიდოდნენ.
სხვა სოფლიდან მოსულები კი აქ დარჩებოდნენ. ელჩი ქალები
ადგილობრივი ქალ-ვაჟებსაც არ გაუშევებდნენ სახლში და ვისაც
ვისთან სურდა, იმასთან უელჩებდნენ. მეორე დილას მოსული
სტუმრები ისაუზმებდნენ, არაყსაც დალევდნენ და ჩვეულებრი-
ვი წესით გაემგზავრებოდნენ შინისაკენ. მთიბლებისათვის პატი-
ვისცემა მარტო იმით არ ამოიწურებოდა. ზამთარში ერთ-ერთ
დღეს, როცა მუშათ პატრონი მოისურვებდა და მოემზადებოდა,
მთელ თავის მთიბლებს და მექანცლებს დაიბარებდა და გადა-
იხდიდა „მთიბელთ სადილს“. მთიბელთ სადილისათვის გამოხდიდ-
ნენ არაყს, ზოგი ლუდსაც დამზადებდა. ახალგაზრდები ზაფხუ-
ლის განმავლობაში რამდენ მთიბელშიც იყვნენ, იმას ანგარიშობ-
დნენ და იტყოდნენ: ამდენ-ამდენ მთიბელში ვიყავი და ზამთ-
რისათვის ამდენი მთიბელთ სადილი მელისო. მთიბელთ სადილი-
სათვის ხარშავდნენ ხორცს. ხორცი ხევსურებს მუდამ ჰქონდათ
ასაყარზე დაკიდებული და გამხმარი (ცხერის ან ხარის ძელები,
ნახევრად ხორციანი). მთიბელთ სადილში და სხვა სტუმრიანო-
ბაში ჩამოიქცებდნენ და ადულებდნენ.

მოსულ მთიბლებს მასპინძელი ჩვეულებრივად შეხვდებოდა:
უველანი რომ მოვიდოდნენ, იმართებოდა სმა. აქაც მთიბელთან
შემოსვლის უფლება სხვა კაცს არ ჰქონდა, თუ ის მუშაში არ იქ-
ნებოდა ნამყოფი; შეიძლება მუშანი თავისი სურვილით შოი-
წვევდნენ ვისმე. მთიბელებს ისე შემოსული კაცის დათხოვნის
უფლება ჰქონდათ, რადგან სადილი საკუთარი შრომის შედეგად
იყო მთიბლებისათვის გამართული და მათ გარდა სხვას არავის
იკუთვნოდა. სმა, ჭამა და დანარჩენი წესები ჩვეულებრივი იყო.

ამავე სმაში იცოდნენ უფრო მეტი გართობა, ლხინი; ვიდრე შინ, როცა მუშანი დალლილები იყვნენ. ახლა ზამთარი იყვნენ ხევსურებს მეტი თავისუფალი დრო პქონდათ გართობისათვის. ლექსობაც უფრო მეტი იცოდნენ და ცეკვაც. ხევსურები ზამთარში დროსტარების მეტს თითქმის არაფერს საქმიანობდნენ. თუ მოიტანდნენ შეშას და თივას, სხვა სამუშაო მათ არაფერი პქონდათ. ახალ ლექსებსაც უფრო ზამთრის პერიოდში გამოსთქვამდნენ და ძეველ ლექსებსაც ბევრს ლექსობდნენ: მაგ.:

1

იმედაი და შვერილაი, დღისთაოდ ფსიტებს ხედვენა,
შამავლენ სანადიროდა, ბევრს საგძალს წაიღებენა,
ქასურთ სათავეს შამაქდეს, აქ ველარცალას ხედვენა,
ამისთავ ნულარის წაოლთ, დასხდეს ჩახმახებს კედვენა,
ამ დროს ფსიტ გაღმარჩენდა, ორნივ დაკელთვას ბედვენა,
მა ბერდენკაი ტუკისა ფსიტესკ კიდად დებენა—
დააგორებენ ფსიტებსა, ქვიშას სრუ სისხლით ღებენა,
იმედა ეუბნებოდა; ტყავი გვაქვ არაბედენა!
არ ხქონდა გურიოლასა, შენზედ უარე ბერდენა.

2

შინ დაჭედ, არხოტიონო, კლდეში ნუ დახოლ ჭობისა!
სრუ არ იქოცას ჯიქები, იმედ რო გქონდას თოფისა.
გაგოთავდების საგძალი შენ მაგების ლოდინსა.
ამაგის მალექსებელნი ორნივ შვერია-შვერ მოვდითა,
ზენუბნელ-ქვენუბნელები ერთს ჯიქვს ცოცხალსაც მოგგვრითა.
უნდა გვინათლათ ნინოი, აღარა იყის ნდომისა.

3

მეშვალი, მენადირეო, დამჩჩალო შვერის ძირსაო,
ჯიქების მუქარაზედა ღმეს ათენებ გრალსაო,
ტოტით ნოთხარო კლდის ძირო, სალოგინეო ქვიშაო,
პურ რო მაგშივდას, პურს ვერ შჭმ, შიგ თვიზთვილ გამაღისაო.
დილა გამასულს გნახევდა შავი ყორანი კლდისაო,
შორით დაგოწებს ჟეფასა, აგვლ-ჩაგივლის მჯრითაო.

ასეთ ლექსებს ლექსობდნენ მრავალს. მთიბელთა სადილში იცოდნენ სმა ძალიან ძალდატანებით. თუნდა სახლში არ პქონოდათ, სხვაგნიდან მოიტანდნენ დიდ ყანწს და ამითი სეამდნენ ყველანი. ადლეგრძელებდნენ იმას, ვინც თიბვის დროს მეტი იმუშავა და მეტი ოფლი დაღვარა. მასპინძელი როცა სასმელს აძალებდა, ეუბნებოდა: დალიეთ, ეს თქვენი ამაგია და ოფლი რომ ლვარეთ, იმის შედეგია, მთიბელებიც სხვა დროის სტუმრებთან შედარებით



უფრო თამამად იყვნენ, რადგან მართლა შრომით ჰქონდა მოპოვების ბული ეს სადილი. ასე ერთ დღე-ღამეს იქნებოდნენ და მერე წაჭელით დოდნენ. ელჩიბას და მასთან დაკავშირებულ წესებს მთიბელთ სადილშიც ასრულებდნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟები.

მთიბელთ სადილი მარტო მთიბელთათვის იცოდნენ, მამკალთათვის ასეთს არაფერს აკეთებდნენ. მეს მუშები, ანუ „მამკალნი“ ისეთივე წესით მოვიდოდნენ, როგორც მთიბლები. თუ სვილის მამკალი იყო, მაშინ ყველანი ნამგლებს მოიყოლებდნენ თან, თუ ქერის მამკალი იყო, უნამვლოდ მოვიდოდნენ, რადგან ქერს ხელით გლევდნენ. მამკალში ქალი და ვაჟი ყველა ერთნაირად მოვიდოდა და მასპინძელთან ფაფის ჭამის შემდეგ ერთად წავიდოდნენ სამუშაოდ. ყანის პირზე ბინას დადებდნენ და შეუდგებოდნენ მეს. მეს დაწყებისას ყველანი თითოობით იტყოდნენ: „ლმერთო, უშველი მუშათ პატრონსა, მააქმარი მშვიდობას ნამუშევრი, მუშათაიცა, თავისიაც. კარგა უმყოფ ე მუშეებიც, „შაურჩინი კელი-მეარი, უშველ კაით, მუშათ პატრონისად შველვისად“. მერე იწყებდნენ მეს. მეაში იცოდნენ „დამუქრება“ ე. ი. შეჯიბრება ერთიმერობისადმი. მამკლები ჯგუფ-ჯგუფად დაიყოდოდნენ, ყანას ერთნაირი ფართობით გასჭრიდნენ და ერთმანეთს დაემუქრებოდნენ — რომელი ჯგუფი წინ გაიტანდა ნაპირზე სვეს (სვე ეწოდებოდა ყანის იმ ნაწილს, რომელსაც მომკლები ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირში გაიტანდნენ ერთნაირი ფართობით). შეიძლებოდა თითო კაცი თითო კაცსაც გაჯიბრებოდა, ან ქალი და ვაჟი დამუქრებოდნენ ერთმანეთს. ხან მთლიანად ყველა მომკლები ერბაშად წაიღებდნენ სვეს და გავიდოდნენ ნაპირზე. ყველა სვის გატანაზე ისვენებდნენ და მასპინძელი ასმევდა სასმელს, არაყი ექნებოდა თუ ლუდი. ბუდ-ხევსურეთში უფრო იცოდნენ ლუდი და ეძახოდნენ „ლუდით მამკალს“, ე. ი. მამკალი ჰყავს ლუდითო. ლუდს აქ სახელი ჰქონდა და უფრო ბევრი მუშები ეშველებოდნენ იმას, ვინც ლუდს აღუღებდა მომკელისათვის. თუ ოდნავი ნათესავი და მეგობარი ვინმე ჰყავდათ სხვადასხვა სოფლებშიც კი, ყველას შეუთვლიდნენ: ამა და ამ დღეს „ლუდით მამკალი“ გვყავს და მოგვეშვილეო. ყველა ასე იტყოდა: კაცს ლუდით მამკალი ჰყავს, დაგვიბარა და, რომ არ წავიდეთ, სირცხვილიაო. ამიტომ ლუდით მამკალში ოჯახს სხვადასხვა სოფლებიდან მოუდიოდა მეგობრები, ნათესავები და ბლომად ხალხი იყრიდა თავს.

მეს ლროს სიმღერის სახით მოკლე-მოქლე სიტყვების ძახილიც იცოდნენ (პოპულას მსგავსი). ერთი დაიმღერებდა ნე-

ლად და სხვები ბანივით აჰყვებოდნენ. ამავე სიტყვებს გუმრიულა
რებდა შეორე და ბანს ისევ სხვები ეტყოდნენ და გამოდიოდნენ კა
გუნდად. მაგ., ასეთი უბრალო და მოკლე-მოკლე სიტყვები იცოდ-
ნენ:

1

ჰეგა-ჰოგა,
ქელეული არ კოორგა.
ამ ყანას ხო
მომჟა გერძა,
საზიაროს, ჩემსა, შენსა.
თუ ეს ყანა
ვერ მოვმკევით.
დედა არგა—
—ვეიშობს მთელთა.

2

ამ დალეულს ყანასა,
რად უნდა ჩახედულობა?
გამია უნდა და გამოსმა,
ნამგალთა მალესულობა.

3

შე დალოცვილო ყანაო,
აქა რამ მაგიყვანაო?!
კარბა მჭნა, კაცმა მამთესა,
უფალმა მამიყვანაო.

4

მიღე თორე,
მიგაყენე,
გაგალვიტებ
მძინარესა.
აღმა ქართა
აგიყენე,
ჩაღმა შუალთა
მდინარეთა.

ასე ორნაირი კილოთი დასტანდნენ მკის დროს, მე-2 და
მე-3 სიმღერა რომ არის, ასეთს ამბობდნენ სიტყვიერად, ჰერ ერ-
თი გუნდი და მერე მეორე. პირველი და მეოთხე სიმღერა კი გა-
გრძელებულის ხმით, მღერის კილოზე იყო (ამ მღერას ხევსურეთ-
ში განსაკუთრებული სახელი არ ჰქონდა). სადილის მოტანამდინ
მამკლებს პური და ყველი ჰქონდათ საჭმელად, სადილი კი ისე-
თივე იცოდნენ, როგორც მთიბელმი, ქარმიგიც იმავე წესით იცო-
დნენ და სალამოზე თიკნის თავსაც საუკეთესო მუშას შესთავა-



ზებდნენ. იგი იმავე წესით მოიქცეოდა, როგორც მთიბელში მუნიციპალიტეტი იქცეოდა თიკნის თავით დაჯილდოვებული მუშა. თიკნის თავის მღერაც იცოდნენ მამკლებმა, მაგალითად:

მესვეურმა დაუძახა:
მეკუდურო ხარღაეო?
თიკნის კოსროს გადმაყიდებ,
გახერა შაგიძლავდეო?

„მესვეური“ იყო ის, ვინც ყანის ფართობს სჭრიდა და მამკლებს წინ მიუძლვებოდა. „მეკუდური“ კი ვინც სულ ბოლოს მისდევდა მამკლებს და სვის ბოლოზე ნარჩენ ყანას კუდივით მომიღდა.

მამკალში სმა მეტი იყო, ვიდრე მთიბელში, რადგან მთიბელები ბინიდან შორს, მალლა, მიდიოდნენ და ნაკლებად ისვენებდნენ. მამკლები კი ბინასთან ახლო ტრიალებდნენ, ხშირად ისვენებდნენ და სვამდნენ კიდეც. სმას და დათრობას შულლიც მოსდევდა. ზოგიერთი ახალგაზრდა თურმე განგებ იშულლებდა მამკალში, თუ მას მასპინძლის წერილმანი ჭავრი რამე სკირდა. ის ატეხდა შულლს, თან ყანა გაითელებოდა, თან მუშა გაცდებოდა. მრავალი ასეთი მაგალითებიდან ერთი ასეთი პატარა ამბავი გვინდა მოგიყვანოთ: სოფელ უჟანხალუში ცხოვრიბდნენ ატაბურათ და მეწვარა და ზაიელთ ხახონი (ზაიელი და ატაბურა ქვეგვარებია, ხახონი და დამწვარა — სახელები). ხახონს ოდესლაც დამწვარას-თვის რაღაც უწყენინებია და დამწვარას ეს გულში ჩარჩენია. ხახონს თურმე მუშები ჰყავს სამკალში იქვე სოფლის ახლოს. იქ ყოფილა სხვა სოფლებიდან მოსული ხალხიც. დამწვარას ერთ-ერთი სხვა სოფლელი კაცისთავის შულლი დაუწყია და გამშველებლებს ის შინ წამოუყვანით. ისინი, ე. ი. გამშველებლები, რომ ყანაშივე დაბრუნებულან, ხანჭლით ხელში დამწვარაც თან მოპყოლია და ატეხილა შულლი. დამწვარა რამდენჯერაც წამოუყვანით, ისევ მივართნილა ხანჭლით და ვიდრე ხახონი არ შეხვეწია: მუშები ნუ გამიცდინე, მას რამდენჯერაც გაუმეორებია ეს ამბავი და მთლად გაუცდენია მუშები.

ყანას რომ მორჩებოდნენ, ე. ი. მამულს მთლიანად მომკიდნენ, მამულის და მუშათ პატრონი ჭვარს დასწერდა ყანას; როგორც ცოტა მოსამკალი რამ დარჩებოდა, ყველა თავს დაანებებდა, უკანასკნელ მოსამკალს პატრონი გამომკიდა და ასე დასწერდა ჭვარს: „ჭვარი გეწერას, ყანაო, დარით მაყნულო, დარით მამკილო, გარხვით ულოშია, გაუტით კალოშია, ჩედ გოდრად, გაედ ძველად, სამ-



შვიდობოდ, საქორწილოდ. ქალების საქორწილოდ, ვაუების სალოცავებოდ, ქორწილოდ. ღმერთო, მაგვარი მშვიდობას, ჩემთ სალოცავებო, კარგად გვიმყოფ ე მუშეებიც, შავეირჩინი კელი-მჯარი“.

სამეალს რომ გაათავებდნენ და შინ წამოსვლის დრო მოვიდოდა, მაშინ მუშებიც იტყვიდნენ: „ღმერთო მაავმარი მშვიდობას პატრიოს, შაურჩინი კელი-მჯარი მუშეებსაც“. ასე მორჩებოდნენ შეას და წამოვიდოდნენ შინ. სახლში მასპინძელთან მოვიდოდნენ და როგორც მთიბელში, ისეთივე წესები იყო აქაც ვაბშმად: თიკ-ნის თავი, ბეჭის ყელის მოტეხა ცერით და სხვა.

არხოტის მამულებში იცის ბევრი „ხიფხოლა“; მიწაშია რა-ლაც მიწისვაშლის მსგავსი ტკბილი ძირები და ამას ეტანება საჭ-მელად მაჩვი. მაჩვები ამ ხიფხოლის მოსაპოვებლად თხრიან ყა-ნებშა ლამღამობით მიწას და ანაღვურებენ ყანებს. მცხოვრებ-ლები მათ ხაფანგებით იჭერენ. ამ მაჩვებზე მონაღირე კაცებს აქ ყოველთვის დასცინიან და ლექსებს უუბნებიან. ამ ლექსებს მუშაში რშირად იგონებდნენ და ლექსობდნენ საცინლად, უფრო ვახშმობის დროს, როცა დაღლილი მუშები სასმელს დალევდნენ და მხიარულ გუნებაზე დაღგებოდნენ, ლექსები იყო ასეთი ტი-პის, მაგალითად:

1

ბერდედიათ ხაფანგი აქვ, მოხხეს კარგად მართულ ასა, კვარაწმილით გატანავ, როთ დახქსნეს შაბურასა. ისრააჩოს ჩაუტანვ, მაჩვებს ბექჩი დაღგმულ აქვასა.

2

ბერდედიათ ხაფანგი აქვ კვირიწმიდით მაღებული, უუბნების გოგია, — აქ მაჩვია გაგრეშული, ბეჭედი ასხავ საკეირელი, აბრაშუნით გაფეებული. იასროაჩოს ჩამაღეს, მაჩვებს იქ აქვ დაგვბულ.

ვახშამიც და ყველაფერი წესებიც ჩატარდებოდა ჩვეულებ-რიგად. მუშები მეორე დღეს წავიდოდნენ. ამით მთავრდებოდა მამკალთათვის პატივის ცემა.

მჩიჩილ-ტოლის მთელავნი და გათთან
სტუმარმასპინძლობა

„მჩეჩელნი“ მატყლის ჩეჩვის მუშანი არიან და „ტოლის მთელავნი“ — ვინც ტოლს თელავს. მოქსოვილი შალის მოთელვა

იციან პატარა ლასტიკ და დიასახლისს აქ დაეხმარებიან ქალები ამას ეწოდება „ტოლის მთელიერი“. ეს საქმიანობაც და სტუმარ-მასპინძლობაც უფრო ქალებს ეხება. დიასახლისი ან ოჯახის ახალგაზრდა ქალი მოიპატიუებდა სხვა ახალგაზრდა ქალებს „მჩეჩელში“. მჩეჩელები მოვიდოდნენ დაღამების დროს და ყველა მოიშანდა თავის „საორცხალო“ (საორცხალნი ხევსურულად ჰქვია საჩეჩელს, რაზედაც იჩეჩება მატყლი). ქალები თითოობით მოდიოდნენ. შინაური ქალები აანთებდნენ ჩირახს და ბოსლის კარებთან მიეკიდოდნენ. ქალები შევიდოდნენ ბოსლის კარებიდან. ვაჟები კი ბოსლიდან არ შედიოდნენ, ისინი ჰერხოსას შევიდოდნენ და ბოსელში სამყოფოს კიბით ჩამოვიდოდნენ. ქალები კიბეზე ასვლა-ჩასვლას ერიდებოდნენ. ვაჟები ბოსლისკარისას გასვლას იმიტოშ ერიდებოდნენ, რომ ამ კარებიდან პირუტყვა და ქალები დადიოდნენ, რაც მათის წარმოდგენით აუწმინდურებდა კაცების სასიარულო გზას და იმ გზით სიარულს კაცებისას ხევსურეთულნი ხთიშვილნი წყინობდნენ. მჩეჩელი ქალი თუ თავის სოფლიდან იყო, დამხვდურები ეტყოდნენ: „მაგვიხვე მშვიდობით“, თუ სხვა სოფლიდან მოსული იქნებოდა, უფრო დიდის ამბით მიეგებებოდნენ. შინაური ქალებივე შეუძლვებოდნენ წინ და ჩირახის შექით შეუსინათლებდნენ შესავალ გზას. სახლში შესულ მჩეჩელს სხვა ოჯახის წევრებიც მიგებებოდნენ და მშვიდობა-ამბავს ჰყითხავდნენ. ქალები: მოსულებიც და შინაურებიც — ყველანი სადიაცოს მხარეს დასხდებოდნენ უსკამოლ. სადიაცოს, უფრო ცეცხლით მარჯვეს, ყოველთვის იჯდა დიასახლისი ქალი და იმ მოსულ სტუმარს დიასახლისთან ახლო დასვამდნენ. ვისთვისაც უფრო უნდოდათ პატივისცემით მიღება და დახვედრა. ჩვეულებრივ, რომელიც უფრო უფროსი და პატივისაცემი ქალი იყო, ის დაჭებოდა დიასახლისის გვერდზე და სხვები იმაზე მოყოლებით. მჩეჩელებთან ერთად მოიყვანდნენ ერთს ან ორ ახალგაზრდა ვაჟს „ცეცხლო მგზეს“. ეს ვაჟები „აგზებდნენ“ — ანთებდნენ ცეცხლს, ფანდური ჰქონდათ და ლექსობლენენ, ხუმრობდნენ და მუშაობის დროს ართობდნენ ქალებს, რომ ძილი არ მოჰყიდებოდათ. ცეცხლო მგზები იქნებოდნენ უფრო კარგი ახალგაზრდები, რომლებიც ქალებს მოსწონდათ და შეეძლოთ მათი გართობა. ქალები თვითონ აირჩევდნენ ცეცხლომგზებს და თავის არჩეულს მოაყვანინებდნენ მასპინძელს. ყველანი რომ მოგროვდებოდნენ, ვიდრე ჩეჩას შეუდგებოდნენ, მასპინძელი ვახშამს მოიტანდა. ვახშამად იცოდნენ შემჭვარტლული ხორცის მოხარუშა და, თუ ჰქონდათ, ახალ



ხორცისაც მოხარშავდნენ. ტაბლის დაფგმა-ალებაში და პურაზორის აუსაუჩერებელია: მის დაწყებისა და გათავებისას მჩეჩლები ასე დაილოცებოდნენ: „ღმერთო, უშველი მჩეჩლელთ პატრონს, მაჯმარი მშვიდობას მჩეჩლელთ ნამუშეელიცა-დ თავშაიც. გაუმარჯვი ცეცხლმგზებ-საც“. ასეთივე სიტყვებით დაილოცებოდნენ ცეცხლმგზებიც და ბოლოს იტყოდნენ: „კარგად უმყოფი მჩეჩლებიც, შაურჩინი კილ-მჯარი“. ასე ყველანი ერთდროულად ჭამდნენ პურს.

პურის ჭამის შემდეგ ოჯახის წევრი უფროსი მამაკაცები წა-ვიდოდნენ და დაწვებოდნენ ქერხოში დასაძინებლად. აქ დარჩე-ბოდნენ მარტო მჩეჩლები და ცეცხლმგზები. ცეცხლმგზე ხანდახან გაუნაწილებდა მატყლს ერთნაირად. ჩეჩავდნენ ერთმე-ორის შეგიბრით, ვინ ადრე გაათავებდა თავის კუთვნილ მატყლს. როცა პირველი მორჩებოდა, ისვენებდა, ვიდრე ყველანი არ მორ-ჩებოდნენ. ყველანი რომ დაისვენებდნენ, ცეცხლმგზე ხელმეო-რედ გაუნაწილებდა მატყლს და კიდევ გაეჭიბრებოდნენ ერთი-მეორეს. ზოგიერთი ქალი, რომელიც უფრო ხნიერი იყო, თავი-დანვე აიღებდა განსაზღვრულ მატყლს, რამდენიც ერთ ლამეს ერთ მჩეჩლს უნდა გაეჩეჩა. ამას ქალები ვარაუდით იღებდნენ და ეძახდნენ „ფოლს“. ერთ ფოლს ჩეჩდა ერთი ქალი. ამ ფოლს იღებდა, როგორც ვთქვით, ზოგიერთი ქალი და თავისთვის ნარ-დად ჩეჩავდა. თუ ადრე გათავებდა, ადრე დაიძინებდა, თუ არა. გათენებამდინ ჩეჩდა. ერთ ლამეს საშუალო მჩეჩლს ერთი ფოლი რომ ვერ გაეჩეჩა, სირცხვილი იყო, მეტის გაჩეჩასაც იშვიათდ ვინმე გაბედავდა და შეძლებდა.

ცეცხლმგზე ზოგიერთებს უწეშდა მატყლსა და უადეილებ-ლა გაჩეჩას. მჩეჩლები თვითონაც ხუმრობდნენ, იცინოდნენ, ამ-ბობდნენ გამოცანებს და ამითი იფრთხობდნენ ძილს. იტყოდნენ ასეთ გამოცანებს: „შვიდი ფიცარი, შვიდი მტკიცარი, ვერც ჟეფე გასტეხეს, ვერც იმის ჭარი“. ამას თუ ვერავინ ამოიცნობდა; შეე-კითხებოდნენ: „სასამელია, საჭმელია, ჩასაცელ-დასახურავია, თუ სხო რაი?“ გამოცანის მოქმედი ხუმრობით ხან რას ეტყოდა, ხან რას და თუ მაინც ვერ გარებდნენ, თვითონ ეტყოდა—დიდი შარ-ხევა არისო. „ავხადე ფირფიტელასა, ჩავხენე გულყვითელასა“— ეს კიდევ კასრში ერბო არისო, იტყოდნენ, ფირფიტელა სარქველი არისო, ე. ი. კასრის-პირზე დაფარებული სიპი ქვა.

გამოცანების გარდა მოჰყვებოდნენ თქმულებებს დევებზე და ეშმაკებზე. დევებზე და ეშმაკებზე საუბრის შემდეგ ქალები ისე შეშინდებოდნენ, რომ თუ ბევრნი არა, თითო-ოროლა გარეთ ვე-



ლარ გავიდოდნენ. საუბრობდნენ დევეპზე, ეშმაკებზე, „მეჭალაფრთხოებულის შესახებ, კულიანებზე და სხვა. ყველანი იტყოდნენ, რაც ვიზუალურობით გონილი ჰქონდა. მაგალითად: „ერთხან აღიათ მგელა მამავალ ამღითა, თათხელის ბოლოს (ეშმაკიანი ადგილია არხოტში. აღიათ მგელა წმიდანი კაციეთ იყო) მეჭალაფრთხოებზე შავარდნილ (მეჭალა-უნი: ეშმაკების ოჯახი, რომლებიც ვითომ ღამე ცეცხლს დაანიებდნენ და გარშემო შემოუსხდებოდნენ). მგელა ხო ხთიშვილიან კაც ყოფილა, ეშმაკებს შინებივ იშისგან. მეჭალაფრთხოებ უნახავ მგელა ცხენით მამავალი, უთქო:

„მგელა მავა მიღითაო, ცხენი მახყავ წკეპითაო,
მაშორეთ აკავანი, გამალლაპავს ტერფითაო“.

აკავანი დგმულან გზაშიაო-დ, მეჭალაფრთხოებ დაშინებულან, მგელამავ ცხენის ტერფით არ გაგვილავასაოდ, მაუშორებავ აკავანი. მგელას, რო გამავალავ, თაოდაც აშლილან მეჭალაფრთხი. მგელას უთქომ: დასხეით, ნუ აიშლებით, თავისამც წესით დაილოცებით. ამას რო ეტყვის, ეშმაკებ იქავ დასხდებიანა, დაღლიცენ. თუ ეს არ უთხარი კი, დასწყევლიანა, ცუდად წაუვ საჭმე“.

ერთი ამას იტყოდა, მეორე დევების ამბავს მოაყოლებდა. დევი ვისმე შეხეედრია, უშიდავნია და მეორე დღეს იმ კაცის მხრებს დევის ნათითარები ეტყობოდაო. ასეთებს მოაყოლებდნენ და თან ერთმანეთს აშინებდნენ: ახლა რომ გარეთ გახვალ, ეშმაკები შემოგეხვევიანო.

ცეცხლომგზები ხანდახან ნადირობის ამბებს უამბობდხენ— როდის, როგორ ინადირეს ჯიხვებზე; როგორი სიზმარი ნახეს და მეორე დღეს როგორ გაუცხადდათ ეს სიზმარი; როგორ მოკლეს და მოიტანეს ჯიხე. თუ ცეცხლომგზეს სხვა თავგადასავალი რამე ჰქონდა წარსულში, ან ქისტი შემოაკვდა, ამ ამბავსაც მოუყვებოდნენ. თუ ხევსური ჰყავდა მოკლული, ამის ირგვლივ კი არათერს იტყოდნენ. ცეცხლომგზე ფანდურზე ლექსობდა სხვა-დასხვა ლექსებს, ხან კი ქალებს ულექსებდა სატრფიალოს.

1

ქალებს ჭრელებ კაბები სცოვ, ბუბლაოთ ნაყიდები.
ყელზე ვერცხლის შიბებ უსხავ, ბოლო-ბოლო საკრძები.
რახან გზაში შემეყარნან, გამუყრალივთ გაესცილდები.
რა გავსცილდა, გარმავხნებ, ობოლივით აეტრდები.

2

კეესურეთ რა ამბავია, კეესურეთ რასალ ხევიანა?
ფლას-ფართაგს, ხალჩიებსა, ქვაბებს ტყისაკე თრიანა,

ლექსობა ერთის და ორი ლექსისა კი არ იცოდნენ, ცეცხლთ-
შვერის თუ ბევრი ლექსები არ ეცოდინებოდა, სირცევილიც იყო.
კარგი ცეცხლობმგზე ის იყო, ვინც ბევრს ლექსობდა, არც ლექ-
სები შემოელეოდა და ხუმრობაც ბევრი შეეძლო ქალების გა-
სართობად.

შუალმის შემდეგ დისახლისი მჩეჩელებს კარგ რამეს აქმევ-
და. ან კეცეულს, ან ხინკალს. ამ დროს ჭამას ეწოდებოდა განსა-
კუთრებული სახელი „საპირბეწვე“. ეს სახელი არავინ იცის რა-
ზეა წარმოშობილი, უფრო იმას ფიქრობენ, რომ ჩეჩვის დროს
მატყლის ბეწვები ედება ყველას ტანისამოსზე და ჭამის დრო-
საც აღბათ ბეწვები შეუყვებოდათ პირში. საპირბეწვეს რომ ჭამ-
დნენ, მერე კარგად დაისვენებოდნენ ყველანი და შეუდებოდნენ
ისევ ჩეჩის. ასეთი ამბით ჩეჩდნენ გათენების დრომდინ და თე-
ნება რომ მოახლოვდებოდა, მოემზადებოდნენ დასაძინებლად.
მჩეჩელთ პატრონს ეცოდინებოდა, თუ არ იცოდა, ჰკითხავდა
ცეცხლობმგზეს, რომელ ქალთან სწადიან დაწოლა. ის თუ დაუსა-
ხელებდა, მერე ქალსაც ჰკითხავდა, სურს თუ არა ამ ცეცხლმგზეს-
თან დაწოლა. ორივე მხარის თანხმობით მჩეჩელ ერთ-ერთ ქალს
ცეცხლმგზესთან დააწვენდა, ან ორი ქალიც შეიძლებოდა ერთ
კაცთან დაწოლილიყო. დილას ყველანი ადგებოდნენ და წავიდ-
წამოვიდოდნენ თავ-თავიანთ სახლებში.

ტოლის მთელავნიც ასეთივე წესით იქნებოდნენ. მოსულებს
მასპინძელი ჩვეულებრივი წესით შეხვდებოდა. მერე მოიტანდნენ
ტოლის სათელავად გაკეთებულ ლასტს, დადებლნენ, ამოათრევ-
დნენ ტოლს წყალში და სველს იქით-აქეთ მკლავებით მიაგორ-
მოაგორებდა ორი აქეთ-იქით დამჯდარი ქალი (ტოლი მატყლისა-
გან მოქსვილი შალის ქსოვილი). ქალები ტოლის მთელავად იყვ-
ნენ, მაგრამ ხანდახან ვაუებიც გამოერეოდნენ გართობის და ხუმ-
რობის გულისათვის. ტოლის თელვა დიდხანს არ გრძელდებოდა.
თელვის დროს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, ვინ დიდხანს შეს-
ძლებდა დაუღალავად თელვას. რომ მორჩებოდნენ, მთელავთ პა-
ტრონი ვაბშამს აქმევდა ჩვეულებრივი წესით. ვაბშამთან ან ხორ-
ცი იქნებოდა მოხარშული, ან ხინკალი და ან კეცეულები. ვაბშამს
რომ ჭამდნენ, ქალ-ვაუები მართავდნენ მხიარულებას, ლექსობას,
თამაშობას და სხვა. ლექსებს, როგორც მჩეჩელში, აქც ისე ლექ-
სობდნენ. ხანდახან ქალები ილექსებოდნენ სატრაფიალოს:

ჩვენსაღ ჩამაირიდი, ბერათ ოქაც მასხარაო!
წუღან მარაჟუნნიდი, ლოგოზ მიღდა კართანაო,
დედა არ გაგვიგავრდების, საღირაის გაწდამაო.

შუბრისად მალოდინი მაქვ, ძმობილს ორ შაპირებული,
აღარცად მიშობს დედა, ქვეც მყავის გამოხილებული,
კაც ენი შაშინებულსა ჭიკა-ი აქვ დაძვირებული,
არცათ შასავალია, ხეჭმე ას გაჭირებული,
ის კი ნუ გვინავ, მმობილო, ნდომა აქვ დაცილებული.

ვაკები კაჯევ ულექსებდნენ ქალებს:

აიჩან და ბაბალეო, რამთვენ ბეჭდებ დაიჭარა,
შენი დრო ხომ კაცს აღარ აქვ, დობილი გყავ მარიჭანა,
გუშინ-სა, წინგარდაშე, შუა ბანზე ეტდგა ჯრა,
ერთ რო სიმღერეს იტყოდით, სხო იმას რო „პაი-ჯანა“!
ჩემკე თვალს არ დაიცემენ, მაშ რა ვქნა, რო არ ვიჭავრა.

ასეთი ლექსებით ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთეს
სატრფიალო ლექსის ილექსებდა და თან იცინოდნენ.

ტოლის მთელავშიც ისეთივე წესით მთავრდებოდა გართობა,
როგორც მჩეჩელში: ქალ-ვაჟებს ვისაც სურდა, იქ დარჩებოდნენ,
ვისაც არა, შინ წავიდოდა, ზოგიერთებს კი ტოლის მთელავთ პა-
ტრონი არ გაუშვებდა, თუ იცოდა, რომ ერთიმეორის სწოროფრები
იყვნენ და ერთად ყოფნა სურდათ. ასეთებს უელჩებდა, ზოგს კი
ერთიმეორეს ახლადაც გააცნობდა, თუნდა ერთმანეთის სწორ-
ფრები არ ყოფილიყვნენ.

ხევსურეთში არც ერთი ამბავი ისე არ დამთავრდებოდა, თუ
ბოლოს სწოროფრობა არ გაიმართებოდა, გარდა იმ დროისა, რო-
ცა მიცვალებული იყო და მის სატირლად მიღიოდნენ. ისეთ
წვერილმან საქმიანობაში კი ახალგაზრდა ქალ-ვაჟები უფრო სწორ-
ფრობის ხალისით და მიზნით იყრიდნენ თავს, როგორიც არის მა-
გალითად: მთიბელ-მამკალი, მჩეჩელ-ტოლის მთელავნი და სწავა.

მჩეჩელ-ტოლის მთელავთ გარდა, ქალებმა კიდევ იცოდნენ
„მსთავნი“. მსთავნი ართავდნენ დაჩეჩილ, დამზადებულ მატყლს.
მსთავში უფრო მოდოდნენ ხნიერი ქალები, რაღან ახალგაზრდებს
ეს ეზარებოდათ. ვახშამი ისე იციოდნენ, როგორც მჩეჩელში, მხო-
ლოდ ცეცხლმგზე არ იცოდნენ და არც ახალგაზრდები იქ არ იყვნენ.

უცხო სტუმრად ითვლებოდა ის, ვინც ამ სოფელში პირველად მოვიდოდა. მას დაულამდებოდა მგზავრად მიმავალს და ლამის გასათვევად მოვიდოდა სოფელში, ამ სოფელში არც ნათესავი ჰყავდა და არც ნაცნობი. ასეთი სტუმარი უფრო იქ მივიღოდოდა, სადაც „ფეხონი“ ისხდა. ფეხონი რომ მომავალ უცხო კაცს დაინახვდა, ცველანი ფეხზე აღვებოდნენ. მიეგებებოდნენ და ეტყოდნენ: გამარჯვება, ვაჟო (გამარჯვება ვაჟოს იმ შემთხვევაში ეტყოდნენ, თუ სტუმარს ვერ იცნობდნენ და სახელი არ იცოდნენ. თუ იცნობდნენ და სახელიც იცოდნენ, მაშინ გამარჯვებასთან ერთად სტუმრის სახელს დაურთავდნენ). „გაგიმარჯოსთ ღმერთში“— ეტყოდა ის. ხალხი შეამჩნევდა, რომ კაცი უცხოდ იყო მოსული და მასპინძელი არ ჰყავდა. ზოგი მათგანი ძალიან სტუმართმოყვარე იყო და მაშინვე ცხენს ჩამოართმევდა მოსულს. ბავშვებს ეტყოდა: „ეს ცხენი ჩვენს მიიყვანეთ, უთხარით, რომ მე ვგზავნი, შემრ თქვენ იღარა გინდათ“. ბავშვები ცხენს ოჯახში მიუყვანდნენ, ოჯახის წევრები ბარგს და უნგირს მოხსნილდნენ და ლაბამღნენ, სადაც უფრო კაი ბალახი იქნებოდა. ამ დროს სტუმარი ფეხონში იჯდა და იქ საუბრობდა. გამარჯვების შემდეგ ამბავს ჰყითხავდნენ, გამოკითხავდნენ — სადაური და ვინ იყო, ან რამ მოიყვანა აქ. ის ყველაფერს ეტყოდა: სადაური იყო, ვისი გვარისა და სახელი რა ერქვა (თავის გვარს ხევსური გზაში შეხვედრილ კაცს არ ეტყოდა, მაგრამ ამისთანა შემთხვევაში ეუბნებოდა). ამ უცხო კაცს ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ და ცდილობდნენ ესიძმოვნებინათ რამე მოსულისათვის, გაუბამდნენ საუბარს ახალ ამბებზე. ის თვითონაც ეყითხებოდა აქაურს ამბებს; ფეხონი რომ საუბრით ლაილებოდა და სახლში წასულა-წამისცლის დრო მოედოდა, მაშინ სტუმარს ყველა დაუწყებდა თავ-თავისათვის პატივს, არა ჩემთან წამოდი, არა ჩემთან. მაგრამ პირველად ვინც სტუმრის ცხენი თავის სახლში გაგზავნა, ის წაიყანდა აუცილებლივ. შეიძლება ზოგიერთებთან შელაპარაკებაც მოსვლოდა: რალა შენ უნდა წაიყვანო სტუმარი და ჩვენ არაო, მაგრამ სტუმარიც იქ წასცლას ირჩევდა, სადაც თავის ცხენი ჰყავდა. მასპინძელი სტუმარს გაუძლევებოდა. შინ მისულს გამოეგებებოდნენ და მშვიდობა-ამბავს ჰყითხავდნენ. ეტყოდნენ, მისი ცხენი სად იყო და როგორ ბალახში, ბოლოს შეიძატიერებდნენ სახლში. სახლში დიასახლისი უცხო სტუმრისათვის კარგ ვახშამს დამზადებდა, ან ხინკალს, ან



კაცულებს, ან ფაფას და ან ხორცის ყაურმას მოხარშავდა. ჭრილობული კელად რომ დაგდებოდა სტუმარი, ამ ოჯახის წევრი ქალი არმწვეროვა თი ფეხსაცმელს გახდიდა, თათებს ჩააცმევდა და ტყავსაც მოასურ-ჩავდა. ბოლოს ვახშამს მიართმევდნენ ჩვეულებრივი ტაბლის მოტანის წესით, რომელიც ჩვენ უკვე ვიცით. დააძინებდნენ ჩვე-ულებრივი წესით. თუ ახალგაზრდა იყო, მაშინ მასპინძელი ქალ-ვაჟები შეიძლება ქალებთანაც უელჩებდნენ მას, მხოლოდ ხევ-სური კი უნდა ყოფილიყო, სხვა მოსულ კაცს ხევსური ქალები სულ სხვანაირი თვალით უყურებდნენ და თითქმის საუბარიც არ უნდოდათ მასთან.

მეორე დილასაც სტუმარს უსადილოდ არ გაუშეებდნენ, საგ-ზალი თუ არ ჰქონდა, ჩაუდებდნენ ხურჯინში, ცხენს შეუკაზევ-დნენ და გაისტუმრებდნენ. ამის შემდეგ ის კაცი ამ ოჯახის კარ-გი მეგობარი ხდებოდა და ყოველთვის ცდილობდა მათი პატივის-ცემის გადახდას.

უცხო სტუმარი თუ ბარელი კაცი იყო, იმასაც შეხედებოდნენ ჩვეულებრივი საღმით, გამოკითხავდნენ საღაურობას, ვინაობას, ან რატომ მოსულა აქ. მოსულ ბარელს დიდხანს უვლიდნენ შო-რიახლოს და ზომავდნენ თვალით. ის თუ ადგილობრივ რამეს შე-ეკითხებოდა, ადვილად არ ეტყოდნენ სინამდვილეს, მოკლედ რა-მეს უპასუხებდნენ და შეეცდებოდნენ მალე თავიდან მოეცილე-ბინათ ის და მისი კითხვები. ოჯახში დაპატიჟება ყველას სურდა, მაგრამ თავისი ოჯახური მოუწყობლობის გამო რცხვენოდათ და ვერ პატივობდნენ. თუ მოსული ქალი იყო, მისი სახლში შემო-ყვანა უმრავლესობას ეზარებოდა, რადგან ბარელმა ქალებშა სამ-რელოში გასელა არ იცოდნენ. სხვათრივ ძალაბან გულით უნდო-დათ სტუმრებისათვის კარგი დახვედრა და ცდილობდნენ თავი-სებური პატივი მაინც ცვათ, თუ „ბარულად“ არ შეეძლოო პა-ტივის ცემა. მოსული ბარელის მასპინძელს ჩუმად ყოველთვის ეკითხებოდნენ მეზობლები: რას ამბობს მისი სტუმარი, ახალი ამბებისა რა იცის, როგორ მოსწონს აქაური ხალხი და აქაური პურ-მარილი, რომ მოვიდა, ფიქრობს რამეს ჩვენს სასარგებლოს თუ ხალხის სამარცვოდ მოვიდა. ასე დიდხანს უვლიდნენ შორი-ახლო და თუ მიხვდებოდნენ, რომ მოსულ კაცს მათთვის ცუდი არათერი უნდოდა, ან საკუთარი საქმე ჰქონდა და სახალხოდაც კარგს რამეს ფიქრობდა, მაშინ კი მიუახლოვდებოდნენ მას და ხშირად ებატივებოდნენ ლხინსა და სასმლიანობაში. ბოლოს იქამ-დინ დაუახლოვდებოდნენ, რომ თავისებურად არაც და ლუდსაც



კი აძალებდნენ. ხანდახან კისერსაც დაუჭერდნენ და ისე პიროვნეული ასხამდნენ: ჩვენ ასეთი წესი გვაქვს და სტუმარს ასე უნდა ჰქონოვთ. ხშირად იკოდნენ მასთან თავის მოყრა და მის საუბარს სიამოვნებით უსმენდნენ, თუ ის რიგიანს რამეს ელაპარაკებოდა და მათი საწინააღმდეგო არ იყო. ასეთი სტუმრის მოსკლა-წასვლას თუ მათთვის არასასიამოვნო რამე მოჰყვებოდა, მაშინ იმის მასპინძელს და გამყოლ ხევსურს უსაყვედურებდნენ: „შენ მოიყვანე, შენ დაჲყვებოდი და რატომ არ გაიგე, თუ ის ასეთი იყოო. მოსულ კაცს თუ შეამჩნევდნენ, რომ ის პატიოსანი ადამიანია, ყოველ ლონეს ხმარობდნენ მისთვის დახმარება გაეწიათ და სასიამოვნო გასართობი რამე მოეწყოთ: ხანდახან ახალუხალსაც კი იწვევდნენ და სტუმრის სასიამოვნებლად მართავდნენ ლექსობას და თამაშობას. მხოლოდ თუ გაყვებოდა ვინმე მათ სხვა სოფელში, ან ცხენს ათხოვებდა, აუცილებლივ ფულს მოითხოვდნენ. ხშირი იყო შემთხვევა, რომ სტუმრებს მისცემდნენ ხორცს, ერბოს, რძეს და ეტყოდნენ: „ჩვენ თქვენებურად გაკეთება ვერ ვიცით, თქვენ თაოდ გაკეთეთ, რაყელაც გინდათ. ჩვენ ვერც სუფთები ორთ თქვენსავითა, ვერცარა ვიცით“. სასმელ-საჭმელში ფულის აღება არ იკოდნენ.

ბარელ კაცებს ხევსურულ წესებს არ სთხოვდნენ, ისინი ცხენებით სოფლებშიც თავისუფლად დადიოდნენ. ხევსურ კაცს კი, სხვა სოფლიდან მოსულს, თავის სოფელში ცხენზე მჯდომს არ გაუშვებდნენ. თუ ის სოფელში ცხენით მოინდომებდა გავლას და არ ჩამოვადოდა, აქაური ახალგაზრდობა მაშინვე შულლად გაუხდიდა, სცემდნენ და ხანდახან ჭრილები კიდეც. თუ ის ცხენიდან ჩამოვიდოდა, აღვირს ხელში დაიჭრდა და ისე გაივლიდა, ყველანი გამარჯვებას ეტყოდნენ და ამბავსაც ჰკითხავდნენ, თუ ის უცხო იყო და აქ ვისმესთან მოსული, მის სახლს იყითხავდა, მაშინ სახლსაც დამშვიდებულად ასწავლიდნენ და გაჲყვებოდნენ კიდეც. თუ ცხენით ვინმე შემოვიდოდა სოფელში და სოფლელები იმას იცნობდნენ, ისიც თუ იცოდნენ, ვისთან მიდიოდა სტუმრად, შეიძლება მასპინძლის ხატრის გულისთვის გაეშვათ უცემლად. ცხენზე მჯდომს გამარჯვებას არავინ არ ეტყოდა და არც ხმას გასცემდა. თუ ის რამეს იყითხავდა, აქაური ახალგაზრდები ეტყოდნენ: „ჯერ ჩამაითარი ამა ცხენზეითა, მემრ თქვი, რაიც სათქმელი გაქვ. შენ რა ჩვენი ბატონი ხარ, რო ცხენზეით ჩამავდომა არ გეკაღრებოდას?“ ის თუ არ ჩამოხტებოდა, ან თუ არ იტყოდა

ავად ვარო, ან მაშინდარი ვარო, მაშინვე მოვიდოდნენ, ჩამოათ-
 რევდნენ ცხენიდან და სცემდნენ.

ასეთი მაგალითები მრავალი იყო ხევსურეთში: ერთი ხევ-
 სურთ სოფელი ყაზბეგის რაიონში შედის; ამ სოფელს ეწოდე-
 ბა ჯუთა. მოხევეებთან მიმავალი ბუდე-ხევსურები და არხოტკვეხე-
 ბიც ჯუთის ბოლოზე გაივლიდნენ და სოფლის ბოლოში პატა-
 რა მდინარეზე გადებულ ხილზე გავიდოდნენ. ამ გზაზე დაღინდა
 მთელი პირიქით-პირაქეთი ხევსურეთი და ვლადიკავკაზის მხრი-
 დან მოპქონდათ მარილი, სიმინდი და სხვა (ვლადიკავკაზის შოხე-
 ვიები და ხევსურები უწოდებდნენ ძალებს). ძალებიან სხვადასხვა
 საოჯახო საგნებიც მიპქონდათ და ყოველდღე ბევრი მგზავრი და-
 დინდა ამ გზაზე. ჯუთაში ცხოვრობდა საკმარისად ამაყი ხალხი
 და როგორც თავის სოფელში, ისე სოფლის ბოლოში ხილზე არ
 უშევებდნენ ცხენიან კაცს. ხშირად გაიგონებდით — ჯუთელნი ჩა-
 მოგვივიდნენ და ვიშულლეთო და სხვა.

სოფელ ახიელში მცხოვრებლები მიღიოდნენ თურმე ძალგში
 და სოფლის ბოლო ცხენდაცხენ გაიარეს; ხილთან რომ მივიღ-
 ნენ, ზოგებმა თქვეს, რომ ახლა ჩამოვიდეთ ცხენებიდან და ხილ-
 ზე ისე გავიდეთ, თორემ ჯუთელნი ჩამოგვივლენ და ამ საქმის
 დროში შულლის დრო სადა გვაქვსო, კაცი რომ დაიჭრას, სულ
 მთელი ზაფხული გაუცდებათ. მაგრამ ბადია ბალიაურს უთქვია:
 ცხენი ჩემია და გზა სახელმწიფოსი, ჯუთელთ ვინ ჰყითხავს,
 ცხენით გავიკლი თუ ფეხით, და თავის ცხენით ხილზე გასულა.
 ზოგები მას გაჰყენენ და ზოგებმა კი ცხენები ხელით გაატარეს.
 ამ დროს სოფლიდან მოისმა ლანძღვა-გინება და სოფლის ახალ-
 გაზრდობა შეიარაღებული ჩამოვიდა. მგზავრებმაც ცხენები ხე-
 ლიდან გაუშვეს და დაერივნენ ერთმანეთს ხანგლებით და მაღა-
 ლი სათითებით. ისეთი დიდი შულლი შეიქმნა, რომ მთელი ხალ-
 ხი დასისხლიანდა ორივე მხრიდან. ზოგი მათგანი დაიჭრა ხანგლით
 და ზოგი საითითებით დაკაწრეს. ბადიას მა თაოთა ბალიაური
 სახელოვანი და მამაცი ვაჟკაცი იყო და სამი თუ თხი კაცი და-
 ჭრა ხანგლით. გაიბა ხათაბალა; მათი ექიმი, დრამა და სხვა ხარ-
 ჯები. გადახდა ისევ დამჭრელს მოუხდა და არა შულლის ამტეხს.

მეორე მაგალითი: სოფ. ახიელის ბოლოში ერთი სახლის ბან-
 ზე ახალგაზრდობა იყო თავმოყრილი და ხუმრობა-სიცილით ერ-
 თობოდნენ. ამ დროს სოფელში შემოვიდა ვიღაც უცხო ხევსური.
 ის ცხენიდან არ ჩამომხტარა და ახალგაზრდებს თამამად ჰყითხა:
 ძუნძულთ სახლი სად არისო. ახალგაზრდებს ამ ბუდე-ხევსურეთი-



დან გადმოსული ხევსურის ასეთი თავხედობა ეწყინათ და სამუშავებელი ერთმა მათგანმა, სახელად ივანესურმა, პკითხა: „შენ ვინ ხას რო ცხენზეით ჩამაჟუდომლად სოფელში შამაზღიხარა, ასრ გვესაუბრები?“ „მე ხორნაულ ნადირი ორ, თავის ცხენზე ვზიორ, თქვენ რა გაწუხებსთ“. ამაყად უპასუხა მგზავრმა. „აბა თუ შენ ნადირი ხარ, არხოტ ნადირების გულისად მთა-წვერთ დავდითო“ — უპასუხეს ახალგაზრდებმა, გადმოხტნენ და კარგა მაგრა სცემეს. ვისთანაც ის მიღიოდა, იმათ გაიგეს ეს შულლი, თავის სტუმარს წაექომაგნენ, მაგრამ თავის სოფლელმა ახალგაზრდებმა შულლით აღარ უპასუხეს. მხოლოდ უთხრეს: „სოფელში ცხენით ნუც შენ სტუმარ გაივლის, ნუც ჩვენი, თორემ ეეგრ არ გაუშობთ. ჩვენ ვიცით, რო სტუმარ შენიც სტუმარი ასა, ჩვენიც, მაგრამ სტუმარმაც უნდა იცოდას სტუმრის წესრიგი. სოფელში ცხენით არ უნდა დავიდოდას, სოფელ სოფლად უნდა ჩააგდასა, ხალხ ხალხად უნდა ჩაყარას. სოფელში დიაციც გაივლის, ყმაწვილაც. ან შაას-ქდების ვის ცხენი, გაღლაჟავს. თუნდა ეს არ იყოს, ბარში ბატონები და დაღაან სოფელ-სოფელ. ეგ ხო ბატონ არ არს“. მასპინძელი თვითონაც ნაწყენი იყო სტუმრის მოქმედებით, მაგრამ შაინც სტუმარს იცავდა საერთო წესის მიხედვით.

არხოტში დღეობა თუ იყო და ჭვართ მოპირდაპირე გზაზე სტუმარი გაივლიდა, ის თუ ცხენიდან ჩამოვიდოდა და ჭვართ მაღლს მოსთხოვდა, მაშინ სოფლის ჭვარიდან დაუძახებდნენ ჭვარიონნი, გამვლელ სტუმარს მოაბრუნებდნენ და ჭვარში პატივს სცემდნენ, რითაც კი შეეძლოთ. თუ სტუმარი ცხენიდან არ ჩამოედოდა და ისე გაივლიდა, მაშინ ყურს არ უგდებდნენ. რადგან სოფელს დაშორებით იყო. შულლად არ გაუხდიდნეს შას. ჭვართად მაღლი კი უცხენოდ მიმავალსაც უნდა მოეთხოვა, თორემ თუ ისე გაივლიდა, რომ ქუდს არ მოიხდიდა, ჭვართაყე შუბლს არ მოიყრიდა და პირჭვარს არ დაიწერდა, ასეთს პატივსაცემად არ მოაბრუნებდნენ (ქუდმოხდით და მუხლმოყრით პირჭვარის დაწერას ეწოდებოდა მაღლის მოთხოვა). ჭვარში მოსულ სტუმარს ძალიან დიდი პატივს სცემდნენ. ხევსურული პატივისცემა იყო, რაც შეიძლებოდა მეტი სასმლის დალევინება და დათრობა. თუ ვერ დაათრობდნენ, პატივისცემად არ ითვლებოდა და ამატომ ყოველ ოონეს ხმარობდნენ, რომ სტუმრისათვის მეტი სასტელი დაელევინებინათ. მე მახსოვს, ერთხელ არხოტის ჭვარში სოფელს ჭვევრი ჰქონდა რაყით სავსე და სოფლის ჭარი ისხდა (სოფლის ჭარი ერთ დღეს თავისუფლად სცადა, როცა ქვევრს ავსებდნენ,



მერე კი ჯვარის სასარგებლოდ იყიდებოდა არაუგი პურზე და ფურზე სასამართლოში (ზე). დაინახეს, რომ ერთი ხევსური მიღიოდა ჩეგნი სოფლის ბოლოზე და მის მოსაბრუნებლად კაცი გაგზავნეს. თან თქვეს: ეგ პატივსაცემელი კაცია და რაც შეიძლება ვეცადოთ, რომ დავათ-როთ, თორებ სირცევილიაო. ერთი კაცი დასვეს და დიდი ჯიხვის რქისაგან გაკეთებული შიგ სულ ცოტა არაუგარეული წყლით სავსე ყანწი მისცეს ხელში. ეს ისეთი კაცი იყო, რომ სასმელს ვერ სეამდა, ეს სტუმარმაც იცოდა. სტუმარი მოაბრუნეს და ჯვარში მოიყვანეს. პირველად ის მივიდა, ჭუდი მოიხადა, მუხლი მოიყარა და ჯვარს მაჟლი მოსთხოვა: „დალოცვილო არხოტის ჯვარო, შენ ნუ შამისაწყინდები შენის კარისა კამალაის შამალაქვისადა-დ შენის სახელის ქსენებისად. მიშველ, დალოცვილო, ნურაით შა-მიცოდებ“. მერე მობრუნდა და სოფლის ჯარს უთხრა: „აშენ-დით, ჯარნო, აშენდით, წალმიც წაგივათ დღეი, დღეობა“. „და-შვენდი, მაგვიხევე მშვიდობით, მშვიდობით შენ მასვლა, ბაბოვ“ (ამ კაცს ბაბოს უწინდებდნენ) — უთხრა ხალხმა და ფეხზე ად-გომით შეხედა. „მშვიდობით დამხვდითა, კარგად“ — უპასუხა ბა-ბომ. მოსული კაცი მიიყვანეს და იმ კაცს მოუსვეს გვერდზე, ვისაც წყლიანი ყანწი ეჭირა. ზედამდევი ახალგაზრდები მოვად-ნენ და დაუწყეს ძალადობა: აბა გამოცალე ყანწი, მერე სხვებს უნდა დავალევინოთო. ბაბოს პირველად პატარა ყანწებით დაალე-ვინეს და მერე უთხრეს: ეს პატარა ყანწები დალიე, მერე აგერ ჯიხვის ყანწი მოგვაქვს და ის გერგებაო. მოიგონეს ვილაც სახე-ლოვანი მიცვალებული და უთხრეს: იმისი შესანდობარი არის და ვინც არ დალევს, მისი ცოდვა პერნდესო. მერე გადაეკიდნენ იმ კაცს და გამოაცლევინეს წყლით სავსე ყანწი. ბაბოს კი ეგონა. რომ იმან არაყით სავსე ჯიხვის ჩქა დაცალა. მერე აავსეს არა-ყით და იმდენი ეხვეწნენ. სანამ სულ არ გამოაცლევინეს, ამ ყან-წში ჩადიოდა ერთი ჩარექნახევარი არაყი. სტუმარს ეს ყანწი რომ დააცლევინეს, მერე პატარა ყანწებითაც კადევ ალევინებდნენ. ბოლოს ბევრი სთხოვეს, რომ აქ დარჩენილიყო და თავის სოფელ-ში აღარ წასულიყო, მაგრამ ბაბომ არ დაიშალა და მაინც წავი-და. არაყი მორეოდა ამ კაცს და შუა გზაში დასძინებოდა. შთელი ლამე იქ გაეთია და მეორე დღეს წასულიყო შან.

ყველა აქებდა ასეთ მასპინძლობას, რომ კაცი ისე დაათვრეს. გზაში დარჩაო. თვითონ ის სტუმარიც მადლობელი იყო ასეთი პატივისცემისათვის. სტუმარი რომ მასპინძლის სახლიდან გაემ-გზავრებოდა არაყდალეული და ძალიან მთვრალი არ იყო, თუ გზა-



ში მგზავრი ვინმე შეხვდებოდა, თავს შეტად მოიმთვრალებდა. მასპინ მღვაცი მდერას და რაციაცით სიარულს, ვითომ ასე მარტინ მთვრალი ვარო. ვინც ჰყითხავდა — საიდან მოდიხარო, ის თავის მასპინძელს დაუსახელებდა: იმასთან ვიყავი, დიდი პატივი მცა და ეხლა ძალიან მთვრალი ვარო. ერთხელ სოფელ ქმოსტში ვიყავი. ერთ კაცს, სახელად აბიას, პატივს სცემდნენ — ეს კარგი პურმარილიანი კაცია და მეტი პატივისცემა უნდაო. აბია დათვრა, ადგილზე წაიქცა სიმთვრალისაგან და გრძნობა დაკარგა. მასპინძელიც მთვრალი იყო, ევონა თავს იმთვრალებს, რომ ფხიზელი გადამირჩეს. წაქცეულ კაცს არაყი კიდევ ჩაასხას პირში, მანამ გული არ შეუწუხდა. მერე მიხვდნენ საქმე ცუდად იყო და მთელი ლამის განმავლობაში მასპინძელს და მის ცოლს რა დაუბინიათ, ცივი წყლით აგრილებდნენ სტუმარს. ბოლოს სტუმარი მაინც მადლობელი დარჩა — დიდი პატივი მცეს და დამათვრესო.

ძმათ გაყრაზე მოსული სტუმრები

ხევსურეთში ძმები ცოლის მოყვანამდის ცხოვრობდნენ ერთად. მათ ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთიმეორი-სადმი ყველნაირად. მხოლოდ ცოლებს რომ მოყვანდნენ, იმის შემდეგ დიდხანს აღარ ცხოვრობდნენ ერთად. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ძმებს რამდენიმე წელიწადს ერთად ეცხოვრათ. ას ერთი რძალი გამოდგებოდა გაყრის მომხრე და ან მეორე, დაიწყებდა კაპასობას, ჩეუბს. ხანდახან გამწყრალი მამის სახლშიაც გაიქცევიდა და ქიდან შემოუთვლიდა ქმარს: გიდრე ძმას არ გაეყრები, მე მანდა აღარ მოვდივარო. ძმები მანამდინ რო კარგად იყვნენ, ცოლებს მიპქონდ-მოპქონდათ ამბავი და ცუდი ენა, წააჩხუბებდნენ ძმებსაც, ბოლოს გაყრამდინ მივიღოდა საქმე. გაყრის დროს ძმები მოიწვევდნენ თავის ბიძას, ბიძაშვილს. ხანდახან დედისძმებასც. თუ დიდი ჩეუბი და ბრძოლა არ ჰქნდათ და ძმები მშვიდობიანად იყრებოდნენ, მაშინ ისინი არაყსაც ამზადებდნენ გაყრაში დამხმარებელი ნათესავების პატივსაცემად. როცა მშვიდობიანად იყრებოდნენ და სასმელს დაამზადებდნენ, მაშინ, როგორც ვთქვთ, თავის ნათესავებს შეატყობინებდნენ და დაუნიშნავდნენ დღეს: ამა და ამ დღეს მოდით და გვეიყრებითო. გაყრაში დასახმარებლად მოწვეული ნათესავს, თუ სხვა სოფლი-დან იქნებოდა მოსული, ჩეულებრივად გამოეგებებოდნენ, გა-



მარჯვება და ამბის კითხვა ყოველთვის აუცილებელი იყო და შემდეგ რე შეეღდოდნენ შინ. აქ ჩვეულებრივად შეხვდებოდნენ და ზოლოს არაყის სმაც დაიწყებოდა. არაყის სმის დროს, თუ იყო ამ ოჯახში მამა, ან ერთ-ერთი, უფრო კი უფროსი ძმა, დაიწყებდა საუბარს: „ძმათავ ანგარიში ქნიანაო, ძმანივ იყვნიანავ. ჩვენ გაყრა ძალიან გვიმძიმს, მაგრამ ბედრიანას ხყავ კაცი ხყავ, ქვეი გაეყრებისა, მტერსთან იქავ ძმაივ იქნების. ძმან რო გაიყრებიან, იძით კი არ გაიყრებიან, რო ძმობითაც გაიყარნან. მაგრამ ჩვენ კი აბა რა კაცი გვპარბავ, ჭერ სრუ რაი გვაქვა, ერთად ყოფით ძლივ ველლტობთ (ველლტობთ: სუსტად ვცხოვრობთ), როსაც კელკაციად ორთ, როსაც გავიყრებითა-დ დაეკელმარტოვდებით, სრუ რაითალ ვიცხოვრათ. ჭერ ერთად რა გვილირდა, ეხლა სრუ რაიღ მაგვერგვების. აღარც მტრისად ველიჩებითა, აღარც მაკეთისად, ყველაისად დავბეჩავდებით, მაგრამ რაი ვვქნაო, ე-კაცთაზე ეგრ მაღის. ეეხლად თქვენ შინაურები ხართ, მეტ გზა არ ას, ეს ჩვენ ბერიანა რაიად უნდა გახყოთ საქონიც, ნაქონიცა, მამულ-წყალიც. ემ სახლსაც წილ უნდა გაყვარათა, ვისაც ერგების, ერგების. შეორეს იმის სამაგიერო საქცევ ერგებისა, იმით სახლსავ გაიკითხებს. შენდ ჩვენ არა ბედენანი ორთ, არც არა ერთი, არც შეორე. ვიცით, რო არც ერთკე გადაიხრები -დ არც მეორეკე. რაკელავ გრიდათ, ისრ გაანაწილეთ. ჩვენ ყაბული გვაქვა იმაზე, რასაც რას მიუყენებთა, წილს გახყრით“. ამ ოჯახის წევრი, შამა იყო თუ ძმა, ამ საუბარს რომ გათავებდა, ახლა მათი შუაკაცი იტყოდა: „მე ვიც, რო თქვენ ეხლა გაყრა ძალიან გიმძიმსთ, მაგრამ კლოვ საცინლად გვქნებისთ. ბედიანას ხყავ კაცი -დ გამყრელი. წინწინ გიჭირსთ, თორე მეტრ იმასაც იტყვით, რო ერთად ცხოვრებაში უფრო მეტ მასახათრავი იყვაო-დ ეხლა უფრო გავთავისუფლივ, როსაც მასახათრავ აღარვისად მაქვავ; ადგომაიც ჩემ ნებაია, დაწოლიაცავ, გავაკეთებ რასავ კა იქნებისად-დ არას გავაკეთებავ, არვის დავხათრდებივ. ეეხლა თქვენ გაასწორეთ ექონება, ხოლოთ ძმასთანით მინამრგალი ბოლომდინ არ გახყების კაცს. ცალკე გასვლიდგეს ახალ სამეკომურო უნდ ყველას. ძმასთანით მინამრგალი განძად არ გახყების კაცს. გამაჩინჩებაი, თავისკე მიწეულობა არ ვარგ. ის სამუდამოდ გულში ჩაშჩების კაცსა -დ, ეე ქონება მალე გათავდების. ეეხლა, თქვენის თქმისა არ იყოს, ჩვენდ ერთ ძმაიცა, მეორეიც არა ბედენანი ხართ, რაით მაკეთეიც ერთი ხართ, მეორეიც იმით მაკეთე-ი ხართ. ჩვენ არც



ერთკე გადავიხრებითა, არც მეორეკე, თუნდა ერთს გერმანული ქონებაი, თუნდა მეორეს, ჩვენდ რა ბედენა-ი ას. ეეხლა შესახულება შაგვანდევითა, რაკელაც საჭირო ას, ჩვენ გაგიყოფთ ცხოვრებას, თქვენ მარტო გვითხარით, რა რაის დარი ას, რა რას დაუყენათ. ჩვენც ისრ დავაყენებთა, წილს გავხვრით. რაიც ვის ერგებისთ, თქვენაც უნდა დაუკერდათ. აღარ უნდა ასტეხათ. — მე ეს არ მერგაო-დ მე ისივ — აღარ უნდა იამბას. მე თქვენი კი იმედი მაქვ, რო ამას არ დაიწყებთ, ძაგრამ ზოგს ძმა-ზალში კი შურმაქნეობაი-დ შუღლი, იი ამ დღიდგეს შემდების, — მე ის არ მერგაოდ, მე ისივ. ჩაშეხების ეს გულშიად, თავისობას სრუ საყედურში არიან. ეეხლად დალოცვილებმ ჩვენებმ სალოცავებმ მშვიდობით გამყოფნასთ, ერთის მეკომურისა ორ მეკომურ გახვეთდებით. სანატრელ ყოფაი ას ესი, მასალოცავ ამბავი. გვარ რო იზდებისა, მატულობს, ეს ქვათა, ხეთაც კადე უნდა იცოდან თქვენის სახლისათა, იმათაც უნდა უხაროდას“. შუაკაცი, სტუმარი, ასეთ სიტყვებს უაშპობდა ძმებს და ანუგეშებდა: გაყრისა ნუ გეშინიათ, არ არის ძნელი ამბავიო. ბოლოს შეუდგებოდნენ ქონების განაწილებას. პირველად ილაპარაკებდნენ პირუტყვზე: ხარი, ცხენი, ძროხები და სხვა. ოროლ ძროხას, ერთიმეორის შესაღარს, დააყენებდნენ და წილს ყრიდნენ: რომელი რომელს ერგებოდა. შერე ხარებს, ცხენებს და სხვა. მაგ., თუ ცხენი ერთის მეტი არ ჰყავდათ, მის ნაფასურს ხარებს და ძროხებს დააყენებდნენ მის მეორე მხარეს და წილით ვისაც რა ერგებოდა, იმას ილებდა. მერე გადადიოდნენ უძრავ ქონებაზე. ფარდავები, გუდანურები და სხვა იარაღები თავ-თავისი ჰქონდათ, მაგრამ ხანდახან იარაღებზედაც წილს ყრიდნენ. საერთოდ ძმები ერთიმეორის იარაღს არ გამოეკიდებოდნენ და ვისაც რა ჰქონდა, ის იარაღები რჩებოდათ თავ-თავისი (თოფი, ხმალი, ხანჯალი და სხვა). სახლის ნაფასურს თავიდანვე აილებდნენ და სახლსა და ნაფასურზე ყრიდნენ წილს — ვის რომელი ერგებოდა. ხევსურები იტყოდნენ: წილის ყრით სახლი ხშირ ჸემ-თხვევაში უმცროს ძმას ერგებათ. ამას აწერდნენ ღვათაებრივ რაღაცა ძალას, რადგან ის ხშირად შეიბრალებდა უმცროს ძმას და სახლს იმას არგენდა. უფროს ძმას კითომც მეტად შეეძლო ახალი სახლის აშენება, ვიდრე უმცროსს.

ბოლოს გადადიოდნენ მამულების გაყოფაზე. პირველად ერთ-ერთ საუკეთესო მამულს, ერთის დღისას აილებდნენ და დაუსახელებდნენ უფროს ძმას. ეს მამული უფროსს ეძლეოდა „საუფ-



როსოში“ (ასე ეწოდებოდა) იმიტომ, რომ უფროსი ძმა ოჯახში გამოიყენებოდა და მეტი შრომა მიუძლვის. მერე დანარჩენ შა-მულებს დაუკენებდნენ ერთიმეორეს და ისე ყრიდნენ წილს. ხევ-სურეთში მშობლებს აძლევდნენ თითო ფარდაგს და თითო გუ-დანურს, სხვა მათ არაფერი ეძლეოდა. ცხოვრება მათი წება იყო, რომელ შვილთან იცხოვრებდნენ. ხანდახან „გავეირავდებოდნენ“ კიდეც. ე. ი. ერთ ან ორ კვირას ერთგან იქნებოდნენ, მეორე კვი-რას მეორესთან. ხან წლობით იცოდნენ — ერთ წელს ერთთან იქნებოდნენ, მეორე წელს მეორესთან. ხანდახან დედა ერთ შვილთან ცხოვრობდა, მაგა მეორესთან. მერე მეორე წელს გა-მოიცვლიდნენ: დედა იმ მშვილთან გადავიდოდა, რომელთანაც პირველ წელს მაგა იყო, ხოლო მაგა იმ შვილთან, რომელთანაც პირველ წელს — დედა. შვილებმა და რძლებმა ხანდახან ჩხუბიც იცოდნენ: დედ-მამა არა ჩვენთან უნდა იყოს და არა ჩვენთანაო. ზოგიერთი რძალი დედამთილ-მამამთილს დიდ პატივს სცემდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე თავისთან ჰყოლოდა დედაძ-თილ-მმამთილი. ზოგი რძალი კი პირველთაც იქცეოდა, ცდლობ-და ისინი როგორმე თავიდან მოეცილებინა, მხოლოდ პირში აღ-ვილად არ ეტყოდა არაფერს.

ძმებს თუ კარგი განშუობილება ჰქონდათ, მაშინ მშობლებიც შეთანხმებით ცხოვრობდნენ შვილებთან. თუ ერთი წვრილ-შვილი იყო და საჭირო იყო მშობლებისაგან მათი ბავშვებისათვის ყუ-რადღების მიქცევა, ამ შემთხვევაში მშობლები წვრილ-შვილ შვილთან იცხოვრებდნენ. როცა რაიმე საჭიროება მოითხოვდა, მეორე შვილთან გადავიდოდნენ.

პირველი გაყრის დროს პურს ანაწილებდნენ სულობრივი რა-ოდენობის მიხედვით. თითო ოჯახში რამდენი სულიც იქნებოდა, იმდენ ნაწილს მისცემდნენ (პური ხევსურებს უმრავლესობას ჰქონდა წლით-წლიბამდინ საყმარისი და მეტიც. ნამდვილი პური აქ არ მოლიოდა, მოდიოდა ქერი და ჭევავი და მას უწიდებდნენ პურს). ერთ წლამდინ ბავშვს აძლევდნენ ერთ ვარცლს და ერთ სა-ცერ ფქვილს. ე. ი. ერთ ვარცლს ააქცებდნენ ფქვილით და ერთს საცერს, ეს ფქვილი ეძლეოდა წელგაუთავებ ბავშვს. გაანაწილებ-დნენ ოჯახის ავეჯს: კიდობნებს, გოდრებს და სხვა წვრილმანს.

ყველაფერს რომ გაიყოფლენ, შუაკაცები მიულოცავდნენ ძმებს: „ღმერთმა კაზე მაგივდნენასთ გაყრაი-დ ხევსურეთულთ ხთი-შვილთ, გამრავლნასთ, შაგასწვრნასთ კიდევ შვილებისა-დ შეი-ლიშვილების გაყრას. ღმერთმა მშვიდობას მაგავმარასთ ერთმა-



ნეცსთანით მინამრგალი ქონებაი“. „ღმერთმა გიშველასთ. შაგვასწვრნას გაყრას შვილებისას, შვილიშვილებისას“.

ამის შემდეგ დაიწყებდნენ ისევ არაყის სმას. დაუძახებდნენ სხვა ნათესავებსაც — ძმა-სახლისკაცებს. ვინც მოვიდოდა, ყველანი ულოცავდნენ გაყრას. სმაში, ყანწის დალოცვაშიც ასე ამბობდნენ: „აგაშენნასთ ღმერთმ, ძმანო, ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, კაზე მაგიკდინასთ განაყრობაი. გამრავლნასთ, შვილებისა შვილიშვილების გაყრას შაგასწვრნასთ, მშვიდობითა, კარგა ყოფით. თქვენაც ყველა დაგლოცნასთ, გადლეგძელნასთ, სალხინო საქმეზე მაგიყვანნასთ მუდამ ამ ოჯახშიაცა, შინაც ლხინ მაგცასთ“ და სხვა. ამის შემდეგ ძმები თავის ქონებას მიეპატრონებოდნენ და თავ-თავის სახლში გადაიტანდნენ. ერთ-მას ერგებოდა სახლი და თუ მეორეს სახლი არ ჰქონდა, მალე შეუდგებოდა მის შენებას, სახლი ვისაც ერგო, ისიც ხშირად ეხმარებოდა თავის ძმას სახლის შენებაში.

ძმათ გაყრას რომ გაიგებდნენ, მოკეთებიც დაიწყებდნენ მოსალოცად მოსვლას და თან მოჰქონდათ ქინთით არაყი. არაყით მოსულ მოკეთეს ჩვეულებრივის წესით შეხვდებოდნენ. მოკეთები მოვიდოდნენ იმ ოჯახში, ძმებს შორის რომელ ოჯახშიაც უფროსი იყო. თუ დედ-ძმა ცოცხალი იყო, რომელ შვილთანაც იქნებოდნენ, მოკეთებიც იმათან მოდიოდნენ, თუ დედ-ძმა ცოცხალი არ იყო, მაშინ უფროს ძმასთან მიღიოდნენ, იქ მიჰქონდათ არაყი, მეორე ძმასა და მის ოჯახის წევრებსაც იქ ეძახოდნენ და ერთად სცემდნენ მოკეთის მოტანილ არაყს. მერე მეორე ძმაც თავის ოჯახში დაპატიჟებდა თავის მოკეთეს და ჩვეულებრივი წესით იქ სცემდა პატივს. მოტანილ არაყს ეწოდებოდა: „ძმათ გაყრის მასანახავი“. თუ ახალ სახლს ვინმე ააშენებდა, მოკეთები იმასაც მოუტანდნენ „სახლის მასანახავს“. სახლის აშენებას რომ გაიგებდნენ, ყველა მოკეთე მოემზადებოდა და მოუტანდა არაყს. არაყის მოტანა იყო ჩვეულებრივი წესით. მოსულ სტუმრებს ისე შეხვდებოდნენ, როგორც სხვა სტუმრებისათვის შეხვედრის წესი იყო. სასმელიც იმავე წესით იხარჯებოდა და სოფელშიაც ეპატიურებოდნენ სტუმრებს. სახლის მასანახავის მომტანი მოკეთეს ასე ულოცავდა: „ახალს სახლში შაკვლა კაზედამც მაგიკდებისთ, მშვიდობასამც მაიკმარებთ სახლს, სიცოცხლით, მშვიდობით, შვილების დღეგძელობით. ახალს სახლში გადმოსცლისად ბეღიერ ცხოვრებამც დაგელოცებისთ, კაცითაცა-დ ნაქონ-საქონითაც“. მერე სმის დროს ყანწის ასე დაილოცავდნენ სტუმრები: „აგაშენ-



ნასთ ღმერთმ მამაშვილებ, ბარაქა მაგცასთ, მშეიდობით გამყუჩა და მარტინ ნასთ, ახალს სახლში შასვლისად ბევრ მაღლი, ბარაქა შემსჭრილება ტანას თქვენს სახლში. მაღლი, ბარაქა დაგიტანასთ ნაქონსაცა-დ გამრავლნასთ კაცითაცა-დ ქონებითაც. სტუმარ-მეზობლებო, ყველა დაგლოცნასთ, გადლეგძელნასთ, მუდამ ლხინზე შაგყარნასთ ამ მასპინძლის სახლში, შინაც ლხინ მაგცასთ“.

სასმლის მოტანის გარდა „მესახლეარე“ (მესახლეარე: ის, ვინც სახლს იშენებს) კაცისათვეს მოკეთებებმა დახმარებაც იყოდნენ. ზოგი მოვიდოდა და უშეველიდა ფიზიკური ძალით, ზოგი ხარებს მოახმარებდა, ზოგი მასალას მოუტანდა და სხვა. სახლის მასანახვის მომტან სტუმარსაც იმავე წესით გაუმასპინძლდებოდნენ. და გამოისტუმრებდნენ, როგორც სხვა სტუმარს. ეს კი ზემოთ არის აღწერილი.

მესამრელოე ქალის სტუმრობა

სტუმრად მოსული ქალი მასპინძლის სახლში თუ გამოვიდა სამრელოს, ადგება, გამოვა და მასპინძლის სახლის მარჯვეს ისეთ ადგილზე, სადაც მამაკაცები არ არიან, დაჯდება. თუ სტუმარი იმ დღეს წამსვლელია და სამრელო შორს აქვს, მაშინ ის სამრელოში ალარ წავა, სახლის მოშორებით იმდენ ხანს იქნება, ვიდრე შინ არ წავა (სამრელოები ბუდე-ხევსურეთში თავის სახლთან ყველას ახლო ჰქონდა, არხოტში კი სოფელთან მოშორებით იყო საერთო სამრელოები). აქ იყდა და ვინც ხმას გასცემდა მამაკაცი, ყველას მესამე. პირით ელაპარაკებოდა, შეიძლება ბავშვებს კი დალაპარაკებოდა პირდაპირ, ქალებსაც პირდაპირ ელაპარაკებოდა, მხოლოდ ზოგიერთი ქალი მოწმიდარი იყო და მესამრელოე იმასაც მესამე პირით ელაპარაკებოდა. შეიძლება პირდაპირ დალაპარაკებოდა ახალგაზრდა ვაჟასაც, თუ იცოდა, რომ ის მოწმიდარი არ იყო. ახალგაზრდა ქალთან შეიძლება ვინმე ვაჟი მისულიყო სასაუბროდ, დიაცებთან, ე. ი. ხნიერ ქალებთან, კი იშვიათად ვინმე მივიდოდა. თუ ქალი მამისახლში მოსულია სტუმრად ქმრის სახლიდან, იმან უფრო არ იცოდა ბევრი ხათრი. უცხო სტუმარი კი მეტს იხათრებოდა. სამრელოს ნამყოფს თუ ვინმე დაელაპარაკებოდა, მესამრელოე ქალი ფეხზე ადგებოდა და ისე ესაუბრებოდა სტუმარი თუ მოწმიდარი ქალია, ის საერთო სამრელოში არ შევიდოდა (ნამეტნავად ბუდე-ხევსურეთის ქალებმა არ იცოდნენ სა-

ერთო სამრელოში შესვლა), თუ ზაფხული იყო, ტანსაცმლობრივი გავლის რა შაბდებში მიწვებოდა და მიიძინებდა. საჭმელს მასპინძელი მიუტანდა, მიუტანდა აგრეთვე სამრელოში სახმარ ჭურჭელს: კამს, კოვზს, როჩიას, წყლის ჭურჭელს. საერთო სამრელოში ყველა ქალს აქვს თავისი ლოგინის ადგილი, დღე და ღამე გაშლილი აქვთ ჩალა და უბრალო ქვეშაგებელი რამე, ეს ადგილი უკავია მუდმივად და სხვას არავის დაუთმობს. სტუმარი ქალი რომ მოეიდოდა სამრელოში, სადაც თავისუფალი ადგილი იყო, იქ მოათავსებდნენ. მასპინძლის საკუთარ სამრელოში კი ჩაფიც ედგა ყველას თავისთვის და იქ ჰქონდა ლოგინი გაშლილი. მასპინძელი სტუმარ ქალს მიუტანდა ზედ დასახურს, უფრო ქალის ჩასაცმელად შეკერილს, რომელსაც თვითონაც სამრელოში ხმარობდნენ. მიუტანდნენ აგრეთვე ჩალას ქვეშ გასაშლელად.

ამ სამრელოში თუ ახალგაზრდა ქალი ვინმე იქნებოდა და სტუმარი ქალიც ახალგაზრდა იყო, მაშინ შეიძლება ერთად ეჭამათ, თუ ისინი „დაკოჭვილი“ და მოწმიდარნი არ იყვნენ. ხნიერი ქალები კი უფრო ერთიმეორის „ნაკელს“ არ „ქელავენ“. ე. ი. რაც ერთმა აიღო ხელში, მეორე იმას ხელს არ ახლებდა. ყველას თავ-თავის ჭურჭელი და თავისი სასმელ-საჭმელი ჰქონდა. ხნიერი ქალები ერიდებოდნენ ერთიმეორის ნაკელს, რადგანაც ისინი დიასახლისები იყვნენ, პურს აცხობდნენ, საჭმელს აქზადებდნენ მამაკაცებისათვის, რაც უწმინდურისაგან არ შეიძლებოდა, ვინაიდან მამაკაცებს თავიანთი სალოცავი გაუწყრებოდა უწმინდურებისათვის. მაბობდნენ: შინაური ქალის უწმინდურობა იმდენად ცუდი არ არის, როგორც ის, რომ მესამრელო ქალი სხვა მესამრელოეს არ ერიდება, მათ ნაკელს კელავს, მათთან სკამს და ჭამს, მერე სახლში სადიასახლისო საქმეებს აკეთებს.

ჭვარის ყანაზე და სხვა წმინდად მიჩნეულ ადგილებზე გავლას ჭვარი კრძალავს. თუ ადგილობრივმა ქალმა სამრელობის დროს ასეთ ადგილზე გაიარა, ჭვარი მოამიზეზებს და საკლავით იშაბგილის განათვლამდე მიღის საქმე. ეს წესი ვრცელდება ადგილობრივ და ამ სოფლის დისტულ ქალებზე. სტუმარ მესამრელო ქალებს ჭვარი არ ამიზეზებდა. მკითხავი ასე იტყოდა: ჭრ ერთი, სტუმარმა არ იცოდა, და მეორეც, სტუმრობა ჭვარმაც იცის და სტუმარ ქალს არ გაუწყრებათ. მესამრელო ქალი თუ ამ სოფლის რძალია, ან ახლობელი ნათესავი, მაშინ შეიძლებოდა ახალუხალი შეყრილიყო და მის პატივსაცემად სამრელოსთან ახ-

ლოს ლეინი გაემართათ. სადაც სტუმარიც ესწრებოდა, ოლონდ მოშორებით გაჩერდებოდა. ახალუხალის შეყრა უფრო რძალფას კონკურენციას იცოდნენ.

დღეობის დროს საჯვარო ლუდს სამრელოში ვერ მიიტანდნენ, რადგან ჯვარის სადიდებლის წალება უშმინდურ აღვილზე არ შეიძლებოდა. ქორწილიდან და სხვა ასეთ სასმლიანობიდან კი იცოდნენ სამრელოში ლუდის მიტანა. ეს სტუმარი ქალის დიდ დაფასებას ნიშავდა. ახალუხალში თამაშობის დროს რჩალი სულ ფეხზე იდგა, სხვა სტუმარი ქალი კი არ აღეცებოდა. სასმელს რომ დაალევინებდნენ მესამრელო სტუმარს, მისთვის განკუთვნილ ჭურჭელში ჩაუსხამდნენ ქალები. თუ არ ჰქონდა, მანდელის პირში ან ტყავას კალთაში იცოდნენ ჩასხმა. წასვლის დროს მესამრელო სტუმარს არავინ გააცილებდა, გარდა მესამრელო ქალების.

ଓନ୍ଦିଶରୁଦ୍ଧ ମାତ୍ରାଙ୍କ କ୍ରିଏଟର୍

ონჩხარს უკიდურესი გაჭირვების დროს მიმართავდნენ. მა-
გალითად, ოჯახს მხვნელ-მთესველი კაცი რომ მოუკვდებოდა,
მჟღალი ბევრი იყო, ხოლო შემომტანი არავინ, წვრილშევილის
პატრონ ქვრივს თუ პური შემთაკლდებოდა, ონჩხარით უნდა ეშო-
ვნა. იგი გამოხდიდა არაყს და რომელიმე პურიან სოფელში გავ-
ლენიან კაცთან მიიტანდა. ამ კაცს უნდა დაეპატიუა ხალხი ონ-
ჩხარზე. ეინც მივიღოდა, ყველა დაეხმარებოდა სტუმარს.

იცოდნენ საკლავების ონჩხარიც, თამბაქოს ონჩხარი და სხვა. პურის ონჩხრის მოქმედს ყველა ეხმარებოდა რაღაც იცოდნენ. რომ ონჩხრით არ მოვითოდა, თუ ძალიან არ უშეირთა.

ონებრის მომტანს ჩვეულებრივი სტუმარმასპინძლობის წესით
შეხვდებოდნენ. მას ძალიან უჭირდა თავისი მისვლის მიზეზის გამ-
ხელა, მაგრამ ბოლოს მაინც იტყოდა: „ჩვენს ყოფას არ ყოფაი უჯობა,
ამ სირცეებილისად რო არ ვიყვნათა, დავიკოცნათ, მაგრამ შვილების
ბრალით ვეღარც თავ მაუქლავ კაცს. თქვენაც გაღონებთა, სხვას
ხალხსაც, მაგრამ აგებ როგორ ამ ყმაწვილებს შიმშილით არ დავ-
ხყოცით, თქვენფერის ხალხის დაჭმრებით იქნება დაიზდებო-
დეს. მაგრამ რაის კაისად დაიზდებიან ან ეგეები. ვერც ეგეებ მაშ-
ჩებიან ეემ შიმშილ-წყურევილსა დ გაჭირებას. თქმაიც მიჭირ-
სა დ უთქმელობაიც. თქვენ იცით, რა ბექაობაში ორთ, შიმშილიც
გვაწუხებსა, სიტიტვლეიც. სხო ყველა გაიძლებისა, შიმშილის გა-
ძლება უფრო ძნელი ყმაწვილებისად. ას ვაგი, ას დავირვი,
მაგრამ სხო საშველ არა ვნახი ჩემის ბექაობისაი. პურიან ხალ-



წიავ, აგებად თავს ვინ გვიბრუნებდავ, თითო-ოროლ ნასახულებები ჯერს ვინ მავეცემდავ ხთის გულისადაო, გადაგარჩენდავ შინში-ლით ამაწყვეტასავ. შენ კარგად იც, რო კაცს თუ ძალია არ გაუ-შირდ, კაცის კარად არ მიერა, არ მიიტანს ონჩხარს სათხოვლად რაისად. მე ძალიან მიჭირდ ამაად აქ მასვლა, რო არ მგონავ ჩემდ თავის ბრუნებაიდ დაქმარება იმის მეასედადაც ვის გაუკირდას, მე რო აქ მასვლა მიჭირს. შენთ სახლთკე იმით დავიხარი, რო ხთიან კაციავ, კაცთხედულ კაციავ, ცველას კარგად ეტყვი-საო-დ ზოგს ხთის გულისადავ, ზოგ მასპინძლის ხათრითავ თავს გვიბრუნებენავ. ეეხლად შენთან მავედით, შენებ სტუმრები ორ-თა, შენ თაოდ იცი, სტუმრიც ბევრ გინაზავა, მასპინძელიც. რა-კელსაც უკობ ისრ გააეთი. აბა გაღონებთ კია, რაითაც ვინ და-გვექმარების, შენაც, სხვებსაც, ღმერთ მაინც გადაგიფისთ სამა-გიროს. ჩვენ რა ვის შაგვიძლავის, რაითალ ვინ გადაგიფით სიკე-თეს“.

ონჩხარის მომტანი რომ ამ საუბარს დაამთავრებდა, მასპინძე-ლი სანუგეშო სიტყვებს ეტყოდა: „არა ვინდ, ეს ონჩხარ საყვი-რელ არა ას, არც სასირცხვილო რაი ას ესი, არც შენ ხარ ამის მერჯულე; ეს ჰყვიანის ხალხის მაგონილი, რო ხალხს ერთუცს დაეჭმარს. კაცი სრუ ერთი დროთ არ წავ, ხან ვის უჭირს, ხან ვის. დაიზდებიან შენებ შეიძლები. კლოვ სხვას ეგეებ დეეჭმარე-ბიან. ემაგეების დაზდის გულისად ნუცრას ირცხვნი, ნუც სთავი-ლობ, ონჩხარიც ქენი, ქვეც მათხოვი. ეეგეებ აღმ მაღიან. ყმა-წვილ ყანას ლგავ. მალე წამაიზდების, რო სრუ ვერ გაიგებ იმის გა-ზდას. ეეხლა მე გაოლ, ჩვენს სოფელში ვისადაც პურ მეგულე-ბის, ყველას ვეტყვი. იმდი მაქვ, არც უარს ვინ მეტყვის, ყვი-ლაიც თავს გიბრუნებს. შენ ქვე მაგიგროვდებისა, ხალხს ქვე არას გაუკიდების. ეეხლად მე თაოდ წაოლ, არც ყმაწვილს ვის წავლლა-ლავ, ყმაწვილს უფრო არას ვინ გაუგონებს, კაც კიდე კაცი, კა-ცის მისვლა სხვათ. შენ ეეხლა აღარა გი, ჩემ სტუმარი ხარ. ეეხლა სახელიც ჩემია, სირცხვილიც“. ასე ანუგეშებდა მასპინძელი ონ-ჩხარის მომტან სტუმარს. ამის შემდეგ სტუმარი საონჩხერედ მო-ტანილი არაყიდან ოჯახის წევრებს დაალევინებდა და თვითონაც დალევდა. მასპინძელი ასე დაილოცებოდა: „არაყის პატრონ ავა-შენას ღმერთმ, ბარაქა მაგცას, მშვიდობით გამყოფას. დღეს შენს ამბავს შჩივი, სთავილობ, ხვალ სიხარული, ლხინ მაგცას, შვილების საჯორწილო გამზადებიოს სასმელი“. ამ დალოცვის შემდეგ ვინმე მიცვალებულს მოიგონებდა, ყანწს იმისთვის ეტყო-

და შენდობას. ყველანი დაილოცებოდნენ და დალევდნენ. მასის
შემდეგ დისახლისი ვახშამს მოამზადებდა და სტუმარს გაუსახავდა
პინძლდებოდნენ. მასპინძელი ადგებოდა და წავიღოდა ხალხის და-
საპატიუებლად. ვისთანაც მივიდოდა, ეტყოდა: „თუ ღმერთი
გწამთ, თავს ნუ დაღმადლებთ გაჭირვებულს კაცს. ამან და ამან
(სახელს ეტყოდა) ონჩხარ მაიტან პურისა. რაითაც ვის შაგიძლავთ,
იმით შეეწიებით. ეგენ ეეხლა დაღონებაში არიან ხთისგან. ობოლ-
ქვრივი, კაც არ ხყავ საქმის გამკეთო, შამნახავი. დღეს მაგას უჭი-
რსა, ხეალ იქნება სხვას გაუჭირდას. ეე კაცზე ეეგრ მადის.
იქნება დაიზარდნან ეგ აბლები, კლოვ ეგენ სხვას დეექმარებიან.
თითო-ოროლ — ნასამაღ პური თქვენ ქვე არას გაგინდებისათ -დ
მაგას ქვე დაუხვავდების მაღლი ცოცხლათადაცა, შევდართადაც“. მაწვევარს ნაწევი კაცი ეტყოდა. „ჰაი, ჰაი, რო უნდა შავეშვინათ.
ონჩხარს ეგ ხო არ არჯულებს, ან განა მარჯვე მაგისად ონჩხა-
რით მასვლა. წამაოლაცა, შავეშვიც. სხვებსაც უთხრათ ჩვენებს
სოფლელებს, რო ნუ შავირცხვნით. თემ გაიგებს, რო აქ მეონ-
ჩხრე მაგვივიდა, კარგად ვერ გავისტუმრეთ. სირცხვილი, რო არა
დაუდგას. ამ სოფელს უქონლობა არ აწუხებს, პურ არვის აკლავ“. ნაწევ სტუმრებს მასპინძელი და მეონჩხრე სტუმარი ჩვეულებრი-
ვი წესით ფეხზე ადგომით შეხვდებოდნენ. დაიწყებდნენ სმას.
ონჩხრის მომტანს სცხვენოდა და მის მაგირ მასპინძელი არიგებ-
და ონჩხრის არაყს. სმა რომ გათავდებოდა, სათითაოდ ყველა
ეტყოდა მასპინძელს, რამდენის მიცემა შეეძლო და დაიშლებოდ-
ნენ. ერთ საწყავ ქერზე ნაკლებს არავინ შეპპირდებოდა (საწყავი
უდრის 1 ფუთს). შეორე დღეს მასპინძელი ონჩხრის მომტანს თა-
ვისი ოჯახიდან მისცემდა, რამდენის წალებაც შეეძლო, შემდეგ კი
მოუგროვდებოდა და თავისთან შეუნახავდა შენაპირებს.

თამბაქოსა და ცხვრის ონჩხარს დიდ ყურადღებას არავინ აქ-
ცევდა, რადგანაც ის ოჯახისათვის აუცილებელი არ იყო.

სტუმარმასპინძლობა საამანათოდ მისულ კაცოან

ხეესურს რომ თავის სოფელში ცხოვრება აღარ შეეძლო მო-
სისხლეობის ან რაიმე ამგვარი მიზეზის გამო, რომელიმე სოფელს
შეარჩევდა და იქ წავიდოდა „ამანათად“. პირველად სოფელში
თვალსაჩინო კაცთან მივიდოდა და მას სთხოვდა დახმარებას, რათა
სოფლელებს ნება დაერთოთ მათთან დროებით ცხოვრებისა. მას-
პინძელი საამანათოდ მოსულის სურვილს განუცხადებდა შეყრილ
სოფელს და თავის მხრივ სთხოვდა, ნება დაერთოთ. სოფელი

ამანათის მოსვლაზე იშვიათად იტყოდა უარს. როდესაც დათან
ხმდებოდნენ, მაშინ ამანათი და მასპინძელი ჯვარში ერთ სამართლებულება
მიიყვანდნენ და უკელას დაუბახებდნენ. მისულ ხალხს მასპინ-
ძელი ეტყოდა: „აი, ეს სტუმარ ამ საკლავით თქვენ შამაგებარათ
ჯვარსაცა, კაცსაც. ამ საკლავით უკელას გთხოვთ, შონახათა, და-
ინდგათ“. მერე ხუცესი საკლავს ამანათისა და სოფლის სამწყა-
ლობნოდ დაკლავდა. უკელანი დაამწყალობნებდნენ ამანათსაც და
სოფელსაც. ამის შემდეგ სოფელი ითვლებოდა ამ კაცის მფარ-
ველად, იცავდნენ მტრისაგან, ეხმარებოლნენ ყოველგვარ გაჭირ-
ვებაში. მას საჯვარო მამულიდან ორი-სამი დღის მამულსაც მის-
ცემდნენ. სტუმარი მათი შეხედულებით ხალხსაც და ჯვარსაც
ეკუთხნოდა, რადგანაც საკლავით როგორც ერთს, ისე მეორეს
მიებარა. ამანათი იცხოვრებდა ამ სოფელში, ვიდრე მისი სურვილი
იყო.

ზოგიერთი სიტყვის განვირტიბა

- ა ზ რ ე ბ ა—შეერა, ყურება.
ა მ ო კ ე რ ე ბ უ ლ ი თ ა თ ე ბ ი—თართო ყელიანი, სქელად ნაქსოვი, შინ ჩისაც-
მელი ჭრელი ჭიდები ტყავის ძარებოთ.
ა ნ დ ა ბ ი — მთელთა შარმოდეგნით, გვაროვნულა ჯგუფები სულეთში. ანდაბი
აერთინებდა ერთი გვარის, ერთი შთამომაცლობის გარდაცვლილთა
სულებს.
ა ხ ა ლ ზ ა ლ ი—პატარძალი.
ა ხ ა ლ ი—ჩვეულებრივი მისშეველობი ს გარდა. ნიშნავს ახალგაზრდას
ბ ე დ ი ა ნ ა—ეისაც ბედი სწყალობს, ბედნიერი.
ბ ე შ ი კ უ რ უ ა—პატარა.
ბ უ ბ უ ლ ი—ყვავილი.
გ ა ლ ი—მოკლე ჭოხი.
გ ა მ ა რ თ უ ლ ი—გასამგზავრებლად გამზადებული, შამსვლელი.
გ ა ტ ა ნ გ უ ლ ი—სმის შეღებად უგურებოდ მყოფი. ნამთვრალევი
კ ა შ უ ნ ი—შეპასუხება, სიტყვის შექცევა პიროვნებისა, რომლის საუბარს ანგარიშს
არ უშევენ.
მ ა რ წ ე—აეი, ბრაზიანი. ნიშნავს აგრეთვე მძიმე, ძნელ საქმეს, მძმევს, ავალმყოფ
ბას და ა. შ.
მ ა ღ ა ლ რ ბ ა ნ ი—ხევსურული ტერასული სახლის მეორე სართულის—ჭერხოს ბაზი
მ ა ღ ა ლ ს ა თ ი თ ე—საბრძოლო საცერელის სახეობა, ცალპირად გადაუდის
მაღალი კბილები.
მ ა შ ე ვ ა რ ი—მოპატიუე.
მ ა შ მ ი ღ ა რ ი—ხატის კაცი, უმინდონი.
მ გ ე ბ რ ი—დოლის ღრას დალლილი მხედრის შემიცველი, რომელიც მას გზაში
ეგებება და თე-თონ ჭდება ცხენზე.

ଲେଖକଙ୍କୁ

ମ ରୁ କ ବ ଦ ଗ୍ରେ-ମାନ୍ଦ୍ରେ, ଲାମ୍ବେ ଅମ୍ବିଲ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠାତ୍ମକଣ୍ଠଙ୍କୁଳାଙ୍କ ଗାଘନ୍ଧୀର୍ଣ୍ଣିଲାଙ୍କ ପିଲାଙ୍କିରାଙ୍କ ମାନ୍ଦ୍ରେରେ.

6.0 ല 2.3.0—എണ്ണം, ദാദാന്തിലോ കൈലിസ്പീരു.

60 3339—ଫ୍ରୋଣ୍ଡେ

ସାଂଶ୍ରାନ୍ତ ପାଇଁ କାହାର ଦେଖିଲୁ ନାହିଁ । ଏହାର ଅଧିକାରୀ କାହାର ଦେଖିଲୁ ନାହିଁ ।

୧ ୯ ୩ ୬ ୦—ସାହୁର୍କିରାଳୀ, ସାତାର୍କପ୍ରେଡ୍‌ଗ୍ରେନ୍

୧ ୦ ୮ ୦ ୯ ୨—ହତ୍ୟାକାର ମହିନେ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ

სათითენი — საბრძოლო საკურ

ବେଳାରୁ ମହିନାରେ କଥା କଥା କଥା

გამო.

ს ა ვ რ ნ ი — ე რ ბ ო .

—**କାନ୍ତିରାମ**—**ଶବ୍ଦରେ ପାଞ୍ଚଟିଲାଙ୍କାରୀ**—**କାନ୍ତିରାମ**—**ଶବ୍ଦରେ ପାଞ୍ଚଟିଲାଙ୍କାରୀ**

ს ა ქ ხ ა რ ი — მიცვალებულის მოსაგონარი ხარჯი.

ସାତ ଶକ୍ତିରେ ହେଲାମନ୍ଦିରରେ

ს ა ყ ა თ რ ო ნ გ ზ ა ნ ი — ვ წ ა , ს ა ღ ა ც ბ ე ვ რ ი მ გ ზ ა ვ რ ი მ ი ღ მ ო დ ი ს .

ସାହେବ ରାଜ୍ୟକାରୀ—ସୁର୍ଯ୍ୟରିଲ୍ ଦାଲନପ୍ରା ମିଲପାଲ୍ଲେଖିଲତାଟ୍ଟେଳ୍, ଶେରନ୍ଦୂପିଲ୍ ଟମ୍ପା.

ଓ ৩ ৩ ৩ ০—ଶେଳିତ ପ୍ରକାଶ

ଓ ৩ ও ৩ ক ট ৱ ৩ ও ৩ ম ৩ —মনসাসাকলের রা ল ৩ শ ৩ অ ৩ পু ন্তু ন ৩

ଓ ০ ৮ ০ ৪ ০—ফালিস ফাৰিস—সালিফুন্স—গুলিসপুরি

ପୋଷଣାର୍ଥ ଏକାତ୍ମିକାଙ୍ଗ

କଥା କୁଳାଙ୍ଗି—ମରିଲା ମହା-ବିଦୀଶ୍ଵରିଙ୍କୁ କଥିଲା ତତ୍ତ୍ଵିଲା.

କିମ୍ବା କିମ୍ବା—ଗାନ୍ଧୀରୁପା

ଲେଖକ ପ୍ରତିକାଳ ନିଃଶବ୍ଦିକାଳରେ ଉପରେ ମହାକାଵ୍ୟାଳିକ ପାଠୀଙ୍କରୁ ପାଇଗଲିବାରେ ଏହାରେ ଅଧିକାର ପାଇଲାମାରୁ।

ყველფი—კერის შუაგული, რომელშიც ცეცხლი ანთა.

၁၀၆၆၈—နာပိုက်လတ်ခဲ့သူ၊ ရွှေမြေပို့သွာလွှာ အကျင့်အမြတ်

კ ლ ა ნ ი — ტყავის თასმებით მიღებობანდული ფეხსაცმელი, ბანოულები

සැපයිච්චලි

පෙමතරාපිච්චලි සාකච්ඡා

- | | | | |
|-----------------------|------------------------------|---------------------|----------|
| අමුනා | 131, 186 | මිත්තම | 92 |
| අර්ථත්‍රීය | 131, 136, 191, 226, 236, 243 | මිරුගාලු-කේප්සුරුගො | 198 |
| අර්ථත්‍රීය ගාලාසාගාලා | 8 | මිරාජීත-කේප්සුරුගො | 45 |
| අර්ථත්‍රීය මත | 80 | මිරෝජිත | 76 |
| අපුරුෂීම්ස ජ්‍යාලි | 42 | රුම්ජා | 104 |
| අනෝලා | 131, 235 | බාජේලු | 145 |
| ඩාලාසාහිර | 80 | ස්ම්මාස්ති | 104 |
| ඇශ්චානි | 147 | සුප්‍රාලි | 104, 125 |
| ඇඟුවීසි | 14 | ඡාට්‍රිලි | 183 |
| ඇඟ්‍රිය | 38 | හාරුගාලි | 17 |
| තාත්ක්‍රේලිස අංශ | 229 | ශිෂ්‍ය | 147 |
| කුටිරිඹ්මියා | 129 | ප්‍රාතිඵේගි | 235 |
| කුරුණා | 125 | ජාපුගි | 119 |
| ලැංජුරි | 42 | කුෂ්තා | 235 |

සැක්ෂිතම සාකච්ඡා

- | | | | |
|-----------------------------|--|-----------------------------|-------------------------|
| අනාත්මකින් ඝ්‍යාරි | 183 | දරුශීස ප්‍රූමරුදා | 143 |
| අනුග්‍රහක්නි | 10, 122, 156, 175 | දරුශීමිනි | 148 |
| අන්තර්ඛි | 185 | උප්පා | 119 |
| අර්ථත්‍රීය ඝ්‍යාරි | 196, 200 | ප්ලිස පේදිස්කුවේරා | 72, 75, 79 |
| ඡේලුස්කුවේරා | 72, 73, 75, 79, 84, 93, 94, 97, 104, 105, 107, 194 | ත්‍රුවෙනි | 43 |
| ඩුලාජ්‍රි | 150 | ත්‍රුවුරුදුලිස පාම්ප්‍රාජාත | 199 |
| ඡම්බුනි | 145 | තාව්ත්‍රේ රිගි | 46, 55, 61 |
| ඝෑමර්ගි නාලන්දාම්ප්‍රේනිජරි | 112 | තාසේදිස ජාසාක්ෂේපා | 158 |
| ඝුදානින් ඝ්‍යාරි | 143, 144, 245 | තිබිස්තාවි | 29 |
| ඇඇුවුවීලි | 45, 244 | ඝෑමරිජ | 120, 127, 153, 155, 211 |
| ඇඇුවුලුම්බන්දා | 112, 113, 152 | ඝියුන්ම්ඩාලි | 153 |
| ඇඇඛාතිනි | 85, 145 | ඝුරුත්‍රේ | 113, 122, 152 |
| ඇඇඛාතිස්යාරි | 144 | ශ්‍රාව්‍යාරින් ඝ්‍යාරි | 104 |
| ඇඇත්‍රුරි | 144—148, 195, 196 | ඡාසාන්තාවි | 35 |
| ඇඇත්‍රුරු-කේලුම්බන්දා | 85, 145 | ඡාසාන්ත්‍රීමිනිනි | 99, 103, 105, 112 |
| ඇඇලුවි | 12, 34, 46, 49, 51—54, 58, 61 | ඡාත්මිඩාරි | 43, 113 |
| ඇරුණා | 147, 148, 150 | ඡුන්ජාරි අනුග්‍රහක්නි | 147 |
| | | ඡුන්ජාරි දරුශී | 145, 146, 176 |




მებელისკვერა 72
 მეღოლეები 52, 53
 მეღრიშვე 146, 147, 150
 მეკოდენი 60, 61
 მესახელე 23
 მესამთო ანგლოზი 152—155, 157—
 159, 161
 მესულთანე 22, 23
 მეჭალაფენი 229
 მთავარნებელოზი 196, 198, 199
 მყითხავი 143, 154
 მოქსენება 112, 113, 122, 148, 152, 154
 მჯედართ ტაბლა 53
 ნარევი 44
 ნეფიონთ ტაბლა 121, 122, 124
 ორის სულმევდარი 28
 პირის პარსე 68
 უამისწირვა 148, 150
 რიოში 28, 127
 სალიფებელი 148, 155, 156
 საკლავით შამაბარება 248
 საკლავის შასახელება 185, 204
 სამეშვლო ზღვენი 166, 171
 სანათლავი 166, 169
 სანთელ-დლე 55, 68
 სანთელნი 46
 საპირისი 204
 სატაბლო პურები 157, 191
 საქვაბე 189, 196, 197
 საქნარი 45, 47, 55, 59, 61, 69, 118,
 119
 საყენო 118
 საწდო 59, 64, 69, 70, 71, 116, 157,
 160, 161, 201
 საწდის დალოცვა 70
 სახელის დაღება 22, 23, 38, 53, 64,
 65, 158
 სახმო 150, 151, 153, 154, 156, 157,
 160
 სახმო გუდანის ჭვარი 143
 სახუცო კოჭობი 147, 148
 საქელოსნო სკამი 144
 სეფე-სანთელი 152

სულეთობა 23
 სული 127, 161, 180, 185, 201, 206
 სულის სახელი 22, 23
 სულის ხუცესი 55, 61, 65, 204
 სულუქევარი 24, 70
 სულწმილარი 101, 144
 ტალავარნი 37, 47, 48, 56, 59, 60, 61,
 69, 90, 100, 101, 113
 უქმის ნათელა 216
 ფიცერუბელით ძმობილობა 176
 ქადაგი 12
 ღამისთვევა 143
 ღამისთვევა-ფაზისწირვა 144
 ღამისთვეველი 147, 148, 150, 156
 ღმერთი 64, 127, 128, 157
 შასახელება 154
 შაწირვა 143, 206
 ცხენ-ღოლვა 46, 69
 ცხენთ ტაბლა 51, 59, 61
 ძახილით ტირილი 37, 47, 61
 წელგათავება 49, 55, 59
 წელწადი 72, 73, 93
 წელწად-ღამე 72
 ხთისარი 112, 153, 156, 158
 ხთიშვილთ ხსენება 155
 ხთიშვილნი 12, 33, 145, 155, 156, 169,
 157, 171, 174, 175, 177, 178, 179
 ხუცესი 33, 45, 112, 113, 122, 128, 144,
 146—148, 152, 154, 156, 158, 166,
 185, 188, 195—197, 211
 ხუცეს-კელოსნები 45, 144, 145
 ჭავარის ჭვარი 99, 105, 112, 113
 ჭმითმატირალი 37
 ჭვართ გაღილება 148, 149
 ჭვარის გამძლო 144
 ჭვარის დიასახლისი 45
 ჭვარის ჭვარი 194, 195
 ჭვარის მასკლა 120
 ჭვარის მაწევარი 143, 146
 ჭვარის სტუმრობა 140
 ჭვარინი 144—146, 149
 ჭვარში შაგლომა 187
 ჭუთის წმ. გომარე 189, 190



- აზნაურები 44
ამანათი 248
აპარატი 73, 74, 92
ასამტეხლო 182, 183, 185
აქტი 164, 165, 166, 168, 169
ახალწალი 17, 18, 130, 132
ახალუხალი 30, 38—40, 88, 91, 97, 104,
106, 114, 120, 126, 130, 133, 134, 180
ბისელი 8, 10, 11, 36, 44, 47, 58, 77,
89
გვარი 30, 94, 96, 115, 118, 121, 154,
179, 181, 184, 185, 188, 197
გვრინი 214, 215, 217
გზათ აქსია 109, 110
გუდანური 40, 97
დაბიძაშვილები 181
დატრიედრული კერი 112, 125
დაჭურულება 21, 24
დედათწესი 82, 83
დელიმა 44, 48, 49, 94, 95, 97, 145
დეღობილი 179
დეღულ-მმული 25
დეღული 95, 96
დოკი 17, 26, 41, 89, 95, 107, 114
დოსტული 44, 49, 94, 95, 97, 115
დობილი 178, 179, 211
დობილ-მმობილი 208
დორამა 172, 173, 175, 176, 179, 187—
189, 194, 195
ეზო 118
ელჩი 40, 105, 111, 160, 211, 221
ერთად შეყრა 162
ჰალი 17, 18, 65, 72, 74, 76, 78, 79,
88, 100, 102, 103, 104, 105, 106, 107,
109, 110, 113, 114, 115, 117, 118,
119, 126, 135, 139
ზედამდეგი 28, 29, 53, 57, 63, 67, 69,
129, 149, 150, 156, 158, 159
ზედგანი 38, 64
ზლის დაკოტევა 111
ზლის მამყვანი 112
ზლის მოსაკითხი 120
ზლის მყოლი 135, 136
ზლუბლის სამლაქაო 199
თავი 59
- თავმკიდებარი 80
თავსისხლი 132, 173, 182, 200 მისამართი
თავმელად მღრა 42, 92, 93, 145, 146,
150, 153, 156, 158, 159, 186
თეორია 215
თითის სამეცნიელო 187
თარალაყრილი კაცი 186
კაი ყმა 32, 75
კალთის მოჭრა 96
კალო 44
კაფია 75
კაფიაობა 53
კარახანა 145, 146, 149, 159, 193
კოდი 51, 56, 59, 60, 69
კოდის მოკიდა 197
კოლტობა 239
ლიშანი 73, 99, 107
ლიშან-სამთხოვრო 73, 78
მალული 34
მამანი 36
მამისახლი 66, 59, 134, 135, 136
მამის დედული 95
მამის კერა 96
მამეალი 223, 224
მამელავ-მამელრობა 50, 104, 180, 181,
183, 187, 188, 192, 199, 200, 203, 206
მამყვანი 12, 112, 116
მანელი 32, 78, 79, 125, 140, 141
მასანახვი 6, 13, 22, 35, 45, 89, 240,
242
მალაბანი 44, 57, 140, 150
მაწევარი 13, 15, 17, 19, 50, 75, 82,
101, 108, 109
მგებრი 52—54
მეღლეულე მუშა 212
მეგასანახვე 18, 77, 79, 90, 112
მენატრევე 164, 168, 170, 173, 175
მეორეთ ვაკშამი 56
მერჩულე 183
მესაღილე 215, 217, 219
მესახლეარე 243
მესვეური 225
მეწყულე 214, 216
მექენიკურები 213
მთიბელთ საღილი 221, 223

- მთიბლები 212—217, 218, 221, 223, 225
 მთიბლური 216, 217
 მოვარეები 44, 49, 84, 127, 137, 181,
 193
 მოსისხლე 66, 164, 167, 187, 200, 203,
 204, 205, 206, 207
 მოსისხლეობა 124, 164
 მტყობი 45, 46, 56, 57, 58, 60
 მუშაო პიროვნი 213, 224
 მუშაო 217, 218, 222
 მყოლი 113—116, 118—120, 122, 125,
 126, 128, 129, 130, 132—136
 მჩერელ-ტოლის მოელავნი 226, 230, 231
 მძალები 73, 74, 76—79, 91, 92, 99—
 102, 104, 105—111
 ნადეღობი 118
 ნამკრევი 215, 217
 ნალევი 217
 ნაშეოლობი 177
 ნაწეალი 10
 ნაწელის კარი 10
 ნახეა 35
 ნეფე 111, 120, 123, 125, 133, 134
 ნეფიონი 120—123
 ონჩხარი 245—247
 ორძირა 114
 პატივი 71, 100, 113, 147, 201, 206,
 207
 პატივის მიტანა 70, 101, 200, 206
 პირზასამყრელო 191—194, 202
 რიგი 46, 182, 202
 რიგის საკლავი 171, 173, 187
 რიგისყენება 182—187
 რეული 165, 171—174, 199
 რეულის თვეი 172, 182
 რეულის კაცები 170, 171, 174
 რეულის საკლავი 171, 173
 სააბრაშუნე გალი 73
 სააქიმო 166, 169, 171
 საგზაო 114
 სადედო 187
 სადაცო მხარე 19, 26, 30, 101, 204,
 209, 219, 227
 საკავშირი 8, 10, 11, 18, 19, 37, 76, 77,
 83, 89, 100
- საკლავ-პატივი 164, 166
 სალგინე 44
 სამამაცო 11, 68, 75, 77, 209
 სამამაცო სკამი 19, 29, 30, 64
 სამამკლო 29
 სამანატურო 6
 სამოხვერო 75, 95, 99, 100, 104, 107
 სამრელო 35, 113, 243, 244, 245
 სამყოფო 10, 19, 76, 89, 109, 118, 130,
 176
 სანაკეთო 20
 სანაწყვერო 17
 საპირბერე 230
 სასიძოდ მისელა 137—139
 სასტუმრო 132
 საუნაშესოე ნაჭრევი 162
 საუნცროსო 11, 50
 საუფროსო 119, 241
 საუფროსო სკამი 50, 84, 89, 111, 119,
 120, 126, 127, 165
 საფაოვლე ნაჭრევი 102
 საფლავ-სამარხის სამჯსნელო 187
 საჭეაბი 189, 196, 197
 საშუალე 99
 საძილვირე 91
 საძმო 187
 საძმობლო 210, 211
 საძროე 19, 104, 110, 111, 118, 125,
 130
 სევ 223, 225
 სეილი 50, 59
 სისწვენი 195
 სისხლიან საკლავი 164, 194
 სისხლიან საკლავ-პატივი 162
 სისხლის სისხლში გაბრა 124
 სოფლის გარი 96, 149
 სუორფრობა 30, 40, 103, 211, 23.
 ტოლი 226, 230
 ტოლის თელვა 230
 ტოლის მოელავნი 227, 231
 ტყავ-სალიმ 149
 უაცხრი 181
 ულო 225
 ურბეთი 117
 ფანდური 31, 91, 96, 130, 142, 150



- ფერწემდგომი 29
ფერწე ძლერა 148
ფეხონი 48
ფიც-ვერცხლით ძმობილობა 176
ფოლი 228
ქაზდარი 11, 19, 48, 84, 116
ქალის გამოცვლა 78, 141
ქალის დაყითხვა 107
ქალ-ვაჟობა 203
ქართიში 29, 30, 216, 224
ქირვა 25, 38, 144
ქმრეული 48, 66, 78, 79, 82, 83, 88,
89, 91, 102, 103, 105, 107, 110, 113,
134
ქმრისდა 103
ქორწილი 107, 109, 111, 120, 122, 124,
126
ქოხი 6
ქურთი 13
დაჭია 53, 62, 119, 121, 123
დეეტრა 53, 54, 75, 76, 89
ღიაძლი დელიდმა 94
ღომელი 64
ღურლუპელი 94
ყვერფი 56, 64, 101
ყვერფი 56, 64, 101
ყმა 104, 143
ზამანი 82
შვილობილი 65, 179, 201
შრიში 46, 47, 68
შუაქაცი 11, 17, 32, 33, 73, 98, 99,
100, 108, 124, 161, 163, 164, 166,
171, 174—177, 187—188, 194, 196,
201, 242
ჩარექი 74
ჩაფი 244
ჩიჩქანი 147
ჩირახი 10, 17, 215, 227
- ჩინგური 91
ჩრაქვი 17, 215
ცეცხლ-მგზე 227, 228, 230, 231
ძებნა 96
ძმა-ძძძაშვილები 66, 100, 137
ძმა-სახლიკაცები 13, 151, 160, 164,
175, 176, 181, 183, 184, 198
ძმადგაფიცვა 176
ძმობილი 31, 33, 34, 178, 209, 210,
231
ძმობილთა 33, 210
წილი 45
წილნაწილი 6
წინამძღვარი 115, 116
წინგარდა 8, 36, 44, 45, 47, 48, 58,
76, 77, 118, 175
ჰირუნბავი შვილი 177, 178
ჰიტი 7
ჰერხო 8, 9, 11, 14, 18, 37, 48, 53, 69,
77, 89, 160, 227, 228
ჰერი 241
ჰრა-ჰრილობა 164, 168, 171, 173,
ჰირისპატრინი 35, 36, 37, 39, 44, 47,
48, 49, 50, 52, 55, 56, 58, 59, 62, 90,
100, 109, 111, 113, 180, 183, 184,
196, 203, 204
ჰირისწყენა 36, 39, 49, 59
ჸარჭი 61, 62
ზეჩონი 6
ზოწი 170
ჸელის დადება 169
ჸენცვლა 212
ჸენადგასელის სამკსნელო 187
ჸმალია 170
ჸმელ-პატივი 162
ჸმელ საკლავ-პატივი 162
ჸურუმი 186, 193, 195
ჸლანი 60, 77, 125, 160, 209

ଓଡ଼ିଆ

Очиаури Алексей Алексевич

ОБЫЧАИ ГОСТЕПРИИМСТВА В ХЕВСУРЕТИ
(на грузинском языке)

რეცენზირები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ითონიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჭავახიშვილი

დაბეჭდილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

ИБ 1136

რედაქტორი თ. ოჩიაური
გამომცემლობის რედაქტორი რ. ფუიქრიშვილი
ტექნიკური ტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 26.2.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 29.12.1980;
ქაღალდის №ომა 60X901/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბაზი 15.8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 12.4;

ფ. 01292;

ტირაჟი 3000;

შეკვეთა № 736;

ფასი 1 შან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

